რელიგიის ფილოსოფია ნამდვილად რელიგიებით კი არ უნდა დაინტერესდეს (თუმცა ისინი შეიძლება გამოყენებული იქნან მასალად). ფილოსოფიას ასეთ შემთხვევაში საქმე აქვს რელიგიურთან, როგორც საერთო ადამიანური ცდის ერთ-ერთ მდგომარეობასთან, არსებობს შესაძლებლობა, რომ ეს მდგომარეობა აღწერილი და ახსნილი იქნას მეცნიერული მეთოდებით, ყველა მეცნიერებას მერ-ნაკლებად აქვს საქმე იმ სფეროსთან, რომელსაც რელიგიური განეკუთვნება, ხოლო თანამედროვე ფსიქოლოგიამ კი, იტყვის დიუი, ბუნებრივი ახსნა მოუწახა ისეთ ფენომენს, რომლის ზებუნებრივი წარმოშობა წინათ უთუოა მიაჩნდათ. ამგვარი კვლევის გზაზე შეიძლება თავი იჩინოს ერთმა საშიშროებამ, რომელიც რელიგიური, მეცნიერული და სხვა ცდისეულ მდგომარეობათა იდენტიფიკაციაში გამოიხატოს, მაგრამ ამ საშიშროებას ადვილად დავალწევთ თავს ისევ მეცნიერული მეთოდით. გაცილებით უფრო დიდი საშიშროებაა გენერალური ტენდენცია—გათიშონ ცდა ორ განსხვავებულ რეალობად, რომელთაგან ერთთან საქმე ექნება მეცნიერებას, ხოლო მეორესთან შემეცნების სპეციალურ სახეს, უშუალო წვდომას. თუ ეს საშიშროება იქნება ჩამოცილებული გზიდან, იდენტიფიკაციასაც ადვილად დავალწევთ თავს. საქმე იმაშია, რომ დადებითი ვითარება გვარწმუნებს რელიგიურ ღირებულებათა განსხვავებულობაში. ისინი

<sup>12</sup> A common Faith, p. 11.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 29—31.



ყოველთვის როდი უკავშირდებიან ყველა ინტელექტუალურ მტკიცებას. რელიგიურის ემანსიპაცია მოხერხდება იმით, თუ სპეციალურ ჰემშარიტებათა მომცველი ცნებები გადაეცემა მის საკუთრებაში, ვინაიდან ისინი საკუთარი ბუნებით რელიგიურნი არიან. მართალია, ამ ჰემშარიტებათა მიღწევა იმავე გზებით ხორციელდება, როგორც მეცნიერებაში, მაგრამ როგორც შედეგები, ისინი ერთგვარად განსხვავდებიან მეცნიერების პოზიტიური შედეგებისაგან. არ არსებობს უფსკრული მეცნიერულსა და რელიგიურს შორის, არ არსებობს რაიმე მასალა, რომელთანაც მხოლოდ მეცნიერებას, ან მხოლოდ რწმენას ჰქონდეს საქმე. განსხვავება დაიჭირება შედეგებში, რომლებიც ერთიდაიგივე მეთოდი იქნებიან მიღწეულნი. მეცნიერება არასოდეს არ ისაზღვრება რაიმე სახის მასალის დადგენით. მისი ინტერესი სათანადო მეთოდის საშუალებით სარწმუნო შედეგების მიღწევისა უსაზღვროა და ვრცელდება ყოველი სახის მასალაზე; ამის შემდეგ აღარ რჩება ადგილი „სპეციალური მასალისათვის“, რომელიც იქნებოდა, ვთქვათ, რწმენის მასალა<sup>14</sup>.

მაშ რა არის „რელიგიური“ ჩვენს ცდაში, როგორ უნდა დახასიათდეს „იგი“ (ეს „რადაც“). ამ კითხვაზე პასუხის შემდეგ გაირკვევა ინსტრუმენტალისტური სიახლეც.

ისტორიულად ცნობილია, რომ რელიგიასა და მეცნიერებას შორის არსებობდა კონფლიქტი. რელიგიას ყოველთვის აბსოლუტურობის პრეტენზია ჰქონდა, მისი დებულებანი ურყევ ჰემშარიტებად იყო მიჩნეული, მაშინ როცა მეცნიერებას ამოძრავებდა ნოვატორული სული, იგი შემეცნების გზაზე შესაძლებლობათა უსასრულობით სუნთქავდა. მაგრამ ცნობილია, რომ ამ კონფლიქტის მოუხედავად მეცნიერება მაინც აღწევდა და აღწევს სასურველ შედეგებს; ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა წინააღმდეგობას აწყდებოდა მეცნიერება რელიგიის მხრიდან, მთავარი ისაა, რომ იგი აღწევდა შედეგებს და ეს შედეგები საზოგადოების საკუთრებაში გადადიოდა. ისტორიამ კარგად იცის ისეთი შემთხვევებიც, როცა რელიგია თვითონ იყენებდა მეცნიერულ მიღწევებს. დიუი აქედან ასეთ დასკვნას აკეთებს: კონფლიქტი რელიგიასა და მეცნიერებას შორის მოჩვენებითი ვითარების შედეგია, შეცდომისეულია. ეს კონფლიქტი რომ აღექვატურად გამოთქვამდეს ადამიანური ცდის აქტუალურ ვითარებას, მაშინ რელიგიური აბსოლუტურად უნდა გამორიცხავდეს მეცნიერულს და პირიქით. ისტორია კი საამისო მაგალითებს არ იძლევა: „რელიგიური სულის“ ბატონობის ეპოქაშიც ვერ მოხერხდა მეცნიერების დათრგუნვა, ისე როგორც, დღეს, მეცნიერების ტრიუმფის ეპოქაში რელიგიური თავის მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებს<sup>15</sup>.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დიუის მიერ მითითებული „გენერალური ტენდენცია“—გათიშულ იქნას ერთიანი ცდა ორ დამოუკიდებელ სფეროდ. ისიც აღვნიშნეთ, რომ ეს სფეროები (რელიგიურისა და მეცნიერულის) პოლარიზდებიან მათ განსხვავებულობათა უკიდურესობამდე მიყვანიით. სწორედ ამაში ხედავს დიუი ტენდენციის აღმოცენების მიზეზს. თუ ამ მიზეზის არსებობა გამართლებული იყო აღრე მეცნიერების ჩამორჩენილობით (მეცნიერებამ არ იცოდა ბევრი რამ და უნებლიედ ტოვებდა ადგილს ზებუნებრივის რწმენისათვის), დღევანდელ პირობებში მისი დატოვება დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. უნდა ვა-

<sup>14</sup> A common Faith, p. 37-39.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 39.

ღიაროთ როგორც ფაქტი მეცნიერულსა და რელიგიურს შორის არსებული ჰარმონია იმ პირობით, თუ რელიგიურის ცნებას გავწმენდთ ძველი პრედიკატებისაგან. ჰარმონია გულისხმობს, ერთი მხრივ, შინაარსებში იგივეობრივის არსებობას (რალაც მეცნიერულის ახასიათებს რელიგიურს და რალაც რელიგიურის — მეცნიერულს), მეორე მხრივ, საერთო მიზნისადმი სამსახურს. საერთო მიზანი ეთიკურის სფეროშია. მეცნიერულიც და რელიგიურიც საბოლოოდ ეთიკური ეფებენ გამართლებას. საპირისპირო მიმართულებით ისინი ერთსა და იმავე მიზნისათვის იღწვიან (სიკეთე). რელიგიურის გზა დევს საზღვრითი იდეალებიდან აქტუალურობისაკენ, მეცნიერულისა კი პირიქით. შეხვედრის მომენტა ისევ აქტუალობით აღინიშნება, ვინაიდან მეცნიერული გზა მარტო აქტუალურიდან იდეალურისაკენ როდი ვრცელდება; მეცნიერულს არანაკლებ ახასიათებს ტრანსფორმაციის მოთხოვნა იდეალურისა აქტუალურად, აბსტრაგირების რომელ საფეხურზედაც არ უნდა იმყოფებოდეს ეს იდეალური. აქ იყრის ყველა სიძნელე თავს, რომელიც დაკავშირებულია რელიგიურის ინსტრუმენტალურ გაგებასთან, მისი მეცნიერულთან ურთიერთობის საკითხთან.

ყოველი რელიგიის „საყრდენ ცნებას“ წარმოადგენს „ღმერთი“, რომელიც აღნიშნავს მისტიკურ რეალობას. ჩავთვალოთ დიუის მიერ დამტკიცებულად, რომ ამგვარი რეალობა არ არსებობს. მაგრამ დიუი აღარ უარყოფს, რომ არსებობს გარკვეული შინაარსი, რომელიც ასოციაცირდება „ღმერთის“ ცნებასთან. ინსტრუმენტალისტურად „მოდრიფიცირებულ რწმენას“ სწორედ ამ შინაარსთან აქვს საქმე, ხოლო საკუთრივ კვლევა მის ბუნებას ეძებს. რაკი ამ შინაარსის წყაროდ მისტიკური სინამდვილე გამოირიცხულია, შემდეგ დიუისათვის აღარ აქვს მნიშვნელობა, თუ რა სახელით აღნიშნავენ მას, მაგრამ იგი ტრადიციას არ ღალატობს და ამ შინაარსს „ღმერთად“ იხსენიებს. ეს შინაარსი მოიცავს იდეალებს, მაგრამ არა ყოველგვარ იდეალებს; რწმენის შინაარსი გულისხმობს მხოლოდ საზღვრით იდეალებს. საკუთრივ რწმენა ნიშნავს ამ იდეალების აქტუალიზირების რწმენას.

რას წარმოადგენს ეს იდეალები?

იმ დროს, როდესაც დაშვებულია ზებუნებრივის არსებობა, ეს იდეალები გავებულია როგორც მხოლოდ იდეალები და ქმნიან კონტრასტს ჩვენს ყოველდღიურობასთან. ზებუნებრივის უარყოფის შემდეგ ისინი გავებული უნდა იქნან როგორც აღმოცენებული და განვითარებული აქტუალური ვითარების ბაზაზე და ყოველი აქტუალური ვითარებისათვის. დიუის აზრით, ღმერთის ცნება უფრო დაზუსტდება; თუ მით აღვნიშნავთ იდეალურ-აქტუალურს შორის აქტიურ მიმართებას. ღმერთი არ არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ბუნების გარეშე იქნებოდა. ღმერთი „არსებობს“ მხოლოდ საზღვრითი იდეალების ერთიანობის სახით, რომელთა ძირები ბუნებრივ პირობებშია და იწვევენ ჩვენში გარკვეულ სურვილებს და მოქმედებებს. არაა გამოირიცხული, რომ ვინმემ იდეალებს კვლავ მიაწეროს დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ, რაკი ერთხელ დადგინდება რომ მათ ძირები ბუნებისა და ცხოვრების პირობებში აქვთ, შემდეგ კრიტიკაც გაადვილდება. გადაჭრით შეიძლება დღეს იმის მტკიცება, რომ არ არსებობს სხვა „ადგილსამყოფელი“ მიზნებისა და ყოველგვარი იდეალებისათვის, თუ არა პიროვნება, მისი ხასიათი და ქცევა“<sup>16</sup>.

<sup>16</sup> A common Faith, p. 42-51.

ბუნების ძალებთან ადამიანის ურთიერთობა და თვით ადამიანთა შორის ურთიერთობა წარმოშობს და ზრდის იდეალებს. ეს იდეალები მოწოდებული არიან იმთავითვე სარეალიზაციოდ. წარმოსახვის მაპროექტირებელი უნარი ამთლიანებს მათ. სწორედ ამავე გზით ყალიბდება საზღვრითი იდეალები; საერთოდ რომ შესაძლებელი იყოს შემეცნების დასრულებად პროცესად წარმოდგენა, ისინი შეიძლება განხილული იქნან როგორც მეცნიერული შემეცნების ბოლოვადი პუნქტები. მეცნიერებას სწამს ჭეშმარიტების უწყვეტად, თანდათანობით გახსნის შესაძლებლობა, იგი ახორციელებს კიდევ ამ პროცესს, მაგრამ, ვინაიდან აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუღწეველია, მეცნიერებაც ამ შემთხვევაში არანაკლებ რელიგიურად გვევლინება<sup>17</sup>. რელიგიურიც გულისხმობს მეცნიერულ კონტექსტს, ისე როგორც მეცნიერული—რელიგიურს. იდეალურის რწმენა ეფუძნება როგორცაე აქტუალურის „რწმენას“, რომელიც შეურყეველია; უნდა ვივარაუდოთ ამიტომ რომ თვით იდეალურის რწმენაც ურყევი და მტკიცეა. იგი არ შეიძლება იყოს მოჩვენებითი. იდეალური ღებულობს კონკრეტულ ფორმას, როგორც კი ჩვენ შევიმეცნებთ ჩვენს ურთიერთობებს და ამ ურთიერთობის პროდუქტებთან—ღირებულებებთან ჩვენს მიმართებებს. იდეალური რეალიზებადია, თუმცა არა აბსოლუტურად აქტუალიზირებადია. ამითაც ემსგავსება რელიგია მეცნიერებას. საზღვრითი იდეალები აბსოლუტურად რეალიზირებადი და აქტუალიზირებადი იქნებოდნენ, თვით მეცნიერებასაც რომ შეეძლოს აბსოლუტურის მიღწევა. ჩვენ ყოველთვის გვჩნება რაღაც შეუმეცნებელი, რის გამოც იდეალურის სრული კონკრეტიზირებაც არ ხერხდება. ვინაიდან ყოველთვის რჩება ასეთი „არა რეალიზებადი“ იდეალურში, ეს იძლეოდა საბაზს ზებუნებრივის რწმენისათვის. ასეთი საბაზი ყოველთვის იარსებებს. მაგალითად, დღეისათვის ჩვენ ვერ მოგვიხერხებია ზუსტად ავხსნათ ტვინ-აზრის მიმართება, რისთვისაც სავარაუდოდ ვტოვებთ შუამავლად ზებუნებრივს. ასევე არ ვიცით ვერ კიდევ სოციალური მასალის შიგნით მიმართება მიზეზებსა და შედეგებს შორის, რის გამოც ჩვენ არასაკმაოდ ვერკვევით კონტროლში. აქედან კი ხდება დასკვნა: საზოგადოება საპირობებს ზებუნებრივ კონტროლს და სხვა<sup>18</sup>. მაგრამ ყოველივე ეს დროებითია, ე. წ. საზღვრითი იდეალები, როგორც დაბოლოებულად და სასრულადაც არ უნდა გვეჩვენებოდნენ. მაინც ცვალებადნი არიან: ცხოვრების პირობების ცვლასთან და კულტურის წინსვლასთან ერთად იდეალებიც იცვლიან სახეს, ვითარდებიანო, იტყვის დიუი<sup>19</sup>.

რწმენა, რომელიც ასეთ იდეალებს ეხება, დიუის აზრით, აღარ იქნება რწმენა ძველი ცნებით. ასეთი რწმენა დაახასიათებს საერთოდ კაცობრიობას, იქნება ადამიანური ცდის მოუცილებელი კომპონენტი და ვერ დაეტივა ვერცერთი სექტის, კლასის თუ რასის ფარგლებში. ამ რწმენას ეძახის დიუი საზოგადო რწმენას. თუ ლამონტს დავუჯერებთ, დიუის შეუქმნია ამ რწმენის საფუძველზე ჰუმანისტური რელიგიის იდეა. რელიგია არ შეიძლებოდა მანამდე ყოფილიყო ჰუმანური, რადგან იგი, ვერ ერთი, გამორიცხავდა ადამიანის აქტიურ მიმართებას ბუნებასთან. მეორეც, თვით ჰუმანურობაც კი ღვთისმსახურების ობიექტად იყო გაგებული. დიუის მიერ მითითებული ღმერთი თითქმის ექსპერიმენტულად მიწვედოდა და აქვს წინასწარდანიშნულება ემსახუროს ადამიანს. ამერიკული

<sup>17</sup> A common Faith, p. 51; აგრეთვე, Journal of Philosophy, № 1, 1961, p. 22.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 87, 76.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 50.

პუმანიზმი პირდაპირ თანხმობაშია რელიგიის შესახებ დიუის მოძღვრებაში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებთან<sup>20</sup>.

დიუის თვალსაზრისს რწმენის საკითხებზე საკმაოდ დიდი დავა გამოუწვევია მისი შრომის („A Common Faith“) გამოქვეყნებისთანავე. ეურნალ „The Christianity Century“-ს სპეციალური სიმპოზიუმი მოუწვია ამასთან დაკავშირებით. ამ სიმპოზიუმზე მრავალი საპირისპირო აზრი გამოთქმულა. ალბიონის კოლეჯის პროფესორი არდუტ მანკი ირწმუნებოდა, რომ დიუის ღმერთი უპირობო იგი ღირებულების შემქმნელ პროცესს უფრო განეკუთვნება და ნაკლებ აქტუალურია. კრიტიკულად განწყვნიენ დიუის თვალსაზრისის მიმართ თვით მისი მოწაფეებიც—ედვინ ბარტი, ჯორჯ გეიგერი, სიდნეი ჰუკი და სხვები. ამის გამო დიუის სპეციალური ახსნა-განმარტებების გამოქვეყნება დასჭირდა, თუმცა შემდეგაც მისმა „ღმერთმა“ ერთნაირი გაგება მაინც ვერ პოვა. დიუი წერდა: „მე მუშას კოსმოსისა და საერთოდ ყოველივეს ნეიტრალობა ადამიანთა მიზნებისა და ღირებულებისაგან“. ამის შემდეგ ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას „ღმერთზე“, ისაა, რომ იგი შესატყვისი ტერმინია ადამიანთა ისეთი მოქმედებებისა, რომლებიც სრულდება ბუნებისა და საზოგადოების გარკვეული ძალების ირგვლივ. იგი ტრადიციუბას ახდენს ადამიანური იდეალებისა<sup>21</sup>. ამ განმარტებით დიუიმ ვერ შეიტანა რაიმე სიცხადე თავის კონცეფციაში და დღესაც ხშირად ისმის საყვედურები მისი „ღმერთის“ მისამართით. საინტერესოა ამ მხრივ პარსონის შენიშვნები, გამოქვეყნებული „The Journal of Philosophy“-ის LVIII ტომის № 5-ში.

პარსონი საერთოდ იზიარებს ინსტრუმენტალისტურ თვალსაზრისს, მაგრამ წინააღმდეგობებს აღმოაჩენს რწმენის დიუისეულ დაფუძნებაში. იგი ჯერ თანმიმდევრულად გადმოცემს მოთხოვნისებებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს რწმენის სფერო. 1) მთლიანობის აღდგენა; როდესაც ფიზიკური ობიექტები ითარგმნებიან აზრის ენაზე, იმსხვრევა მთლიანობა. საჭირო ხდება კვლავ გათლიანება. რწმენას ამ მხრივ ავალია „ჩაატაროს საბოლოო ოპერაცია“. რწმენა უნდა გულისხმობდეს „მტკიცე, ყოვლისმომცველი მთელის“ აზრს. ამასთან რწმენაში „არსებული მთლიანობა“ უნდა წარმოადგენდეს არა „მიღწეულ მიზანს“, არამედ აღნიშნავდეს აღქმის, შეგრძნობის შესაძლებლობას. 2) რწმენა უნდა გულისხმობდეს ჩვენს ერთიანობას და შერწყმას ყოველივესთან, რაც ზელს უწყობს და სანქცირებას უკეთებს ჩვენს ყოველ ღონისძიებას და მიღწევას; ამ შემთხვევაში პირველად ბუნებაა გასათვალისწინებელი. მართალია, ადამიანი გამოეყო ბუნებას, მაგრამ თავის ერთიანობას ბუნებასთან ისევ ბუნებით შეიცნობს, ვინაიდან ბუნებაა წარმოდგენილი ადამიანში გაყოფილად და მთლიანადაც და არა პირიქით. ამის შემდეგ პარსონი მიუთითებს ზოგიერთ არათანმიმდევრობაზე დიუისთან. პირველი საყვედური შეეხო დიუის „მთლიანს“ (Whole). „გამთლიანების“ თვისება იდეალებს ახასიათებს ერთის მხრივ, მაგრამ ვინაიდან თვითონ იდეალები არასოდეს არ წარმოადგენენ ანტეცენდენტურ რეალობებს, ამიტომ ისინი, როგორც შედეგები, თავის საფუძველს რეალურში უნდა გულისხმობდნენ. დიუი პირდაპირ ამბობს, რომ „Whole“ ბუნე-

<sup>20</sup> The Journal of Philosophy, № 1, 1961, p. 28.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 23-25.



ბის მოვლენათა დახასიათებაა, სხვაგან კი იგივე „Whole“ ორგანიზმ-გარემოს ინტერაქციის შედეგია.

არაა თანმიმდევრული დიუი მაშინაც, პარსონის აზრით, როცა იგი რწმენის ობიექტად მიუთითებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა ისეთ სტრუქტურას, რომელიც ადამიანმა მხოლოდ მკრთალად იცის, სუსტად აკონტროლებს; თვით დიუის აზრითაც რწმენა მხოლოდ მაპროექტირებელი წარმოსახვის იდეალური შედეგია და მისი შინაარსი შესაძლებელს უფრო უკავშირდება, ვიდრე აქტუალურს, ეყრდნობა იმას, რაც არ არის, ვიდრე იმას, რაც არის.

პარსონი ასეთ საყვედურსაც გამოთქვამს დიუის მისამართით: რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორია გვარწმუნებს, რომ ღმერთს მიეწერებოდა ან აქტუალურად, ან იდეალურად ყოფნის პრედიკატები. დიუი თავისებურ დიალექტიკურ პასუხს იძლევა თითქოს—ღმერთი იდეალურ-აქტუალურის აქტიური მიმართებააო. მაგრამ როგორ შეიძლება ღირებულების აქტუალიზაციაზე ლაპარაკი, თუ არ არსებობს რაიმე ანტეცედენტური საფუძველი რაიმეს შესაქმნელად? შექმნა—პროცესი გულისხმობს აუცილებლად რაიმე ახალი თვისობრიობის შექმნას, მაგრამ მისი „აღმატება“ აქტუალურ არსებულზე უნდა იგულისხმებოდეს თვით აქტუალურში. თუ ეს ასეა, მაშინ „ღმერთი“ ანტეცედენტურ გარემოში მოექცევა და დიუის ნატურალიზმიც „ზეწვზე დაკიდება“, თუ არა და, მაშინ ღირებულების აქტუალიზაცია სხვა მხრივ გაუგებარ პროცესად გვევლინება. შეიძლება „ღმერთი“ აქტუალურია და მაშინ მისი საკითხი მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. რელიგიური აზრისათვის პირველი იქნება საკითხი: როგორაა ბუნება პროცესისა, რომელიც აქცევს ღმერთს აქტუალობად. დიუის კი ამ კითხვაზე კვლავ ორაზროვანი პასუხი აქვს გამზადებული: „ღმერთი“ არაა იდენტური ადამიანთან; „ღმერთი“ სკირდება ადამიანს; იგი ჩართულია წარმოშობისა და შენახვის პროცესში როგორც ექსპერიმენტალურად, ისე იდეალურად<sup>22</sup>.

ამ შენიშვნებს ინსტრუმენტალიზმი უსათუოდ იმსახურებს. რწმენის შესახებ თავისი კონცეპცია დიუიმ ვერ გამართა ლოგიკურად შეიძლება იმიტომაც, რომ იგი აქაც ერთგული დარჩა მის მიერვე შემუშავებული ინსტრუმენტალისტური მეთოდის. ინსტრუმენტალიზმი ხომ საერთოდ იდეალურს განიხილავს როგორც წინასწარდაშვებას რაიმე პრობლემატური სიტუაციის ნათელსაყოფად როცა ჯერი იდეალურის საკუთრივ დახასიათებაზე მიდგება, იგი განსაზღვრულია როგორც არააქტუალური, არაგრძობად-რეალური, არაექსტენსიური; იგი უკეთეს შემთხვევაში ასე ყოფნის შესაძლებლობაა. მაგრამ დიუიმ თავის ლოგიკაშიც უპასუხოდ დატოვა კითხვა—რატომ აქვს „მტკიცების გარანტია“ წინასწარდაშვებას? თუ იდეალური ადექვატური შემცველი არ არის რაიმე ანტეცედენტური ვითარებისა, მაშინ როგორღაა შესაძლებელი „შესაძლებლობათა“ რეალიზება აქტუალობად? დიუისთან არაა საკმაოდ საფუძველდებული საერთოდ იდეალურზე გადასვლა და, რატომუნდა რელიგიურის ინსტრუმენტალისტური დაფუძნებაც იმავე ხარვეზებს შეიცავს.

ამჯერად ჩვენ დავუბრუნდებით კვლავ კითხვას: შესძლო კი დიუიმ მოცუა ჯემისიდან განსხვავებული თვალსაზრისი რწმენაზე? თუ არ მოუცია, მაშინ უნდა აღინიშნოს ძირითადი საერთო შომენტები მათ შეხედულებებში და დაზუსტდეს შეფასების საგანი.

<sup>22</sup> The Journal of philosophy, vol. LVIII, № 5, 1961, p. 116-119.

ჯემსის რწმენის თეორია ზოგადად ასე გადმოიცემა: გვაქვს არსებობის ვანცდა, გრძნობა, რომელიც ადასტურებს ზებუნებრივის არსებობას (ჩვეულებრივ ცდამი არსებობა არ განიცდება). ეს სამყარო ღირებულება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს შესაძლებლობა ჩვენი მასთან კავშირისა. გავვახანია სპეციალური უნარი, რომელიც ბედებს მისტიკურ ცდას, ეს უკანასკნელი კი ზებუნებრივთან ჩვენი კავშირის პირობაა. ეს ე. წ. „სპეციალური უნარები“ სუბლიმინალური პროცესების სახით გვევლინებიან და ნამდვილი მედიუმის როლს თამაშობენ ჩვენსა და ზებუნებრივს შორის. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიუისთან საერთოდ იდეალურზე გადასვლა დაუფუძნებელია, მაშინ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ამ პუნქტის შემდეგ ჯემსის და დიუის შეხედულებანი ერთმეორეს აღარ ეწინააღმდეგებიან. ჯემსიც იტყვის, რომ ჩვენს ცნობიერ სამყაროს შუა სახით ხვდება რაღაც შესაძლო წესრიგი. ქმნის შესაბამისი იდეალებს და ზრუნავს მათი რეალიზაციისათვის<sup>22</sup>. ღმერთი არსებობს მხოლოდ როგორც იდეალურის რეალიზაციის შესაძლებლობა—ასეთია საერთოდ ასკენა ჯემს-დიუის შეხედულებებიდან.

საერთოა ჯემს-დიუისათვის ისიც, რომ ორივე რელიგიურ მომენტს მიიჩნევს ადამიანური ცდის მოუცილებელ და აუცილებელ კომპონენტად. მართალია, პირველი მას „თავისებურ ცდად“ იხსენიებს, ხოლო მეორე „ჩვეულებრივი ცდის“ ნაწილად, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ მომენტისათვის გარანტირებულია სამუდამო არსებობა ადამიანურ მოღვაწეობაში. რელიგიები მუდამ განიცდიდნენ ცვლილებასა და განახლებას, მაგრამ ისინი საზოგადოების მუდმივი თანამგზავრები არიან.

სრულ თანხობაშია ჯემსისა და დიუის მტკიცებები, როცა ისინი რწმენას „ფილოსოფიურ ასპექტში“ განიხილავენ. ერთიც და მეორეც თვლის, რომ რწმენის ფაქტი (ისე, როგორც, ვთქვათ, მეცნიერული, ეთიკური და სხვა) არ შეიძლება ლოკალიზებულ იქნას რომელიმე სექტაში, კლასში ან რასაში. იგი საზოგადოებრივი რწმენის ფაქტია ყოველთვის და „ადვილი აქვს“ ყოველ ადამიანურ მოღვაწეობასთან ერთად.

თუ შეიძლება ვილაპარაკოთ არსებით განსხვავებაზე ჯემსსა და დიუის შორის რელიგიის საკითხში, ეს შესაძლებელია მხოლოდ ზებუნებრივის განმარტებასთან დაკავშირებით. პირველი პრედიკატი, რომლითაც ჯემსი ზებუნებრივს მოიხსენიებს, უხილველობაა. გარკვეული აზრით, ჯემსთან სამართლიანია მტკიცება: რაც უხილავია, ზებუნებრივია (ანუ: რაც არაგრძნობადია...). მეორე პრედიკატად შემოდის არსებობა და ზებუნებრივი ამომწურავად დახასიათდება: არსებული უხილავი. „უხილავის“ პრედიკატი ჯემსი იდეალურსაც ახასიათებს და უკვე ეს წარმოშობს მასთან ერთ გავგებრობასაც—არის თუ არა იდეალური ზებუნებრივი. ხშირად ჯემსი მათ აიგივებს (განსაკუთრებით ის იდეალური, რომელიც მისტიკური ცდის მონაცემებზე აღმოცენდება); უკეთ, რწმენის ქეშმარიტებაზე როცა უნდა ილაპარაკოს, ჯემსი ხშირად იდეალურს არსებულის მნიშვნელობით ხმარობს.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ დიუისთან? დიუი იწყებს ზებუნებრივის უარყოფით; არ არებობს რაიმე, რაც არ იქნება ბუნებრივი. ბუნებრივი კი, დიუისთანაც, გრძნობადი, აქტუალური, ხილული სინამდვილეა. მაგრამ დიუი აღი-

<sup>22</sup> Многообразие религиозного опыта, гл. 509.

რებს იდეალურის სფეროს „არსებობას“, რომლის არსებითი საკუთარი დახასიათება, როგორც ვიცით, ასეთია: არაგრძობადი, არადროულ-ვრცეული, არაექსტენსიური (ანუ: არახილვადი). განსხვავება ბუნებრივსა და იდეალურს შორის აღნიშნულია, ხოლო შემდეგ იწყება მათ ერთიანობაზე მსჯელობა: იდეალური გამართლებულია როგორც შესაძლო აქტუალური და არ შეიძლება დაშვებული იქნას მის საფუძვლად რაიმე სხვა სახის არსებობა, გარდა ბუნებრივისა. ე. ი. დიუიცი იდეალურს არსებობის მნიშვნელობით ხმარობა (თუმცა არაზებუნებრივი არსებობის).

ზოგადად ასეთ სურათს იძლევა ჯემს-დიუსის თვალსაზრისთა შეპირისპირება რწმენის რაობის საკითხში. საერთო შეფასება ამ თვალსაზრისებისა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პოზიციებიდან ცნობილია. პრაგმატიზმი, ისე როგორც მისი ახალი სახესხვაობა ინსტრუმენტალიზმი, ავიწროებს მეცნიერების სფეროს რწმენის სფეროს გაზრდის ხარჯზე, შლის ფაქტიურად საზღვარს ჭეშმარიტებასა და რწმენას შორის, სრულფასოვანი არსებობის უფლებას უტოვებს რელიგიას მეცნიერების გვერდით. ამ გზას კი ფიდეიზმისაკენ მივყავართ, რაც რეაქციულია და ეწინააღმდეგება მეცნიერული წინსვლის ინტერესებს<sup>24</sup>.

შეგჩერდებით ზოგიერთ შინაგან წინააღმდეგობაზე, რომელიც თან ახლავს რელიგიურის პრაგმატისტულ-ინსტრუმენტალისტურ გაგებას.

1. რწმენის ფაქტის არსებობა უდავოა, საჭიროა მხოლოდ მისი აღწერა-ახსნა. ასე აყენებს საკითხს ჯემსი. როდესაც რწმენის შინააქტს „გაარკვევს“, აღმოჩნდება, რომ მას (რწმენას) საქმე ჰქონია ისეთ სინამდვილესთან, რომელიც მეცნიერულის ენაზე არ გამოითქმის. ამიტომ სჭირდება ჯემსს შემოიტანოს „მისტიკური ცდის“ აუცილებლობა. ამ ცდამ უნდა დაგვაკავშიროს მითითებულ სინამდვილესთან. შევლის კი საქმეს ეს ცდა?

საქმე იმაშია, რომ მისტიკური ცდა ისეთი ბუნების ყოფილა, რომ რასაც ის განგვაცდევინებს, მისი ადამიანური ენით აღწერა თურმე შეუძლებელია. ის, რაც „გასაგებია“ მისტიკური ცდით, გაუგებარია ცნობიერებისათვის. ამიტომ ცნობიერსა და მისტიკურს შორის ხიდი ფაქტიურად ჩატეხილია. არაფრით არაა გამართლებული ჯემსთან მისტიკურიდან ცნობიერზე გადასვლა. თუ მისტიკური ცდისათვის ზებუნებრივი ცხადად ჭეშმარიტია, ცნობიერებისათვის ის მხოლოდ სავარაუდოა და კვლავ რწმენის საგნად რჩება. რწმენის ნამდვილი აზრიც ამაშია.

ასე გაიგო რწმენა კანტმა, რის გამოც მას ჯემსმა უსაყვედურა. როგორც ვხედავთ, დადებითა კვლევის შედეგი კვლავ ცნობილ ვითარებას აღადგენს: როდესაც ცნობიერი ეხება ზებუნებრივის სამყაროს, მას არ შეუძლია რაიმე ჭეშმარიტი გვიტხრას მის შესახებ; მან მხოლოდ უნდა იწამოს იგი და მოეპყრას ისე, თითქოს მის შესახებაც შეიძლება გვექონდეს ჭეშმარიტი ცოდნა, თუკი მასაც ფენომენალური სინამდვილის პრედიკატებით გავიაზრებდით. ჯემსმა აღიარა „ორი ცდის“ აუცილებლობა, ხოლო შემდეგ ერთი ცდის საფუძველზე (მეცნიერულის) სცადა გაეაზრებინა მეორე ცდის შედეგთა საფუძვლიანობა და აუცილებლობა. ამასთან, თუ ეს მოხერხდებოდა, მაშინ ჯემსი უფრო მნიშვნელოვან დასკვნას გააკეთებდა: ჩვენი ყოველდღიური ცდა ემყარება მისტიკურ ცდას და მართლდება მისითვე, ხოლო მეცნიერული ჭეშმარიტებანი სიცხადისა და ზოგადობის ნიმუშად მისტიკური ცდის შედეგს უნდა ლებულობდნენ. ეს კი, როგორც ვთქვით, აშკარა ორმხრივი წინააღმდეგობის შემცველია: ჯერ ჩვეულებ-

<sup>24</sup> ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 436.



რივი (მეცნიერული) ცდის საშუალებებით უნდა გამართლდეს მისტიკურის არსებობის უფლებიანობა (ამ ოპერაციას ლოგიკური სანქციის გარეშე ატარებს ჯემსი), ხოლო შემდეგ თვით მისტიკურმა უნდა მისცეს აზრი მეცნიერულის (და საერთოდ „ამცდისეულის“) არსებობას. ასეთმა ვითარებამ არაერთხელ აიძულა ჯემსი ემტკიცებინა: ვიდრე ვმსჯელობთ და ვმეტყველებთ, ვისმენთ და, საერთოდ, შევიგრძნობთ, ჩვეულებრივი ცდის, ცნობიერის ტყვეობაში ვიმყოფებით. მხოლოდ ამთავან განთავისუფლებათა პირობა ჭეშმარიტი სინამდვილის წვდომისა. ასეთი დასკვნა კი ვაცილებით უფრო ლოგიკურად მოჩანს იმ ფონზე, როცა წინასწარ აღიარებულია „ორი ცდის“ აუცილებლობა და ნამდვილად ღირებულის პირველ ცდაში მოქცევა.

2. არალოგიკურია ერთი გადასვლა ჯემსთან: უამრავი მაგალითების საფუძველზე იგი ადასტურებს მისტიკური ცდის შინაარსის არსებობას და მეცნიერული ინტერესის საგნად მიიჩნევს. ასევე ვერ აუვლის გვერდს მეცნიერება „სიზმრის სინამდვილეს“ და ვთქვათ, „ჰალუცინაციურ სინამდვილეს“. უდავოა, რომ მეცნიერებას არანაკლებ უნდა აინტერესებდეს ეს სინამდვილეები, ვიდრე „ნამდვილი სინამდვილე“. ისინიც ხომ ახსნას საჭიროებენ, და ამდენად მეცნიერებისათვის ყველა ეს სინამდვილე, შეიძლება ითქვას, ერთნაირად მნიშვნელოვანია. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ეს „სინამდვილეები“ ერთ ონტოლოგიურ სიბრტყეში მოვაქციოთ. ასეთი გადასვლები კი ჯემსთან ხშირად გვხვდება.

3. ღმერთი არსებობს როგორც იდეალურის რეალიზაციის შესაძლებლობა, ამტკიცებს ჯემს-დიუის თვალსაზრისი. ჯემსისათვის იდეალურის წყაროა სუბლუმინალური პროცესების გზით შემოჭრილი „სინამდვილე“, დიუისათვის კი— პრობლემატური სიტუაცია. არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული პრობლემატური სიტუაცია მოითხოვს საზღვრით იდეალებს, როგორც წინასწარდაშვებებს.

ამ თეორიაში „შესაძლებლობის“ კატეგორია მთავარი მომენტის აღმნიშვნელია და იგი თანმიმდევრულადაც მოიხმარება. ღმერთი შესაძლებლობაა— ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არასოდეს არ მოიაზრება როგორც აბსოლუტურად რეალიზებადი. ღმერთი ყოველთვის რჩება რეალიზაციის შესაძლებლობად, თუმცა იგი ამასთანავე ყოველთვის რეალიზდება და „მოიხმარება“.

ეს მტკიცება კი უსათუოდ წინააღმდეგობრივია და ნათელსაყოფი.

ჯემსთან ღმერთზე, როგორც შესაძლებელზე, გადასვლა ვაპირობებული უნდა იყოს იმით, რომ მისი რწმენის თეორიის პოსტულატებმა ვერ ითამაშეს ის როლი, რისთვისაც მოწოდებულნი იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთზე, როგორც შესაძლებელზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. მართლაც, თუ მისტიკური ცდა არსებობს, მაშინ არსებობს აქტუალურად მისი შინაარსიც, რომელიც ღმერთია, ზებუნებრივია. „ღმერთი“ ასეთ შემთხვევაში ორგანიულად მონაწილეობს ჩვენს არსებაში. რალა საჭიროა ამის შემდეგ მისი „იდეალურ შესაძლებლობად“ დასახვა? ან უნდა დაუშვას ჯემსმა, რომ „მისტიკური ცდა“ არაა საყოველთაო და ამიტომ ის, რაც აქტუალურია მხოლოდ ზოგისათვის, ვასაგები უნდა გახადოს და შესაძლებლად დასახოს ცნობიერებამ სხვისთვის, და მაშინ წინააღმდეგობა სხვაგან იჩენს თავს: „მისტიკურს“ უნდა მოეცა „ზოგადსაყოველთაოს“ ნიმუში, ნამდვილად კი თვითონ ყოფილა მოკლებული ზოგადსაყოველთაობას. მისი შინაარსი შემთხვევითის პრედიკატი დახასიათდება; ან უნდა აღიაროს ის, რომ მართალია „მისტიკური



ცდა“ საყოველთაოა, მაგრამ „აუცილებელია“ მისი შინაარსის გაცნობიერება, რომელიც დასახავს მას შესაძლებლად. ასეთ შემთხვევაში კი აუცილებლობისათვის მოტივია საჭირო, რომელსაც ჯემსი ვეღარ ნახავს, ვინაიდან წინასწარ დაახასიათა მისტიკური, როგორც ყოველისშემძლე.

დიუისთანაც ღმერთის შესაძლებლობა ნიშნავს იდეალთა რეალიზაციის შესაძლებლობას. იდეალების სამყარო სხვაა, რეალურ-აქტუალურის — სხვ. პროცესი იდეალურის აქტუალიზაციისა დაუსრულებელია. ამ შემთხვევაში ვერ გავმეცხვით იმის მტკიცებას, რომ იდეალური აბსოლუტურია, ხოლო რეალურ-აქტუალური ნაწილობრივი; აბსოლუტური არასოდეს არ იქცევა რეალურ-აქტუალურად, ხოლო რეალურ-აქტუალური აბსოლუტურად. რაღას უნდა ნიშნავდეს მაშინ „ღმერთის რეალიზაცია“? ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ასეთ ვითარებაში იძულებული ვიქნებით ყოველივე რეალურიც „რეალიზებულად“ მიგვეჩინა, რითაც დიუის ე. წ. ნატურალიზმს სხვა ელფერი მიეცემოდა.

4. არაა და არც შეიძლება იყოს დამაჯერებელი ჯემს-დიუის საბუთები რელიგიური რწმენის მარადიულობის საჩვენებლად. ჯემსი, გარდა იმისა რომ აღნიშნავს ისტორიულ ფაქტს (არსებობდა და არსებობს რელიგიური რწმენა), მიუთითებს უკვდავების სურვილზე, რომელიც მუდმივად თანმზღვრია ყოველი ადამიანისათვის და საბოლოო ჯამში რწმენის მიზანს წარმოადგენს. ვინაიდან რწმენა უკვდავების მოთხოვნას უკავშირდება, ამით გარანტირებულია მისთვის მარადიულობა.

რელიგიური, მართლაც, აუცილებელი რომ იყოს მეცნიერულისა და ეთიკურისათვის, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ როგორც „უკვდავების სურვილი“, ისე უკვდავების შეუძლებლობის ფაქტი, ასევე უმაღლესი სიკეთის რეალური შესაძლებლობა, თანაბარი სიცხადით ახსნილია მეცნიერების მიერ ყოველგვარი ზებუნებრივისა და ირრეალურის მოშველიების გარეშე. ასეთ შემთხვევაში რელიგიურისაგან განთავისუფლებაზე უფრო შესაძლებელია ლაპარაკი, ვიდრე მის აუცილებლობაზე.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ პრაგმატიკებმა თავისი მეთოდით სცადეს თანაბარი უფლებით ჩაერთოთ რელიგიური მეცნიერულ ქეშმარიტებათა სისტემაში, მაგრამ ამით ახალი წინააღმდეგობა შეუქმნეს მეთოდს. რელიგიური თავისი ბუნებით აბსოლუტურია და ვერ ითმენს იყოს ერთი „რიგითი“ ქეშმარიტების გამოხატველი. თანაბარუფლებიანობა ასეთ პირობებში მოჩვენებითი აღმოჩნდა და, როგორც ვნახეთ, რელიგიურმა შეიწირა მეცნიერული.



# პერმან კოპენის შეხედობის თეორიის კრიტიკა

## ბ. თაყაიძე

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა)

პერმან კოპენი (1844—1918) ნეოკანტიანური ფილოსოფიის ყველაზე მონუმენტური ფიგურაა. ნეოკანტიანური ფილოსოფია, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოცენდა და სპეციფიური ლოგიკური შინაარსი ლანგეს მიერ თავისთავადი ნივთის „საზღვრით ცნებად“ გააზრებით მიიღო, მისნად ისახავდა ახლებურად გაგებული კანტის ფილოსოფიის საფუძველზე გადაეჭრა იდეალიზმის სასიცოცხლო პრობლემები.

თავისთავადი ნივთის არარსებულ, მაგრამ მნიშვნელად, საზღვრით ცნებად გააზრება, მართალია, სხვა იდეალისტური სკოლებისაგან გამოყოფდა ნეოკანტიანელებს, მაგრამ მათ საკუთარ შეხედულებებს შორის საჭირო თანხმობას ვერ უზრუნველყოფდა. „კანტის ცდის თეორია“ (1871 წ.), რომელიც კოპენმა ლანგეს წარუდგინა მარბურგში და მისი მოწონება დაიმსახურა, პრეტენზიას აცხადებდა კანტის ახლებურ გაგებაზე, რომელიც კანტის ფილოსოფიას ათავისუფლებდა შინაგანი წინააღმდეგობებისაგან, ბოლოს მოუღებდა აზრთა დაპირისპირებას ნეოკანტიანელებს შორის და საფუძველს ჩაუყრიდა ფილოსოფიური აზროვნების შემდგომ განვითარებას.

აღნიშნულ ნაშრომში კოპენი შეეცადა მკაცრად გაეტარებინა ტრანსცენდენტალური თვალსაზრისი. კანტის ფილოსოფიაში დაეტოვებინა მხოლოდ ის, რაც დასაბუთებული იქნებოდა, როგორც ცდის მოაზრების აპრიორული პირობა. არსებობის სანქცია ყველაფერს ტრანსცენდენტალური მეთოდიდან უნდა მიეღო. ეს მეთოდი მოითხოვდა, რომ მეცნიერების ფაქტის დასაბუთებისათვის საკმაო და უცილობლად მიჩნეულ პირობებში არ ქონოდა ადგილი შემეცნებისათვის რაიმე უშუალოდ მოცემულს. ამავ დროს ფილოსოფიის, შემეცნების თეორიის ერთადერთ ამოცანად მეცნიერების ფაქტის ახსნა და დასაბუთება ცხადდებოდა. ეს მოსაზრება მსუვალავს კანტის ფილოსოფიის კოპენისეულ ინტერპრეტაციას ყველა მის ეტაპზე. იგია პრინციპული საფუძველი თვით კოპენის საკუთარი სისტემისაც.

„კანტის ცდის თეორიის“ პირველსავე გამოცემაში (ბერლინი, 1871) ნათლად იყო გამოკვეთილი ამოცანა, რომლის გადაწყვეტისადმი მიძღვნილი კოპენის ფილოსოფია. ეს იყო შემეცნების საგნის შემეცნებაში აგების ამოცანა. ამისათვის კოპენი საჭიროდ თვლიდა კანტის ფილოსოფიაში აბსოლუტური რეალობების მნიშვნელობებზე რედუქციას, სუბსტანციების იდეებზე ანუ, გაფართოებულ კატეგორიებზე დაყვანას, მოვლენათა აპრიორული ფორმები-

დან აგებას<sup>1</sup>. მაგრამ ამ ნაშრომში კოპენი საჭიროდ თვლიდა ჭკრეტისა და აზროვნების დუალიზმის შენარჩუნებას.

კანტის ფილოსოფიის კოპენისეული ინტერპრეტაციის განვითარებას ეტაპებს წარმოადგენს მისი წერილები 1876 წლიდან 1880 წლამდე და განსაკუთრებით მისი ნაშრომი „უსასრულო მცირეთა მეთოდის პრინციპი და მისი ისტორია“ (ბერლინი, 1883). მათ განაპირობებს მნიშვნელოვანი განსხვავება „კანტის ცდის თეორიის“ პირველსა (1871) და მეორე (1885) გამოცემას შორის.

### 1. ჰ. კოპენის წმინდა შემეცნების ლოგიკა.

კოპენი კანტის ფილოსოფიას თავისი ინტერპრეტაციის განვითარების მიხედვით ასწორებდა. ასევე ასწორებდა იგი ფილოსოფიის ისტორიასაც, რომელიც ჯერ კანტის, ხოლო შემდეგ მისი საკუთარი სისტემის შესავალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ იყო პუნქტი, რომლის შეცვლის შემდეგ შეუძლებელი იყო კანტის ფილოსოფიის ფარგლებში დარჩენა. ეს იყო ჭკრეტისა და აზროვნების დუალიზმი. დუალიზმის მოხსნა ახალ სისტემას მოითხოვდა. კანტის კოპენისეული ინტერპრეტაციის განვითარების პროცესში წმინდა ჭკრეტის, როგორც შემეცნების დამოუკიდებელი წყაროს, როლი თანდათან იკვეცებოდა. კოპენის სისტემა იქიდან იწყება, სადაც ეს პროცესი ბოლომდე მივიდა, წმინდა აზროვნება შემეცნების ერთადერთ კომპონენტად გამოცხადდა და ტრანსცენდენტალური ლოგიკა ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიას გაუიგივდა.

წმინდა შემეცნების ლოგიკა არსებობის უფლებას აძლევს მხოლოდ იმას, რასაც წმინდა აზროვნება ქმნის თავის წინსვლის პროცესში. აზროვნება თავის თავზე იღებს ცდის საგნის შექმნას, წმინდა ჭკრეტის რაიმე მოცემულობის მონაწილეობის გარეშე. ჭკრეტის კატეგორიები, დრო და სივრცე, კარგავენ დამოუკიდებლობას, რომელიც მათ კანტთან ჰქონდათ და ლოგიკის განვითარების საფუძვრებად იქცევიან, სხვა კატეგორიათა მსგავსად. ყოველი კატეგორია წარმოადგენს მეთოდს, თვალსაზრისს, რომელიც შემეცნების საგნის რაღაც მხარეს აწარმოებს და ამავე დროს აუცილებლობით მიგვითითებს საგნის სხვა მხარეზე, მეორე კატეგორიაზე. კატეგორიები არიან პირობები საგნის ასაგებად; საგნისა, რომელიც მეცნიერულ ცდაში, ემპირიაში არსებობს და რომელსაც სინამდვილის მსჯელობაში არსებობა მიეწერება.

ამრიგად, შემეცნებაში წმინდა ჭკრეტისა და წმინდა აზროვნების დუალიზმი კანტისეულია, წმინდა აზროვნების მონიზმი, (მეთოდური მონიზმი, პანმეთოდისმი) კი — კოპენისეული. კოპენი ფიქრობდა, რომ ჭკრეტის და აზროვნების დუალიზმის გადალახვის შესაძლებლობა კანტშივე იყო მოცემული, კანტთან მათ აერთიანებდა სიწმინდე, და, ვარდა ამისა, კანტი მათ შესაძლებელ საერთო ძირზე ლაპარაკობდა. კოპენის აზრით, ჭკრეტის ფორმების სწმინდის დაფუძნება, შემეცნების საგანთან მისი დაკავშირება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ისინი ტრანსცენდენტალური მეთოდის პროდუქტად დასაბუთდებიან. მხოლოდ ასე დასაბუთდება კანტის მიერ მოხდენილი კოპერნიკისებური გადატრიალების აზრი, ე. ი. საგანი შემეცნებაში აიგება, საგნის შემეცნება და საგნის შექმნა ერთი და იგივე ვახდება, რაც საბოლოო გამა-

<sup>1</sup> Cohen H., Kants Theorie der Erfahrung, S. 257. I. Auflage, Berlin, 1871.

რჩევებს მოუტანს იდეალიზმს, არ იქნება საჭირო არც მატერია, არც პრაქტიკის კრიტერიუმი; იარსებებს მხოლოდ წმინდა აზროვნება და მისი შედეგები.

აქედანვე ჩანს, რომ კოჰენი კანტის ჰეგელისეულ განვითარებაზე იღებს ორიენტაციას, მაგრამ აქვე უნდა დავადგინოთ განმასხვავებელი ნიშნებიც. ჰეგელს მთელი სინამდვილე გამოყავდა აზრიდან და ამდენად აზრი აბსოლუტური იყო. კოჰენისათვის კი აზროვნებისაგან დამოუკიდებელი რეალობა არსებობს, მაგრამ შემეცნების თეორია მას არ ეხება. ერთადერთი სინამდვილე, რომელსაც შემეცნების თეორია აღიარებს, ესაა კაცობრიობის კულტურა და, უპირველეს ყოვლისა, ზუსტი მეცნიერებანი. პაულ ნატორპი აღიარებდა ჰეგელის გავლენას მარბურგის სკოლაზე, მაგრამ განმასხვავებელ პუნქტს ყოველთვის წინ წამოსწევდა ხოლმე. ჩვენ ვეთანხმებოდით ჰეგელს ყოველ არსებითში, წერდა იგი, მაგრამ განსხვავება ჩვენს შორის ისეთივეა, როგორც კოპერნიკსა და ტიხო დე ბრაგეს შორის. ეს უკანასკნელიც ყველაფერში ეთანხმებოდა კოპერნიკს, ერთის გარდა, და ეს ერთი იყო დედამიწის ბრუნვის საკითხი. ჩვენც ასევე ყველაფერში ვეთანხმებით ჰეგელს, აბსოლუტიზმის გარდა, რადგან აბსოლუტიზმი აზრის უძრობას ნიშნავს<sup>2</sup>.

მეცნიერება, და კულტურა საერთოდ, როგორც ფაქტი, რასაც ვერცელაა, მოცემული ხელდება ლოგიკას, მაგრამ შემეცნებამდე მოცემული ლოგიკურად იგი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ლოგიკა ამ ფაქტს უკრიტიკოდ მიიღებს და მასზე ააგებს თავის შენობას. მაგრამ თუ ლოგიკა ამ ფაქტს საკუთარი პრინციპებიდან გამოსული ხელახლა ააგებს, თუ მისი არსებობის აუცილებელ პირობებს თავის თავში აღმოაჩენს, ცხადია, რომ ეს ფაქტი წმინდა აზროვნების შედეგი ყოფილა, რადგან დამოუკიდებელი და წინასწარმოცემულიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი შემეცნების დასაწყისში.

შემეცნების თეორიის მიზანია ხელახლა ააგოს მეცნიერებაში მოცემული სინამდვილე, ისე რომ არ შეეხოს გრძობად ბუნებას. ამ პროცესში ლოგიკა პირველად იძლევა საერთოდ საგნის, ცდის ცნებას, კერძო მეცნიერებათა კონკრეტულ საგნებისაგან განსხვავებით. ესაა ფილოსოფიის საკუთარი საქმე. ფილოსოფია ვერ ნახავს თავის საგანს მეცნიერებათა სინამდვილის გარეთ, რადგან მეცნიერებისა და კულტურის გარეშე არ არსებობს არავითარი ადგილი, რომლის მითვისებაც შეიძლებოდეს<sup>3</sup>. შემეცნების თეორიამ ხელახლა თავის თავიდან უნდა ააგოს მეცნიერული სინამდვილე ისე, რომ აზროვნება აბსოლუტურად არ იქცეს, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერული ცდის ფარგლებით შემოზღუდვდა უნდა იყოს გარანტია უსაფუძვლო რელატივიზმისა და სუბიექტიზმის წინააღმდეგ.

ეს ამოცანა კოჰენის პირველსაწყისის (Ursprung) ლოგიკამ უნდა შეასრულოს. შემეცნების მთელი შინაარსი წმინდა აზროვნებიდან უნდა იქნეს გამოყვანილი, როგორც მისი ერთადერთი წყაროდან — ესაა კოჰენის ცნობილი პირველსაწყისის პრინციპის შინაარსი. იგი კვლევის პრინციპია, რომელსაც რაიმე საკუთარი, სხვების დამაქვემდებარებელი კონკრეტული შინაარსი არა აქვს. ესაა იმის მოთხოვნა, რომ შემეცნების ობიექტის ყველა ელემენტი წმინდა აზრიდან იყოს ნაწარმოები. როგორ მოხდება ეს, რა კონკრეტული სა-

<sup>2</sup> Natorp P., Kant und die Marburger schule, S. 21, Berlin, 1912.

<sup>3</sup> Natorp, P., Philosophie ihr Problem und ihre Probleme, S. 12, 15, Stuttgart, 1911.



ხეს მიიღებს, რა შინაარსი ჩაიდება პირველსაწყისის ცნებაში მეცნიერების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე — ეს ფილოსოფიის კომპეტენციის გარეთ ვადის და მისი კონსტრუქციისათვის ვადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ამდენად, პირველსაწყისი შემეცნების მიმართულების გამომხატველი მეთოდური ტერმინია. იგი აზროვნების ავტონომიურობაზე მიუთითებს და ამავე დროს მთელი ცნობიერების ერთიანობის საფუძველია<sup>4</sup>. ცნობიერების ერთიანობის საფუძველია, რადგან ცნობიერება არ უდრის წმინდა აზროვნებას, არც მეცნიერულ ცნობიერებას. ზნეობაც და ხელოვნებაც ცნობიერების კანონიერი სფეროებია. ლოგიკა შესაძლებელს ხდის მთელი ცნობიერების ერთიანობას<sup>5</sup>, მაგრამ არ ახორციელებს მას, ე. ი. მის კომპეტენციაში არ შედის საერთოდ ცნობიერების ცნების (ადამიანის ცნების) მოცემა. ამ ამოცანას კოპენი ავალებს ფსიქოლოგიას, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებას. ამ, მომავლის ფსიქოლოგიამ უნდა შეიმუშაოს საერთოდ კულტურის სუბიექტის ცნება.

უსასრულოდან სასრულის წარმოშობის პრინციპში, რომელიც ანაქსიმანდრემ წამოაყენა და კუზანელმა მეთემამტიკურად დააფუძნა, კოპენი აზროვნების სუვერენობის საუკეთესო გამოხატულებას ხედავს. უსასრულობა ვერ იქნება გრძნობადი, მისი დაშვება და გამართლება მხოლოდ აზროვნებას შეუძლია. ამდენად, აქ მართლდება აზროვნება, როგორც პირველსაწყისი, როგორც შემოქმედება თავის თავიდან.

აზროვნება შემეცნების აზროვნებაა. მან თავისი შემოქმედების პროცესში უნდა აწარმოოს შინაარსიც და ფორმაც. აზროვნება მსჯელობაში არსებობს, ამდენად მსჯელობაში შეიძლება დანახულ იქნას აზროვნების შინაგანი ბუნება. კოპენის აზრით, მსჯელობა არ შეიძლება დანახავთებული იქნეს, როგორც გაერთიანება (სინთეზი), ან როგორც მხოლოდ გამოცალკეება რაიმე შინაარსისა. მსჯელობა, როგორც წმინდა აზროვნების ძირითადი ფორმა, ვერ დაუშვებს თავისში ისეთ განსაზღვრულობას, რომელიც მასშივე არაა წარმოქმნილი. ეს კი აუცილებელი იქნება, თუ ის მხოლოდ გაერთიანება ან მხოლოდ გამოცალკეებაა (Sonderung)<sup>6</sup>. გაერთიანება-გამოცალკეების ერთიმეორის გარეშე გააზრება შეუძლებელია. მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტური გაერთიანება, ან გამოცალკეება არ იქნებოდა საპირისპირო ცნების მომთხოვნი, მაგრამ ამგვარი რაიმეს განხორციელება შეუძლებელია ფაქტიური შემეცნებას პროცესში. შემეცნებაში ჩვენ ყოველთვის შეფარდებით გაერთიანებასთან გვაქვს საქმე, რომელიც განუსაზღვრელიდან გამოყოფს რაიმეს და უკვე ამით თავის მოქმედებას გამოცალკეების მიზანს უქვემდებარებს.

ამით კოპენს სურს დაგვანახოს, რომ წმინდა აზროვნება თავისთავად არც მარტო ანალოზია, არც მარტო სინთეზი. ეს დაპირისპირებული მხარეები ერთიანი, თავისთავად გაუთიშავი მოქმედების კიარულატებია. მათი გათიშვა მხოლოდ აბსტრაქციის შედეგია. ამის დავიწყება, აზროვნების არსებად მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიჩნევა, იდეალიზმისათვის საბედისწერო შეცდომაა, რა-

<sup>4</sup> Cohen, H., Logik der reinen Erkenntnis, S 13, Berlin, 1914. Natorp P., Die logischen Grundlagen der exakten Wissenschaften, S. 34, 219, Leipzig-Berlin, 1910; Кассирер Е. Познание и действительность. S. 135, СПб, 1912; Kinkel, W., Hermann Cohen, S. 100, Stuttgart, 1924.

<sup>5</sup> იქვე, 44.

<sup>6</sup> იქვე, 61.

დგან ამ შემთხვევაში სინამდვილის მიმართ აზროვნების ჰეგემონია ვერასგზოვრ დასაბუთდება.

გაერთიანება-გამოცალკეეების ურთიერთმომთხოვნაში არ შეიძლება ფსიქოლოგიური მორაგებობა დაეინახოთ. თითქოს მსჯელობაში ჯერ ერთ მხარეს ამცოდნეს ყურადღება და შემდეგ მეორეს. ისინი ერთსა და იმავე დროს არსებობენ და ამ მომენტის დასაღვენად კოჰენს შემოაქვს მსჯელობის მესამე კომპონენტი — შენარჩუნება (Erhaltung). ეს ცნება აზროვნების ორივე მიმართულების უწყვეტ კორელაციაში შენარჩუნების აუცილებლობას გამოხატავს<sup>7</sup>.

კოჰენი ხედავს, რომ აზროვნების (მსჯელობის) სტრუქტურის ამგვარი ვაგება სიძნელეებს აწყდება. მაგრამ, მისი აზრით, ეს სიძნელეები წამოიჭრება იმ შემთხვევაში, თუ აზროვნებას განვიხილავთ როგორც უძრავს. აბსოლუტური განსაზღვრულობისაქენ სვლის პროცესში კი მსჯელობის სხვადასხვა მხარეთა იგივეობრივი საფუძველი ნათელი ღდება. ნათელი ხდება, რომ მსჯელობის მომენტები—გაერთიანება, გამოცალკეეება, შენარჩუნება—აუცილებელია მსჯელობაში საგნის ერთიანობის დასაღვენად. ერთიანობის (Einheit) საშუალებით განსაზღვრავდა პლატონი თავის იდეას. მსჯელობის ვაგება ამ ცნების ვაგებაზეა დამოკიდებული. ერთიანობა მსჯელობის ერთ-ერთი სახე კი არაა; არამედ თვით მსჯელობის არსების გამოხატულებაა და ამდენად მთელი შემეცნებისაც. საგანი, როგორც ცდის ერთიანობა, მასში უნდა იქნეს წარმოებული. ისევე, როგორც საერთოდ ცდა დაიშლება კონკრეტულ მეცნიერებათა საგნებად, ასევე მსჯელობის ერთიანობაც დაიშლება მსჯელობათა სახეებად, რომლებიც წმინდა შემეცნების სახეებს უნდა წარმოადგენდნენ. კოჰენი ინარჩუნებს მსჯელობათა კანტისეულ ოთხ ჯგუფს. მსჯელობის თითოეული სახე წმინდა შემეცნების თითო ელემენტს ქმნის, ისინი მეთოდური საშუალებებია შემეცნების საგნის რომელიმე ელემენტის საწარმოებლად.

წმინდა აზროვნების ბუნების აღნიშნული ვაგების შემდეგ ნათელია, რომ კოჰენი აზროვნების კანონების ტრადიციული ფორმულირებით ვერ შემოიზღუდება. ეს კანონები, მისი აზრით, ყოველთვის თავისებურ ონტოლოგიას გულისხმობდნენ წანამძღვარად. ყოველთვის რაღაც „მოცემულის“ ვაზარების პირობებს წარმოადგენდნენ. რაკი კოჰენისათვის ყოველგვარი აზროვნებამდელი მოცემულობა მოხსნილია, ეს „მოცემულობაც“, რომელსაც ფორმალური ლოგიკის კანონები გულისხმობდნენ, თვით აზროვნებამ უნდა აწარმოოს. რისი პრინციპიც ახალი ძირითადი კანონის სახით წამედგარება აზროვნების ძველ კანონებს. ეს იქნება პირველსაწყისის მსჯელობა (Das Urteil des Ursprungs).

ის, რასაც ძველი ლოგიკის კანონებზე მოცემულად გულისხმობდნენ, ყველაზე უკეთ გამოითქმება ტერმინით რაიმე (Etwas), როგორც კონკრეტული რეალობა, ან ამ რეალობათა მთლიანობა. საიდან წარმოიშვა ეს რაიმე? რამდენადაც რაიმეს ქვეშ საერთოდ კონკრეტული არსებობა იგულისხმება, ცხადია მისი მიზეზი არ შეიძლება სხვა კონკრეტულში ვეძიოთ. ეს იქნებოდა იგივეს იგივეს საშუალებით ახსნის ცდა. ერთადერთი გამოსავალი, თუმცა ერთი შეხედვით უცნაური, არის რაიმეს საპირისპირო ცნების დაღვენა და რაიმეს მისგან წარმოშობილად მოაზრება. ამ გზას კოჰენი შემოვლითს გზას უწოდებს, ხოლო საძიებელ საპირისპირო ცნებას არა-რას (Nichts). არა-რას რა-

<sup>7</sup> S. Cohen H., Logik..., გვ. 61.

მესთან, როგორც კონკრეტულად არსებულთან, დაპირისპირებას ისტორიულად თავისი მომხრეები ყავდა ანაქსიმანდრესთან, დემოკრიტესთან, პლატონთან. ისინი არა-რაში არ ზედავდნენ არსის აბსოლუტურ უარყოფას, აბსოლუტურ არარაობას. ეს შეფარდებითი უარყოფის პრინციპი კოპენმა უსასრულო მსჯელობის საწარმოებლად გამოიყენა. ამ მსჯელობაში იწარმოება პირველსაწყისი. რაიმეს არა-რასთან უწყვეტი მიმართების, არა-რასაგან რაიმეს გამოყვანის შემეცნების მიზნად დასახვას კოპენი, ლაიბნიცის კვალად, აზასიათებს, როგორც უწყვეტობის კანონს. იგი მსჯელობას, და, ამდენად საერთოდ შემეცნებას, გრძნობადი მონაცემებისაგან დამოუკიდებლად ხდის. არა-რაზე შეგრძნებები პრეტენზიას ვერ განაცხადებენ. ეს კანონი შემეცნებაში საგნის აგების უძირითადესი პრინციპია. კოპენი მასში ხედავს აზროვნების ლოგიკურ საწყისს. როცა კონკრეტულად განსაზღვრული ჯერ არაფერი გვაქვს და საგნის განსაზღვრება მხოლოდ ამოცანაა, როცა იგი  $x$ -ია შემეცნებისათვის, მისი კორელატი შეიძლება მხოლოდ არა-რა იყოს. აქ მოპოებულია შემეცნების დასაწყისი, ისე რომ არავითარი კონკრეტული განსაზღვრულობა, არავითარი შინაარსი წინასწარ არაა დაშვებული. თუ რაიმეს ადგილს კონკრეტულ მეცნიერებათა ცდას დავსვამთ, ეს იქნება ცდის აღება, როგორც შემეცნების მიზნის, იმ პირობით, რომ იგი მხოლოდ აზრობრივი განსაზღვრულობებიდან აიხსნება. ხოლო ის, რაც საგნის შემეცნების რომელიმე საფეხურზე წმინდა შემეცნების კონტროლს ჯერ კიდევ არ ემორჩილება, ყოველთვის აზროვნებისავე მიერ დადგენილი ხელოვნური ცნების — არა-რასადმი მიმართებაში უნდა დარჩეს და არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს შეგრძნებებთან. ამრიგად, თუ საგნის განსაზღვრება დაუსრულებელი პროცესია, იმ აზრით, რომ რაღაც განსასაზღვრი ყოველთვის დარჩება, საერთოდ საგანიც ყოველთვის დარჩება არა-რასთან მიმართებაში და ეს მიმართება აზროვნების თვითგანსაზღვრების დაუსრულებელ პროცესს გამოხატავს.

აქ არ შეიძლება დასაწყისის პრობლემის ჰეგელისეული დაყენება არ მოგვაგონდეს. ჰეგელიც შეუძლებლად მიიჩნევს რაიმე მოცემულობიდან გამოსვლას. მისი არსი, როგორც შემეცნების დასაწყისი, იმდენად განუსაზღვრელია, რომ ჰეგელი მას არ-არსს უწოდებს და ეს არ-არსიც არაა აბსოლუტური არარაობა. ამ შემთხვევაში იგი ვერ გადავიდოდა არსში. კოპენისა და ჰეგელის მსგავსება ამ საკითხში მარტო საერთო წყაროზე კი არ მიუთითებს, არამედ კანტის ფილოსოფიის განვითარების გზების შინაგან ლოგიკაზეც. აღსანიშნავია ისიც, რომ კოპენმა, ისევე როგორც ჰეგელმა, თვისობრიობა რაოდენობის წინ გადაიტანა; თუ უსასრულო მსჯელობა პირველსაწყისს აწარმოებს, ცხადია, მისმა ჯგუფმა უნდა შექმნას საფუძველი რაოდენობისა და საერთოდ კატეგორიულ განსაზღვრულობათა მთელი შემდგომი მწკრივისათვის (ნატორპი არ მიყვება კოპენს და მსჯელობათა ჯგუფების კანტისეულ დანაწილებას ინარჩუნებს)<sup>8</sup>.

<sup>8</sup> Natorp P., *Quantität und Qualität im Begriff, Urteil und gegenständlichen Erkenntnis*. Philosophische Monatshefte B. 27, H. 1 und 2, S. 21—22, Heidelberg, 1891; Natorp P., *Die logischen Grundlagen der exakten Wissenschaften*, S. 53, 54.

უსასრულო მსჯელობა რაიმესა და არ-არისის ისეთ მიმართებას წარმოადგენს, რომელიც მსჯელობის ყოველ ელემენტს წმინდა აზრის სფეროთი ფარგლავს. რაიმე არის  $x$ -ი, რომელიც გაერთიანების ცენტრია, კერძოდ, პრედიატა გაერთიანების. რომელიც მის განსაზღვრულობებად უნდა იქცენ. არა-რა კი ის სეფროა, რომლისგანაც უნდა იქნეს აღებული ეს პრედიატები. იგი ამოუწურავია და მისკენ მიმართულ აზროვნებას გამოცალკეება შეიძლება ვუწოდოთ. ამ პროცესში იქმნება მეცნიერული სინამდვილე, როგორც შემეცნების შინაარსის მრავალსახეობა. ეს პროცესი დაუბოლოებელია, ასევე დაუბოლოებელია გაერთიანების პროცესიც, რომელიც განუსაზღვრელობიდან გამოტაცებულ განსაზღვრულობათა ერთ საერთო საფუძველზე გაერთიანებას წარმოადგენს. როგორც აღინიშნა, არც ერთი ეს პროცესი ლოგიკურად არ მოიაზრება მეორისგან დამოუკიდებლად, რაც მათი ერთიანობის საფუძველია.

პირველსაწყისის მსჯელობაში განსასაზღვრისა ( $x$ ) და განუსაზღვრელის (არა-რა) აუცილებელი კავშირის დადგენა აზროვნებას ასაბუთებს როგორც კავშირს (Zusammenhang). იგი აზროვნების ელემენტების კავშირის აუცილებლობაზე მიგვიითითებს, იქაც კი, სადაც ჯერ კიდევ არაფერია კონკრეტულად შექმნილი, სადაც წმინდა აზროვნება მხოლოდ მოთხოვნაა<sup>9</sup>.

უწყვეტობის კანონი, რომელშიც პირველსაწყისი იწარმოება, არაა აზროვნების ერთადერთი კანონი, თუმცა იგი აზროვნების უპირველეს ძირითად ნიშანს აღწერს. უწყვეტობამ, მართალია, აზროვნება დაადგინა, როგორც კავშირი, და შეგრძნებებისაგან დამოუკიდებელი გახადა იგი, მაგრამ აზროვნების სიწმინდეს მეტი საწინდარი ესაჭიროება. აზროვნება ძველთაგანვე არსთან იყო კავშირში და ამ კავშირშიც აზროვნების სიწმინდეა დასაცავი. კოპენი მის გამოხატულებას პარმენიდეს მიერ წამოყენებულ იდენტობის კანონში ხედავს. ერთი და იგივეა, იდენტურია აზრი და არსი. იდენტობის კანონი ადგენს, რომ აზროვნება უსასრულობისაკენ სვლაში არსად არაფერს უტყვოს არ შევხვდება, რომ სადაც ასეთ რამესთან, იდენტობის დარღვევასთან გვექნება საქმე, იქ უკვე აღარაა წმინდა აზროვნება და შეცდომა უნდა ვეძიოთ. თუ უწყვეტობის კანონი შეგრძნებებისაგან ათავისუფლებს მსჯელობას, პროცესიან თვალსაზრისით იცავს მის სიწმინდეს, იდენტობის კანონი ცნობიერებაში წმინდა აზროვნების შინაგან ერთიანობას იცავს. არსი და აზრი ერთი და იგივეა, რაც ამ იგივეობის გარეთ გადის, ის ლოგიკის გარეთაც რჩება. ამ მკაცრ ტავტოლოგიას ეყრდნობა მსჯელობის, როგორც წმინდა შემეცნების, ღირებულება. იგი საბოლოოდ გამოთიშავს მსჯელობას წარმოდგენისეულისაგან. ამ უკანასკნელმა მხოლოდ და მხოლოდ დამთხვევას შეიძლება მიაღწიოს არსთან და არა იგივეობას. იდენტობა დადებითი მსჯელობით გამოიხატება. უარყოფს თუ არა იგი სიმრავლეს? კოპენის აზრით, სიმრავლე თვით ამ კანონის ფორმულირებაში გამოდის ორი  $A$ -ს სახით ( $A = A$ ). ერთადერთი სიმრავლე, რომელსაც იდენტობის კანონი გამორიცხავს, არის წარმოდგენების, ცდისა და შეგრძნებების მიერ მოცემული სიმრავლე, რომელიც ვერ იქნება წმინდა აზრთან იდენტური, იდენტობა პირველსაწყისის მსჯელობაში წარმოშობილ ელემენტთა სიწმინდეს იცავს ცნობიერების წარმოდგენათა მრავალფეროვნებისაგან. ამდენად, იდენტობა უწყვეტობის კანონის გარეშე ვერ იარსებებდა.

<sup>9</sup>Cohen H., Logik..., S. 151.



შემეცნებაში წმინდა აზროვნების ცნობიერების სხვა ელემენტთაგან გამოსათიშავად, კოპენის აზრით, არც აღნიშნული ორი კანონია სასწავლებლო საკმარისი. პირველსაწყისის მსჯელობის შინაარსი, როგორც მხოლოდ აზროვნებისეული, შეიძლება ექვის ქვეშ დადგეს არა-რას ელემენტის გამო. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ აქ რაღაც არააზროვნებისეული, აბსოლუტური არარსია მსჯელობის ელემენტად შემოყვანილი. ეს, ცხადია, წმინდა აზროვნების ფარგლებს გარეთ გასვლა იქნებოდა. ამგვარი ექვების გასაფანტავად კოპენი უსასრულო მსჯელობის მოჩვენებითს არარას, ნამდვილ არარას, არარაობას უპირისპირებს. ეს დაპირისპირება უარყოფით მსჯელობაში ხდება.

კოპენი უარყოფითი მსჯელობის თავისებურ გაგებას იძლევა. წინააღმდეგ ზიგვარტის მიერ წამოყენებული გაგებისა, რომლის მიხედვითაც უარყოფითი მსჯელობა ორმაგი მსჯელობაა, კერძოდ, დადებითი მსჯელობის მიერ დადგენილი მიმართების უარყოფაა, კოპენი ასაბუთებს, რომ უარყოფითი მსჯელობის ნამდვილი დანიშნულებაა, დაიცვას აზროვნების სიწმინდე და არა პრედიკატის სუბიექტისადმი მიწერის სისწორე შეაფასოს. იგი იმავე მიზანს ემსახურება, რასაც უწყვეტობა და იდენტობა და ამ აზრით იგი არის მსჯელობათა პირობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მსჯელობა მსჯელობამდე. უარყოფითი მსჯელობა არც ორმაგი მსჯელობაა და არც მისი არარსია უსასრულო მსჯელობის კომპონენტი არა-რა. ეს მსჯელობა ადგენს, რომ წმინდა აზროვნებას და მისთვის უცხო რაიმე ელემენტს შორის არავითარი კავშირის დაშვება არ შეიძლება, რომ თუ  $A = A$ -ს ადგენს მსჯელობას,  $A$ -სა და მასთან არაიდენტურ  $\text{non } A$ -ს კავშირი ანადგურებს მსჯელობას. აქ წმინდა აზროვნების არსებობის საკითხი დგას და მას კოპენი გამანადგურებელ ინსტანციას<sup>10</sup> უწოდებს. ეს მსჯელობა არ ეხება იმას, რაც მსჯელობის შინაარსში შეიძლება შედიოდეს ქვეშეპირტების ან შეცდომის ნიშნით. უარყოფითი მსჯელობა იცავს აზროვნებას იმისაგან, რასაც მასთან არავითარი მიმართება არ შეიძლება ქონდეს; თუ კი მას სურს იარსებოს, როგორც წმინდა აზროვნება.

უწყვეტობის, იდენტობისა და წინააღმდეგობის მსჯელობები ამოწურავენ თვისობრიობის სფეროს. მათი საშუალებით დგინდება წმინდა აზროვნება, რომელიც შემდეგ მათემატიკისა და მათემატიკური ბუნებისმცნეობების მსჯელობებად დაიშლება. ამდენად, მსჯელობათა ჯგუფების თვისობრიობით დაწყება უბრალო პოზიციური მდგომარეობა კი არაა, რომელიც ადვილად შეიძლება შეიცვალოს, არამედ წმინდა აზროვნების განხორციელების აუცილებელი პირობაა. კოპენის აზრით, მხოლოდ ასეა შესაძლებელი აზროვნების სუვერენობის დაცვა, შეგრძნებებისა და ნივთებისაგან მისი სრული ჩამოცილება. თვით თვისობრიობის მსჯელობები, როგორც დავინახეთ, ერთი და იგივე ღირებულებისანი არ არიან. წმინდა აზროვნება პირველსაწყისის მსჯელობაში წარმოიშვება. მასშია თვისობრიობის წყარო. ხოლო იდენტობისა და წინააღმდეგობის კანონები მის უფლებებს იცავენ. ამიტომ უწოდებდა კოპენი უწყვეტობას აზროვნების კანონთა აზროვნების კანონს.

თვისობრიობის მსჯელობები არც საგნებს აღწერენ, არც არსებულის რაიმე კონკრეტულ თვისებებზე მიუთითებენ. ისინი წმინდა აზროვნების საერთო ბუნებას აწარმოებენ; აზროვნების საფუძველს ქმნიან. თვისობრიობამდე არ შეიძლება რაიმე საგანი, სხეული ან არსი, საერთოდ, რაიმე განსაზღვრულობა

<sup>10</sup> Cehen H., Logik..., S. 107—109.

არსებობდეს. ეს, კოჰენის აზრით, პლატონის ფილოსოფიის გზაა, რომელსაც საფუძვლიდან არსისაკენ მივყევართ.

თვისობრიობის მიერ რაოდენობის მომზადება უდრის ლოგიკის მიერ მათემატიკის მომზადებას და თანაც ისე, რომ მათემატიკა და ლოგიკა ერთმანეთს არ დაემთხვეს. მათემატიკის ლოგიკური ხასიათი იმას კი არ ნიშნავს, რომ მის შინაარსს ლოგიკური ბუნება აქვს და მისი ცნებები წინააღმდეგობისაგან თავისუფალია, არამედ — მისი უძირითადესი ცნებების ლოგიკის კანონებში შექმნას ან მათგან გამოყვანას. მარბურგელების აზრით, ლოგიკისა და მათემატიკის ამგვარ კავშირს იცავდა პლატონი და არსებითად კანტიც<sup>11</sup>.

მათემატიკის მსჯელობებში (რეალობის, მეტობის, ყოვლადობის) წმინდა აზროვნება საყოთარო საშუალებებით ქმნის იმას, რასაც კანტი მოცემულობას უწოდებდა, ე. ი. სიმრავლეს დროში და სივრცეში. ესაა შინაარსი, რომელიც აუცილებელია მათემატიკური ბუნებისმეცნიერებისათვის.

მათემატიკის მსჯელობები ქმნიან საგანს, როგორც რაოდენობისა და თვისობრიობის შედეგს, როგორც სასრულო რიცხვს. ქმნიან ისე, რომ არ მოიხმარენ არც ნივთებს, არც შეგრძნებებს. კოჰენი შეეცადა, უსასრულო მცირე დაესვა რეალობის ადგილას. ამგვარი რეალობიდან წარმოშობილი სინამდვილე (სასრულო) წმინდა აზრიდან წარმოებულის ტოლია, რადგან უსასრულო მცირეს წმინდა აზროვნებისაგან დამოუკიდებელ არსებობას ვერ მივაწვრთ<sup>12</sup>.

სასრულო რიცხვის წარმოება არაა წმინდა შემეცნების მიზანი. ნატორპის სიტყვები რომ ვიხმაროთ, აქ დასრულდა აზროვნების უშუალო, პირველადი სინთეზური მოქმედება და არა სინთეზური მოქმედება საერთოდ. ყოველი საგნის, როგორც სასრულოს სრული განსაზღვრებისათვის აუცილებელია, მისი სხვებთან კავშირი, ე. ი. აუცილებელია მისი ცდის ნაწილად, ცდის საგნად განხილვა, სადაც აზროვნების შედეგს საბოლოოდ ეთქმის უარი აბსოლუტურობაზე. ამდენად, წმინდა შემეცნების მიზანია ცდის, როგორც ბუნების, წმინდა აზროვნებიდან გამოყვანა. ცდა თავისთავად, მართალია, საგანია, მაგრამ ერთეულ საგანთან დაპირისპირებაში საგანთა ურთიერკავშირს, მათ სისტემას წარმოადგენს და რაღაც ახალ ერთიანობას ეყრდნობა. ესაა სისტემა, რომელშიც ყველა საგანი სხვებზე დამოკიდებული და აუცილებელია მისი განსაზღვრებისათვის.

მცირე ნადელზე, რომელიც გლეხს მიუზომეს და რომლის გამოსყიდვა მას შეეძლო გარკვეული დროის შემდეგ მხოლოდ მემამულის თანხმობით, მას უნდა გადაეხადა ყოფილი მებატონისათვის: კარმიდამოსათვის ფულადი გამოსაღები 3 მანეთი; ბაღ-ვენახისათვის კულუხი — მოსავლის 25 პროცენტი; სახნავი მიწისათვის ღალა-მოსავლის ერთი მეოთხედი; სათიბი მიწისათვის ნათიბის ერთი მესამედი<sup>4</sup>.

იმის გამო, რომ მემამულეებს მიეცათ უფლება თავიანთ განკარგულებაში დაეტოვებინათ მამულების ნახევარი, ხოლო მცირემიწიან მემამულეებს, რომელთაც ქონდათ თბილისის გუბერნიაში 30 დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 11,5 დესეტინა სულ არ გაეყოთ გლეხებისათვის მიწა, საქართველოში 30 ათასზე მეტი გლეხთა კომლი სრულიად უმიწოდ დარჩა.

ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება საგლეხო რეფორმისა საქართველოში იყო არა მარტო დიდი რაოდენობა უმიწოდ განთავისუფლებული გლეხობისა, არამედ ის, რომ რეფორმის შედეგად შეიქმნა მრავალრიცხოვანი არმია მცირემიწიანი, დამოკიდებული, ნახევრადთავისუფალი მოჯამაგირებისა,

<sup>2</sup> ს. ავალიანი, გლეხთა საკითხი ამიერკავკასიაში, ტ. IV, გვ. 4, 1920, რუს.

<sup>3</sup> მოყვანილია ე. ი. ლენინის მიერ, თხზ., ტ. 18, გვ. 100.

<sup>4</sup> საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, დოკუმენტების კრებული, პროვ. ჩხეთას რედაქც. 1950, გვ. 451.



რომლებიც ეკონომიურად არაუზრუნველყოფის გამო მიჯაჭვული იყვნენ თავიანთ წამცეც მიწებზე.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიწათმფლობელობის მხრივ ასეთი მდგომარეობა იყო: ქუთაისის გუბერნიაში ყოფილი ყმა გლეხის 74 673 კომლს, რომელიც მოსახლეობის 86%-ს შეადგენდა, ჰქონდა 210 770 დესეტინა მიწა, ხოლო თავდაზნაურობის 4 785 კომლს, რომელიც მოსახლეობის 6,7%-ს შეადგენდა, ჰქონდა 815 321 დესეტინა მიწა, ე. ი. 4-ჯერ მეტი. თბილისის გუბერნიაში 27 635 კომლ გლეხს, რომელიც მოსახლეობის 85%-ს შეადგენდა, ჰქონდა 134 796 დესეტინა მიწა, ხოლო თავდაზნაურობის 1 757 კომლს, რომელიც მოსახლეობის 2,89% შეადგენდა, ჰქონდა 961 502 დესეტინა მიწა, ე. ი. 7-ჯერ მეტი<sup>5</sup>.

ქუთაისის გუბერნიაში მარტო 9 მსხვილ მემამულეს ჰქონდა 358 000 დესეტინა მიწა, ე. ი. მთელი ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა მიწების 44%<sup>6</sup>. თბილისის გუბერნიაში მთელი მიწების 77,17% ეკუთვნოდათ მემამულეებს.

საქართველოში საგლეხო რეფორმის შემდეგაც არსებობდა გლეხთა კატეგორია „ხიზანთა“ სახელწოდებით, რომელზედაც საგლეხო რეფორმის კანონი არ გავრცელებულა. მათი რაოდენობა საქართველოში 900-იანი წლების დასაწყისში 12 ათასზე მეტ კომლს შეადგენდა. რეფორმის შემდეგ ხიზანი გლეხის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თუ რეფორმამდე ხიზანი გლეხი პირადი თავისუფლებით სარგებლობდა, რეფორმის შემდეგ იგი გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ასრულებდა ისეთ ვალდებულებას, რომელიც ყმურ მდგომარეობაში აყენებდა.

საგლეხო რეფორმა არც საქართველოს სახელმწიფო გლეხებს შეხებია. ისინი არაფრით არ იყვნენ უზრუნველყოფილნი. სახელმწიფო გლეხები, რომლებიც კერძო მემამულეთა მიწებზე იყვნენ დასახლებულნი მთავრობამ კერძო მემამულეთა თვითნებობას დაუმორჩილა, ხოლო სახაზინო მიწებზე დასახლებულნი კი სახელმწიფოს მოხელეთა თვითნებობას.

მემამულის სასარგებლოდ გადასახადებისა და ბეგარის გარდა საქართველოს გლეხობას სულს უხუთავდა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები: საკომლო, საერობო, საგუბერნიო დრამის ფული და სხვ.

უმიწობა და მცირემიწიანობა აიძულებდა გლეხობას მემამულისაგან მიწა აეღოთ იჯარით, რისთვისაც იხდიდა საიჯარო გადასახადს. მიწის იჯარით აღებას მიმართავდა თბილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხთა 42 პროცენტი, ხოლო ქუთაისის გუბერნიის — 64 პროცენტი. შიჯარე გლეხი თავისი შრომით, თესლით და იარაღით ამუშავებდა მემამულის მიწას და საიჯარო გადასახადის სახით მემამულეს აძლევდა — თბილისის გუბერნიაში მოსავლის 1/6-დან 1/2-მდე, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1/4-დან 1/2-მდე. გაბატონებული ფორმა იყო ნატურალური იჯარა, თუმცა იგი გლეხისათვის უფრო სამძიმო იყო.

წერილ, გაჩანაგებულ, გაღარიბებულ, ბატონყმობის მძიმე ნაშთებით დაზეჩავებულ გლეხებს, არ შეეძლოთ ეცხოვრათ ისე თუ არა მემამულესთან ნაბევრად ბატონყმურ დამოკიდებულებაში. გლეხები ამუშავებდნენ მემამულის

<sup>5</sup> ო. სიომინი, დიადი წლისთავი, აგარაული საკითხი და საგლეხო (ბატონყმური) რეფორმა ამიერკავკასიაში, კიევი, 1911, გვ. 35. რუს.

<sup>6</sup> საქ. სსრ შსს საარქ. სამმართველოს „საისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 507.

მიწას საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, საბალახო, საძოვრის, წყალსაღვების, საერთოდ მიწის საზღაურად, ზამთრის სესხის საზღაურად. მეორეს მხრივ მემამულეს არ შეეძლო თავისი უდიდესი ლატიფუნდიების დამუშავება თავისი ინვენტარითა და დაქირავებული მუშით, ის მიმართავს მეზობელი, გაჩანაგებული გლეხის შრომას, რადგან მეურნეობის ასეთი გაძლიერება არ მოითხოვს კაპიტალის დახარჯვას და მიწის დამუშავების ახალ სისტემაზე გადასვლას. ასეთ ვითარებაში გარდუვალი ხდებოდა საბატონო ბეგარის ძველი სისტემა. ე. ი. შრომამიგების სისტემა.

შრომამიგების სისტემამ ყოფილი ყმა გლეხის ეკონომიური კაბალა გააძლიერა. თუ ვიანგარიშებთ გლეხის მიერ მემამულეთა მიწების დამუშავებას თავისი ინვენტარით, იძულებითი და თავისუფალი იჯარის წესით თავისი შრომის გაყიდვის თავისებურ ფორმას, ამასთან იმასაც, რომ წვრილი მოიჯარე სამუშაო ხელფასის ნაცვლად ღებულობს მის მიერ დამუშავებულ მიწაზე მიღებული პროდუქტის ნაწილს ნატურით, მაშინ უნდა ითქვას, რომ განმათავისუფლებელ რეფორმას კავკასიაში შედეგად მოჰყვა უშუალო მწარმოებლის, ე. ი. გლეხის შრომის ანაზღაურების უკიდურესად შემცირება და მისი შრომის პროდუქტში მფლობელის წილის უაღრესად გადიდება<sup>7</sup>.

საგლებო რეფორმის შემდეგ საქართველოში ძლიერდება გლეხობის ფენებად და კატეგორიებად დაყოფა. ერთი ნაწილი გლეხებისა, რომელთაც სავესებით არ მიუღიათ მიწა, სოფლის პროლეტარები, სტოვებენ სოფელს და სამუშაოს საძებნელად მიდიან ქალაქად, იქცევიან ქალაქის პროლეტარებად.

მეორე ნაწილი გლეხებისა, რომლებიც მიწის სიმცირით იყვნენ შევიწროებულნი მიდიან გარესაშოვარზე ქალაქად, მაგრამ სავესებით არ წყვეტენ კავშირს სოფელთან. ასეთი მათხოვრის დონემდე დაქვეითებულ გლეხებზე ამბობდა ვ. ი. ლენინი, რომ „გლეხი გარბოდა თავისი ნადელიდან, რა წამსაც კი დაინახავდა გასაქცევ ადგილს“<sup>8</sup>. ეს იყო განგლეხების პროცესის დაწყება. ამას აკეთებდა გლეხი იმიტომ, რომ მას აიძულებდა შიმშილის შიში, უმუშევრობა, ის ვარემობდა, რომ სოფელი მისთვის წარმოადგენდა დედინაცვალს და იგი მიდიოდა სამუშაოს საძებნელად ქალაქში.

მესამე ნაწილს შეადგენდნენ ის გლეხები, რომლებიც დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ და დარჩნენ სოფელში და მემამულეებისა და მეფის მთავრობის ექსპლოატაციის ქვეშ სულს ღაფავდნენ.

ამრიგად, საქართველოს გლეხობა „განმათავისუფლებელი“ რეფორმის შემდეგ მოკლებული აღმოჩნდა ცხოვრების უმთავრეს საშუალებას — მიწას და ეკონომიურად მემამულეზე დამოკიდებული იყო. საგანგებოდ დიდი საიჯარო გადასახადი და მეფის მთავრობის მეტად მძიმე საგადასახადო პოლიტიკა საქართველოს გლეხობას მძიმე პირობებში აყენებდა.

რეფორმამ, რამდენადაც, გლეხობა გაათავისუფლა უმიწოდ, დაარღვია მებატონესა და გლეხს შორის არსებული ურთიერთობის ეკონომიური საფუძველი და ახალი ვართულებანი შეიტანა გლეხობაში. გლეხები იძულებულნი იყვნენ ებრძოლათ მიწისათვის, მემამულის კაბალისაგან განთავისუფლებისათვის

<sup>7</sup> ო. ს. ი. მ. ი. ნი, დიდი წლისთავი, აგრარული საკითხი და საგლებო (ბატონყმური) რეფორმა კავკასიაში, ისტორიული ნარკვევი, 1911, გვ. 32, რუს.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 520.

და ამიტომ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ აგრარული ან მიწის საკითხი მთელი თავისი სიმწვავეთი წარმოსდგა.

XX საუკუნის დასაწყისში გლეხთა მდგომარეობა საქართველოში კიდევ უფრო გაუარესდა. მოსახლეობის და მასთან ერთად კომლთა რაოდენობის ზრდის პარალელურად მიწის ფონდი არ იზრდებოდა და ამდენად გლეხობის მიწით უზრუნველყოფა სულ უფრო და უფრო უნუგეშო ხდებოდა.

1903 წელს თბილისის გუბერნიის დროებით ვალდებული გლეხის თითო კომლზე საშუალოდ მოდიოდა 1,69 დესეტინა მიწა. ქუთაისის გუბერნიაში კი თითო კომლმა შეინარჩუნა რეფორმამდელი ნადელის არა უმეტეს 30 პროცენტისა<sup>9</sup>.

1884—1903 წლებში საქართველოს სახელმწიფო გლეხების თითო კომლმა დაკარგა თავისი მამულის 35 პროცენტი.

გლეხთა მდგომარეობის შესახებ საქართველოში გაზ. „კვალი“ 1902 წელს წერდა: „ჩვენებური აგრარული კითხვა თანდათან უფრო მწვავედება და ჯერ კიდევ ძლიერ შორს არის ის დრო, როცა ეს კითხვა მოწყვრივდება. უმთავრესი მიზეზი ამ კითხვის გართულებისა და წოდებათა შორის განწყობილების გამწვავებისა არის გლეხების მიწის სიფიროვე, რომელნიც მოკლებულნი არიან, როგორც სახნავ-სათესს, ისე საძოვარსა და ტყეს... როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთში იშვიათია ისეთი გლეხი, გლეხი სოციალური მდგომარეობით და არა მარტო წოდებით, რომელიც არ საჭიროებდეს მებატონის ან სახაზინო და საეკლესიო მიწების დამუშავებაში და უამისოდ შეეძლოს ცოლშვილის გამოკვება და სავალდებულო ხარჯების გაწევა. ასეთ მდგომარეობაში არის თავდახსნილი. კიდევ უარესშია ხიზანი, დროებით ვალდებული და მოიჯარე“<sup>10</sup>.

სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროების ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისში იმ გლეხების რაოდენობა, რომლებიც მწვავე გაჭირვებას განიცდიან ქუთაისის გუბერნიაში 70 პროცენტს აღწევს“<sup>11</sup>.

საქართველოსა და, კერძოდ, გურიის გლეხაკობის შესახებ „კვალი“ მიუთითებს, რომ მიუხედავად მდიდარი ბუნებისა, გურიის გლეხობა საშინელ გაჭირვებაშია. ამის მიზეზია მიწის სიმცირე, რომლითაც გლეხს არ შეუძლია ოჯახის გამოკვება. ამიტომ გურიიდან გლეხობა მასიურად გარბის ქალაქები-საქენ<sup>12</sup>.

გლეხთა პროლეტარიზაციის პროცესი სულ უფრო და უფრო ძლიერდება და გაპროლეტარებული მასა გლეხობისა ქალაქს მიეშურება. გარდა გაპროლეტარებული მასისა, მცირე მიწიანი გლეხებიც, რომელთა მოთხოვნილებას ვერ უზრუნველყოფდა მიწათმოქმედება, მიდიან გარესსოფარზე ქალაქად ისე, რომ სავსებით არ წყვეტენ კავშირს სოფელთან.

საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობა, მათ შორის გლეხური მოსახლეობა აბსოლუტურ პოლიტიკურ უუფლებობას განიცდიდა. გლეხობა მოკ-

<sup>9</sup> ვ. გუგუშვილი, აგრარული ურთიერთობა ამიერკავკასიაში, 19—20 საუკ. მიჯნაზე, სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობა, წყაროები და მასალები, ტ. IV, გვ. 98, 1955, რუსული.

<sup>10</sup> გაზ. „კვალი“, 1902, № 26, გვ. 417.

<sup>11</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 101.

<sup>12</sup> გაზ. „კვალი“, 1902, № 43, გვ. 686.

ლებული იყო ყოველგვარ უფლებას გარდა შრომისა და მეფის მთავრობის მოხელეთა განკარგულებების მოსმენისა და შესრულებისა. სოფელს განაგებდა ფისკალური პოლიტიკური კანცელარია და თავის ნება-სურვილით წარმართავდა გლეხობის ყველა სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმეს. მეფის მთავრობის მექანამე და გარხწინილი ბიუროკრატიის თვითნებობა და პოლიციური რეჟიმი სტანჯავდა გლეხობას.

საქართველოს გლეხობის მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას თან ერთვისდა სასტიკი ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა. საერთო სარუსეთო კანონები ყოველთვის არ ვრცელდებოდა ჩვენში. მაგ. 1881 წლის კანონი დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ საქართველოზე არ გავრცელებულა. იდგენებოდა ყოველივე ეროვნული (ენა, ზნეჩვეულება), რაც მოსახლეობის უდიდეს პროტესტს იწვევდა. ამ პროტესტს და აღშფოთებას შეგნებულ და ორგანიზებულ ხასიათს აძლევდა მოსახლეობის შედარებით კულტურული დონე და პოლიტიკური მოწიფულობა<sup>13</sup>.

გლეხობის ასეთი მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობები იწვევდა მათი უკმაყოფილების ზრდას და გარევიოლუციონერებას.

საქართველოს სოფლის გარევიოლუციონერებაზე დიდი გავლენა იქონია, ერთი მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლეხობის სოფლიდან ქალაქად გარესაშოვარზე წასვლამ, გლეხებისა, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ გაწყვეტილი სოფელთან, ბრუნდებოდნენ სოფელში ახალი იდეებით; მეორე მხრივ, გლახთა პროლეტარიზაციასთან ერთად ვათარდება მუშათა მოძრაობა და წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. სოფელში იჭრებიან სოციალ-დემოკრატი ავითატორები, რომელთაც იქ გლახთა მოძრაობის გაშლისათვის პოხიერა ნიადაგი დაუხვდათ.

საქართველოშიც მოხდა ისე, როგორც ლენინი აღნიშნავდა, გარესაშოვარზე წასული გლახები, როცა ბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილას, მათ მოაქვთ ახალი იდეები, „მიყრუებულ ადგილების გლახობაში ისინი აღვიძებენ შეგნებას და ადამიანური ღირსების გრძნობას, აღვიძებენ რწმენას საკუთარი ძალისადმი“<sup>14</sup>.

საქართველოში 1902—1903 წლებში გლახთა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის შესახებ მთავრობის მოხელის ერთ-ერთ მიმოხილვაში ვკითხულობთ: „გლახთა მასებში ჭერ-ჭვეშეთური პროპაგანდის შეჭრას არანაკლებ უწყობდა ხელს მრავალი სოფლის გლახების მიერ გარესაშოვარზე წასვლა-სამუშაოდ ქარხნებში და ა. შ., საიდანაც ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში ან ასახლებენ იქ მთავრობის მითითებით და შეაქვთ გლახებში მაგნე სოციალისტური იდეები, პროკლამაციები, აკრძალული გამოცემები და სხვ. აქედან ცხადია, რომ პროპაგანდის თესლმა ქუთაისის გუბერნიიაში პოვა ხელსაყრელი ნიადაგი და მოგვცა უხვი აღმონაცენნი“<sup>15</sup>.

1900—1901 წლებში დასავლეთ საქართველოს გლახობას თავს დაატყდა დიდი მოუსავლიანობა, რის გამო დიდძალი გლახობა დაიძრა ქალაქებისაკენ

<sup>13</sup> ი. კაჭარავა, სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლახთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, 1959, გვ. 59.

<sup>14</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 162.

<sup>15</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 394.



სამუშაოდ. ბათუმში სოფლიდან ჩამოსული მუშების რაოდენობა გაორკეცდა.

1901—1902 წლების სამრეწველო კრიზისისა და უმუშევრობის პერიოდში თბილისის, ბათუმის და სხვა ქალაქების მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი ბრუნდებოდა სოფლებში. მნიშვნელოვანი ნაწილი კი მთავრობა გაფიცვებში და დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის თავიანთ სოფლებში ასახლებდა. ქალაქიდან გასახლებულა მუშები, რომლებიც წარმოშობით ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, გორის, თბილისის და სხვა ადგილებიდან იყვნენ, თავიანთ სოფლებს დაუბრუნეს.

მთავრობა ასახლებდა მოწინავე მუშებს თავიანთ სოფლებში, ვარაუდობდა, რომ ამ გზით იგი გაწმენდა ქალაქებს მოუსვენარი ხალხისაგან და შეანელებდა რევოლუციურ მოძრაობას. „მუშების გასახლებით, — წერდა ლენინი, — უნდათ ქალაქები გაწმინდონ მოუსვენარი ხალხისაგან, მაგრამ, შესაძლოა, განდევნილებმა მოახერხონ გლეხების თუნდაც ნაწილის გამოღვიძება საუკუნოვანი მორჩილებისაგან და გააბედვინონ მათ არა მარტო თხოვნები, არამედ მოთხოვნებიც“<sup>16</sup>.

გამართლდა ლენინის წინასწარხედვა. ბათუმიდან დასავლეთ საქართველოში გასახლებულმა მუშებმა გაშალეს ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გლეხებს შორის, იწყეს გლეხებს შორის არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გავრცელება. მუშების ამ მუშაობის შესახებ რსდმპ III ყრილობაზე მ. ცხაკაია ამბობდა: „ბათუმის 1902 წ. 9 (22) მარტის ცნობილი ზოცვა-უღელტის შემდეგ ასობით მუშა ბათუმიდან სამშობლო სოფლებში გაასახლეს. გასახლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გურულები იყვნენ, დანარჩენები — მეგრელები და იმერლები. სწორედ ამ მუშებმა, რომლებიც თავიანთ სოფლებში, თავიანთ დაქსაქსულ მეურნეობებში გასახლეს, მუშებმა, რომლებიც სოციალიზმს ეზიარენ და რომლებმაც თვითმპყრობელობისაგან მათხახების, საპყრობილეებისა თუ ტყვეების სახით პოლიტიკური განათლების პირველი გაკვეთილები მიიღეს, გაბედულად და მხნედ დაიწყეს აგიტაცია გლეხებში. ამ აგიტაციის ნაყოფი დაუყოვნებლივ, უკვე რამოდენიმე თვისა და კვირის შემდეგაც კი იჩენდა ხოლმე თავს“<sup>17</sup>.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ, სოფლებში გასახლებულმა მუშებმა და სოციალ-დემოკრატ აგიტატორების აგიტაცია-პროპაგანდამ უდიდესი გამარევილუციონერებელი გავლენა მოახდინა საქართველოს გლეხობაზე, გლეხობა მუშათა კლასის კვალდაკვალ, განსაკუთრებით 1902 წლიდან მასობრივ ბრძოლებში ებმება.

ახასიათებდა რა 1902 წელს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების მიზეზებს, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ბროშურაში „გლეხთა მოძრაობა გურიაში“ წერდა: „მიწის სივიწროვე, საიჯარე გადასახადების სიდიდე, დიდი სახელმწიფო გადასახადები, დრამა-ფული, ბათუმის ამბები, სოფლების ქალაქის უკმაყოფილო მუშებით ავსება და 1901 წლის მოუსავლობა — აი მოკლედ ის მიზეზები, რამაც გააღვიძა გლეხებში „წინააღმდეგობის სურვილი“. ამნაირად დაიბადა მათში იდეა ბრძოლისა“<sup>18</sup>.

<sup>16</sup> ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 5, გვ. 106.

<sup>17</sup> რსდმპ მესამე ყრილობის ოქმები, 1937, გვ. 243—244. რუს. გამოც.

<sup>18</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მონაბე“, 1959, № 10, გვ. 454.

ბრძოლის ველზე პირველად გამოვიდნენ გურული გლეხები. 1902 წლის მაისის დამდეგს ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიგოეთის გლეხებს მოუხდათ მემამულესთან შეტაკება. ნიგოეთში მიწის ყველაზე მეტი სინაკლულე იყო. ამის წინააღმდეგ ამხედრდნენ გლეხები. კლესთაეს სტიქიურ<sup>19</sup> გამოსვლება სოციალ-დემოკრატებმა გამოიყენეს და მოიწვიეს გლეხთა მრავალრიცხოვანი კრებები, სუფსაში, ნიგოეთში, ხვარბეთში, მიქელ-გაბრიელში, გურიანთში, დვახუში, ჯუმათში, ძიმითში და სხვა სოფლებში. კრებებზე, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ რსდმპ ბათუმის კომიტეტის წარმომადგენლები<sup>20</sup>. ირჩეოდა მრავალი პრაქტიკული საკითხი — მემამულეებზე და სამღვდლოებზე ბოიკოტის გამოცხადების, დრამის ფულზე და დიდ საიჯარო გადასახადებზე უარის თქმის შესახებ და სხვ. ყველა კრება მთავრდებოდა ფიცით, რომელიც ავალდებულებდა თითოეულ მონაწილეს, თანაგრძობით მოკიდებოდნენ მოძრაობას. ემოქმედათ ერთსულოვნად, მოესპოთ ჯაშუშები, შეენახათ საზოგადოების საიდუმლოება და არ ეღალატათ მშრომელი ხალხის საქმისათვის<sup>21</sup>.

კრების შედეგებმა მალე იჩინეს თავი. გურიის გლეხებმა მემამულეებს და სამღვდლოებს ბოიკოტი გამოუცხადეს. შიშის ზარმა მოიცვა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობა, ისინი ტოვებდნენ სახლ-კარს და ქალაქში გარბოდნენ და შველას თხოვდნენ მთავრობას. მაზრის უფროსის თანაშემწის მოვალეობის აღმასრულებელი ალ. წერეთელი ქუთაისის გუბერნატორს აცნობებდა: „მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობამ მოიცვა მთელი მაზრა. საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციები ძლიერი სისწრაფით მრავლდებიან და მთელი კუთხე აკლებულია რევოლუციონერებისაგან. მარტო მაზრის პოლიციის მოხელეთა ძალები არა მარტო არასაკმაოა, არამედ უძლურიც არის“<sup>22</sup>.

სოფ. მიქელ-გაბრიელის საზოგადოების კრებამ გამოხატა რა მთელი გურული გლეხების ნება-სურვილი, მთავრობას შემდეგი მოთხოვნები წამოუყენა: დალის არსებული წესის მოსპობა და საყანე მიწების გაცემა მერვედად და მეთედად, საბალახოზე გადასახადის მოსპობა, არაყზე აქციზის მოსპობა, სოფლის შარავზების შეკეთება და ეკლესიაზე ყურადღების სავალდებულობა და მიწის გამიჯვნის ხარჯების გადახდევინება ყველა წოდებისთვის, დრამის ფულისა და წოდებრივი უპირატესობის მოსპობა და უფლებით ყველას გათანასწორობა კანონის წინაშე<sup>23</sup>.

კავკასიის მთავარმართებლის სანქციით 1902 წ. 6 აგვისტოს ოზურგეთის მაზრაში გაიგზავნა კახეთა დამსჯელი ექსპედიცია. ჯაშუშების ჩვენებით დაპატიმრებულ იქნა 250 ამბოხების უფრო აქტიურად მონაწილე გლეხი, გურიის თითქმის ყველა სოფელში დაკეტეს ბიბლიოთეკები, საშობაობები, საზოგადოებას წაერთვა მამასახლისის არჩევის უფლება და დააყენეს მთავრობის მამასახლისები წელიწადში 450—500 მანეთი ჯამაგირით, რომელიც სოფელს უნდა ეძლია. ამბოხებულ სოფლებში ჩააყენეს თითოეულში 50—60 სალდათი, სოფლებს შეუსიეს სოფლის მოხელეები და ჩაფრები<sup>24</sup>. მთავრობას ამით უნდოდა გაეტეხა გლეხობის წინააღმდეგობა, მაგრამ ამას ვერ მიაღწია.

<sup>19</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 478.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 455.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 460.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 461.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 463.

გურიის გლახთა მოძრაობამ დიდი გამოხმაურება პოვა საქართველოს ყველა სოფელში. 1902 წ. აგვისტოს ზუგდიდის მაზრის გლახთა მოძრაობის ინიციატორებად გამოდის სოფ. ნარაზენის გლახობა. შემდეგ მათ მიყენენ საჯიჯაოს, მუხურის და ზუგდიდის მაზრის სხვა სოფლის გლახები.

კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე თავის მოხსენებაში შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ზუგდიდის მაზრის გლახთა მღელვარების შესახებ წერდა: „ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა მღელვარება მეზობელ ზუგდიდის მაზრაშიც შემოიქრა. ამ მღელვარების მიზეზები იგივეა, რაც ოზურგეთის მაზრაში“<sup>24</sup>. პოლიციამ რამდენიმე მოთავე გლახი დააპატიმრა, მაგრამ ამით მოძრაობის შეჩერება ვერ შეძლო.

1902 წლის მეორე ნახევარში გლახთა მოძრაობა ვრცელდება სენაკის მაზრის — გულენისკარის, ილორის, გეზათის, საჭილოს, ნავსაკოვოს, მარანის და სხვა სოფლების გლახებში. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებსა და სამღვდლეობას და დაიწყეს მემამულეთა სახლკარის დარბევა. სენაკის მაზრის უფროსი ქუთაისის გუბერნატორს აცნობებდა, რომ მაზრაში გლახთა მოძრაობა ფართოვდება, გლახობა ძალადობაზე გადავიდა და თხოულობდა შევლას და ნებართვას რეპრესიების შესახებ<sup>25</sup>.

აგრარული ხასიათის მოძრაობა სწრაფად გავრცელდა იმერეთშიც — კულაშის, დანირის, ჩხენიშის, ჭავანის და სხვა სოფლის გლახებში. ამბოხებულნი იმერელი გლახობის მოთხოვნები იგივე იყო, რაც გურული და მეგრელი გლახებისა.

აღმოსავლეთ საქართველოში გლახთა მოძრაობას ადგილი ჰქონდა 1902 წლის აპრილში გორის მაზრის სოფ. კარალეთში. ეს მოძრაობა გაფართოვდა ივლის-აგვისტოში, როცა ცნობილი გახდა მათთვის დასავლეთ საქართველოს გლახთა მოძრაობის ამბები. ამბოხება მთელ გორის მაზრას მოედო. ზოგიერთ ადგილში, მაგ. სოფ. სატიხაროს გლახებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის მოხელეებს<sup>26</sup>.

1902 წლის მაისში გლახთა სტიქიურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა თელავის მაზრის სოფ. აწყურსა და ნოდში. გლახებმა მოითხოვეს მიწის ღალის დაკლება და საბალახოზე ფასის შემცირება<sup>27</sup>.

როგორც ვხედავთ, გლახთა მოძრაობა საქართველოში 1902 წლის მეორე ნახევარში აგრარულ ხასიათს ატარებს. უმეტეს შემთხვევაში ის ჯერ კიდევ სტიქიური ხასიათისა და აგრარულ სფეროს არ სცილდება.

ამ დროიდან, როცა მთავრობამ საქართველოს გლახთა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად გამოიყენა სასტიკი რეპრესიული ზომები — ცემაცყეპა, დაპატიმრება, გლახის ადამიანური უფლებების ფეხქვეშ გათელვა, გლახი უნდა მიმხვედარაყო პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას და თავისა ბრძოლის მახვილი მთავრობის წინააღმდეგაც მიემართა.

<sup>24</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტ. მოამბე“, 1959, № 10, გვ. 308.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 341.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 329.



ასეთ პირობებში გლებობას დახმარების ხელი გაუწოდა სოციალ-დემოკრატიამ. 1902 წლის დეკემბერში გაზ. „ბრძოლამ“ მუშებსა და გლებებს მოუწოდა პოლიტიკური ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის დასამხობად<sup>28</sup>.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა 1903 წლის მარტში გამოუშვა სპეციალური პროკლამაცია გურიის გლებობისადმი მოწოდებით ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის დასამხობად. „რუსმა მუშათა კლასმა უკვე გამოიღვიძა, — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — და მთავრობას ოფიციალურად გამოუცხადა თავისი განზრახვა და მოასწრო უკვე შეერყვია რუსეთის დაობებული პოლიტიკური წყობილება. და შორს არ არის ის წუთები, როცა მოისპობა თვითმპყრობელი მთავრობა და იარსებებს თავისუფლება.“

ძმებო! არ ჩამორჩეთ ბრძოლაში. პროტესტი განუცხადეთ მთავრობის ყველა მოქმედებას, შეუერთდით ჩვენს რუს ამხანაგებს და ერთად მოვსპოთ ხალხის დღევანდელი მტერი — მთავრობა. შესაძლოა, რომ ამ ბრძოლამ უმსხვერპლოდ არ ჩაიაროს, მაგრამ წმინდა საქმისათვის მსხვერპლიც უნდა გავიღოთ. ძირს რუსეთის მთავრობა! გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელ ხალხს“<sup>29</sup>.

რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტები ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდნენ სოფლად გლებთა მასებში. მათ მიერ გამოუშვებული პროკლამაციები და ფურცლები დიდ გამარჯვოლუციონერებელ გავლენას ახდენდნენ გლებებზე და ხელს უწყობდნენ მუშებსა და გლებებს შორის საბრძოლო კავშირის დამყარებას.

1903 წლის მარტის შუა რიცხვებში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ გააერთიანა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ნამდვილად ინტერნაციონალურ ორგანიზაციაში — კავკასიის კავშირი.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ყრილობის შემდეგ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი რევოლუციურ-ორგანიზაციული ღონისძიებები გააზორციელა. შექმნა რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანიზაციების ერთიანი მწყობრი სისტემა და ხელმძღვანელი ორგანოები<sup>30</sup>, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს რევოლუციური მოძრაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში.

რსდმპ კავკასიის კავშირში შემავალი კომიტეტები ბეჭდავდნენ პროკლამაციებსა და ფურცლებს როგორც მუშებისათვის, ისე გლებებისათვის.

რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტმა გაშალა სოფლად დიდი მუშაობა. მოაწყო წრეები, სოფლად დაინიშნა საიმედო წარმომადგენლები, გააბა კავშირი სოფლებთან და გააჩაღა მუშაობა; ხალხი უდიდესი ერთუნიანობით შეხვდა კომიტეტის მიერ მუშაობის ახლებურად გაშლას. ამ მომენტიდან მოძრაობამ უკვე მტკიცედ შედგა ფეხი პოლიტიკური ბრძოლის გზაზე.

სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის გვერდით „მისი ტიპის მიხედვით შეიქმნენ გლებთა რევოლუციურ-დემოკრატიული კომიტეტები“<sup>31</sup>. ამ კომიტე-

<sup>28</sup> გაზ. „ბრძოლა“, 1902, № 4.

<sup>29</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მონაბე“, 1959, № 10, გვ. 331—332.

<sup>30</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ნარკვევები, 1957, გვ. 102.

<sup>31</sup> ვ. ა. სტაროსელსკი, გლებთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში (ქუთაინ. „ბილოგ“, № 9, 1906, გვ. 234).



ტებში სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლობა აუცილებლად იყო მიჩნეული, ხელმძღვანელობის გაწვევისა და მისი მუშაობის პარტიული კომიტეტის მუშაობასთან შეთანხმების მიზნით. „ამრიგად, გლეხთა ორგანიზაციები გური-აში, ხოლო უფრო გვიან მთელ საქართველოში განიყოფებოდა ორ ტიპად:

1) რევოლუციური-დემოკრატიული გლეხთა კომიტეტები და 2) სოფლის მუშების სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, რომლებიც მუშაობდნენ პარტიული ცენტრების უშუალო ხელმძღვანელობით და იმყოფებოდნენ მათთან ორგანიზაციულ კავშირში“<sup>32</sup>.

გლეხთა კომიტეტები თითქმის ისეთივე პრინციპზე იყო აგებული, როგორც სოფლის მუშათა პარტიული კომიტეტი. ძირითადი რგოლი იყო წრე, რომელიც „ათისთავს“ ირჩევდა, ათისთავები ირჩევდნენ „ასისთავს“, ასისთავების საბჭო ქმნიდა გლეხთა კომიტეტს, რომლის სათავეში იდგა კომიტეტის მიერ არჩეული „ათასისთავი“ ანუ „წარმომადგენელი“<sup>33</sup>.

ამის შემდეგ მთელი გურია, იმერეთი და სამეგრელო დაიფარა გლეხთა წრეების ფართო ქსელით. გაიშალა დიდი ორგანიზატორული მუშაობა. 1904 წლის ბოლოს მარტო რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მოქმედების რაიონში 600 წრე მუშაობდა.

1903 წლიდან გლეხთა მოძრაობა საქართველოში უფრო მასობრივი გახდა. ამ გამოსვლების დამწყები ისევ ოზურგეთის მაზრის გლეხობა იყო, რომელსაც გამოეხმაურნენ თბილისის, ქუთაისის, გორის, სენაკის და ზუგდიდის მაზრების გლეხები. მუშათა მოძრაობის გავლენით ზოგიერთ ადგილებში გლეხობა დემონსტრაციებსაც მართავდა.

მთავრობა ზომების მიღებას არ აყოვნებდა. ოზურგეთში დააპატიმრეს 200-ზე მეტი კაცი. ბათუმისა და ოზურგეთის ციხეები გაივსო პატიმრებით. ამგვარად მთავრობამ პირდაპირ ომი გამოუცხადა გლეხობას და ამით ნათლად დაანახვა გლეხებს, რომ სანამ არ დაინგრევა მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება, მათი საქმე წინ ვერ წავა.

რეპრესიები უფრო საწინააღმდეგო გავლენას ახდენდა გლეხობაზე. მემამულეები შეშინდნენ და ზოგიერთნი დათმობაზე წავიდნენ, ზოგიერთ ადგილებში დაუკლეს კიდევ ღალა და საიჯარო გადასახადი, როცა გლეხები შინც არ შეუთანხმდნენ თავად მაკუტაძეს, მან უთხრა: წადით და მოიტანეთ ნება კომიტეტისაგან, რასაც გადაწყვეტს ის, თანახმა ვართ“<sup>34</sup>.

ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი კავკასიის მთავარმართებელს სწერდა, რომ მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, რომელსაც გუბერნიის ადმინისტრაცია ხმარობს, ვერ შევძელით გლეხობის წინააღმდეგობის გატეხვა და გლეხობასა და მემამულეებს შორის წინანდელი ურთიერთობის აღდგენაო. ეს ხდება იმიტომ, რომ, — ხაზს უსვამდა სმაგინი, — მოძრაობას საფუძვლად უდევს არა იმდენად ეკონომიური პირობები, რამდენადაც მთავრობის საწინააღმდეგო პრობაგანდაო<sup>35</sup>.

<sup>32</sup> შ. შახნაზაროვი, გლეხთა მოძრაობა საქართველოში და სოციალ-დემოკრატია, 1906, გვ. 46, რუს.

<sup>33</sup> გ. ჯამბურია, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში 1905—1907 წ., გვ. 24.

<sup>34</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „სისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 472.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 337.

1903 წელს დიდ მოძრაობას ჰქონდა ადგილი თბილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის, სოფ. ახპატში. 1903 წ. 11 ნოემბერს თავადი ბარათაშვილი: სტრატეგიებით, სასამართლოს ბოქაული, მაზრის ბოქაული 50 კაზაკით თავს დაესხა ამბოხებულ სოფელს. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. ივრიალა თოფებმა, მოკლულ იქნა რამდენიმე კაცი, მათ შორის ერთი ფეხმძიმე ქალი. იყო მრავალი დაჭრილი. ეს ამბავი სასწრაფოდ ეცნობა თბილისს. თბილისმა ორასი კაზაკი მოაშველა და გუბერნატორმა ბრძანება გასცა ეგზეკუციის ჩაყენების შესახებ. დააპატიმრეს 200 კაცი. მათგან 24 გაგზავნეს თბილისის ციხეში და გადასცეს სასამართლოს.

ორასი კაზაკი ჩაყენეს სოფელში, რომლებიც ფეხქვეშ თელავდნენ მთელს სოფელს. აღწერდა რა ვაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ ახპატელი გლეხების აწიოების ამბავს, წერდა:

„ასეთი დარბევა მოგვაგონებს ძველ დროს, როცა რომელიმე ატილა ანუ მონგოლების ხანი თავს ესხმოდა მეზობელ ერებს“<sup>36</sup>.

გორის მაზრაში აგარაულ-რევოლუციურ მოძრაობაში 1903 წლიდან ისევ ჩაება ბერშუეთის, კასპის, დირბის, დოვისის, ხცისის, სურამის, გარდატენის, ტყვიავის, ფლავის და სხვა სოფლების გლეხები. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ გორის მაზრაში კარგად იყო დაყენებული საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

გლებთა მოძრაობამ ასევე ფართო ხასიათი მიიღო თბილისის მაზრის სოფლებში — შინდისში, ტაბახმელაში, კუმისში, ხატისთელეთში, დუშეთის მაზრის სოფლებში — საშაბურაოში, ბაღსა და სხვ.

საქართველოს გლეხებმა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იწყეს ბრძოლის პროლეტარული ფორმების გადაღება მუშათა კლასისაგან. 1903 წლის ბოლოს და 1904 წლებში მათ არა ერთი პოლიტიკური დემონსტრაცია და ხალხმრავალი მიტინგი ჩაატარეს. 1903 წლის ნოემბერში ახლწვეულ გლეხხალგაზრდობის დემონსტრაციები ჩატარდა ჩოხატაურში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სიღნაღში, ბათუმსა და სხვა ადგილებში.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოწოდებით საქართველოს გლეხკაცობამ 1904 წელს საპირველმაისო დემონსტრაციები გამართა. ოზურგეთის მაზრის ს. ხიდისთავის გლებთა დემონსტრაციას, რომელშიც 400-ზე მეტი გლეხი მონაწილეობდა, თავს დაესხნენ შეიარაღებული სტრატეგიები. დაიწყო სროლა, დემონსტრანტებმაც რევოლვერის სროლით უპასუხეს. ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაეცა ორი გლეხი: ფოცხიშვილი და კალანდაძე. დააპატიმრეს დემონსტრაციის 25 მონაწილე.

ამ შეიარაღებული შეჯახების შესახებ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა სპეციალური პროკლამაცია, სადაც მოუწოდებდა გლეხებს განეგრძოთ ბრძოლა<sup>37</sup>.

ქუთაისის გუბერნატორმა სმაგინმა კავკასიის მთავარმართებლის ნება-რთხით, გურჩის გლებთა მოძრაობის ჩაქრობის მიზნით, განკარგულება გასცა: ოზურგეთის მაზრის ამალგებისა და ფარცხმის საზოგადოებების ყველა მცხოვრებთა განიარაღების შესახებ და ფარცხმის საზოგადოებას წართმეოდა უფ-

<sup>36</sup> ვაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, 1904, № 5—6.

<sup>37</sup> იქვე, № 9.

ლება ყოლოდა არჩეული მამასახლისი, მის მაგივრად დაენიშნათ მთავრობის მამასახლისი წელიწადში 400 მანეთი ხელფასით აღნიშნული საზოგადოების ხარჯზე<sup>38</sup>.

ფარცხმის საზოგადოების განიარაღებისას მოსახლეობას წაერთვა ყველა სისტემის თოფი, მათ შორის 52 სანადირო თოფი, 5 რევოლვერი, 8 პისტოლეთი, 5 ხმალი, 58 ხანჯალი და სხვ.<sup>39</sup>.

ამ სისხლიან შეტაკებათა შესახებ ცნობა სწრაფად გავრცელდა მთელ დასავლეთ საქართველოში და ერთსულოვნად აღიმაღლეს ხმა ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. გლეხობა, — წერდა ვაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, — ყველგან გამოთქვამდა სურვილს ქალაქის პროლეტარებთან შეერთების შესახებ. მთელი გურია, სამეგრელო, იმერეთი გამოეხმაურა მუშების მოწოდებას ბრძოლისაკენ<sup>40</sup>.

ამრიგად, 1903—1904 წლებში გლეხთა მოძრაობა საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, დიდ გაქანებას ღებულობს და აშკარად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებს. ამიტომ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი სავესებით სამართლიანად მიუთითებდა, როცა აჯანმებდა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში და წერდა: „ამნაირად, სოფლის მოძრაობამ მოიპოვა მტკიცე ნიადაგი, პირველ ხანებში ის იყო სტიქიური და შეუგნებელი, ახლა კი სოფლის ღარიბი ხალხისათვის მიზანი გარკვეულია, ნამდვილი გზა აღმოჩენილი. ამ გზაზე მან შედგა ფეხი და კარგი მანძილიც გაიარა წინ. ის, გუშინ შეუგნებელი, მოკრძალები და მოშიშარი, დღეს, გადაიქცა შეგნებულ, ამაყ და უშიშარ მებრძოლად. გუშინ მარტო დღის შემცირებაში და დრამა-ფულეების მოსპობაში ხედავდა ხსნას, დღეს უფრო შორს მიდის: ითვისებს რა პროლეტარიატის მოძღვრებას, სოციალიზმს, შეგნებულად ებრძვის თვითმპყრობელ მთავრობას და უნდა შეიძინოს პოლიტიკური თავისუფლება“<sup>41</sup>.

რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებას საქართველოს პროლეტარიატმა მაშინვე საყოველთაო ვადიციის გამოცხადებით უპასუხა და რევოლუციის მთელს პერიოდში რუსეთის პროლეტარიატის გვერდით მედგარ ბრძოლას აწარმოებდა. რევოლუციის დაწყებისთანავე „უმაგალითო გაქანება მიიღო გლეხთა მოძრაობამ საქართველოში“<sup>42</sup>. ეკონომიურად გაჩანაგებული და პოლიტიკურად დაბეჩავებული საქართველოს გლეხობის უკმაყოფილებას და ბოროტებას საზღვარი არ ჰქონდა, და მუშათა რევოლუციური გამოსვლები ქართველ გლეხებში სიმპათიისა და რევოლუციური ბრძოლისათვის მზა ნიადაგს პოულობდა. გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრაში რევოლუციის დაწყებისთანავე შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა ამბოხებები მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში გადაიზარდა. იანვრის ბოლოს, მუშათა რევოლუციური მოძრაობის გავლენით, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სწრაფად ვითარდება გურიაში. ბოლშევიკების ზელმძღვანელობით გლეხები აწყობენ კრებებსა და მიტინგებს და ქმნიან თა-

<sup>38</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მონაბე“, 1959, № 10, გვ. 420.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 416.

<sup>40</sup> ვაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, 1904, № 9.

<sup>41</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მონაბე“, 1959, № 10, გვ. 471.

<sup>42</sup> რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეხისენი), 1955, გვ. 19.



უხანთ არჩევით ორგანოებს — გლახთა რევოლუციური კომიტეტებს. იანვრის ბოლოს მთელი ოზურგეთის მაზრა გლახთა რევოლუციური კომიტეტების სრულ ძალაუფლებაში გადავიდა<sup>43</sup>. მამასახლისებმა, სოფლის მწერლებმა და სხვა მოხელეებმა ხელი აიღეს თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე და გაიქცნენ სოფლებიდან. რევოლუციური კომიტეტები ახორციელებდნენ მემამულეთა მიწების ჩამორთმევას, გადასახადების გაუქმებას, მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს, ხალხის წარმომადგენლებისაგან ირჩევდნენ სასამართლოებს და აწესრიგებდნენ გლახთა წერილმან საკითხებსაც. მოძრაობაში ჩაბმული აღმოჩნდა მთელი სოფლის მოსახლეობა; მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი. რევოლუციური კომიტეტები სანიმუშო წესრიგს ამყარებდნენ სოფლებში. საქმეებს თვით ხალხი მართავდა, მოლაღატეებს თვით ხალხი ასამართლებდა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „ვერი-ოდი“, აღწერდა რა გურიაში გლახთა რევოლუციური მოძრაობას 1905 წლის იანვარ-თებერვალში, მიუთითებდა, რომ „რევოლუციისათვის მზადაა გურია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დღესვე შეუძლია გამოიყვანოს 15.000 რჩეული ადამიანები. ქალები, მოხუცები, და ბავშვებიც მოიცვა ამ მოძრაობამ... პოლიცია, სასულიერო წოდება, სასამართლო უწყება ფაქტიურად განადგურებულია. საქმეებს მართავს თვით ხალხი. ბოროტმოქმედებს, რომელთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ასამართლებს თვით ხალხი. ქურდობა, ლოთობა თითქმის არსად არ გვხვდება. კრებები და მიტინგები ეწყობა აშკარად, უმთავრესად ეკლესიების ეზოებში. სიტყვის, კრების და კავშირის თავისუფლება ფაქტია გურიაში... მაზრის უფროსმა დასტოვა ქალაქი. რევოლუციური იდეებით იკვებება ყოველი, რევოლუციისათვის ემზადება ყველა, ვისაც კი იარაღის ტარების უნარი აქვს“<sup>44</sup>.

გლახთა რევოლუციურმა კომიტეტებმა დაიწყეს თავიანთი შეიარაღებული წითელი რაზმების შექმნა, რომელთა მეშვეობით ახორციელებდნენ თავიანთ ხელისუფლებას.

თებერვლის ბოლოს მოძრაობა გურიაში სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. მთავრობის ხელისუფლების ცდა, აღედგინა თავისი უფლებები მაზრაში, ამო შეიქმნა. მაზრის 8 პრისტავიდან 1 მოკლულ იქნა, ერთი დაჭრილი, 2-მა მიატოვა თავისი პოსტი და გაიქცა. 4-მა შეიტანა თხოვნა განთავისუფლების შესახებ<sup>45</sup>. მაზრის უფროსი ჯაფარიძე გაიქცა ოზურგეთიდან და თავი შეაფარა ქუთაისს.

რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი არა მარტო ხელმძღვანელობდა გურიის გლახთა რევოლუციური მოძრაობას, არამედ უდიდეს მუშაობას ეწეოდა ქუთაისის გუბერნიის გლახებს შორის გურიის ამბების გავრცელებისა და რევოლუციური მოძრაობის გასაშლელად. მან მობილიზაცია უყო მთელ თავის ძალებს, შეარჩია გაფიცული მუშებიდან უფრო მომზადებული აშხანაგები და დაგზავნა სოფლად პროპაგანდისტებად. კომიტეტის მიერ გამოუშვებელი ვეგმის თანახმად პროპაგანდისტები უხსნიდნენ გლახებს სო-

<sup>43</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 89. რუს.

<sup>44</sup> ვახ. „ვერიოდი“, 1905, 23 მარტი, № 11.

<sup>45</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, გვ. 89—93.



ციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას, თვითმპყრობელობის დამხობის ისტორიულ აუცილებლობას, პროლეტარიატის ბრძოლის საბოლოო მიზანს, სოციალ-დემოკრატიის, როგორც პროლეტარული მოძრაობის ხელმძღვანელის როლს. სოფლად მოწყობილ იქნა სოციალ-დემოკრატიული წრეები და სხვ.

გურიიდან გლენტა მოძრაობა სწრაფად გავრცელდა იმერეთსა და სამეგრელოში. ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკის, შორაპნისა და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში. რსდმპ იმერთ-სამეგრელოს კომიტეტისა და ბათუმიდან გადმოსახლებულ მუშების მეთაურობით გლეხები ბოიკოტს უცხადებენ მემამულეებს, უარს აცხადებენ მათი მამულების დამუშავებაზე, არ ემორჩილებიან მთავრობის მოხელეებს, ცეცხლს უკიდებდნენ კანცელარიებს, სოფელზე ხელმძღვანელობისათვის ირჩევდნენ ხელასუფლების რევოლუციურ ორგანოებს. 1905 წლის დასაწყისში სენაკის მაზრის უფროსი მაზრაში არსებული მდგომარეობის შესახებ თავის მოხსენებაში წერდა: „მაზრის თითქმის ყველა საზოგადოებაში შეიქმნა საკუთარი თვითმართვლობა ათისთავების, ასისთავების, მოსამართლეების და ა. შ. არჩევით... მასების გაერთიანების შედეგად ხალხმრავალ კრებებზე დაიწყო აშკარა პროპაგანდა უმაღლესი ხელისუფლების დამხობისა და რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ“<sup>46</sup>.

ამზონებელი გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლებს, ბელლებს, წისქვილებს და სხვა სამეურნეო ნაგებობებს. თებერვალ-მარტში ზუგდიდის მაზრის სოფლების 35 კანცელარიიდან ამზონებულმა გლეხებმა დაწვეს 19<sup>47</sup>. როგორც მაზრის უფროსი ატყობინებდა გუბერნატორს, მემამულეები და მთავრობის მოხელეები გლეხების წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

ახსიათებდა რა გლენტა რევოლუციური მოძრაობის შედეგად ქუთაისის გუბერნიაში შექმნილ მდგომარეობას 1905 წ. თებერვალში, ქუთაისის გუბერნატორი იტყობინებოდა: „მთელი ადმინისტრაცია სავსებით იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვერსად ვერ პოულობდა გადაჭრით ვერც დახმარებას და ვერც მხარდაჭერას... სტრაჟნიკების მთელი რიგი მკვლელობანი შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს ადმინისტრაციის პირებზე და ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა მიზეზებით სტოვეებს სამსახურს“<sup>48</sup>.

გლენტა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად მთავრობამ მრავალ საშუალებას მიმართა, მაგრამ ვერაფერს გახდა და იძულებული შეიქმნა მიეპართა საგანგებო ზომებისათვის. 21 თებერვალს მეფემ დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში და ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ<sup>49</sup>. ოზურგეთის მაზრა გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან, ხოლო კინტრიშის საბოქაულო ბათუმის ოლქიდან, ისინი დაუქვემდებარეს კავკასიის ჯარებს გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, რომელსაც მიეცა გუბერნატორის უფლებები. მის განკარგულებაში გაიგზავნა „რიონის განსაკუთრებული რაზმის“ ხანელწოდებით 4.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, შეიარაღებული ზარბაზნებით, ტყვიამტრქვევებით და შაშხანებით. სანამ გენერალ ალიხანოვის ჯარი

<sup>46</sup> საქ. ცსია, ფ. 1, საქ. 46, ფურც. 57—63.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>48</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1954, გვ. 341.

<sup>49</sup> იქვე, გვ. 111.

უშუალო მოქმედებას დაიწყებდა, მთავრობამ სცადა აჯანყებული გლეხების მოტყუება დაპირებების საშუალებით და გურიაში მიაგლინა კომისია მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის სულთან კრიმ-გირეის მეთაურობით.

22 თებერვლიდან 8 მარტამდე მან მოიარა გურიის 12 საზოგადოება, სადაც სოფლის საზოგადოების 15—25 კაცისაგან შემდგარი დელეგატები აწარმოებდნენ კრიმ-გირეისთან მოლაპარაკებას.

გლებთა დეპუტატებმა წარმოუდგინეს გურიის გლეხობის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ყველა მხარე და მოძრაობის გამომწვევი მიზეზები. გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეები ღრმად იყო გამჭდარი სოფლის მოსახლეობის შეგნებაში, რომ გლებთა გამსჭვალული იყო რევოლუციური იდეებით, რაც დასტურდებოდა იმით, რომ გურული გლეხების მიერ წაყენებული მოთხოვნები ბოლშევიკური მოთხოვნები იყო, რომ გლებთაში დიდი იყო ბოლშევიკების გავლენა. აი რა იყო ეს მოთხოვნები: ყველა საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაცია და გლებთაზე გადაცემა უსასყიდლოდ, „ჩამონატრების“ დაბრუნება და თავდახსნისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ყოველგვარი საბატონო, საეკლესიო და სახელმწიფო ბეგარის მოსპობა, ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმება, პირდაპირი გადასახადის დაწესება შემოსავლის მიხედვით, წოდებათა გაუქმება და კანონის წინაშე ყველას გათანასწორება, სიტყვის, კრების, ბეჭდვის, კავშირის და გაფიცვის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია, გლეხებისაგან არჩეული სასოფლო სასამართლოების დაარსება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, საყოველთაო, სავალდებულო უფასო სწავლა 16 წლის ასაკამდე, მუდმივი ჯარის გაუქმება და ხალხის საყოველთაო შეიარაღების შემოღება, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე<sup>80</sup>.

ეს მოთხოვნები წამოაყენეს თითქმის ყველა საზოგადოების დელეგატებმა. ისინი მთელი გლებობის სახელით გლებთა უბედურების მიზეზად უმიწობას თვლიდნენ და მოითხოვდნენ ბატონყმობის ნაშთების ლიკვიდაციას და მთელი მიწების კონფისკაციას. „ჩვენს შორის ბევრია ე. წ. დროებით ვალდებული გლეხი, — ამბობდა ერთ-ერთი დეპუტატი, — ისინი იგივე ყმებია. ვისგან და რატომ უნდა გამოისყიდონ მათ ის მტკაველი მიწა, რომელსაც ისინი უხსოვარ დროიდან ამუშავებენ? ეს აშკარა უსამართლობაა და ჩვენ მოვითხოვთ, რათა ყველა არათავისუფალი გლეხები განთავისუფლებულ იქნენ თავიანთი მიწებით ყოველგვარი საფასურის გარეშე... ჩვენ ასევე მოვითხოვთ სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების გლებებზე გადაცემას საკუთრებად“<sup>81</sup>.

გლებთა მოთხოვნებში აშკარად ჩანდა შეგნებული მოძრაობის ნიშნები, რომ ისინი იბრძოდნენ არა მარტო მემამულეების წინააღმდეგ, არამედ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგაც. ამ მოთხოვნებში გამოხატულება პოვა რუსეთის მშრომელ მოსახლეობისა და რუსეთის იმპერიის ხალხთა ნა-

<sup>80</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 128—129.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 121.

ციონალურ-გამანათვისებელი მოძრაობის ერთიანობამ, რევოლუციის უაღრესად ინტერნაციონალურმა ხასიათმა. ჩვენი მოთხოვნილება, — აცხადებდა ერთ-ერთი დებუტატი, — არ არის კერძო გურული ან კავკასიური. ამას მოითხოვს მთელი რუსეთის მუშა ხალხი და გლეხობა, რომელიც ჩვენსავით გაპირებული და შევიწროებულია დღევანდელი მთავრობისაგან. გურიაში მოხელეები ავრცელებენ ყალბ ხმებს, რომ თითქოს ჩვენ ქართველებს ჩვენი მეფე, ჩვენი სახელმწიფო გვინდოდეს. „ეს ტყუილია, ეს საზიზღარი ცილისწამებაა: ჩვენი მოძრაობა განუყოფელია მუშათა მოძრაობისაგან, ვინც უნდა იყოს, რა ეროვნებაც უნდა იყოს გაპირებული კაცი, ჩვენ როგორც ყოველი მუშა რუსეთისა ვებრძვით დღევანდელ წესწყობილებას. ჩვენ უნდა დავანგრეოთ ის და მის ნანგრევებზე ავაშენოთ ახალი, სამართლიანი წესწყობილება. ჩვენთვის ყველა მუშა განურჩევლად ეროვნებისა, ძმებია, ჩვენი და იმათი ინტერესები ერთია“<sup>52</sup>. ამიტომ იყო პარტიის ცენტრალური ორგანო ვაზ. „ვეპერიოდი“ აფასებდა რა გლეხთა მოძრაობას საქართველოში, წერდა: „გლეხთა მოძრაობა გურიაში იშვიათი მოვლენაა მთელი მსოფლიოს ისტორიაში; ეს არაა ჩვეულებრივი გლეხური ბუნტი, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად უერთდება სრულიად რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“<sup>53</sup>.

რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტების ენერგიული მუშაობის შედეგად ქართლ-კახეთის — თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრების გლეხობაც მარტ-აპრილში ჩაბმული აღმოჩნდა რევოლუციურ მოძრაობაში. მათ კავშირი ჰქონდათ თბილისისა და ხაშურის მოწინავე მუშებთან. ამ მაზრებშიც გლეხებმა გადააყენეს სოფლის თანამდებობის პირები, გაანადგურეს სოფლის კანცელარიები და სოფლის საჭირობოროტო საკითხების მოსაგვარებლად შექმნეს თვით გლეხებიდან ხელისუფლების არჩევითი ორგანოები. ვაზ. „ვეპერიოდი“ წერდა, რომ „რევოლუციური მოძრაობის ქარიშხალი ქართლსაც მოედო... მათი მოთხოვნები თითქმის იგივეა, რაც გურულებისა... ყველა აჯანყებულ სოფელში გავზანდილია ჯარები, შეშინებული ახნაურები და თავადები თბილისში გარბიან“<sup>54</sup>.

ამრიგად, 1905 წლის მარტში საქართველოს 19 მაზრიდან 18 მაზრა, მეტწილად, მაგრამ მაინც მოცული იყო გლეხთა რევოლუციური მოძრაობით.

აჯამებდა რა რევოლუციის სამი თვის გამოცდილებას, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი 1905 წლის მარტში პროკლამაციაში „რა გამოირკვა?“ მიუთითებდა, რომ ამ სამი თვის ბრძოლებმა გვიჩვენეს, რომ რევოლუციის ნამდვილი ხელმძღვანელი პროლეტარიატია, რომლის გარშემო იკრებიება მთელი რევოლუციური ძალები, რომ პროლეტარიატს სჭირებია რევოლუციაში მგაარი, მტკიცე, ნამდვილი ხელმძღვანელი პარტია. შემდეგ პროკლამაციაში შეჯამებულია საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობა, სადაც ნათქვამია: „გადახედეთ ქვეყანას, დაუკვირდით, რა სასოებითა და პატივისცემით შეჰყურებს პროლეტარიატს დღევანდელი გლეხკაცობა, გურიიდან

<sup>52</sup> „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 127—128.

<sup>53</sup> ვაზ. „ვეპერიოდი“, 1905, 12 აპრილი, № 14.

<sup>54</sup> იქვე, № 16

დაწყებული ქიზიყამდე, ყური დაუგდეთ, რა გატაცებით იმეორებენ ისინი პროლეტარიატის ძახილს: ძირს მეფის მთავრობა, ვაჟმარჯოს ხალხის მთავრობას, — და დაგვერწმუნებთ, რომ რევოლუციის ხელმძღვანელი, მისი მედროშე, — სწორედ პროლეტარიატი ყოფილა, რომელმაც შიშის ზარი დასცა მეფის მთავრობას“<sup>55</sup>.

გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა მიზნად ისახავდა ძველი წყობილების ძირეულად შეცვლას, სოფლად ფეოდალიზმის ნაშთების აღმოფხვრას. ამ ცვლილებების მოსახდენად ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სოფლად იქმნებოდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები. 1905 წლის გაზაფხულზე გლეხთა რევოლუციური კომიტეტები მოქმედებდნენ საქართველოში — ოსურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის, გორის, დუშეთის, თბილისისა და თელავის მაზრებში.

გლეხთა რევოლუციური კომიტეტები წარმოშობის პირველ ხანებში თავიანთ ფუნქციებს განსაზღვრავდნენ მთავრობის დაწესებულებებისა და მემამულეების ბოიკოტით. ხოლო შემდეგში, როცა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, როცა სოფლად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ფაქტიურად ლიკვიდირებულ იქნენ, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ასრულებდნენ რა შეიარაღებული აჯანყების ორგანოების ფუნქციას, იღებდნენ ხელში მმართველობის ფუნქციას, იქცეოდნენ რევოლუციური ხელისუფლების ორგანოდ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი აძლიერებს თავის ხელმძღვანელობას სოფლებისადმი. ადგილებზე ხელმძღვანელობისათვის 1905 წ. მარტში ა. წულუკიძე გაიგზავნა ქუთაისის გუბერნიაში, მ. დავითაშვილი — ქართლის რაიონებში, ს. ორჯონიკიძე — ბათუმში, სოხუმში და შემდეგ — შორაპნის მაზრაში, ი. ბ. სტალინი არაერთხელ გამგზავრებულა დასავლეთ საქართველოს რაიონებში<sup>56</sup>.

რსდმპ III ყრილობამ 1905 წლის აპრილში, ვ. ი. ლენინის წინადადებით ერთ-ერთ საკითხად განიხილა გლეხთა მოძრაობა კავკასიაში. ამ საკითხზე თავის მოხსენებაში მიხა ცხაკაიამ საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მდიდარი მასალების საფუძველზე, ყრილობას გადაუშალა. გლეხთა მოძრაობაში სდმ პარტიის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სურათი. ამხ. მ. ცხაკაიას მოხსენებამ ყრილობაზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ყრილობა მიესალმა გლეხთა შეიარაღებული ბრძოლების დაწყებას ცარიზმის წინააღმდეგ. მიიღო სპეციალური რეზოლუცია „კავკასიის ამებების გამო“, ყრილობამ აღნიშნა, რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე, რისთვისაც რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მსურველ საღამო უძღვნა კავკასიის გმირ პროლეტარიატს და გლეხობას და დაავალა პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს „უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში. საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრების და სხვ. გზით,

<sup>55</sup> რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 353.

<sup>56</sup> ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 224.



აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით<sup>57</sup>.

პარტიის III ყრილობამ პარტიის ერთ-ერთ უაღრესად მთავარ და გადაუდებელ ამოცანად დასახა — პროლეტარიატის დარაზმვა შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობასთან უშუალო ბრძოლის საწარმოებლად და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს, მიიღონ უაღრესად ენერგიული ზომები შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

რსდმპ კავკასიის კავშირმა და მასში შემავალმა კომიტეტებმა ვაშალეს უდიდესი მუშაობა ქალაქად და სოფლად. მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშათა მოძრაობის გავლენით საქართველოს სოფლებში არ ცხრებოდა გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, ენერგიულად ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

დიდ მზადებას ჰქონდა ადგილი ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის მაზრებსა და სოხუმის ოკრუგში. სენაკის მაზრის უფროსი 2 სექტემბერს იტყობინებოდა, რომ სენაკის მაზრაში „ამზადებენ საყოველთაო შეიარაღებულ რევოლუციურ აჯანყებას. ასეთის შემოწმების დღედ „საბრძოლო ორგანიზაცია“ დანიშნა 4 სექტემბერი ახალ-სენაკში. მაზრაში სრული ანარქიაა, არავის ხელისუფლებას არ ცნობენ, მრავალრიცხოვან შეიარაღებულ დემონსტრანტ ბრბოს მსვლელობა, წითელი დროშებით მარსელიოზის სიმღერებით და გააფთრებული შეძახილებით — „ძირს მეფე, სიკვდილი მას, გაუმარჯოს რესპუბლიკას“ ხდება თითქმის ყოველდღე. ხალხი აჯანყებისათვის საგსებით მომზადებულია და აქვს მნიშვნელოვანი რაოდენობით იარაღი“<sup>58</sup>.

სრულიად რუსეთის მუშათა ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ უდიდესი გამოხმაურება პოვა მთელს საქართველოში. ახალი სიძლიერით გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა სოფლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზურგეთის მაზრაში, სადაც ოქტომბერში მწვავე შეიარაღებულ აჯანყებას ჰქონდა ადგილი. 18—20 ოქტომბერს ნასაკირალის მთიან ადგილებში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ ბრძოლებს გლეხებსა და პოლიცია-ჯარის ნაწილებს შორის. მოკლულ იქნა 10 პოლიციელი და ჯარისკაცი, დაჭრილ იქნა — 14, ტყვედ ჩაივდეს — 6, შეიარაღებულმა რაზმელებმა დაკარგეს 2, ხოლო დაიჭრა 1. როგორც მაზრის უფროსი იტყობინებოდა ნასაკირალის ბრძოლებში მონაწილეობდა 4 000-მდე კაცი.

მთავრობამ გადაწყვიტა, ოქტომბრის ბოლოს დაეძრა ჯარის მსხვილი შენაერთები გურული გლეხების წინააღმდეგ. მაგრამ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მთელ საქართველოში მოაწყო მთავრობის ამ გაზნარავის საპროტესტო მიტინგები, სადაც გამოქონდათ რეზოლუციები მოთხოვნებით, რათა მთავრობას ხელი აეღო გურიის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აჯანყებით ემუქრებოდნენ. მთავრობა იძულებული გახდა მოეხსნა გურიაში სამხედრო წესები და ოზურგეთში მყოფი პლასტუნთა ბატალიონიც გამოეწვია იქიდან.

1905 წლის ნოემბერში რსდმპ კავკასიის კავშირის II კონფერენციამ მიიღო დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ და აირჩია

<sup>57</sup> სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ტ. I, გვ. 101.

<sup>58</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 282.

კავკასიის ბიურო სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტისა და საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობისათვის.

კონფერენციამ ხაზი გაუსვა გადამწყვეტი მომენტის მოახლოებისას გლეხობის დიდ როლს. გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისა და მათი პროლეტარიატის ირგვლივ დარაზმვის მიზნით, პარტიული ორგანიზაციებს დაავალა დაუყონებლივ შესდგომოდნენ ყველგან ფართო დემოკრატიზმის საწყისებზე გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნას, რომელთა მიზანი იქნებოდა ბატონყმობისაგან გლეხთა ფაქტიური განთავისუფლება<sup>59</sup>.

<sup>4</sup> H. Winckler, Die Keilschrifttexte Sargons, 1889, Die Annalen, სტრ. 46—50; D. Luckenbill, Ancient Records of Assyria and Babylonia, Chicago, 1926, II, 8.





დი ეძებს. მითასთან მკიდრო კონტაქტში ჩანან ბით-ბურუთაშის<sup>5</sup> მთავარი ამბარისი, აგრეთვე ათუნას (ვარიანტი თუნა, ხეთური წყაროების—Tuwanuwa, ანტიკური ტიანისი, თანამედროვე კიზლი-პისარი)<sup>6</sup> გაზგებელი მათი (ARAB, II, 24). „ანაღების“ სხვა მითითებებიდან ვიცით, რომ ძვ. წ. 715 წ. სარგონ II-მ კვლავ დაიმორჩილა იმავე მითას მიერ მიტაცებული, ასურეთის ქვეშევრდომობაში მყოფი, კუეს (კილიკიის<sup>7</sup>) ქალაქები—ხაარუა და უშნანისი<sup>8</sup>.

საშიშროება ფრიგიის მხრიდან იმდენად რეალური იყო, რომ ძვ. წ. 712 წ. ასურელები ჩვენთვის საინტერესო ქვეყნის საზღვარზე ციხე-ქალაქებს—უსის, უსიანს და უარგინს აგებენ<sup>9</sup>. სარგონ II-ის „ანაღების“ მიხედვით, ასურელებმა „სამუდამოდ ჩაქეტეს ფრიგიელთა კარი“<sup>10</sup>. მაგრამ, როგორც ჩანს, მიღებული ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა. კუეს მმართველმა უკვე 709 წ. ილაშქრა მუშქების ქვეყნის წინააღმდეგ. მითა, რომელსაც სარგონ II-მ აღასურეთის არც ერთი მეფისათვის მორჩილება არ განუცხადებია, იძულებული გახდა ძვირფასი ძღვენი და ხარკი გაეგზავნა სარგონ II-სათვის<sup>11</sup>.

ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიის პოლიტიკური ვითარების დახასიათებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1958 წ. H. W. Saggs-ის მიერ გამოქვეყნებული ნიმრუდის წერილები<sup>12</sup>, რომელთაგან ერთ-ერთი ასურეთის მეფის ბრძანებულბაა<sup>13</sup>. ამ უკანასკნელი დოკუმენტის თანახმად, ფრიგიელთა მეფემ დააკავა და ასურეთის წარმომადგენელს კუემი გადასცა ურიკის<sup>14</sup> მიერ ურარტუში წარგზავნილი დელეგაცია 14 კაცის შემადგენლობით (ამ დიპლომატიურ მისიას ანტიასურული ხასიათი ჰქონდა). წერილში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მუშქების მეფე მითა ასურეთის მოკავშირე და მეგობარია. ასურეთის მეფე, რომლის სახელი, სამწუხაროდ, წერილში არ არის მოხსენიებული, კმაყოფილია ამ სასიხარულო ამბით. იგი რჩევას აძლევს თა-

<sup>5</sup> ბით-ბურუთაში ტაბალის ერთ-ერთი პროვინცია იყო. იხ. H. Gelzer, Kappadokien und seine Bewohner, 1875, გვ. 15; E. Forrer, Die Provinzeinteilung des Assyrischen Reiches, Leipzig, 1920, გვ. 73—74; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

<sup>6</sup> ARAB, II, გვ. 488; АВИИУ, N 44, შენ. 9; D. G. Hogarth, САИ, III, გვ. 166 შმდ.; J. Garstang, O. R. Gurney, The Geography of the Hittite Empire, 1959, L., გვ. 64—65, 72—74.

<sup>7</sup> კუეს იდენტიფიკაციისათვის იხ. A. Goetze Kizzuwatna and the Problem of Hittite Geography, New-Haven, 1940, გვ. 1—2; W. F. Albright, Cilicia and Babylonia under the Chaldean Kings, BASOR, N 120, 1950, გვ. 20—25.

<sup>8</sup> H. Winckler, Die Annalen, სტრ. 192—193; ARAB, II, 27; E. Forrer, დასახ. ნაშრ., გვ. 76—77; 6. ხაზარაძე, „მუშქების ქვეყნის“ სახელწოდების აღდგენის საკითხისათვის თუქლთი-ნიურთა II-ის „ანაღებში“, აღმოსავლური კრებულები, I, თბ., 1960, გვ. 84—85.

<sup>9</sup> E. Forrer, დასახ. ნაშრ. გვ. 76 შმდ.

<sup>10</sup> H. Winckler, Die Annalen, სტრ. 371—383; ARAB, II, 42, 43, შდრ. 71; P. 150—153; Cyl. 24. იხ. აგრეთვე, 6. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84 შმდ.

<sup>11</sup> H. Winckler, Die Annalen, სტრ. 371—383; ARAB, II, 42, 43.

<sup>12</sup> H. W. Saggs, The Nimrud Letter. The Urartian Frontier, 1952, IV, „Iraq“, XX, 2, 1958, გვ. 205.

<sup>13</sup> წარწერაში იკითხება საკუთარი სახელის პირველი მარცვალი „-sin“. იხ. H. W. Saggs, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

<sup>14</sup> ურიკის მოხსენიებას თიკლათილესერ III-ის დროინდელ წარწერებშიც ვხვდებით იხ. ARAB, I, 769, 772, 801.

ვის წარმომადგენელს კუეში იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი, რათა განამტკიცოს მუშქებთან დამყარებული მეგობრული დიპლომატიური ურთიერთობა<sup>15</sup>.

H. W. Sagg's-ის ვარაუდით, ამ დოკუმენტში არეკლილი ამბები 710 წ. უნდა დათარიღდეს<sup>16</sup>. მაგრამ H. W. Sagg's-ის მიერ გამოქვეყნებული წერილისა და სარგონ II-ის დროინდელი წარწერების ურთიერთშეპირისპირება, ჩვენი აზრით, სხვა თარიღზე მიუთითებს.

როგორც აღვნიშნეთ, 709 წ. ასურელებმა წარმატებით ილაშქრეს და დაარბიეს ფრიგიის სამეფოს განაპირა რაიონები. თუ დავუშვებთ, რომ ნიმრუდის წერილში ასახული ისტორიული ვითარება 710 წელს განეკუთვნება, მაშინ აუხსნელი რჩება ის მიზეზი, რომელმაც აიძულა ასურელები უკვე 709 წ., ე. ი. ფრიგიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებიდან ერთი წლის შემდეგ, დაერბიათ თავისი მოკავშირის მიწა-წყალი.

ნიმრუდის წერილი რომ უფრო მოგვიანო ხანის ამბებს გადმოგვცემს, ამაზე შემდეგი გარემოებაც უნდა მიუთითებდეს. სარგონ II-ის „ანალებში“ და ამავე მეფის ხორსაბადის სასახლის კედლის წარწერებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ის, რომ 709 წლის ლაშქრობის შედეგად შეწყუხებული და შეშინებული მუშქების მეფე, რომელსაც სარგონ II-მდე არც ერთი მეფისათვის მორჩილება არ განუცხადებია, იძულებული გახდა საჩუქრები გაეგზავნა ასურელებისათვის<sup>17</sup>. ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ ფრიგიელთა მეფის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა და ასურეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება 709 წ. ლაშქრობის უშუალო შედეგი იყო. ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ნიმრუდის წერილში გადმოცემული ამბებიც ასევე 709 წ. დამარცხებით იყო შეპირობებული.

ფრიგიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს შორის არსებულ საგარეო ურთიერთობაზე, ძველადმოსავლური წყაროების გარდა, მიუთითებენ სხვა არაპირდაპირი მონაცემებიც, სახელდობრ კი, XX ს-ის დამდეგს ანტიკური ტიანისის ნანგრევებში იმ ძველფრიგიული წარწერის აღმოჩენა, რომელშიც მუშქების მეფე მითა მოიხსენიება<sup>18</sup>.

ფრიგიელთა აქტიურ საგარეო პოლიტიკას განსაზღვრული სავაჭრო-ეკონომიური ინტერესები ამოძრავებდა, იგი თავის მხრივ აპირობებდა აღმოსავლეთ მცირე აზიის ქვეყნებსა და ფრიგიას შორის კულტურული და სავაჭრო-ეკონომიური მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას.

ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიის საგარეო ურთიერთობათა დახასიათებისათვის, ძველადმოსავლურ და ანტიკურ წერილობით წყაროებთან ერთად, საგულისხმო მონაცემებს გვაძლევენ ფრიგიის უძველეს დედაქალაქში—

<sup>15</sup> H. W. Sagg's, დასახ. ნაშრ., გვ. 182—183.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 202—208.

<sup>17</sup> H. Winckler, Die Annalen, სტრ. 371—383; ARAB, II, 42—43; შდრ. Pr. 150—153, Cyl. 24.

<sup>18</sup> J. Garstang, Notes on a journey throught Asia Minor, AAAn, I, 1908, გვ. 10—11; J. J. Myres, Midas beyond the Halys. A further notes on the Black Stone from Tyana, AAAn, I, 1908, გვ. 13—16; J. Friedrich, Kleinasiatische Sprachdenkmäler, Berlin, 1932, გვ. 127—128, წარწერა N 19.

გორდიონში (თანამედროვე იასი-ჰუიუქი) წარმოებული ახალი არქეოლოგიური გათხრების მასალები<sup>19</sup>. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გორდიონის ძვ. წ. VIII-ის ბოლოსა და ძვ. წ. VII ს-ის პირველი მეოთხედით დათარიღებულ ე. წ. „წინაკიმერიული ხანის“ ყორღანული სამარხების ინვენტარში მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთ მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის აუზის (სახელდობრ, კუნძულ კვიპროსის) ნაწარმს ვხვდებით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ბრინჯაოს დიდი ზომის ქვაბ-ქოთნები, რომელთაც სკულპტურული დეტალებით შემკული სახელურები ამშვენებს. 1957 წ. გათხრილ ყველაზე დიდ ყორღანულ სამარხში (ყორღანი — MM) 3 ქვაბ-ქოთანი იქნა აღმოჩენილი. ერთ-ერთ ასეთ ქვაბ-ქოთანს (მისი სიმაღლეა 51.5 სმ, ხოლო დიამეტრი 78 სმ) ოთხი სახელური აქვს, რომლებიც სირინოზის თავებით არიან შემკული. მეორეს — ხარისთავიანი სახელურები ამშვენებს<sup>20</sup>.

რ. იანგის ვარაუდით, სირინოზის თავით შემკული სახელურები ასურეთიდანაა შემოტანილი<sup>21</sup>. რაც შეეხება ხარისთავიან სახელურებს, მათ პარალელები მოეპოვებათ ურარტული ხელოვნების ნიმუშებში. ხარისთავიანი ანალოგიური ქურჭელი აღმოჩენილია ეტრურიაშიც, ბერნანდინის სამარხში<sup>22</sup>.

ამავე MM — ყორღანში ბრინჯაოს 2 სიტულა აღმოჩნდა. ანაოგან ერთს ცხვრის თავის ფორმა აქვს, მეორეს კი — ლომისა<sup>23</sup>. ცხვრისთავიანი სიტულა უნიკალურია. იგი დიდი გემოვნებითაა შესრულებული; თვალის ჭრილი თეთრი პასტით აქვს ამოვსებული, ხოლო გუგებისათვის შავი ქვა გამოუყენებიათ. ცალკეული დეტალები გრავირების მაღალი ტექნიკითაა შესრულებული. ლომისთავიან სიტულას კი პარალელები მოეპოვება სარგონ II-ის (722—705) ხორსაბადის სასახლის რელიეფებზე, რომლებზედაც სამეფო ქარის რიტუალის სხვადასხვა სცენაა აღბეჭდილი (ერთ-ერთ მათგანზე, რომელზედაც ღვინის ამოღების ცერემონიაა გადმოცემული, გორდიონში მოპოვებული სიტულების მსგავს ქურჭელს ვხვდებით)<sup>24</sup>.

ამავე დროს, სტილისტურად სიტულების ლომისთავები ძალზე მოგვაგონებს ურარტული სახვითი ხელოვნების ნიმუშებს (სახელდობრ, მუსასირში ხალდის ტაძარში და კარმირ-ბლურზე აღმოჩენილ ფარებზე გამოსახულ ლომის თავებს)<sup>25</sup>. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ასურული რელიეფების პროტოტიპებად ასურეთში ურარტულად ნადავლის სახით შემოტანილი

<sup>19</sup> ნ. ხაზარაძე, გორდიონის ყორღანული სამარხები, „კავკასიურ-აზოლანოსაგოლოგიური კრებული“, თბ., 1952, II, გვ. 255 შმდ.

<sup>20</sup> „Archaeology“, 10, N 3, 1957, გვ. 219, ფოტო № 1; An St, VI, 1956, გვ. 205, შმდ.; AJA, 62, № 2, 1958, გვ. 151; იქვე, ტაბ. 25, ფოტო: 15—17.

<sup>21</sup> AJA, 62, N 2, 1958, გვ. 151.

<sup>22</sup> „Archaeology“, 10, N 3, 1957, გვ. 217 შმდ.; იქვე, 11, N 4, 1958, გვ. 227—231; AJA, 62, N 2, გვ. 151—152; Maxwell-Hyslop, Urartian Bronzes in Etruscan Tombs, „Iraq“, 18, N 2, 1956, გვ. 150—167.

<sup>23</sup> „Archaeology“, 10, N 4, 1957, გვ. 239; AJA, 62, N 2, 1958, გვ. 152, ფოტო ბოლო გვერდზე.

<sup>24</sup> P. E. Botta, Monument de Ninive, Paris, 1849—1850, I, ტაბ. 64—65; I. Bonomi, Nineveh and its Palaces, L., 1858, გვ. 186, შმდ., ფოტო 83—84, შდრ. 85.

<sup>25</sup> P. E. Botta, დასახ. ნაშრ., ტაბ. 141; „Iraq“, 1950, № 12, გვ. 1 შმდ.; იქვე, 1954, № 16, გვ. 3 შმდ.; Б. Е. Пиотровский, Ванское царство, ტაბ. XXXVI.



ან კულტურულ-ეკონომიური გაცვლის გზით მოხვედრილი, ანალოგიური ნივთები ყოფილიყვნენ<sup>26</sup>.

ბრინჯაოს სხვა იმპორტული ნივთებიდან აღსანიშნავია აგრეთვე 1959 წ. N—ყორღანის აღმოჩენილი ომფალოსიანი თასი, რომელსაც რელიეფური დეკორი ამშვენებს<sup>27</sup>. ამასთანავე, ურადღებას იქცევს ლურჯი ფიანისის სამი ჭურჭელი და მინის ფილა (ყორღანი—P)<sup>28</sup>. Axel von Saldern-მა სპეციალურ გამოკვლევაში, რომელიც გორდიონში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის შესწავლას მიეძღვნა, დამაჯერებლად დაგვანახვა, რომ ამ ჭურჭლის სამშობლო ასურეთი იყო<sup>29</sup>.

მე. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიის სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს გორდიონში კვიპროსული წარმოშობის ჭურჭლის, ლეკითებისა და დიდი ზომის სახელურებიანი თასების, აღმოჩენა<sup>30</sup>.

ფრიგიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიის რაიონებს შორის არსებულ ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიურ კონტაქტებზე „ბიბლიის“ ზოგიერთი მითითებაც უნდა ლაპარაკობდეს. იეზეკიელის ტვიროსის გოდებაში ვკითხულობთ: „ივანი, თობელი და მოსოხ (ფრიგია—ნ. ხ.) ვაჭრობდნენ შენ შორის სულგებსა კაცთასა და ჭურჭელნი რგალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“ (იეზეკიელი, XXXVII, 13). ფრიგიიდან ბრინჯაოს ნაწარმის ექსპორტს ამ ქვეყანაში ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე აპირობებდა.

მე. წ. VIII ს-ის დასასრულის ყორღანულ სამარხებში წარმოდგენილია ბრინჯაოს ადგილობრივი წარმოების (ფრიგიული) ნივთები: დიდი ზომის ქვაბ-კოთნები, დიდი და მცირე ზომის დოჭები (სამტუჩა, მრგვალი და გრძელ-ცხვირიანი), კოპებიანი თასები, ომფალოსიანი ფიალები, უბრალო ფიალები, ჯამები, ჩაშიები და თეფშები<sup>31</sup>. ჭურჭლის გარდა, ყორღანებში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ბრინჯაოს ფიბულები (მაგალითად, MM—ყორღანში 175 ფიბულა იქნა აღმოჩენილი, W—ყორღანის კამერის აღმოსავლეთ მხარეს კი—34)<sup>32</sup>, სარტყელები, ბალთები, ლურსმნები, კაუჭები, სათამაშო კოჭები და მცირე ზომის დეკორატიული დისკოები<sup>33</sup>. ფრიგიელები ბრინჯაოს იყენებდნენ ტყავის, ხისა და ქსოვილების გალამაზების მიზნითაც<sup>34</sup>.

<sup>26</sup> AJA, 62, N 2, 1958, გვ. 152, შენ. 27.

<sup>27</sup> AJA, 64, N 3, 1960, გვ. 231; იქვე, შენ. 11 და ტაბ. 56, ფოტო 9.

<sup>28</sup> AJA, 61, N 4, 1957, გვ. 328; იქვე, ტაბ. 94, ფოტო 32.

<sup>29</sup> იქვე; Axel von Saldern, Glass finds at Gordion, „Journal of Glass Studies“, 1, 1959, გვ. 25 შმდ.; 49 გვ.-ზე იხ. სპექტოგრაფიული ანალიზის შედეგები.

<sup>30</sup> „Archaeology“, 9, N 4, 1956, გვ. 266—267; AJA, 61, N 4, 1957, გვ. 329—330; იქვე, ტაბ. 96, ფოტო 37—38; 62, N 2, 1958, გვ. 150; იქვე, ტაბ. 30, ფოტო 14; ტაბ. 27, ფოტო 23—25; An St, VII, 1957, გვ. 18.

<sup>31</sup> AJA, 61, N 4, 1957, გვ. 328—329; 62, N 2, 1958, გვ. 150 შმდ.

<sup>32</sup> AJA, 62, N 2, 1958, გვ. 152.

<sup>33</sup> იქვე, 62, N 3, 1960, გვ. 266.

<sup>34</sup> AJA, 61, N 4, 1957, გვ. 326; ფრიგიის ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიასთან დაკავშირებით იხ. Ann Konrad Knudsen, Bronze Vessels from Gordion and Evidence for Phrygian Metal-Working Techniques, AJA, 64, N 2, 1960, გვ. 187; მისივე, Relations between the Pottery and Metal Vessel Industries at Gordion in Eighth century B. C., AJA, 65, N 2, 1961, გვ. 191.





ჩვენთვის საინტერესო ხანაშივე საეარაუღებელია მონებით ვაჭრობაც<sup>35</sup>. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „ბიბლიის“ შემომოტანილი ცნობა, რომლის თანახმად, ივანე, თობელი და მოსოხი „სულგბსა კაცთასა“ ვაჭრობდნენ.

ძვ. წ. VIII ს-ის ფრიგიის საეაჭრო ურთიერთობის ისტორიის შესწავლისას ცალკე ისმის საკითხი ფრიგიაში ხე-ტყისა და ლითონების იმპორტის შესახებ.

ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ ყორღანული სამარხების ინვენტარში დიდი როლდენობითაა წარმოდგენილი ხის სარეცლები, მცირე და დიდი ზომის სკამები, სამეფო სავარძლები, სამეფა და ოთხფეხა მაგიდები, შირმები, სკივრები (მაგალითად, MM—ყორღანში, კამერის აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩენილია 9 სამეფა დეკორატიული მაგიდა, და 2 შირმა; ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში—3 დაბალი მაგიდის ფრაგმენტები; ჩრდილოეთ კედელთან, სარეცელის თავთან—ერთი უბრალო მაგიდა, კამერის ცენტრალურ ნაწილში—5, სამხრეთ კედელთან, სამხრეთაღმოსავლეთ კუთხეში—2)<sup>36</sup>.

ფრიგიულ ავეჯს სახეიმა ხასიათი აქვს. მისი შემქმნელნი ხის დამუშავებისა და გალამაზების ურთულეს ხერხებს იყენებდნენ (ინკრუსტაცია, გრავირება, ჩუქურთმა, მოზაიკა). ძვ. წ. VIII ს-ის ავეჯისათვის დამახასიათებელია გეომეტრიული ორნამენტი.

ყორღანის ყორღანულ სამარხებში ხის ჭურჭელსა (ლანგრები, ბრინჯაოს სახელურიანი ჯამები, კოვზები) და ცხოველების მცირე ზომის ფიგურებსაც ვხვდებით<sup>37</sup>. ფრიგიელები ხის მასალით აგებდნენ ყორღანული სამარხების კამერებს; ხეს იყენებდნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაშიც<sup>38</sup>. ქიმიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ავეჯისა და ხის სხვა ნაწარმისათვის ხმარობდნენ შავი ფიჭვის, ნეკერჩხლის, წიფლის, კედარის, ბზის, მსხლის, ურთხელისა და ალვის ხის მერქანს<sup>39</sup>. მაგრამ, როგორც ცნობილია ფრიგია ღარები იყო ტყით. მდინარეების (სანგარიოსისა და მენდროსის) ნაყოფიერი ველების გარდა, რომელნიც კლიმატური პირობების გამო ხელს უწყობდნენ ამ რაიონებში მევნახელობის განვითარებას<sup>40</sup>, ფრიგიის დანარჩენი ტერიტორია უფრო შესაქონლეობისათვის იყო გამოსადეგი<sup>41</sup>. შემთხვევითი როდია, რომ ძვ. წ. V ს-ის ავტორი ჰეროდოტე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფრიგიელები მდიდარნი არიან საქონლითა და „მიწის ნაყოფით“ (ფრიგიელები—*πασιπαρο-*

<sup>35</sup> შდრ. Древняя Греция, М., 1956, გვ. 243.

<sup>36</sup> AJA, 62, № 2, 1958, გვ. 150; იქვე. ტაბ. 24, სურ. 14, ტაბ. 27, ფოტო 23—35.

<sup>37</sup> P—ყორღანში ნაპოვნი რამდენიმე საინტერესო მინიატურა: ერთ-ერთი მათგანი ღომისა და ხარის შებრძოლების სცენას ჯდმისცემს, მეორე—ღომის ფიგურა (მისი სიმაღლე 7 სმ-ია), ხოლო მესამე—ულლიანი კამეჩი. AJA, 61, № 4, 1957, ტაბ. 91, ფოტო 18—21; Ellen L. Kohler, Phrygian Miniature Animal-Carving (მოთქენების ანოტიკა); იხ. AJA, 64; № 2, 1960, გვ. 187.

<sup>38</sup> AJA, 64, № 3, 1960, გვ. 327—40.

<sup>39</sup> AJA, 61, № 4, 1957, გვ. 326; An St, 7, 1957, გვ. 18.

<sup>40</sup> შემთხვევითი როდია, რომ „ილიადას“ ავტორი ფრიგიის მოხსენიებისას საგანგებოდ მუთითებს: *Φρυγίην... ἀμπελόεσσαν...* იხ. Homer, Iliad, III, 184.

<sup>41</sup> H. Kiepert, Lehrbuch der alten Geographie, Berlin, 1878, გვ. 86, 102 შმდ.

βατταται και παλακαρταται<sup>42</sup>). I ს-ის მწერალი ვიტრუვიუსი კი სავანგებოდ აღნიშნავს, რომ ფრიგიელები უტყუო ქვეყანაში ცხოვრობენო. სხვადასხვა ხის პერქანის გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ ფრიგიელებს ხის მასალა აღმოსავლეთ მცირე აზიის სხვადასხვა რაიონებიდან შემოჰქონდათ. ტყით მდიდარი იყო პონტოს მთების მიდამოები (ფიქვი, კედარი, მუხა, ბუა), ასევე აღმოსავლეთ მცირე აზიის სამხრეთით მდებარე რაიონებიც.

საფიქრებელია, რომ ფრიგიის ბუნებრივ სიმდიდრეთა ნაკლებობა ამ ქვეყნის მკვიდრთ აიძულებდა ლითონებიც შემოეტანათ მეზობელი რაიონებიდან.

სპეციალურ სამეცნიერო ლატერატურაში<sup>43</sup> მრავალგზის მიუთითებენ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეზე. ძველადმოსავლური (ასურული, ურარტული) და ანტიკური წყაროების მონაცემებით, აღმოსავლეთ მცირე აზიისა და ჩრდილოეთ სირიის რაიონები მდიდარი იყო ოქროთი, ვერცხლით, სპილენძით, ტყვიით, კალითა და რკინით<sup>44</sup>.

ჩრდილოეთ სირიისა და კილიკიის ცალკეული ცენტრები სატრანზიტო ვაჭრობის მონოპოლიით სარგებლობდნენ<sup>45</sup>. შემთხვევითი როდია, რომ კილიკია, რომელსაც არ გააჩნდა ლითონის (*resp.*, რკინის) საკუთარი საბადოები, ბაბილონეთის ახალი სამეფოს ხანის დოკუმენტებში მოხსენებულია ასურეთში რკინის შეტანასთან დაკავშირებით<sup>46</sup>. საგულისხმოა, რომ ძვ. წ. XIII ს-ის ხეთურ წერილობით წყაროში (ხათუსილი III-ის წერილი სალმანასარ I-სადმი) საუბარია parzillu damqu-ს („ქარგი რკინის“) საწყობის შესახებ, რომელიც ხეთების მიერ საკუთრება და ქიციათნაში (კილიკიაში) მდებარეობს<sup>47</sup>.

კილიკიისა და ფრიგიის ახლო გეოგრაფიულ მდებარეობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ფრიგიის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის.

ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულის ფრიგიის სავაჭრო ურთიერთობათა ზოგადი სურათის ასახვისას ისმის საკითხი აღნიშნულ პერიოდში დასავლეთ მცირე აზიასთან და საბერძნეთთან ფრიგიის ურთიერთობის შესახებაც.

ძვ. წ. VIII-ის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ არქეოლოგიურ მასალებში (გორდიონის სამოსახლო ბორცვიდან და ყორღანული სამარხებიდან) სრულიად არ გვხვდება ბერძნული ან დასავლეთ მცირეაზიური წარმოშობის ნივთები. ფრიგიისა და ბერძნული სამყაროს ყველაზე ადრეული ურთიერთ-

<sup>42</sup> Herodotus, V, 49.

<sup>43</sup> W. F. Albright, Ninib—Ninurta, JACS, 38, № 3, 1918, გვ. 199. შმდ.; მისივე Cilicia..., გვ. 24; V. G. Childs, The Most Ancient East, L., 1934, გვ. 114 შმდ.; R. S. Forbes, Metallurgy, in Antiquity, Leiden, 1950, გვ. 382—83; A. Goetze, Kizzuwatna..., გვ. 27 შმდ.; С. М. Бацнева, დასახ. ნაშრ., გვ. 17—36.

<sup>44</sup> Н. Б. Янковская, Некоторые вопросы экономики ассирийской державы, ВДИ, 1956, № I, გვ. 28—49.

<sup>45</sup> С. М. Бацнева, დასახ. ნაშრ., გვ. 21 შმდ.

<sup>46</sup> W. F. Albright, Cilicia..., გვ. 24.

<sup>47</sup> KBo, I, 14, სტრ. 20 შმდ.; A. Goetze, Kizzuwatna..., გვ. 2; შდრ. W. F. Albright, Cilicia..., გვ. 22, შენ. 1. იხ. აგრეთვე J. Garstang, O. R. Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 50 შმდ.

ბის ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებით დათარიღებული ჩიტის ფორმის თასი წარმოადგენს<sup>48</sup>.

ამავე დროს, 1957 წელს გორდიონში, ძვ. წ. VIII-ის დასასრულის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ყორღანში (ყორღანი—MM), ბერძნული ანბანით<sup>49</sup> შესრულებული სამი ძველფრიგიული წარწერა იქნა აღმოჩენილი (ერთ-ერთი წარწერა—გრაფიტი)<sup>50</sup>, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფრიგიისა და ძველ ბერძნულ სამყაროს შორის კულტურული ურთიერთკავშირის არსებობა უკვე ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარშია სავარაუდებელი.

ფრიგიაში ბერძნული ანბანის შემოტანა-გავრცელების პროცესის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ახალაღმოჩენილი ძველფრიგიული წარწერები მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება, იმ დროს, როდესაც ძველფრიგიულ ენაზე შედგენილი ადრე ცნობილი რიგი წარწერებისა (მათ შორის ტიანისის წარწერაც) ბუსტროფედონებს<sup>51</sup> წარმოადგენდა და მანასა-დამე, ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ გორდიონში მოპოვებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს. ფრიგიაში ბერძნული ანბანის გავრცელების ადრეულ თარიღზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე, მიდასის ქალაქში (თანამედროვე იასილიკაია), კლდეში ნაკვეთ ერთ-ერთი სამარხის კარზე, ერთი მეორის გვერდით ძველფრიგიული და ხეთურ (ლუვიურ)-იეროგლიფური წარწერების აღმოჩენა<sup>52</sup>. საგულისხმოა, რომ ხეთურ-იეროგლიფურ წარწერაში ქალაქ ქარხემიშის სახელი იკითხება. ხეთურ (ლუვიურ)-იეროგლიფური წყაროების თანახმად კი, ქარხემიშის მეფემ არარასმა (780—730?) თავისი ვაგელენის სფეროში მოაქცია მუსქე-ბის (mesai, ფრიგიის), მიზიისა და ლიდიის ქვეყნები<sup>53</sup>.

<sup>48</sup> AJA, 60, N 3, 1956, გვ. 263; 1957, 61, N 4, გვ. 328, შენ. 18; იქვე, გვ. 331; შდრ. E. Akurgal, Phrygische Kunst, Ankara, 1955, გვ. 36 შმდ., გვ. 117 შმდ.; AJA, 61, N 4, 1957, გვ. 329—331; AnSt. VII, 1957, გვ. 18.

<sup>49</sup> ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძნული ანბანის ფინიკიიდან წარმომავლობა ერთმანდალ არის აღიარებული. სიოთულეს წარმოადგენს მხოლოდ ამ პროცესის დათარიღება. მეცნიერთა ერთ ჯგუფს საბერძნეთში ფინიკიური ანბანის შენობა ძვ. წ. XIV ს-ში გადააქვს; მეცნიერთა მეორე ჯგუფს—ძვ. წ. XII ს-ის შემდგომ პერიოდში (ძ. წ. Dark Age)-ხლოდ მესამეს—ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში. იხ. Rhys Carpenter, The Antiquity of the Greek Alphabet, AJA, 38, № 1, 1933, გვ. 8—29; R. L. Ullman, How Old is the Greek Alphabet?, AJA, 38, N 3, 1934, გვ. 359—381; Rhys Carpenter, The Greek Alphabet Again, AJA, 42, N 1, 1938, გვ. 58—69; W. F. Albright, New Light on the Early History of Phoenician Colonization, BASOR, N 83, 1941, გვ. 14—22; D. Diringer, The Alphabet, A Key to the History of Mankind, L., New-York, 1949, გვ. 449 შმდ.; I. J. Gelb, A Study of Writing, 1952, გვ. 176—183; A. G. Woodhead, The Study of Greek Inscriptions, Cambridge, 1959, გვ. 12 შმდ. ბერძნული უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები (ძვ. წ. VIII ს.) ნაპოვნია ათენში, გეომეტრიულ კურკულზე ჰიმეტოსიდან და კორინთოში (იხ. A. N. Stillwell, Eight century B. C. Inscriptions from Corinth, AJA, 38, N 4, 1933, გვ. 605—610; C. W. Blegen, Inscriptions on Geometric Pottery from Hymettos, AJA, 38, N 1, 1934, გვ. 10—28; შდრ. Rhys Carpenter, The Greek Alphabet Again, გვ. 58—69). უფრო ადრეულ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ ბერძნული არქაული წარწერები კუნძულ ფროსიდან (კიკლადების სამხრეთი რაიონი).

<sup>50</sup> AJA, 52, N 2, 1958, გვ. 153; იქვე, ტაბ. 25, ფოტო 21.

<sup>51</sup> W. M. Ramsay, On the Early Historical Relations between Phrygia and Cappadocia, JRAS, XV, 1883, გვ. 120—135; A. H. Sayce, The New Neo-Phrygian-Inscriptions, JHSt, 46, 1926, გვ. 31—35.

<sup>52</sup> A. H. Sayce, The New Neo-Phrygian Inscriptions, გვ. 35.

<sup>53</sup> R. D. Barnett, Karatepe, The Key to the Hittite Hieroglyphs, AnSt. III, 1953, გვ. 91.



ზემოაღნიშნული გეოგრაფიკული ფაქტორების, რომ ბეთურ-იეროგლიფურ ენაზე შედგენილ წყაროში არეკლილი ისტორიული ვითარება და ცენტრალური ფრიგიის ტერიტორიაზე (მიდასის ქალაქში), ქარხენის სახელის შემცველი წარწერის არსებობა ურთიერთკავშირში უნდა იყოს. თუ ჩვენი ვარაუდი მართებულია და მიდასის ქალაქში აღმოჩენილი წარწერა არზრასის მეფობის ხანას ეკუთვნის, მაშინ ბეთურ-იეროგლიფური წარწერის გვერდით ამოკვეთილი ძველფრიგიული წარწერა ასევე ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი.

ამგვარად, არქეოლოგიური მასალების მონაცემებით, დასავლეთ მცირე აზიას, საბერძნეთსა და ფრიგიას შორის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის დამყარება ძვ. წ. VII ს-ს შუა ხანებშია სავარაუდებელი. ამავე დროს, ახალი ეპიგრაფიკული აღმოჩენის შექმნე, ფრიგიელები უკვე ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში (ან უკანასკნელ მეოთხედში მაინც) დართოდ იყენებდნენ ბერძნულ დამწერლობას ფრიგიულ ენაზე წარწერების შესადგენად. ამ წინააღმდეგობის ასაცილებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს ფრიგიაში ბერძნული ანბანის შეტანის გზის დადგენას.

სპეციალისტების ერთი ჯგუფის აზრით, ფრიგიაში ბერძნული ანბანი ბერძენი კოლონისტებით დასახლებული დასავლეთ მცირე აზიის რაიონებიდან ძვ. წ. VII ს-ში გავრცელდა<sup>54</sup>.

მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ფრიგიული უძველესი წარწერები ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედით თარიღდება. ამავე დროს, დასავლეთ მცირე აზიიდან დღემდე ცნობილ უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებს ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებს აკუთვნებენ. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფრიგიელები უფრო ადრე გაეცნენ ბერძნულ დამწერლობას, ვიდრე დასავლეთ მცირე აზიაში დასახლებული ბერძენი კოლონისტები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საგულისხმოა ისიც, რომ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიაში მცხოვრები ინდოევროპული ტომებიდან (მიზიელები, ლიდელები) ფრიგიელებმა ყველაზე ადრე შეითვისეს ბერძნული ანბანი<sup>55</sup> (საკუთარ ენაზე წარწერების შესადგენად). გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღემდე ცნობილი ძველფრიგიული წარწერების გავრცელების არე ტერიტორიულად ემთხვევა აღმოსავლეთ მცირე აზიის იმ რაიონებს, რომელთანაც ფრიგია იყო დაკავშირებული ასე, ყველაზე ადრეული ფრიგიული წარწერები ნაპოვნია: გორდიონში, მიდასის ქალაქში (თანამედროვე იასილიკაია), დოხან-ლუში (მიდასის ქალაქის ჩრდილოეთით), ეუიუქში (მდ. პალისის რკალის აღმოსავლეთით), დასასრულ, ტიანისში (თანამედროვე კიზილი-პისარი — ანტიკური კილიკიის რაიონი)<sup>56</sup>.

<sup>54</sup> E. S. Roberts, An Introduction to Greek Epigraphy, Cambridge, 1887, I, გვ. 312—315; J. Friedrich, Kleinasiatische Sprachdenkmäler, გვ. 123; D. C. Swanson, A Select bibliography of the Anatolian Language, The New-York Public—Library, 1948, გვ. 17; D. Düringer, დასახ. ნაშრ., გვ. 464; Ч. Лоукотка, Развитие письма, М., 1950, გვ. 149; В. Георгиев, Тракийский язык, София, 1957, გვ. 74; შდრ., W. M. Ramsay, On the Early Historical Relations..., გვ. 124.

<sup>55</sup> D. C. Swanson, დასახ. ნაშრომი.

<sup>56</sup> J. Friedrich, Kleinasiatische Sprachdenkmäler, გვ. 125—126.





ფრიგიაში ბერძნული ანბანის შეტანის გზის დადგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულის ფრიგიის საგარეო ურთიერთობათა საერთო ტენდენციის გათვალისწინებას. როგორც ზემოთ დავინახეთ, ძველ-აღმოსავლური წყაროების მონაცემებით (ხოლო ისინი თავის თანადროულ ამბებს გადმოგვცემენ) და ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, აღნიშნული ხანის ფრიგიის ისტორია აღმოსავლეთ მცირე აზიის ქვეყნების (კილიკიის, ჩრდილოეთ სირიის, ასურეთის, ურარტუს) ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. საფიქრებელია, რომ ფრიგიაში ბერძნული ანბანის შედარებით ადრეულ ხანაში შემოტანა უშუალო შედეგი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიასა) *resp.*, კუე-კილიკია) და ფრიგიას შორის არსებული ურთიერთობისა როგორც ცნობილია, კილიკიასა და ეგეოსის კუნძულებს შორის (რომელთაც საბერძნეთის მატერიკზე უფრო ადრე გადაიღეს ფინიკიური ანბანი) ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულს მჭიდრო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობანი არსებობდა<sup>57</sup>. სარგონ II-ის (722—705) დროინდელ ასურულ წყაროებში. მრავალგზის მოიხსენიება კუნძული იათნანა (თანამედროვე კვიპროსი) და იამანიელები (იონიელები)<sup>58</sup>.

ასურეთსა და ეგეოსის კუნძულებს შორის ურთიერთობა კუეს შუამავლობით უნდა განხილვიყვლიყვო. ალბათ, ამით იახსნება ასურეთის გააფთრებული ბრძოლა კუეში აირველობისათვის; რის შესახებ ასურული წყაროები არაერთ საინტერესო მითითებას გვაძლევენ<sup>59</sup>. საფიქრებელია, რომ კუე ასეთივე შუამავლის როლს თამაშობდა ფრიგიასა და ეგეოსის სამყაროს შორისაც.

ფრიგიაში ბერძნული ანბანის კუედან (კილიკიიდან) შემოტანის სასარგებლოდ ლაპარაკობს ზოგიერთი ფრიგიული ანბანური ნიშნის გრაფიკული გამოსახვის გენეზისიც. როგორც 1957 წელს აღმოჩენილ ფრიგიულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ასევე, უფრო ადრე ცნობილ ფრიგიულ წარწერებში, იხმარება ორი ანბანური ნიშანი († და ხუთქიმიანი sigma), რომლებიც სრულიად არ გვხვდება საბერძნეთსა და დასავლეთ მცირე აზიაში გაერცვლებულ დამწერლობაში<sup>60</sup>.

საეციალისტების ვარაუდით, ზემოაღნიშნული ნიშნები და ზოგიერთი სხვა ანბანური ნიშნის პროტოტიპები ეგეოსის კუნძულების დამწერლობაშია საიციბელი. ასე, † -ნიშანს ზოგიერთი მკვლევარი აიგივებს კვიპროსული დამწერლობის ანალოგიურ ნიშანთან, რომელსაც „t“ მნიშვნელობა აქვს<sup>61</sup>. რაც შეეხება ფრიგიულ sigma-ს, მასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ოთხქიმიანი sigma საბერძნეთის მატერიკზე ჩნდება სამქიმიანზე უფრო გვიან, კუნძულ ნაქსოსზე კი ოთხქიმიანი sigma ანბანის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპს შეეფერება, ვიდრე სამქიმიანი<sup>62</sup>. შემთხვევი-

<sup>57</sup> J. Garstang, Notes on a journey..., გვ.11; H. Oimstead, დასახ. ნაშრ. გვ. 221 ზმდ; F. Bilabel, Geschichte Vorderasiens und Agyptens, Bd. I. Heidelberg 1927, გვ. 402. ზმდ.

<sup>58</sup> H. Winckler, Pr., 98—100; Die Annalen, 84; Pp. 136—163; ARAB, II, NN 54, 80, 82, 95—103.

<sup>59</sup> ARAB, II, 8, 27, 42, 43 და სხვ.

<sup>60</sup> AJA, 62, N 2, 1958, გვ. 153.

<sup>61</sup> J. Garstang, Notes on a journey..., გვ. 10—11; J. Myres, Midas..., გვ. 13.

<sup>62</sup> W. M. Ramsay, On the Early..., გვ. 122.



თი არ უნდა იყოს, რომ გრაფიკულად ზოგიერთ ფრიგიულ ანბანურ ნიშანს პარალელი მოეპოვება დღემდე ცნობილ ყველაზე უფრო უძველესს, კლდეზე ამოკვეთილ წარწერებში, რომლებიც კუნძულ ფეროსზეა აღმოჩენილი<sup>63</sup>. აქვე მივუთითებთ იმ საინტერესო ფაქტზეც, რომ არქაული ასო — 'I', რომელიც ხშირად იხმარება ძველფრიგიულ წარწერებში, სრულიად არ ჩანს დასავლეთ მცირე აზიიდან ცნობილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში<sup>64</sup>.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფრიგიაში ბერძნული ანბანი შემოტანილ იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიიდან (კუე-კილიკიიდან) ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში. აღნიშნულ ხანაში ფრიგიას მჭიდრო სავაჭრო და კულტურული კავშირები უნდა ჰქონოდა ეგეოსის კუნძულებთან.

ჩვენს მიერ მიღებული დასკვნის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს გორდიონის არქეოლოგიური გათხრების მასალებიც, რომელთა თანახმად, საბერძნეთს, დასავლეთ მცირე აზიასა და ფრიგიას 'შორის კულტურული და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობათა დამყარება ივარაუდება ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებში.

დასავლეთ მცირე აზიასა და ფრიგიას შორის აღრეულ საგარეო ურთიერთობათა დათარიღებისათვის საგულისხმოა ისიც, რომ დასავლეთ მცირე აზიაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დღემდე ვერ გამოავლინა ძვ. წ. VIII ს-ს ბოლო მეოთხედის ფრიგიული მატერიალური კულტურის ძეგლები.

## ИЗ ИСТОРИИ ТОРГОВО-КУЛЬТУРНЫХ СВЯЗЕЙ ФРИГИИ

(Конец VIII в. до н. э.)

Н. В. ХАЗАРАДЗЕ

Резюме

Последняя четверть VIII в. до н. э. — период расцвета внешнеполитических экономических и культурных связей Древнефригийского царства (māt māt KUR KUR

mušku, musku, muška, muski — ассирийских урартских и хеттско-неоглифических надписей).

Появление фригийцев на политической арене совпадает со временем ожесточенной борьбы Ассирии и Урарту за гегемонию над районами Северной Сирии и Восточной Малой Азии (Первое упоминание страны мушков в связи с событиями, происходившими в Восточной Малой Азии, датируется 717 г. до н. э.).

Исходя из данных древневосточных письменных источников и материалов новых археологических раскопок древней столицы фригийцев — Гордиона, автор настоящей статьи приходит к выводу, что Фригия изучаемого периода имела оживленные торгово-экономические связи с Восточной Малой Азией, Междуречьем и Эгейским миром (с Киликией, Северной Сирией, Урарту, Ассирией, о. Кипр).

<sup>63</sup> I. Taylor, The History of Alphabet, L, 1899, II, გვ. 109.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 109.

Для характеристики внешних связей Фригии немаловажное значение имеет то обстоятельство, что в археологическом материале, датированном специалистами (Р. Ианг, М. Меллинк и др.) концом VIII в. до н. э., отсутствуют предметы греческого происхождения.

В статье рассмотрен вопрос о возможных путях проникновения во Фригию греческой письменности. На основе новых эпиграфических открытий выясняется, что уже в последней четверти VIII в. до н. э. фригийцы пользовались греческим письмом для составления надписей на фригийском языке, применяя при этом ряд алфавитных знаков (знак  $\uparrow$ , фригийскую пятиконечную сигму и др.), характерных только для фригийской письменной системы и совершенно отсутствующих в письменности материковой Греции, или Западной Малой Азии.

Учет общей тенденции развития внешнеполитических и культурно-экономических взаимоотношений Фригии конца VIII в. до н. э., а также ряда косвенных данных, дает основание предположить, что греческое письмо проникло во Фригию не из Западной Малой Азии, заселенной задолго до VIII в. до н. э. греческими колонистами (см. Е. Робертс, И. Фридрих, Д. Свансон, Д. Дирингер, В. Георгиев и др.), а с островов Эгейского моря через Киликию уже во второй половине VIII в. до н. э.

## ნ. ბარათაშვილის სჯელა\*

ქ. ქავთალია

ნ. ბარათაშვილის რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფენიგმა სევდა, ჭმუნვა, კაეშანი, მწუხარება. „როდესაც მის ლექსებს კითხულობთ“, ამბობდა ერთი კრიტიკოსი, „სევდა, მწუხარება, სულის თბობა, კენესი გულისა, მარტობა, განუშორებელი კაეშანი, დაკოდილი მოკლული გულა, უდაბნო, წყვდიადი, ამოება,—აი რა გესმით, როდესაც თქვენ ჩაუკვირდებით ნ. ბარათაშვილის პოეზიას, თქვენი თვალის წინ იშლება საშინელი სულიერი ტანჯვა მიუსაფარის მწირისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ თბოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში. სადაც უნდა იყოს პოეტი, რასაც უნდა აკეთებდეს: ვარდს შეჰხარის ის, ცას, საღამოს, ბუნებას, ჩანგურს უსმენს თუ სიყვარულს ითვალისწინებს, ყოველგან ფიქრი ამოებისა თან სდევს მას, შავი ყორანივით, და მისი ვარდი გაფურჩქვნისთანავე ჭკნება, მისი მზიარულება განსახვისთანავე სევდით იცვლება, მისი ღიმილი ტუჩებზევე ხმება“!

ეს დაკვირვება უდავოდ მართებულია, მაგრამ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში საყურადღებოა ეს სევდა არა თავისთავად და დამოუკიდებლად, საქმე ისაა, რომ ამგვარი ხასიათის სევდა უცხო არაა საშუალსაუკუნეთა ჩვენი ლიტერატურისათვისაც, რომელსაც ჩვენი პოეტი კარგად იცნობდა. მართლაც, თუ ჩვენ ავიღებთ უძველესი ხანის საეკლესიო სტილის მწერლობას, დავინახავთ, რომ იობის წიგნისა და ეკლესიასტის კაეშანი ლეიბმოტივია მისი. თუ კლასიკური ხანის შედევრს, ვეფხისტყაოსანს, გავითვალისწინებთ, იმაშიც არაერთხელ გავიგონებთ მწვავე სევდით შეღებულ პანგებს, აღარას ვამბობთ ე. წ. აღორძინების ხანის პოეზიაზე: მთელი ეს პოეზია, შეიძლება ითქვას, არის გლოვა, ტირილი, მოთქმა, სევდა. ერთი სიტყვით, ნ. ბარათაშვილის პოეზიაში მთავარია არა კონსტატირება მისი სევდიანი ხასიათისა, არამედ საკითხი: რა იწვევს და რა ასაზრდოებს ამ სევდას, როგორია მისი წყარო? ამ საკითხის გარკვევა დაგვეზარება უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თავისებურება და ორიგინალობა ნ. ბარათაშვილისა, როგორც პოეტისა და მოაზროვნისა. ამისათვის კი საჭიროა თვალის მიმოვალთ ჩვენს კულტურულ-ლიტერატურულ წარსულს და ვაჩვენოთ—რით განსხვავდება ბარათაშვილი ამ ხაზით წინააღრის ქართველ მწერალთა და მოაზროვნეთაგან.

\* მოხსენებული მწერალთა პლენუმზე 1945 წ. 20 ოქტომბერს.

1 ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები, გამოცემა „ცოდნა“-ს მაღაზიისა, თბილისი, 1910, გვ. 24.



როგორც ცნობილია, სევდა გრძნობათა სფეროს განეკუთვნება, გრძნობა კი უსაგნო არ შეიძლება იყოს, ის უთუოდ დაკავშირებულია ამა თუ იმ საგანთან თუ მოვლენასთან. ჩვენში ფიქრობდნენ, რომ ბარათაშვილს სევდა აიხსნება მისი პირადი ცხოვრების უკუღმართობით და დაუკმაყოფილებლობით. ეკვი არაა, პირადი ცხოვრების პერიპეტებს შეეძლო კვალი დაეტოვებია მის სულიერ განწყობილებაში, მაგრამ პირადი ცხოვრების მოვლენებით არ შეიძლება მისი პოეზიის მთავარი მოტივების ახსნა. განა მისი „ნაპოლეონი“ არ ამბობს— „მე გვამში სული ვერღა მომთავსებიაო“, მიუხედავად იმისა, რომ მას „სურვა აუხდა“ და მან დიდების მწვერვალს მიაღწია? არა, ბარათაშვილი პიროვნულზე მალდა დგას.

სხვები კიდევ ფიქრობდნენ, რომ ნ. ბარათაშვილის სევდა გამოწვეულია მამულისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულით და ამ მამულის, სამშობლო ქვეყნის საგალალო მდგომარეობით: საქართველომ დაკარგა თავისუფლება და ამის შედეგად ის სულიერად დაქვეითდა. უდავოა, ნ. ბარათაშვილი დიდი პატრიოტი იყო და მას მწვავედ აწუხებდა სამშობლოს ტრაგედია (მოვიგონოთ მისი პოემა „ბედი ქართლისა“), მაგრამ არც ამით აიხსნება მთლიანად მისი სევდა. სამშობლოს ბედი და მდგომარეობა მხოლოდ აძლიერებდა ამ სევდას. ნუ დაგვაფიქვდება, რომ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მან „შეიფერა მისმიერ ეგრედწოდებული ახალი ქართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა კიდევაც,—მან პირველმა შეიგნო ისტორიული აუცილებლობა 1801 წლიდან შექმნილი მდგომარეობისა. თან შეიძლება განა ლაპარაკი სულიერ დაქვეითებაზე იქ, სადაც არიან სოლომონ მსაჯულისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მსგავსი ადამიანები? განა თვით ნ. ბარათაშვილი არ სწერს გრიგოლ ორბელიანს, რომ „ქართველთ არ სძინავთ გონებითო“?

მეორე მხრით უნდა გვახსოვდეს შემდეგი. იმ იდეალს, რომელთანაც დაკავშირებული იყო პოეტის აზრები და სევდიანი გრძნობები, ის იმდენად მალდა აყენებს, რომ პირდაპირ ამბობს:

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;  
ნუღარ ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილ-  
მოუბარსა...  
ხუ დავიმარხო ჩემსა მამულში. ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლინი მწუხარის.

ნ. ბარათაშვილის „სამშობლო“ უფრო ფართეა, ვიდრე საქართველო, მისი „მამულია“ მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო, ან მისი და წინადროის პოეტთა ტერმინი რომ ვიხმაროთ „წუთისოფელი“, ესე იგი—ჩვენი გარემომცველი ყოფა ან ყოფიერება (რამიე). მისი აზრები, განცდები და გრძნობები ამ „წუთისოფლისა“ და მისი პრობლემის გარშემო ტრიალებს. ეს პრობლემა მის შემოქმედებაში არაა განყენებული. მეტაფიზიკური პრობლემა, ის ცხოველი, ცხოვრების ყველა მხარესთან დაკავშირებული საკითხია.

„წუთისოფლის“ პრობლემა არაა უცხო ჩვენთვის, ჩვენი კულტურული წარსულისათვის, პირიქით—ის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ჩვენი ძველი მწერლობისა, როგორც სასულიეროსი, ისე საეროსი. ამ პრობლემის ხაზით ნ. ბარათაშვილი პირდაპირი მემკვიდრეა თავისი წინაპრებისა. მხოლოდ საძიებელია და საინტერესო, რა მხრით და როგორ აინტერესებდა ეს პრობლემა ნ. ბა-

რათაშვილსა და მის წინაბრძვლს. პასუხი ამ საკითხზე მოგვეცემს ჩვენ გასაღებს ბარათაშვილის სევდის გასაგებად.

უძველეს ჩვენს საეკლესიო-სასულიერო მწერლობაში, როგორც სხვა ერებისაშიც, წითელი ზოლივით გატარებულია იდეა „წუთისოფლის“ მიუღებლობისა; სოლომონ ბრძენის სიტყვები: „ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოება“—მთავარი მოტივია ამ მწერლობისა. რად არის მიუღებელი საწუთრო? იმიტომ რომ თავისი დღევანდელი სახით ის არ არის ნორმალური მოვლენა, ის შედეგია შეცოდებისა და დამამორებელი ადამიანისა ღვთისაგან. „სოფელი ბორცისა ზედა დგას“ (I იოან. V, 20); იგი „დაწყევულ არს საქმეთა შინა კაცისა“, რომელიც „მწუხარებითა, სულთქუშითა და ოფლითა პირისა მისისაჲთა“ ჰამს პურს, „ვიღრე მიქცევამდღე მისა მიწად“, ვინაიდან იგი „ეკალსა და კუროს—თავსა აღმოუცენებს მას“ (შესაქ. III, 17—18). ის არის „ღელე ტირილისა და ცრემლისა“, ნამდვილი „საპყრობილე“, რომლიდან განთავისუფლება უნდა იყოს იდეალი ადამიანის მისწრაფებისა. ამიტომაც, რომ რწმენით აღსავსე ადამიანი მიმართავს ხოლმე ღმერთს: „გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი“ (ფს. 141, 7) და თუ ამ „საპყრობილეში“ მას ბედმა დიდხანს არგუნა ყოფნა, ის მწუხარებით წამოიძახებს: „ვამე, რამეთუ განმიგრძელდა მე მწირობა“ ქვეყანასა ამასო (ფს. 119, 5). ასეთია შეხედულება „წუთისოფელზე“, რომელიც საფუძვლად უდევს საეკლესიო—საქრისტიანო მწერლობას. ასეთმა შეხედულებამ, მიიყვანა შუშანიც დედოფალი ამ ქვეყნად ტანჯვის აუცილებლობის აღიარებამდღე. მან მერვე საუკუნეში იოანე საბანისძე, მეცამეტეში აბუსერიძე ტბელი და საბა წყაროსთაველი, ხოლო მეოთხმეტეში „ქამთაღმწერელი“, იმდროინდელ უბედურებათა გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას არაბთა და მონღოლთა ექსპანსიის გამო, მიიყვანა მწვევე ესქატოლოგიურ განცდამდღე და ამქვეყნიურ ამბებში ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნების დანახვამდღე. გასაგებია, რომ ასეთი შეხედულება „წუთისოფელზე“, ამგვარი სულიერი განწყობილება მელანქოლიურ-პესიმისტურ კოლორიტს აძლევდა სასულიერო სტილის მწერლობას და სევდის ჰანგებს იწვევდა იმაში. ამ სევდას, როგორც ვხედავთ, საფუძვლად უდევს „წუთისოფლის“ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შეფასება: ის მიუღებელია ადამიანისთვის, რადგანაც, როგორც ბოროტის სამფლობელო, სამოთხის ფუფუნებას, რომლისთვისაც შექმნილი იყო კაცი, ამორებს მას, ერთი სიტყვით—ნასაზრდოებია ადამიანის პირადი ბედნიერებისა თუ უბედობის ინტერესებით.

პირადი ბედნიერებისა თუ უბედურების თვალსაზრისით შეფასებას „წუთისოფლისას“ და ამასთან დაკავშირებით სევდისა და ჰმუნვის მოტივების გამოვლინებას ადგილი აქვს არა მარტო სასულიერო მწერლობაში, არამედ ძველს საერო-მხატვრულ ლიტერატურაშიც. ის არაა უცხო, წარმოდგინეთ, ყველაზე უფრო მზიერი, ხალისიანი და სიცოცხლის მოტრფიალ რუსთველისათვისაც კი. მისი სიტყვით, „წუთისოფელი“ არის სისხლისმსმელი, უხანო, ცრემლთამდენი, ცვალებადი, დაუნდობელი, მუხთალი, ცრუ, მტერი და გაუტანელი. მოვუსმინოთ ტარიელს:

თქვა: ცოცხალვარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი ხვრიტნა (499).  
ვა, სოფელო, უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად? (529).  
საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გავვიცინია,  
ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია (918).

მიმდინონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,  
 იშვებენ მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან;  
 ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან (347).

ავთანდილი:

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლთა დენად (700)  
 იტყვის: „ვერ გაძღა სოფელი, ვა, ჩემთა-სისხლთა ხვრეტითა“ (712).

რუსთველი:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?  
 ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა (951).  
 ვა, საწუთროო, სიცრუევით თავი სატანას აღარე!  
 შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე;  
 პირი მზისაებრ საჩინო, სად უჩინო ჰყავ, სად არე?  
 შიტ ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი სად არე (1213)  
 იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია (1348).

როგორც მოყვანილი ადგილებიდან ვრწმუნდებით, რუსთველის სეედა-  
 მელანქოლია გამოწვეულია „წუთისოფლისა“ და კაცს შორის არსებული კონტ-  
 რასტით, იმ შეგნებით, რომ, როგორც თვითონ ამბობს, „ვარდი უეკლოდ არავის  
 მოუკრებია“.

უფრო მკვეთრად და ხელშესახებად ეს მოტივი წარმოდგენილია ე. წ. აღ-  
 ღორძინების ხანის პოეზიაში, ისეთი პოეტების შემოქმედებაში, როგორც არიან  
 თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგი და დავით გურამიშვილი, რომ არაფერი  
 ვთქვათ სხვა, შედარებით მეორეხარისხოვანი მწერლის შესახებ. აღორძინების  
 ხანის პოეზიაში „წუთისოფლის“ პრობლემა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.  
 აქ ჩვენ გვხვდება შეფასება „წუთისოფლისა“, პირველ ყოვლისა, სასულიერო  
 მწერლობის თვალსაზრისით, ამგვარი შეფასებისათვის გვერდი ვერ აუვლა  
 ვერცერთ იმდროინდელ პოეტს; მაგალითების ამოწერა ზედმეტია, მოვიყვანო  
 მხოლოდ არჩილის ლაკონიკურ სიტყვებს: „შენ სოფელო, „სხვის სოფლისა-  
 თვისი“ გვაბრკოლებ, ასე გაქვს მონდომილია“. ამასთან-ერთად გვაქვს შეფასება  
 მისი, უფრო ღრმა და გაშლილი, ამქვეყნიური ცხოვრების თვალსაზრისითაც.  
 ასეთი შეფასება ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი. პირველი შეფასება—ზოგა-  
 დი, განყენებული ხასიათისა.

იგ სოფლიონნი ბრძენნი და ან ვინც უბნობდა სულთა,  
 ყველა სწუნობდა სოფელსა არ გასაზრახთო,—გულითა.

აცხადებს თეიმურაზ პირველი. რატომ? იმიტომ რომ, ამბობს ის:

ნეტაი ყველამ იცოდეთ, სოფელი როგორ მქნელია:  
 კაცსა მიინდობს ღალატად, მცბიერი, ვითა მელია.

<sup>2</sup> იველისხმება სამოთხე, არჩილიანი, I, გამოც. ა. ბარამიძისა, გვ. 36, სტრ. 142.

<sup>3</sup> თხზულებათა კრებული, გამოცემა ა. ბარამიძისა, გვ. 110, სტრ. 91.

ანასდად, გარუბრუნდების, მით გული გარდამელია:  
..მას არეინ უნდა მიენდოს“, ესე ნათქვამი ძველია“.

მუხთლობა არის თავიდან სულ მისი დასაწყისი და,  
ზეცად გასულსა ქვე დასცემს, რომ ძმაცა იყოს მისი, და  
ანაზდად, მოულოდნელად ბნელად ქმნას შენი ღლისი, და.

ან ადრე დაგვხოცს, უდროოდ, ახალსა, მოუწევარსა,  
ვარდა დაგვიქნობს უფრჭყენელსა, შეგვიქმს ბედისა მწყევარსა,  
ვერ მოუჩრებით მართ, ვითა კურდღელი მალსა მწყევარსა.

თუ გრძლად გვაყოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა:  
რაც გვიყვარს, თვალ-წინ დაგვიჩოცს, სულთაგან უკეთესებსა,  
ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრავს კენესებს.  
ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჭირთა და სულთქმა-ვაება კენესებსა.

ამას გვიზამს და სხვათა ვთქვა მისგან ჩვენზედა ქმნულება:  
ესრეთ მოგვეშლის და წაგვანდენს—არ გინდეს სულთა დგმულება,  
იგი უებრო, უსწორო, უშვერ ყოს ქმნულ-კეთილება,  
იგ მისგან ერთიც არ მორჩეს გული უწყლულთ, ულება.

ან სიკვდილს მიგვეცემს ანაზდად, ან სიბერესა ძნელებსა,  
პირსა თვალურებრ გავსილსა, არმურსა დაგვდებს ბნელებსა.  
ეგრე უებრო მნათობსა, ვერ ეჭოს ბრძენთა ენებსა,  
ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქმს მოსაწყენებსა.

თვალთა დააკლებს ნათელსა სოფლისა მაშენებელსა,  
წარბთა, მშვილდულებრ მოხრილსა. მიჯნურთა მახელებელსა.  
შავთა წამწამთა, ნარგისთა მჭვრეტელთა გულსა მხებელსა,  
გაყარევინებს, წაახდენს მნახელთა ცეცხლთა მდებელსა.

პირსა დაუტკნობს მნათობსა, უთეთრეს ზამბახისასა,  
ღაწვისა ფეროვნებასა, ვარდულებრ გაშლილისასა,  
წაბრის და მოსდრეკს ლერწამსა, ტან-საბო ალვის ხისასა,  
დააღუტჭირებს ჯავარსა სანდომად უსულისასა.

ბაგეთა მოჰშლის ეგეთსა—უკვდავებას ღიმობდეს,  
კბილთა წაახდენს, მასთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს,  
თმას ამბრის ფერთა, კოჭამდი რომ გიშრის ტევრად სწირობდეს,  
გაუსპეტაკებს თოვლურებრ, იგ ველარ ამბრად ძვირობდეს!

გადაგვიშლის რა ყველაფერ ამას თვალწინ, გვირგვინოსანი პოეტი ასკვნის:

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან შოსალოდები,  
აწ ამაშიგან ვითმც იქნას გული არ დასაკოდები?\*

\* თხზ. კრებული, გამოც. ა. ბარამიძისა, გვ. 140, სტრ. 18

5 იქვე, გვ. 110, 112, სტრ. 92, 96—103.



„წუთისოფლის“ ასეთი ზოგადი შეფასებისას არჩილ მეფე სოციალურ ანომალიებსაც იღებს მხედველობაში:

ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებინებ,  
 ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნცლს მოაძებნინებ;  
 მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ,  
 ძველს თავადს ლაღანიძესა ქვეშე კილოზს დააგებინებ<sup>6</sup>.

უსადილოდ გამაბრუნებ, შიმშილითა მაკარკარებ,  
 მათ ღვინოსა ყინულიანს ასმევ, კაცით აკარკარებ<sup>7</sup>.

განსაკუთრებით, დამაფიქრებელი და საინტერესოა ამ მხრივ დავით გურამიშვილის „სოფლის სამედურავი“, „საწუთოს სოფლის გამო ტირილი“, „კაცისა და საწუთოს ცილობა და ბჭობა“. აი მისი სიტყვები:

იუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო!  
 დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოუტრჩე უჭირო.

ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი მობრუნავია!  
 წაშს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია;  
 ყოველი ლხინი მუხთლისა კულავ ისევ საქმუნავია,  
 ერთი დრო გრძლად არ შერჩების, კარგი სთქვა ვინა ავია<sup>8</sup>.

ხარ სატირალი, არ საცინარი,  
 ხარ საჭირალი, არ სალხინარი;  
 ვაქვს საწყინარი ჩანადინარი,  
 მოსულხარ ქურდად, პატყუებ ცულად.  
 თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?  
 თუ ხარ სიმამდრე, რა არს შიმშილი?  
 თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?  
 იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი<sup>9</sup>.

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,  
 მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო.  
 ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს;  
 დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს.  
 ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისერის, მშვილდს კი მალავს<sup>10</sup>.

მეორე მხრით აღორძინების ხანის პოეტები, „წუთისოფელს“ აფასებენ კონკრეტულად, იმისდა მიხედვით, თუ რა მიუზლო მან თვითეულ მათგანს კერ-

<sup>6</sup> არჩილიანი, I, გვ. 36, სტრ. 141.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 38, სტრ. 155.

<sup>8</sup> დავითიანი, ა. ბარამიძის გამოცემა, გვ. 134, სტრ. 548—549.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 183—185, სტრ. 4, 18.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 135—137, სტრ. 551, 559.

ძოდ. ამ მიმართულებით პირდაპირ შემზარავ სურათს იძლევიან ისინი, ეს სურათი ერთიმეორეზე უარესი და გულისამჩუყებელია. თეიმურაზ პირველი შესჩივის:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?  
გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!  
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?  
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

სრულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თუ მოიწივე,  
ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,  
მოვკვდე, მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,  
მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მო, აწი, ვე!

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა,  
რად გინდოდი სასიკვდინედ? შენ მაღირსე არ დარჩენა.  
არ გმართებდა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,  
თავიდაღმე სრულ ბოლომდი ჩემთვის ესრეთ შეგეჩენა!<sup>11</sup>

სოფელმან თვისი სიმუხთლე ჩემზედა არა დალია,  
მაკვდინებელი წამალი მე მასეა, მან არ დალია.

კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარით მანანა,  
ძილი არ მომცა მართალთა, არც სადა მითხრა მან ნანა!<sup>12</sup>

არჩილს, რუსეთის მეფის კარზე მყოფს, სიმშვიდეს აკარგვიანებს მოგონება წარსული დღეებისა, რომელნიც, ის დარწმუნებულია, მას აღარ დაუბრუნდება:

მახსოვს ლხინი და თამაშა, დღე და ღამე წართმით მღერა,  
მხეცთა სრვა და ნადირობა, თავი ლალად მომეღერა;  
ბურთობა და მინდორობა, კვლავ ნადიმი, ჭადრაკ-მღერა  
უნობა და გასაცემი, სრულ ვითა გთქვა, მომელე რა?!<sup>13</sup>

არჩილს ბანს აძლევს ვახტანგ მეექვსე:

გამსაჯა მიწყივ სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,  
არ შემიწყალა არათი, არ გამომართვა აჯამა,  
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა, ა ჯამა;  
მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა.

დაუტოვე სახლ-სამყოფი, თვისნი, ტომნი, მონა, ძები;  
დაკვარგულვარ უცხო თემსა, ვარ არვისგან მონაძები

<sup>11</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ი, თხზულებათა კრებული, გვ. 110, სტრ. 85—87.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 140, სტრ. 16, 20.

<sup>13</sup> არჩილიანი, I, გვ. 67, სტრ. 21.

იგონებს რა საქართველოში გატარებულ ბედნიერ დღეებს, ის გულისტკვილით წამოიძახებს:

გქონებოდეს ესე ყოფა, გაგებადოს დაკარგული,  
 გაუძლია უქონელად განასალი კლდეებრ გული<sup>14</sup>.

„ამად ვტირი“, ამბობს გურამიშვილი. „ვარ ცრემლით სველი... ცრუ არს წუთისოფელი, ანაზღისა მყოფელი“<sup>15</sup>. „ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია; სად კაცს არ უნდა წარიყვანს, ყელზე საბელი უბია“. „სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მამაღერა, სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა“<sup>16</sup>. „გულს მიკოდს სვედის ლახვარი, აღმასის დანის სადარო, დედ-მამა, ძმანი დავკარგე, არ ვიცი დანი სად არი“<sup>17</sup>. „მშვილდს მომიწივა მუნ-თალმა, ისარი გულში მამასო, არ მომცა ძე, არც ასული, არცინ მიძახის „მამასო““<sup>18</sup>.

დუ, შენ ცრუო საწუთროვ,  
 რად არ მძულდი, რად მიყვარდი?  
 შენ ყოფილხარ მწარე, შხნაკვი,  
 მე მეგონე ტკბილი ყანი<sup>19</sup>.—

ასკენის საბოლოოდ გამწარებული დავითი.

მოყვანილი ადგილებიდან ირკვევა, რომ სევდიანი, მელანქოლიური ტონა საშუალ-საუკუნეთა ჩვენი მწერლებისა გამოწვეულია „წუთისოფლისადმი“ უტილიტარული მიდგომით: ადამიანის ბუნება თხოულობს ამ ქვეყნად ბედნიერებას, ამოა და ვერაგი „წუთისოფელი“ კი არამც თუ არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, ყველა კარს უნშავს მას.

ახლა დავუბრუნდეთ ნ. ბარათაშვილს და მის პოეზიას.

ბარათაშვილმა, მსგავსად თავისი წინაპრებისა, იცის, რომ ეს წუთისოფელი „შეურჩენელი და მომღერალია“ (ჩემთ მეგობართ), რომ ის „ფუჭი და მხოლოდ ამაოება“ (ფიჭრი მტკვრის პირას), ამიტომ უნდა, რომ „დაშთოს ეს ამაოება“ (შემოლ. მთაწმიდაზე); იცის მან, რომ „სოფელი ცრუ და მუხთალია“ (ვაოვე ტაძარი, ჩემთ მეგობართ), რომ ის „უკუღმართია“ (ჩონგური); იცის, რომ ეს «ყუჩაჟი» ქვეყანა (წერილი გრ. ორბელიანთან) „საძაგელია“ (წერილი მაიკო ორბელიანთან). „საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს“, კითხულობს ის (ვაოვე ტაძარი). „მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა“, სწერს ის მაიკო ორბელიანს. მაგრამ ამის ცოდნა და შეგნება იმას არ ატირებს იმდენად. მისი ცრემლი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ სტიროდა ამ სოფელსა“ (სატრფოვ, მახსოვს), პირიქით — „შეეთვისა სული მისსა მრღრუბლვას, შეეჩ-

<sup>14</sup> ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 11<sup>2</sup>, გვ. 543—544.

<sup>15</sup> დავითიანი, გვ. 171.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 136, სტრ. 556, 557.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 88, სტრ. 341.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 136, სტრ. 555.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 7, სტრ. 17.

ვია გული სევდითა კრთოლვას“ (ჩემს ვარსკვლავს). მაიკო ორბელიანს ის ურჩევს: „ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ ივინი შეურჩენელნი არიან“, ხოლო თავის მეგობრებს ეუბნება: „არ დაიზნით შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა მწარნი“, „აპყევით სოფელს“ და აიღეთ მისგან ყველაფერი, რის აღებაც შეგიძლიათო. იქნება ეს მოწოდება გამოგვადგეს იმ საიდუმლოების ასახსნელად, რომ თავის ლექსებში სევდითა და კაემანით შემპყრობილი ბარათაშვილი კერძო ცხოვრებაში გვევლინება როგორც მხიარული, ხალისიანი, ხუმარა, ცოცხალი, ოხუნჯი და მოარშიყე — მოცეკვავე ახალგაზრდა.

ამრიგად, წუთისოფელი უტილიტარული თვალსაზრისით იმდენად არ აინტერესებს და არ აფიქრებს ბარათაშვილს; ის სხვაამხრე სწამლავს და მოსვენებას უსპობს მას, როგორ გგონიათ: პოეტისათვის რომ დამაკმაყოფილებელი და მისაღები ყოფილიყო მისი პირადი ცხოვრება ან სამშობლოს ბედი და მდგომარეობა, ის თავისუფალი იქნებოდა სევდისა და მწუხარებისაგან? ჩვენ გვგონია, რომ არა! მოვიგონოთ მისი სიტყვები:

ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

<sup>2</sup> Cevdet Paşa, Tezakir, 1—12, Yayınlayan prof. Cavid Baysun, ანკარა, 1953. ა. ჯევდეთ ფაშას „თეზქერეს“ მეორე ტომი, რომელიც შეიცავს 13—24 „თეზქერებს“, ამჟამად ინახება თურქეთის საისტორიო საზოგადოების გამომცემლობაში.

<sup>3</sup> იმერეთის სამეფოს გაუქმებასთან დაკავშირებით მ. გონიკიშვილმა ამაჰ. წინათ გამოაქვეყნა წერილი. იხ. მ. გონიკიშვილი, შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 129—135.

ბის დახმარებით იმერეთში თავისი უფლებების აღდგენას. მან იმერეთში პროკლამაციები დაგზავნა და მოსახლეობას მოუწოდა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. მთელი იმერეთის აჯანყებას თავისი ერთგული თავადების დახმარებით სოლომონ II ხელმძღვანელობდა. თავის მოწოდებაში იმერეთის მოსახლეობისადმი სოლომონ II ახსიათებდა ცარიზმის რეჟიმის უარყოფით მხარეებს, რუსი სამხედრო მოხელეების თვითნებობას და მოუწოდებდა იმერეთის მოსახლეობას მათ წინააღმდეგ აჯანყებისაკენ<sup>4</sup>. სოლომონ II-ის მოწოდებამ თავისი შედეგი გამოიღო და 1810 წ. ივნისში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. სოლომონ II ახალციხიდან გადმოვიდა და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. მთელი იმერეთი მას მიემხრო.

იმერეთის აჯანყება დიდ საფრთხეს უქადდა ცარიზმის ბატონობას საქართველოში. რუსეთის ცარიზმმა სამეგრელოსა და გურუის მთავრების დახმარებით შეძლო იმერეთში აჯანყების ჩაქრობა და ამით საქართველოში მიძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა. იმერეთის აჯანყება დამარცხდა. იმერეთში დამყარდა დროებითი მმართველობა. სოლომონ II ოსმალეთში გაიქცა.

იმერეთის აჯანყების დამარცხება სავსებით კანონზომიერი იყო. სოლომონ II-ის მეთაურობით მომხდარი იმერეთის აჯანყება არ იყო პროგრესული, რამდენადაც მას ხალხისათვის აწიოკების მეტი არაფერი მოუტანია. სოლომონ II კი ამ აჯანყებაში ცდილობდა ირან-ოსმალეთის ძალების დახმარებით თავისი უფლებების აღდგენას; ეს კი ობიექტურად იწვევდა იმერეთში ირან-ოსმალეთის აგრესიული ძალების გაბატონებას, და ეს მაშინ, როდესაც იმერეთის სამეფოს არსებობა ისტორიულად განწირული იყო; აღმოსავლეთ საქართველო უკვე რუსეთთან იყო შეერთებული და დღის წესრიგში იდგა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმების საკითხი.

ახალციხეში გაქცეული სოლომონ II სულთნის მთავრობას დახმარებას სთხოვდა; შემდეგ სოლომონ II ერევანს გადავიდა და იქიდან ირანის შაჰთან ეძიებდა დახმარებას. როცა შაჰისგან ვერ მიიღო დახმარება, იგი ისევ ახალციხეში დაბრუნდა. ამ დროს რუსის ჯარის სარდალმა ტორმასოვმა სოლომონს მისკა წინადადება დაეტოვებინა ახალციხე, თბილისში გადასულიყო, სადაც იგი რუსეთის იმპერატორისაგან მიიღებდა წყალობას და სათანადო პატივს. მაგრამ სოლომონმა უარპყო ეს წინადადება, რამდენადაც მას ეს დაპირება თვალთმაქცური ეჩვენა<sup>5</sup>.

ახალციხეში მყოფი სოლომონ II არ ისვენებდა; იგი სულთნის დახმარებას ელოდა და მისი შემწეობით იმერეთის სამეფოს აღდგენას ლაშობდა. სწორედ სოლომონ II-ის ახალციხეში ყოფნის დროს არის მისადმი სულთნის მიერ გაცემული ფირმანი, რომლითაც ოსმალეთის მთავრობა სოლომონ II პირდებოდა დახმარებას და იმერეთის სამეფო ტახტზე აღდგენას. ფირმანიდან ჩანს, რომ სულთნის მიერ მიღებული წყალობა და დაპირებანი ძალიან ზოგადია; იგი კონკრეტულად იმერეთის მეფისადმი ვერავითარ დახმარებას ვერ ითვალისწი-

<sup>4</sup> Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, т. IV, თბილისი, 1870, № 343, 344; აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 70; მაშია დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 193.

<sup>5</sup> Акты...т. IV, № 327; აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 79.



ნებდა, გარდა იმისა, რომ მოსაზღვრე რაიონების ფაშები გაფრთხილებულ იქნენ ღონისძიებათა მისაღებად.

ქვემოთ მოტანილი ფირმანის შინაარსი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ აქ ნათლად ჩანს სულთნის მთავრობის ლოიალური დამოკიდებულება სოლომონ II-ისადმი და სოლომონ II-ის მიზანი — იმერეთის სამეფო ტახტის დაბრუნება ოსმალეთის დახმარებით. ამ ფირმანის შინაარსს აქ ვებეჭადეთ იმიტომაც, რომ ნათელი გახდეს სოლომონ II-ის პოლიტიკური ნაბიჯის ობიექტური ხასიათი. სოლომონ II ნებით თუ უნებლიეთ ქვეყნის საზიანოდ მოქმედებდა. იგი თურქთა ძალების მოშველიებით, თავისი სუბიექტური საქმიანობის ობიექტური შედეგებით საქართველოში თურქთა გაბატონების მომხრის როლში გამოდიოდა. ამით იგი საქართველოს დიდ საფრთხეში აგდებდა.

სოლომონ II-ის პოლიტიკური ნაბიჯი ისტორიულად განწირული იყო. მართალია, სოლომონ II-ის მთავარი მიზანი იმერეთის სამეფო ტახტის აღდგენა იყო და ამისათვის ის არ ერიდებოდა უცხო მაჰმადიანური ძალების ზომკეობას, მაგრამ ეს ღონისძიება თავისთავად არაპროგრესულ ხასიათს ატარებდა.

ახალციხეში ყოფნისას სოლომონ II-მ სულთნის მთავრობისაგან დახმარება ვერ მიიღო. ახალციხიდან იგი არზრუმის საფაშოში გადავიდა, სადაც მას სულთანმა მიუჩინა მუდმივი ბინა; მაგრამ არზრუმის ფაშასთან უკმაყოფილების გამო სოლომონ II ტრაპიზონში გადასახლდა. ტრაპიზონის ფაშა ოსმან-ხაზინედარ ოღლიმ, ვითარცა ქართველთა ვაჟი შთამომავალმა, სოლომონ II დიდი პატივით მიიღო. სოლომონ II აქვე, ტრაპიზონში გარდაიცვალა 1815 წლის 7 თებერვალს. ტრაპიზონში მყოფმა ქართველებმა სოლომონ II ბერძენების წმიდა გრიგოლის ეკლესიის გალავანში დაასაფლავეს. მისი საფლავის ძეგლზე ქართულად აწერია: „საფლავსა ამას შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩყიე (=1815 წ.) ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდენ მბრძოლთა მათ ჩემთა. მომიხსენეთ მე, მმანო, საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ“.

მეორე გვერდზე აწერია: „განმეძარცვა მე პირველი ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდებულ საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაცა ვითხოვ შენდობასა. 7 თებერვალს 1815 წელსა (ქორონიკონი ჩყიე)“<sup>6</sup>.

სოლომონ II იმერეთიდან ახალციხეში გადასვლის შემდეგ მისი ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესწავლაში ქვემოთ მოტანილი ფირმანის შინაარსი გარკვეულ შუქს შეიტანს; მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში სოლომონ II-ის საქმიანობის შესახებ ჩვენ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. სოლომონ II-ის მეფობის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლადაც ამ დოკუმენტს უსათუოდ მნიშვნელობა აქვს.

<sup>6</sup> ალ. ხახანაშვილი, მეფე იმერეთისა სოლომონ მე-II (1810—1919), თბ., 1910, 83. 76.



### آچق باش خانہ یازیلان فرمان صورتی

آچق باش ملكى سلیمانہ حکم کہ ایمرہ بالا سرداری کیخسرو و ایمرہ زیرہ سرداری داوید زیدت صداقتہا یدلریلہ بو دفعہ عتبہ علیہ کردون وقار و سدہ سنہ عنایت مداریمہ سنک و سنکہ معا دائرہ اطاعت و اتقیادده اولان تواد<sup>۱</sup> و ازناورلرینک ورود ایدن عریضہلری مفہومندہ اوتہدنبرو دولتعلیہہ اختصاص و مصادقتلری درکار و مرکز رضاجویی و استقامتدہ اصرارلری بیدیدار اولان کورجی طائفہلرینی براز زماندر اضلال و حیل و خدعہ ایلہ کورجستانہ قصد و تصدی و استیلا ایدن مسقولو عسکری بوندن اقدام تفلیس طرفہ پای انداز مکر و حیل اولدقلرندہ رعایای دولتعلیہمہ و املاک و اراضیلرینہ ضرر و زیاتلری اولمہہجفتہ یمین .اللہ ایدرک اول امردہ استمالت و امنیت صورتی کوستروب سو قصد و اعتدا و بالنفس سنی اغفال و تفلیس طرفہ ارسال ایلہ حبس و توقیف مثلو تہدیدات اشعار و ایما ایتمشلر ایسہ دہ سنکہ ملک مومی الیہسک ذاتندہ مرکوز اولان غیرت و شجاعت لازمہسنجہ روسیہلونک دست ستم پیوست خدیہہکارانلرندن قورتیلوب برو طرفہ کلدکنصکرہ مسقو عسکرینی

1 — ایمرہ زیرہ და იმერე — სპარსულ ყაიდაზე დალაგებული სახლგერულ-მსახლგერე-ლები: იმერე (თ-ი) და بالا (სპ.). 'ხემო', 'ჰემო', 'ქეგმო' (ხემო იმერეთი და ქეგმო იმერეთი). ფირმანის ორიგინალში უნდა ყოფილიყო **აჩყ** და **აჩყ** (მართალია, თურქები იმერეთს აჩიკ-ბაშს (**აჩყ** **ბაშ**) უწოდებენ, მაგრამ თვით იმერეთის დანაწილებისას ქართული სახელებია გამოყენებული). **აჩყ** დაბოლოებული არაბ. სიტყვები თურქულში უმთავრესად -ა ან -ე ბოვნებითაა გადმოსული. ამდენად ამ დოკუმენტის გამოცემელმა (ისტორიკოსმა ჯეჯედუ<sup>2</sup> მა ან, შეიძლება, დოკუმენტის შემდგენელმაც) **აჩყ** — იმერეთ-ი, ალბათ, სხვა არაბული სიტყვების ანალოგიით **აჩყ** — იმერე<sup>3</sup> და გამოიღო (შდრ. არაბული: **اچق** — ეაქათ — თ. **اچق** — ეაქა, **اچق** — ეადათ — ეა<sup>4</sup> და სხვ.

<sup>2</sup> ძველი საქართველოს პრივილეგიურ წოდებათა აღმნიშვნელი ქართული სხეციფიკური ტერმინები თაგად-ი და ახნაურ-ი, ბუნებრივია, თურქულ გნაშიც ამავე ქართული სიტყვებით გადმოიკებოდა (იხ. ს. ჯიქია. XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი, «თბილისის უნივერსიტეტის შრომები», 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბილისი. 1962, გვ. 161—185 აგრეთვე: II, გვ. 41, 43 და სხვ. ბევრგან). აქ გამოქვეყნებული დოკუმენტის ამ ადგილას და ქვემოთაც ეროვნულ გვებდება გამოთქმა **აჩყ** **აჩყ** (ნუგვებ გე ახნაურლარ), რომელშიც, ვფიქრობთ, გაუგებლობის ნიადაგზე პირველი სიტყვა დამაბინჯებულა. საცქაოდ რთული დივანის დამწერლობით შესრულებული ფირმანის გამოცემელს ჯეჯედუთ ფაშას, როგორც ირკვევა, პირველი **აჩყ** (თავად) სიტყვა შეცდომით **აჩყ** (ნუგვებ)-ად ამოუყიბთავს და გაუახიანებია. **აჩყ** მრავლობითის ფორმაა. არაბ.

**اچق** სიტყვისა, რომელიც რომელიმე თანამდებობის პირის 'შემცველს', 'რწმუნებულს',

'მოადგილს', 'ნაიბს, ნიშნავს. ამ კონტექსტში კი ნაიბ-ი || ნუგვებ-ი მოსალოდნელი არ არის, თუ გნებავთ, იმიტოვაც, რომ იმერეთში ოსმალური წარმოშობის აეთი სამთხუელეო თანამდებობა არ ყოფილა. ამდენად ჩვენ ამ დოკუმენტში ორთავე ადგილას **اچق** სიტყვა **اچق**-ად გავასწორეთ.

მდაწვევით ყიამ აილდისკიკ და აზნაორლინიკ სოზლრი სნიკე ბრაბრ აულერყ  
 ბმნე ალოლი ბონდნ ბოილე დხი აცდა დოლთ აბდ მდთმ ცლიჲნე ჲრკთ აიტმკ აოზრე  
 თკმილ ლოაზმათ სფრიჲე მტრბა შმდი ახსეჲე ამათ აიტდისკიკ თჲრირ და ბიან ჲლნშ  
 აულმღე ჲკრ აოლნან ცრიჲე აილე მცა მომი აბჲა ადმლიკიკ და კლადი სლუთთ სნიჲე ჲალა  
 და ჲლმა ცრუ აიტდკრი ჲყრი რკაბ მსუტაბ შაჲანეჲე თჲდირ აოლნდჲე ჲმლესთკ მჲომ  
 და მალ სდაჲთ აშთალი მლომ ცლმ ააღმ ბრაი ჲდიოანემ აოლმშდრ კორჲსთან კლასი  
 აბდად ცჲაღმკ ჲმ ჲლილერლე ჲმიჲე მმალკ მჲროსემ აოლდირი თარიჲდნ ბო  
 ანე კლნჲე სკან და ჲტან და მრა და ჲაბუანი დათა ჲლჲფ და ნოაჲ და ან და ასაბშდნ  
 ბერი ბრ ში მშაჲე აბმდკრნდნ მაცდა დათრე ბეიე დოლთ აბდი დოაღმდე აოლან  
 სნოფ რعاია და ებჲე და ჲეფა და ბაღმლე ბაი და კდანკ მალოფ აოლდჲლრი აბინ და  
 აცდარბე ბიჲე მდაჲლე აოლნმაჲ აზოლ სლუთთ სნიჲედნ აიდოკი ჲრკსკ მბჲრ და  
 მბჲომი აოლდირე ბნა ბოილე რعاია ბრორ და ედალთ კსტრ დოლთ ჲოი შოკთმ ჲოლღნი  
 ბრაღობ აბჲამი ჲჲიმ და აყბი ჲიჲფ ცჲიჲმ აჲლჲჲ ჲრჲრე მილ და მთაბე აბთმე  
 ბკკრი ჲაჲრ და ბო ბაბდე ჲეჲ და ჲრრლრინი აკლარ და აიშკ სოკნი მლაჲჲე აბდრ  
 ბნდკან ჲმიე ნშანმლე მცა და სნიკე ბრაბრ ააღორ ჲმაბონმდე სადჲანე სცი და ბირთ  
 აბდნრ საბე მკარმ დაბე დაოარნე მდე მსუტლ და მჲმი აჲრჲფ აოლბ აოზრიკრდნ მნკლ  
 აოჲოჲ ანჲარ მრაჲმ ათარ ჲდიოანემ. ბიდრიჲ და აჲაჲ ბიგაიათ ჲდაონდკარანემ დათმი  
 ათსოიგ ჲლნეჲი ბდბი და ბაჲრ აოლმდნაში მჲჲაი ჲოთ და ჲაღე კორე აოლ ჲოალიჲ  
 თრბბ და თსრიბ აოლნან მჲმათ დაჲინკ ჲოთ და ჲანბლე აბრშდ ბრლმსი და სნიკე ჲეჲაბ  
 მჲაბრე აბდრკ კორჲსთანდნ როსე ჲონკ კაბა დჲეი ასაბი ასთჲალ აოლნსი ჲხოვსლრი  
 ჲალა არჲრომ დაბსი და ჲრჲ ბანი ბრცსკრი დსთორ ჲზირმ ამბნ პაშა ადამ ალლე  
 თعالბ აბალე ჲრჲნე მდმა და ბო დჲეე მჲხოვა თჲრირ და თნიჲე და თაკბდ აოლნმშდრ  
 ჲოჲეე კლან ჲრკათ სადჲანეკი თჲსბნა ეჲდე კდე აოლან აჲჲ ბაშ მლკსი აბა აოლნობ  
 აჲჲა აბდნ მნშოზ ბბდბ ბლე მცა ჲლე ჲაჲე მლოკანემდნ მსორო მობ ბსორო დოჲე  
 ბრ თობ ჲლეთ მორთ ბბჲე და შმდბლკ ჲრჲჲ აოლერყ ბშიბკ ბროშ ცჲბე აოლმჲ  
 აოზრე ბრცსკრ მშარალბე ჲრჲნე არსალ და ასრა და კბიჲე ჲდლრ დაბსი დსთორ ჲზირ  
 მკრმ ბრბფ პაშა ადამ ალლე აბალე ბანიჲე დხი აჲადე და ანა აოლნმღე მჲხოვა აბო ამ  
 ბრბფ ააბიშანმ ასდარ და ადმლრკ მომი აბჲა მცაოდთლრ ბლე ბეჲ და თსბარ აოლნმშდრ  
 აბმდი ჲლეთ სნიჲე პადაშანეჲი და ცჲბე ბბე შბნაშანეჲლე აბაჲ მნშორ ჲმაბონსი  
 ბრცსკრ მშარალბე ბანიბდნ ჲრჲნე ავსლ აოლნდჲე ჲოაოთ თეჲბმ და აბბალ ბლე ასთბალ  
 და არაბი ბბბ და დოშ მჲაჲრთ და ასთბალ აბდობ დოთელებე ბრაზ და აჲარ ბბდბ  
 ჲლავს და მსადჲთ ჲოაზმნი ბონდნ ბოილე დხი აბაბე და მრკზ რებთდე თაბჲდმ აოლბ  
 მრასმ სდჲ და მჲაოეცი აბრა აბდნრ დაბ ბბრბნ სლუთთ სნიჲე აოზრე ჲრჲ ჲმაბონ  
 ჲდიოანემდნ მჲჲრ ცნაბთ და ათნათ აოლეჲლრინი ჲოათჲ კორჲსთანდნ აჲჲა აბდნრკ

كوش هوشيارينه القايه سعي و غيرت و صرف مكنت ايدرك چلدري واليسى وزير  
 مشارالیهك رأى و تدبيرى ايله على الدوام مدافعة اعدايه و تأليف قلوب رعايا و ضبط  
 و ربط مملكت و انكابه قيام و دوام ايلديكك حالده حقهكده دركار اولان حسن  
 توجهات پادشاهانه روزبروز متزايد و افزون و جوهله لطف و نوازش خديوانه  
 ظاهر و رونمون اوله جفى معلومك اولدقده مجبول اولديكك اخلاص و مصادقت و لوازم  
 متابعت و مطاوعتى اجرا و هر حالده توجه شاهانه تزايدينه اعتنا ايلمك بانبده فرمان  
 عايشانم صادر اولمشدر تحريرا فى اواسط ربيع الاول لسنة ست و عشرين و مائين  
 و الف<sup>9</sup>

### აჩიკბაშის<sup>10</sup> ხანისადმი<sup>11</sup> მიწერილი ფირმანის<sup>12</sup> პირი

აჩიკბაშის მეფეს სოლომონს<sup>13</sup> ვუბრძანებთ: ზემო იმერეთის სარდლის ქა-  
 იხოსროსა<sup>14</sup> და ქვემო იმერეთის სარდლის დავითის<sup>15</sup> (იმატოს მათმა ერთგულე-  
 ბამ) ზელით ამჯერად ჩემს მაღალ ღირსებამოსილ ზღურბლსა და ჩემს უზენაეს

<sup>9</sup> «تاريخ جودت» ტ. IX, 1292 წ. ჰიჯრისა [=1875 წ.], გვ. 380—382.

<sup>10</sup> ძველ თურქულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში იმერეთი საერთოდ აჩიკბაშად  
 (თურქულია; ნიშნავს: თავლია, უჭედო) არის ცნობილი. ამაზე დაწერილებით იხ. ს. ჭიჭია,  
 «გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი», III, თბილისი, 1958, გვ. 80—83.

<sup>11</sup> ხანი — მბრძანებელი, მეფე, მონარქი, სულთანთა ტიტული; შემდეგ კი ამ დოკუმენტში  
 სოლომონ II მელიქ (ملك)-ად (ე. ი. მეფედ) იხსენიება.

<sup>12</sup> ფირმანი-ი (სპ.) — უზენაესი ხელისუფლების მიერ გაცემული წერილობითი ბრძანებუ-  
 ლება.

<sup>13</sup> თურქულ დედანში سليمان — სულიმანი წერია.

<sup>14</sup> ზემო იმერეთის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი იყო სოლომონ II-ის ერთგული თავად-  
 თავანი. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმერეთის სამეფოში სოლომონ II-ის პოლიტი-  
 კური ზრახვების განხორციელებაში. ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით ქაიხოს-  
 რო წერეთელი ბოლომდე ერთგული დარჩა სოლომონ II-ისა და ახალიცხუში გაქცეულ მეფეს  
 სხვა ერთგულ თავადებთან ერთად თან ახლდა. ფირმანის შინაარსიდანაც ჩანს, რომ ქაიხოსრო  
 წერეთელს ქვემო იმერეთის საჭადღა დავითთან ერთად სოლომონ II-ის მორჩილების წერილი  
 მიუერთმევია სულთნისათვის.

<sup>15</sup> ქვემო იმერეთის სარდალი დავითი გვარად აგიაშვილია, რომელიც ქაიხოსრო წერეთელ-  
 თან და გიორგი წულუკიძესთან ერთად 1810 წელს რუსეთის ცარიზმის ჯარების წინააღმდეგ  
 საომარ მოქმედებას ეწეოდა (Акты..., ტ. IV, გვ. 230; 241; 242). იმერეთის სამეფოში შემო-  
 დებული დროებითი მმართველობის წესდებაში სავანგებოდაა ხაზგასმული იმერეთის სამეფო-  
 ში სამი სარდლის არსებობის შესახებ: ესენი იყენენ: 1) ქაიხოსრო წერეთელი, 2) სიმონ  
 წულუკიძე და 3) დავით აგიაშვილი (იქვე, გვ. 262). ამავე აქტებში  
 1811 წლის 10 ივნისის თარიღით მოტანილია გენერალ ტორმასოვის გენერალ რუმიანცევის-  
 დმი მიწერილი წერილის შინაარსი, სადაც ნათქვამია: „Имею честь почтеннейше Вам донести  
 о полученном мною чрез лазутчика известии, что недавно пред сим прибыли из Цар-  
 града (ე. ი. სტამბოლიდან—ბ. შ., ს. ჯ.) в Эрзерум князья Канхосро Церетели  
 и Давид Агиашвили, бежавшие с царем Соломоном с пове-  
 лением от султана, чтобы Эрзерумский сераскир снабдил царя 300 кесеами  
 денег и чтобы действовал он со всеми силами против нас...“ (იქვე, გვ. 775).



და კეთილგანწყობილების საყრდენ კარიბჭეში შენგან და შენთან ერთად მორჩილებისა და ერთგულების ფარგლებში მყოფ თავადთა და აზნაურთაგან მიღებული თხოვნის წერილების შინაარსი შემდეგს გვატყობინებსა და გვანიშნებს: ქართველი ტომების ოსმალთა სახელმწიფოსადმი კეთილდამოკიდებულება და ერთგულება ოღითგანვე უდავოა და მათი სიმტკიცე (ჩვენს) მომხრეობასა და გულწრფელობაში ნათელია. ერთი ხანია, რაც მოსკოველთა ჯარებმა თალლითობით, ოინებითა და თვალთმაქცობით, ხელი აღმართეს საქართველოზე და იგი დაიპყრეს. ამას წინათ მათ თბილისის მხარეში ცბიერებითა და ოინბაზობით რომ ფეხი მოიკიდეს, ღვთით ფიცი დადევს, რომ ჩემც მაღალი სახელმწიფოს ქვეშევრდომებს და მათ ქონებასა და ადგილ-მამულს ზარალსა და ზიანს არ მიაყენებდნენ და ამ თვალსაზრისით მათი გულისმონადირება მოინდომეს და თავიანთი თავი მისანდოდ მოაჩვენეს. ბოროტი განზრახვითა და მტრობით (მათ უნდოდათ) თვით შენი მოტყუება და თბილისისაკენ შენი გამგზავრება, დაქერა და დაპატიმრება და [სხვა] ამგვარი მუქარები, ჩვენ მოგვეწერეს და სიტყვიერადაც გვიამბეს, რომ მიუხედავად ამისა, შენ რომ ზემოხსენებული მეფე ხარ, შენში თანდაყოლილი თავგამოდებისა და მამაცობის შესაბამისად. მას შემდეგ რაც რუსის დასაგმობ და თალლით კლანჭებს თავი დააღწიე და აქეთკენ გადმოხვედი, შენ მოსკოვის ჯარის დაცვას წინააღმდეგობა გაუწიე და ყველა თავადთან და აზნაურთან შეთანხმებით და ერთსულოვნებით, ღმერთის შემწევობით, ახლაც, ჩემი სამარადისო სახელმწიფოს მტერთა წინააღმდეგ სამოქმედოდ მთელი სამხედრო საჭურვლის მოლოდინში ამქამად ახალციხეში იმყოფები. აღნიშნული თხოვნის წერილთან ერთად ზემოხსენებული შენი კაცების მიერ ჩემი უზუნაესი სამეფოს ვეზირებისათვის სიტყვიერად და წერილობით მოხსენებული (ცნობები) ჩემს მაღალ მეუფებას რომ წარედგინა, ყველა ამ ერთგულების შემცველი ამბების შინაარსი და აზრი ჩემი ქვეყნის დამამშვენებელი მეუფებისათვის ცნობილი გახდა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მხარე ჩემი დიდებული წინაპრების უზუნაესი მზრუნველობით ჩემი კეთილად დაცულ სახელმწიფოს შემოუერთდა, აქამდე მის მკვიდრებსა და მოსახლეობას, მმართველებსა და ჯარის მეთაურებს მუდმივი სიამოვნებისა და გულთბილობის, მშვიდობიანობისა და სიწყნარის გარდა არაფერი უნახავთ. ამას გარდა, ყველას მიერ აღიარებული და მტკიცედ ცნობილია, რომ ჩემი მარადიული სახელმწიფოს ქვეშევრდომობის ფარგლებში მცხოვრებ რაიფეთების<sup>16</sup>, უძღურთა და უმწეოთა ფენებისთვის და ყველა მდიდართა და ღარიბთათვის ჩვეულებით განმტკიცებულ წესებსა და ადათებში სრული ჩაურევლობა ჩემი უზუნაესი სამეუფეო კანონია. ამიტომ ცხადია, რომ ასეთი რაიფეთის მოყვარული და სამართლიანი ჩემი ძლიერი და ბრწყინვალე სახელმწიფოს ხელქვეითობას არ დატოვებენ და არ გადაიხრებიან და არ დაექვემდებარებიან იმ მხარეს, სადაც მათი მომავალი და ბედი საშიშროებასა და უსამართლობაში აღმოჩნდება. ამ თვალსაზრისით ნათელი და აშკარაა აგრეთვე, რომ ის ჩემი საფარველ ქვეშ მყოფი ქვეშევრდომები, რომელთაც შეუძლიათ გაერკვნენ სიკეთესა და სიავეში და რომელთაც შესწევთ უნარი ვაითვალისწინონ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას, და (აგრეთვე) ისინი,

<sup>16</sup> არაბ. რაიფეთ (رايفت) — მრავლ. რეიფთ (رايفت), ამ დროისათვის ეს სიტყვა უკვე ოსმალთა სახელმწიფოს არამუსლიმ ქვეშევრდომს ნიშნავს.



ვინც შენთან ერთად ჩემი მეუფებისათვის ერთგულ სამსახურს გასწევს და გულისხმიერებას გამოიჩენს, ჩემთვის ჩვეული სამეფო გულუხვობის მეოხებით უზრუნველყოფასა და ყოველმხრივ უშიშროებაში იქნებიან. თქვენთვის დაუზოგველად იქნება ყოველგვარი ჩემი სამეუფეო წყალობა და გამუდმებით გაიცემა დაუსრულებელი უზენაესი წყალობანი. ამიტომ დროისა და ვითარებათა შესაბამისად, მაგ ადგილებისათვის დამზადებული და გამოგზავნილი საკმაო რაოდენობის საომარი საჭურვლის დროულად მიწოდების, შენთან წერილობითი ურთიერთობის დამყარებისა და საქართველოდან რუსობის მთლიანად გასადევნად ღონისძიებათა მიღების საქმეების შესახებ აღრეც და ამქამადაც მიეწერა და უკვე გაფრთხილებულია არზრუმის ვალი და აღმოსავლეთის მხარეთა<sup>17</sup> მთავარსარდალი ჩემი დესთური<sup>18</sup> და ვეზირი ემინ ფაშა<sup>19</sup> (მაღალმაღმერთმა ხანგრძლივ ჰყოს დიდებულება მისი). შენს მიერ შესრულებული ერთგული მოქმედებანი იმსახურებს ჩვენს მოწონებას. (ამდენად) შენზე დაკისრებული აჩიებაშის მეფის თანამდებობა შენ დაგეტოვება. ზემოხსენებულ მთავარსარდალს გამოეგზავნა (საამისოდ) საჭირო ახალი უავგუსტოესი ფირმანი და ჩემი სამეუფეო საგანგებო ხალათებიდან სიასამურისა და სიხარულის გამომწვევი შეკერილობისა და სიამის მომგვრელი საპატიო ხალათი და ჭერჭერობით საბოძვარად და სახარჯოდ ხუთი ათასი ყურუში.

ეს ვითარება განემარტა და ეცნობა აგრეთვე ჩილდირის ვაღლინ პატივმოსილ დესთურსა და ვეზირს შერიფ ფაშას<sup>20</sup> (ალლაჰმა ხანგრძლივი ჰყოს დიდებულება მისი). საგანგებოდ გამოიცა ეს ჩემი პატიოსანი და მაღალღირსეული ბრძანება და ზემოხსენებული შენი კაცების უკან დაბრუნებისას გაიგზავნა. ახლა, როდესაც ჩემი სამეუფეო უზენაესი ხალათი, ჩემი საშაჰინშაჰო ეს კეთილი საბოძვარი და [თანამდებობის] შენარჩუნების [დამადასტურებელი] უავგუსტოესი ჩემი ფირმანი მისგან [ვალისაგან] შენამდე მოაღწევს, დიდებითა და საზეიმო სვლით შეეგებე მას და გულმკერდ დამწვენბული გულუხვად იყავი. შენ მიერ ოსმალთა სახელმწიფოს წინაშე გამოჩინებული და გამომჯღავნებული ერთგულება და გულკეთილობა შემდეგშიაც გქონდეს და ქვეშევრდომთა შორის მტკიცედ იყავი. ვინც ჩემდამი ერთგულებასა და მორჩილების წესებს შეასრულებს, ჩემი უზენაესი მეუფების ძველი ჩვეულების მიხედვით, ჩემი უავგუსტოესი სამეფო წყალობისა და კეთილგანწყობილების ღირსი

<sup>17</sup> ივარაუდება აღმოსავლეთ ანატოლია.

<sup>18</sup> დესთურ-ი (სპ.) — დიდგვარულიანი ვეზირი, მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწე.

<sup>19</sup> ემინ ფაშა — ემინ ზადე ემინ ფაშა არზრუმის ალთაიანი იყო. აქვე საბაჟოს განაგებდა. 1810 წლის ბოლოს ვეზირის რანგით დაინიშნა აღმოსავლეთ ანატოლიის მთავარსარდალსა და არზრუმის ვალის თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე ოთხ წელიწადს იყო. შემდეგ დიარბექირის ვალის თანამდებობა ეკავა ერთ წელიწადს, რის შემდეგაც გარდაიცვალა (ა. Sicil-i 'Osmani, I, გვ. 423).

<sup>20</sup> შერიფ ფაშა — ისპაჰ ფაშის (ყოფილი თბილისის ვაღლინ?) შვილიშვილის სულეიმან ფაშის შვილია. სხვადასხვა თანამდებობათა შესრულების შემდეგ პიჯრის 1206 (= 1791—1792) წ. ჩილდირის ვაღლინ ადგილზე დანიშნეს. „სიჯილი-ი ოსმანის“ ავტორის მიხედვით, შერიფ ფაშა ამის შემდეგ სხვადასხვა დროს იყო მარაშის, ალაბისა და აღანის ვაღლინ, შემდეგ, ყარსის, დიარბექირისა და (მეორეჯერ) აღანისა. 1808—1809 წლებში კარა-პისარისა და ბოლოს 1809—1810 წწ. ტრაპიზონის ვალი და შავი ზღვის სანაპიროების მთავარსარდალი გახდა. [Sicil-i 'Osmani, III, გვ. 1311 (?)].

ვახდება. ძალიან ეცადეთ, რომ ქართველთა ტომის საჭირო პირებისადმი დიდი გულმოდგინება და გულისხმიერება გამოიჩინოთ და ყურადღებით მოექცეთ. ჩილდირის ვაზის, ზემოხსენებული ვეზირის რჩევათა და წინდახედულობათა გათვალისწინებით თუ შენ განუწყვეტლივ ხელს მიჰყოფ მტერთაგან თავდაცვას, ქვეშევრდომთა გულის მოგებას და სახელმწიფოსა და მხარეში წესრიგის დამყარებას, შენს მიმართ გამოჩენილი ჩემი სამეუფეო კეთილი განწყობილება დღითი-დღე გაიზრდება და გაძლიერდება და ჩემი ყოველგვარი სამეუფეო გულითადობა და სიამტკბილობა გამოვლინდება და გამომჟღავნდება და რა-დესაც (ყველაფერი ეს) შენთვის ცნობილი გახდება, შენში თანდაყოლილ ალალ-მართლობასა და ერთგულებაში და უეჭველ ქვეშევრდომობასა და მორჩილებაში იყავი და უსათუოდ დიდი გულისყურით მოეკიდე შენდამი ჩემი სამეუფეო კეთილი განწყობილების გაძლიერებას, რაშიაც გაცემულ იქნა ჩემი მაღალღირსეული ფირმანი. დაიწერა რებზ - 'ულ-ევეელის მეორე ათეულში, ათას ორას ოცდაექვს წელს (=1811 წლის 5—14.IV).

## ძველი ქართლის ლექსიკონი

ილია აბულაძე

### 7. ვაჰმან-ი—ვაჰმან-ი

ამ სიტყვას რამდენიმე ძველ ქართულ წერილობით ძეგლში ვხვდებით ესენია: «მამათა ცხოვრება» ანუ «პატერიკი», თარგმნილი ბერძნულიდან თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, და «ვისრამიანი», სპარსულიდან გადმოღებული XIII ს-ის პირველ ათეულში.

«მამათა ცხოვრებაში» ეს სიტყვა «ვაჰმან» ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო «ვისრამიანში» — «ვაჰმან-ით». აღრიდელია «ვაჰმან-ი», რომელიც სუსტი „პ“-ს დაკარგვის შემდეგ გვაძლევს «ვაჰმან-ს», რაც დასახელებულ წყაროში «ვაჰმან-ის» სახითაა დაცული.

ამ სიტყვის შინაარსის დადგენა ხერხდება, ჯერ ერთი, «მამათა ცხოვრების» იმ კონტექსტების მიხედვით, რომელთაც ეს სიტყვა («ვაჰმან») მოეპოვება და, მეორე, შესაბამისი ადგილებით სომხური «პატერიკისა» (*Վարդհարանյ*), რომელიც აღნაგობით ქართულის თანმხვედომია. აი ეს ადგილები:

ა) «შენ, ვინმე, ვაჰმანო დედაკაცო, მოგუალე ჩუენ თანა» (A—1105, 192 r.), შდრ. სომხ.: *Այս անուն կին, դու არի գნասყოք*<sup>1</sup>;

ბ) «შენ, ვინმე, ვაჰმანო ქალო» (A—1105, 421 r.);

გ) «შენ, ვაჰმანო კაცო, სადა დასდევ უტხოჲ იგი ნამარხევი» (A—1105, 426 r.), შდრ. სომხ.: *«Այս անուն ար, դու, ուր სიჭիր գասაღն այս»*<sup>2</sup>.

ქართული კონტექსტებითა და სომხური წყაროს შესაბამისი, ადგილების თანახმად «ვაჰმან-ი» აღნიშნავს: «ესადაესს» ან, დღეს რომ იტყვიან, — «მაჰან-ს».

ესევე შინაარსი აქვს ამ სიტყვას «ვისრამიან-შიც»: «ვაჰმანის საქონელი ვაჰმანისა არისო». «ვისრამიან-ის» მეორე გამოცემაზე დართული ლექსიკონის მიხედვით (შემდგენელი პროფ. იუსტ. აბულაძე, რომელსაც სიტყვათა განსამარტავად სპარსული «ვისრამიან-იც» გამოუყენებია) «ვაჰმან-ი» აღნიშნავს: «არაბულ ჭულან—ესადაეს-ს»<sup>3</sup>, ე. ი. ქართ. «ფლან-ს», რაც იგივე «მაჰან-ია», რომელიც დღეს ქართულშია (მეტად აღმოსავლურ კილოებშია) გავრცელებული<sup>4</sup>.

<sup>1</sup> *Վարանյ վարդ* ისპაჰანის ახალი ჯულას გამოცემა 1641 წლ., გვ. 204<sup>2</sup>.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 491<sup>3</sup>.

<sup>3</sup> ვისრამიანი, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი ი. აბულაძისა, თბილისი, 1938, გვ. 360.

<sup>4</sup> «ვაჰმანისა» და «ვაჰმანის» ფორმით იცნობს ამ სიტყვას «ვისრამიანის» მიხედვით დოკ. ივ. ქავთარაძე (ლექსიკონი, დართული წიგნზე «ძველი ქართული ლიტ-რის ქრესტომათია», II, შედგენილი ს. ყუბანეი შვილიძის მიერ, თბ., 1949), რასაც განმარტავს სიტყვით: «მაჰანი».



„ვაჰმან-ი“ და „ვაამან-ი“, ჩვენი დაკვირვებით, სხვა არაფერია, თუ არა სპარსული **ناه**; ბაჰმან, რომელიც, პაკობ ტიუზიანის ლექსიკონის<sup>5</sup> მიხედვით, იხმარება თურმე აღსანიშნავად უცნობი პირისა, რომელსაც მუდამ თან ახლავს ხოლმე „ჰქლან“ სიტყვაო. ი. იაველოს განმარტებითაც სპარს. **ناه**-ბაჰმან, აღნიშნავს „ვინმე-ს“, „ვილატ-ას“<sup>6</sup> („кто-то, известное лицо, ч. н. известное“), ე. ი. იმავე „მავან-ს“, რომელიც ამჟამად ლიტერატურულ ქართულშიც იხმარება.

ამრიგად, გამოთქმები— „შენ, ვაჰმანო კაცო“, «მამათა ცხოვრებისა» და «ვისრამიანის» „ვაამანის საქონელი ვაამანისა არისო“ — სხვას არას აღნიშნავს, თუ არა: „შენ, მავანო კაცო“ და „მავანის საქონელი მავანისა არის“.

„მავან-ი“ სპარსული „ბაჰმან-ის“ შესატყვისი გვეგონია არა მარტო შინა-არსით, არამედ ფორმითაც. „მავან“ უნდა მომდინარეობდეს „ბაჰმან-იდან“: „ბაჰმან“ → „ვაჰმან“ → „ვამან“ და, ბოლოს, მარცვლების გადასმით, ანუ მეტათეზისით— „მავან“ („ბ“-ს და „ვ“-ს მონაცვლეობისათვის შდრ.: ავგარდანი ←

انگردان — abgardān; ავშარაჯი ← ایشار abšār; არდაველი ← اَرْدَابِل — ardabil)<sup>7</sup>.

P. S.: ახლახან (1962 წ.) გამოქვეყნებული „ვისრამიანის“ გამომცემლებს ალ. გვახარიასა და მ. თოდუას ხელნაწერებით დადასტურებული „ვაამანი“ შეუცვლიათ „მავანით“, რომელიც „ვაამან-ზე“ უფრო მართებულ და ადრინდელ ფორმად მიაჩნიათ (იხ. ამ გამოცემის კომენტარები, გვ. 327—328), რაც, ზემორე წარმოდგენილი ჩვენი მასალისა და ახსნის მიხედვით, სწორი არაა. როგორც ირკვევა, ზედმეტი ყოფილა გამომცემელთა ცდა ტექსტის გასამართავად, ისე როგორც იმის მტკიცება, რომ „მავანი-ს“ დამახინჯებული სახე იყოს „ვაამანი“.

### ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

И. В. АБУЛАДЦЕ

#### 7. ვაჰმან-ი—ვაამან-ი

Автор, на основе показаний памятников древнегрузинского языка и данных других языков выявляет как содержание (значение) этого слова („такой-то, определенное лицо“), так и его происхождение (персидское **ناه**).

<sup>5</sup> **ჩაოთარან თარსიხტენ რთო ლარქი ნაქსაკან თარსიხტე ქ მაცირყა** **ს ქ ა ჯ ა ნ.** **Чоотараниаоаири,** 1826.

<sup>6</sup> **Полный персидско-арабско-русский словарь,** составил И. Д. Ягело, Ташкент, 1910.

„ვაამან“ სიტვის განმარტება სულხან-საბა ორბელიანსაც მოეპოვება. მისი ლექსიკონის ავტორაფთული წუსხების მიხედვით იგია: „არარა“ „არარასათვის“ ან „არარად“, რაც, როგორც ვხედავთ, „ვისრამიანის“ ზემორე მოყვანილი ადგილის მიხედვით, არის განსაზღვრებული, თუმცა არა ზედმიწევნით.

<sup>7</sup> აღნიშნული მაგალითები მომპოვდა ც. აბულაძემ, რომელსაც მადლობას მოვახსენებ. ქართული „ავშარაჯი“ კარაბადინებში იხმარება, ხოლო „არდაველი“ ქართლის ცხ-ში (ლაშა ჭიორგის მემბტიანესთან, გვ. 243,30).



## პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსთა შესახებ ქართულურ ენაში<sup>1</sup>

ა. მინანი

(წარმოადგინა აკად. გ. ახვლედიანმა)

ცნობილია, რომ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში (ე. ი. ზანურში ანუ კოლხურში) პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობა -თ სუფიქსით გამოიხატება, სვანურში კი იგივე მორფოლოგიური ფუნქცია დაკისრებული აქვს -დ სუფიქსს. ეს ფორმანტები (ქართ.-მეგრ.-ჭან. -თ და სვან. -დ) მართოდენ ფუნქციით კი არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ მასალობრივადაც. ისინი ერთი რომელიღაც ბგერის ლიფერენციაციის შედეგს წარმოადგენენ და ამდენად მათი საფუძველი ჯერ კიდევ წინარექართველურ ენაში უნდა ყოფილიყო მოცემული. მაგრამ რომელია კერძოდ ამოსავალი, თ, დ, თუ რომელიმე სხვა ბგერა? ეს საკითხი ბუნებრივად ისმის ჩვენს მეცნიერებაში.

პროფ. ვ. თოფურიას შესაძლებლად მიაჩნია, ამოსავალი მდგომარეობა დაცული იყოს სვანურში, ე. ი. -დ იყოს პირველადი, ხოლო ქართულსა და მეგრულ-ჭანურში მომხდარიყო ამ -დ-ს დაყრუება აუსლაუტში<sup>2</sup>.

იგივე აზრი უფრო გვიან გამოთქვა პროფ. ა. ჩიქობავამ<sup>3</sup>. ავტორი ითვალისწინებს ჩაჩნური და დაღესტნური ჯგუფის ენათა მონაცემებს და მათ საფუძველზე გამოყოფს ნივთის კატეგორიის ნიშნებს ქართველურ ენებში ერთ-ერთი ასეთი ნიშანია პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსი -თ ქართულში. მაგრამ ეს -თ ქართულისათვის პირველადი რომ იყოს, მაშინ ის ნივთის კატეგორიის ნიშნად ვერ ჩაითვლებოდა. ის მომდინარეობს -დ ბგერისაგან. ასეთი დასკვნის საფუძველია სვანურის ვითარება, სადაც ქართულ -თ სუფიქსს -დ შეეფარდება:

ქართ. ვარ-თ	სვან. ხჷწრი-დ
ხარ-თ	ხწრი-დ
არი-ან	პრი-ბ

მაშასადამე, ქართულში „ზმნის სუფიქსი -თ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებული და გაფშვინვიერებული -დ სუფიქსია“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ქართველურ ენათა განყოფილების სხდომაზე 1961, 29 დეკემბერს.  
<sup>2</sup> ვ. თოფურია, სვანური ენა, 1, ზნა, 1931, გვ. 9.  
<sup>3</sup> ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 67—76.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 75.

ამგვარადვე წყდება, პროფ. ა. ჩიქობავას აზრით, სახელის მრავლობის -თ- სუფიქსის საკითხიც ქართულში: კაც-თ-←კაც-დ<sup>5</sup>.

ამრიგად, დ(→თ) სახელსა და ზმნაში ერთი და იგივე ფორმანტია და ეს -დ, როგორც მრავლობითის სუფიქსი, იგივე ოდენობაა, რაც სახელებში მ-ტკუა-რი (←დ-კუარი), დათვი, \*დინჭული, \*დინჭარი, ზან. დიშქა „შეშა“, ჰან. დიციბირი („სისხლი“), ჰან. დუცხუ „ცაცხვი“...: -დ- ნივთის კატეგორიის ფორმანტია<sup>6</sup>. ეგევე ფორმანტი ფართოდაა გავრცელებული ჩაჩნური ჯგუფის ენებშიც და დაღესტნის ენათა უმეტესობაშიც<sup>7</sup>.

ამავე აზრს იზიარებს პროფ. გ. როგავაც<sup>8</sup>. ჩვენ ამჟამად ნივთის კატეგორიის საკითხი არ გვანტერესებს. ვერც სახელთა მრავლობითის -თ- სუფიქსზე შეგჩერდებით. ხოლო ზმნის მრავლობითობის ფორმანტის ზემონაჩვენები ინტერპრეტაცია ბუნებრივი ჩანს, ქართველურ ენათა შედარება თითქოს იძლევა ამის საშუალებას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულში (მეგრულ-ჭანურშიც) სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დ-ს (და საერთოდ მდგერი ბგერების) დაყრუება ამჟამად მოქმედი ფონეტიკური პროცესია, ხოლო სვანურისათვის ეს პროცესი თითქმის არ არის დამახასიათებელი.

და მაინც ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს ზოგიერთი სერიოზული დაბრკოლება ეღობება, რომელთა დაძლევის გარეშე ის ვერ იქნება დამარწმუნებელი:

1) თუ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში -თ ფორმანტი -დ-საგან მომდინარეობს, მაშინ მოსალოდნელი იყო ამისათვის სხვა ანალოგიურ ფაქტებსაც შეემაგრებინა ზურგი, ე. ი. უნდა გვქონდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ქართულში<sup>9</sup> დ მდგერი თანხმოვანი ასეთსავე პოზიციაში დაყრუებულა და თ-ში გადასულა, ხოლო სვანურში მდგერადვე დარჩენილა, ასეთი ფაქტები ჯერჯერობით თითქოს არ არის ცნობილი. ამდენად -თ ფორმანტი, რომელიც დ-საგან მიღებულია და მიჩნეული, გაწმარტოებით დგას.

2) საწინააღმდეგო ფაქტები კი მოგვეაოვება:

ა) როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშნად დადასტურებულია -ედ სუფიქსიც, რომლის -დ, მიუხედავად იმისა, რომ ის აბსოლუტურ ბოლოში იყო, არ დაყრუებულა, თ-დ არ ქცეულა. პროფ. ა. ჩიქობავას შესაძლებლად მიაჩნია ეს გარემოება იმით აიხსნას, რომ „1 და 2 პ. აღრითგანვე მტეი ხნის განმავლობაში იყო აბსოლუტურს ბოლოში, ვიდრე უფრო გვიან წარმოქმნილი 3 პირის ფორმაში -ედ, რომელიც მასთან არც შერჩა სალიტერატურო ენას“<sup>10</sup>. თუ ედ სუფიქსის გვიანდლობას დასაბუთებულად მივიჩნევთ, მაშინ ეს საყურადღებო ვარაუდია, მაგრამ იმ ეჭვს, რომელსაც ზმნის მრავლობითობის -თ სუფიქსის -დ-საგან

<sup>5</sup> ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1952, გვ. 37—38.

<sup>9</sup> ზანურის ჩვენებას ამ შემთხვევაში ვერ დავეყრდნობით, ამაზე ქვემოთ.

<sup>10</sup> ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

წარმომავლობა იწვევს, საბოლოოდ ვერ აბათილებს. ისე გამოდის, რომ ერთნაირ პოზიციაში ერთი და იგივე ბგერა ერთ შემთხვევაში დაყრუვდა, მეორეში—არა.

ბ) ამ მხრივ უფრო საყურადღებოა ვითარებითი ბრუნვის ფორმანტის ჩვენება ქართველურ ენებში. ცნობილია, რომ ქართული ვითარებითი ბრუნვის ფორმანტი -დ (-ად), მიუხედავად იმისა, რომ ის აბსოლუტურ ბოლოშია, არ დაყრუვებულა. მის შესატყვისად სვანურშიც დ სუფიქსია წარმოდგენილი. აქ, ე. ი. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ქართ. დ: სვან. დ-ს ისეთივე შეფარდება გვაქვს, როგორც სხვა პოზიციაშია დადასტურებული (შდრ. ქართ. დათვი, ზრდა—სვან. დჷშლჷ, ლირდი...). მაშასადამე, აქაც, ისევე როგორც საზოგადოდ, დ ბგერა ქართულსა და სვანურში ერთნაირად არის წარმოდგენილი.

კითხვა ისმის: როგორ მოხდა, რომ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქცევამ დ ბგერა ერთ შემთხვევაში (I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსი) დააყრუა, ხოლო მეორე შემთხვევაში (ვითარებითი ბრუნვის ნიშანი)—ეერა? ამ კითხვაზე პასუხი არა ჩანს, მაგრამ იქნებ შესაძლებელია ვითარებითი ბრუნვის ფორმანტიც, ისევე როგორც მესამე პირის მრავლობითის ნიშანი -ედ, გვიანდელ წარმონაქმად მივიჩნიოთ? ქართველურ ენათა მონაცემების შედარება ამის საშუალებას არ იძლევა.

გვაქვს თუ არა რაიმე საფუძველი, რომ ეს ფორმანტი რომელიმე ერთი ქართველური ენიდან შეხიზნულად მივიჩნიოთ დანარჩენ ქართველურ ენებში? არა, ამგვარი საფუძველი არ გავგაჩნია! აქ ფორმანტში გვაქვს ქართ.-სვან. დ-სა და მეგრ. -ჭან. თ (← დ)-ს ისეთივე შეფარდება, როგორც სიტყვებში:

ქართ. შევიდ-ი      სვან. იშჷტიდ      მეგრ. შქვით-ი  
დათვი-ი              დჷშლჷ              თუნთ-ი და სხვ.

სადაო არ უნდა იყოს, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ქართველურ ენებში საერთო ქართველური წარმოშობისაა, თითოეულ მათგანში ის წინარექართველურიდინ მომდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, საწინააღმდეგო აზრისათვის რაიმე ხელშესახები საბუთი არ არსებობს. მაშასადამე, წინარექართველური -დ ქართულში დ-დვე დარჩა, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხმარების გამო ის არ დაყრუვებულა, თ-დ არ ქცეულა. აქედან დასკვნა: სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხმარება არ გამოდგება წინარექართველურიდან მომდინარე დ-ს დაყრუვებას ახსნიხათვის.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი და I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსი ქართველურ ენებში ერთი და იმავე ხნოვანებისაა—ორივე წინარექართველურიდან მომდინარეობს. რაკი სიტყვის აბსოლუტურმა ბოლომ ვერ გამოიწვია ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუვება ქართულში, მოსალოდნელი არ იყო ამავე პოზიციას გამოეწვია ზმნის მრავლობითობის სუფიქსის დაყრუვება, თუ ის დ ბგერისაგან მომდინარეობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნის მრავლობითობის -თ სუფიქსის დ-საგან წარმომავლობა პოზიციით ვერ აიხსნება. ეს გარემოება ძალაუნებურად ბადებს ეჭვს, რომ ეს ფორმანტი დ-საგან მოდიოდეს ქართულში. ეს ეჭვი კიდევ უფრო საფუძველიანი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად, ჩვეულებრივ, -დ იხმარება, ხოლო I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად -თ არის დადასტურებული უგამონაკლისოდ, მის ნაცვლად -დ კი არსად ჩანს.

მაგრამ ამ ექვს თითქოს მეგრულის ვითარება ეწინააღმდეგება, აქ ხომ ვითარებითი ბრუნვის ფორმანტი თ-ს სახით არის წარმოდგენილი, რომელიც, უმკველია, დ-საგან არის მიღებული თვით მეგრულისავე ნიადაგზე. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ არ შეიძლება ჩვენთვის საინტერესო სუფიქსიც (I და II სუბიექტური პირის მრავლობითის -თ) ასევე დ-საგან მიღებულად ჩავთვალოთ? ასეთი დაშვება შესაძლებელი იქნებოდა, ქართულის ჩვენება რომ არ გვიწოდებდა ხელს. მეგრულში წინარე-ქართველურისაგან მომდინარე დ-ს დაყრუების სხვა შემთხვევებიც არის ცნობილი (თუნთი ← \*დუნთი, შქვითი ← \*შქვიდი...), ქართულში კი ის, ჩვეულებრივ, დ-ს სახით არის წარმოდგენილი<sup>11</sup>. მეგრულში დ-ს (და საერთოდ მკლერი ბგერების) დაყრუებისაკენ ტენდენცია უფრო ინტენსიურია ისტორიულად, ვიდრე ქართულში, ამით უნდა აიხსნას, რომ მეგრულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის (-დ-ს) დაყრუებისათვის საკმარისი აღმოჩნდა მისი აბსოლუტურ ბოლოში მოხვედრა, ხოლო ქართულისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგივე პოზიცია საკმარისი არ აღმოჩნდა. სხვა ფონეტიკური საფუძველი ქართულში I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის -დ-ს (თუ ის მართლა დ იყო) თ-ში გადასვლის ასახსნელად არ გაგვაჩნია. ეს კი სერიოზული საფუძველია იმისათვის, რომ გვეჩვენებოდეს მრავლობითობის -თ სუფიქსის დ-საგან წარმომავლობა<sup>12</sup>.

3) როგორც ზემოთ აღინიშნა, I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის -თ და სახელთა მრავლობითის -თ (კაც-თ-ა, მხეც-თ-ა...) ერთი და იმავე ოდენობად არის მიჩნეული. ჩვენ ამჟამად მათი ურთიერთობის საკითხი არ გვაინტერესებს. მაგრამ თუ მაინც მათ ერთსა და იმავე მონაცემად ჩავთვლით, მაშინ კიდევ უფრო საეჭვო გახდება მათი დ ბგერისაგან წარმომავლობა. საქმე ისაა, რომ სახელთა მრავლობითობის -თ- არც ახალ, არც ძველ ქართულში აბსოლუტურ ბოლოში არ გვხვდება. კაცთ-ასეთი ფორმა ისტორიულად არ არის დადასტურებული, მას -ა მოსდევს აუტოლებლად (კაცთა, მხეტთა...). ამდენად, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ სახელთა მრავლობითის -თ- მიღებული იყოს დ ბგერისაგან მისი აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებით.

4) კითხვა ისმის: იყო თუ არა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დ ს (და, საერთოდ, მკლერი ბგერების) დაყრუება? ამის შესახებ პროფ. გ. ახვლედიანი წერს: „საშუალო ქართულში დაიწყო მოქმედება ფონეტიკურმა კანონმა, რომლის ძალითაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მკლერი ჩქამიერები ყრუვდებიან; ეს კანონი არ მოქმედებდა ძველ ქართულში“<sup>13</sup>. პროფ. ა. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად -დ-სა და თ-ს საკითხი არც დგას, „იქ მხოლოდ და მხოლოდ -დ გვაქვს“<sup>14</sup>. მერი ძიძიშვილმა ძველ ქართულ ტექსტებში და-

<sup>11</sup> აქ არ იგულისხმება ის შემთხვევები, სადაც დ-ს დაყრუება ქართულში სხვა ფონეტიკური პროცესების ჩარევის შედეგია, მაგ., თვე — თთვე — დთვე — \*დუთვე; თხელი — — თთხელი — დთხელი — \*დუთხელი... ამის შესახებ იხ. ე. თ. ფურიძე. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმომიხილველი, I, 1926, გვ. 215—219.

<sup>12</sup> იგივე შეიძლება ითქვას მოქმედებითი ბრუნვის -თ ნიშნის შესახებაც.

<sup>13</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, 1949, გვ. 251.

<sup>14</sup> ა. ჩიქობავა, ისტორიულ-შედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან. I, მიმართულებითი ბრუნვის ნიშნეულობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიშკის მოამბე. ტ. I, 1937, გვ. 15—16; იხ. აგრეთვე ა. შანიძე, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, კრებ. სახელის ბრუნებას ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, 1956, გვ. 34.



ძებნა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერების (მათ შორის ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ-ს) დაყრუების ცალკეული შემთხვევები; სათნოთ ← სათნოდ, ზეცათ ← ზეცად...<sup>15</sup>, ამის საფუძველზე მერი ძიძიშვილი დაასკვნის: „ჩანს, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ბგერის დაყრუების ტენდენცია ქართული წარმოთქმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ძველთაგანვე“<sup>16</sup>, ამიტომ, ავტორის აზრით, პროფ. გ. ახვლედიანის შემოაღნიშნული დებულება არ უნდა იყოს მისაღები<sup>17</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული დამწერლობა ფონეტიკურ პრინციპს ემყარებოდა — იწერებოდა ის, რაც წარმოითქმოდა. ამ მხრივ ძველი ქართული ტექსტების ჩვენება სანდო ჩანს. ძველ ქართულში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული მგლერი ბგერა, ჩვეულებრივ, არ ყრუვდება. ეგვიპე ითქმის ვითარებითი ბრუნვის ნიშანზეც. მაგრამ, როგორც მერი ძიძიშვილმა აჩვენა, ამგვარი დაყრუების ცალკეული შემთხვევები მაინც მოგვეპოვება. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ძველ ქართულში გვაქვს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერის დაყრუების ტენდენციის ჩანასახი, მაგრამ ის ჩანასახია მხოლოდ და არა ფონეტიკური კანონი, რადგანაც შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მგლერი ბგერა არის ამ პოზიციაში წარმოდგენილი და არა მისი დაყრუებული ვარიანტი. შემდგომ ეს ტენდენცია ძლიერდებოდა და საშუალსა და მითუმეტეს ახალ ქართულ წარმოთქმაში თითქმის აბსოლუტური ხასიათი მიიღო<sup>18</sup> და ამდენად ფონეტიკურ კანონად იქცა. ასე რომ პროფ. გ. ახვლედიანის დებულება პრინციპულად სწორია, არსებითად სწორია აგრეთვე პროფ. ა. ჩიქობავას დებულებაც, თუმცა მათი ერთგვარი დაზუსტება (ე. ი. იმის აღნიშვნა, რომ ამ ფონეტიკური ტენდენციის ჩანასახები ძველ ქართულში გვაქვს და ამდენად ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუების შემთხვევებიც იშვიათად მოგვეპოვება) იქნებ მართლაც საჭირო ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერის დაყრუების ტენდენცია ძველ ქართულში იჩენს თავს, შემდგომ მან თანდათანობით გზა გაიკაფა და ახალ ქართულ წარმოთქმაში თითქმის ნორმად იქცა. ამ ფონეტიკური ტენდენციის რეტროსპექტული ანალიზი, ცხადია, მის თანდათანობით დასუსტებას გვიჩვენებს. ამგვარმა ანალიზმა ბუნებრივად იმ წერტილამდე უნდა მიგვიყვანოს, როცა მგლერი ბგერის დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში სრულებით არ ხდებოდა<sup>19</sup>.

რაკი ძველ ქართულში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერის დაყრუების მხოლოდ ჩანასახები გვაქვს, რაგორღა უნდა აეხსნათ ზმნის მრავლობითობის სუფიქსის დაყრუება, თუ ის -დ საგან მომდინარეობს? ის ხომ

<sup>15</sup> მერი ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში. 1960, გვ. 68—70.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს.

<sup>19</sup> ამ მხრივ შემოწმებას მოითხოვს უძველეს ქართულ წერილობით ძეგლთა მონაცემების ჩვენება. შესაძლოა (და მოსალოდნელიც) ამ ფონეტიკური ტენდენციის მოქმედების კვალი იქ ჯერ კიდევ არ ჩანდეს, ე. ი. იმ ეპოქაში, როცა უძველესი ქართული ტექსტები იწერებოდა, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერის დაყრუების ტენდენცია ჯერ კიდევ არ ყოფილიყო გაჩენილი.



ჯერ კიდევ მანამდე იყო -თ-ს სახით წარმოდგენილი, სანამ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქლერი ბგერის დაყრუების ტენდენცია გაჩნდებოდა და ფონეტიკურ კანონად იქცეოდა.

მაშასადამე, ამ ფაქტს ვერ ავხსნივით, თუ არ დაფუძვებით, რომ უძველეს ქართულს ახასიათებდა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქლერი ბგერის დაყრუება (ე. ი. მაშინ მოხდა ზმნის მრავლობითობის -დ-ს გადასვლა -თ-ში), შემდგომ ეს ტენდენცია გაქრა და იგივე ტენდენცია კვლავ გაჩნდა ძველ ქართულში. მაგრამ არც ამგვარი დაშვების უფლება გავაჩნია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ვითარებითი ბრუნვის ნიშანიც მაშინვე უნდა დაყრუებულყო, ოოცა ზმნის მრავლობითობის სუფიქსის დაყრუება მოხდა.

ამრიგად, I და II სუბიექტურ პირთა მრავლობითობის სუფიქსის -დ-საგან წარმომავლობის მტკიცებას სერიოზული დაბრკოლებები ელოდება ქართველურ ენებში. კითხვა ისმის: როგორღა უნდა აიხსნას ამ ფორმანტის წარმომავლობა? თუ ქართულსა და ზანურში -თ-ს მივიჩნევთ ამოსავლად, მაშინ სვანურში მის შესატყვისად -დ-ს არ უნდა მოველოდეთ, უნდა გვკონდეს ან -თ, ან -შდ, როგორც ეს ბევრ სხვა შემთხვევაში არის დადასტურებული<sup>20</sup>.

ამ მხრივ საყურადღებოა მეშველი (ხტი, ხი, ლი) ზმნის ჩვენება სვანურში. ეს ზმნა ბალსქვემოურში, ლენტეხურსა და ნაწილობრივ ლაშხურში I და II სუბიექტურ პირთა მრავლობითის ნიშნად -დ-ს წარმოგვიდგენს ისევე, როგორც ყველა სხვა ზმნა სვანურის ოთხსავე დიალექტში; მაგ.,

- |                       |                                   |
|-----------------------|-----------------------------------|
| მხ. რ. 1. ხტი-ი „ვარ“ | მრ. რ. 1. ხტი-დ „ვართ (მე და ის)“ |
| 2. ხ-ი „ხარ“          | ლ-ი-დ „ვართ (მე და შენ)“          |
| 3. ლ-ი „არის“         | 2. ხ-ი-დ „ხართ“                   |
|                       | 3. ლ-ი-ხ „არიან“                  |

აქ არაფერია თავისებური, სხვა ზმნებისაგან განსხვავებული; შდრ.:

- |                                |  |
|--------------------------------|--|
| მხ. რ. 1. ხტი-ამარე „ვამზადებ“ | მრ. რ. 1. ხტი-ამარე-დ „ვამზადებთ (მე და ის)“ |
| 2. ხ-ამარე „ამზადებს“          | ლ-ამარე-დ „ვამზადებთ (მე და შენ)“            |
| 3. ამარე „ამზადებს“            | 2. ხ-ამარე-დ „ამზადებთ“                      |
|                                | 3. ამარე-ხ „ამზადებენ“                       |

მაგრამ ამის პარალელურად ბალსქვემოურსა და სპორადულად ლაშხურში ზემოაღნიშნული მეშველი ზმნა მრავლობითის -დ სუფიქსის ნაცვლად -შდ კომპლექსს წარმოგვიდგენს:

- |                       |                                      |
|-----------------------|--------------------------------------|
| მხ. რ. 1. ხტი-ი „ვარ“ | მრ. რ. 1. ხტი-ი-შდ „ვართ (მე და ის)“ |
| 2. ხ-ი „ხარ“          | ლ-ი-შდ „ვართ (მე და შენ)“            |
| 3. ლ-ი „არის“         | 2. ხ-ი-შდ „ხართ“                     |
|                       | 3. ლ-ი-ხ „არიან“                     |

ამ ფაქტს პროფ. ვ. თოდურობამ შიამქცია ყურადღება ჯერ კიდევ თავის ცნობილ ნაშრომში სვანური ზმნის შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ „შ-ფორმანტისეულია თუ ფუძისეული, ეს უცნობია ისევე, როგორც III პირის ბზ. ლ-ი-ზ ფორმაში -ზ-ს დანიშნულება და მისი დამოკიდებულება -შ-სთან“<sup>21</sup>, ავტორს აქედან რაიმე დასკვნის გაკეთება არ უტოლია.

<sup>20</sup> ვ. თოდურობა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმოხილველი, 1926, გვ. 201-202.

<sup>21</sup> ვ. თოდურობა, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 7.

და მართლაც, რა არის ეს -შდ? თუ -შ- ელემენტი ფუძისეული აღმოჩნდება, მაშინ აღნიშნული ფორმები ჩვენი საკითხისათვის არაფერს ახალს არ გვეტყვის, ხოლო თუ ეს -შდ ცალკე ფორმანტი გამოვა, მაშინ მან შეიძლება ახალი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცეს.

ზემოთ ნაჩვენები ორი პარადიგმის, ე. ი. ერთი მხრივ, ბალსქვემოურ-ლენტეხურისა და, მეორე მხრივ, ბალსზემოური ფორმების შედარებიდან ჩანს, რომ -შდ ბალსზემოურში ბალსქვემოურ-ლენტეხური -დ-ს ადგილს იკავებს, მაშასადამე, -შდ-ც -დ-ს ბადალი ფორმანტია. მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმების შედარებასაც ამ დასკვნამდე მივყავართ თვით ბალსზემოურში. ეს აზრი კიდევ უფრო სარწმუნო გახდება, თუ მრავლობითი რიცხვის I და II პირის ფორმებს შევუბირისპირებთ მესამე პირის ფორმას ბალსზემოურში. ცნობილია, რომ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანი სვანურში არის -ხ სუფიქსი, რომელიც უშუალოდ ფუძეს დაერთვის. I და II პირის ფორმებში (ლიშდ, ხუიშდ, ხიშდ) -შ- ელემენტი რომ ფუძისეული იყოს, მაშინ მესამე პირში უნდა ყოფილიყო ლიშხ, ასეთი ფორმა კი სვანურში არ არის დადასტურებული. აქედან ცხადია, რომ რა მორფოლოგიურ ფუნქციასაც ხ სუფიქსი ასრულებს III სუბიექტური პირისათვის ბალსზემოურში, იმავე ფუნქციას I და II პირთათვის -შდ ფორმანტი ასრულებს. ამრიგად, -შდ ისე შეეფარდება -ხ-ს ბალსზემოურსა და ლაშხურში, როგორც -დ შეეფარდება იმავე -ხ ფორმანტს ბალსქვემოურსა და ლენტეხურში.

შემთხვევითობით ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ ეს -შ- ელემენტი მხოლოდ მრავლობითი რიცხვის I და II პირის ფორმებთან არის შემონახული, სწორედ იქ, სადაც სუბიექტურ პირთა მრავლობითობის ნიშანს მოველით. ეს ელემენტი ფუძის კუთვნილება რომ იყოს, მაშინ მოსალოდნელი იყო მხოლოდობითი რიცხვის ფუძესთან თუ არა, მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმასთან მაინც შემოგვრჩენოდა,

ეს გარემოება -შდ კომპლექსს ერთ განუყოფელ ფორმანტად გვაეარაულებინებს. მაგრამ მაინც საჭიროა შევეცადოთ იმის გარკვევას, თუ რა ფუძეს დაერთვის ეს ფორმანტი და შეიძლება თუ არა -შ- ელემენტი ფუძისეულად იქნეს მიჩნეული.

როგორც ცნობილია, ქართულ მეშველ ზმნაში (ვ-ა-რ, ხ-ა-რ, ა-რ-ი-ს) -რ- ძირს გამოყოფენ. სვანურში მისი შესატყვისია ხუ-შ-რ-ი, ხ-შ-რ-ი, შ-რ-ი. ძირი აქაც იგივე -რ- თანხმოვანია<sup>22</sup>. სვანურში იგი აბსოლუტური აგებულების (ერთპირიანი) ზმნაა, მაგრამ იმავე სვანურში არსებობს ამავე ძირისაგან ნაწარმოები რელატიური აგებულების (ორპირიანი) ფორმები ობიექტური წყობით:

3. 1. შ-ი-რ-ი	„მყავს, მაქვს“ და	3. 1. შ-ა-რ	„მაქვს“
3. 2. ჯ-ი-რ-ი	„გყავს, გაქვს“	3. 2. ჯ-ა-რ	„გაქვს“
3. 3. ხ-ო-რ-ი	„ჰყავს, აქვს“	3. 3. ხ-ა-რ	„აქვს“

როგორც ვხედავთ, ამ ფორმების საწარმოებლად სვანურმა ერთი ფუძე გამოიყენა მაშინ, როდესაც ქართულს სხვადასხვა ფუძე დასჭირდა. ეს არის ის ფუძე, რომელიც ქართულ მეშველ ზმნაშია მოცემული (ვ-ა-რ, ხ-ა-რ, ა-რ-ი-ს).

<sup>22</sup> ვ. თ. ფ. რ. ი. ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 250.



რალა არის სვანური მეშველი ზმნა, რა ფუძეს ემყარება ის? თუ სემანტიკიდან ამოვიღოთ, მაშინ მოსალოდნელი იყო ეს უკანასკნელიც ზემოაღნიშნულ -რ ძირს დაკავშირებოდა. საქმე ისაა, რომ ქართული მეშველი (ვარ, ხარ, არის) ზმნის მნიშვნელობა ფარავს სვანური „ხჭარი, ხარი, არი“ და „ხტი, ხი, ლი“ ზმნათა მნიშვნელობას ერთად აღებულს; არც მეტი, არც ნაკლები. სვანურში ორი ზმნის არსებობა ერთი ქართული ზმნის მნიშვნელობის გადმოსაცემად მნიშვნელობის დაკონკრეტების შედეგად წარმოქმნილს ჰგავს, ე. ი. სვანურში თითქოს ერთი მნიშვნელობის ორად გახლეჩა მომხდარა, ხოლო ქართულში პირვანდელი მდგომარეობა დარჩენილა.

ამ ვარაუდის გაზიარების შემთხვევაშიც დგება საკითხი: სვანურმა ორი განსხვავებული მნიშვნელობის გამოსახატავად ერთი ფუძის ორი სხვადასხვა ფორმა გამოიყენა თუ სხვადასხვა ფუძე? პირინციპულად ერთიც შესაძლებელია და მეორეც.

კითხვა ისმის: რა ფუძეს ემყარება სვანური მეშველი ზმნა ხტი-ი, ხ-ი, ლ-ი? აქ, როგორც ვხედავთ, ფუძედ მხოლოდ ი ხმოვანი გამოიყოფა. მაგრამ ეს ი თითქოს იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც მ-ი-რ-ი, ჯ-ი-რ-ი ფორმებში გვაქვს<sup>23</sup>. ამდენად ის წარმოშობით ფორმანტი ჩანს და არა ძირი, რადგან ძირი? შეუძლებელი არ უნდა იყოს ვივარაუდოთ, რომ ზმნის ძირი აწმყოში დაკარგულია, გაცვეთილია და იგი აღდგება მყოფადსა და პირობითში.

მყოფადი

მხ, რ. 1. ხტი-რ-ი	„ვიქნები“	მრ. რ. ლ-რ-ი-დ	„ვიქნებით“
2. ხ-რ-ი	„იქნები“	ხტი-რ-ი-დ	„ვიქნებით“
3. რ-ი	„იქნება“	ხ-რ-ი-დ	„იქნებით“
		რ-ი-ხ	„იქნებიან“

პირობითი

მხ. რ. 1. ხტი-რ-ი-ლ	„ვიქნებოდი“	მრ. რ. ლ-რ-ი-ლ-დ	„ვიქნებოდით“
2. ხ-რ-ი-ლ	„იქნებოდი“	ხტი-რ-ი-ლ-დ	„ვიქნებოდით“
3. რ-ი-ლ	„იქნებოდა“	ხ-რ-ი-ლ-დ	„იქნებოდით“
		რ-ი-ლ-ხ	„იქნებოდნენ“

მაშასადამე, ამ ვარაუდის მიხედვით, აქ იგივე -რ ძირი აღდგება, რაც ქართულ მეშველ ზმნასა (ა-რ-ი-ს) და ზემოაღნიშნულ სვანურ ზმნურ ფორმებშია წარმოდგენილი. ამდენად სვანური მეშველი ზმნის აწმყოსა და მყოფადში ფუძემონაცველობასთან კი არ უნდა გვექონდეს საქმე, არამედ წარმომავლობით ერთსა და იმავე ფუძესთან, რომელთაგანაც ერთში (აწმყო) ძირეული თანხმოვანი (რ) გაცვეთილია<sup>24</sup>, ხოლო მეორეში (მყოფადი, პირობითი) დღემდეა შემონახული. ამრიგად, რ ძირი ისტორიულად თითქოს აწმყოშიც უნდა

<sup>23</sup> იგივე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ის ფორმანტი უნდა იყოს ისევე, როგორც მ-ი-რ-ი, ჯ-ი-რ-ი ფორმებში ი.

<sup>24</sup> ქართულ მეშველ ზმნაშიც ხომ გვაქვს ძირის დაკარგვის შემთხვევა—აწმყოს მესამე პირში: კაცი არის — კაცია. უღრ. აგრეთვე ხევსურული ას — არს. ხევსურულში, აღ. კინკარაულის მთწებობით, გარკვეულ კონტექსტში I და II პირის ფორმაც იხმარება ძირეული რ-ს გარეშე—ვა (← ვარ), ხა (← ხარ).





გვეკონოდა, -ი- ფორმანტი კი სამსავე ნწკრივში (აწწყოში, მყოფადში, პირობითში) ერთი და იგივე ოდენობა ჩანს<sup>25</sup>.

ამგვარად ვიღებთ ერთი ძირისაგან ნაწარმოებ ორ წყვილ ფორმას, რომელთაგან ერთი წყვილი სუბიექტური წყობითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე წყვილი სუბიექტურ-ობიექტური წყობით:

I		II	
1. ხტ-პ-რ-ი	ხტ-ი	3. 1. მ-პ-რ	მ-ი-რ-ი
2. ხ-პ-რ-ი	ხ-ი	3. 2. ჯ-პ-რ	ჯ-ი-რ-ი
3. პ-რ-ი	ლ-ი	3. 3. ხ-პ-რ	ხ-ო-რ-ი

საგულისხმო ფაქტია, მათი ურთიერთობა საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

თუ ზემოაღნიშნულ ვარაუდს გავიზიარებთ, მაშინ სათანადო ქართველურ ფუნქტა შედარება სვანურის ფუძეში -შ- თანხმონის დაშვების საშუალებას არ იძლევა. მაგრამ ამ ვარაუდის გარეშეც თითქოს უდავოა, რომ ეს -შ- ელემენტი ფორმანტისეულია და არა ფუძისეული. მაშასადამე, მეშველი ზმნის ფორმებში (ხტ-ი-შდ. ლ-ი-შდ, ხ-ი-შდ) -შდ ფორმანტია და ის, ჩვენი აზრით, I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია. ეს სუფიქსი სათანადო ქართულ-ზანური -თ ფორმანტის კანონზომიერი ფუნქციურ-მორფოლოგიური შესატყვისია.

მაგრამ ამგვარი ვარაუდის ხელისშემშლელად არის მიჩნეული მეშველი ზმნის მესამე პირის მხ. რიცხვის ფორმაში დადასტურებული ზ (ლ-ი-ზ „არის“) (ასეთი ფორმა სპორადულად იხმარება ბალსზემოურში და ბალსქვემოურის ლახამულურ კილოკავში), რადგანაც არ არის გარკვეული მისი მიმართება -შდ ფორმანტის -შ- ელემენტთან. მაშასადამე, საკითხი ასე დგება: ეს ორი ბგერა (-ზ და -შ-) გენეტურად ხომ არ უკავშირდება ერთმანეთს, ე. ი. ხომ არ შეიძლება ერთი მათგანი მეორის ამოსავლად მივიჩნიოთ, ან ორივე საერთო მასალისაგან მიღებულად გამოვაცხადოთ და ის მეშველი ზმნის ფუძის კუთვნილებად დავსახოთ?

თუ -ზ ბგერას ფუძის კუთვნილებად მივიჩნევთ (და, მაშასადამე, ფუძეში რ-ს აღდგენის შესაძლებლობას გამოვრიცხავთ), მაშინ აუხსენელი დარჩება, თუ რატომ არ შემოგვენახა ის პირველსა და მეორე პირში (გვაქვს ლიზ, მაგრამ რატომ არა გვაქვს ხტიზ, ხიზ). პოზიცია სამსავე პირში აბსოლუტურად ერთნაირია. პირველსა და მეორე პირში -ზ-ს დაკარგვის არავითარი ისეთი მიზეზი არ მოგვეპოვება (არც ფონეტიკური, არც მორფოლოგიური), რითაც ის განსხვავებული იყოს მესამე პირის ფორმისაგან. ეს გარემოება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ -ზ ელემენტი არ არის ფუძის კუთვნილება, არამედ ის მარტოოდენ III პირში ივარაუდება ისტორიულადაც.

დავუშვათ, ამ დაბრკოლების მიუხედავად, -ზ-ს ფუძისეულობა და გავარკვიოთ, მოგვცემს თუ არა ეს საშუალებას -ზ და -შ ერთ საერთო მნიშვნელობად დავიყვანოთ — ერთი მათგანი მეორის ამოსავლად დავსახოთ?

<sup>25</sup> გასარკვევია მხოლოდ, რით არის გამოწვეული ი-ს სიგრძე მყოფადსა და პირობითში. შეუძლებელი არ უნდა იყოს, სიგრძე ამ შემთხვევაში რომელიღაც ხმოვნის ჩავარდნის საკომპენსაციოდ იყოს წარმოქმნილი. ასეთ შემთხვევაში აწწყოში წარმოდგენილი მთელი ი-ც (ხუ-ი, ხ-ი, ლ-ი) ისტორიულად, ე. ი. -რ თანხმონის დაკარგვამდე, გრძელი უნდა ყოფილიყო.



თუ სავარაუდო ფუძეს (ბუ-ი-ზ, ბ-ი-ზ, ლ-ი-ზ) მრავლობით რიცხვში ფორმანტი ერთვოდა, მაშინ I და II პირში -ზ-ს დაკარგვა შესაძლებელია, ე. ი. გვექნებოდა ასეთი ვითარება:

- 1 { \*ბუ-ი-ზ → ბუ-ი-ზ „ვართ (მე და ის)“  
\*ლ-ი-ზ → ლ-ი-ზ „ვართ (მე და შენ)“
- 2 \*ბ-ი-ზ → ბ-ი-ზ „ხართ“

ასეთი დაშვების შემთხვევაში -ზ-სა და -შ-ს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, ერთი ფუძის კუთვნილებაა, მეორე ფორმანტისა.

მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ მეშველი ზმნის სავარაუდო ფუძეს მრავლობით რიცხვში ერთვოდა -დ (და არა -შდ) ფორმანტი, მაშინ მივიღებდით ამგვარ ფორმებს:

- 1 { \*ბუ-ი-ზ  
\*ლ-ი-ზ
- 2 \*ბ-ი-ზ

კითხვა ისმის: რა გზით შეიძლება მომხდარიყო ამ ფორმებში -ზ მეღერი სპირანტის გადასვლა -შ-ში? უშუალოდ ამგვარი გადასვლისათვის ფონეტიკური საფუძველი არ არსებობს. ამიტომ მას სვანურში (და საერთოდ, ქართველურ ენებში) პრეცედენტი არ მოეპოვება, მაგრამ იქნებ შესაძლებელია მათ შორის დაეუშვათ შუა საფეხური, ვთქვათ, ს-ს სახით. -ზ-ს დაყრუების დაშვება ამ პოზიციაში შესაძლებელია, მაგრამ მიღებული -ს-ს შიშვი გადასვლის ახსნა, ვფიქრობთ, გაჭირდება. საქმე ისაა, რომ საამისო ფონეტიკური პირობები აქ არ არსებობს, დ-ს მეზობლობა ვერაფერს გვეუბნება ს-ს შიშვი გადასვლის სასარგებლოდ. სვანურში არაერთ სიტყვაშია დადასტურებული სდ კომპლექსი, რომელიც -შდ-ში არ გადასულა; მაგ., სდუგუ „წნული“, ანსდუგუ „დაწნა“ (შდრ. შდუგუ „თაგვი“, ანშდუგუ „მოთოვა“) და სხვა. ამ მაგალითების გარეშე, თეორიულადაც, დ ვერ იქნება ს-ს გაშიშვინების მიზეზი. ამდენად ეს პროცესი პოზიციით ვერ აიხსნება.

მაგრამ იქნებ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ს-ს შ-ში გადასვლა სპონტანური ცვლილების შედეგია. მესამე პირში დადასტურებული -ზ უარყოფს ამ ვარაუდს. სპონტანური ცვლილების საფუძველზე ერთი ბგერა ერთ ფუძეში ორ სხვადასხვა ვარიანტს — სისინას და შიშინას — ვერ მოგვეცემდა, ამიტომ მესამე პირში -ზ-ს ნაცვლად -ჟ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

შესაძლოა გაჩნდეს სხვა ვარაუდიც: ფუძისეულმა -ზ-მ მოგვცა -ჟ (ნდრ. ქართ. ზჟე; სვან. მიჟ). ხოლო შემდგომ ჟ-ს დაყრუებით მივიღეთ -შ, ე. ი. პროცესი ასე იქნებოდა წარმოდგენილი: \*ბუ-ი-ზ → \*ბუ-ი-ჟ → ბუ-ი-შ-დ. მაგრამ ამ ვარაუდასაც მესამე პირში დადასტურებული -ზ უარყოფს, რადგან აქაც უცილობლად -ჟ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამდენად, არც ამ ვარაუდის გახიარება შეიძლება.

თუ სვანური მეშველი ზმნის ფუძეში ამოსავლად -შ-ს მივიჩნევთ, ხოლო -ზ-ს მისგან მიღებულად, ამით მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება, ანალოგიურ დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დავალწვევთ.

ხოლო სხვა ამოსავალი ბგერის დაშვება, რომელსაც შეეძლო ერთ ფუძეში მოეცა როგორც -შ, ისე -ზ, ვფიქრობთ, გაჭირდება. არა ჩანს ფონეტიკური საფუძველი, რაც ამგვარ დაშვებას გაამართლებდა.

ამგვარად, სვანურ მეშველ ზმნაში დადასტურებულ -შ და -ჯ ბგერების ერთმანეთთან დაკავშირება არ ხერხდება. -ჯ ბგერა აქ -შ-საგან დამოუკიდებელი მონაცემია და ამიტომ ის ჩვენი ძირითადი დებულებისათვის დაბრკოლებადაც ვერ ჩაითვლება.

მაინც რა არის ეს -ჯ? ამ საკითხზე მსჯელობა აქ უადგილო იქნებოდა, აღენიშნავთ მხოლოდ შემდეგს: საინტერესო ვარაუდი წამოაყენა პროფ. ვ. თოფურია: „ეგების ლ-ი სხვა იყოს და ლ-ი-ს სხვა (ლ-ი-ს ← ლ-ჯ-ს, შდრ. ზ. „ძვეს“)“<sup>26</sup>. ამ ვარაუდს, ვფიქრობთ, მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ეს -ჯ მხოლოდ III პირის ფორმასთან არის დადასტურებული. ზგ || ზი ზმნა სვანურში მხოლოდ ნივთათვის (არაკაცხალთათვის) იხმარება, ისევე, როგორც ქართ. ძეგხ, რომელიც, თავის მხრივ, სვან. ზგ || ზი-ს უნდა უკავშირდებოდეს არა მარტო სემანტიკურად, არამედ გენეტურადაც. როგორც ცნობილია, I და II პირის ფორმებში მხოლოდ ადამიანი იგულისხმება, ნივთი (არაკაცხალი საგანი) შეიძლება ივარაუდებოდეს მხოლოდ III პირის ფორმაში. ამდენად -ჯ ელემენტი, თუ ის მართლა ზემოაღნიშნული ზმნიდან მომდინარეობს, მხოლოდ III პირის ფორმასთან იყო მოსალოდნელი. ეს საფუძვლიანი ვარაუდიც ადასტურებს იმ დებულებას, რომ სვანურ მეშველ ზმნაში -ჯ-ს კავშირი არა აქვს -შ-ს ბგერასთან.

ამრიგად, დებულება იმის შესახებ, რომ სვანურ მეშველ ზმნაში -შდ სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ფორმანტია, ვფიქრობთ, არ ირყევა. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რალა არის სხვა ზმნებთან ამავე ფუნქციით ხმარებული -დ სუფიქსი სვანურში, როგორია მისი მიმართება -შდ ფორმანტთან? ვფიქრობთ, ეს -დ მიღებულია -შდ სუფიქსში -შ- ელემენტის დაკარგვის საფუძველზე, ალბათ, ფორმანტის გამარტივების შედეგად.

მაგრამ ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ შესაძლოა დაასახელონ ორი დაბრკოლება:

1) -შდ კომპლექსი სვანურში არ მარტივდება; მაგ.; ტობტიშდ || ტობუშდ „ხუთი“, აეშდ „ათი“ (სვანურში გამარტივებული ვარიანტი—ტობტიად, აედ— არ არის დადასტურებული), ამიტომ ამგვარსავე პოზიციაში -შდ ფორმანტის გამარტივება ასახსნელია.

2) -შდ სუფიქსის გამარტივების შემთხვევაში აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული -დ ელემენტის დაკარგვა იყო მოსალოდნელი და არა -შ-სი, რომელიც ინლაუტშია.

მართლაც, როგორ უნდა აიხსნას, რომ -შდ კომპლექსი, როგორც ზმნის სუფიქსი, გამარტივდა, ხოლო სახელში (ტობტიშდ) აბსოლუტურად იმავე პოზიციაში უცვლელი დარჩა?

ცნობილია, რომ ფორმანტები, ენკლიტიკა-პროკლიტიკები, ჩვეულებრივ, მიისწრაფვიან გამარტივებისაკენ, ხშირი ხმარების გამო ისინი ადვილად კარგავენ სემანტიკურად (ფუნქციურად) ნაკლებად დატვირთულ ელემენტებს. ამის მაგალითები უხვად მოიძებნება სხვადასხვა ენაში. ქართულში ამის საილუსტრაციოდ არაერთი ცნობილი მაგალითის დასახელება შეიძლება: სახელობითი ბრუნვის ნიშანი იგი → ი, მოთხრ. ბრუნვის ნიშანი მან → მ(ა), თანდებუ-

<sup>26</sup> ეს ვარაუდი პროფ. ვ. თოფურიამ გამოთქვა კერძო წერილში. ვგეგე ახრი, პროფ. ვ. თოფურიასაგან დამოუკიდებლად, წამოაყენა კერძო საუბარში გ. მაჭავარიანმა.

ლები: ზედა → -ზე, შინა → -ში, ზმნისწინები: აღ → ა-, გან → გა-, წარ → წა- და სხვა. ცალკეულ სიტყვათათვის ამგვარი გაცვეთა გაცილებით ნაკლებად არის (ან თითქმის არ არის) დამახასიათებელი. ამას ისიც მოწმობს, რომ ზოგჯერ უცვლელი სახით არის შემონახული ის სიტყვები, რომელთაგანაც გაცვეთის გზით მივიღეთ ესა თუ ის ფორმანტი ან თანდებულნი.

სევანური სიტყვების ნწხგა და ისგ „შუა“ ფუძე გამოყენებულია პრევერბადაც და თანდებულადაც. ამ ფუძის სგ (ლნტ. სკ) კომპლექსი ქართ. შ, ზან. შქ-ს ფონეტიკური შესატყვისია (ქართ. შუა—ზან. შქა „შუა“).<sup>27</sup> ზემოაღნიშნულ სიტყვებსა და პრევერბებში ფუძისეული სგ კომპლექსის ორივე კომპონენტი უგამონაკლისოდ არის დაცული მთელს სევანურში. ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში დაცულია ისინი აგრეთვე თანდებულშიც. ლაშხურ თანდებულში კი ეს კომპლექსი გამარტივებულია — გ დაკარგულია: -ისგა → -ისა. შდრ. ბხ. ქორ-ისგა → ლშხ. ქორ-ისა „სახლში“ და ა. შ. -ისგა თანდებულის ლაშხურ ვარიანტში გ-ს კვალიც კი არსად ჩანს.

როგორც ვხედავთ, ლაშხურ სიტყვებში (ნწხგა, ისგ) -სგ კომპლექსი არ გამარტივდა, ხოლო თანდებულში იმავე პოზიციაში იგივე კომპლექსი გამარტივებულია. ამ ფაქტს ფონეტიკური პოზიციით ვერ ახსნით, რადგანაც ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის, ეს სხვა დიალექტებიდანაც ჩანს, სადაც -სგ- კომპლექსი თანდებულშიც ხელუხლებლადაა შემონახული. მაშასადამე, ლაშხურ თანდებულში უბრალო გამარტივებასთან გვაქვს საქმე.

აქ კარგად ჩანს თანდებულის (ფორმანტის) სახელისაგან განსხვავება გამარტივებისაკენ მიდრეკილების საკითხში. აქედანვე ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: სიტყვებში (ჭობჭიშდ, ჟეშდ) გაუმარტივებელი -შდ-ს არსებობა ვერ უარყოფს ზმნის მრავლობითობის ფორმანტის (-შდ-ს) გამარტივების შესაძლებლობას.

ზოგ ზმნასთან -შდ ფორმანტი თანხმოვანთა ისეთ თავმოყრას მოგვცემდა, რომლის გამარტივება თითქმის აუცილებელი იქნებოდა; მაგ., ოფიშტშდ („გაფუშვით“), ოშიდშდ („დაყვარეთ“), ოქტიშშდ „გავტეხეთ“ და მისთ. ამ გარემოებისაც შეეძლო ხელი შეეწყო -შდ ფორმანტის გამარტივებისათვის.<sup>28</sup>

მაშასადამე, ზმნის მრავლობითობის ფორმანტის (-შდ-ს) გამარტივების ვარაუდი პრინციპულად შესაძლებელია, მაგრამ რატომ დიკარგა სწორედ -შ-, რომელიც ინლაუტშია, და არა -დ, რომელიც აბსოლუტურ ბოლოშია მოქცეული?

სხვადასხვა ენაში ინლაუტში ბგერის დაკარგვის არაერთი შემთხვევაა ცნობილი, ქართველური ენებიდან საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე ცნობილი ნიმუში<sup>29</sup>; ქართ. მთელი ← მრთელი, იმერ.

<sup>27</sup> ამ ფუძის შესახებ დაწერილებით იხ. ვ. თოფურია, სევანური ენა, I, ზნნა, გვ. 52—71. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959, გვ. 51—58.

<sup>28</sup> ამაზე ყურადღება მიგვაქცევინა გ. მაჭავარიანი.

<sup>29</sup> დაწვრილებით იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 24—26; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 211—212 და 334—339; ა. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 21—25; ს. ქლენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 241—246; ს. ქლენტი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 162—165.



აღდგა ← აღდგომა, გამოსვლითი ბრუნვის ნიშანი -იდან (და არა იდგა) ←  
 ← იდგან ← ითგან, სვან. -ისა ← ისგა და სხვ.

ცნობილია, რომ აქცესიურ კლმპლექსთა დაძლევის ექვსი საშუალებიდან ერთ-ერთი პირველი (და არა მეორე) კომპონენტის დაკარგვა<sup>30</sup>. ქართული სწორედ ამ საშუალებასაც მიმართავს. „...მკაფიო წარმოთქმა, დაკავშირებული მარცვალთვასაყრის შექმნასთან, და აქცესიური კომპლექსის პირველი კომპონენტის დაკარგვა — ეს ორი გზაა, რომელსაც ქართული მიმართავს აქცესიური კომპლექსის სუბერაციისათვის“<sup>31</sup>.

სვანურში შდ ბუნებრივი აქცესიური კომპლექსია, მისი დაძლევის აუცილებლობა თითქოს არ იგრძნობა, მაგრამ რამდენადაც -შდ ფორმანტის გამარტივების დაშვება შესაძლებელია, მასში, ამ წესის მიხედვით, პირველი კომპონენტი (-შ-) უნდა დაკარგულიყო და არა მეორე (-დ). ამდენად -შდ სუფიქსში სწორედ პირველი კომპონენტის დაკარგვას თითქოს ფუნქციური საფუძველიც ეძებნება.

ამრიგად, -შდ სუფიქსიდან გამარტივების გზით -დ-ს მიღება პრინციპულად შესაძლებელია.

მაგრამ შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ -დ სუფიქსი არის არა -შდ-ს გამარტივების შედეგი, არამედ ისტორიულად მის პარალელურად არსებული დამოუკიდებელი ფორმანტი, ე. ი. სვანურში ორი სუფიქსი იყო წამოდგენილი ერთი ფუნქციით, შემდგომ -დ გაბატონდა, ხოლო -შდ ნაშთის სახით შემოგვენახა მხოლოდ ბალსზემოურ და ლაშხურ მეშველ ზმნაში.

ასეთი ვარაუდის დაშვების შემთხვევაშიც ქართ.-ზან. მრავლობითობის სუფიქსი -თ გენეტურად სვან. -შდ-ს დაუკავშირდებოდა, ხოლო -დ-სთან მისი კავშირი გამოირიცხებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ვარაუდი მიუღებელი ჩანს, რადგანაც:

1) სვანურში -დ ს დამოუკიდებელ ზმნურ ფორმანტად მიჩნევის შესაძლებლობას ქართველურ ენათა შედარება არ იძლევა, მას მონათესავე ენებში შესატყვისი არ მოეპოვება, ამდენად ასეთი დაშვება საფუძველს მოკლებული იქნებოდა.

2) ქართულსა და სვანურში I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად ერთადერთი სუფიქსია დადასტურებული, საფიქრებელია, ასეთივე ვითარება გვექონდა სვანურშიც, ამდენად აქ ორი პარალელური სუფიქსის დაშვება გამოირიცხული ჩანს.

ამრიგად, მთელს სვანურში ყველა ზმნასთან I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად ისტორიულად -შდ სუფიქსი უნდა ვივარაუდოთ, ხოლო ამჟამად დადასტურებული -დ ფორმანტი მისგან მიღებულად უნდა მივიჩნიოთ; სხვაგვარად მეშველ ზმნაში დადასტურებულ -შდ სუფიქსს ვერ ავხსნივით.

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ, ცხადია, აღნიშნული ფორმანტის ამოსავლად ქართველურ ენებში -დ თანხმოვანს ვერ მივიჩნევთ. ამოსავლად უნდა დავსაბოთოთ ის ბგერა, რომელიც საფუძველად დაედო ქართულ-

<sup>30</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 334—339.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 335.



ზანურ თ-სა და მის შესატყვის სვანურ შდ-ს<sup>32</sup>. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იყო ეს ამოსავალი ბგერა, ჯერჯერობით რჩება რთულ, მაგრამ აქტუალურ საკვლევ პირობებში.

შესაძლოა დაისვას კითხვა: როგორ მოხდა, რომ -შდ სუფიქსი არქაული სახით მხოლოდ მეშველ ზმნაში შემოგვენახა?

ცნობილია, რომ მეშველი ზმნა ქართველურ ენებში (და არა მარტო ქართველურ ენებში) შეიცავს არქაულ ელემენტებს. ქართულ მეშველ ზმნაში ხომ დღემდე შემოგვრჩა II სუბიექტური პირის არქაული ნიშანი ხ-, ხოლო სვანურში III სუბიექტური პირის არქაული პრეფიქსი ღ-. მაშასადამე, არქაიზმების შემონახვა სავსებით ეგუება მეშველი ზმნის ბუნებას ქართველურ ენებში. ეს, როგორც ჩანს, მისი ხმარების თავისებურებით, მისი სპეციფიკით არის გამოწვეული. ასეთ ვითარებაში არც ეს არის მოულოდნელი, რომ ზმნის მრავლობითობის სუფიქსიც არქაული სახით სწორედ მეშველ ზმნას შემოგენახა.<sup>33</sup>

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მეშველი ზმნის I და II სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშნად ლაზურში -შდ-ს ნაცვლად -დ-ს გაბატონება სწორედ ამჟამად ხდება. ამ კილოში -შდ ფორმანტი სპორადულად გვხვდება და ისიც მხოლოდ მოხუცთა მეტყველებაში, ე. ი. ეს ფორმანტი მეშველ ზმნაში თანდათან ქრება და მის ადგილს -დ სუფიქსი იკავებს, უნიფიკაცია ჩვენს თვალწინ ხდება. ჩანს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს ეს პროცესი უკვე გავლილი აქვთ—იქ ზმნის მრავლობითობის სუფიქსის უნიფიკაცია უკვე მოხდა საბოლოოდ, ხოლო ბალსზემოურსა მეშველმა ზმნამ ეს არქაული სუფიქსი უფრო მკვიდრად შემოგვენახა.

ამრიგად, I და II სუბიექტურ პირთა მრავლობითობის ფორმანტები ქართველურ ენებში ისტორიულად ასე წარმოგვიდგება: ქართ. -თ: ზან. -თ: სვან. -შდ.<sup>34</sup>

<sup>32</sup> ამდენად ამ სუფიქსებს რეინტერპრეტირებულ კლას-კატეგორიის ნიშნად ვერ მივიჩნევთ.

<sup>33</sup> შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ფორმანტისეული -შ- მეშველ ზმნაში გაქრობისაგან გადარჩინა ფუძისეული რ-ს ამოვარდნამ (თუ, რა თქმა უნდა, იმ ვარაუდს გავიზიარებთ, რომ აწმყოს ფორმაში -რ დაკარგულია ისტორიულად). ამდენად -შდ ფორმანტის გამარტივება (დ-დ ქცევა) და მეშველი ზმნის აწმყოს ფორმაში -რ- ბგერის დაკარგვა ერთდროული პროცესი უნდა იყოს, ამის შედეგი ჩანს ის ფაქტი, რომ იმ ფორმებში, სადაც ფუძისეული რ- აღდგება (მცოლუადი, პირთბითი), მრავლობითობის ნიშნად უცილობლად -დ ინხარება და არა -შდ.

<sup>34</sup> ფონეტიკური შესატყვისობისათვის ქართ. თ, -ზან. თ, -სვან. შდ შდრ. (შესაბამისად) ქართ. დათვი, თაგვი, ათი, ხუთი—ზან. თუთი, მთუგი, ვითი, ხუთი—სვან. დშდუ, შდუბუ, დუშდ, ჭოხტიშდ და სხვა; ამის შესახებ იხ. ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 201—202.



# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## გლეხთა კავადორიების საქითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში

დ. მამაკლაძე

(წარმოადგინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა)

გლეხთა კატეგორიების შესწავლას ჩვენში არც თუ ისე დიდხნის ისტორია აქვს. გლეხობის ისტორიის შესწავლა მყარ ნიადაგზე დადგა მას შემდეგ, რაც საქართველოში აღიარებული იქნა ფეოდალიზმის არსებობა (ალ. ხახანაშვილი, დიმი. ბაქრაძე). 1910 წელს გამოვიდა ალ. ხახანაშვილის ნაშრომები: „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ და „წოდებათა ისტორია საქართველოში“. ალ. ხახანაშვილი გლეხებში არჩევდა: მსახურს, ნასყიდს, ნაბოძებს, თავის ნებით შესულს, და „რთული ტიპის ყმას“. გლეხთა კატეგორიების საკითხს შეეხო აგრეთვე ი. ანთაძე ნაშრომში: „ყმების მფლობელობის ხასიათი საქართველოში მე-XVIII საუკ.“, რომელიც 1915 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომის ავტორი გლეხობას ორ ძირითად ჯგუფად: ვენახიან და უვენახო გლეხებად ჰყოფდა (გვ. 95). გლეხთა კატეგორიების საკითხებს ეხებოდა რევოლუციამდელი სხვა ავტორებიც: ქალანთაროვი, ავალიანი და სხვ. გლეხთა საკითხებს ეხებოდა თავის რევოლუციამდელ ნაშრომებში აკად. ივ. ჯავახიშვილი.

რევოლუციის შემდგომი ხანის ისტორიოგრაფია პრინციპულად განსხვავდება რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიისაგან. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ქართული ფეოდალიზმის გენეზისის და მისი განვითარების საკითხების სწორად დასმას (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი), ბუნებრივად მოჰყვა გლეხთა ისტორიის შესწავლა. ჯერ კიდევ 1930 წ. გამოქვეყნდა ს. კაკაბაძის ნაშრომი: «Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII, веке \* ამ წერილში ავტორი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს ისეთ გლეხებს როგორცაა: აზატი, მკვიდრი ყმა, ნების ყმა, წყალობის ყმა და ა. შ. (გვ. 158). ამავე წელს გამოვიდა გ. ნათაძის ნაშრომი «К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия», უფრო გვიან კი «Крестьяне «Сахасо». ამ ნაშრომებში ავტორი ძირითადად გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობას ეხება.

1938 წ. გამოქვეყნდა ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი: „Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.)“, სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ გლეხი სოციალურად არაერთგვაროვანი ფენია, რომ „ნასყიდი“, „შეწირული“, „ნაწყალობევი“, „ნებისყმა“, „გარეთმოსული“ და სხვ. კატეგორიები ერთიანდებიან გლეხის ფართო ფენაში (გვ. 3).

1955 წ. გამოვიდა გ. ჯამბურაძის წიგნი: „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“ და დ. გვრიტიშვილის წიგნი: „ფეოდალური საქართველოს



სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“. ამ წიგნებში ავტორები ცალკეულ თავებს უთმობენ გლახობის საკითხს. მოცემული აქვს გლახთა სოციალური კატეგორიები და მათი ვალდებულება-გამოსაღებები. 1960 წელს გამოქვეყნდა ედ. ხოშტარიას წერილი: „გლახობის სოციალური მდგომარეობის საკითხისათვის XVII—XVIII სს. ქართლში“. ამ წერილში მოცემულია გლახობის კატეგორიების კლასიფიკაცია. ცალკე თავში განიხილავს გლახობის საკითხს მ. ქიქოძე თავის სადისერტაციო ნაშრომში: „ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სამილახობრო)“. ხიზან გლახთა საკითხს ეხება ვ. გუჩუას სადისერტაციო ნაშრომი: „ხიზნობა და ხიზანთა საკითხი საქართველოში“ და გამოქვეყნებული წერილი: „ხიზან გლახთა ბუნებისა და წარმოშობისათვის“. კახეთის გლახობის შესწავლის ცდა მოგვცა თავის საკანდიდატო დისერტაციაში ნ. ასათიანმა „გლახობა XVI—XVII სს. კახეთის სამეფოში“, სადაც დასმულია გლახობის კატეგორიებად დაყოფის საკითხი<sup>1</sup>.

1962 წ. კი გამოქვეყნდა გ. აკოფაშვილის ნაშრომი: „გლახთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში“<sup>2</sup>. ამ ნაშრომში ავტორი განიხილავს XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს გლახთა ცალკეულ კატეგორიებს. ამ შემთხვევაში იგი ძირითადად იმეორებს უკვე არაერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას გლახთა ამა თუ იმ ჯგუფის შესახებ. ზოგჯერ საკუთარ, ახალ დაკვირვებასაც გვთავაზობს. ახალი, ორიგინალური ამ ნაშრომში ისაა, რომ ავტორი იძლევა გლახთა ჯგუფების—კატეგორიების ახალ კლასიფიკაციას<sup>3</sup>. მისი კლასიფიკაციით ასეთი სურათი წარმოგვიდგება: გლახობა დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად: I. მკვიდრი, II. ნებიერი, III. ნასყიდი. თითოეულ ამ ძირითად ჯგუფში შედის ქვეჯგუფები. მკვიდრი განაყოფიება ქვეჯგუფად: 1. თარხანი, 2. მსახური, 3. მებეგრე, 4. ბოგანო. ნებიერი იყოფა: 1. ნებიტმოსულ და 2. ხიზან გლახებად. ნასყიდის კატეგორიაში კი ავტორს შეუტანია ორი ქვეჯგუფი: 1. ბოგანო ანუ უმაჟულოდ ნასყიდი და 2. მიწაზე მკდომი ნასყიდი გლახები.

თარხანი ავტორს ძირითადად საბატონო გადასახადებისაგან განთავისუფლებულ გლახად მიაჩნია (გვ. 69). ავტორს მოტანილი აქვს გათარხნების მაგალითი, როდესაც თარხნებს ლაშქარ-ნადირობა და გარკვეული სამსახური აძევთ. თარხანთა მოვალეობათაგან წერილის ავტორს მოტანილი აქვს სამასპინძლოც, რაც მას „პირადი დამოკიდებულების გადასახადად“ მიაჩნია (გვ. 70). ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თარხნებს შორის „ეკონომიური სიჭრელე“

<sup>1</sup> სადისერტაციო ნაშრომიდან ზოგიერთი საკითხი ნ. ასათიანს გამოქვეყნებული აქვს.

<sup>2</sup> ჩვენ არ ვსახელებთ იმ ავტორთა ნაშრომებს: ს. კაკაბაძე, ლ. მუსხელიშვილი, ო. სოსელია, ი. ანთელავა, მ. დუმბაძე, მ. ბერძინიშვილი და სხვ., რომლებიც დას. საქართველოს გლახობის სოც.-ეკ. საკითხებს ეხებიან, ან ქრონოლოგიურად არ თავსდებიან XVII—XVIII სს.

<sup>3</sup> მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34.

<sup>4</sup> გლახთა ჯგუფებისა თუ კატეგორიების კლასიფიკაცია გ. აკოფაშვილამდე სხვა ავტორებსაც ჰქონდათ. მაგ., ედ. ხოშტარია XVII—XVIII სს. ქართლის გლახობას ორ ძირითად სოც.-ეკ. კატეგორიად ჰყოფს: მებეგრე გლახობად და მსახურებად. ცალკე გამოყოფს რაიმე ხელობის მცოდნე გლახთა ჯგუფს და ბოლოს გლახთა ყელიაზე დაბალ კატეგორიად მიაჩნია შინამოსამსახურე გლახები (ისტ. ინსტ. შრ. V. I. გვ. 107).

XVI—XVII სს. კახეთის გლახობას ნ. ასათიანი სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფს, I. მსახურები, II. მოყალენი, III. გარეთმოსულები. თითოეულ ჯგუფში არის ქვეჯგუფები (იხ. ნ. ასათიანის საკანდიდატო დისერტაცია „გლახობა XVI—XVII სს. კახეთის სამეფოში“).



არსებობდა. მართლაც, თუ ჩვენ თარხნობისა და აზატობის წიგნებს გადავავლებთ თვალს, ამაში ადვილად დავრწმუნდებით. თუ გააზატებულთა ერთ ნაწილს „ლაშქარ-ნადირობისა და კარზედ სამსახურის მეტი“ არაფერი ეთხოვებოდა, მეორე ნაწილის „სათხოვარი“ უფრო მეტიც იყო ხოლმე. წერილის ავტორს აღნიშნული აქვს, რომ საყავლანიშვილოში თარხან ყმებს სამასპინძლო ედოთ. სამასპინძლოს ოდენობა მეტ-ნაკლები იყო ხოლმე. გ. ჯამბურისა სიტყვებით, „საყავლანიშვილოში თარხნის ორი კატეგორია იყო: 1. თარხანი „მთელი საკომლო“, ანუ „კაი კვამლი“ და 2. თარხანი „ნახევარი საკომლო“, ანუ „ამისგან დაბალი“. თარხნის ორივე კატეგორიას სპეციალური გადასახადი „სამასპინძლო“ ედვა ყავლანიშვილების სასარგებლოდ“<sup>5</sup>.

თავისთავად ის ფაქტი, რომ „სამასპინძლო“ მთელ საკომლოსა და ნახევარ საკომლოს—ე. ი. მიწის გარკვეულ რაოდენობას ეწერებოდა, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ იგი ბეგარაა. საყავლანიშვილოში მთელ საკომლოს ეწერა: „ცხვარი ორი, პური კოდი სამი, ქერი კოდი სამი, ქათამი ორი, ერბო სტილი ათი, მარილი ლიტრა ერთი“. ნახევარ საკომლოს ეწერებოდა: „ცხვარი ერთი, პური კოდი ერთნახევარი, ქერი კოდი ერთნახევარი, ქათამი ერთი, ერბო სტილი ხუთი, მარილი სტილი ათი“<sup>6</sup>.

ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთი დოკუმენტის მიხედვით კი „სამასპინძლო“ ასე წარმოგვიდგება: „ოთხი კოკა ღვინო, ერთის წლის ძროხა, ორი კოდი პური, ორი ქათამი“<sup>7</sup>. რამდენადაც სამასპინძლო განსაზღვრული იყო ქერით, პურით, ღვინით (მეღვინეობის რაიონებში), ცხვარით, ქათმით, ერბოთი და სხვ. იგი წარმოადგენდა რენტას ნატურის სახით. შესაძლებელია მას რამოდენადმე შეცვლილი ფორმა ჰქონდეს, იგი ითვლებოდეს საპატიო „გამოსალებად“ „არა დამამცირებელ „გამოსალებად“ ბატონის წინაშე, მაგრამ ჩვენი აზრით, ფეოდალიზმის პირობებში იგი ნატურალური რენტის სახეობაა. მასასადამე „სამასპინძლო“, „პირადი დამოკიდებულების გადასახადი“ კი არ იყო, როგორც ამას ფაქტობს ამხ. აკოფაშვილი, არამედ ბეგარის გარკვეულ სახეს წარმოადგენდა.

თუ ერთ შემთხვევაში თარხანი „სამასპინძლოს“ სახით ნატურალურ რენტას იხდის, სხვა შემთხვევებში იგი შრომითი ვალდებულებაცაა ბატონის წინაშე. 1700 წ. იოსებ ურბნელს გაუთარხნებია რევან უოულოაძე... „არა გეთხოვბოდეს რა... ერთი დღე მკა, ერთი დღე ბარვაში წამოხვიდოდე“<sup>8</sup>.

ასევე შრომითი ვალდებულება თავისი ბატონის წინაშე გვიჩვენებს თუმანიშვილის ყმა რამინა, რომელიც 1703 წ. გაუთარხნებიათ. „არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსალები არა გეთხოვბოდეს რა... ერთ დღეს მამაცობით ვენახში უნდა გვიმუშაოთ“<sup>9</sup>—გვითხოვლობთ საბუთში. ზემომოტანილი დოკუმენტების მიხედვით გათარხნებულ გლეხებს ადევთ მკა, ბარვა და ვენახში მუშაობა. გარდა ამ სამუშაოებისა, ვხვდებით დოკუმენტებს, როდესაც გათარხნებული გლეხი ვალდებულია ბატონს ერთი დღე მოუხსნას<sup>10</sup> და შეასრულოს ეკლესიის მუშაობა<sup>11</sup>.

<sup>5</sup> გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, თბ. 88-124.

<sup>6</sup> გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

<sup>7</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, 1940, № 196.

<sup>8</sup> იქვე, № 152.

<sup>9</sup> იქვე, № 169.

<sup>10</sup> იქვე, № 196.

<sup>11</sup> იქვე, № 241.



როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, გათარხნება ყოველთვის ერთი პირობით არ ხდებოდა. თარხანთა შორის იყვნენ მეტ-ნაკლებად ვალდებულები. თუ ერთ შემთხვევაში თარხნის მოვალეობა მხოლოდ ლაშქარ-ნადირობა და სახელმწიფო გადასახადის გადახდა იყო, მეორე შემთხვევაში იგი დაბევრილი იყო, როგორც შრომითი, ისე ნატურალური ბეგართ.

ამდენად ჩვენ მიგვაჩნია, რომ თარხნები რომელთაც მკა, ბარვა, ზენა, ვენახის მუშაობა თუ სასახლის მუშაობა აკისრიათ, „მებეგრე“ გლეხები არიან, რომლებიც მეტ-ნაკლებად მსუბუქ ბეგარას უხდიან ბატონს. ეს გარემოება წერილის ავტორსაც ასე უნდა ესმოდეს. იგი წერს, რომ ყაფლანიანთ ნუსხაში „თარხანი გლეხები დანაწილებული არიან ისეთებად, რომელნიც მთელ საკომლოს ფლობენ და ისეთებად რომელთაც ამაზე ნაკლები უჭირავთ. ამისდა მიხედვით არიან ისინი და ბე გ რ ი ლ ე ბ ი ც“. (გვ. 70). როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს ისინი „დაბეგრილები“ არიან.

ამრიგად, თარხან გლებთა კატეგორია ორ ჯგუფად იყოფა. I. თარხანი, რომელსაც არაფერი ევალება გარდა ლაშქარ-ნადირობისა და სახელმწიფო გადასახადის—საურისა და II. თარხანი, რომელიც მეტ-ნაკლებადაა დაბეგრილი, „სამასპინძლოთი“ (ნატურალური რენტით), ან შრომითი ბეგარის ამა თუ იმ სახეობით.

შეიძლება გვეფიქრა, რომ თავისი მდგომარეობით თარხანი არ განსხვავდება ჩვეულებრივად დაბეგრილი გლეხისაგან. მაგრამ მას სხვა უპირატესობა „თარხნობა“ აქვს განსხვავებით სხვა ტიპის გლეხისაგან. ამდენად, თუ ეკონომიურად თარხანთა გარკვეული ნაწილი მებეგრეთა ჯგუფში შეიძლება მოხვდეს, უფლებრივად იგი პრივილეგირებული გლეხია, რომელიც ტრადიციულად ინარჩუნებს ამ უპირატესობას (ცხადია არა ყოველთვის). კარგი იქნებოდა თუ ამ გარემოებას სტატიის ავტორი გაითვალისწინებდა გლებთა ჯგუფების კლასიფიკაციის დროს.

ასევე შეიძლება ითქვას მსახურის შესახებ. მართალია მსახური პრივილეგირებული გლეხია და მას ბატონის წინაშე საპატიო სამსახური აძევს, მაგრამ იგი (ყოველ შემთხვევაში მსახურთა გარკვეული ნაწილი) თავისუფალი არაა ბეგარისაგან. დ. გვრიტიშვილის აზრით, მსახური „ბეგარას“ „მსახურობით“ უხდის თავის პატრონს და ამით განსხვავდება „მებეგრე გლეხებისაგან“<sup>12</sup>. ასეთივე აზრისაა მსახურის შესახებ გ. ჯამბურია. მებეგრე გლეხებისაგან ცალკე გამოჰყოფს მსახურს ედ. ზოშტარია. ასევე ცალკე გამოჰყოფს მსახურს მებეგრე გლეხებისაგან გ. აკოფაშვილი. მართალია, ზოგჯერ გათარხნებულ მსახურს „მსახურობის“ მეტი არაფერი ევალება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მას ლაშქარ-ნადირობისა და მსახურობის გარდა „ძღვენი“ მართებს. „ძღვენი“, ისევე როგორც „სამასპინძლო“, ნატურალური ბეგარის სახესხვაობა უნდა იყოს, რამდენადაც „ძღვენიც“, ისევე, როგორც „სამასპინძლო“ მიწისჭერასთან დაკავშირებული ვალდებულება იყო და მიწას—მიწის გარკვეულ ერთეულს—საკომლოს ეწერებოდა<sup>13</sup>.

<sup>12</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 187.

<sup>13</sup> გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 126—127.



გარდა „ძღვენისა“ მსახურს ზოგჯერ შრომითი მოვალეობაც აკისრია ბატონის წინაშე. 1689 წ. სითარხნის წყალობის წიგნში, რომელიც გვიღამილანორს მიუცია ოთია კუბატაძისათვის, ვკითხულობთ: „ასე გათარხნეთ და გათავისუფლეთ, რომე ერთი მსახური უნდა გვახლდეს, ზურის ბარჯასა და ხოდანბუნის მკას უნდა მოგვეკმარებოდეთ... ამის მეტი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა... თვინიერ ერთის მსახურისა და მკისა და ბარჯის მეტი“<sup>14</sup>. მკა და ბარჯა მიწისჭერასთან დაკავშირებული საბევრო ვალდებულებებია. ამდენად, როგორც ვხედავთ მსახურიც, თუ ერთ შემთხვევაში ყველაფრისაგან თავისუფლდება გარდა „მსახურობისა“, მეორე შემთხვევაში მას ბეგარა აქვს ან „ძღვენის“—ნატურალური რენტის სახით, ან შრომითი რენტის—მკისა და ბარჯის სახით. ამდენად მსახურთა კატეგორიაში აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე როგორც ეს დადგენილი აქვს დასავლეთ საქართველოს სინამდვილესათვის განსვენებულ ლ. მუსხელიშვილს<sup>15</sup>, ორი ჯგუფი გამოიყოფა 1. მსახური დაუბეგრავი და 2. მსახური დაბეგრული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს სწორი მსახურის გამოყოფა ცალკე ჯგუფად მებეგრე გლეხებისაგან. რადგანაც თუ მსახურთა ერთი ჯგუფი მართლაც დაუბეგრავია, მეორე ნაწილი დაბეგრულია და ამდენად მებეგრეც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერმინს ქვეშ „მებეგრე“ გაერთიანება გლეხთა ერთი ჯგუფისა, მთლად ზუსტად ვერ ასახავს არსებულ ვითარებას. როგორც დავინახეთ მეტ-ნაკლებად „მებეგრე“ შეიძლება იყოს თარხანიცა და მსახურიც, ასევე ნებიერი, ნასიდი და სხვ. ამიტომ მკვიდრ გლეხთა ჯგუფიდან მებეგრეთა ცალკე გამოყოფა სათუოდ მიგვაჩნია.

ბოგანო, ავტორის კლასიფიკაციით მკვიდრ გლეხთა ჯგუფშია მოთავსებული.

ხალხთა აღწერილობის XVII—XVIII სს. ნუსხებში მოსახლეობა ორ ძირითად ჯგუფად არის ხოლმე გაყოფილი: „მემკვიდრე“ ანუ „მკვიდრ“ გლეხებად და „ბოგანობად“. უმეტეს შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის დაჯამება ხდება, მოსახლეობის დაჯგუფება უმეტესად სწორედ ამ ორი ნიშნის მიხედვით არის ხოლმე. მაგ. „იქმნა ჯამი მემკვიდრისა (ამდენი და ამდენი)“, „იქმნა ჯამი ბოგანოსი (ამდენი და ამდენი)“. ზოგჯერ ნუსხებში ბოგანოც კომლად იხსენიება და დაპირისპირებულია ხოლმე მემკვიდრე (ე. ი. მკვიდრ) კომლთან მაგ. XVIII საუკუნის ერთ ნუსხაში დაჯამებულია არაგვის კომლები. „ქ. მემკვიდრე კომლი შნთ. ქ. აქავ ბოგანო კომლი კე. ქ. აქავ ობოლი ლგ“<sup>16</sup>. ზოგჯერ კი ბოგანო, როგორც ეს აღნიშნული აქვს გ. ჯამბურის „მსახლობართან“ არის დაპირისპირებული<sup>17</sup>.

ზოგჯერ ბოგანო საკომლოსთან არის დაპირისპირებული. XVIII საუკ. II ნახ. ერთ საბუთში ჩამოთვლილია სოფ. ფცას კონსტანტინე დავითიშვილის ყმები. ბოლოში კი დაჯამებულია: „ამ სოფლის ჯამი იქნა საკეამლო მ, ბოგანო ზ. აზნაური ე“<sup>18</sup>. ჩვეულებრივად კი ბოგანო კომლის საპირისპიროდ იხმარება

<sup>14</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, № 116.

<sup>15</sup> ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს., ენიშის მონაბე, V—VI. 1940, გვ. 283, 293, 312.

<sup>16</sup> საქ. სსრ. მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტი, Qd.—7166.

<sup>17</sup> გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

<sup>18</sup> საქ. მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტი, Qd—8639. ასევეა სხვა დოკუმენტებში Hd—1366 და სხვ.



მაგ. „იფნობს... კომლი ია, ბოგანო დ“. ან კიდევ „თოფრაყალას კომლი ბ. ბოგანო ბ“<sup>19</sup>. ამ დოკუმენტის ავტორი ბოგანოს „გლახის“ საპირისპიროდაც კი ხმა-რობს. „ქრეს ყაითმზაშვილების აზნაურშვილი ე, გლახი იბ, ბოგანო ით“. ამ შემთხვევაში „გლახი“ ვფიქრობთ „მემკვიდრის“, „მკვიდრის“ სინონიმად უნდა იყოს ნახმარი, რომელსაც ტრადიციით უჭირავს საკომლო ან საკომლოს ნაწილი.

ბოგანო კომლთან—მკვიდრ გლახთანაა დაპირისპირებული ისეთ ოფიციალურ ძეგლში, როგორცია დასტურლამალი. ბარაგრაფში „საურისათუს“ დასტურლამალში ვკითხულობთ: „ბოგანოზედ სძეს შაური, კომლზედ ორი შაური“<sup>20</sup>. ასევე ძეგლის იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია სოფლების აღწერაზე ვკითხულობთ, რომ იმ სოფლებში, სადაც სარდრები და მდივნები ჩადგებიან „საკომლო ორი შაური და ბოგანო ერთი შაური აღსამწერლო უნდა გამოიღონო“<sup>21</sup>.

აქედან აშკარაა, რომ ბოგანო სახელმწიფო ნორმების მიხედვით „კომლად“ ე. ი. „მკვიდრ“ ანუ „მემკვიდრე“ გლახად არაა აღიარებული.

ასევე ფიქრობდა მკვიდრისა და ბოგანოს შესახებ განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი. იგი აღნიშნავდა, რომ (სამროვლოს 1715 წ. დავთრის მიხედვით) „მცხოვრებნი ორად ყოფილან დაყოფილნი მემკვიდრე მემკომურად და ბოგანოდ“<sup>22</sup>.

ავტორი მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ ბოგანო უფრო გვიან მკვიდრ გლახსაც შეერქვაო, მაგრამ ჯერ კიდევ XVIII საუკ. მთელ მანძილზე გვაქვს მავალითები, როდესაც ბოგანო ახალმოსული და ახალდასახლებული კაცის სახელია. „ბოგანო ერევნიდამ მოყვანილი“<sup>23</sup>, „ბოგანო იმერეთიდან ვადმოსული“<sup>24</sup> და სხვ. ზოგჯერ დოკუმენტებში ბოგანო „მოსულობით“ მოიხსენიება. მაგ., ძაგნაკორას პაპუას ყმათა შორის დასახლებულია „გიორგი მოსული ბოგანო“<sup>25</sup>. ბოგანოების მოსულობაზე მიუთითებს ხოლმე ნუსხებში მათი სადაურობის აღნიშვნაც. მაგ. დუშეთს სასახლის სახასო ყმათა შორის მოიხსენიებიან „ბოგანო ხანდოელი, ბოგანო ვანათელი... ბოგანო ჯავახი...“<sup>26</sup> ასევე მათ „მოსულობაზე“ ლაპარაკობს ნუსხებში ბოგანოების მოხსენიება ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. მაგ. „თათარი ბოგანო“, „ქვესური ბოგანო“, „დეალი ბოგანო“<sup>27</sup>. და ა. შ. და ა. შ.

ამდენად, თუ ბოგანო ერთის მხრივ ადგილობრივი მკვიდრია ხოლმე, მეორეს მხრივ ბოგანოები „მოსული“ ან „მოყვანილი“ ან „არამსახლობარი“ (საპირისპიროდ „მსახლობარისა“ ე. ი. „მკვიდრისა“) გლახები არიან.

ვერ გავიზიარებთ ავტორის მეორე დებულებასაც, რომ ბოგანო „თავისი ეკონომიური შესაძლებლობის მხრივ ყველაზე დაბლა დგას მკვიდრ გლახებს შორის და მოკლებულია ინტენსიური მეურნეობის წარმოების საშუალებას“ (გვ. 71). საქმე ისაა, რომ XVII საუკ. ბოლოსათვის და XVIII საუკ. მთელ

<sup>19</sup> Hd—1366.  
<sup>20</sup> დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, ტფ. 1886, გვ. 73.  
<sup>21</sup> იქვე, გვ. 13.  
<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 13.  
<sup>23</sup> Qd—7179, 7176.  
<sup>24</sup> Qd—7179.  
<sup>25</sup> იქვე.  
<sup>26</sup> Hd—1603.  
<sup>27</sup> იქვე.



სივრცეზე შეიმჩნევა, რომ ბოგანო არაერთფეროვანი მასაა. ბოგანოებს შორის აშკარად შეიმჩნევა ეკონომიური უთანასწორობა.

XVIII საუკ. საგადასახადო ნუსხებში სოფლის მოსახლეობა (იგულისხმება უშუალო მწარმოებელი) ორად არის გაყოფილი: გადამხდელ-გამომღები და ასეთისაგან განთავისუფლებული. გადასახადისა და გამოსაღებისაგან თავისუფალნი არიან ხოლმე ან გარკვეული პრივილეგიების გამო (თარხანთა და აზატთა ნაწილი) ან დაბალი ეკონომიური დონის გამო (შეუძლებლები, ღარიბები, გლახები, ობლები, საბრალოები და ბოლოს აყრილები და ამოწყვეტილები). ჩვეულებრივად გადასახადებისაგან თავისუფლები არიან ხოლმე ბოგანოებიც. მაგრამ ასეთი ბოგანოების გვერდით ვხვდებით ისეთ ბოგანოებს, რომელთაც ესა თუ ის გამოსაღები თუ გადასახადი აძევთ. ასეთი ბოგანოები ნუსხებში შეტანილი არიან კომლისა და თავის დასახელებით.

როგორც წერილის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, ბოგანოებს ზოგჯერ ლაშქრობაც ევალებოდათ. 1721 წ. შედგენილ მეწინავე დროშის აღწერილობაში ვხვდებით მოლაშქრე ბოგანოებს, რომლებსაც აღწერილობის ავტორი ასხვავებს ჩვეულებრივი ბოგანოებისაგან. მაგ. სოფ. მარიამს დასახელებული 11 კომლიდან ბოგანო მოლაშქრეა—1, ბოგანო 2<sup>28</sup>. ლიყურეთს დასახელებული 12 კომლიდან ბოგანო მოლაშქრეა—1, ბოგანო 1<sup>29</sup>. ბოლნისს ჩამოთვლილია სახასო 56 კომლი, აქედან ბოგანო მოლაშქრეა—8, ბოგანო 2<sup>30</sup> და ა. შ.

ასევე ვხვდებით მოლაშქრე ბოგანოები XVIII საუკ. I ნახევარში შედგენილ ამილდაბარ გოშტაშაბიშვილის ყმების ნუსხაში. ამ ნუსხაში 100 კომლია შეტანილი, აქედან 19 ბოგანოა, 2 კი ბოგანო მოლაშქრე<sup>31</sup>.

1720 წ. ვახტანგ VI-ის მიერ ვაცემულ ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ლაშქრობის დროს ბოგანოების დაჯგუფება ხდებოდა გარკვეული ნიშნების მიხედვით. მოგვაქვს ეს საბუთი: „არის ბატონის კათალიკოზის ყმა ყოველგან აზნაურშიღს გარდა საკომლო ექვსას თექვსმეტი, ბოგანო მოლაშქრე. ასამოცდა ორი, ისე ბოგანო ოთხმოცდარვა. ამისგან ცხენოსანი მეთოფე ოთხასთერთმეტი, შუბოსანი ცხენით ორასხუთი. ბოგანო ქვეითი ფარხლმით ასოცდახუთი, საფთე მშვილდით ასოცდახუთი“<sup>32</sup>. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ არიან „მოლაშქრე ბოგანოები“, „ისე ბოგანოები“ და „ქვეითი ბოგანოები“.

ჩვეულებრივად ბოგანო ფარ-ხმალითა და საფრთე მშვილდით იყო ხოლმე შეიარაღებული. „რაც ამაში კომლი სწერია, სულ ყველამ თოფი უნდა იშოვნოს, ბოგანომ ფარხმალს და საფთე მშვილდი წამოიღოს“—ვკითხულობთ ერთ-ერთ საბუთში<sup>33</sup>. როგორც ჩანს ქვეითი ბოგანო შეიარაღებულია ფარ-ხმალითა და საფთე მშვილდით, როდესაც მეთოფეები და შუბოსნები უმეტესად ცხენოსნები არიან<sup>34</sup>. მართალია ზემოთ მოტანილ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი მოლაშქრე ბოგანოს შეიარაღებისა თუ სხვა დამახასიათებელი ნიშნების შესახებ (გარდა იმისა, რომ ის „მოლაშქრეა“), მაგრამ ვფიქრობთ, მისი გამოყოფა „ისე

<sup>28</sup> მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა, ტფ. 1907, გვ. 55—56.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 233—34.

<sup>31</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., I, № 44.

<sup>32</sup> იქვე, I, № 257.

<sup>33</sup> იქვე, № 256.

<sup>34</sup> მეთოფეები ზოგჯერ ფეხოსნებიც არიან (Hd—6267).



ბოგანოსა“ და „ქვეითი ბოგანოსაგან“, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მას შეუძლია ლაშქრობა სხვა ბოგანოებისაგან განსხვავებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მას „ლაშქრობის“ წელი უნდა ჰქონდეს: ცხენი, კარგი იარაღი, ზოგჯერ თოფიც. მართლაც ჩვენ არა ერთი და ორი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული, როდესაც მოლაშქრე ბოგანოები თოფებით არიან შეიარაღებული და არა ფარ-ხმალითა და საფრთე მშვიდლით, როგორც ჩვეულებრივი ბოგანოები. მაგ. საამილახოროში XVIII საუკ. ერთ-ერთ ნუსხაში ზემოყურას დასახელებულია „მოლაშქრე ბოგანო ხიბალიკა თოფით“.

ბოგანოების ვარკვეული ნაწილის „მოლაშქრობა“, მისი პრივილეგიები სხვა ბოგანოებისგან განსხვავებით, ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა და მოლაშქრე ბოგანო შეიძლებოდა ზოგჯერ ეკონომიურად უფრო ღონიერი ყოფილიყო, ვიდრე რომელიმე მკვიდრი „შეუძლებელი“, „ღარიბი“, „გლახა“, „ბეზმისქინი“ და ა. შ. ამიტომ არ ვიზიარებთ ავტორის დებულებას, რომ ბოგანო თავისი ეკონომიური შესაძლებლობით ყველაზე დაბლა დგას.

ბოგანო არაერთგვაროვანი ფენია. ბოგანოები ეკონომიური შესაძლებლობით სხვადასხვა ღონეზე დგანან. თუ ერთის მხრივ „მოლაშქრე ბოგანო“ ეკონომიურად ღონიერი ჩანს, მეორეს მხრივ დოკუმენტებში ვხვდებით ბოგანოებს, რომლებიც „შეუძლებელი ბოგანოებად“ მოიხსენიებიან<sup>36</sup>. მაგ. წავკისის მოხსენებულა „ბოგანო ქვემო წერაქველი გრიქორა შეუძლებელი“<sup>37</sup>, ან ცხრაზმას უკანუბნიდამ დასახელებულია „ბოგანო ჩიტასაშვილი შეუძლებელი ხიხანა“<sup>38</sup>. ასევე უნდა განსხვავებოდეს ეკონომიურად (და უფლებრივადაც) სხვა ბოგანოებისაგან ნასყიდი ბოგანოც. წავკისს მაგ. დასახელებულია „ბოგანო ნასყიდი ხუტაშვილი პატარაკაცი“<sup>39</sup>, ძალინას ერეკლე ფალავანდიშვილის ყმათა შორის იხსენიება „ნასყიდი ბოგანო რიკაძე პეტრე და შიო“<sup>40</sup>. ცხადია „ნასყიდი ბოგანო“ არ შეიძლებოდა თავისი ეკონომიური თუ უფლებრივი მდგომარეობით სხვა, „მკვიდრ“ ბოგანოთა დონეზე მდგარიყო. ასევე შეიძლება ითქვას „ნამზითვ ბოგანოზეც“. მით უმეტეს არ შეიძლებოდა „ნასყიდი“ და „ნამზითვი“ ბოგანო მკვიდრი გლეხა ყოფილიყო. ამიტომაც მოხდა რომ წერილის ავტორი თუ ერთის მხრივ ბოგანოს მკვიდრ გლეხთა კატეგორიაში ათვისებს, მეორეს მხრივ ბოგანო, ანუ უმძულოდ ნასყიდი „ნასყიდის“ კატეგორიაშია მოქცეული (გვ. 82).

თუ ერთის მხრივ არიან ეკონომიურად ღონიერი და სუსტი ბოგანოები, მეორეს მხრივ არიან — მკვიდრი და არამკვიდრი ბოგანოები (მოსულები, მოყვანილები, ნასყიდები, ნამზითვები და ა. შ.). ამიტომ

<sup>36</sup> Qd—2159.

<sup>37</sup> წერილის ავტორი თვლის, რომ მკვიდრ გლეხებს შორის ეკონომიურად სუსტი გლეხები ყმათა ნუსხებში ზოგჯერ „შეუძლებელი“ გლებთა სახელს ატარებენ, ხოლო ბოგანოების სახელით არიან მოხსენიებული (გვ. 68). უნდა აღინიშნოს რომ შეუძლებელი და ბოგანო ორი ერთნაშთისაგან განსხვავებული ცნებაა. ჩვენი აზრით ბოგანო გლეხის კატეგორიაა. ხოლო შეუძლებლობა აღნიშნავს ეკონ. მდგომარეობას. ამიტომ „შეუძლებელი“ შეიძლება იყოს მკვიდრიც, ბოგანოც და აზნაურიც კი.

<sup>38</sup> Hd—1604.

<sup>39</sup> ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, თბილისი, სახ. უნტ. შრ., 45, გვ. 16.

<sup>40</sup> Hd—1604.

<sup>41</sup> Hd—1611, ასევეა სხვა დოკუმენტებში Hd—1606 და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ბოგანოების გაერთიანება ქვეჯგუფად მკვიდრი გლეხების ჯგუფში მოკლებულია დამაჯერებლობას. ვფიქრობთ, რომ ბოგანოების განაწილება ერთი მხრივ მკვიდრის კატეგორიაში, მეორე მხრივ კი ნასყიდისა, არაა სწორი, რადგანაც ეს ჯგუფი გლეხებისა ცალკე გამოყოფილი უნდა იყოს „ბოგანოების“ ნიშნის მიხედვით. ე. ი. ბოგანობა არის ჯგუფის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანთვისება, რაც შეეხება „მკვიდრობას“, „ნასყიდობას“, „ნამზითობას“ და სხვ. ეს უკვე ამ ჯგუფის გლეხების მეორად, არაპირველად მდგომარეობას გამოხატავს და ამდენად არ შეიძლება ეს მეორადი მოვლენა განმსაზღვრელ მომენტად მივიჩნიოთ.

ავტორი ცალკე გამოჰყოფს და ზოგადად ახასიათებს მებეგრე გლეხებს. იგი თვლის, რომ „ყმა-გლეხების ძირითად მასას მებეგრე გლეხები შეადგენენ“. ავტორი ზოგადად ჩამოთვლის ამ გლეხთა გადასახადებსა და ვალდებულებებს. კარგი იქნებოდა ზუსტად ყოფილიყო განსაზღვრული თუ ვის გულისხმობს ავტორი მებეგრე გლეხებს შორის. კარგი იქნებოდა დასმულიყო საკითხი: არის თუ არა ყველა „მკვიდრი“ ანუ „მემკვიდრე“ მებეგრე და პირიქით?

76 გვ. ავტორი ლაპარაკობს „ნებით მოსული“ ყმის შესახებ. იგი მიმოიხილავს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებს „წყალობის ყმის“ შესახებ. წერილში ჩამოთვლილია იმ ავტორთა გვარები (ა. ხახანაშვილი, დ. ფურცელაძე, ივ. ჯავახიშვილი, ა. ფანცხავა), რომელთაც არასწორად ესმოდათ ამ ტერმინის მნიშვნელობა. ავტორი გვთავაზობს დასახელებულ ავტორთაგან განსხვავებით ტერმინის „წყალობის ყმა“ ახლებურ ინტერპრეტაციას, მაგრამ აქვე დავსძენთ, რომ მას გაუთვალისწინებელი დარჩენია ედ. ხოშტარის დაკვირვება „წყალობის ყმის“ შესახებ, რაც არსებითად ემთხვევა ავტორის ინტერპრეტაციას. „ისეთი გლეხი, რომელიც ნებით მოუვიდოდა მეზატონეს და უკანასკნელის მიერ შეწყალებული იქნებოდა ყმად, განიხილებოდა, როგორც წყალობის ყმად მისული“, — ვკითხულობთ 1960 წ. გამოქვეყნებულ ედ. ხოშტარის წერილში<sup>41</sup>.

ამავე დებულებას, როგორც სრულიად ახალს, გვთავაზობს ამხ. გ. აკოფაშვილი. „ნებით მოსულ ყმას საბუთებშიც და სამართლის წიგნშიც ზოგჯერ წყალობის ყმაც ეწოდებოდა“ (გვ. 76)<sup>42</sup>.

ლიტერატურაში უკვე გამოთქმული მოსაზრებისა თუ დებულების გაუთვალისწინებლობა წერილში სხვა ადგილზეც შეიმჩნევა. მაგ., ბოგანოს შესახებ ავტორს მხოლოდ აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება გაუთვალისწინებია, რომელიც ამაგრებს მის დებულებას, რომ ბოგანო მკვიდრი გლეხია. ხოლო მისი დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებები მას არ გაუთვალისწინებია. მაგ., გ. ჯამბურის აზრით „ბოგანო“ „მსახლობარი“ და „მკვიდრი“ გლეხი არ არის... იგი დამჯდარ და ინტენსიურ მეურნეობას ვერ ეწევა“<sup>43</sup>. ასევე ედ.

<sup>41</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ. შრომები, V, ნაკვ. I, გვ. 90.

<sup>42</sup> აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ნების ყმისა და წყალობის ყმის იგივეობა სხვათაშორის აღნიშნა ბროუე. ს. კაპაძემ 1930 წ. მისი სიტყვებით „... Законы Вахтанга ... различают друг от друга помимо мсахური, крестьянина азата, наследственного крепостного крестьянина (მკვიდრი ყმა, и добровольного или жалованного крестьянина (ნების ყმა)“. იხ. Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII веке, გვ. 158.

<sup>43</sup> გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 122.



ხოშტარიას აზრით, ბოგანო „შორიდან მოსული გლეხები არიან... რომლებიც ინტენსიურ მეურნეობას არ ეწევიან“<sup>44</sup>.

წერილში სრულად არაა წარმოდგენილი გლეხთა კატეგორიები. მაგ., არაფერია ნათქვამი მოყალნეების შესახებ, რომლებიც მრავლად გვხვდებიან, როგორც ქართლურ, ასევე კახურ საბუთებში (განსაკუთრებით XVIII საუკ. ნუსხებში). კარგი იქნებოდა თუ ავტორი მის მიერ შემოთავაზებულ სქემაში ადგილს მოუძებნიდა მოყალნეებს და თავის სიტყვასაც იტყოდა მათ შესახებ, წარმოადგენენ თუ არა ისინი რაიმე განსხვავებულ ჯგუფს, თუ ჩვეულებრივი მებეგრე გლეხები არიან?

არაფერია ასევე ნათქვამი ნამზითე, ნასისნლ, ნაწყალობეც (რომელიც ავტორს მკვიდრ გლეხად მიიჩნია (გვ. 67)<sup>45</sup> და გლეხთა სხვა ტიპების შესახებ. თავსდებიან თუ არა ისინი ავტორის მიერ შემოთავაზებული სქემის რომელიმე ჯგუფში (ან ქვეჯგუფში) თუ ამ სქემის გარეშე რჩებიან?

არაფერია ნათქვამი ნაშრომში არც იმის შესახებ თუ რატომ იღებს ავტორი ქრონოლოგიურ ჩარჩოდ XVII—XVIII სს. არაფერია ნათქვამი აგრეთვე არც იმის შესახებ ორი საუკუნის მანძილზე XVII—XVIII სს. სურათი უცვლელი, სტატიკური იყო თუ ჰქონდა ადგილი რაიმე კონკრეტულ ცვლილებებს. ამა თუ იმ გლეხის ტიპის განვითარებაში.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას რომ გლეხთა კატეგორიების მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში დაიგვიანა. დღეისათვის ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი გვიანი საუკუნეების სოციალური ტერმინოლოგია. ურთიერთობა ტერმინებსა და შინაარს შორის. შესწავლილი არაა ამა თუ იმ კატეგორიის გლეხის ეკონომიური სახე, მეურნეობა, ეკონომიური შესაძლებლობანი; თითოეული გლეხის საქმიანობა, მისი უფლებრივი მდგომარეობა.

შესწავლილი არაა გლეხთა სპეციფიკა მხარეების მიხედვით: ქიზიყი და დანარჩენი კახეთი; შიდა და ქვემო ქართლი; ქართლისა და ჭახეთის მთიანეთი და ა. შ.

სათანადოდ არაა შესწავლილი გვიანი საუკუნეების გლეხები ეკონომიური პრინციპის მიხედვით: „კაი ყმა“, „კარგი გლეხი“, „დიდნი გლეხნი—დიდისა მქონებელნი“, „შუათანა გლეხი“, „მცირე გლეხი“, „დაბალი გლეხი“ და ა. შ. არ ვიცით რის შემძლებელია „წინა კაცი“, „შუა კაცი“ და „ბოლოს კაცი“, რომელთა გამოსაღებები ლიტრობითაა განსაზღვრული“.

<sup>44</sup> ისტ. ინსტ. შრომები, V, ნაკვ. I, გვ. 89. რადგან სიტყვამ მოიტანა და შემთხვევით მოგვეცა, გვინდა შევასწოროთ ედ. ხოშტარიას მიერ დაშვებული უზუსტობა (იქვე სქოლიოში). ედ. ხოშტარიას სიტყვით, თითქოს „საბას განმარტებით „ბოგანო“ უფნაზო გლეხს ნიშნავს (იხ. ლექსიკონი). ასევე განიხილავს ბოგანოს ვაზტანგის სამართალი“. სამწუხაროდ, ავტორს საბას ლექსიკონში ბოგანოს განმარტება არ შეუმოწმებია. საბას განმარტებით ბოგანო უფნაზო გლეხი კი არ არის, არამედ „უჯარაკო გლეხია“. ხოლო აჯარაკი საბასვე განმარტებით იქვე არს ადგილი საყანური, გინა სავნაჟე, გინა დაბა (სადგური სახაფხულო)“.

<sup>45</sup> ავტორი ფიქრობს, რომ ნაწყალობევის გაყიდვისა და განსხვავების უფლება ისევე აქვს პატრონს, როგორც მკვიდრა გლეხისა (გვ. 67). ფეოდალიზმის პირობებში ბოძება-წყალობა საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. ამავე დროს ამ საკუთრებაზე უფლება რეგლამენტირებულია. ამიტომ ნაწყალობევი გლეხი უფლებრივად არ შეიძლება მკვიდრი გლეხის თანაბარი იყოს.





# საქართველოს არქეოლოგიის უნივერსალური პირობა

ა. ავაქიძე

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის  
სახ. ისტორიის ინსტიტუტმა)

უკანასკნელ ხანებში საგრძობლად დაწინაურდა საქართველოს არქეოლოგიის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლა და, შესაბამისად, გაფართოვდა ჩვენი ცოდნა ამ მიმართულებით. ეს პირველ რიგში ძველი მელითონეობის, კერძოდ, რკინის წარმოების—რკინის უძველესი მეტალურგიის საკითხებს შეეხება. ამ უკანასკნელთან კი დაკავშირებულია ძველი, ადრე დაწინაურებული ქვეყნების კულტურისა და სოციალ-ეკონომიური განვითარების ახალი საფეხური — რკინის მახვილის, რკინის ცულისა და რკინის სახნისის ეპოქა.

ბრინჯაოს მეტალურგიის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორც საქართველო, ძვ. წ. II ათასეულის შუა ხანებისათვის სოციალური ცხოვრება ისე განვითარებული ჩანს, რომ უკვე მკაფიოდ შეიმჩნევა სოციალ-ეკონომიური დიფერენციაციის ღრმა პროცესი, მაგრამ ბრინჯაოს იარაღმა ვერ უზრუნველყო ამ პროცესის დასრულების დაჩქარება. ძლიერ განვითარებული ბრინჯაოს მეტალურგიის შესაბამისმა სოციალ-ეკონომიურმა ცხოვრებამ მიიყვანა საზოგადოება რკინის აღმოჩენამდე; რკინის აღმოჩენა კი, სახელდობრ რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღის გაკეთება—მისი უპირატესობის მიგნება, ვანდა საფუძველი ძველი სოციალ-ეკონომიური წყობის ინტენსიური რღვევისა, რამაც რკინის ფართო ათვისების ხანისათვის დაასრულა სოციალური რევოლუცია—მიიყვანა საზოგადოება კლასებად დიფერენცირებულ წყობამდე. ამ ხანას უკავშირდება საქართველოში საქალაქო ცხოვრების ჩასახვის პროცესიც, ვითარდება საქალაქო ნეკროსობა და ვაჭრობა, თავს იჩენს გვიანბრინჯაოსა და რკინის ათვისების ხანის მსხვილ სამოსახლოთა გაერთიანების პროცესი.

სხვა რომ არათფერი ითქვას, უკვე ზემოთ აღნიშნულიც, ჩვენი აზრით, საქმოდ ცხადსა ხდის რკინის აღმოჩენის დიდ მნიშვნელობას. საკითხის ასეთი მნიშვნელობის გამო, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს რკინის ძველი მეტალურგიის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ყოველი გამოკვლევა, მით უფრო თუ ის ახლად აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს ეყრდნობა. სწორედ ამ მხრივ გამოირჩევა რ. აბრამიშვილის ნაშრომი, მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოში რკინის ათვისების საკითხებისადმი<sup>1</sup>.

ნაშრომში განსახილველი საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სირთულის გამო ამ პრობლემის კვლევა არ შეიძლება იყოს შემოფარგლული ერთი ქვეყნის და, მით უმეტეს, ერთი ავტორის ინტერესებით. წარმოდგენილი

<sup>1</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV-VI სს.) აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მეზღუდის მოამბე, ტ. XXII-B, თბ., 1961, გვ. 293-382 + ოცი ტაბულა.

ნაშრომის საერთო გაცნობაც ცხადსა ხდის, რომ ავტორის მიერ დაყენებული საკითხების მეტ-ნაკლებად წარმატებით გაშუქებისათვის საჭირო გამხდარა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, ამიერკავკასიის და, საერთოდ, კავკასიის; არამედ მანკობელი აღმოსავლეთის, წინა აზიისა და, სერთოდ, ძველი აღმოსავლეთის მიწა-წყალზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა მოშველება. შესაბამისად, რ. აბრამიშვილის მიერ მიღებულ დასკვნებს ძალა და მნიშვნელობა ეძლევა, თუ შეიძლება ასე გამოითქვას; საერთაშორისო მასშტაბით. ასე იდგა რკინის მეტალურგიის საწყისების კვლევის საკითხი ძველადაც და, ჩვენი აზრით, ავტორი პრინციპულად მართალია საკვლევი საკითხის ასე ფართოდ განხილვისას. სხვაგვარ მიდგომას, ე. ი. უფრო ვიწრო ფარგლებს თითქოს ვერც ითმენს ეს პრობლემა. შესაძლოა ამაშიც იჩენდეს თავს უძველესი ქართული მელითონეობის განვითარების თავისებური გზები.

ავტორს კარგად აქვს წარმოდგენილი პრობლემის სირთულეცა და მნიშვნელობაც. ეს რომ უფრო მკაფიოდ წარმოვიდგინოთ, შეიძლება შევიხსენოთ ავტორის სიტყვები: „საქართველოში რკინის ათვისების საკითხი არც ერთ არქეოლოგს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია“; ე. ი. მთელი სიმძიმე განსახილველ ნაშრომზე მოდის და ავტორი ცდილობს შეავსოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების ეს თვალსაჩინო ხარვეზი. შესაძლოა მკითხველმა არ გაიზიაროს ავტორის ყველა დასკვნა და მოსაზრება; შესაძლოა ყველა დებულება ერთნაირად დამაჯერებელი ჯერჯერობით მაინც არ იყოს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს ნაშრომის საერთო მნიშვნელობას.

ავტორის წარმატება სავესებით კანონზომიერია. ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა და, მათ შორის განსახილველი ნაშრომის ავტორი, დიდად უნდა უმადლოდეს მცხეთასა და მის მიდამოებში უკვე მეოთხედი საუკუნის მანძილზე მომუშავე არქეოლოგებს, რომელთაც თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და გიორგი ნიორაძე ხელმძღვანელობდნენ; თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების მონაწილეებს, რომლებიც პროფესორ ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ მდ. ქციის ხრამზე, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. თუ არა უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, აღმოჩენილი ქართული კულტურის ორ უდიდეს კერაში—მცხეთასა და თრიალეთში, რკინის მეტალურგიის საწყისების ძიება, ისევე, როგორც ბევრი არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემის გაშუქება, შეუძლებელი იქნებოდა. აღვნიშნავთ ამას წინამდებარე რეცენზიაში მხოლოდ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, საკითხის ისტორიოგრაფიის გადმოცემისას ავტორი მკაფიოდ არაფერს ამბობს კვლევისას საყრდენი მასალის აღმოჩენის ისტორიის შესახებ.

ამრიგად, რკინის წარმოების სათავეების ძიებისას ავტორის მიერ მოპოვებულ წარმატებაში თვალსაჩინო წვლილია ქართველ არქეოლოგთა დიდი კოლექტივისა. იმიტომ სარეცენზიო ნაშრომის წარმატება ქართული არქეოლოგიის მიღწევების მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.

მიუხედავად საყურადღებო დასკვნებისა, პრობლემის მნიშვნელობა და ავტორის დამოკიდებულება ამ რთული პრობლემის მიმართ საფუძველს ქმნიან, განსახილველი ნაშრომის შესახებ რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ:

შენიშვნას იწვევს საკითხის კვლევის გზა. ავტორი ეყრდნობა სამარხეულ-კომპლექსებიდან მომდინარე რკინის ნაწარმს. ჩვენი აზრით, რკინის ათვისების საკითხის კვლევისას საყრდენს, თითქმის ერთადერთ მასალას, არ შეიძლება სამარხეულ კომპლექსებში შემავალი რკინის ნაწარმი წარმოადგენდეს. საკითხის

შესწავლის ძირითადი მიმართულება საკუთრივ რკინის წარმოების კვლევის ხაზით უნდა მიდიოდეს. კვლევის გარკვეულ საფეხურამდე მაინც, ე. ი. პრინციპული მნიშვნელობის საკითხების საკუთრივ რკინის წარმოების მანიშნებელ ძეგლთა მოშველებით გაშუქებამდე, სამარხეული ძეგლები დამხმარე მასალას წარმოადგენენ. ვიდრე არ შესწავლილა ჩვენთვის ახლა საინტერესო ხანის (თუნდაც ძვ. წ. XIV ს.) რკინის წარმოების მაჩვენებელი ძეგლები, რკინისქვის გამოყენებები და რკინის გამოსაწური სახელოსნოების ნაშთები; არ განხორციელებულა ძვ. წ. მეორე ათასეულის II ნახევრის ნამოსახლართა ძიება და გათხრა, უძველესი რკინის საწარმოდან მომდინარე რკინის ნივთების ქიმიური, მეტალოგრაფიული და ტექნოლოგიური შესწავლა და არ გამოყენებულა მაქსიმალურად ასეთი შესწავლის შედეგები, არ შეიძლება მარჯვე და დამაჯერებელი იყოს სამარხეულ ძეგლთა საფუძველზე მიღებული დასკვნები.

ცხადია, რომ აქ ჩამოთვლილ საკითხთა კვლევა არ არის ერთი ნაშრომის ან ერთი სპეციალისტის საქმე და ყველაფერ ამას ჩვენ სარეცენზიო ნაშრომს ვერ მოვთხოვთ. საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ კვლევის წარმართვა, ჩვენი აზრით, პირველ რიგში ამ გზით იყო საჭირო. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, თუნდაც მცირე წვლილი შეეტანა ავტორს საკუთრივ რკინის წარმოების საწყისების ძიებაში ჩვენ მიერ შემოთავაზებული გზით.

ასეთი გზით კვლევის საჭიროება იგრძნობა იმიტომაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილიდან (მესხეთ-ჯავახეთი, კახეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი) ცოტა რამ არის მეცნიერული ძიების შედეგად მოპოვებული. კახეთში აღმოჩენილ, თავისთავად მცირე მასალას, ავტორი რკინის ათვისების საკითხის კვლევისას ვერ იყენებს, რადგან მასალა შემთხვევით არის აღმოჩენილი. ავტორის განკარგულებაში რჩება სამთავროს და ქვემო ქართლის მასალები. ამ მასალების საფუძველზე არ შეიძლება საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში რკინის ათვისების საკითხები გადაიჭრას იმის გამო, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში რკინის წარმოება ერთი ტემპით არ ვითარდებოდა, რის გამოც სამთავროს და ქვემოქართლის მასალებზე დაყრდნობით გამოყოფილი რკინის წარმოების საფეხურები და მათთვის დადგენილი აბსოლუტური თარიღები მთელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის პირობითია. უფრო მეტიც, სამთავროს მასალების მიხედვით მიღებული რკინის წარმოების საფეხურები და მათი აბსოლუტური თარიღები ზოგიერთ შემთხვევაში პირობითია საქართველოს სამხრეთ რაიონებისათვის“ (გვ. 292—293).

ამრიგად, საკითხის წარმატებულ კვლევას ნაშრომში განხილული მასალები აძნელებენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სამარხეულ კოპლექსთაგან მომდინარეობენ, არამედ იმიტომაც, რომ ცალკეულ კულტურულ კერათა თავისებურებებსაც გამოხატავენ. ეს გარემოებაც, ჩვენი აზრით, საკუთრივ რკინის წარმოების ძიების საკითხს აყენებს. ვიდრე ეს არ გაკეთებულა, პირობითობის ფარგლებში ვრჩებით, ე. ი. საკითხი მეცნიერული საბუთიანობით დამაჯერებლად გადაჭრილი ვერ იქნება.

ახლა იმის შესახებ, რაც წარმოდგენილ ნაშრომშია გამოყენებული რკინის ათვისების საკითხის გადასაჭრელად ძვ. წ. XIV საუკუნისათვის. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ საყრდენს წარმოადგენს სამთავროს და ქვემო ქართლის მასალები. სამთავროს მასალა გამოირჩევა მეცნიერული დოკუმენტაციით, კარგად არის განსაზღვრული და შესწავლილი, პირველ რიგში, გამთხრელის ალექსანდრე კალანდაძის მიერ და, ბუნებრივია, სანდოა, საიმედო საყრდენია





კვლევისათვის. ქვემო ქართლის მასალებში, ავტორის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია მდ. ბაიბურთის მარჯვენა ნაპირზე შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, რომლის ნაწილი ინჟ. ვ. ჩავულოვმა გადასცა საქართველოს მუზეუმის წარმომადგენელს. ესაა ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევრის პირი, შუბისპირი, თავხვია საკინძი და ბრინჯაოსტარაიანი რკინის მახვილის ნაწილი—საკუთრივ ბრინჯაოს ტარი, რომელსაც შერჩენილი აქვს მცირე ფრაგმენტი რკინის პირისა. სხვა ნივთები, სახელდობრ: შავად გამომწვარი ორნამენტირებული თიხის ჯამი, ქვის მძივები, სპილენძის წვრილი ნივთები, დიდი ზომის შავად გამომწვარი ორი უყურო და სადა ქილა; ბრინჯაოს ორკილოგრამიანი საწონის მსგავსი ორნამენტირებული ნივთი და 8 სმ სიგანის ორნამენტირებული ბრინჯაოს საარტყელი, როგორც ავტორი აღნიშნავს, ვ. ჩავულოვს დაუკარგავს (შდრ. გვ. 307).

არა გვაქვს საფუძველი ასე დაუძვევებლად ვენდოთ ვ. ჩავულოვის მონათხრობს და ყველაფერი ეს ერთ კომპლექსად მივიჩნიოთ. განა სანდოა მონათხრობი ისეთი პიროსა, რომელმაც უდიდესი და, ჩვენი აზრით, დამათარიღებელ ნივთთა უმნიშვნელოვანესი ნაწილი (კერამიკა, ბრინჯაოს საარტყელი, ლაბტის-თავი და სხვ.) უყურადღებოდ გაფანტა და დაკარგა. როგორც ვხედავთ, საექვო ჩანს ქვემო ქართლის მასალა, რომელსაც ეყრდნობა ავტორი და მისი უმთავრესი, დასკვნა, რომლის თანახმად „ყველაზე ადრე რკინის წარმოება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ჩაისახა. ბეშთაშენის სამაროვნის მასალების მიხედვით ამ ტერიტორიაზე უძველესი რკინის ნივთი ძვ. წ. XIV ს. თარიღდება“ (გვ. 348). შესაბამისად, არ ჩანს საფუძვლიანი ავტორის დასკვნა: „ჩავულოვისეული სატევარი მთელ მსფლიოში უძველესი იარაღია, რომელიც ცემენტაციის საშუალებით არის დაფოლადებული“ (გვ. 375).

ერთი სიტყვით, საკმარისია დავეჭვდეთ ინფორმაციის სიზუსტეში და ავტორის უმნიშვნელოვანეს დასკვნას საფუძველი გამოეცლება. აღმოჩენის შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას საცდელი გათხრა უნდა მოყოლოდა, მით უმეტეს, რომ ავტორი ამ მასალას უმნიშვნელოვანეს დებულებათა დასამტკიცებლად იყენებს.

შემთხვევით აღმოჩენილ მასალასთან ფრთხილი დამოკიდებულების აუცილებლობა ავტორმა კარგად ცივს საკუთარი გამოცდილებითაც. ადრე, როგორც თვითონვე წერს, სოფ. შილდის მასალას ავტორი უძველესი რკინის ნივთების შემცველ ძეგლებში აქცევდა, მაგრამ „შილდის კოლექციის აღმოჩენი ი. ჩახტაურთან პირადი საუბრის შემდეგ გამოირკვა, რომ შილდის კოლექციაში შემავალი რკინის მინიატურული წალდი ბრინჯაოს ე. წ. შედგენილტარიან კახურ სატევართან ერთად არ ყოფილა აღმოჩენილი და ამდენად რკინის ათვისების ადრეულ საფეხურს არ მიეკუთვნება“ (გვ. 319).

თი, რა შეიძლება მოყვეს ინფორმატორთა მასალის შეუმოწმებელ მიღებას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კულტურის ისტორიის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა წყდება და, თანაც, არა მხოლოდ საქართველოს ან კავკასიის მასშტაბით.

შენიშვნას იწვევს ბეშთაშენთან, მდ. ბაიბურთის მარჯვენა ნაპირზე შემთხვევით აღმოჩენილი „კომპლექსის“ დათარიღებაც. ბეშთაშენის ბრინჯაოსტარაიანი რკინის მახვილი თუ სტევარი „დამათარიღებლად არ გამოდგება, რადგან იგი თავისი ფორმით სრულიად ორიგინალურია და მსგავსებას არ პოულობს ამიერკავკასიაში ან მის გარეთ აღმოჩენილ სხვა სატევრებთან“ (გვ. 308). უმნიშვნელოვანესი ამოცანა განსახილველი გამოკვლევისა სწორედ ამ იარაღის დათარიღებაა.

სამისოდ ავტორი იყენებს ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევრის პირს, მასრაგახსნილ შუბისპირსა და თავხვია საკინძს. ამ „კომპლექსის“ ფოთლისებრი სატევრის პირი სამთავრული ვარიანტისაა. სამთავრული ფოთლისებრი სატევრის პირთა დასათარიღებლად საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ალ. კალანდაძეს, გ. ლომთათიძეს, ტ. ჩუბინიშვილსა და სხვებს, მაგრამ იმისათვის, რომ ეს იარაღი (და მასთან ერთად მასრაგახსნილი შუბისპირი და თავხვია საკინძი) ბეშთაშენის რკინისპირიანი იარაღის ძვ. წ. XIV საუკუნით დასათარიღებლად გამოვიყენოთ, საჭიროა დავამტკიცოთ, რომ ფოთლისებრი სატევრის პირის სამთავრული ვარიანტი ძვ. წ. XIV საუკუნისაა და, ამასთანავე, მივაღოთ, რომ სწორედ ძვ. წ. XIV საუკუნეა ამ იარაღის გავრცელების *terminus post quem non*.

ის გარემოება, რომ ეს დამათარიღებელი ნივთები სამთავროში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ კომპლექსებშია ნაპოვნი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მითითებული ტიპის იარაღები ძვ. წ. XIV ს. შემდეგ აღარ გვხვდება.

ბეშთაშენის ბრინჯაოსტარიანი მახვილის ფრაგმენტი, მართალია, უნიკალურად გამოიყენება, მაგრამ მინც გვაკონებს მგ. კუშჩის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ მახვილს<sup>2</sup>, რომელსაც მხრებს ქვემოთ ირგვლივ ღარები გადაუყვება, თითქმის ისევე, როგორც ბეშთაშენისას; ტარიც ოთხწახანავოვანი აქვს, ოღონდ განსხვავებულად დაგებული. სხვა ნაწილები (ტარისთავი, რკინისპირი) ბეშთაშენისას არ შერჩენია და შედარების საფუძველი არა გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ იარაღთა სრულ ერთიანობას არ ვაღიარებთ, მაგრამ არსებითად ერთი ტიპის ჩანან ისინი და ამის გამო, მოველოდით, რომ ავტორი მეტ ანგარიშს გაუწევდა თრიალეთიდან (მათ შორის საკუთრივ ბეშთაშენიდან) მომდინარე მასალებს და იმ გარემოებასაც, რომ მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ჩნდება სამთავროში ბრინჯაოს ტარიანი რკინის მახვილები. ოთხსაუკუნოვან ჩამორჩენას სარეცენზიო ნაშრომის ავტორიც კი არ სცნობს შესაძლებლად.

ამ იარაღის დათარიღებისას მეტი ანგარიში უნდა გავწიოს მეტალოგრაფიული შესწავლის შედეგებს. ავტორს მოაქვს მასალა, რომლის თანახმად ბეშთაშენის ამ მახვილის პირი ცემენტაციის წესით არის დაფოლადებული. თუ ეს იარაღი ძვ. წ. XIV საუკუნისაა და, თანაც, დაფოლადებულია, მაშინ ადრეული რკინის ხანის საწყისები, ქვემო ქართლში მაინც, უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ. ცემენტაციის წესით დაფოლადება მაჩვენებელია უკვე შესამჩნევად განვითარებული წარმოებისა და არ უნდა იყოს დამახასიათებელი რკინის აღმოჩენის პირველი დღეებისათვის, საწყისი საფეხურისათვის. ეს გარემოებაც უშლის ხელს, ჩვენი აზრით, ბეშთაშენის მახვილის აქ შემოთავაზებული დათარიღების გაზიარებას.

სარეცენზიო ნაშრომში შემოთავაზებული თარიღის გადასინჯვის საჭიროებას გვიჩვენებს ბეშთაშენის შემთხვევითი „კომპლექსის“ აღმოჩენის ვითარების გათვალისწინებაც. განსახილველი მასალა ქვისსამარხში და, თანაც, „იმავე სამაროვანზეა აღმოჩენილი, სადაც 1938—1939 წლებში გათხრებს აწარმოებდა პროფ. ბ. კუფტინი“ (გვ. 307). პროფ. ბ. კუფტინს კი აღნიშნული აქვს, რომ გვიანბრინჯაოს და რკინის პირველი გამოჩენის ხანას მიეკუთვნება ბეშთაშენის სამაროვანზე გათხრილ სამარხთა ორი ტიპი: ქვისსამარხები და ორმოსამარხები. კუფტინის დაკვირვებით: «Их хронологическое взаимоотношение довольно ясно. Ящичные погребения возникли видимо на существовавшем более

<sup>2</sup> Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 62, სურ. 59,1.

древнем могильнике с грунтовыми погребениями. Однако ящичные погребения... не повторяют полностью инвентаря уже рассмотренных выше могильников, не содержат столь характерных для последних белых тальковых бус «домино» и в некоторых отношениях являются как бы переходными от древних грунтовых погребений к другим триалетским могильникам ванской эпохи<sup>3</sup>.

ამრიგად, გამთხრელის—პროფ. ბ. კუფტინის შეხედულებით 1938—1939 წლებში ბეშთაშენში გათხრილი ქვისსამარხები უფრო გვიანდელია, ვიდრე იქვე გათხრილი ორმოსამარხები. თითქოს უფრო ბუნებრივი უნდა იყოს შემთხვევით აღმოჩენილი ქვისსამარხიცა და ჩვენამდე მოღწეული ნივთებიც ქრონოლოგიურად ბ. კუფტინის მიერ გათხრილ ქვისსამარხებს დაუკავშიროთ. ყოველ შემთხვევაში, ბეშთაშენში შემთხვევით აღმოჩენილი ქვისსამარხის ინვენტარის ძვ. წ. XIV ს-ით დათარიღებამდე სარეცენზიო ნაშრომის ავტორს უნდა დამკვირვებლად ეჩვენებინა პროფ. ვ. კუფტინის დაკვირვების გადასინჯვის აუცილებლობა. ვიდრე ეს არ გაუკეთებია სარეცენზიო ნაშრომის ავტორს, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს უარყოფით პროფ. ბ. კუფტინის დასკვნა. ამ შემთხვევაშიც იგრძნობა საჭიროება საკონტროლო გათხრებისა ბეშთაშენის სამაროვანზე.

არ არის დასაბუთებული და, ამასთანავე, დამკვირვებელი შიდა ქართლის ჩამორჩენა ქვემო ქართლთან შედარებით 2—3 საუკუნით. ავტორს არ უჩვენებია და არ გამოუქვეყნებია არქეოლოგიური მასალები ქვემო ქართლის უძველეს მეტალურგიულ ტრადიციათა შესახებ; არ უჩვენებია საკუთრივ, რკინის წარმოების მაჩვენებელი ძეგლები და არ აუხსნია ისიც, თუ რატომ უნდა ჩამორჩენილიყო სამთავრო და, საერთოდ, შიდა ქართლი, ქვემო ქართლს 2—3 საუკუნით მაინც. რა თქმა უნდა, ქვემო ქართლის დაწინაურებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მადნეულთა მდიდარ საბადოებს, მაგრამ ჯერ უნდა გამოირკვეს, რომ რკინის საბადო ქვემო ქართლში ძვ. წ. XIV ს. უფრო ადრეც მუშავდებოდა.

სარეცენზიო ნაშრომი ეხება ისეთ ხანას, როდესაც ძველი მელითონობა უალრესად განვითარებულია—ბრინჯაოს წარმოება კლასიკურ ნიმუშებს იძლევა; დიდი ხანია სამთო სამუშაოებს—მადნის მოპოვებას დაწორდა საკუთრივ მელითონობა, სპილენძის ზოდები მოედო ბარს და მეტალურგიით სახელგანთქმულნი ხდებოდა მადნეულის ბაზის დაწორებული მოსახლობანი. ასეთი ტრადიცია დახვედა რკინის აღმოჩენას საქართველოშიც. ასეთს ვითარებაში მადნეულ ბაზას სრულიადაც არ ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა და არ არის სავალდებულო ამ ბაზასთან სრულდებოდეს მთელი ციკლი მელითონობისა მადნის მოპოვებიდან იარაღ-სამკაულის დამზადებამდე. თუნდაც ამის გამო არ შეიძლება ძვ. წ. II ათასეულის II ნახევარში შიდა ქართლი, მისი მტკვრისპირა ზოლი მაინც და, განსაკუთრებით მტკვარ-არაგვის წყალშესაყარი, 2—3 საუკუნით ჩამორჩენოდა ქვემო ქართლს. ქვემო და შიდა ქართლი ზომ ჯერ კიდევ სპილენძის და ადრებრინჯაოს ხანაში იყვნენ ძლიერ ახლო კულტურულ ურთიერთობაში. ტერიტორიული სიახლოვე და მოხერხებული გადასასვლელები („ცხვრის გზები“) ამ ურთიერთობის ხელისშემწყობი ფაქტორებია. მსგავსი არტერიები დიდი აკაკასიონის ჩრდილოეთი და სამხრეთი კალთების მოსახლეობას მჭიდროდ აკავშირებდა ერთმეორესთან ბრინჯაოს ხანაში მაინც და რა განსაკუთრებული გი-

<sup>3</sup> В. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 65.



თარება უნდა შექმნილიყო მცხეთასა და ბოლნისის შორის ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის?

დასაბუთებას საჭიროებს მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის ფართო ათვისების I საფეხურზე (ე. ი. ავტორის მიხედვით XII—VIII საუკუნეებში) ბრინჯაოს იარაღი იშვიათი გამოჩენის სახითაა წარმოდგენილი, რადგან თურმე ამ საუკუნეებში რკინამ განდევნა ბრინჯაოს იარაღი (გვ. 375). ეს დასკვნა არ გამომდინარეობს აღმოჩენილ ძეგლთა შესწავლიდან. სწორედ ამ ხანის ბრინჯაოს იარაღი გამოირჩევა სიმრავლითა და ნაირსახეობით, უფრო ადრე ხომ სამთავროში სულაც არა ჩანს ბრინჯაოს სამეურნეო იარაღი.

უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო საუბარი ძეგლთა ხნოვნების შესახებ. ასეთი სურვილი იბადება, კერძოდ, ხოვლეგორის VII ფენის ვერძისთავიან ოთახის მიმართ. ერთგან ამ ოთახის დანგრევის თარიღად (ეს ზედა საზღვარი გამოდის) XII ს. მიჩნეული (გვ. 327), მეორეგან ეს ფენა რკინის ფართო ათვისების I საფეხურს მიეკუთვნება (მტკვრის ხეობისათვის, შიდაქართლის ფარგლებში მაინც, ავტორის მიხედვით ეს X—IX საუკუნეებია) და მესამე ადგილას—კვლავ XII საუკუნით თარიღდება (გვ. 364).

მეტე ვარკვეულობა იყო საჭირო ავტორის მოსაზრებათა გასამაგარებლად წყაროთა და ლიტერატურის მითითებისას, ასე მაგ., იმის დასაბუთებლად, რომ ქვემო ქართლში გვიანბრინჯაოს ხანამ მოკლე ხანი იარსება და რკინის ხანაში ქვემო ქართლში მკიდრო დასახლება წარმოიშვა, დასახლებულია ეპიდემოგანის *Mission scientifique au Caucase*, ტ. I, გვ. 44-75. ამ ნაწილში მორგანს განხილული აქვს შაითან-დაღის, ახტალას, უთ-ქილისას და მუსიერის სამაროვანები. ეს არ არის ის ქვემო ქართლი, რომლის შესახებ სარეცენზიო ნაშრომშია საუბარი. ასევე, 308-ე გვერდზე მითითებულია გ. ლომთათიძის საკანდიდატო ნაშრომი თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ გ. ლომთათიძე მასრაგახსნილ შუბისპირს და თავხვია საკინძს, მაინცდამაინც, ძვ. წ. XV—XIV საუკუნეებით თარიღებდეს. ნამდვილად კი გ. ლომთათიძის ნაშრომის მითითებულ გვერდებზე (გვ. 75—76) მოცემულია სატევარ-მახვილთა ტოპოლოგიური კლასიფიკაციის სქემა და განხილულია ნაშრომებში გამოყენებული ტერმინები (გვ. 76—82 და სხვ.).

ავტორის მოსაზრებანი ყოველთვის მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, რის გამოც შეიძლება არა სწორი შთაბეჭდილება დარჩეს მკითხველს. ასე მაგ., 294-ე გვერდზე ავტორის მსჯელობა შეიძლება ისე გავიგოთ, რომ მან პირველმა გამოყო ე. წ. ადრეული რკინის ხანა და რკინის ფართო ათვისების ხანა. ჩვენი აზრით, უმჯობესი იყო მას მკაფიოდ ეთქვა, რომ ამ, საერთოდ ცნობილ პერიოდისათვის ის იყენებს და განვითარებულ რკინის ხანაში ან რკინის ფართო ათვისების ხანაში გამოყოფს სამ საფეხურს. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, უფრო მკაფიოდ უნდა თქმულიყო, რომ მოცემულ პერიოდისათვის გარკვეული ნაწილი წინაპრებს ეკუთვნით და გარკვეული ნაწილი კი სარეცენზიო ნაშრომის ავტორს.

ასევე, უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო მოთხრობილი ისტორია იმისა, თუ როგორ, როდის და ვინ დაადგინა, რომ ადრეული რკინის ხანის რკინის ნივთები ნაკეთებია ადგილობრივი ბრინჯაოს ნივთების მიხედვით. ამის შესახებ უფრო ვრცელი და მკაფიო საუბარი იყო საჭირო.



ნაშრომის სულ ორ გვერდზე განხილულია რ. ვირხოვის, ე. შანტრის და ე. დე-მორგანის მოსაზრებანი ამ საკითხზე. რ. აბრამიშვილი მიუთითებს, რომ „ზემონსენებულ ავტორთა მოსაზრებები სადღეისოდ სრულიად მიუღებელია. ამგვარ საკითხთა კვლევისათვის იმ დროს საკმარისი ფაქტიური მასალაც კი არ არსებობდა. მათი შეხედულებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება არა ერთ-საბჭოთა მკვლევარის ნაშრომშია მოცემული“ (გვ. 297). ავტორს გამოკვლევის ამ ნაწილში არაფერი აქვს ნათქვამი პროფ. გ. ნიორაძის, ვ. ლომთათიძის, ალ. კალანდაძის და სხვ. ნაშრომების შესახებ. საკითხის ისტორიის უფრო სრული და ვრცელი გადმოცემა იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ ავტორის აზრით, „საქართველოში რკინის ათვისების საკითხი არც ერთ არქეოლოგს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუზნდია“ (გვ. 307). თუ ეს ასეა, ვინც სპეციალურად და, თანაც, პირველად იხილავს საკითხს იმან უნდა საკითხის ისტორიაც უფრო ვრცლად წარმოადგინოს.

სასურველი იყო ავტორს შეერბილებინა ზოგიერთი ადგილი, სადაც სხვა ავტორებს აფასებს. ასეთებად მე მეჩვენება მაგალითად შემდეგი: „კომპლექსს ს. მაკალათია სრულიად უსაფუძვლოდ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით ათარიღებს“ (გვ. 327); „პროფ. ბ. კუფტინი ბეშთაშენის სამაროვნის ორმოსამარხებში აღმოჩენილი რკინის ნივთების არსებობის ფაქტს კიდევ უფრო მეტად უყურადღებოდ ეკიდება თავის ქართულ და ინგლისურ რეზუმეებში“ (გვ. 316) და ა. შ. ავტორის ტონი მკაცრი ჩანს უფრო იმიტომ, რომ ის ზუსტიც არ არის.

ჩვენი აზრით, პროფ. ბ. კუფტინის ნაშრომში სხვა შეხედულება გამოთქმული. ქართულ რეზუმეში ბ. კუფტინს უწერია, რომ „უფრო ძველია ბეშთაშენის სასაფლაო, რომლის ღრმად ჩათხრილი ნიადაგისეული სამარხები სრულიად არ შეიცავენ რკინის ნივთებს“. იგივეა ნათქვამი ინგლისურ რეზუმეშიაც. იქ საუბარია „ღრმად ჩათხრილ ორმოსამარხთა“ შესებებ („deep grounded tombs“)<sup>4</sup>; ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ „ღრმად ჩათხრილი ორმოსამარხები“ გულისხმობს ორმოსამარხთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს—სახელდობრ, სხვებთან შედარებით უფრო ღრმად ჩათხრილ სამარხებს. სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო „კიდევ უფრო მეტად უყურადღებოდ მოკიდებოდა“ რკინის ნივთების აღმოჩენას ბ. კუფტინი, რომელიც თავისი ნაშრომის 67-ე გვერდზე საგანგებოდ ჩერდება რკინის ნივთების შემცველ ორმოსამარხთა საკითხზე და დაწვრილებით აქვეყნებს მათ ინვენტარს (ცდრ. ტაბ. XLVII, XLIX). ერთ ისიცყვი, ბ. კუფტინი ყველაფერს ისე დაწვრილებით არ განიხილავს და არ აქვეყნებს, როგორც ეს სარეცენზიო ნაშრომის ავტორს სურს, მაგრამ საველე ჩანაწერებსა და თავის ცნობილ ნაშრომში გამოთხრელს ორმოსამარხებში რკინის ნივთების აღმოჩენის ფაქტი აღნუსხული აქვს და საკმაოდ მკაფიოდაც.

ანალოგიურ შენიშვნას იმსახურებს სარეცენზიო ნაშრომის ადგილები, სადაც ავტორი აცხადებს, რომ პროფ. ბ. პიოტროვსკი ძეგლთა ერთ ჯგუფს „სრულიად უსაფუძვლოდ“ ათარიღებს; „პროფ. ბ. კუფტინის მოსაზრება... საფუძველს მოკლებულია“; ე. შანტრისა და ე. დე-მორგანის მოსაზრებები „სრულიად მიუღებელია“ და ა. შ. ასეთი კვალიფიკაციები თავისი ფორმითაც მიუღებელია და, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებელიცაა.

<sup>4</sup> Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 141 და 159.



სამუშაოდ, ასე დიდად მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომში გვხვდება ბევრი უზებრხული გამოთქმა, უცნაური შემოკლება. შეცდომა, ბუნდოვანი—ძნელი გასაგები ადგილი, უზუსტობა და გაუმართლებელი ტერმინი. უხვი კორექტურული შეცდომები სურათს კიდევ უფრო ამძიმებს.

დასასრულს გვინდა შევეხოთ ნაშრომის შესავალ ნაწილს, სადაც სხვათა შორის მოტანილია ცნობილი უცხოელი სპეციალისტების: კლ. შეფერის, რ. ფორბსის, გ. ჩაილდის, ჰ. ქვირინგის და სხვათა მოსაზრებანი რკინის აღმოჩენის, მისი ათვისების პირვანდელ კერათა შესახებ. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, ბუნებრივია, იმოწმებს ჩამოთვლილ მეცნიერებს, რომელთაც სხვადასხვა დროს გამოუთქვამთ მოსაზრებანი ამიერკავკასიის და ზოგს თითქოს საკუთრივ ქვემო ქართლის სასარგებლოდ. მართალია, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი აქ მთლად ზუსტი არ არის, მაგრამ მთავარი მაინც იმის შეფასება იყო, თუ რა საფუძველზე ამტკიცებენ თავიანთ მოსაზრებას ზემოდჩამოთვლილი ავტორები. თავისთავად საყურადღებოა, რომ ისინი ასეთი შეხედულებისა არიან, მაგრამ მათ ვარაუდს საფუძველად არქეოლოგიური მასალა არ უდევს. ისინი მადნეულ რესურსებს ეყრდნობიან ან სხვა ცენტრთა გამორიცხვის გზით მიდიან და ა. შ. ამგვარი საბუთებით არ დამტკიცდება წამოყენებული დებულება. იმისათვის, რომ ამა თუ იმ მხარეში რკინის აღმოჩენა, მისი ათვისების დაწყება დამტკიცდეს, ჩვენის აზრით, სათანადო წარმოების კვალი უნდა დადასტურდეს და სათანადო დასკვნისათვის ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი უნდა იყოს გამოყენებული. ზემოჩამოთვლილ ავტორებს სწორედ ეს საფუძველი არ გააჩნიათ ჯერჯერობით. ამიტომაც იმათი სიტყვა ჯერჯერობით მაინც, ვადამწყვეტი არ შეიძლება იყოს.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ მას ხელთა აქვს მდიდარი, უმთავრესად სამაროვნებიდან მომდინარე ახალი არქეოლოგიური მასალა. თუ ამ თავისთავად მნიშვნელოვან მასალას საკუთრივ რკინის წარმოების დამახასიათებელი ძეგლებით გავამდიდრებთ, მაშინ რკინის უძველესი მეტალურგიის ჩასახვის პრობლემა საიმედოდ გადაწყდება. ქართულმა არქეოლოგიამ ახლო ხანაში უნდა თქვას ამ საკითხზე საკუთარი, დამაჯერებელი სიტყვა რკინის წარმოების ნაშთთა გათხრისა და შესწავლის შედეგად. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამას, პირველ რიგში, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი გააკეთებს.

## ახალი ეთნოგრაფიული ნაშრომი საქართველოს მეხილეობის შესახებ<sup>1</sup>

### ჯ. სონღლაშვილი

(წარმოადგინა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში)

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეხილეობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რასაც უშუალოდ კავშირი აქვს საზოგადოებრივი კვების საქმესთან. მეხილეობა საქართველოს ბევრი რაიონისათვის მეურნეობის წამყვან დარგად ითვლება. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შორის, რომელსაც პარტია და მთავრობა სახავენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეხილეობას. ამ დარგის განვითარების პერსპექტივებს საგანგებო ყურადღება დაუთმო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა 1961 წლის თათბირმა. საკითხთა ფართო წრეში, რომლებიც დასახული ამოცანების გადაჭრას ემსახურება, სათანადო ადგილი და მნიშვნელობა ეკუთვნის მეხილეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებსაც.

მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ მეზოსტენობა და მეხილეობა საერთოდ ბინადარი ცხოვრებისა და ბინადარივე მეურნეობისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უძველესი დარგია, ანუ მკვიდრი მიწათმოქმედების ერთ-ერთი კველაზე ადრინდელი სახეობაა, და რადგან საქართველო ითვლება მიწათმოქმედების უძველეს ქვეყნად, მეხილეობაც გარკვეულ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ისტორიაში. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენმა სახელოვანმა მკვლევარმა ივ. ჯავახიშვილმა, ძირითადად ქართული წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით, საგანგებოდ შეისწავლა მეურნეობის ეს დარგი და კვლევის შედეგები გამოაქვეყნა თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ტ. II, 1933).

საქართველოს მეხილეობის ისტორიას არა ერთი და ორი მკვლევარი შეხებია, რომლებსაც არა ერთხელ მიუთითებიათ საქართველოს სამეურნეო თუ სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის ეთნოგრაფიული მასალების გამოვლინება-დამუშავების მნიშვნელობაზე. სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს ყოფის მონაცემებს ქართული მეხილეობის თავისებურებისა და ისტორიის შესასწავლიდ. ეთნოგრაფიული მასალებით დადგენილ საწარმოო ტრადიციებს, რომელიც ჩამოყალიბებულია კონკრეტულ-ბუნებრივ სამეურნეო გარე-

<sup>1</sup> დ. პავლიაშვილი, მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) რედაქტორი პრფ. გ. ჩიტაია, თბილისი, 1962.



მომი, ისტორიის ერთ-ერთი პირველწყაროს მნიშვნელობა ეძლევა. მეხილეობის ისტორიის შესასწავლად ეთნოგრაფიული მონაცემების განსაკუთრებულ მნიშვნელობას შემდეგი გარემოებაც განსაზღვრავს: როგორც ცნობილია, ბუნებრივ-სამეურნეო პირობების უაღრესი მრავალფეროვნებით საქართველო ძალზე განსხვავდება სამხრეთის უმეტესი ქვეყნებისაგან, და სწორედ ჩვენს ქვეყანაში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიკრორელიეფისა და ნიადაგის, მიკროკლიმატის პირობებს, ჰიდროგრაფიულ რეჟიმს, მზის რადიაციას, მცენარეთა ექსპოზიციას და რიგ სხვა ფაქტორს, რასაც ძველთაგანვე უნდა განესაზღვრა და თავისი დალი დაესვა საქართველოს პირობებში მეურნეობის დარგების განვითარების საერთო ხასიათისათვის. ამის საფუძველზე უნდა აიხსნას ქართული მეხილეობისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება და თავისებურებანიც. ამ მრავალფეროვნებისა და თავისებურების გამოვლინება-შესწავლა, ცხადია, პირველ რიგში სწორედ ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეიძლება. მეხილეობის საწარმოო ტრადიციებისა და შრომითი ჩვევების კუთხური, ზოგჯერ კი უფრო ვიწრო თავისებურებანი ამ დარგის ისტორიის შესწავლის არსებითი და უმთავრესი წყაროა.

ზემოთ აღნიშნული მხარეების გათვალისწინებით თუ განვიხილავთ და შევაფასებთ დ. პავლიაშვილის სარეცენზიო ნაშრომს — „მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში“ — აშკარაა შესწავლილი საკითხის აქტუალობა და მეცნიერული მნიშვნელობაც. აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობის ეთნოგრაფიული შესწავლა ნაწილია იმ დიდი სამუშაოსი, რომელიც საქართველოს მეხილეობის მთლიან შესწავლას გულისხმობს. ამ მხრივ მომავალში ბევრია გასაკეთებელი, ხოლო სარეცენზიო ნაშრომის პირველი შედეგები, რომელიც ასახულია დ. პავლიაშვილის მონოგრაფიაში, ყოველ მხრივ მისასაღმებელია. ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის გავრძელება, ცხადია, ახალ საყურდღებო შედეგებს მოგვცემს.

ეთნოგრაფიული მასალის, როგორც ძირითადი პირველწყაროს გვერდით ავტორი უხვად სარგებლობს საკითხზე არსებული სპეციალური ლიტერატურით, იგი არ კმაყოფილდება მარტოოდენ საველე ეთნოგრაფიული მასალით და ფართოდ იყენებს აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ კოლექციებსაც. აგრეთვე, გზადაგზა იშველიებს შესაძარებლ მასალასაც, რომელიც ძირითადად ავტორის მიერაა მოპოვებული.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან. შესავალში ვეცნობით საკითხის კვლევის მეთოდს და მონოგრაფიის აგებულებას. აქვე ნაჩვენებია მეხილეობის, როგორც საზოგადოებრივი კვების საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული სამეურნეო დარგის მნიშვნელობა, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე ავტორი მკაფიოდ მიუთითებს, რომ მეხილეობის გავრცელება დაკავშირებულია ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან. შემგროვებლობითი მეურნეობის სტადიაზე მამაკაცი ძირითადად თუ მონადირეობით იყო დასაქმებული, ხილისა და სხვა სახის მცენარეული ნაყოფის შეგროვება ქალს ევალებოდა. ხეხილის გაშენება იწყება ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის დროიდან (იხ. სარეცენზიო წიგნი გვ. 3). ამ დებულების დამტკიცების მიზნით ავტორი მიმოიხილავს სათანადო არქეოლოგიურ მასალებს, ისტორიულ წყაროებს და ეთნოგრაფიული მონაცემის საფუძველზე საქართველოში მეხილეობის ისტორიას იკვლევს.





ნაშრომის პირველ თავში ავტორს აღწერილი და განხილული აქვს ნიდაგების შერჩევა-გამოყენების ხალხური მეთოდები მეხილეობაში, გამოვლინებულია ქართველ მეურნეთა მდიდარი ცოდნა-გამოცდრლება. ავტორი ამავე თავში ცალკე საკითხებად იხილავს მიწის სტრუქტურას და ცალ-ცალკე ახასიათებს მის თვისებებს, კერძოდ, „მავი მიწა“, რომელიც ხასიათდება საუკეთესო მიწად და ხალხურ გამოთქმაში მას „დილღავი“ მიწაც ეწოდება, რაც უხვ მოსავლიან „მდიდარ“ ადგილად ხასიათდება. შემდეგ ავტორი რიგის მიხედვით ჩამოთვლის „წითელ მიწას“, „ტრედისფერ მიწას“, „კირიან მიწას“, „ხირხატ მიწას“, „ლამიან ანუ ლამის მიწას“, „ქანქრობ მიწას“, „ქვიშა მიწას“, „თიხიან მიწას“, „აყალო მიწას“, ყველა მათ თვისებებს მეხილეობის დარგში.

ავტორს აღმოსავლეთ საქართველოში, ყოფის მონაცემების მიხედვით, აღწერილი და ახსნილი აქვს „ტახტეების“, ანუ ტერასების იგივე „ბაქანების“ მოწყობის წესები და მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი ეხება ხილის გაშენების ხალხურ წესებს ფერდა ალაგებში „ტახტეების“ ანუ „ტერასების“ მოუწყობლად, რომელსაც იგი პირობითად „შემობარვის“ წესით ზეხილის მოშენებას უწოდებს. მას ეს ზერხი დაუფიქსირებია მთიულეთში.

სარეცენზიო ნაშრომის საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს მეორე თავი, რომელიც ზეხილის გამრავლებას, ბაღის გაშენებას, ზეხილის მოვლასა და მის დაავადებას ეხება. აქ ავტორი კონკრეტული მასალის საფუძველზე განიხილავს გარეული ზეხილის მოშინაურების ხალხურ ტრადიციებს და მის მნიშვნელობას, ზეხილის გამრავლებას, ახალი ჭიშების გამოყვანის საქმეს და სხვ. ზეხილის გამრავლების საშუალებებიდან ავტორი ცალკე საკითხებად გამოყოფს „მყნობის“, „გადაწყენის“, „ლერწის“, „ფესვდაყოფისა“ და სხვა ისეთ წესებს, რომელთაც ქართველი მეურნეები ოდითგანვე ფლობდნენ და თავიანთი ბუნების გასაძლიერებლად იყენებდნენ. ამავე თავში ავტორი იხილავს ზეხილის გასამრავლებლად გამოყენებულ სხვადასხვა ხალხურ მეთოდებს: „ზეხილის საძირის ტყიდან ჩამოტანას“, „თესლთესვას“ და თვით „თესლის დამზადება-გამოზამთრებას“ და ა. შ. აქვე ნაჩვენებია ზეხილის ბაღების მოვლა-დამუშავებისა და ზეხილის სხვადასხვა ავადყოფობის ხაწინააღმდეგო ხალხური წესები. ნაშრომის მესამე თავში — „ზეხილის მოსავლიანობის გადიდების და ხილის გამოზამთრების ხალხურ მეთოდებში“ — ავტორი დამაჯერებლად გვაცნობს ქართველ მეურნეთა ცოდნას ზეხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში, ამ მიზნით ყოფაში იყენებდნენ „დაკოდვის“, „რწყვის“, „გაპოხიერების“, „გასხვლის“, „დაშინებისა“ და სხვა ხალხურ წესებს, აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ძველ რწმენა-წარმოდგენებს.

მონოგრაფიის უკანასკნელ მეოთხე თავში ავტორი ეხება ხილის სახეობებს და მათ გამოყენებას აღმოსავლეთ საქართველოში. ამოსავალი, ისე, როგორც დანარჩენ სამ თავში, აქაც ეთნოგრაფიული მასალაა, ხოლო დამხმარე წყაროებიდან გამოყენებულია ისტორიული დოკუმენტები, წყაროები და მოგზაურთა ნაწერებში ასახული ცნობები და შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევები, აქვე ნაჩვენებია აღმოსავლეთ საქართველოს ფლორისათვის დამახასიათებელი ხილის კულტურები და თითოეული მათგანის წარმოშობის ადგილები, მათი გამრავლებისა და შემოტანის გზები.

ხილის გამოზამთრების მიზნით, დადგენილია ზამთრის ხილისათვის „ოფლის მოღენის“, ორმოში, ქვევრში, საწნახელსა და წყალში შენახვის ხალხური წე-

სები, რაც ქართველი ხალხის ტრადიციულ ცოდნა-გამოცდილებაზეა აღმოცენებული. ავტორი გვაცნობს მასალებს ხმელი ხილის, ტყლაპების, „ტკბილის“, მურაბებისა და ხილის სხვადასხვა ნაწარმის შენახვის ხალხურ წესებზე.

ამავე თავში დ. ჰავლიაშვილს მოყავს ხილის კულტურების მნიშვნელობა, როგორც სამეურნეო, ეკონომიურ და სამკურნალო დანიშნულების თვალსაზრისით, ისე სხვადასხვა ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესრულებისას, როგორც აუცილებელი ელემენტი.

ხილეულის ცალკეული აღწერილობისას და მათი თავისებურებების ჩვენებისას დ. ჰავლიაშვილი არ კმაყოფილდება მარტოდენ ეთნოგრაფიული, ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემებით და ქართულ პოეზიისა და თქმულებებშიც ეძებს პარალელებს, რაც წიგნს საინტერესოს და მიმზიდველს ხდის.

გარდა აღნიშნულისა, მონოგრაფიას ახლავს ცალკეულ თავებში განხილული საკითხების შემაჯამებელი დასკვნები და რეზიუმე რუსულ ენაზე. ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, არაფერი გვექნება სადავო ავტორთან იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობის შესწავლა ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ახალ ასპექტში გვისახავს სოფლის მეურნეობის ამ დარგის მნიშვნელობას ძველ სამეურნეო ყოფაში და წარმოაჩინს ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემოწმებულ შრომით ჩვევებს, საწარმოო გამოცდილებასა და ემპირიულ ცოდნას მეხილეობაში.

ამგვარად სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს საინტერესო ეთნოგრაფიულ გამოკვლევას, როგორც მასალის ფიქსაციის მხრივ, ისე ამ ახალი მასალის განზოგადოების თვალსაზრისით, მაგრამ ეს ნაშრომი შენიშვნებსაც იწვევს:

მორწყვის საკითხის გაშუქებისას უკეთესი იქნებოდა ავტორს თავისი მასალების საფუძველზე უფრო ვრცლად დაეხასიათებინა შესწავლილ მხარეში მორწყვის სისტემა მეხილეობასთან დაკავშირებით. მაგალითად, კარგი იქნებოდა ტახტების, ყათრებისა და სხვ. მორწყვის ხალხური ტექნიკის კონკრეტული ჩვენება. ამ საკითხისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ ტერასებსა მორწყვა სამთო ირიგაციისა და საერთოდ სამთო მიწათმოქმედების ერთ-ერთი არსებითი მხარეა. აჯობებდა ავტორს ყურადღება გაემახვილებინა ხალხურ დაკვირვებებზე, რომლებიც შეეხება წყლის ქიმიურ-ფიზიკურ შედგენილობას, სხვადასხვა მცენარის წყლის სარწყავად განსხვავებული გამოყენების საჭიროებას და ნიაღვრის წყლით ხეხილის მორწყვის დადებით თვისებებს.

რამდენადაც ავტორი საქართველოს სხვა კუთხეების შესადარებელ მასალასაც იყენებს, მას შეეძლო უფრო მკვეთრად ეჩვენებინა შესწავლილი მხარის მეხილეობის დამახასიათებელი ადგილობრივი თავისებურებანი, აგრეთვე მისი ზოგადი ხასიათიც. ჩვენი აზრით, საჭირო იყო ავრეთვე საკუთრივ ხალხური მონაცემების უფრო მეტად გამოყენება კუთხური სახელწოდებით ცნობილი ხილეულის დანახაითებისათვის. მაგალითად, რა თავისებურებების მიხედვით განარჩევენ ეთნოგრაფიულ ყოფაში ვთქვით „ჭოპორტულ ბალს“ იგივე („ძუძუ ბალი“). რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ან კიდევ „გორულს“ და დიღმის ჭალის „ატამს“, „მუნრანულ ჭანჭურს“, „დიღმურ გარგალს“, „განჯურ ბროწეულს“, „გორის ვაშლს“ და ა. შ.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორი ეხება ხეხილის ტოტებით ანუ ლერწით გამრავლების საშუალებას და აღნიშნავს რომ „ლერწით“ ძირითადად ამრავლებენ ვაზს. გარეულ ხილს (ფშატს, კუნელს, ხურტკმელს და სხვა), რომელსაც



განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ცოცხალი ღობეებისა და საჩხები ქალების გაშენების საქმეში“ (გვ. 52). არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ლერწით მრავლდება ყველანაირი ჭიშის კომში, ბროწეული, ლეღვი, თუთა, ფშატი, ტყეშალი და სხვა.

ავტორი წინააღმდეგობაში ვარდება, როცა აღწერს „ფშატს“ და აღნიშნავს, რომ „ფშატი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ველური ფორმითაა წარმოდგენილი, რომელიც აღმ. საქართველოს ბალ-ვენახებისა და ქალის ტყეებში ფართოდაა გამრავლებული“... (გვ. 161) და იქვე აღნიშნავს, რომ: „ყოფაში ორი სახის ფშატს იცნობენ: ბალურს—მსხვილს და ქალისას“ (გვ. 161). შემდეგ ავტორი ეხება ფშატის გამრავლების ხალხურ მეთოდს და აღნიშნავს, რომ თურმე „გაზაფხულობით ნამყენსაც აკეთებენ“. თუ ამ შემთხვევაში ავტორის შეცდომასთან გვაქვს საქმე, ყოფაში ვხვდებით არა მარტო ველურ ფშატს (ქალა-ფშატა, კატა-ფშატა და სხვ.) არამედ კულტურულ ფშატის ჯიშებსაც, რომელიც ყოფაში მრავალი ჯიშით არის წარმოდგენილი მაგ.: „უნაბი-ფშატი“, „განჯური ფშატი“, „მახრჩობელა ფშატი“ და სხვ.

უკეთესი იქნებოდა რუსულ ენაზე დართული რეზიუმე უფრო ვრცელი ყოფილიყო და ნაშრომს საძიებლებიც ახლდეს.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ დ. პავლიაშვილის საინტერესო ნაშრომის გამოსვლა მისასალმებელია. საჭიროდ მიგვაჩნია, მომავალში უფრო ფართოდ გაიშალოს საქართველოს მიწათმოქმედების ამ ერთ-ერთი უძველესი დარგის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა



პოპოვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე



პროფ. ვუკოლ ბერიძე

გარდაიცვალა 80 წლის ასაკში ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ვუკოლ მისეილის ძე ბერიძე.

ვუკ. ბერიძეს გავლილი ჰქონდა უოფ. ჰეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით. მან ამ უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა 1912 წელს და საფუძვლიანი მომზადება მიიღო ქართულ ენასა, ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში, აგრეთვე სპარსულსა და სომხურ ენებში; აქვე აღეძრა მას ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევისადმი ცხოველი ინტერესი.

1912—1918 წლებში ვუკ. ბერიძე ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო. მისი მოწაფეების გადმოცემით, მისი გაკვეთილები გიმნაზიის უფროს კლასებში საუნივერსიტეტო ლექციებს მიაგავდა როგორც მეცნიერული სიღრმით, ისე მოცულობის მხრივ.

1918 წლიდან ვუკ. ბერიძე სამუშაოდ თბილისში გადმოდის და განათლების დარგში განაგრძობს მუშაობას. 1922—1932 წლებში კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1932 წელს დამტკიცებულ იქნა პროფესორად და იმავე დროიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ჯერ ქართული ენის, სოლო შემდეგ რუსთველოლოგიის კურსს. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ბათუმის ჰედაგოგიურ ინსტიტუტშიც.

მრავალი წლის მანძილზე ვუკ. ბერიძე იყო წევრი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოებისა. და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიისა.

1946 წელს ვუკ. ბერიძე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

სამეცნიერო მუშაობა ვუკ. ბერიძემ ადრევე დაიწყო. მან გამოაქვეყნა 80-მდე სამეცნიერო შრომა. მისი სამეცნიერო შრომები ეხება ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს, მას ეკუთვნის

შეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები რუსთველოლოგიაში.

გუკ. ბერიძე ზიონერი იყო ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონის მეცნიერული დამუშავების დარგში. 1912 წელს ზეტერბურგში გამოსული მისი შრომა „სიტყვის-კონა იბერულ და რაჭულ თქმათა“ განმარტების წესისა და ხასიათის თვალსაზრისით დღესაც საინტერესოა. ასევე მრავალმხრივ საუურადღებოა გუკ. ბერიძის სხვა ლექსიკოლოგიური შრომები.

საკანგებოდ უნდა აღინიშნოს გუკ. ბერიძის დავაწლი რუსთველოლოგიაში. მისი მრავალრიცხოვანი რუსთველოლოგიური ნაშრომები ამჟამად თავმოყრილია კრებულში „რუსთველოლოგიური ეტიუდები“, რომელიც 1961 წელს გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. ამ ნაშრომთა დიდი მეცნიერული ღირებულება ერთსელოვნად აღიარებულია რუსთაველის პრობლემაზე მომუშავე ყველა სპეციალისტის მიერ.

გუკ. ბერიძე დიდ ურადღებას აქცევდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ საკითხებს, რუსთაველის მსოფლმხედველობის, რუსთაველის მსატერული ენისა და ზოეტიკის, ზომების საღსურობის საკითხებს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მისი ინტერპრეტაციები ეოველოგის გონებაშასვიღური, საუურადღებო და ანგარიშგასწავლი იყო. როგორც დასელოვნებულმა ტექსტოლოგმა, გუკ. ბერიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ საიუბიღეო გამოცემის მომზადებაში. უკანასკნელად იგი იყო წევრი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კომისიისა, რომელსაც დავაღებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დაღკენა.

სრულიად განსაკუთრებულია გუკ. ბერიძის დამსასურება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში.

ქართული ენის ლექსიკურ შესაღლებლობათა გამოეენების საკითხი განასღებული მეცნიერული აზროვნების საჭიროებათა დასაკაუოფიღებლად მოელი სიმწვაით დაღგა მას შემღგვ, რაც ქართულად სწავღება იქნა შემღღებული ჩვენი ქვეენის საშუალო და უშაღღეს სასწავღებღებში. დიდი მუშაობა იყო საჭირო, რომ თქტომბრის რეგოღუციით მონაგებული და უსრუნველოფიღი უფღებები ქართული ენისა განსორციღებულიყო. დღის წესრიგში დაღგა ტერმინოლოგიის შექმნის საკითხი. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება დიდი სასეღმწიფოებრივი და კულტურული მნიშვნეღობის საკითხი იყო.

1926 წელს დაარსდა სასეღმწიფო ტერმინოლოგიური კომიტეტი და მისი საშუაო ანარატი—ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომისია. ამ კომისიის თაემღღომარედ დაინიშნა გუკ. ბერიძე. 1936 წლიდან ეს კომისია შევიღა ენის, ისტორიისა და მატერიაღური კულტურის ინსტიტუტში სამეცნიერო ტერმინოლოგიის განუოფიღების სასით (ამჟამად იგი საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის



სამეცნიერო ტერმინოლოგიის განუოფილებად). სპეციალისტთა მიერ დაშუ  
შავებული მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგი-  
ათა განსილვა-დასუსტება და დადგენა-უნიფიკაცია, რაც ამ განუოფილებად  
შეასრულა, ისეთი საქმეა, რომლის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სოციალი-  
სტური მშენებლობისათვის და ქართული კულტურის ისტორიისათვის მნი-  
ვლია გადაჭარბებით შეფასდეს.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ამ საქმეს სათავეში ედგა და სელ-  
მძღვანელობდა ვუკ. ბერიძე, სელმძღვანელობდა დიდი გამოცდილებითა და  
საქმისადმი უანგარო სიეუარულით. ამ საქმეს იგი არ აკლებდა თავის ეუ-  
რადლებას მაშინაც კი, როცა უკანასკნელ წლებში ავადმყოფობის გამო  
უშუალოდ ვეღარ განაგებდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის განუოფილებას.  
ვუკ. ბერიძის სელმძღვანელობით და რედაქტორობით გამოვიდა მეცნიერე-  
ბისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის რამდენიმე ათეული ტერმინოლოგია.  
ამ მძიმე სამუშაოს ვუკ. ბერიძე წარმატებით გაუძღვა და ჰინათლად. შე-  
სრულა თავისი ვალი ქვეყნის წინაშე.

წლების განმავლობაში ვუკ. ბერიძე სელმძღვანელობას უწევდა მაშინ-  
დელი განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულების  
სამმართველოს; მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა 1923 წელს ქართუ-  
ლი საენათმეცნიერო საზოგადოება; იგი იყო წევრი და უშუალო მონაწილე  
აკრეთვე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობისა. ვეველა, ვი-  
საც კი ამ სამეცნიერო საზოგადოებებში უსდებოდა მუშაობა, მოწამეა განსა-  
კუთრებული გულისმძიერებისა და მზრუნველობისა, რასაც ვუკ. ბერიძე  
იყენდა ეველასა და ეველაფრის მიმართ.

ვუკ. ბერიძემ ჰინათლად მოიხადა მეცნიერისა და მოქალაქის ვალი  
თავისი ქვეყნის, ქართული მეცნიერების, ქართველი საზოგადოების წინაშე.  
მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ საუკუნო განსასვენებელი მას თავის  
რჩეულ შვილთა გვერდით დაუმკვიდრა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოე-  
ბრივ მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიე-  
რების ინსტიტუტი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუს-  
თაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტი

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

დ. მაისურაძე, საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდი . . . . .	3
ვ. გოგობერიშვილი, რწმენის პრობლემა პრაგმატიზმში . . . . .	14
გ. თევზაძე, ჰერმან კოჰენის შემეცნების თეორიის კრიტიკა . . . . .	31
გ. ბუაჩიძე, ავტომობილის და რკინიგზის ტრანსპორტის კოორდინაციის საკითხისათვის	52
ი. შირცხულავა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში . . . . .	72
ა. შიშკინა-ახალაძე, ქართველი რევოლუციონერებისა და ინტერნაციონალისტთა რაზმების მონაწილეობის ისტორიიდან აღმოსავლეთ ციმბირის მშრომელთა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1918 წელს. . . . .	97
ნ. როგავა, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფის ძირითადი თავისებურებანი	113
ო. ფუფუნაძე, კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან XI საუკუნის მიწურულის კიევის რუსეთში . . . . .	127
ნ. ხაჩარაძე, ფრიგიის სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან . . . . .	141
კ. კეკელიძე, ნ. ბარათაშვილის სევდა . . . . .	153
ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის კირიონისეული ხელნაწერის გარშემო . . . . .	165
ი. მეგრელიძე, წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში . . . . .	170
ნ. შენგელია, ს. ჭიჭია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი	186
ი. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან . . . . .	196
ა. ონიანი, პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში . . . . .	198

**კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა**

დ. მეგრელაძე, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში . . . . .	212
ა. აფაქიძე, საქართველოს არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემა . . . . .	223
ჯ. სონდულაშვილი, ახალი ეთნოგრაფიული ნაშრომი საქართველოს მეხილეობის შესახებ პროფ. ვუკოლ ბერიძე (ნეკროლოგი) . . . . .	232





საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, გ. ტაბიძის ქ. № 3/5.

Table with 2 columns: Page numbers (1-100) and titles of articles in Georgian. The text is mirrored and difficult to read due to bleed-through from the reverse side.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძერგინსკის ქ. № 8  
ტელეფონი: 9-87-03

შეგ. 630 უე 03727 ტირაჟი 1000

გადაეცა წარმოებას 8.5.1963; ანაწილების ზომა 7×12; ხელმოწერილია დასაბუქდად 1.8.1963;  
ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქაღალდის ფურცელი 7,5; საბუქდი ფურცელი 20,55;  
საავტორო ფურცელი 17,90; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18,33  
ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, გ. ტაბიძის ქ. № 3/5.  
Типография Издательства Академии наук Грузинской ССР, ул. Г. Табидзе, 3/5.

ფასი 1 მან.

2 15/79.



675  
1963/3



საქართველოს სსრ ენციკლოპედიათა აკადემია

საზოგადოებრივ ენციკლოპედიათა

ბ ა ნ ყ ო უ ი ლ ე ბ ი ს

675  
3  
ე ო ა ე ბ ე



1963



საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
ბუნების მეცნიერებათა

# ვესტნიკი

\*  
\*\*

## ВЕСТНИК

ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК  
АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР


8298



12

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა  
Издательство Академии наук Грузинской ССР

1963







ს ა რ ე დ ა ტ ო რ ი კ ო ლ ე გ ი ა

ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოჭორიშვილი (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი  
დოლიძე, გ. ლეონიძე, ქ. ლომთათიძე, ე. ქვათაძე (პასუხისმგებელი მდივანი),  
გ. ჩუბინაშვილი, ვ. წერეთელი, ს. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Бердзенишвили Н. А., Бочоришвили А. Т., (главный редактор), Гугушвили П. Б.,  
Долидзе И. С., Кватадзе Э. Г. (ответственный секретарь), Леонидзе Г. Н.,  
Ломтатидзе К. Б., Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В., Церетели С. Б.

## საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდი

### ლ. მაისურაძე

60 წელი შესრულდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის მოწვევის დღიდან. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბოლშევიზმში, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს.

ცნობილია, რომ რუსეთში მარქსისტული მოძრაობა დაიწყო გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა 1883 წელს პლენანოვის მეთაურობით აღმოცენდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი. ეს იყო პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობისაკენ. მაგრამ ამ ჯგუფმა მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია. რევოლუციური პროლეტარული პარტიის პირველი სერიოზული ჩანასახი იყო „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შეიქმნა პეტერბურგში 1895 წელს. „ბრძოლის კავშირმა“ რუსეთში პირველმა იწყო მარქსიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან. ამრიგად დაიწყო ახალი, ლენინური ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში.

1898 წლის 1—3 მარტს მინსკში ფარულად გაიმართა რსდმპ პირველი ყრილობა. მან გამოაცხადა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნა, რასაც დიდი პოლიტიკური და რევოლუციურ-პრობაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ფაქტიურად პარტია არ შექმნილა. ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ ერთიანი პროგრამა, წესდება და ტაქტიკა, არ გააჩნდათ ცენტრალიზებული იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა.

რსდმპ მეორე ყრილობის წინა პერიოდში ვ. ი. ლენინი შეურიგებლად ებრძოდა ლიბერალურ ნაროდნიეებს, „ეკონომისტებს“ და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, რომლებიც იცავდნენ კუსტარულობას, სტიქიურობას, წრეობანას მუშათა მოძრაობაში და ილაშქრებდნენ პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნის წინააღმდეგ.

პარტიული ძალების გაერთიანებაში, რევოლუციური მუშათა პარტიის მომზადებასა და მარქსიზმის მტრების იდეურ განადგურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა საერთორუსულმა მარქსისტულმა გაზეთმა „ისკრამ“. მან წამოაყენა და შეიმუშავა იდეური და ორგანიზაციული საწყისები, რომლებიც საფუძვლად დაედო ერთიანი ნებისა და რკინისებური დისციპლინის მქონე, სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის, ბოლშევიკური, მარქსისტული პარტიის შექმნას.

მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ რსდმპ მეორე ყრილობამ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად მიიღო რევოლუციური პროგრამა, რომელშიც ძირითად ამოცანად წამოყენებული იყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა და რომელიც პარტიის საბრძოლო ხელმძღვანელი დოკუმენტი იყო VIII ყრილობამდე (1919 წელი). ამ პროგრამის საფუძველზე შეიქმნა და განმტკიცდა ბოლშევიკების პარტია, რომელიც წარმატებით იბრძოდა სოციალისტური რევოლუციას გამარჯვებისათვის რუსეთში.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინელ-ისკრელთა ბრძოლას პარტიის ორგანიზაციული პრინციპებისათვის. ლენინი და მისი თანამოაზრენი მოითხოვდნენ მონოლითურ და მეზბძოლ, ზუსტად ორგანიზებულ და დისციპლინიან პარტიის შექმნას, პარტიისა, რომელიც შეიარაღებული უნდა ყოფილიყო რევოლუციური თეორიით, საზოგადოების განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებით.

ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ცხოვრების მტკიცე ნორმების საწინააღმდეგოდ მენშევიკები ადგნენ II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში მიღებულ „ლია კარების“ პოლიტიკას, რაც პარტიას გადააქცევდა უსახურ, ჭრელ და გაუფორმებელ წარმონაქმნად. არამტკიცე, მერყევი და ოპორტუნისტული ელემენტებით პარტიის დანაგვიანების საშიშროება სრულებითაც არ აწუხებდათ მენშევიკებს, ვინაიდან ისინი წვრილ-ბურჟუაზიული, ოპორტუნისტული პარტიის შექმნის მომხრენი იყვნენ.

ვ. ი. ლენინის ბრძოლამ ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ რსდმპ II ყრილობაზე პროგრამული და ორგანიზაციული საკითხების გამო მიჯნა გაავლო პარტიის რევოლუციურ ნაწილსა—ბოლშევიკებსა და ოპორტუნისტულ ნაწილს—მენშევიკებს შორის.

რსდმპ მეორე ყრილობამ განამტკიცა ისკრული მიმართულების, ლენინური მიმართულების გამარჯვება.

რსდმპ მეორე ყრილობამ განამტკიცა ისკრული მიმართულების, ლენინური მობრუნების პუნქტი იყო მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. მან შექმნა რუსეთში ნამდვილი მარქსისტული პარტია.

ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველად შეიმუშავა მოძღვრება პარტიისა, როგორც მუშათა კლასის ავანგარდისა, ურომლისოდაც შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება, სოციალიზმისა და კომუნიზმის აღწენა.

ვ. ი. ლენინის მტკიცე ბრძოლას რსდმპ მეორე ყრილობაზე მენშევიკების ოპორტუნისტული გზის, მარქსიზმისადმი მტრული გეზის წინააღმდეგ, მარქსიზმისა და ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დასაცავად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის ყველა ქვეყანაში.

ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურება რუსეთის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე ის არის, რომ ახალ ისტორიულ ეპოქაში ყოველმხრივ დაამუშავა მოძღვრება მუშათა კლასის პარტიის შესახებ, პარტიისა, რომელსაც უნდა შეეისხებოდა ყოველივე მოწინავე, გაბედული და გამბრული, რაც პროლეტარიატშია, რომელიც ძლიერი უნდა ყოფილიყო თავისი რევოლუციური თეორიით, ხალხთა ფართო მასებთან განუსრული კავშირით, თავისი რიგების რკინისებური ერთიანობით.

ვ. ი. ლენინმა შექმნა რევოლუციური პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები, შეაიარაღა იგი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის მეცნიერული პროგრამით, სტრატეგიით და ტაქტიკით, ყოველმხრივ მოამზადა პარტია თავისი ისტორიული მისიის შესასრულებლად—კომუნისმის ასაშენებლად.

კაცობრიობის ისტორიაში არც ერთს სხვა პოლიტიკურ პარტიას არ მოუხდენია ისეთი გავლენა მსოფლიო ისტორიული განვითარების სვე-ბედზე, როგორც მოახდინა კომუნისტურმა პარტიამ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლთან განუყრელად არის დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის უდიდესი მოვლენები XX საუკუნეში: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რაც მოასწავებდა ძირეულ გარდატენას კაცობრიობის ისტორიაში, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობა და სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენება; იმპერიალისტური რევაციის დასაყრდენის—გერმანიის ფაშისმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურება; ფაშისტური მონობისა და დამონების საფრთხისაგან ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების განთავისუფლება; მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა.

კომუნისტურმა პარტიამ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მთელი ხალხისა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოღვაწეობა წარმართა ჩვენი ქვეყანაში პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ გარდაქმნათა განსახორციელებლად. მან განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფო, განავითარა სოციალისტური დემოკრატია, გააძლიერა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, უზრუნველყო ეროვნული საკითხის გადაჭრა მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოში, შექმნა სოციალისტური ერების თანამეგობრობა. პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კულტურული რევოლუცია.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე კომუნისტური პარტია შეუთრგებლად იბრძოდა და იბრძვის ოპორტუნისმის ყოველგვარი გამოვლინების, რევიზიონიზმის, სექტანტობის, დოგმატიზმის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ XXII ყრილობა, რომელმაც მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, დასახა კაცობრიობის ნათელი პერსპექტივები მისი წინსვლისათვის ყველაზე საუკეთესო და ბრწყინვალე საზოგადოებისაკენ—კომუნისმისაკენ, რომლის დროშაზე ელვარებენ სიტყვები: მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, ყველა ხალხის თანასწორობა და ბედნიერება.

ვ. ი. ლენინი კომუნისტურ პარტიას უწოდებდა მილიონების პარტიას, „ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს“.

საბჭოთა ხალხი თავისი ისტორიული გამოცდილებით დარწმუნდა, რომ პარტიას სხვა ინტერესები არა აქვს, გარდა ხალხის ინტერესებისა, სხვა მიზნები არა აქვს, გარდა მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლისა.



ბოლშევიკური პარტია, როცა იგი დაარსდა 1903 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე, თავის რიგებში სულ რამდენიმე ათას კაცს ითვლიდა. მაგრამ ისინი იყვნენ მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული, მედგარი მებრძოლები. ცარიზმის წინააღმდეგ გამართულ სასტიკ ბრძოლებში იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ პარტიის კადრები, მამაცი რევოლუციონერები, რომლებსაც ვერ აკრთობდა ვერავითარი საფრთხე და სიძნელე.

მეფის მთავრობა სასტიკად სდევნიდა რევოლუციონერებს, გადასახლებებით და კატორღებით უმასპინძლებოდა მათ, აპატიმრებდა და ხვრეტდა. მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის რიგები კი არ კლებულობდა, არამედ იზრდებოდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს, როცა ბოლშევიკები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ, პარტიაში დაახლოებით 40—45 ათასი კაცი იყო, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის წინ (პარტიის VI ყრილობისათვის)—240 ათასი კაცი.

თავისთავად ცხადია, რომ პარტიის რიგები დიდად გაიზარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა კომუნისტური პარტია მმართველი პარტია გახდა. ამასთან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ პარტიაში შემსვლელთა რიცხვი ყოველთვის მატულობდა მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლებას საფრთხე ემუქრებოდა და ყველაზე დიდ სიძნელებებს განიცდიდა. მაგალითად, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს პარტიაში შევიდა 300 ათასი კაცი. ბევრი მათგანი დაუყოვნებლივ მიდიოდა ფრონტზე, რომ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მკერდით დაეცვა საბჭოთა ხელისუფლება.

1924 წელს, ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიის რიგები შეავსო მუშათა კლასის 240 ათასმა საუკეთესო წარმომადგენელმა. ეს იყო ლენინური გავწევა, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა მშრომელთა უსაზღვრო სიყვარული და თავდადება თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

სოციალისტური წყობილების მეტად ძნელი გამოცდა იყო 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომი, რაც გამოიწვია ჰიტლერული გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე. კომუნისტური პარტიის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად გაუძლო ამ განსაცდელს. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, როგორც ერთი, აღდგა ძლიერი და საშიში მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაიცვა მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებთან ერთად პარტიის რიგებს ავსებდნენ მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები. დიდი სამამულო ომის დროს პარტიაში შევიდა 1 მილიონ 600 ათასი კაცი. XXII ყრილობისათვის (1961 წლის 1 ოქტომბრისათვის) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის რიგებში ითვლიდა 9.716.005 კაცს.

მრავალმხრივია კომუნისტური პარტიის შემოქმედებითი საქმიანობა. თავისი არსებობის მანძილზე მან შეიძინა მუშათა კლასის, მშრომელი მასების რევოლუციურ-გარდამქმნელი მოღვაწეობის წარმართვის უდიდესი გამოცდილება, შემდგომ განავითარა და გაამდიდრა მარქსისტული მეცნიერება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შესახებ, სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე მუშათა კლასის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, სოციალიზმისა და კომუნისმის მშე-

ნებლობის შესახებ, გამოიმუშავა პარტიული მუშაობისა და მასებზე ხელმძღვანელობის სრულყოფილი ორგანიზაციული ფორმები.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებების ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდებოდა კომუნისტური პარტიის როლი და მისი გავლენა საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე, რამაც გამოხატულება პოვა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით არის გაფორმებული ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი როლი. კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ყველაზე აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის რიგებიდან ნებაყოფლობით ერთიანდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მშრომელთა მოწინავე რაზმია მათ ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივ, ისე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვს.

თავის პოლიტიკას კომუნისტური პარტია ახორციელებს მშრომელთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი სისტემის— საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის მეშვეობით. ეს ორგანიზაციები პარტიას აკავშირებენ მასებთან. პარტია როდი ბრძანებლობს უპარტიო ორგანიზაციებს, არამედ მათს მუშაობას წარმართავს ამ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტების საშუალებით. მშრომელ მასებზე პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი მეთოდია დარწმუნება და განმარტება.

ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის შექმნის გარიჟრაჟზე თავის განთქმულ წიგნში „რა ვაკეთოთ“ ვ. ი. ლენინი წერდა: „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“<sup>1</sup>. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ის უდიდესი მნიშვნელობა, რასაც პარტია ანიჭებს რევოლუციურ თეორიას.

კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა, მისი მომავალი მუშაობის გეგმები ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ღრმა ცოდნას, მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომელიც კომუნისმის გზას მანათობელი ვარსკვლავია. კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში უდავოა.

ეს ავტორიტეტი პარტიამ მოიპოვა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულებით, თეორიისადმი შემოქმედებითი მიდგომით, უნარით განავითაროს, წინ წასწიოს იგი საზოგადოების ცხოვრების პირობების ცვალებადობის, რევოლუციური ბრძოლისა და სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის პრაქტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი აღმოჩენების, ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად.

თავის მოღვაწეობაში პარტია თეორიას განუყრელად უკავშირებს პრაქტიკას, ცხოვრებას, საზოგადოებრივი განვითარების რეალურ პროცესებს.

თეორიაში გაბედული შემოქმედების მაგალითია პარტიის XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებები, რომლებშიც ახლებურად არის გაშუქებული სსრ კავშირში კომუნისმის მშენებლობის, საერთაშორისო ურთიერთობისა და კომუნისტური მოძრაობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი თეორიული საკით-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 461—462.

ხები. ასეთებია: ლენინური დებულების განვითარება სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის სხვადასხვა ფორმების შესახებ; დასკვნა თანამედროვე პირობებში ომის თავიდან აცილების შესაძლებლობისა და ომის, როგორც სადავო საკითხების გადაჭრის საშუალების, საზოგადოების ცხოვრებიდან გამორიცხვის შესახებ, სახელმწიფო მმართველობის საკითხები კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში და მრავალი სხვა.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კომუნიზმის იდეალების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მატერიალური და სულიერი სიმდიდრის პირობებში. აქედან გამომდინარე, სოციალიზმის მიერ შექმნილ შესაძლებლობებზე დაყრდნობით პარტიის XXII ყრილობამ შეიმუშავა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამა, დასახა კომუნიზმის კონკრეტული მშენებლობის გზები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების, კომუნიზმის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდის ღონისძიებები.

პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ცოცხალი განსახიერებაა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობისა, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა სტალინის პიროვნების კულტის ლიკვიდაციის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის ანტიპარტიული ჩგუფის განადგურების შედეგად.

საბჭოთა ხალხი, მოძვე ქვეყნების ხალხები, მთელი მსოფლიოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის ახალ პროგრამას, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო. თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტი, მშვიდობისა და შემოქმედებითი შრომის დიადი პროგრამა უწოდეს ამ ისტორიულ დოკუმენტს. პროგრამა ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრავს ყველაზე მთავარ, უმნიშვნელოვანეს მიზანს, რისთვისაც პარტია იბრძვის, რისი მიღწევაც მას სურს: ეს არის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენება.

„ჩვენი პარტიის პროგრამა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — არ შეიძლება მართო პარტიის პროგრამად დარჩეს ის უნდა გადაიქცეს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პროგრამად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უვარგისია აგრეთვე როგორც პარტიის პროგრამა“<sup>2</sup>.

საბჭოთა კავშირი წარმატებით ახორციელებს თავის ძირითად ეკონომიურ ამოცანას: დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ჩვენი სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 80 პროცენტით.

ჩვენი ქვეყანა წინ უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ, ხოლო უკანასკნელ წლებში უსწრებს აგრეთვე პროდუქციის ბევრი უმნიშვნელოვანესი სახის წარმოების მატებითაც.

ახლა, როცა სოციალიზმი, რომლის გარდუვალობა მეცნიერულად იწინასწარმეტყველეს მარქსმა და ენგელსმა და რომლის აშენების გეგმა დასახა ლენინმა, საბჭოთა კავშირში რეალური სინამდვილე გახდა. პარტიამ განსაზღვრა კომუნისტური საზოგადოების აშენების ძირითადი ეკონომიური ამოცანა: ორი ათწლეულის მანძილზე შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის დახმარებითა და მხარდაჭერით ჩვენი ქვეყნის გლეხობა დაადგა სოციალიზმის გზას. განხორ-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 31, გვ. 693.

ციელდა წვრილი დაქსაქსული გლეხური მეურნეობის კოოპერირება. საბჭოთა სოფლის გადასვლა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე მოასწავებდა დიდ რევოლუციას ეკონომიურ ურთიერთობაში, გლეხობის ცხოვრების მთელ წყობაში.

კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე სოფლის მეურნეობის დარგში დასახულია მთავარი ამოცანა: მივალწიოთ ხალხისათვის მაღალხარისხოვანი პროდუქტებისა და მრეწველობის ნედლეულის სიუხვეს; სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობის ბაზაზე უზრუნველვყოთ საბჭოთა სოფლის თანდათანობით გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და ძირითადად მოვასხინოთ ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების ლიკვიდაცია.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მთავარი გზაა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შემდგომი მექანიზაცია. სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდა, უფრო სწრაფი თავისი ტემპებით, ვიდრე სამრეწველო წარმოებაში—შესაძლებელს გახდის აღმოვეფხვრათ სოფლის მეურნეობის ჩამორჩევა მრეწველობასთან შედარებით და გადააქცევს მას კომუნისტური საზოგადოების მეურნეობის მაღალგანვითარებულ დარგად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1962 წლის მარტში მიმდინარეობდა, ყოველმხრივ განიხილა სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა და შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი განვითარების კონკრეტული პროგრამა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1962 წლის ნოემბრის პლენუმს, რომელმაც მიიღო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის სახალხო მეურნეობის მართვის ლენინური პრინციპების საფუძველზე. პლენუმმა საჭიროდ ჩათვალა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების რეორგანიზაცია თავიდან ბოლომდე, რასაც საფუძველად დაედო საწარმოო პრინციპი. ეს შესაძლებლობას იძლევა უზრუნველვყოთ მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის უფრო კონკრეტული და გეგმაზომიერი ხელმძღვანელობა, მთავარი ყურადღება მივაქციოთ საწარმოო საკითხებს.

კომუნისში ხალხისათვის შენდება. ნ. ს. ხრუშჩოვს არაერთხელ უთქვამს, რომ არ შეიძლება კომუნისში ვაშენოთ ისე, რომ ვაწარმოოთ მარტო მანქანები, შავი და ფერადი ლითონები. საჭიროა, რომ საბჭოთა ადამიანები კარგად იცვებებოდნენ, კარგად იცვამდნენ, ჰქონდეთ კარგი საცხოვრებელი ბინა და სხვა მატერიალური და კულტურული პირობები.

ჩვენს პარტიას თავისი საქმიანობის მთელ აზრად ის მიაჩნია, რომ გააუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა, განავითაროს და უფრო სრულად დააკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. ჩვენი პარტიის პოლიტიკა გამსჭვალულია კომუნისში დიდი იდეებით: ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის. საბჭოთა კავშირში ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი ხმარდება მშრომელთა პიარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობა ნიშნავს ახალ ეტაპს სსრ კავშირის





ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში, პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ ეროვნული ურთიერთობის ყველა საკითხს, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში წარმოიშობა, პარტია წყვეტს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების საფუძველზე. პარტია არ დაუშვებს ეროვნულ თავისებურებათა არც უგულებელყოფას, არც გაზვიადებას.

პარტიამ დასაბა ყველა საბჭოთა ერის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების გზა. იგი უზრუნველყოფს საბჭოთა ერების სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და ურთიერთდახმარებას, შეკავშირებას და დაახლოებას ცხოვრების ყველა სფეროში, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს სსრ კავშირს, ბოლომდე იყენებს და სრულყოფს ჩვენი ქვეყნის ხალხების ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმებს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს ყველა ერისა და ეროვნების ფაქტობრივ თანასწორობის პოლიტიკას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სსრ კავშირის იმ რაიონებს, რომლებსაც უფრო სწრაფი განვითარება ესაჭიროებათ. კომუნისტური მშენებლობის პროცესში მზარდი დოვლათი სამართლიანად ნაწილდება ყველა ერსა და ეროვნებას შორის.

კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების რაციონალურ განლაგებას, ბუნებრივ სიმდიდრეთა გეგმაზომიერ დამუშავებას, რესპუბლიკებს შორის შრომის სოციალისტური განაწილების სრულყოფას, მათი შრომითი ღონისძიებების გაერთიანებას და შეთანხმებას.

პარტიის პროგრამაში გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის კომპლექსური განვითარება და სპეციალიზაცია. რაც უფრო მეტია თითოეული რესპუბლიკის წვლილი კომუნიზმის აშენების საერთო საქმეში, მით უფრო ფართო და მრავალმხრივია საბჭოთა ადამიანების ურთიერთკავშირი. სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციის მიზნით იქმნება სარესპუბლიკათაშორისო ზონალური ორგანოები განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორც არის რწყვა, ელექტროენერჯის გამოყენება, ტრანსპორტი და სხვ.

ერებისა და ეროვნებების დაახლოებას ხელს უწყობს აგრეთვე კულტურული მშენებლობა, იდეოლოგიური მუშაობა. კომუნისტური მშენებლობის წარმატებები ამდიდრებენ სსრ კავშირის ხალხთა შინაარსით სოციალისტურ, ფორმით ეროვნულ კულტურას. ძლიერდება ერების სულიერი კულტურის ურთიერთგაცვლა. ერთი ერის კულტურის მიღწევები სხვა ერების კულტურაზე ხდება. ეს იწვევს სსრ კავშირის ხალხთა კულტურის ურთიერთგამდიდრებას, მათი ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცებას, კომუნისტური საზოგადოების მომავალი ერთიანი ზოგადსაკაცობრიო კულტურის ჩამოყალიბებას.

პარტია აყენებს ამოცანას კვლავაც უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ერების თავისუფალი განვითარება, თითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის სრული თავისუფლება, ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შეილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხების ძმური მეგობრობის და ურთიერთობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე.

ჩვენი ეპოქა, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი ათი წელიწადი, აღსანიშნავია იმით, რომ უდიდესი აღმოჩენები მოხდა მეცნიერების ყველა დარგში.

ეს აღმოჩენება:

ატომის ენერჯის პრაქტიკული გამოყენება, მაღალმოლეკულური შენაერთების ქიმიის წარმოშობა და ხელოვნური მასალების კეთება: კიბერნეტიკის განვითარება, რომლის შედეგია სწრაფმოქმედი ელექტრონული მათემატიკური, საინფორმაციო, მმართველი, მგებავი და სხვა „გონივრული“ მანქანების შექმნა; კოსმოსური სივრცის ათვისების დაწყება და მრავალი სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. 1954 წელს საბჭოთა კავშირში პირველად მსოფლიოში აშენდა ატომური ელექტროსადგური. ოთხი წლის შემდეგ ექსპლოატაციაში შევიდა 600 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომის ელექტროსადგური. შექმნილია მსოფლიოში პირველი ხომალდი—ყინულმჭრელი „ლენინი“, რომლის ძრავი ატომის ენერჯით მუშაობს. ჩვენი პირველად იქნა გამოყენებული საპაეო მიმოსვლისათვის გიგანტური რეაქტიული თვითმფრინავები.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი გამოკვლევები აწარმოეს ატომური ფიზიკის, მყარი სხეულების ფიზიკის, დაბალი ტემპერატურის ფიზიკის, ნახევარგამტარების, რადიოტექნიკისა და ელექტროტექნიკის დარგში; დაამუშავეს ძრავებში და ელექტროენერჯის წარმოებაში ატომის ხელჩადი ბირთვის გამოყენების, თერმატომგულის რეაქციის მართვის პრობლემები.

მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების მწვერვალია საბჭოთა კავშირის მიერ მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების, კოსმოსური რაკეტების გაშვება და საბჭოთა ადამიანების პირველი ტრიუმფალური გაფრენები კოსმოსური ხომალდებით დედამიწის გარშემო.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ ქართველ მეცნიერებს.

ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკური აკადემიების ბევრი მიღწევა,—აღნიშნავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელიში.—კანონიერად შეიძლება მიეკუთვნოს მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერულ შედეგებს, საკმარისია აღინიშნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა შრომები მექანიკის დარგში, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

საბჭოთა საქართველოს მეცნიერები ინტენსიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თანამედროვე მეცნიერების ბევრ წამყვან დარგში.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი მკიდროდ არის დაკავშირებული თეორიული კვლევის შემდგომ განვითარებასთან მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის დარგში. თანამედროვე ბუნებისმეტყველების განვითარების გამოცდილება გვასწავლის, რომ სწორედ მეცნიერების ამ ფუნდამენტალურ დარგებში უახლოეს დროშია მოსალოდნელი ახალი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები, რომლებიც უაღრესად გაზრდიან ადამიანის ძალას ბუნების ძალაზე. ბუნებისმეტყველების წამყვანი დარგების მიღწევები კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ მეცნიერების ყველა სხვა დარგის განვითარებაზე.

დიდი და საპატიო ამოცანები აქვს დასახული საზოგადოებრივ მეცნიერებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში მომუშავე მეცნიერები მოწოდე-



ბულნი არიან გამოიკვლიონ კომუნისმზე გადასვლის კანონზომიერებანი და ახალი, კომუნისტური საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების პერსპექტივები, შეისწავლონ კომუნისტური მშენებლობის როგორც საერთო, ისე კონკრეტული პრობლემები.

საზოგადოებრივი მეცნიერებანი კვლავაც გადაჭრით უნდა ილაშქრებდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მემარჯვენე სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, რევოიონიზმისა, სექტანტობისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, იცავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების სიწმინდეს.

ჩვენს ქვეყანაში მუშაობს მრავალი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება, მაგრამ მომავალი ოცწლეულის განმავლობაში მათი ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდება და გაუმჯობესდება. შეიქმნება მეცნიერების ახალი კერები—სამეცნიერო ლაბორატორიები და ინსტიტუტები მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში; განვითარდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში, გაუმჯობესდება სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა ტერიტორიული განლაგება; უზრუნველყოფილ იქნება მეცნიერების შემდგომი განვითარება ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და მსხვილ ეკონომიურ რაიონებში.

ყველაფერი ეს გამოიწვევს მეცნიერების უმაღალითო განვითარებას ჩვენს ქვეყანაში და შესაძლებლობას მისცემს საბჭოთა მეცნიერებს გადაწყვიტონ დიდი და პასუხსაგები ამოცანა: განამტკიცონ საბჭოთა მეცნიერების მიერ მოპოვებული მოწინავე პოზიციები ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში და დაიკავონ წამყვანი მდგომარეობა მსოფლიო მეცნიერებაში ყველა ძირითადი მიმართულებით.

თანამედროვეობის ძირითადი პრობლემაა ომისა და მშვიდობის საკითხი. მშვიდობიანი თანაარსებობა ან კატასტროფიული ომი—მხოლოდ ასე დააყენა საკითხი ისტორიამ. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც პირველად ვ. ი. ლენინმა წამოაყენა, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებლობაა.

ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რომლებმაც ჩვენი პარტიის დოკუმენტებში პოვეს განვითარება, კვლავ განუხრელად რჩება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გენერალურ კურსად. საბჭოთა მთავრობის მთელი საგარეო პოლიტიკა დამაჩერებლად მოწმობს იმას, რომ პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მშვიდობისმოყვარული ლენინური კურსის ერთგულია.

მსოფლიო ისტორიის განვითარება უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე მკაფიოდ ადასტურებს, რომ მხოლოდ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი განვითარების გზით არის შესაძლებელი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის რთული პრობლემების გადაჭრა.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი მთელ მსოფლიოში მზარდ თანაგრძობას და მხარდაჭერას პოულობს. ამის ნათელი დამადასტურებელია ის, რომ ჩვენს პლანეტაზე შეიქმნა მშვიდობის ფართო ზონა, რომელიც სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მოიცავს ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის არასოციალისტური სახელმწიფოების დიდ ჯგუფს.

სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობა

შეიძლება შენარჩუნებულ და უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ხალხი თავდადებულად იბრძოლებს იმპერიალისტების აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ ცდილობენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან და ხალხებთან ერთად გამოვიყენოთ ყველა საშუალება მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც შესაძლებელს გახდიან საესეებით გამორიცხოს ომი საზოგადოების ცხოვრებიდან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და უნარიანად წარმართავს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს ენერჯიას. გაბედულად, ლენინურად ეწევა დაუცხრომელ ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, წარმატებით წყვეტს მომწიფებულ სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებს. პარტიის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია მხურვალე ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის, პარტიისა და ხალხის კავშირი არასოდეს არ ყოფილა ისეთი მტკიცე, როგორც ახლა.

ხალხთა მკიდრო ერთიანობით ჩვენი პარტია მტკიცედ მიდის წინ, კომუნისმის გამარჯვებისაკენ.



## რწმენის პრობლემა პრაგმატიზმში

### 3. გომოგარეშვილი

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

რელიგიურ და ფილოსოფიურ ცნობიერებას შორის მიმართებისა და ურთიერთობის საკითხის კვლევას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც თვით ფილოსოფიას. ერთი ფილოსოფიური ტრადიცია, რომელიც აბსოლუტური იდეალიზმის სახელითაა ცნობილი და უკავშირდება ზებუნებრივის რეალურობის აღიარებას, უკონფლიქტოდ უთავსებს ერთი-მეორეს რელიგიური და ფილოსოფიური ცნობიერების კონტექსტებს ან განვითარების და შემეცნების ერთიანი პროცესის ხაზზე მათი სხვადასხვა საფეხურებად განლაგებით. ან პირდაპირ მათი შინაარსების დამთხვევით. ასეთ შემთხვევაში ზებუნებრივს და ბუნებრივს შორის მიმართებისა და ურთიერთობის საკითხი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის სახეს იღებს, ხოლო ამ ურთიერთობის დამდგენი და შენმეცნებელი მეთოდი იქნება ერთი. სხვა შემთხვევაში ფილოსოფიური იდეალიზმი ურთიერთობის საკითხს წყვეტს ან დუალიზმის პრინციპის შემოტანით, ან ბუნებრივის წვდომის მეთოდის ისეთი დახასიათებით, რომლის შედეგადაც თვით ბუნებრივი წარმოსდგება ზებუნებრივის ნაირსახეობად, იძენს მის პრედიკატებს, ხოლო წინასწარ პოსტულირებული ზებუნებრივისა და აბსოლუტურის რეალურობის უარყოფა აზრს ინარჩუნებს მხოლოდ ყოველივეს ირრეალურად გამოცხადებით.

მატერიალისტურმა, და საერთოდ ნატურალისტურმა, ტრადიციამ ფილოსოფიაში ურთიერთობის პრობლემა იმით გადაჭრა, რომ უარყო საერთოდ ზებუნებრივი და ყოველივეს არსებობა-შემეცნება-ახსნის შესაძლებლობა ბუნებრივისა და საზოგადოებრივ-ისტორიულ კონტექსტში მოაქცია. ამ ტრადიციამ თავისი ლოგიკური ბოლო მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიაში ჰპოვა, სადაც ერთადერთი შესაძლო მეცნიერული ფორმით გადაჭრილია რელიგიურსა და ფილოსოფიურს შორის ურთიერთობის საკითხიც. თუ დღეისათვის ეს პრობლემა აქტუალობას ინარჩუნებს, ეს აიხსნება, ერთის მხრივ, იმით, რომ თანამედროვე ბურჟუაზიის რიგ ფილოსოფიურ წრეებში კვლავაც დგას რელიგიურსა და ფილოსოფიურს შორის კონფლიქტის მეცნიერული მოგვარების საკითხი, რომლის გადაჭრის ცდებიც უნდა შეფასდეს, ხოლო მეორეს მხრივ კი იმით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ზებუნებრივის რეალურობის მეცნიერულ უარყოფით იმას როდი უარყოფს, რომ თითქოს მის რწმენას არ ჰქონოდეს, ან არ ჰქონდეს ადგილი; ამ პირობებში აუცილებელია რელიგიურის ისტორი-

ული აუცილებლობის ახსნა და მისი გარდამავალი ხასიათის გახსნა-ჩვენება. რაც მატერიალისტური ათეიზმის კომპეტენციაში შემოდის.

უახლეს და თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში შეფასება-კრიტიკის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რელიგიურის გაგების ერთი ცდა, რომელიც პრაგმატიზმის სახელთანაა დაკავშირებული. ეს უკანასკნელი ხომ მისმა ფუძემდებელმა თვითონვე მონათლა რელიგიის ფილოსოფიად, რაც შემდეგ საყოველთაოდ იქნა აღიარებული. მოდიფიკაცია, რომელიც მან განიცადა ინსტრუმენტალიზმის გზით, შეეხო რელიგიურის გაგებასაც, თუმცა აქცენტი აქ გადატანილი იქნა არარელიგიურის, მეცნიერულის ბუნების დადგენაზე. დიუიმ მხოლოდ 75 წლის ასაკში უძღვნა სპეციალური ტრაქტატი და რამდენიმე წერილი რწმენისა და საერთოდ რელიგიის საკითხებს; მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ დიდი დავა გამოეწვია სპეციალისტთა წრეებში. მანამდე ერთხმად იყო აღიარებული, რომ დიუის ინსტრუმენტალიზმი რადიკალურად გადაიხარა „პოპანიზმიდანაც“ და „პრაგმატიზმიდანაც“; ამჯერად რწმენის საკითხი „საბედისწერო“ აღმოჩნდა დიუისათვის: ერთმა ნაწილმა მასში კვლავ ჯემს-შილერის ნაკვალევი შეამჩნია, ხოლო მეორენი მკაცრ ნატურალისტურ ათეიზმს კითხულობდნენ. ასეთი საპირისპირო შეფასებებისათვის კი საბაბს თვით ინსტრუმენტალისტური თვალსაზრისი იძლევა. რწმენის საკითხმა გამოამქლავა დიუის პოზიცია: მიუხედავად ნატურალისტური ტენდენციისა, ინსტრუმენტალიზმმა ვერ დაძლია ჯემსის ფსიქოლოგიზმი, საკითხის ისტორიულმა განხილვამ ამაში უნდა დაგვარწმუნოს, ხოლო კრიტიკამ უნდა მოუხახოს ადგილი პრაგმატისტულ თვალსაზრისის რელიგიური და ფილოსოფიური აზრის ისტორიასა.

რელიგიურის პრაგმატისტულ დაფუძნებას ჯემსმა ვრცელი ფსიქოლოგიური ანალიზი წარუძღვარა. კვლევის გამოსავალ დებულებად მიღებული იქნა: „რელიგიური ცდა“ საერთოდ ადამიანური ცდის მოუცილებელი კომპონენტია, ხოლო რელიგიური ღირებულებანი ასევე აუცილებელ რგოლს წარმოადგენენ ღირებულებათა საერთო სისტემაში. პრობლემურობის ნიშნის ქვეშ დაყენებული იქნა რწმენის შინაარსობრივი მხარე და მისი მიმართება სხვა ცდისეულ სფეროთა შინაარსებთან. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ეკვმიუტანელ ფაქტად იქნა აღიარებული რწმენის ცნობიერი ფსიქოკორელატის არსებობა, ხოლო კვლევის ინტერესის ობიექტად რწმენის ობიექტი იქცა.

თუ რელიგიურ მოძღვრებებსა და საკუთრივ რწმენის ფაქტს დავეყენობით, აღნიშნავდა ჯემსი, უნდა ვაღიაროთ, რომ მათ შინაარსს უხილავის არსებობის დაშვება წარმრადგენს. არსებობს რაღაც უხილავი წესრიგი, რომელიც უნდა ვიწამოთ, რომ აზრი მიეცეს ხილულ სინამდვილეს—ასე განზოგადდება საბოლოოდ რწმენის შინაარსი. უხილავის მოხმარება ჩვენი ცდისეული სინამდვილის მარგულებლად არც ინტელექტუალური უნარისთვისაა უცხო. ინტელექტუალური საგნები, ზოგადი ცნებები და წარმოდგენები ვაცილებით უფრო ძლიერ რეაქციებს იწვევენ ჩვენში, ვიდრე ხილული, გრძობადი საგნები. თუმცა მეცნიერული ხერხებით ასეთი საგნების რეალურობა არავის დაუმტკიცებია, მაგრამ მათი მნიშვნელობის უარყოფაც არავის უცდია.

უფრო დიდი მნიშვნელობის უნდა იყოს ის „უხილავი რაღაც“, რომელიც რწმენის სფეროს განეკუთვნება. იგი უდევს საფუძვლად მთელ იმპულსურ ქცევას, მათ შორის ინტელექტუალურსაც. კანტმა ამ სფეროს შეუმეცნებადი ობიექტების სამყარო უწოდა, ესმოდა რა მას შემეცნება როგორც მხოლოდ მეცნი-




ბით ბუნებისმეტყველებისათვის, ეს მასალა იძლევა ცხადზე უცხადეს საწყისებს. გრძნობადი მონაცემები თავის მხრივ ისეთი ბუნებისანი არიან, რომ აღნიშნავენ ფაქტიურ ვითარებას. აქ არ გვაქვს მითითება იმაზე, რომ „რაღაც არსებობს“, რაც არ არის თვით განცდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სიცხადეს მოკლებული იქნებოდა, ვინაიდან ღიად დატოვებდა საკითხს. „რაღაცის“ და მასთან განცდის მიმართების შესახებ. გრძნობად მონაცემთა ერთობლიობა ქმნის იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ბუნებრივს. ყოველივე, რაც ამ გვგავრ გრძნობათა მონაცემებად არ წარმოგვიდგება, იწოდება ზებუნებრივად. ზებუნებრივია ის, რაც არ არის ამ ცდის უღი; მხოლოდ მას მიეწერება არა მარტო ცდისგან განსხვავებული არსებობა, არამედ სერთოდ არსებობა, ვინაიდან არსებობა შეიძლება გავგებულ იქნას მხოლოდ როგორც დამოუკიდებლად არსებობა, ხოლო ჩვეულებრივ ცდაში ამისდაგვარი არაფერი შეიძინება. თუ ადამიანის ცნობიერებაში მოიხანება გრძნობა-განცდა, რომელიც იქნება წმინდა არსებობის გრძნობა, მაშინ უნდა დავუშვათ ამისათვის განსხვავებული ცდის არსებობაც. ჯემსი უდავოდ მიიჩნევს ასეთი ცდის არსებობას და მას მისტიკურს უწოდებს. ადამიანის ცნობიერებაში ნამდვილად არის რეალობის გრძნობა, ობიექტური ყოფიერების შეგრძნობა, „აღქმა“ იმისა, რომ არსებობს რაღაც. ეს გრძნობები თავისი სიღრმით და ზოგადობით გაცილებით მეტია, ვიდრე რომელიმე სხვა გრძნობა ჩვეულებრივი ცდის ნაკადში. მისტიკური ცდას მთავარი თავისებურება ისაა, რომ არსებობის განმცდელის ნებისყოფა ნულამდეა დაყვანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ განმცდელი დამოკიდებულად გრძნობს თავს, იგი ყოველმხრივ ემორჩილება ზებუნებრივს, არ ძალუძს გაეთიშოს მას. ეს გასაგებია: არსებობის განცდა მხოლოდ იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც ის ვანიცდება როგორც დამოუკიდებელი გარეგანი ძალა; თუკი განმცდელი თავის თავსაც დამოუკიდებლად ვანიცდიდა ამავე მომენტში, მაშინ აზრი დაეკარგებოდა მისტიკურ ცდას, ვინაიდან მისტიკური ცდის უნარი უკავშირდება ჩვენი არსების ყოფის გამართლებას, ხოლო თუ ჩვენ შევძლებდით ჩვენ დამოუკიდებლობის განცდასაც, მაშინ გამამართლებელი საშუალება ზედმეტი იქნებოდა, რაიმეს დამოუკიდებლად ყოფნა აღარ საჭიროებს რაიმეთი გამართლებას. ჩვენი ცნობიერი მოღვაწეობა კი ყოველ ნაბიჯზე ეძებს გამართლებას და, ჯემსის აზრით, მას სწორედ მისტიკური ცდის საშუალებით პოულობს.

რელიგიურის ბუნების შესახებ პრაგმატიკულ ჰიპოთეზს ჯემსი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს. პირველი, რაც მას მოეთხოვება, მდგომარეობს ბუნებისმეტყველების შედეგებთან ჰარმონიულობის მიღწევაში. ამ მოთხოვნის აზრი გასაგებია: როგორც „ჩვეულებრივი ცდა“ გამართლებდა მისტიკური ცდის საფუძველზე, ბუნებისმეტყველებაც, როგორც მეცნიერება, თავის თეორიულ საფუძველს უნდა იმტკიცებდეს ამ ჰიპოთეზით. მეორე მოთხოვნა ხაზს უსვამს ჰიპოთეზაში მის მეცნიერულობას. მეცნიერების (ბუნებისმეტყველების) შედეგებთან თანხმობა, ჰარმონია მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ თვით ეს ჰიპოთეზა იქნება მეცნიერული. მან არ უნდა დაუშვას არცერთი გამონაკლისი არცერთი რელიგიისა და ადამიანისათვის. ჰიპოთეზა ეხება ე. წ. „რაღაცის“ არსებობას და მასთან ჩვენი ურთიერთობის პირობების დადგენას. ამ „რაღაცის“

\* В. Джемс, Многообразие религиозного опыта, гл. 51.

† იქვე, გვ. 510.





როლში არ გამოდგება არც, ვთქვათ, ქრისტიანთა იელოვა და არც მაჰმადიანთა „ალაჰი“. მითუმეტეს არ გამოდგება კავშირის პირობად არც ქრისტე და არც მაჰმადი. ორთავე შემთხვევაში ინდივიდუალურ მოვლენებთან გვაქვს საქმე და ისინი გამოცხადებულია „ზერწმენად“ (over belief). ზერწმენის ფაქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმით, რომ მათ გარეშე საერთოდ არ დაისმებოდა რწმენის ბუნების საკითხი. მთავარია ის, რომ ვილაცას „რალაცა“ და მათან კავშირის პირობის არსებობა სწამს და თუ მისტიკური ცდის მონაცემებამაში ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, მაშინ ჰიპოთეზას ისლა დარჩენია, რომ მოახდინოს ინდივიდუალურისაგან აბსტრაგირება და ილაპარაკოს „რალაცაზე“, როგორც არსებულზე, და მასთან ჩვენი კავშირის პირობაზე.

ჯემსის ჰიპოთეზა განსაკუთრებით „თანამედროვე ფსიქოლოგიის“ მიღწევებს ეყრდნობა. კერძოდ, ჯემსს მიაჩნია, რომ ადამიანის სულიერი სამყარო გაცილებით უფრო ფართოა იმაზე, რაც ჩვენ ვიცით მის შესახებ. სუბლიმინალური პროცესების არსებობაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს და მაშინ მისტიკური ცდის შინაარსიც გასაგები გახდება: „...ადამიანის ცნობიერი „მე“ წარმოადგენს უშუალო გავრცელებას მოცულობით უფრო ფართო „მესი“, რომელიც კრიტიკულ მომენტებში წარმოშობს ვადამჩინებ ცდას და რელიგიურ ცდას აძლევს დადებით შინაარსს, ხოლო ეს უკანასკნელი სრულიად ობიექტურად ჰეშმარიტია თავის მთელ მოცულობაში“<sup>5</sup>. ჩვენი არსების საბოლოო საზღვრები იმყოფება გრძობადი და ინტელექტუალური წვდომის სამყაროს იქით, ყოფიერებას სრულიად სხვა სფეროში. ჩვენი სულიერი მისწრაფებების და იდეალების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ სფეროდან იღებს დასაბამს. მართალია, უმეტესად ეს იდეალები და მისწრაფებები ჩვენთვის გამოუცნობია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამ იდეალებითა და მისწრაფებებით უფრო ვცხოვრობთ, რის გამოც ჩვენი არსება მითითებულ სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე ხილულ სამყაროს. ვინაიდან ამ ცხოვრებისეული რეალური შედეგები ყოველთვის გვევლინება რალაც იდეალურის რეალიზაციად, ხოლო თვით ეს იდეალური საწყისის იღებს უხილავ სფეროში, ჯემსის აზრით, ისლა დაგვრჩენია, რომ ვამტკიცოთ მისტიკური სამყაროს რეალურობაც. მას შეიძლება ღმერთიც დავარქვათ, მხოლოდ უნდა ვივარაუდოთ მისი არსებობა იმდენად, რამდენადაც იგი ახდენს რეალურ მოქმედებას. ეს მოქმედება საერთოდ ასე უნდა გავიაზროთ: ჩვენი ერთიანი სულიერი სამყარო თავის შიგნით შეიცავს „მრავალ სამყაროებს“. ერთ-ერთი მათგანია „ნათელი ცნობიერების“ სამყარო, რომელსაც საქმე აქვს „ხილულ სინამდვილესთან“. ეს ცნობიერება აღიქვამს, წარმოადგენს, ასაბუთებს. მეორე სამყარო არაცნობიერის სამყაროა. ამ „სამყაროს სული“ არც აღიქვამს, არც წარმოადგენს, არც ასაბუთებს. პრაგმატისტული ჰიპოთეზის აზრით, ეს ორივე სამყარო აუცილებლად საჭიროა ადამიანი-ორგანიზმისათვის და უნდა ვივარაუდოთ მათ შორის საერთო შეხების წერტილის არსებობა. სუბლიმინალური პროცესები უნდა გავიგოთ, როგორც უბრალო ზიარება ზებუნებრივის წესრიგისა („ღმერთისა“). „ცნობიერი სული“ მზა სახით პოულობს ამ წესრიგს (მისი გაცნობიერება არ შედის მის კომპეტენციაში), ქმნის შესატყვის იდეალებს და უნდა ზრუნავდეს მხოლოდ მათ რეალიზაციაზე ხილულ სამყაროში.

<sup>5</sup> Многообразие религиозного опыта, гл. 505.

ლმერთი, რომელიც შოკლებულია რეალიზაციის შესაძლებლობას, არაა ლმერთი<sup>6</sup>.

„ლმერთის“ ქმედება გრძობად სინამდვილეზე გაშუალებულია სუბლიმინალური პროცესებით. სუბლიმინალური გზით შექრა ცნობიერებაში ქმნის შთაბეჭდილებას: რაღაც იდეალური ძალა დგას ჩვენ წინ როგორც ნაწილობრივ „ჩემი მე“, ხოლო ნაწილობრივ „არა მე“, და იწვევს ისეთ სულიერ განახლება-მდგომარეობას, რომელიც სხვა გზით ჩვენთვის მიუღწეველი და გაუგებარია. მაშ, ჰიპოთეზა საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდება: არსებობს ზებუნებრივი ძალა— ლმერთი, რომლის წვდომის უნარი მისტიკური ცდის სახით გავაჩნია, ეს ძალა, ცნობიერებაში სუბლიმინალური პროცესების გზით შემოჭრილი, კეთილ ზეგავლენას ახდენს იმ ბუნებრივ სამყაროზე, რომელსაც განეკუთვნება დანარჩენი მთელი ჩვენი ცდა<sup>7</sup>.

თავისი ჰიპოთეზის ორიგინალობას რომ ხაზი გაუსვას, ჯემსი კიდევ ორი მომენტით აზუსტებს მას. „პრაგმატისტული ლმერთი“ არ უდრის რელიგიისა და ფილოსოფიის ტრადიციით წარმოდგენილ ლმერთს თუნდაც იმიტომ, რომ მასში არაა ლმერთის უსასრულობის კატეგორიული მოთხოვნა. ის „რაღაც“, რასაც „პრაგმატისტული ლმერთი“ აღნიშნავს, თავისუფლად შეიძლება გააზრებული იქნას როგორც დაბოლოებული. მთავარია, რომ „რაღაც“ არსებობს, რომლის ზიარება ცდას აფართოებს. ფაქტები არ საჭიროებს მის უსასრულობას. ის შეიძლება იყოს კიდევ უსასრულო, მაგრამ მიზანი, რომელსაც ის ემსახურება არ მოითხოვს მის უსასრულობას; „ლმერთი“ თავის საქმეს დაბოლოებულის სახითაც ვააკეთებს.

მეორე მომენტი, რომელიც დააზუსტებს „პრაგმატისტული ლმერთის“ ცნებას, ესაა თავისებურად გააზრებული შესაძლებლობის კატეგორიის შემოტანა. ლმერთი ერთ შემთხვევაში ვაგებულები იყო როგორც აქტუალური (რელიგიურ დოქტრინებში), მეორეში, როგორც აუცილებელი (უნივერსალური სუპრანატურალიზმი), ხოლო სხვა შემთხვევაში, როგორც შეუძლებელი (ნატურალიზმი). ნამდვილად კი ლმერთი უნდა მოვიაზროთ როგორც შესაძლებლობა. შესაძლებლობა კი თავის მხრივ უნდა გავიგოთ როგორც „სინამდვილის რაღაც მესამე მდგომარეობა“. დამტკიცებულია, რომ ზებუნებრივის როგორც აქტუალურად, ისე აუცილებლად და შეუძლებლად ვაგებას წინააღმდეგობა შეიძლება ვაეწიოს. ამასთან, ვამტკიცებთ თუ უარეყოფთ ზებუნებრივის ამ სამი შესაძლო ფორმით არსებობას, თანაბრად აბსურდულ მდგომარეობაში ვვარდებით. ერთადერთი, რაც არ იწვევს წინააღმდეგობას, ესაა ლმერთის შესაძლებლად ვამოცხადება. სწორედ ის, რომ არ არსებობს რაიმე დამაბრკოლებელი წინააღმდეგობა, ხდის რაიმეს შესაძლებლად<sup>8</sup>. აქედან, ვინაიდან ლეთაბრივის ვარდასახვა იდამიანში იდეალების სახით ჩვენი არსების განმსაზღვრელ მომენტს ქმნის, მაშინ უნდა ვამტკიცოთ ისიც, რომ „არაფერი ისე დამახასიათებელი არაა ადამიანის ბუნებაში, ვიდრე მისი უნარი იცხადროს იმით, რომ არსებობს როგორც შესაძლებლობა“<sup>9</sup>.

ამგვარად ვაიგო ვემსა რწმენის (რელიგიური) პრობლემა და ასეთი ვადაწყვეტა მოუნახა მას. ამ ვაგება-ვადაწყვეტის ავკარგიანობაზე ლაპარაკი შეიძ-

<sup>6</sup> Многообразие религиозного опыта, гл. 507—509.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 515.

<sup>8</sup> В. Джемс. Прагматизм, гл. 173.

<sup>9</sup> Многообразие религиозного опыта, гл. 518.

ლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გათვალისწინებული იქნება უახლესი მიღწევები იმავე მიმართულებით; ეს კი ინსტრუმენტალიზმის სახელაანა დაკავშირებული.

ჟ. დიუის რამდენიმეჯერ ჰქონდა საბაბი თავისი დამოკიდებულება გამოთქვა ჯემსის პრაგმატიზმთან და მილერის „ჰუმანიზმთან“, რომლებსაც ფილოსოფიური კრიტიკა ხშირად აიგივებდა ინსტრუმენტალიზმთან. ერთ-ერთი ასეთი საბაბი დიუის მისცემია 1933 წელს, როდესაც მას ხელი მოუწერია „ჰუმანიზტური მანიფესტისათვის“. თავისი მოწაფის შეკითხვაზე, თუ რა მოსაზრებით მოაწერა მან ხელი ამ მანიფესტზე, დიუი პასუხობს, რომ იგი სიმპათიურად განეწყო მანიფესტში წარმოდგენილი რელიგიური კონტექსტისადმი და არავითარ შემთხვევაში არ ივალდებულებს თავს მანიფესტის ყოველი წინადადებისათვის. რაც შეეხება „ჰუმანიზმს“, იგი ასოციატირდება ფერდინანდ შილერის სახელთან, რომელიც დიდ პატივცემას იმსახურებს, მაგრამ თანაბრად იმსახურებს კრიტიკასაც ინსტრუმენტალიზმის პოზიციებიდან. მისი „ჰუმანიზმი“, დიუის აზრით, მეტისმეტად სუბიექტივისტურია, იმდენად გატაცებულია ადამიანურით, რომ ივიწყებს და ეთიშება ბუნებრივს. ინსტრუმენტალიზმი კი ჰუმანიზმს ნატურალიზმის ბაზაზე აფუძნებს; კარგად გაგებული ნატურალიზმი შეიძლება იმავე დროს იწოდებოდეს „ჰუმანიზმად“.

ვ. ჯემსის პრაგმატიზმში კი დიუის არ მოსწონს სუბრანატურალისტური ელემენტი<sup>10</sup>. ზებუნებრივის არსებობის დაშვება წინააღმდეგობას ქმნის პრაგმატიზმში, ამიტომ მისგან განთავისუფლებითაც დიუი ახალ სიტყვას გვიპირდება ამ მიმდინარეობის ისტორიაში.

მეცხრამეტე საუკუნის ტრანსცენდენტალიზმმა, წერდა დიუი, შექმნა ერთი საერთო მიმართულება, რომელშიც „გონება“ ლებულობს უფრო რომანტიკულ, ნათელ, ლამაზ და კოლექტიურ ფორმას. აქ უკვე მოცემულია ზებუნებრივისა და ამქვეყნიურის გათქეფის აუცილებლობა და ეს გაკეთებულია ისეთი დამაჯერებლობით, რომ მის შემდეგ ზებუნებრივის არსებობაზე დაპირება კი მხოლოდ ვაუგებრობით შეიძლება იყოს გამოწვეული. მაგრამ არსებობს რელიგია და არსებობს რელიგიური სფეროც ერთიანი ცდისა; მათი ახსნა-გამართლება უნდა მოხერხდეს ჩვეულებრივი მეთოდით, რომელსაც წარმატებით იყენებს ყველა მეცნიერება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება თავიდან აცილებული მსჯელობა ზებუნებრივზე და მისი წვდომის განსაკუთრებულ გზებზე<sup>11</sup>.

დიუი მიიჩნევს, რომ დღევანდელ პირობებში გახშირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ცალკეული პიროვნებანი არ აღიარებენ რომელიმე რელიგიას და ამით სურთ ხაზი გაუსვან იმას, რომ თითქოს არ არიან რელიგიურნი (მორწმუნენი). რატომღაც შექმნილია შთაბეჭდილება, რომ ინტელექტის ახლანდელ ეპოქაში რელიგიური მხოლოდ ხელის შემშლელია. ასეთ პირობებში დიუი დასცინის „ცრუ თანამედროვეებს“ და იტყვის, რომ იგი, ვინც უარყოფს რელიგიურს ინტელექტუალური და მორალური დასკვნებით, ვერ ამჩნევს, რომ თვითონაც რელიგიური ხდება. შეიძლება ვინმე არ აღიარებდეს რომელიმე რელიგიას, ან საერთოდ რელიგიას, მაგრამ ეს სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს რელიგიურის უარყოფას. „რელიგიური“, როგორც თვისობრიობა ცდისა, აღნიშნავს რაიმეს, რაც

<sup>10</sup> The Journal of Philosophy, Vol. LVIII, №1, 1961, p. 28.

<sup>11</sup> Dewey John, A common Faith, New Havel, Yale University press, London, 1934, p. 65.

შეიძლება იყოს კავშირში ყოველივე დანარჩენ ცდისეულთან (ვთქვათ, ესთეტიკურთან, მეცნიერულთან, მორალურთან და პოლიტიკურთან). პოლარული დაპირისპირებულობა მათ შორის თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, როდესაც განსხვავებულობა (განსხვავებულობა კი ნამდვილად არსებობს, ვთქვათ რელიგიურსა და პოლიტიკურს შორის) გამოყენებულია რწმენის რაიმე სპეციალური სახის ობიექტისა და ასევე სპეციალური პრაქტიკის დასამტკიცებლად<sup>12</sup>. ყველა რელიგია, რომელსაც კი იცნობს კაცობრიობის ისტორია, უსათუოდ ჩვენი ცდის ამ რელიგიურ მხარეს ეყრდნობა და მისი განსხვავებულობის უკიდურესობამდე მიყვანით ამტკიცებს რწმენის ობიექტის იზოლირებულ, ზებუნებრივი სახით არსებობას.

სავულისხმოა ისიც, რომ ყველა რელიგიაში რწმენა მორალური და პრაქტიკული მნიშვნელობით ხასიათდება. ამისათვის ყველა რელიგიურ სისტემაში უხვადაა გამოყენებული ინტელექტუალური საშუალებანი. „რელიგიები“ მოგვითხრობენ ჭეშმარიტების პრეტენზიის ენით, შეიცავენ ბევრ ფაქტიურ ისტორიულ მასალას, რომელიც საბუთადაა გამოყენებული ამა თუ იმ რელიგიური სისტემის კანონიერების დასამტკიცებლად. მძლავრი „დოქტრინული აპარატი“, რომელიც ყველა რელიგიას გააჩნია, მძიმე მოთხოვნილებებს უყენებს მორწმუნეს. მაგრამ ის, რაც არის ნამდვილი რწმენითი ადამიანის ცდაში, ხშირად წინააღმდეგობაში ექცევა დოქტრინასთან, ვინაიდან რელიგიური დოქტრინები მხოლოდ ეყრდნობიან რწმენის ფაქტის აუცილებლობას და გარკვეული მიზნით (მორალური, პრაქტიკული) სულ სხვადასხვა შინაარსების სისტემებს წარმოადგენენ. ინდივიდის შეზღუდვა იმით, რაც არ არის ზოგად-ადამიანური, კოლექტიურ-ცდისეული, გარკვეულ პერიოდში ბადებს პროტესტს ან სულიერ დაცემულობას; რელიგიის ახლანდელი კრიზისი და ბოლო დროს გახშირებული სკეპტიციზმი და ავნოსტიციზმი დიუის უმეტესწილად ამ ვითარებითა აქვს ახსნილი<sup>13</sup>.

რელიგიის ფილოსოფია ნამდვილად რელიგიებით კი არ უნდა დაინტერესდეს (თუმცა ისინი შეიძლება გამოყენებული იქნან მასალად). ფილოსოფიას ასეთ შემთხვევაში საქმე აქვს რელიგიურთან, როგორც საერთო ადამიანური ცდის ერთ-ერთ მდგომარეობასთან, არსებობს შესაძლებლობა, რომ ეს მდგომარეობა აღწერილი და ახსნილი იქნას მეცნიერული მეთოდებით, ყველა მეცნიერებას მერ-ნაკლებად აქვს საქმე იმ სფეროსთან, რომელსაც რელიგიური განეკუთვნება, ხოლო თანამედროვე ფსიქოლოგიამ კი, იტყვის დიუი, ბუნებრივი ახსნა მოუწახა ისეთ ფენომენს, რომლის ზებუნებრივი წარმოშობა წინათ უთუოა მიაჩნდათ. ამგვარი კვლევის გზაზე შეიძლება თავი იჩინოს ერთმა საშიშროებამ, რომელიც რელიგიური, მეცნიერული და სხვა ცდისეულ მდგომარეობათა იდენტიფიკაციაში გამოიხატოს, მაგრამ ამ საშიშროებას ადვილად დავალწევთ თავს ისევ მეცნიერული მეთოდით. გაცილებით უფრო დიდი საშიშროებაა გენერალური ტენდენცია—გათიშონ ცდა ორ განსხვავებულ რეალობად, რომელთაგან ერთთან საქმე ექნება მეცნიერებას, ხოლო მეორესთან შემეცნების სპეციალურ სახეს, უშუალო წვდომას. თუ ეს საშიშროება იქნება ჩამოცილებული გზიდან, იდენტიფიკაციასაც ადვილად დავალწევთ თავს. საქმე იმაშია, რომ დადებითი ვითარება გვარწმუნებს რელიგიურ ღირებულებათა განსხვავებულობაში. ისინი

<sup>12</sup> A common Faith, p. 11.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 29—31.





ყოველთვის როდი უკავშირდებიან ყველა ინტელექტუალურ მტკიცებას. რელიგიურის ემანსიპაცია მოხერხდება იმით, თუ სპეციალურ ჰემშარიტებათა მომცველი ცნებები გადაეცემა მის საკუთრებაში, ვინაიდან ისინი საკუთარი ბუნებით რელიგიურნი არიან. მართალია, ამ ჰემშარიტებათა მიღწევა იმავე გზებით ხორციელდება, როგორც მეცნიერებაში, მაგრამ როგორც შედეგები, ისინი ერთგვარად განსხვავდებიან მეცნიერების პოზიტიური შედეგებისაგან. არ არსებობს უფსკრული მეცნიერულსა და რელიგიურს შორის, არ არსებობს რაიმე მასალა, რომელთანაც მხოლოდ მეცნიერებას, ან მხოლოდ რწმენას ჰქონდეს საქმე. განსხვავება დაიჭირება შედეგებში, რომლებიც ერთიდაიგივე მეთოდი იქნებიან მიღწეულნი. მეცნიერება არასოდეს არ ისაზღვრება რაიმე სახის მასალის დადგენით. მისი ინტერესი სათანადო მეთოდის საშუალებით სარწმუნო შედეგების მიღწევისა უსაზღვროა და ვრცელდება ყოველი სახის მასალაზე; ამის შემდეგ აღარ რჩება ადგილი „სპეციალური მასალისათვის“, რომელიც იქნებოდა, ვთქვათ, რწმენის მასალა<sup>14</sup>.

მაშ რა არის „რელიგიური“ ჩვენს ცდაში, როგორ უნდა დახასიათდეს „იგი“ (ეს „რადაც“). ამ კითხვაზე პასუხის შემდეგ გაირკვევა ინსტრუმენტალისტური სიახლეც.

ისტორიულად ცნობილია, რომ რელიგიასა და მეცნიერებას შორის არსებობდა კონფლიქტი. რელიგიას ყოველთვის აბსოლუტურობის პრეტენზია ჰქონდა, მისი დებულებანი ურყევ ჰემშარიტებად იყო მიჩნეული, მაშინ როცა მეცნიერებას ამოძრავებდა ნოვატორული სული, იგი შემეცნების გზაზე შესაძლებლობათა უსასრულობით სუნთქავდა. მაგრამ ცნობილია, რომ ამ კონფლიქტის მოუხედავად მეცნიერება მაინც აღწევდა და აღწევს სასურველ შედეგებს; ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა წინააღმდეგობას აწყდებოდა მეცნიერება რელიგიის მხრიდან, მთავარი ისაა, რომ იგი აღწევდა შედეგებს და ეს შედეგები საზოგადოების საკუთრებაში გადადიოდა. ისტორიამ კარგად იცის ისეთი შემთხვევებიც, როცა რელიგია თვითონ იყენებდა მეცნიერულ მიღწევებს. დიუი აქედან ასეთ დასკვნას აკეთებს: კონფლიქტი რელიგიასა და მეცნიერებას შორის მოჩვენებითი ვითარების შედეგია, შეცდომისეულია. ეს კონფლიქტი რომ აღექვატურად გამოთქვამდეს ადამიანური ცდის აქტუალურ ვითარებას, მაშინ რელიგიური აბსოლუტურად უნდა გამორიცხავდეს მეცნიერულს და პირიქით. ისტორია კი საამისო მაგალითებს არ იძლევა: „რელიგიური სულის“ ბატონობის ეპოქაშიც ვერ მოხერხდა მეცნიერების დათრგუნვა, ისე როგორც, დღეს, მეცნიერების ტრიუმფის ეპოქაში რელიგიური თავის მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებს<sup>15</sup>.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დიუის მიერ მითითებული „გენერალური ტენდენცია“—გათიშულ იქნას ერთიანი ცდა ორ დამოუკიდებელ სფეროდ. ისიც აღვნიშნეთ, რომ ეს სფეროები (რელიგიურისა და მეცნიერულის) პოლარიზდებიან მათ განსხვავებულობათა უკიდურესობამდე მიყვანით. სწორედ ამაში ხედავს დიუი ტენდენციის აღმოცენების მიზეზს. თუ ამ მიზეზის არსებობა გამართლებული იყო აღრე მეცნიერების ჩამორჩენილობით (მეცნიერებამ არ იცოდა ბევრი რამ და უნებლიედ ტოვებდა ადგილს ზებუნებრივის რწმენისათვის), დღევანდელ პირობებში მისი დატოვება დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. უნდა ვა-

<sup>14</sup> A common Faith, p. 37-39.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 39.

ღიაროთ როგორც ფაქტი მეცნიერულსა და რელიგიურს შორის არსებული ჰარმონია იმ პირობით, თუ რელიგიურის ცნებას გავწმენდთ ძველი პრედიკატებისაგან. ჰარმონია გულისხმობს, ერთი მხრივ, შინაარსებში იგივეობრივის არსებობას (რალაც მეცნიერულის ახასიათებს რელიგიურს და რალაც რელიგიურის — მეცნიერულს), მეორე მხრივ, საერთო მიზნისადმი სამსახურს. საერთო მიზანი ეთიკურის სფეროშია. მეცნიერულიც და რელიგიურიც საბოლოოდ ეთიკური ეფებენ გამართლებას. საპირისპირო მიმართულებით ისინი ერთსა და იმავე მიზნისათვის იღწვიან (სიკეთე). რელიგიურის გზა დევს საზღვრითი იდეალებიდან აქტუალურობისაკენ, მეცნიერულისა კი პირიქით. შეხვედრის მომენტა ისევ აქტუალობით აღინიშნება, ვინაიდან მეცნიერული გზა მარტო აქტუალურიდან იდეალურისაკენ როდი ვრცელდება; მეცნიერულს არანაკლებ ახასიათებს ტრანსფორმაციის მოთხოვნა იდეალურისა აქტუალურად, აბსტრაგირების რომელ საფეხურზედაც არ უნდა იმყოფებოდეს ეს იდეალური. აქ იყრის ყველა სიძნელე თავს, რომელიც დაკავშირებულია რელიგიურის ინსტრუმენტალურ გაგებასთან, მისი მეცნიერულთან ურთიერთობის საკითხთან.

ყოველი რელიგიის „საყრდენ ცნებას“ წარმოადგენს „ღმერთი“, რომელიც აღნიშნავს მისტიკურ რეალობას. ჩავთვალოთ დიუის მიერ დამტკიცებულად, რომ ამგვარი რეალობა არ არსებობს. მაგრამ დიუი აღარ უარყოფს, რომ არსებობს გარკვეული შინაარსი, რომელიც ასოციაცირდება „ღმერთის“ ცნებასთან. ინსტრუმენტალისტურად „მოდრიფიცირებულ რწმენას“ სწორედ ამ შინაარსთან აქვს საქმე, ხოლო საკუთრივ კვლევა მის ბუნებას ეძებს. რაკი ამ შინაარსის წყაროდ მისტიკური სინამდვილე გამოირიცხულია, შემდეგ დიუისათვის აღარ აქვს მნიშვნელობა, თუ რა სახელით აღნიშნავენ მას, მაგრამ იგი ტრადიციას არ ღალატობს და ამ შინაარსს „ღმერთად“ იხსენიებს. ეს შინაარსი მოიცავს იდეალებს, მაგრამ არა ყოველგვარ იდეალებს; რწმენის შინაარსი გულისხმობს მხოლოდ საზღვრით იდეალებს. საკუთრივ რწმენა ნიშნავს ამ იდეალების აქტუალიზირების რწმენას.

რას წარმოადგენს ეს იდეალები?

იმ დროს, როდესაც დაშვებულია ზებუნებრივის არსებობა, ეს იდეალები გავებულია როგორც მხოლოდ იდეალები და ქმნიან კონტრასტს ჩვენს ყოველდღიურობასთან. ზებუნებრივის უარყოფის შემდეგ ისინი გავებული უნდა იქნან როგორც აღმოცენებული და განვითარებული აქტუალური ვითარების ბაზაზე და ყოველი აქტუალური ვითარებისათვის. დიუის აზრით, ღმერთის ცნება უფრო დაზუსტდება; თუ მით აღვნიშნავთ იდეალურ-აქტუალურს შორის აქტიურ მიმართებას. ღმერთი არ არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ბუნების გარეშე იქნებოდა, ღმერთი „არსებობს“ მხოლოდ საზღვრითი იდეალების ერთიანობის სახით, რომელთა ძირები ბუნებრივ პირობებშია და იწვევენ ჩვენში გარკვეულ სურვილებს და მოქმედებებს. არაა გამორიცხული, რომ ვინმემ იდეალებს კვლავ მიაწეროს დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ, რაკი ერთხელ დადგინდება რომ მათ ძირები ბუნებისა და ცხოვრების პირობებში აქვთ, შემდეგ კრიტიკაც გაადვილდება. გადაჭრით შეიძლება დღეს იმის მტკიცება, რომ არ არსებობს სხვა „ადგილსამყოფელი“ მიზნებისა და ყოველგვარი იდეალებისათვის, თუ არა პიროვნება, მისი ხასიათი და ქცევა“<sup>16</sup>.

<sup>16</sup> A common Faith, p. 42-51.

ბუნების ძალებთან ადამიანის ურთიერთობა და თვით ადამიანთა შორის ურთიერთობა წარმოშობს და ზრდის იდეალებს. ეს იდეალები მოწოდებული არიან იმთავითვე სარეალიზაციოდ. წარმოსახვის მაპროექტირებელი უნარი ამთლიანებს მათ. სწორედ ამავე გზით ყალიბდება საზღვრითი იდეალები; საერთოდ რომ შესაძლებელი იყოს შემეცნების დასრულებად პროცესად წარმოდგენა, ისინი შეიძლება განხილული იქნან როგორც მეცნიერული შემეცნების ბოლოვანი პუნქტები. მეცნიერებას სწამს ჭეშმარიტების უწყვეტად, თანდათანობით გახსნის შესაძლებლობა, იგი ახორციელებს კიდევ ამ პროცესს, მაგრამ, ვინაიდან აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუღწეველია, მეცნიერებაც ამ შემთხვევაში არანაკლებ რელიგიურად გვევლინება<sup>17</sup>. რელიგიურიც გულისხმობს მეცნიერულ კონტექსტს, ისე როგორც მეცნიერული—რელიგიურს. იდეალურის რწმენა ეფუძნება როგორც აქტუალურის „რწმენას“, რომელიც შეურყეველია; უნდა ვივარაუდოთ ამიტომ რომ თვით იდეალურის რწმენაც ურყევი და მტკიცეა. იგი არ შეიძლება იყოს მოჩვენებითი. იდეალური ღებულობს კონკრეტულ ფორმას, როგორც კი ჩვენ შევიმეცნებთ ჩვენს ურთიერთობებს და ამ ურთიერთობის პროდუქტებთან—ღირებულებებთან ჩვენს მიმართებებს. იდეალური რეალიზებადია, თუმცა არა აბსოლუტურად აქტუალიზირებადია. ამითაც ემსგავსება რელიგია მეცნიერებას. საზღვრითი იდეალები აბსოლუტურად რეალიზირებადი და აქტუალიზირებადი იქნებოდნენ, თვით მეცნიერებასაც რომ შეეძლოს აბსოლუტურის მიღწევა. ჩვენ ყოველთვის გვჩნება რაღაც შეუმეცნებელი, რის გამოც იდეალურის სრული კონკრეტიზირებაც არ ხერხდება. ვინაიდან ყოველთვის რჩება ასეთი „არა რეალიზებადი“ იდეალურში, ეს იძლეოდა საბაზს ზებუნებრივის რწმენისათვის. ასეთი საბაზი ყოველთვის იარსებებს. მაგალითად, დღეისათვის ჩვენ ვერ მოგვიხერხებია ზუსტად ავხსნათ ტვინ-აზრის მიმართება, რისთვისაც სავარაუდოდ ვტოვებთ შუამავლად ზებუნებრივს. ასევე არ ვიცით ვერ კიდევ სოციალური მასალის შიგნით მიმართება მიზეზებსა და შედეგებს შორის, რის გამოც ჩვენ არასაკმაოდ ვერკვევით კონტროლში. აქედან კი ხდება დასკვნა: საზოგადოება საპირობებს ზებუნებრივ კონტროლს და სხვა<sup>18</sup>. მაგრამ ყოველივე ეს დროებითია, ე. წ. საზღვრითი იდეალები, როგორც დაბოლოებულად და სასრულადაც არ უნდა გვეჩვენებოდნენ. მაინც ცვალებადნი არიან: ცხოვრების პირობების ცვლასთან და კულტურის წინსვლასთან ერთად იდეალებიც იცვლიან სახეს, ვითარდებიანო, იტყვის დიუი<sup>19</sup>.

რწმენა, რომელიც ასეთ იდეალებს ეხება, დიუის აზრით, აღარ იქნება რწმენა ძველი ცნებით. ასეთი რწმენა დაახასიათებს საერთოდ კაცობრიობას, იქნება ადამიანური ცდის მოუცილებელი კომპონენტი და ვერ დაეტივა ვერცერთი სექტის, კლასის თუ რასის ფარგლებში. ამ რწმენას ეძახის დიუი საზოგადო რწმენას. თუ ლამონტს დავუჯერებთ, დიუის შეუქმნია ამ რწმენის საფუძველზე ჰუმანისტური რელიგიის იდეა. რელიგია არ შეიძლებოდა მანამდე ყოფილიყო ჰუმანური, რადგან იგი, ვერ ერთი, გამორიცხავდა ადამიანის აქტიურ მიმართებას ბუნებასთან. მეორეც, თვით ჰუმანურობაც კი ღვთისმსახურების ობიექტად იყო გაგებული. დიუის მიერ მითითებული ღმერთი თითქმის ექსპერიმენტულად მიწვედოდა და აქვს წინასწარდანიშნულება ემსახუროს ადამიანს. ამერიკული

<sup>17</sup> A common Faith, p. 51; აგრეთვე, Journal of Philosophy, № 1, 1961, p. 22.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 87, 76.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 50.

პუმანიზმი პირდაპირ თანხმობაშია რელიგიის შესახებ დიუის მოძღვრებაში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებთან<sup>20</sup>.

დიუის თვალსაზრისს რწმენის საკითხებზე საკმაოდ დიდი დავა გამოუწვევია მისი შრომის („A Common Faith“) გამოქვეყნებისთანავე. ეურნალ „The Christianity Century“-ს სპეციალური სიმპოზიუმი მოუწვია ამასთან დაკავშირებით. ამ სიმპოზიუმზე მრავალი საპირისპირო აზრი გამოთქმულა. ალბიონის კოლეჯის პროფესორი არდუტ მანკი ირწმუნებოდა, რომ დიუის ღმერთი უპირობა, იგი ღირებულების შემქმნელ პროცესს უფრო განეკუთვნება და ნაკლებ აქტუალურია. კრიტიკულად განწყვნიენ დიუის თვალსაზრისის მიმართ თვით მისი მოწაფეებიც—ედვინ ბარტი, ჯორჯ გეიგერი, სიდნეი პუკი და სხვები. ამის გამო დიუის სპეციალური ახსნა-განმარტებების გამოქვეყნება დასჭირდა, თუმცა შემდეგაც მისმა „ღმერთმა“ ერთნაირი გაგება მაინც ვერ პპოვა. დიუი წერდა: „მე მუშას კოსმოსისა და საერთოდ ყოველივეს ნეიტრალობა ადამიანთა მიზნებისა და ღირებულებისაგან“. ამის შემდეგ ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას „ღმერთზე“, ისაა, რომ იგი შესატყვისი ტერმინია ადამიანთა ისეთი მოქმედებებისა, რომლებიც სრულდება ბუნებისა და საზოგადოების გარკვეული ძალების ირგვლივ. იგი ტრადიციუბას ახდენს ადამიანური იდეალებისა<sup>21</sup>. ამ განმარტებით დიუიმ ვერ შეიტანა რაიმე სიცხადე თავის კონცეფციაში და დღესაც ხშირად ისმის საყვედურები მისი „ღმერთის“ მისამართით. საინტერესოა ამ მხრივ პარსონის შენიშვნები, გამოქვეყნებული „The Journal of Philosophy“-ის LVIII ტომის № 5-ში.

პარსონი საერთოდ იზიარებს ინსტრუმენტალისტურ თვალსაზრისს, მაგრამ წინააღმდეგობებს აღმოაჩენს რწმენის დიუისეულ დაფუძნებაში. იგი ჯერ თანმიმდევრულად გადმოცემს მოთხოვნისებებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს რწმენის სფერო. 1) მთლიანობის აღდგენა; როდესაც ფიზიკური ობიექტები ითარგმნებიან აზრის ენაზე, იმსხვრევა მთლიანობა. საჭირო ხდება კვლავ გათლიანება. რწმენას ამ მხრივ ავალია „ჩაატაროს საბოლოო ოპერაცია“. რწმენა უნდა გულისხმობდეს „მტკიცე, ყოვლისმომცველი მთელის“ აზრს. ამასთან რწმენაში „არსებული მთლიანობა“ უნდა წარმოადგენდეს არა „მიღწეულ მიზანს“, არამედ აღნიშნავდეს აღქმის, შეგრძნობის შესაძლებლობას. 2) რწმენა უნდა გულისხმობდეს ჩვენს ერთიანობას და შერწყმას ყოველივესთან, რაც ზელს უწყობს და სანქცირებას უკეთებს ჩვენს ყოველ ღონისძიებას და მიღწევას; ამ შემთხვევაში პირველად ბუნებაა გასათვალისწინებელი. მართალია, ადამიანი გამოეყო ბუნებას, მაგრამ თავის ერთიანობას ბუნებასთან ისევ ბუნებით შეიცნობს, ვინაიდან ბუნებაა წარმოდგენილი ადამიანში გაყოფილად და მთლიანადაც და არა პირიქით. ამის შემდეგ პარსონი მიუთითებს ზოგიერთ არათანმიმდევრობაზე დიუისთან. პირველი საყვედური შეეხო დიუის „მთლიანს“ (Whole). „გამთლიანების“ თვისება იდეალებს ახასიათებს ერთის მხრივ, მაგრამ ვინაიდან თვითონ იდეალები არასოდეს არ წარმოადგენენ ანტეცენდენტურ რეალობებს, ამიტომ ისინი, როგორც შედეგები, თავის საფუძველს რეალურში უნდა გულისხმობდნენ. დიუი პირდაპირ ამბობს, რომ „Whole“ ბუნე-

<sup>20</sup> The Journal of Philosophy, № 1, 1961, p. 28.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 23-25.



ბის მოვლენათა დახასიათებაა, სხვაგან კი იგივე „Whole“ ორგანიზმ-გარემოს ინტერაქციის შედეგია.

არაა თანმიმდევრული დიუი მაშინაც, პარსონის აზრით, როცა იგი რწმენის ობიექტად მიუთითებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა ისეთ სტრუქტურას, რომელიც ადამიანმა მხოლოდ მკრთალად იცის, სუსტად აკონტროლებს; თვით დიუის აზრითაც რწმენა მხოლოდ მაპროექტირებელი წარმოსახვის იდეალური შედეგია და მისი შინაარსი შესაძლებელს უფრო უკავშირდება, ვიდრე აქტუალურს, ეყრდნობა იმას, რაც არ არის, ვიდრე იმას, რაც არის.

პარსონი ასეთ საყვედურსაც გამოთქვამს დიუის მისამართით: რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორია გვარწმუნებს, რომ ღმერთს მიეწერებოდა ან აქტუალურად, ან იდეალურად ყოფნის პრედიკატები. დიუი თავისებურ დიალექტიკურ პასუხს იძლევა თითქოს—ღმერთი იდეალურ-აქტუალურის აქტიური მიმართებააო. მაგრამ როგორ შეიძლება ღირებულების აქტუალიზაციაზე ლაპარაკი, თუ არ არსებობს რაიმე ანტეცედენტური საფუძველი რაიმეს შესაქმნელად? შექმნა—პროცესი გულისხმობს აუცილებლად რაიმე ახალი თვისობრიობის შექმნას, მაგრამ მისი „აღმატება“ აქტუალურ არსებულზე უნდა იგულისხმებოდეს თვით აქტუალურში. თუ ეს ასეა, მაშინ „ღმერთი“ ანტეცედენტურ გარემოში მოექცევა და დიუის ნატურალიზმიც „ზეწვზე დაკიდება“, თუ არა და, მაშინ ღირებულების აქტუალიზაცია სხვა მხრივ გაუგებარ პროცესად გვევლინება. შეიძლება „ღმერთი“ აქტუალურია და მაშინ მისი საკითხი მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. რელიგიური აზრისათვის პირველი იქნება საკითხი: როგორაა ბუნება პროცესისა, რომელიც აქცევს ღმერთს აქტუალობად. დიუის კი ამ კითხვაზე კვლავ ორაზროვანი პასუხი აქვს გამზადებული: „ღმერთი“ არაა იდენტური ადამიანთან; „ღმერთი“ სკირდება ადამიანს“; იგი ჩართულია წარმოშობისა და შენახვის პროცესში როგორც ექსპერიმენტალურად, ისე იდეალურად<sup>22</sup>.

ამ შენიშვნებს ინსტრუმენტალიზმი უსათუოდ იმსახურებს. რწმენის შესახებ თავისი კონცეპცია დიუიმ ვერ გამართა ლოგიკურად შეიძლება იმიტომაც, რომ იგი აქაც ერთგული დარჩა მის მიერვე შემუშავებული ინსტრუმენტალისტური მეთოდის. ინსტრუმენტალიზმი ხომ საერთოდ იდეალურს განიხილავს როგორც წინასწარდაშვებას რაიმე პრობლემატური სიტუაციის ნათელსაყოფად როცა ჯერი იდეალურის საკუთრივ დახასიათებაზე მიდგება, იგი განსაზღვრულია როგორც არააქტუალური, არაგრძობად-რეალური, არაექსტენსიური; იგი უკეთეს შემთხვევაში ასე ყოფნის შესაძლებლობაა. მაგრამ დიუიმ თავის ლოგიკაშიც უპასუხოდ დატოვა კითხვა—რატომ აქვს „მტკიცების გარანტია“ წინასწარდაშვებას? თუ იდეალური ადექვატური შემცველი არ არის რაიმე ანტეცედენტური ვითარებისა, მაშინ როგორღაა შესაძლებელი „შესაძლებლობათა“ რეალიზება აქტუალობად? დიუისთან არაა საკმაოდ საფუძველდებული საერთოდ იდეალურზე გადასვლა და, რათქმუნდა რელიგიურის ინსტრუმენტალისტური დაფუძნებაც იმავე ხარვეზებს შეიცავს.

ამჯერად ჩვენ დავუბრუნდებით კვლავ კითხვას: შესძლო კი დიუიმ მოცა ჯემსისაგან განსხვავებული თვალსაზრისი რწმენაზე? თუ არ მოუცია, მაშინ უნდა აღინიშნოს ძირითადი საერთო შომენტები მათ შეხედულებებში და დაზუსტდეს შეფასების საგანი.

<sup>22</sup> The Journal of philosophy, vol. LVIII, № 5, 1961, p. 116-119.

ჯემსის რწმენის თეორია ზოგადად ასე გადმოიცემა: გვაქვს არსებობის ვანცდა, გრძნობა, რომელიც ადასტურებს ზებუნებრივის არსებობას (ჩვეულებრივ ცდამი არსებობა არ განიცდება). ეს სამყარო ღირებულება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს შესაძლებლობა ჩვენი მასთან კავშირისა. გავვახანია სპეციალური უნარი, რომელიც ბედებს მისტიკურ ცდას, ეს უკანასკნელი კი ზებუნებრივთან ჩვენი კავშირის პირობაა. ეს ე. წ. „სპეციალური უნარები“ სუბლიმინალური პროცესების სახით გვევლინებიან და ნამდვილი მედიუმის როლს თამაშობენ ჩვენსა და ზებუნებრივს შორის. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიუისთან საერთოდ იდეალურზე გადასვლა დაუფუძნებელია, მაშინ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ამ პუნქტის შემდეგ ჯემსის და დიუის შეხედულებანი ერთმეორეს აღარ ეწინააღმდეგებიან. ჯემსიც იტყვის, რომ ჩვენს ცნობიერ სამყაროს შუა სახით ხვდება რაღაც შესაძლო წესრიგი. ქმნის შესაბამის იდეალებს და ზრუნავს მათი რეალიზაციისათვის<sup>22</sup>. ღმერთი არსებობს მხოლოდ როგორც იდეალურის რეალიზაციის შესაძლებლობა—ასეთია საერთო დასკვნა ჯემს-დიუის შეხედულებებიდან.

საერთოა ჯემს-დიუისათვის ისიც, რომ ორივე რელიგიურ მომენტს მიიჩნევს ადამიანური ცდის მოუცილებელ და აუცილებელ კომპონენტად. მართალია, პირველი მას „თავისებურ ცდად“ იხსენიებს, ხოლო მეორე „ჩვეულებრივი ცდის“ ნაწილად, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ მომენტისათვის გარანტირებულია სამუდამო არსებობა ადამიანურ მოღვაწეობაში. რელიგიები მუდამ განიცდიდნენ ცვლილებასა და განახლებას, მაგრამ ისინი საზოგადოების მუდმივი თანამგზავრები არიან.

სრულ თანხობაშია ჯემსისა და დიუის მტკიცებები, როცა ისინი რწმენას „ფილოსოფიურ ასპექტში“ განიხილავენ. ერთიც და მეორეც თვლის, რომ რწმენის ფაქტი (ისე, როგორც, ვთქვათ, მეცნიერული, ეთიკური და სხვა) არ შეიძლება ლოკალიზებულ იქნას რომელიმე სექტაში, კლასში ან რასაში. იგი საზოგადოებრივი რწმენის ფაქტია ყოველთვის და „ადვილი აქვს“ ყოველ ადამიანურ მოღვაწეობასთან ერთად.

თუ შეიძლება ვილაპარაკოთ არსებით განსხვავებაზე ჯემსსა და დიუის შორის რელიგიის საკითხში, ეს შესაძლებელია მხოლოდ ზებუნებრივის განმარტებასთან დაკავშირებით. პირველი პრედიკატი, რომლითაც ჯემსი ზებუნებრივს მოიხსენიებს, უხილველობაა. გარკვეული აზრით, ჯემსთან სამართლიანია მტკიცება: რაც უხილავია, ზებუნებრივია (ანუ: რაც არაგრძნობადია...). მეორე პრედიკატად შემოდის არსებობა და ზებუნებრივი ამომწურავად დახასიათდება: არსებული უხილავი. „უხილავის“ პრედიკატი ჯემსი იდეალურსაც ახასიათებს და უკვე ეს წარმოშობს მასთან ერთ გავგებრობასაც—არის თუ არა იდეალური ზებუნებრივი. ხშირად ჯემსი მათ აიგივებს (განსაკუთრებით ის იდეალური, რომელიც მისტიკური ცდის მონაცემებზე აღმოცენდება); უკეთ, რწმენის ქეშმარიტებაზე როცა უნდა ილაპარაკოს, ჯემსი ხშირად იდეალურს არსებულის მნიშვნელობით ხმარობს.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ დიუისთან? დიუი იწყებს ზებუნებრივის უარყოფით; არ არებობს რაიმე, რაც არ იქნება ბუნებრივი. ბუნებრივი კი, დიუისთანაც, გრძნობადი, აქტუალური, ხილული სინამდვილეა. მაგრამ დიუი აღი-

<sup>22</sup> Многообразие религиозного опыта, гл. 509.

რებს იდეალურის სფეროს „არსებობას“, რომლის არსებითი საკუთარი დახასიათება, როგორც ვიცით, ასეთია: არაგრძობადი, არადროულ-ვრცეული, არაექსტენსიური (ანუ: არახილვადი). განსხვავება ბუნებრივსა და იდეალურს შორის აღნიშნულია, ხოლო შემდეგ იწყება მათ ერთიანობაზე მსჯელობა: იდეალური გამართლებულია როგორც შესაძლო აქტუალური და არ შეიძლება დაშვებული იქნას მის საფუძვლად რაიმე სხვა სახის არსებობა, გარდა ბუნებრივისა. ე. ი. დიუიცი იდეალურს არსებობის მნიშვნელობით ხმარობა (თუმცა არაზებუნებრივი არსებობის).

ზოგადად ასეთ სურათს იძლევა ჯემს-დიუის თვალსაზრისთა შეპირისპირება რწმენის რაობის საკითხში. საერთო შეფასება ამ თვალსაზრისებისა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პოზიციებიდან ცნობილია. პრაგმატიზმი, ისე როგორც მისი ახალი სახესხვაობა ინსტრუმენტალიზმი, ავიწროებს მეცნიერების სფეროს რწმენის სფეროს გაზრდის ხარჯზე, შლის ფაქტიურად საზღვარს ჭეშმარიტებასა და რწმენას შორის, სრულფასოვანი არსებობის უფლებას უტოვებს რელიგიას მეცნიერების გვერდით. ამ გზას კი ფიდეიზმისაკენ მივყავართ, რაც რეაქციულია და ეწინააღმდეგება მეცნიერული წინსვლის ინტერესებს<sup>24</sup>.

შეგჩერდებით ზოგიერთ შინაგან წინააღმდეგობაზე, რომელიც თან ახლავს რელიგიურის პრაგმატისტულ-ინსტრუმენტალისტურ გაგებას.

1. რწმენის ფაქტის არსებობა უდავოა, საჭიროა მხოლოდ მისი აღწერა-ახსნა. ასე აყენებს საკითხს ჯემსი. როდესაც რწმენის შინააქტს „გაარკვევს“, აღმოჩნდება, რომ მას (რწმენას) საქმე ჰქონია ისეთ სინამდვილესთან, რომელიც მეცნიერულის ენაზე არ გამოითქმის. ამიტომ სჭირდება ჯემსს შემოიტანოს „მისტიკური ცდის“ აუცილებლობა. ამ ცდამ უნდა დაგვაკავშიროს მითითებულ სინამდვილესთან. შევლის კი საქმეს ეს ცდა?

საქმე იმაშია, რომ მისტიკური ცდა ისეთი ბუნების ყოფილა, რომ რასაც ის განგვაცდევინებს, მისი ადამიანური ენით აღწერა თურმე შეუძლებელია. ის, რაც „გასაგებია“ მისტიკური ცდით, გაუგებარია ცნობიერებისათვის. ამიტომ ცნობიერსა და მისტიკურს შორის ხიდი ფაქტიურად ჩატეხილია. არაფრით არაა გამართლებული ჯემსთან მისტიკურიდან ცნობიერზე გადასვლა. თუ მისტიკური ცდისათვის ზებუნებრივი ცხადად ჭეშმარიტია, ცნობიერებისათვის ის მხოლოდ სავარაუდოა და კვლავ რწმენის საგნად რჩება. რწმენის ნამდვილი აზრიც ამაშია.

ასე გაიგო რწმენა კანტმა, რის გამოც მას ჯემსმა უსაყვედურა. როგორც ვხედავთ, დადებითა კვლევის შედეგი კვლავ ცნობილ ვითარებას აღადგენს: როდესაც ცნობიერი ეხება ზებუნებრივის სამყაროს, მას არ შეუძლია რაიმე ჭეშმარიტი გვიტხრას მის შესახებ; მან მხოლოდ უნდა იწამოს იგი და მოეპყრას ისე, თითქოს მის შესახებაც შეიძლება გვექონდეს ჭეშმარიტი ცოდნა, თუკი მასაც ფენომენალური სინამდვილის პრედიკატებით გავიაზრებდით. ჯემსმა აღიარა „ორი ცდის“ აუცილებლობა, ხოლო შემდეგ ერთი ცდის საფუძველზე (მეცნიერულის) სცადა გაეაზრებინა მეორე ცდის შედეგთა საფუძვლიანობა და აუცილებლობა. ამასთან, თუ ეს მოხერხდებოდა, მაშინ ჯემსი უფრო მნიშვნელოვან დასკვნას გააკეთებდა: ჩვენი ყოველდღიური ცდა ემყარება მისტიკურ ცდას და მართლდება მისითვე, ხოლო მეცნიერული ჭეშმარიტებანი სიცხადისა და ზოგადობის ნიმუშად მისტიკური ცდის შედეგს უნდა ლეგულობდნენ. ეს კი, როგორც ვთქვით, აშკარა ორმხრივი წინააღმდეგობის შემცველია: ჯერ ჩვეულებ-

<sup>24</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 436.



რივი (მეცნიერული) ცდის საშუალებებით უნდა გამართლდეს მისტიკურის არსებობის უფლებიანობა (ამ ოპერაციას ლოგიკური სანქციის გარეშე ატარებს ჯემსი), ხოლო შემდეგ თვით მისტიკურმა უნდა მისცეს აზრი მეცნიერულის (და საერთოდ „ამცდისეულის“) არსებობას. ასეთმა ვითარებამ არაერთხელ აიძულა ჯემსი ემტკიცებინა: ვიდრე ვმსჯელობთ და ვმეტყველებთ, ვისმენთ და, საერთოდ, შევიგრძნობთ, ჩვეულებრივი ცდის, ცნობიერის ტყვეობაში ვიმყოფებით. მხოლოდ ამთავან განთავისუფლებათ პირობა ჭეშმარიტი სინამდვილის წვდომისა. ასეთი დასკვნა კი ვაცილებით უფრო ლოგიკურად მოჩანს იმ ფონზე, როცა წინასწარ აღიარებულია „ორი ცდის“ აუცილებლობა და ნამდვილად ღირებულის პირველ ცდაში მოქცევა.

2. არალოგიკურია ერთი გადასვლა ჯემსთან: უამრავი მაგალითების საფუძველზე იგი ადასტურებს მისტიკური ცდის შინაარსის არსებობას და მეცნიერული ინტერესის საგნად მიიჩნევს. ასევე ვერ აუვლის გვერდს მეცნიერება „სიზმრის სინამდვილეს“ და ვთქვათ, „ჰალუცინაციურ სინამდვილეს“. უდავოა, რომ მეცნიერებას არანაკლებ უნდა აინტერესებდეს ეს სინამდვილეები, ვიდრე „ნამდვილი სინამდვილე“. ისინიც ხომ ახსნას საჭიროებენ, და ამდენად მეცნიერებისათვის ყველა ეს სინამდვილე, შეიძლება ითქვას, ერთნაირად მნიშვნელოვანია. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ეს „სინამდვილეები“ ერთ ონტოლოგიურ სიბრტყეში მოვაქციოთ. ასეთი გადასვლები კი ჯემსთან ხშირად გვხვდება.

3. ღმერთი არსებობს როგორც იდეალურის რეალიზაციის შესაძლებლობა, ამტკიცებს ჯემს-დიუის თვალსაზრისი. ჯემსისათვის იდეალურის წყაროა სუბლუმინალური პროცესების გზით შემოჭრილი „სინამდვილე“, დიუისათვის კი— პრობლემატური სიტუაცია. არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული პრობლემატური სიტუაცია მოითხოვს საზღვრით იდეალებს, როგორც წინასწარდაშვებებს.

ამ თეორიაში „შესაძლებლობის“ კატეგორია მთავარი მომენტის აღმნიშვნელია და იგი თანმიმდევრულადაც მოიხმარება. ღმერთი შესაძლებლობაა— ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არასოდეს არ მოიაზრება როგორც აბსოლუტურად რეალიზებადი. ღმერთი ყოველთვის რჩება რეალიზაციის შესაძლებლობად, თუმცა იგი ამასთანავე ყოველთვის რეალიზდება და „მოიხმარება“.

ეს მტკიცება კი უსათუოდ წინააღმდეგობრივია და ნათელსაყოფი.

ჯემსთან ღმერთზე, როგორც შესაძლებელზე, გადასვლა ვაპირობებული უნდა იყოს იმით, რომ მისი რწმენის თეორიის პოსტულატებმა ვერ ითამაშეს ის როლი, რისთვისაც მოწოდებულნი იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთზე, როგორც შესაძლებელზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. მართლაც, თუ მისტიკური ცდა არსებობს, მაშინ არსებობს აქტუალურად მისი შინაარსიც, რომელიც ღმერთია, ზებუნებრივია. „ღმერთი“ ასეთ შემთხვევაში ორგანიულად მონაწილეობს ჩვენს არსებაში. რალა საჭიროა ამის შემდეგ მისი „იდეალურ შესაძლებლობად“ დასახვა? ან უნდა დაუშვას ჯემსმა, რომ „მისტიკური ცდა“ არაა საყოველთაო და ამიტომ ის, რაც აქტუალურია მხოლოდ ზოგისათვის, ვასაგები უნდა გახადოს და შესაძლებლად დასახოს ცნობიერებამ სხვისთვის, და მაშინ წინააღმდეგობა სხვაგან იჩენს თავს: „მისტიკურს“ უნდა მოეცა „ზოგადსაყოველთაოს“ ნიმუში, ნამდვილად კი თვითონ ყოფილა მოკლებული ზოგადსაყოველთაობას. მისი შინაარსი შემთხვევითურად პრედიკატი დახასიათდება; ან უნდა აღიაროს ის, რომ მართალია „მისტიკური



ცდა“ საყოველთაოა, მაგრამ „აუცილებელია“ მისი შინაარსის გაცნობიერება, რომელიც დასახავს მას შესაძლებლად. ასეთ შემთხვევაში კი აუცილებლობისათვის მოტივია საჭირო, რომელსაც ჯემსი ვეღარ ნახავს, ვინაიდან წინასწარ დაახასიათა მისტიკური, როგორც ყოველისშემძლე.

დიუისთანაც ღმერთის შესაძლებლობა ნიშნავს იდეალთა რეალიზაციის შესაძლებლობას. იდეალების სამყარო სხვაა, რეალურ-აქტუალურის — სხვა. პროცესი იდეალურის აქტუალიზაციისა დაუსრულებელია. ამ შემთხვევაში ვერ გავმეცხვით იმის მტკიცებას, რომ იდეალური აბსოლუტურია, ხოლო რეალურ-აქტუალური ნაწილობრივი; აბსოლუტური არასოდეს არ იქცევა რეალურ-აქტუალურად, ხოლო რეალურ-აქტუალური აბსოლუტურად. რაღას უნდა ნიშნავდეს მაშინ „ღმერთის რეალიზაცია“? ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ასეთ ვითარებაში იძულებული ვიქნებით ყოველივე რეალურიც „რეალიზებულად“ მიგვეჩინა, რითაც დიუის ე. წ. ნატურალიზმს სხვა ელფერი მიეცემოდა.

4. არაა და არც შეიძლება იყოს დამაჯერებელი ჯემს-დიუის საბუთები რელიგიური რწმენის მარადიულობის საჩვენებლად. ჯემსი, გარდა იმისა რომ აღნიშნავს ისტორიულ ფაქტს (არსებობდა და არსებობს რელიგიური რწმენა), მიუთითებს უკვდავების სურვილზე, რომელიც მუდმივად თანმზღვრება ყოველი ადამიანისათვის და საბოლოო ჯამში რწმენის მიზანს წარმოადგენს. ვინაიდან რწმენა უკვდავების მოთხოვნას უკავშირდება, ამით გარანტირებულია მისთვის მარადიულობა.

რელიგიური, მართლაც, აუცილებელი რომ იყოს მეცნიერულისა და ეთიკურისათვის, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ როგორც „უკვდავების სურვილი“, ისე უკვდავების შეუძლებლობის ფაქტი, ასევე უმაღლესი სიკეთის რეალური შესაძლებლობა, თანაბარი სიცხადით ახსნილია მეცნიერების მიერ ყოველგვარი ზებუნებრივისა და ირრეალურის მოშველიების გარეშე. ასეთ შემთხვევაში რელიგიურისაგან განთავისუფლებაზე უფრო შესაძლებელია ლაპარაკი, ვიდრე მის აუცილებლობაზე.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ პრაგმატიკებმა თავისი მეთოდით სცადეს თანაბარი უფლებით ჩაერთოთ რელიგიური მეცნიერულ ქეშმარიტებათა სისტემაში, მაგრამ ამით ახალი წინააღმდეგობა შეუქმნეს მეთოდს. რელიგიური თავისი ბუნებით აბსოლუტურია და ვერ ითმენს იყოს ერთი „რიგითი“ ქეშმარიტების გამოხატველი. თანაბარუფლებიანობა ასეთ პირობებში მოჩვენებითი აღმოჩნდა და, როგორც ვნახეთ, რელიგიურმა შეიწირა მეცნიერული.



# პერმან კოპენის შეხედულების თეორიის კრიტიკა

## ბ. თაყაიძე

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა)

პერმან კოპენი (1844—1918) ნეოკანტიანური ფილოსოფიის ყველაზე მონუმენტური ფიგურაა. ნეოკანტიანური ფილოსოფია, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოცენდა და სპეციფიური ლოგიკური შინაარსი ლანგეს მიერ თავისთავადი ნივთის „საზღვრით ცნებად“ გააზრებით მიიღო, მისნად ისახავდა ახლებურად გაგებული კანტის ფილოსოფიის საფუძველზე გადაეჭრა იდეალიზმის სასიცოცხლო პრობლემები.

თავისთავადი ნივთის არარსებულ, მაგრამ მნიშვნელად, საზღვრით ცნებად გააზრება, მართალია, სხვა იდეალისტური სკოლებისაგან გამოყოფდა ნეოკანტიანელებს, მაგრამ მათ საკუთარ შეხედულებებს შორის საჭირო თანხმობას ვერ უზრუნველყოფდა. „კანტის ცდის თეორია“ (1871 წ.), რომელიც კოპენმა ლანგეს წარუდგინა მარბურგში და მისი მოწონება დაიმსახურა, პრეტენზიას აცხადებდა კანტის ახლებურ გაგებაზე, რომელიც კანტის ფილოსოფიას ათავისუფლებდა შინაგანი წინააღმდეგობებისაგან, ბოლოს მოუღებდა აზრთა დაპირისპირებას ნეოკანტიანელებს შორის და საფუძველს ჩაუყრიდა ფილოსოფიური აზროვნების შემდგომ განვითარებას.

აღნიშნულ ნაშრომში კოპენი შეეცადა მკაცრად გაეტარებინა ტრანსცენდენტალური თვალსაზრისი. კანტის ფილოსოფიაში დაეტოვებინა მხოლოდ ის, რაც დასაბუთებული იქნებოდა, როგორც ცდის მოაზრების აპრიორული პირობა. არსებობის სანქცია ყველაფერს ტრანსცენდენტალური მეთოდიდან უნდა მიეღო. ეს მეთოდი მოითხოვდა, რომ მეცნიერების ფაქტის დასაბუთებისათვის საკმარისი და უცილობლად მიჩნეულ პირობებში არ ქონოდა ადგილი შემეცნებისათვის რაიმე უშუალოდ მოცემულს. ამავ დროს ფილოსოფიის, შემეცნების თეორიის ერთადერთ ამოცანად მეცნიერების ფაქტის ასხნა და დასაბუთება ცხადდებოდა. ეს მოსაზრება მსუვალავს კანტის ფილოსოფიის კოპენისეულ ინტერპრეტაციას ყველა მის ეტაპზე. იგია პრინციპული საფუძველი თვით კოპენის საკუთარი სისტემისაც.

„კანტის ცდის თეორიის“ პირველსავე გამოცემაში (ბერლინი, 1871) ნათლად იყო გამოკვეთილი ამოცანა, რომლის გადაწყვეტისადრე მიძღვნილი კოპენის ფილოსოფია. ეს იყო შემეცნების საგნის შემეცნებაში აგების ამოცანა. ამისათვის კოპენი საჭიროდ თვლიდა კანტის ფილოსოფიაში აბსოლუტური რეალობების მნიშვნელობებზე რედუქციას, სუბსტანციების იდეებზე ანუ, გაფართოებულ კატეგორიებზე დაყვანას, მოვლენათა აპრიორული ფორმები-

დან აგებას<sup>1</sup>. მაგრამ ამ ნაშრომში კოპენი საჭიროდ თვლიდა ჭკრეტისა და აზროვნების დუალიზმის შენარჩუნებას.

კანტის ფილოსოფიის კოპენისეული ინტერპრეტაციის განვითარებას ეტაპებს წარმოადგენს მისი წერილები 1876 წლიდან 1880 წლამდე და განსაკუთრებით მისი ნაშრომი „უსასრულო მცირეთა მეთოდის პრინციპი და მისი ისტორია“ (ბერლინი, 1883). მათ განაპირობებს მნიშვნელოვანი განსხვავება „კანტის ცდის თეორიის“ პირველსა (1871) და მეორე (1885) გამოცემას შორის.

### 1. ჰ. კოპენის წმინდა შემეცნების ლოგიკა.

კოპენი კანტის ფილოსოფიას თავისი ინტერპრეტაციის განვითარების მიხედვით ასწორებდა. ასევე ასწორებდა იგი ფილოსოფიის ისტორიასაც, რომელიც ჯერ კანტის, ხოლო შემდეგ მისი საკუთარი სისტემის შესავალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ იყო პუნქტი, რომლის შეცვლის შემდეგ შეუძლებელი იყო კანტის ფილოსოფიის ფარგლებში დარჩენა. ეს იყო ჭკრეტისა და აზროვნების დუალიზმი. დუალიზმის მოხსნა ახალ სისტემას მოითხოვდა. კანტის კოპენისეული ინტერპრეტაციის განვითარების პროცესში წმინდა ჭკრეტის, როგორც შემეცნების დამოუკიდებელი წყაროს, როლი თანდათან იკვეცებოდა. კოპენის სისტემა იქიდან იწყება, სადაც ეს პროცესი ბოლომდე მივიდა, წმინდა აზროვნება შემეცნების ერთადერთ კომპონენტად გამოცხადდა და ტრანსცენდენტალური ლოგიკა ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიას გაუიგივდა.

წმინდა შემეცნების ლოგიკა არსებობის უფლებას აძლევს მხოლოდ იმას, რასაც წმინდა აზროვნება ქმნის თავის წინსვლის პროცესში. აზროვნება თავის თავზე იღებს ცდის საგნის შექმნას, წმინდა ჭკრეტის რაიმე მოცემულობის მონაწილეობის გარეშე. ჭკრეტის კატეგორიები, დრო და სივრცე, კარგავენ დამოუკიდებლობას, რომელიც მათ კანტთან ჰქონდათ და ლოგიკის განვითარების საფუძვრებად იქცევიან, სხვა კატეგორიათა მსგავსად. ყოველი კატეგორია წარმოადგენს მეთოდს, თვალსაზრისს, რომელიც შემეცნების საგნის რაღაც მხარეს აწარმოებს და ამავე დროს აუცილებლობით მიგვითითებს საგნის სხვა მხარეზე, მეორე კატეგორიაზე. კატეგორიები არიან პირობები საგნის ასაგებად; საგნისა, რომელიც მეცნიერულ ცდაში, ემპირიაში არსებობს და რომელსაც სინამდვილის მსჯელობაში არსებობა მიეწერება.

ამრიგად, შემეცნებაში წმინდა ჭკრეტისა და წმინდა აზროვნების დუალიზმი კანტისეულია, წმინდა აზროვნების მონიზმი, (მეთოდური მონიზმი, პანმეთოდისმი) კი — კოპენისეული. კოპენი ფიქრობდა, რომ ჭკრეტის და აზროვნების დუალიზმის გადალახვის შესაძლებლობა კანტშივე იყო მოცემული, კანტთან მათ აერთიანებდა სიწმინდე, და, ვარდა ამისა, კანტი მათ შესაძლებელ საერთო ძირზე ლაპარაკობდა. კოპენის აზრით, ჭკრეტის ფორმების სწმინდის დაფუძნება, შემეცნების საგანთან მისი დაკავშირება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ისინი ტრანსცენდენტალური მეთოდის პროდუქტად დასაბუთდებიან. მხოლოდ ასე დასაბუთდება კანტის მიერ მოხდენილი კოპერნიკისებური გადატრიალების აზრი, ე. ი. საგანი შემეცნებაში აიგება, საგნის შემეცნება და საგნის შექმნა ერთი და იგივე ვახდება, რაც საბოლოო გამა-

<sup>1</sup> Cohen H., Kants Theorie der Erfahrung, S. 257. I. Auflage, Berlin, 1871.

რჩევებს მოუტანს იდეალიზმს, არ იქნება საჭირო არც მატერია, არც პრაქტიკის კრიტერიუმი; იარსებებს მხოლოდ წმინდა აზროვნება და მისი შედეგები.

აქედანვე ჩანს, რომ კოჰენი კანტის ჰეგელისეულ განვითარებაზე იღებს ორიენტაციას, მაგრამ აქვე უნდა დავადგინოთ განმასხვავებელი ნიშნებიც. ჰეგელს მთელი სინამდვილე გამოყავდა აზრიდან და ამდენად აზრი აბსოლუტური იყო. კოჰენისათვის კი აზროვნებისაგან დამოუკიდებელი რეალობა არსებობს, მაგრამ შემეცნების თეორია მას არ ეხება. ერთადერთი სინამდვილე, რომელსაც შემეცნების თეორია აღიარებს, ესაა კაცობრიობის კულტურა და, უპირველეს ყოვლისა, ზუსტი მეცნიერებანი. პაულ ნატორპი აღიარებდა ჰეგელის გავლენას მარბურგის სკოლაზე, მაგრამ განმასხვავებელ პუნქტს ყოველთვის წინ წამოსწევდა ხოლმე. ჩვენ ვეთანხმებოდით ჰეგელს ყოველ არსებითში, წერდა იგი, მაგრამ განსხვავება ჩვენს შორის ისეთივეა, როგორც კოპერნიკსა და ტიხო დე ბრაგეს შორის. ეს უკანასკნელიც ყველაფერში ეთანხმებოდა კოპერნიკს, ერთის გარდა, და ეს ერთი იყო დედამიწის ბრუნვის საკითხი. ჩვენც ასევე ყველაფერში ვეთანხმებით ჰეგელს, აბსოლუტიზმის გარდა, რადგან აბსოლუტიზმი აზრის უძრობას ნიშნავს<sup>2</sup>.

მეცნიერება, და კულტურა საერთოდ, როგორც ფაქტი, რასაც ვერცელაა, მოცემული ხელდება ლოგიკას, მაგრამ შემეცნებამდე მოცემული ლოგიკურად იგი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ლოგიკა ამ ფაქტს უკრიტიკოდ მიიღებს და მასზე ააგებს თავის შენობას. მაგრამ თუ ლოგიკა ამ ფაქტს საკუთარი პრინციპებიდან გამოსული ხელახლა ააგებს, თუ მისი არსებობის აუცილებელ პირობებს თავის თავში აღმოაჩენს, ცხადია, რომ ეს ფაქტი წმინდა აზროვნების შედეგი ყოფილა, რადგან დამოუკიდებელი და წინასწარმოცემულიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი შემეცნების დასაწყისში.

შემეცნების თეორიის მიზანია ხელახლა ააგოს მეცნიერებაში მოცემული სინამდვილე, ისე რომ არ შეეხოს გრძობად ბუნებას. ამ პროცესში ლოგიკა პირველად იძლევა საერთოდ საგნის, ცდის ცნებას, კერძო მეცნიერებათა კონკრეტულ საგნებისაგან განსხვავებით. ესაა ფილოსოფიის საკუთარი საქმე. ფილოსოფია ვერ ნახავს თავის საგანს მეცნიერებათა სინამდვილის გარეთ, რადგან მეცნიერებისა და კულტურის გარეშე არ არსებობს არავითარი ადგილი, რომლის მითვისებაც შეიძლებოდეს<sup>3</sup>. შემეცნების თეორიამ ხელახლა თავის თავიდან უნდა ააგოს მეცნიერული სინამდვილე ისე, რომ აზროვნება აბსოლუტურად არ იქცეს, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერული ცდის ფარგლებით შემოზღუდვდა უნდა იყოს გარანტია უსაფუძვლო რელატივიზმისა და სუბიექტიზმის წინააღმდეგ.

ეს ამოცანა კოჰენის პირველსაწყისის (Ursprung) ლოგიკამ უნდა შეასრულოს. შემეცნების მთელი შინაარსი წმინდა აზროვნებიდან უნდა იქნეს გამოყვანილი, როგორც მისი ერთადერთი წყაროდან — ესაა კოჰენის ცნობილი პირველსაწყისის პრინციპის შინაარსი. იგი კვლევის პრინციპია, რომელსაც რაიმე საკუთარი, სხვების დამაქვემდებარებელი კონკრეტული შინაარსი არა აქვს. ესაა იმის მოთხოვნა, რომ შემეცნების ობიექტის ყველა ელემენტი წმინდა აზრიდან იყოს ნაწარმოები. როგორ მოხდება ეს, რა კონკრეტული სა-

<sup>2</sup> Natorp P., Kant und die Marburger schule, S. 21, Berlin, 1912.

<sup>3</sup> Natorp, P., Philosophie ihr Problem und ihre Probleme, S. 12, 15, Stuttgart, 1911.



ხეს მიიღებს, რა შინაარსი ჩაიდება პირველსაწყისის ცნებაში მეცნიერების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე — ეს ფილოსოფიის კომპეტენციის გარეთ ვადის და მისი კონსტრუქციისათვის ვადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ამდენად, პირველსაწყისი შემეცნების მიმართულების გამომხატველი მეთოდური ტერმინია. იგი აზროვნების ავტონომიურობაზე მიუთითებს და ამავე დროს მთელი ცნობიერების ერთიანობის საფუძველია<sup>4</sup>. ცნობიერების ერთიანობის საფუძველია, რადგან ცნობიერება არ უდრის წმინდა აზროვნებას, არც მეცნიერულ ცნობიერებას. ზნობაც და ხელოვნებაც ცნობიერების კანონიერი სფეროებია. ლოგიკა შესაძლებელს ხდის მთელი ცნობიერების ერთიანობას<sup>5</sup>, მაგრამ არ ახორციელებს მას, ე. ი. მის კომპეტენციაში არ შედის საერთოდ ცნობიერების ცნების (ადამიანის ცნების) მოცემა. ამ ამოცანას კოპენი ავალუბს ფსიქოლოგიას, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებას. ამ, მომავლის ფსიქოლოგიამ უნდა შეიმუშაოს საერთოდ კულტურის სუბიექტის ცნება.

უსასრულოდან სასრულის წარმოშობის პრინციპში, რომელიც ანაქსიმანდრემ წამოაყენა და კუზანელმა მეთემეტიკურად დააფუძნა, კოპენი აზროვნების სუვერენობის საუკეთესო გამოხატულებას ხედავს. უსასრულობა ვერ იქნება გრძნობადი, მისი დაშვება და გამართლება მხოლოდ აზროვნებას შეუძლია. ამდენად, აქ მართლდება აზროვნება, როგორც პირველსაწყისი, როგორც შემოქმედება თავის თავიდან.

აზროვნება შემეცნების აზროვნებაა. მან თავისი შემოქმედების პროცესში უნდა აწარმოოს შინაარსიც და ფორმაც. აზროვნება მსჯელობაში არსებობს, ამდენად მსჯელობაში შეიძლება დანახულ იქნას აზროვნების შინაგანი ბუნება. კოპენის აზრით, მსჯელობა არ შეიძლება დანახავთებული იქნეს, როგორც გაერთიანება (სინთეზი), ან როგორც მხოლოდ გამოცალკეება რაიმე შინაარსისა. მსჯელობა, როგორც წმინდა აზროვნების ძირითადი ფორმა, ვერ დაუშვებს თავისში ისეთ განსაზღვრულობას, რომელიც მასშივე არაა წარმოქმნილი. ეს კი აუცილებელი იქნება, თუ ის მხოლოდ გაერთიანება ან მხოლოდ გამოცალკეებაა (Sonderung)<sup>6</sup>. გაერთიანება-გამოცალკეების ერთიმეორის გარეშე გააზრება შეუძლებელია. მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტური გაერთიანება, ან გამოცალკეება არ იქნებოდა საპირისპირო ცნების მომთხოვნი, მაგრამ ამგვარი რაიმეს განხორციელება შეუძლებელია ფაქტიური შემეცნებას პროცესში. შემეცნებაში ჩვენ ყოველთვის შეფარდებით გაერთიანებასთან გვაქვს საქმე, რომელიც განუსაზღვრელიდან გამოყოფს რაიმეს და უკვე ამით თავის მოქმედებას გამოცალკეების მიზანს უქვემდებარებს.

ამით კოპენს სურს დაგვანახოს, რომ წმინდა აზროვნება თავისთავად არც მარტო ანალოზია, არც მარტო სინთეზი. ეს დაპირისპირებული მხარეები ერთიანი, თავისთავად გაუთიშავი მოქმედების კიარულატებია. მათი გათიშვა მხოლოდ აბსტრაქციის შედეგია. ამის დავიწყება, აზროვნების არსებად მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიჩნევა, იდეალიზმისათვის საბედისწერო შეცდომაა, რა-

<sup>4</sup> Cohen, H., Logik der reinen Erkenntnis, S 13, Berlin, 1914. Natorp P., Die logischen Grundlagen der exakten Wissenschaften, S. 34, 219, Leipzig-Berlin, 1910; Кассирер Е. Познание и действительность. S. 135, СПб, 1912; Kinkel, W., Hermann Cohen, S. 100, Stuttgart, 1924.

<sup>5</sup> იქვე, 44.

<sup>6</sup> იქვე, 61.

დგან ამ შემთხვევაში სინამდვილის მიმართ აზროვნების ჰეგემონია ვერასგზოვრ დასაბუთდება.

გაერთიანება-გამოცალკევების ურთიერთმთხოვნაში არ შეიძლება ფსიქოლოგიური მორაგებობა დაინახოთ. თითქოს მსჯელობაში ჯერ ერთ მხარეს ამცოდნეს ყურადღება და შემდეგ მეორეს. ისინი ერთსა და იმავე დროს არსებობენ და ამ მომენტის დასაღვენად კოჰენს შემოაქვს მსჯელობის მესამე კომპონენტი — შენარჩუნება (Erhaltung). ეს ცნება აზროვნების ორივე მიმართულების უწყვეტ კორელაციაში შენარჩუნების აუცილებლობას გამოხატავს<sup>7</sup>.

კოჰენი ხედავს, რომ აზროვნების (მსჯელობის) სტრუქტურის ამგვარი ვაგება სიძნელეებს აწყდება. მაგრამ, მისი აზრით, ეს სიძნელეები წამოიჭრება იმ შემთხვევაში, თუ აზროვნებას განვიხილავთ როგორც უძრავს. აბსოლუტური განსაზღვრულობისაქენ სვლის პროცესში კი მსჯელობის სხვადასხვა მხარეთა იგივეობრივი საფუძველი ნათელი ღდება. ნათელი ხდება, რომ მსჯელობის მომენტები—გაერთიანება, გამოცალკეება, შენარჩუნება—აუცილებელია მსჯელობაში საგნის ერთიანობის დასადგენად. ერთიანობის (Einheit) საშუალებით განსაზღვრავდა პლატონი თავის იდეას. მსჯელობის გაგება ამ ცნების გაგებაზეა დამოკიდებული. ერთიანობა მსჯელობის ერთ-ერთი სახე კი არაა; არამედ თვით მსჯელობის არსების გამოხატულებაა და ამდენად მთელი შემეცნებისაც. საგანი, როგორც ცდის ერთიანობა, მასში უნდა იქნეს წარმოებული. ისევე, როგორც საერთოდ ცდა დაიშლება კონკრეტულ მეცნიერებათა საგნებად, ასევე მსჯელობის ერთიანობაც დაიშლება მსჯელობათა სახეებად, რომლებიც წმინდა შემეცნების სახეებს უნდა წარმოადგენდნენ. კოჰენი ინარჩუნებს მსჯელობათა კანტისეულ ოთხ ჯგუფს. მსჯელობის თითოეული სახე წმინდა შემეცნების თითო ელემენტს ქმნის, ისინი მეთოდური საშუალებებია შემეცნების საგნის რომელიმე ელემენტის საწარმოებლად.

წმინდა აზროვნების ბუნების აღნიშნული გაგების შემდეგ ნათელია, რომ კოჰენი აზროვნების კანონების ტრადიციული ფორმულირებით ვერ შემოიზღუდება. ეს კანონები, მისი აზრით, ყოველთვის თავისებურ ონტოლოგიას გულისხმობდნენ წანამძღვარად. ყოველთვის რაღაც „მოცემულის“ გააზრების პირობებს წარმოადგენდნენ. რაკი კოჰენისათვის ყოველგვარი აზროვნებამდელი მოცემულობა მოხსნილია, ეს „მოცემულობაც“, რომელსაც ფორმალური ლოგიკის კანონები გულისხმობდნენ, თვით აზროვნებამ უნდა აწარმოოს. რისი პრინციპიც ახალი ძირითადი კანონის სახით წაემძღვარება აზროვნების ძველ კანონებს. ეს იქნება პირველსაწყისის მსჯელობა (Das Urteil des Ursprungs).

ის, რასაც ძველი ლოგიკის კანონები მოცემულად გულისხმობდნენ, ყველაზე უკეთ გამოითქმება ტერმინით რაიმე (Etwas), როგორც კონკრეტული რეალობა, ან ამ რეალობათა მთლიანობა. საიდან წარმოიშვა ეს რაიმე? რამდენადაც რაიმეს ქვეშ საერთოდ კონკრეტული არსებობა იგულისხმება, ცხადია მისი მიზეზი არ შეიძლება სხვა კონკრეტულში ვეძიოთ. ეს იქნებოდა იგივეს იგივეს საშუალებით ახსნის ცდა. ერთადერთი გამოსავალი, თუმცა ერთი შეხედვით უცნაური, არის რაიმეს საპირისპირო ცნების დადგენა და რაიმეს მისგან წარმოშობილად მოაზრება. ამ გზას კოჰენი შემოვლითს გზას უწოდებს, ხოლო საძიებელ საპირისპირო ცნებას არა-რას (Nichts). არა-რას რა-

<sup>7</sup> S. Cohen H., Logik..., გვ. 61.

მესთან, როგორც კონკრეტულად არსებულთან, დაპირისპირებას ისტორიულად თავისი მომზრებები ყავდა ანაქსიმანდრესთან, დემოკრიტესთან, პლატონთან. ისინი არა-რაში არ ზედავდნენ არსის აბსოლუტურ უარყოფას, აბსოლუტურ არარაობას. ეს შეფარდებითი უარყოფის პრინციპი კოპენმა უსასრულო მსჯელობის საწარმოებლად გამოიყენა. ამ მსჯელობაში იწარმოება პირველსაწყისი. რაიმეს არა-რასთან უწყვეტი მიმართების, არა-რასაგან რაიმეს გამოყვანის შემეცნების მიზნად დასახვას კოპენი, ლაიბნიცის კვალად, აზასიათებს, როგორც უწყვეტობის კანონს. იგი მსჯელობას, და, ამდენად საერთოდ შემეცნებას, გრძნობადი მონაცემებისაგან დამოუკიდებლად ხდის. არა-რაზე შეგრძნებები პრეტენზიას ვერ განაცხადებენ. ეს კანონი შემეცნებაში საგნის აგების უძირითადესი პრინციპია. კოპენი მასში ხედავს აზროვნების ლოგიკურ საწყისს. როცა კონკრეტულად განსაზღვრული ჯერ არაფერი გვაქვს და საგნის განსაზღვრება მხოლოდ ამოცანაა, როცა იგი  $x$ -ია შემეცნებისათვის, მისი კორელატი შეიძლება მხოლოდ არა-რა იყოს. აქ მოპოებულია შემეცნების დასაწყისი, ისე რომ არავითარი კონკრეტული განსაზღვრულობა, არავითარი შინაარსი წინასწარ არაა დაშვებული. თუ რაიმეს ადგილს კონკრეტულ მეცნიერებათა ცდას დავსვამთ, ეს იქნება ცდის აღება, როგორც შემეცნების მიზნის, იმ პირობით, რომ იგი მხოლოდ აზრობრივი განსაზღვრულობებიდან აიხსნება. ხოლო ის, რაც საგნის შემეცნების რომელიმე საფეხურზე წმინდა შემეცნების კონტროლს ჯერ კიდევ არ ემორჩილება, ყოველთვის აზროვნებისავე მიერ დადგენილი ხელოვნური ცნების — არა-რასადმი მიმართებაში უნდა დარჩეს და არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს შეგრძნებებთან. ამრიგად, თუ საგნის განსაზღვრება დაუსრულებელი პროცესია, იმ აზრით, რომ რაღაც განსასაზღვრი ყოველთვის დარჩება, საერთოდ საგანიც ყოველთვის დარჩება არა-რასთან მიმართებაში და ეს მიმართება აზროვნების თვითგანსაზღვრების დაუსრულებელ პროცესს გამოხატავს.

აქ არ შეიძლება დასაწყისის პრობლემის ჰეგელისეული დაყენება არ მოგვაგონდეს. ჰეგელიც შეუძლებლად მიიჩნევს რაიმე მოცემულობიდან გამოსვლას. მისი არსი, როგორც შემეცნების დასაწყისი, იმდენად განუსაზღვრელია, რომ ჰეგელი მას არ-არსს უწოდებს და ეს არ-არსიც არაა აბსოლუტური არარაობა. ამ შემთხვევაში იგი ვერ გადავიდოდა არსში. კოპენისა და ჰეგელის მსგავსება ამ საკითხში მარტო საერთო წყაროზე კი არ მიუთითებს, არამედ კანტის ფილოსოფიის განვითარების გზების შინაგან ლოგიკაზეც. აღსანიშნავია ისიც, რომ კოპენმა, ისევე როგორც ჰეგელმა, თვისობრიობა რაოდენობის წინ გადაიტანა; თუ უსასრულო მსჯელობა პირველსაწყისს აწარმოებს, ცხადია, მისმა ჯგუფმა უნდა შექმნას საფუძველი რაოდენობისა და საერთოდ კატეგორიულ განსაზღვრულობათა მთელი შემდგომი მწკრივისათვის (ნატორპი არ მიყვება კოპენს და მსჯელობათა ჯგუფების კანტისეულ დანაწილებას ინარჩუნებს)<sup>8</sup>.

<sup>8</sup> Natorp P., *Quantität und Qualität im Begriff, Urteil und gegenständlichen Erkenntnis*. Philosophische Monatshefte B. 27, H. 1 und 2, S. 21—22, Heidelberg, 1891; Natorp P., *Die logischen Grundlagen der exakten Wissenschaften*, S. 53, 54.

უსასრულო მსჯელობა რაიმესა და არ-არისის ისეთ მიმართებას წარმოადგენს, რომელიც მსჯელობის ყოველ ელემენტს წმინდა აზრის სფეროთი ფარგლავს. რაიმე არის  $x$ -ი, რომელიც გაერთიანების ცენტრია, კერძოდ, პრედიატა გაერთიანების. რომელიც მის განსაზღვრულობებად უნდა იქცენ. არა-რა კი ის სეფროა, რომლისგანაც უნდა იქნეს აღებული ეს პრედიატები. იგი ამოუწურავია და მისკენ მიმართულ აზროვნებას გამოცალკეება შეიძლება ვუწოდოთ. ამ პროცესში იქმნება მეცნიერული სინამდვილე, როგორც შემეცნების შინაარსის მრავალსახეობა. ეს პროცესი დაუბოლოებელია, ასევე დაუბოლოებელია გაერთიანების პროცესიც, რომელიც განუსაზღვრელობიდან გამოტაცებულ განსაზღვრულობათა ერთ საერთო საფუძველზე გაერთიანებას წარმოადგენს. როგორც აღინიშნა, არც ერთი ეს პროცესი ლოგიკურად არ მოიაზრება მეორისგან დამოუკიდებლად, რაც მათი ერთიანობის საფუძველია.

პირველსაწყისის მსჯელობაში განსასაზღვრისა ( $x$ ) და განუსაზღვრელის (არა-რა) აუცილებელი კავშირის დადგენა აზროვნებას ასაბუთებს როგორც კავშირს (Zusammenhang). იგი აზროვნების ელემენტების კავშირის აუცილებლობაზე მიგვიითითებს, იქაც კი, სადაც ჯერ კიდევ არაფერია კონკრეტულად შექმნილი, სადაც წმინდა აზროვნება მხოლოდ მოთხოვნაა<sup>9</sup>.

უწყვეტობის კანონი, რომელშიც პირველსაწყისი იწარმოება, არაა აზროვნების ერთადერთი კანონი, თუმცა იგი აზროვნების უპირველეს ძირითად ნიშანს აღწერს. უწყვეტობამ, მართალია, აზროვნება დაადგინა, როგორც კავშირი, და შეგრძნებებისაგან დამოუკიდებელი გახადა იგი, მაგრამ აზროვნების სიწმინდეს მეტი საწინდარი ესაჭიროება. აზროვნება ძველთაგანვე არსთან იყო კავშირში და ამ კავშირშიც აზროვნების სიწმინდეა დასაცავი. კოპენი მის გამოხატულებას პარმენიდეს მიერ წამოყენებულ იდენტობის კანონში ხედავს. ერთი და იგივეა, იდენტურია აზრი და არსი. იდენტობის კანონი ადგენს, რომ აზროვნება უსასრულობისაკენ სვლაში არსად არაფერს უტყვოს არ შევხვდება, რომ სადაც ასეთ რამესთან, იდენტობის დარღვევასთან გვექნება საქმე, იქ უკვე აღარაა წმინდა აზროვნება და შეცდომა უნდა ვეძიოთ. თუ უწყვეტობის კანონი შეგრძნებებისაგან ათავისუფლებს მსჯელობას, პროცესიან თვალსაზრისით იცავს მის სიწმინდეს, იდენტობის კანონი ცნობიერებაში წმინდა აზროვნების შინაგან ერთიანობას იცავს. არსი და აზრი ერთი და იგივეა, რაც ამ იგივეობის გარეთ გადის, ის ლოგიკის გარეთაც რჩება. ამ მკაცრ ტავტოლოგიას ეყრდნობა მსჯელობის, როგორც წმინდა შემეცნების, ღირებულება. იგი საბოლოოდ გამოთიშავს მსჯელობას წარმოდგენისეულისაგან. ამ უკანასკნელმა მხოლოდ და მხოლოდ დამთხვევას შეიძლება მიაღწიოს არსთან და არა იგივეობას. იდენტობა დადებითი მსჯელობით გამოიხატება. უარყოფს თუ არა იგი სიმრავლეს? კოპენის აზრით, სიმრავლე თვით ამ კანონის ფორმულირებაში გამოდის ორი  $A$ -ს სახით ( $A = A$ ). ერთადერთი სიმრავლე, რომელსაც იდენტობის კანონი გამორიცხავს, არის წარმოდგენების, ცდისა და შეგრძნებების მიერ მოცემული სიმრავლე, რომელიც ვერ იქნება წმინდა აზრთან იდენტური, იდენტობა პირველსაწყისის მსჯელობაში წარმოშობილ ელემენტთა სიწმინდეს იცავს ცნობიერების წარმოდგენათა მრავალფეროვნებისაგან. ამდენად, იდენტობა უწყვეტობის კანონის გარეშე ვერ იარსებებდა.

<sup>9</sup>Cohen H., Logik..., S. 151.



შემეცნებაში წმინდა აზროვნების ცნობიერების სხვა ელემენტთაგან გამოსათიშავად, კოპენის აზრით, არც აღნიშნული ორი კანონია სასწავლებლო საკმარისი. პირველსაწყისის მსჯელობის შინაარსი, როგორც მხოლოდ აზროვნებისეული, შეიძლება ექვის ქვეშ დადგეს არა-რას ელემენტის გამო. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ აქ რაღაც არააზროვნებისეული, აბსოლუტური არარსია მსჯელობის ელემენტად შემოყვანილი. ეს ცხადია, წმინდა აზროვნების ფარგლებს გარეთ გასვლა იქნებოდა. ამგვარი ექვების გასაფანტავად კოპენი უსასრულო მსჯელობის მოჩვენებითს არარას, ნამდვილ არარას, არარაობას უპირისპირებს. ეს დაპირისპირება უარყოფით მსჯელობაში ხდება.

კოპენი უარყოფითი მსჯელობის თავისებურ გაგებას იძლევა. წინააღმდეგ ზიგვარტის მიერ წამოყენებული გაგებისა, რომლის მიხედვითაც უარყოფითი მსჯელობა ორმაგი მსჯელობაა, კერძოდ, დადებითი მსჯელობის მიერ დადგენილი მიმართების უარყოფაა, კოპენი ასაბუთებს, რომ უარყოფითი მსჯელობის ნამდვილი დანიშნულებაა, დაიცვას აზროვნების სიწმინდე და არა პრედიკატის სუბიექტისადმი მიწერის სისწორე შეაფასოს. იგი იმავე მიზანს ემსახურება, რასაც უწყვეტობა და იდენტობა და ამ აზრით იგი არის მსჯელობათა პირობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მსჯელობა მსჯელობამდე. უარყოფითი მსჯელობა არც ორმაგი მსჯელობაა და არც მისი არარსია უსასრულო მსჯელობის კომპონენტი არა-რა. ეს მსჯელობა ადგენს, რომ წმინდა აზროვნებას და მისთვის უცხო რაიმე ელემენტს შორის არავითარი კავშირის დაშვება არ შეიძლება, რომ თუ  $A = A$ -ს ადგენს მსჯელობას,  $A$ -სა და მასთან არაიდენტურ  $\text{non } A$ -ს კავშირი ანადგურებს მსჯელობას. აქ წმინდა აზროვნების არსებობის საკითხი დგას და მას კოპენი გამანადგურებელ ინსტანციას<sup>10</sup> უწოდებს. ეს მსჯელობა არ ეხება იმას, რაც მსჯელობის შინაარსში შეიძლება შედიოდეს ქვეშმართების ან შეცდომის ნიშნით. უარყოფითი მსჯელობა იცავს აზროვნებას იმისაგან, რასაც მასთან არავითარი მიმართება არ შეიძლება ქონდეს; თუ კი მას სურს იარსებოს, როგორც წმინდა აზროვნება.

უწყვეტობის, იდენტობისა და წინააღმდეგობის მსჯელობები ამოწურავენ თვისობრიობის სფეროს. მათი საშუალებით დგინდება წმინდა აზროვნება, რომელიც შემდეგ მათემატიკისა და მათემატიკური ბუნებისმცნეობების მსჯელობებად დაიშლება. ამდენად, მსჯელობათა ჯგუფების თვისობრიობით დაწყება უბრალო პოზიციური მდგომარეობა კი არაა, რომელიც ადვილად შეიძლება შეიცვალოს, არამედ წმინდა აზროვნების განხორციელების აუცილებელი პირობაა. კოპენის აზრით, მხოლოდ ასეა შესაძლებელი აზროვნების სუვერენობის დაცვა, შეგრძნებებისა და ნივთებისაგან მისი სრული ჩამოცილება. თვით თვისობრიობის მსჯელობები, როგორც დავინახეთ, ერთი და იგივე ღირებულებისანი არ არიან. წმინდა აზროვნება პირველსაწყისის მსჯელობაში წარმოიშვება. მასშია თვისობრიობის წყარო. ხოლო იდენტობისა და წინააღმდეგობის კანონები მის უფლებებს იცავენ. ამიტომ უწოდებდა კოპენი უწყვეტობას აზროვნების კანონთა აზროვნების კანონს.

თვისობრიობის მსჯელობები არც საგნებს აღწერენ, არც არსებულის რაიმე კონკრეტულ თვისებებზე მიუთითებენ. ისინი წმინდა აზროვნების საერთო ბუნებას აწარმოებენ; აზროვნების საფუძველს ქმნიან. თვისობრიობამდე არ შეიძლება რაიმე საგანი, სხეული ან არსი, საერთოდ, რაიმე განსაზღვრულობა

<sup>10</sup> Cehen H., Logik..., S. 107—109.

არსებობდეს. ეს, კოჰენის აზრით, პლატონის ფილოსოფიის გზაა, რომელსაც საფუძვლიდან არსისაკენ მიყვებით.

თვისობრიობის მიერ რაოდენობის მომზადება უდრის ლოგიკის მიერ მათემატიკის მომზადებას და თანაც ისე, რომ მათემატიკა და ლოგიკა ერთმანეთს არ დაემთხვეს. მათემატიკის ლოგიკური ხასიათი იმას კი არ ნიშნავს, რომ მის შინაარსს ლოგიკური ბუნება აქვს და მისი ცნებები წინააღმდეგობისაგან თავისუფალია, არამედ — მისი უძირითადესი ცნებების ლოგიკის კანონებში შექმნას ან მათგან გამოყვანას. მარბურგელის აზრით, ლოგიკისა და მათემატიკის ამგვარ კავშირს იცავდა პლატონი და არსებითად კანტიც<sup>11</sup>.

მათემატიკის მსჯელობებში (რეალობის, მეტობის, ყოვლადობის) წმინდა აზროვნება საყოთარო საშუალებებით ქმნის იმას, რასაც კანტი მოცემულობას უწოდებდა, ე. ი. სიმრავლეს დროში და სივრცეში. ესაა შინაარსი, რომელიც აუცილებელია მათემატიკური ბუნებისმეცნიერებისათვის.

მათემატიკის მსჯელობები ქმნიან საგანს, როგორც რაოდენობისა და თვისობრიობის შედეგს, როგორც სასრულო რიცხვს. ქმნიან ისე, რომ არ მოიხმარენ არც ნივთებს, არც შეგრძნებებს. კოჰენი შეეცადა, უსასრულო მცირე დაესვა რეალობის ადგილას. ამგვარი რეალობიდან წარმოშობილი სინამდვილე (სასრულო) წმინდა აზრიდან წარმოებულის ტოლია, რადგან უსასრულო მცირეს წმინდა აზროვნებისაგან დამოუკიდებელ არსებობას ვერ მივაწვრთ<sup>12</sup>.

სასრულო რიცხვის წარმოება არაა წმინდა შემეცნების მიზანი. ნატორპის სიტყვები რომ ვიხმაროთ, აქ დასრულდა აზროვნების უშუალო, პირველადი სინთეზური მოქმედება და არა სინთეზური მოქმედება საერთოდ. ყოველი საგნის, როგორც სასრულოს სრული განსაზღვრებისათვის აუცილებელია, მისი სხვებთან კავშირი, ე. ი. აუცილებელია მისი ცდის ნაწილად, ცდის საგნად განხილვა, სადაც აზროვნების შედეგს საბოლოოდ ეთქმის უარი აბსოლუტურობაზე. ამდენად, წმინდა შემეცნების მიზანია ცდის, როგორც ბუნების, წმინდა აზროვნებიდან გამოყვანა. ცდა თავისთავად, მართალია, საგანია, მაგრამ ერთეულ საგანთან დაპირისპირებაში საგანთა ურთიერკავშირს, მათ სისტემას წარმოადგენს და რაღაც ახალ ერთიანობას ეყრდნობა. ესაა სისტემა, რომელშიც ყველა საგანი სხვებზე დამოკიდებული და აუცილებელია მისი განსაზღვრებისათვის.

ცდის, როგორც ბუნების, აგება ხდება მათემატიკური ბუნებისმეცნიერების მსჯელობაში (სუბსტანციის, კაუზალობის და ცნების მსჯელობები). იგი მათემატიკური ბუნებისმეცნიერების მეთოდების ერთიანობა უნდა იყოს. ცდა მხოლოდ მოთხოვნის მიხედვითაა აბსოლუტური ერთიანობა ანუ სრული განსაზღვრულობა, ფაქტიურად კი ყოველთვის განსაზღვრულია და ახალ განსაზღვრებას მოითხოვს. ესაა საგანი, რომელსაც მეცნიერება ბუნებას ეძახის<sup>13</sup>.

<sup>11</sup> რიკერტი მათემატიკის ლოგიკისაგან გამოყვანის წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, ლოგიკა ეხება ფორმას და შინაარსს საერთოდ, ე. ი. შინაარსის ადგილს. მათემატიკას კი საკმე აქვს განსაზღვრულ შინაარსთან, რომელიც წმინდა ლოგიკური საშუალებებით არ გამოიყვანება. მის საგანში არის ალოგიკური ელემენტებიც. ლოგიკური მნიშვნელობის და არ არსებობს, მათემატიკური კი არსებობს იდეალურად.  
Moroc, 1911, KH. II, III, გვ. 153, 168, 178, 193.

<sup>12</sup> Cohen H., Logik..., S. 125.

<sup>13</sup> იქვე, S. 339.

ცნების მსჯელობაში, კოპენის აზრით, აზროვნების ბუნება ყველაზე ნათელ გამოხატულებას პოულობს. ესაა დისიუნქტური მსჯელობა, რომელშიც საპირისპიროები ერთმანეთს მოითხოვენ და ერთდროული არსებობით განაპირობებენ ერთმანეთს. მსჯელობათა სხვა სახეებში კი საპირისპირონი ერთმანეთს ცვლიან. ამდენად ამ მსჯელობაში შეიძლება გავიზიაროთ ინდივიდუალური, სრული განსაზღვრულობა, როგორც ლოგიკის მიზანი. იგი იდეაა, რომელშიც აღარაფერია განსასაზღვრი, მაგრამ იგი მხოლოდ იდეაა, ამოცანა და არა არსებული ნივთი, ამ უკანასკნელის დაშვება ონტოლოგიზმი იქნებოდა. ამგვარი განსაზღვრულობის არსებობას წმინდა აზროვნება ვერ დაუშვებს. არსებობის ერთადერთი ფორმა, რომელსაც ლოგიკა ცნობს, ბუნებისმეცნიერების ცდაში არსებობის ფორმაა. აბსოლუტურად განსაზღვრული კი შეუძლებელია ცდაში იქნეს მოცემული. ამდენად იგი რჩება მიზნად, იდეად, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მეთოდი, რომელიც მიმართულებას აძლევს აზროვნებას აბსოლუტური შემეცნებისაკენ, იგი მარადიული ამოცანაა. ყოველი პასუხი მასზე ახალ კითხვას სვამს. ყოველი განსაზღვრება განუსაზღვრელზე, მაგრამ განსაზღვრავზე მიუთითებს. ამიტომ შემეცნება ვერსად ვერ შეჩერდება.

წმინდა აზროვნებამ მათემატიკური ბუნებისმეცნიერების ცდის გააზრებით ამოწურა თავისი შესაძლებლობანი, მაგრამ ეხლა მის წინაშე მისი ნამოქმედარის კომპეტენციის საკითხი დგება. ეს კანტთან მოდალური კატეგორიების საქმე იყო და კოპენიც მათ ავალებს ამ ამოცანის შესრულებას. მოდალური კატეგორიები აფასებენ აზროვნების მოქმედების ღირებულებას სინამდვილის შემეცნების თვალსაზრისით. ამდენად, ისინი საგნის რაიმე ახალ, კონსტრუქციულ განსაზღვრულობას ვერ მოგვცემენ. ისინი იხილავენ იმ პირობებს, რომლის ძალითაც საგნის შექმნისაკენ მიმართული სინთეზი ან მხოლოდ შესაძლებელია, ან დადგენილი ფაქტია (სინამდვილე), ან კანონის მიხედვით დადგენილი ფაქტი (აუცილებლობა). აქ კიდევ ერთხელ დგება ემპირიულთან, შეგარძნებებთან წმინდა შემეცნების ურთიერთობის საკითხი და კოპენი ცდილობს მათ საბოლოოდ უთხრას უარი საგნის აგებაში რაიმე მონაწილეობაზე<sup>14</sup>. მოდალობის მსჯელობები ფაქტიურად შეგარძნებების საკითხისადმი მიძღვნილი და კოპენი სამართლიანად თვლის, რომ შეგარძნებების რაიმე ნაირი საპირობება წმინდა შემეცნებისათვის ონტოლოგიის აუცილებლობის წინაშე დააყენებს მას.

შეგარძნებათა პრეტენზიას, იყონ ერთეული, აზროვნებისაგან დამოუკიდებელი საგნების წარმომადგენლები, კოპენი ფსიქოლოგიურ ილუზიას უწოდებს. მაგრამ ამ პრეტენზიის ახსნა ისევ წმინდა შემეცნების ბუნებიდანაა შესაძლებელი. ობიექტური, შემეცნებისაგან დამოუკიდებელი საგნის მოცემა არაა ილუზია, იგი მთელი წმინდა შემეცნების მიზანია. ყველა კატეგორია მას ისახავს მიზნად. ასე რომ შეგარძნებები შემეცნებისათვის რაიმე უცხო და მიუღებელ ამოცანას არ აყენებს. მაგრამ ეს მხოლოდ ამოცანაა, შემეცნების მიმართულების მაჩვენებელი და ამ აზრით შეგარძნებების პრეტენზიის ლოგიკური შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა კითხვის ნიშანი. შეგარძნებების მიერ მითითებული ფაქტი არის მხოლოდ სრული დეტერმინაციის აუცილებლობა-

<sup>14</sup> Cohen H., Logik..., S. 401.

დან გასომდინარე შეუფენებელი ანტიციპაცია და მას „მოცემულს“ უწოდებენ<sup>15</sup>. არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს შეგრძნებები სვამდნენ აზროვნების წინაშე ობიექტურობის მოთხოვნას, მაშინაც შეიძლება აღმოჩნდეს წმინდა აზროვნების სიწმინდე. შეგრძნებების პრეტენზია, რაც თავისთავად ფსიქოლოგიურია, ემთხვევა აზროვნების შინაგან მიმართულებას იდეისაკენ, როგორც აბსოლუტური განსაზღვრულობისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში იდეას არ ექნებოდა ჰიპოთეზის მნიშვნელობა და მოცემულობის პრობლემაც ხელახლა დადგებოდა. ვ. კინკელი სამართლიანად შენიშნავდა, რომ შეგრძნებები კი არ სვამენ პრობლემას, არამედ, პირიქით, თვით აზროვნება სვამს პრობლემას შეგრძნებებისათვის, სახელობრ, ობიექტურობის პრობლემას<sup>16</sup>.

ამრიგად, კოპენის ლოგიკა პირველსაწყისიდან გამოვიდა და მივიდა ცნებამდე, როგორც იდეალურ სისტემამდე. ორივე კიდური ცნება მეთოდურია, ორივე წმინდა შემეცნების საგნის გამართლებისთვისაა დადგენილი და არც ერთი არ შეიძლება სამუდამოდ რაიმე კონკრეტულ შინაარსს დაუკავშირდეს. სისტემა არც ერთი მხრით არაა შინაარსობლივად ჩაეკტილი. მის გამაერთიანებელია კატეგორიათა შინაგანი კავშირი, ხოლო ამ კავშირის საფუძველი არის იდეის, როგორც ჰიპოთეზის ანუ სრულყოფილი სისტემის მოთხოვნა, როგორც სინამდვილის ამომწურავი განსაზღვრულობის. ამ მოთხოვნის შესრულებისათვის აუცილებელია კატეგორიათა იმანენტური კავშირი და შემეცნების უწყვეტი განვითარება, როგორც პირველსაწყისის ისე სისტემისაკენ. შემეცნებაში საგნის აგება, მათემატიკური ბუნებისმეცნიერების ცდის წმინდა შემეცნებაზე დაფუძნება, მხოლოდ ამგვარად მიიჩნდა კოპენს შესაძლებლად.

## II. ბერმან კოპენის შემეცნების თეორიის კრიტიკა

კოპენის შემეცნების თეორიის კრიტიკა მიზნად ისახავს დასაბუთოს, რომ: 1) კანტის თავისთავადი ნივთის, როგორც არსებულის, უარყოფა კოპენმა, ისევე როგორც სხვა ნეოკანტიანელებმა, ვერ შესძლო თავისი რაციონალიზმით, თავისთავადი ნივთის „საზღვრით ცნებად“, სისტემის იდეად გააზრება. რაც ნივთი თავისთავადის მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელობა იყო კანტთან, კოპენთან დამოუკიდებელ ცნებად და მეთოდის ნაწარმოებად იქცა. მაგრამ ნივთი თავისთავადი როგორც არსებული, მაინც დარჩა, თუმცა სიტყვიერად გაზღვენილ, მაგრამ ფაქტიურად ერთ-ერთ ძირითად ცნებად.

2) აზროვნების აბსოლუტურობის უარყოფის შემთხვევაში, რასაც კოპენი იცავს, ჰეგელიანობის ობიექტურობა მხოლოდ ასახვის თეორიას წყუძლია შეინარჩუნოს. იდეალიზმის პოზიციებიდან კი იგი საერთოდ შემეცნების შესაძლებლობის უარყოფამდე მიგვიყვანს. საერთოდ, აბსოლუტური ჰეგელიანობის უარყოფიდან სკეპტიციზმამდე არავითარი ლოგიკური მიჯნა არ შეიძლება არსებობდეს.

3) მარბურგის სკოლა ფსიქოლოგიზმის ყველაზე დიდი მტერი იყო. მაგრამ მისი პანლოგიზმი ან პანმეთოდოზმი ვერ იცავს თავს ფსიქოლოგიზმისაგან. იდეალიზმისათვის აზროვნების აბსოლუტურობის აღიარება ერთადერთი იარაღია ფსიქოლოგიზმისაგან თავის დასაცავად. ამ აზრით, იდეალიზმის საუკეთესო სახე ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმია.

<sup>15</sup> Natorp P., Die logische Grundlagen der exakten Wissenschaften, S. 96.

<sup>16</sup> Kinkel W., Hermann Cohen, S 152.



## § 1. შეგრძნებებისა და ნივთი თავისთავადის საკითხი

შეგრძნებებისა და ნივთი თავისთავადის, როგორც შემეცნებისგან დამოუკიდებლად არსებულის, საკითხები კოპენთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ისე რომ, თუ შეგრძნებას ლოგიკაში, უფრო ზუსტად, ლოგიკისათვის, რაიმე მნიშვნელობა შერჩა, იგი მოიყოლებს თავის კორელატს ნივთს თავისთავად; და პირიქით, ნივთი თავისთავად, როგორც არსებული, შეგრძნებების ვარდავერაფრით დაუკავშირდება შემეცნებას.

ამდენად, შემეცნებაში შეგრძნებების როლის წინააღმდეგ ბრძოლა ნივთი თავისთავადის, როგორც აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებულის, წინააღმდეგ ბრძოლაა. მათი მნიშვნელობის ანულორების ვარეშე წმინდა შემეცნება თავის საგანს ვერ უწოდებს მხოლოდ თავის საკუთარ შემოქმედებას და ვერც ფსიქოლოგიზმიდან დაიფარავს თავს.

რეალობის, რომელიც კანტთან შეგრძნებების ინსტანცია იყო, უსასრულო მცირის მათემატიკურ მეთოდთან გაიგივებით, ნივთი თავისთავადის მხოლოდ საზღვრით ცნებად, სისტემის იდეალ ქცევით კოპენმა შემეცნების თეორიის სფეროში მასალაც და ფორმაც წმინდა აზრიდან გამოიყვანა. სისტემის შიგნით შეგრძნებებს აღარაფერი დარჩათ გასაკეთებელი და არც „გარედან“ გამლზიანებელი ნივთი თავისთავადი არსებობს. რჩება მხოლოდ „მოგონება“ შეგრძნებების პრეტენზიაზე, მოგონება იმდროინდელი, როცა აზროვნება მათის, ცნობიერების დონეზე იდგა. შეგრძნებების მაშინდელ პრეტენზიას, მათგან სავსებით დამოუკიდებლად და სავსებით სხვა აზრით ასრულებს წმინდა შემეცნება. იგი შეგრძნებების მიერ მოთხოვნილ აბსოლუტურ თბიექტურობას ცვლის შეფარდებითით, ისეთით, რომლის გარანტიის მოცემა შეუძლიათ ზუსტ მეცნიერებებს. ამგვარ თბიექტურობას აცხადებს იგი ურაცოფილი შეგრძნებების მოთხოვნის ერთადერთ რაციონალურ საფუძვლად და საკუთარ მიზნად ისახავს მას. ამრიგად, შეგრძნებებს არა მარტო თავისთავად ნივთთან კავშირზე ეთქმით უარი, არამედ არავითარი წვლილი არ შეაქვთ შემეცნების შინაარსში და თვით იდეალურ მიზნისათვის, როგორც ერთეულისათვის, რომელიც მარადი, მაგრამ მიუწვდომელი მიზანია, არაა საჭირო შეგრძნებები. ეს ერთეული წმინდა აზრის განსაზღვრულობათა ისეთი კავშირი იქნება, რომელშიც აღარაფერი რჩება განსასაზღვრავი და აქედან გამომდინარეობს მისი ერთადერთობა. მაგრამ ყველაფერი ეს კოპენის სურვილია. ასეთი სახე უნდა აქონოდა მის ლოგიკას. კოპენმა ვერ შესძლო მისი თანმიმდევრულად გატარება და, რაც მთავარია, არც შეეძლო, რადგან ამ შემთხვევაში აბსოლუტურ იდეალიზმში გადავიდოდა. საგნის შემეცნებაში, მხოლოდ შემეცნების საშუალებებზე აგება, აზროვნების აბსოლუტურობის საფუძველზეა მხოლოდ შესაძლებელი. აბსოლუტიზმი კი შემეცნების თეორიას ონტოლოგიად აქცევს, რაც მიუღებელია ნეოკანტიანელისათვის. ესაა კოპენის სისტემის ძირითადი შინაგანი წინააღმდეგობა, ყველა დანარჩენი მასთანაა დაკავშირებული. ისევე, როგორც სხვა ნეოკანტიანელებმა, კოპენმაც ვერ მოხსნა ნივთი თავისთავად, როგორც აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებული. მან მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი ვაგების ხაზით განავითარა ნივთი თავისთავადის კანტისეული ვაგება<sup>17</sup>.

<sup>17</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ. 245.

ნივთი თავისთავადის ერთ-ერთი მნიშვნელობა ცალკე ცნებად აქცია და საზღვრითი ცნების სახით წმინდა შემეცნების სფეროში შეიყვანა. მაგრამ ნივთი თავისთავადის ძირითადი ნიშანი — არსებობა, არსებობა შემეცნებისაგან დამოუკიდებლად და მისთვის გაუგებარი სახით, მაინც დარჩა და იგი აპირობებს შემეცნების არა აბსოლუტურობას; არა იმ აზრით, რომ შემეცნება აბსოლუტურ განსაზღვრულობას ვერასდროს ვერ მიაღწევს, ამას საზღვრითი ცნება აკეთებს, არამედ იმ აზრით, რომ შემეცნებაში შეუძლებელია ობიექტური ჰერმეტიკების, „აზროვნებისაგან დამოუკიდებელი“ შინაარსის არსებობა, რაც შემეცნების „ნაკლებ“ მოთითებს და არა იმაზე, რომ ამგვარი შემეცნებისთვის საგანი არ არსებობს.

კოპენის მიერ შემეცნების საგნის აგების პროცესის განხილვისას ხშირად გვგონია, რომ საქმე აბსოლუტურ იდეალიზმთან გვაქვს; სისტემა შინაგანად მისწრაფის მისკენ, მაგრამ კოპენი ცდილობს შეზღუდოს ეს მისწრაფება და ფენომენალობის საზღვრებს არ გადასცდეს. ეს საზღვრები ლოგიკური იქნებოდა ნივთი თავისთავად, როგორც საზღვრითი ცნება და შემეცნების მიზანი, შეუცნობადი რომ ყოფილიყო.

აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებობა და, აქედან გამომდინარე, შეუცნობადობა კანტის ნივთი თავისთავადის არსებითი ნიშნებია. ნივთი თავისთავადს, როგორც იდეას, როგორც საზღვრით ცნებას, არც ერთი ეს ნიშანი არ აქვს. იგი აბსოლუტური განსაზღვრულობაა, რომელიც მართალია, მიუღწეველია და მიუღწევადი შემეცნებისათვის, მაგრამ შეუცნობადი არაა. ამიტომ იგი ვერ დაადგენს შემეცნების თეორიის საზღვარს და ვერ გამოყოფს მას ონტოლოგიისაგან. იგი ვერც ეთიკისკენ გადასასვლელი იქნება, რადგან ლოგიკის უფლება არა აქვს რაიმე თავისგან განსხვავებული კანონზომიერება დაუშვას იმ სფეროში, რომელიც მიზანსა და არსს შორის რჩება; ხოლო თვით მიზანი წმინდა ლოგიკურია და ეთიკის საგნის რაიმე ნიშნის მისთვის მიწერა წმინდა ლოგიკის საფუძვლებიდან გაუგებარია. ფრ. ლინდჰაიმერს სრული უფლება ჰქონდა ნივთი თავისთავადის კოპენისეული გაგებისათვის არა კანტიანური ეწოდებინა, რომელიც შლის საზღვრებს ნოუმენებსა და ფენომენებს შორის და შემეცნებადია<sup>18</sup>, მაგრამ მას კოპენის შეხედულებების მეორე თავისებურება არ გაუთვალისწინებია, რომელიც მოითხოვს ნივთს თავისთავადს როგორც არსებულს და შეუცნობადს.

ეს წინააღმდეგობა შეიძლება ერთი შეხედვით პარადოქსალური დებულებით გამოითქვას: კანტის ნივთი თავისთავადი, როგორც არსებული და შეუშეცნებადი, კოპენის შემეცნების თეორიისათვის მნიშვნელობს როგორც არ არსებული. არარსებულის მნიშვნელობის დაშვება კოპენთან ბუნებრივია (იდეა, მიზანი), მაგრამ აქ ხაზს ვუსვამთ არარსებული შეუშეცნებადის მნიშვნელობას განსხვავებით მიზნისგან, რომელიც პრინციპულად შეშეცნებადია<sup>19</sup>. ამ ორი სახის არარსებობად დაიშალა კოპენთან ნივთი თავისთავადის

<sup>18</sup> Lindheimer Fr., Beiträge zur Geschichte und Kritik der neukantischen Philosophie, I, Reihe' H. Cohen, S. 93, 96, Berlin, 1900.

ლებული იყო ყოველგვარ უფლებას გარდა შრომისა და მეფის მთავრობის მოხელეთა განკარგულებების მოსმენისა და შესრულებისა. სოფელს განაგებდა ფისკალური პოლიტიკური კანცელარია და თავის ნება-სურვილით წარმართავდა გლეხობის ყველა სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმეს. მეფის მთავრობის მექანამე და გარხწინლი ბიუროკრატის თვითნებობა და პოლიციური რეჟიმი სტანჯავდა გლეხობას.

საქართველოს გლეხობის მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას თან ერთვისდა სასტიკი ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა. საერთო სარუსეთო კანონები ყოველთვის არ ვრცელდებოდა ჩვენში. მაგ. 1881 წლის კანონი დროებით ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ საქართველოზე არ გავრცელებულა. იდგენებოდა ყოველივე ეროვნული (ენა, ზნეჩვეულება), რაც მოსახლეობის უდიდეს პროტესტს იწვევდა. ამ პროტესტს და აღშფოთებას შეგნებულ და ორგანიზებულ ხასიათს აძლევდა მოსახლეობის შედარებით კულტურული დონე და პოლიტიკური მოწიფულობა<sup>13</sup>.

გლეხობის ასეთი მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობები იწვევდა მათი უკმაყოფილების ზრდას და გარევიოლუციონერებას.

საქართველოს სოფლის გარევიოლუციონერებაზე დიდი გავლენა იქონია, ერთი მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლეხობის სოფლიდან ქალაქად გარესაშოვარზე წასვლამ, გლეხებისა, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ გაწყვეტილი სოფელთან, ბრუნდებოდნენ სოფელში ახალი იდეებით; მეორე მხრივ, გლახთა პროლეტარიზაციასთან ერთად ვათარდება მუშათა მოძრაობა და წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. სოფელში იჭრებიან სოციალ-დემოკრატი ავითატორები, რომელთაც იქ გლახთა მოძრაობის გაშლისათვის პოხიერა ნიადაგი დაუხვდათ.

საქართველოშიც მოხდა ისე, როგორც ლენინი აღნიშნავდა, გარესაშოვარზე წასული გლახები, როცა ბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილას, მათ მოაქვთ ახალი იდეები, „მიყრუებულ ადგილების გლახობაში ისინი აღვიძებენ შეგნებას და ადამიანური ღირსების გრძნობას, აღვიძებენ რწმენას საკუთარი ძალისადმი“<sup>14</sup>.

საქართველოში 1902—1903 წლებში გლახთა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის შესახებ მთავრობის მოხელის ერთ-ერთ მიმოხილვაში ვკითხულობთ: „გლახთა მასებში ჭერ-ჭვეშეთური პროპაგანდის შეჭრას არანაკლებ უწყობდა ხელს მრავალი სოფლის გლახების მიერ გარესაშოვარზე წასვლა-სამუშაოდ ქარხნებში და ა. შ., საიდანაც ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში ან ასახლებენ იქ მთავრობის მითითებით და შეაქვთ გლახებში მანე სოციალისტური იდეები, პროკლამაციები, აკრძალული გამოცემები და სხვ. აქედან ცხადია, რომ პროპაგანდის თესლმა ქუთაისის გუბერნიიაში პოვა ხელსაყრელი ნიადაგი და მოგვცა უხვი აღმონაცენნი“<sup>15</sup>.

1900—1901 წლებში დასავლეთ საქართველოს გლახობას თავს დაატყდა დიდი მოუსავლიანობა, რის გამო დიდძალი გლახობა დაიძრა ქალაქებისაკენ

<sup>13</sup> ი. კაჭარავა, სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლახთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, 1959, გვ. 59.

<sup>14</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 162.

<sup>15</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 394.



სამუშაოდ. ბათუმში სოფლიდან ჩამოსული მუშების რაოდენობა გაორკეცდა.

1901—1902 წლების სამრეწველო კრიზისისა და უმუშევრობის პერიოდში თბილისის, ბათუმის და სხვა ქალაქების მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი ბრუნდებოდა სოფლებში. მნიშვნელოვანი ნაწილი კი მთავრობა გაფიცვებში და დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის თავიანთ სოფლებში ასახლებდა. ქალაქიდან გასახლებულა მუშები, რომლებიც წარმოშობით ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, გორის, თბილისის და სხვა ადგილებიდან იყვნენ, თავიანთ სოფლებს დაუბრუნეს.

მთავრობა ასახლებდა მოწინავე მუშებს თავიანთ სოფლებში, ვარაუდობდა, რომ ამ გზით იგი გაწმენდა ქალაქებს მოუსვენარი ხალხისაგან და შეანელებდა რევოლუციურ მოძრაობას. „მუშების გასახლებით, — წერდა ლენინი, — უნდათ ქალაქები გაწმინდონ მოუსვენარი ხალხისაგან, მაგრამ, შესაძლოა, განდევნილებმა მოახერხონ გლეხების თუნდაც ნაწილის გამოღვიძება საუკუნოვანი მორჩილებისაგან და გააბედვინონ მათ არა მარტო თხოვნები, არამედ მოთხოვნებიც“<sup>16</sup>.

გამართლდა ლენინის წინასწარხედვა. ბათუმიდან დასავლეთ საქართველოში გასახლებულმა მუშებმა გაშალეს ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გლეხებს შორის, იწყეს გლეხებს შორის არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გავრცელება. მუშების ამ მუშაობის შესახებ რსდმპ III ყრილობაზე მ. ცხაკაია ამბობდა: „ბათუმის 1902 წ. 9 (22) მარტის ცნობილი ზოცვა-უღელტის შემდეგ ასობით მუშა ბათუმიდან სამშობლო სოფლებში გაასახლეს. გასახლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გურულები იყვნენ, დანარჩენები — მეგრელები და იმერლები. სწორედ ამ მუშებმა, რომლებიც თავიანთ სოფლებში, თავიანთ დაქსაქსულ მეურნეობებში გასახლეს, მუშებმა, რომლებიც სოციალიზმს ეზიარენ და რომლებმაც თვითმპყრობელობისაგან მათხახების, საპყრობილეებისა თუ ტყვეების სახით პოლიტიკური განათლების პირველი გაკვეთილები მიიღეს, გაბედულად და მხნედ დაიწყეს აგიტაცია გლეხებში. ამ აგიტაციის ნაყოფი დაუყოვნებლივ, უკვე რამოდენიმე თვისა და კვირის შემდეგაც კი იჩენდა ხოლმე თავს“<sup>17</sup>.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ, სოფლებში გასახლებულმა მუშებმა და სოციალ-დემოკრატ აგიტატორების აგიტაცია-პროპაგანდამ უდიდესი გამარევილუციონერებელი გავლენა მოახდინა საქართველოს გლეხობაზე, გლეხობა მუშათა კლასის კვალიდაკვალ, განსაკუთრებით 1902 წლიდან მასობრივ ბრძოლებში ებმება.

ახასიათებდა რა 1902 წელს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების მიზეზებს, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ბროშურაში „გლეხთა მოძრაობა გურიაში“ წერდა: „მიწის სივიწროვე, საიჯარე გადასახადების სიდიდე, დიდი სახელმწიფო გადასახადები, დრამა-ფული, ბათუმის ამბები, სოფლების ქალაქის უკმაყოფილო მუშებით ავსება და 1901 წლის მოუსავლობა — აი მოკლედ ის მიზეზები, რამაც გააღვიძა გლეხებში „წინააღმდეგობის სურვილი“. ამნაირად დაიბადა მათში იდეა ბრძოლისა“<sup>18</sup>.

<sup>16</sup> ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 5, გვ. 106.

<sup>17</sup> რსდმპ მესამე ყრილობის ოქმები, 1937, გვ. 243—244. რუს. გამოც.

<sup>18</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 454.

ბრძოლის ველზე პირველად გამოვიდნენ გურული გლეხები. 1902 წლის მაისის დამდეგს ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიგოეთის გლეხებს მოუხდათ მემამულესთან შეტაკება. ნიგოეთში მიწის ყველაზე მეტი სინაკლულე იყო. ამის წინააღმდეგ ამხედრდნენ გლეხები. კლესთაეს სტიქიურ<sup>19</sup> გამოსვლება სოციალ-დემოკრატებმა გამოიყენეს და მოიწვიეს გლეხთა მრავალრიცხოვანი კრებები, სუფსაში, ნიგოეთში, ხვარბეთში, მიქელ-გაბრიელში, გურიანთში, დვაბუშში, ჯუმათში, ძიმითში და სხვა სოფლებში. კრებებზე, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ რსდმპ ბათუმის კომიტეტის წარმომადგენლები<sup>20</sup>. ირჩეოდა მრავალი პრაქტიკული საკითხი — მემამულეებზე და სამღვდლოებზე ბოიკოტის გამოცხადების, დრამის ფულზე და დიდ საიჯარო გადასახადებზე უარის თქმის შესახებ და სხვ. ყველა კრება მთავრდებოდა ფიცით, რომელიც ავალდებულებდა თითოეულ მონაწილეს, თანაგრძობით მოკიდებოდნენ მოძრაობას. ემოქმედათ ერთსულოვნად, მოესპოთ ჯაშუშები, შეენახათ საზოგადოების საიდუმლოება და არ ეღალატათ მშრომელი ხალხის საქმისათვის<sup>21</sup>.

კრების შედეგებმა მალე იჩინეს თავი. გურიის გლეხებმა მემამულეებს და სამღვდლოებს ბოიკოტი გამოუცხადეს. შიშის ზარმა მოიცვა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობა, ისინი ტოვებდნენ სახლ-კარს და ქალაქში გარბოდნენ და შველას თხოვდნენ მთავრობას. მაზრის უფროსის თანაშემწის მოვალეობის აღმასრულებელი ალ. წერეთელი ქუთაისის გუბერნატორს აცნობებდა: „მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობამ მოიცვა მთელი მაზრა. საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციები ძლიერი სისწრაფით მრავლდებიან და მთელი კუთხე აკლებულია რევოლუციონერებისაგან. მარტო მაზრის პოლიციის მოხელეთა ძალები არა მარტო არასაკმაოა, არამედ უძლურიც არის“<sup>22</sup>.

სოფ. მიქელ-გაბრიელის საზოგადოების კრებამ გამოხატა რა მთელი გურული გლეხების ნება-სურვილი, მთავრობას შემდეგი მოთხოვნები წამოუყენა: დალის არსებული წესის მოსპობა და საყანე მიწების გაცემა მერვედად და მეთედად, საბალახოზე გადასახადის მოსპობა, არაყზე აქციზის მოსპობა, სოფლის შარავნების შეკეთება და ეკლესიაზე ყურადღების სავალდებულობა და მიწის გამიჯვნის ხარჯების გადახდევინება ყველა წოდებისთვის, დრამის ფულისა და წოდებრივი უპირატესობის მოსპობა და უფლებით ყველას გათანასწორობა კანონის წინაშე<sup>23</sup>.

კავკასიის მთავარმართებლის სანქციით 1902 წ. 6 აგვისტოს ოზურგეთის მაზრაში გაიგზავნა კახეთა დამსჯელი ექსპედიცია. ჯაშუშების ჩვენებით დაპატიმრებულ იქნა 250 ამბოხების უფრო აქტიურად მონაწილე გლეხი, გურიის თითქმის ყველა სოფელში დაკეტეს ბიბლიოთეკები, საშობაობები, საზოგადოებას წაერთვა მამასახლისის არჩევის უფლება და დააყენეს მთავრობის მამასახლისები წელიწადში 450—500 მანეთი ჯამაგირით, რომელიც სოფელს უნდა ეძლია. ამბოხებულ სოფლებში ჩააყენეს თითოეულში 50—60 სალდათი, სოფლებს შეუსიეს სოფლის მოხელეები და ჩაფრები<sup>24</sup>. მთავრობას ამით უნდოდა გაეტეხა გლეხობის წინააღმდეგობა, მაგრამ ამას ვერ მიაღწია.

<sup>19</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 478.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 455.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 460.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 461.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 463.

გურიის გლეხთა მოძრაობამ დიდი გამოხმაურება პოვა საქართველოს ყველა სოფელში. 1902 წ. აგვისტოს ზუგდიდის მაზრის გლეხთა მოძრაობის ინიციატორებად გამოდის სოფ. ნარაზენის გლეხობა. შემდეგ მათ მიყენენ საჯიჯაოს, მუხურის და ზუგდიდის მაზრის სხვა სოფლის გლეხები.

კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე თავის მოხსენებაში შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ზუგდიდის მაზრის გლეხთა მღელვარების შესახებ წერდა: „ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა მღელვარება მეზობელ ზუგდიდის მაზრაშიც შემოიჭრა. ამ მღელვარების მიზეზები იგივეა, რაც ოზურგეთის მაზრაში“<sup>24</sup>. პოლიციამ რამდენიმე მოთავე გლეხი დააპატიმრა, მაგრამ ამით მოძრაობის შეჩერება ვერ შეძლო.

1902 წლის მეორე ნახევარში გლეხთა მოძრაობა ვრცელდება სენაკის მაზრის — გულენისკარის, ილორის, გეზათის, საჭილოს, ნავსაკოვოს, მარანის და სხვა სოფლების გლეხებში. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებსა და სამღვდლეობას და დაიწყეს მემამულეთა სახლკარის დარბევა. სენაკის მაზრის უფროსი ქუთაისის გუბერნატორს აცნობებდა, რომ მაზრაში გლეხთა მოძრაობა ფართოვდება, გლეხობა ძალადობაზე გადავიდა და თხოულობდა შევლას და ნებართვას რეპრესიების შესახებ<sup>25</sup>.

აგრარული ხასიათის მოძრაობა სწრაფად გავრცელდა იმერეთშიც — კულაშის, დანირის, ჩხენიშის, ჭავჭავის და სხვა სოფლის გლეხებში. ამბოხებულნი იმერელი გლეხობის მოთხოვნები იგივე იყო, რაც გურული და მეგრელი გლეხებისა.

აღმოსავლეთ საქართველოში გლეხთა მოძრაობას ადგილი ჰქონდა 1902 წლის აპრილში გორის მაზრის სოფ. კარალეთში. ეს მოძრაობა გაფართოვდა ივლის-აგვისტოში, როცა ცნობილი გახდა მათთვის დასავლეთ საქართველოს გლეხთა მოძრაობის ამბები. ამბოხება მთელ გორის მაზრას მოედო. ზოგიერთ ადგილში, მაგ. სოფ. სატიხაროს გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის მოხელეებს<sup>26</sup>.

1902 წლის მაისში გლეხთა სტიქიურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა თელავის მაზრის სოფ. აწყურსა და ნოდში. გლეხებმა მოითხოვეს მიწის ღალის დაკლება და საბალახოზე ფასის შემცირება<sup>27</sup>.

როგორც ვხედავთ, გლეხთა მოძრაობა საქართველოში 1902 წლის მეორე ნახევარში აგრარულ ხასიათს ატარებს. უმეტეს შემთხვევაში ის ჯერ კიდევ სტიქიური ხასიათისა და აგრარულ სფეროს არ სცილდება.

ამ დროიდან, როცა მთავრობამ საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად გამოიყენა სასტიკი რეპრესიული ზომები — ცემაცყეპა, დაპატიმრება, გლეხის ადამიანური უფლებების ფეხქვეშ გათელვა, გლეხი უნდა მიმხვედარაყო პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას და თავისა ბრძოლის მახვილი მთავრობის წინააღმდეგაც მიემართა.

<sup>24</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტ. მოამბე“, 1959, № 10, გვ. 308.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 341.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 329.



ასეთ პირობებში გლებობას დახმარების ხელი გაუწოდა სოციალ-დემოკრატიამ. 1902 წლის დეკემბერში გაზ. „ბრძოლამ“ მუშებსა და გლებებს მოუწოდა პოლიტიკური ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის დასამხობად<sup>28</sup>.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა 1903 წლის მარტში გამოუშვა სპეციალური პროკლამაცია გურიის გლებობისადმი მოწოდებით ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის დასამხობად. „რუსმა მუშათა კლასმა უკვე გამოიღვია, — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — და მთავრობას ოფიციალურად გამოუცხადა თავისი განზრახვა და მოასწრო უკვე შეერყვია რუსეთის დაობებული პოლიტიკური წყობილება. და შორს არ არის ის წუთები, როცა მოისპობა თვითმპყრობელი მთავრობა და იარსებებს თავისუფლება.“

ძმებო! არ ჩამორჩეთ ბრძოლაში. პროტესტი განუცხადეთ მთავრობის ყველა მოქმედებას, შეუერთდით ჩვენს რუს ამხანაგებს და ერთად მოვსპოთ ხალხის დღევანდელი მტერი — მთავრობა. შესაძლოა, რომ ამ ბრძოლამ უმსხვერპლოდ არ ჩაიაროს, მაგრამ წმინდა საქმისათვის მსხვერპლიც უნდა გავიღოთ. ძირს რუსეთის მთავრობა! გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელ ხალხს“<sup>29</sup>.

რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტები ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდნენ სოფლად გლებთა მასებში. მათ მიერ გამოუშვებული პროკლამაციები და ფურცლები დიდ გამარჯვოლუციონერებელ გავლენას ახდენდნენ გლებებზე და ხელს უწყობდნენ მუშებსა და გლებებს შორის საბრძოლო კავშირის დამყარებას.

1903 წლის მარტის შუა რიცხვებში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ გააერთიანა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ნამდვილად ინტერნაციონალურ ორგანიზაციაში — კავკასიის კავშირი.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ყრილობის შემდეგ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი რევოლუციურ-ორგანიზაციული ღონისძიებები გააზორციელა. შექმნა რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანიზაციების ერთიანი მწყობრი სისტემა და ხელმძღვანელი ორგანოები<sup>30</sup>, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს რევოლუციური მოძრაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში.

რსდმპ კავკასიის კავშირში შემავალი კომიტეტები ბეჭდავდნენ პროკლამაციებსა და ფურცლებს როგორც მუშებისათვის, ისე გლებებისათვის.

რსდმპ გურიის სოფლის მუშათა კომიტეტმა გაშალა სოფლად დიდი მუშაობა. მოაწყო წრეები, სოფლად დაინიშნა საიმედო წარმომადგენლები, გააბა კავშირი სოფლებთან და გააჩაღა მუშაობა; ხალხი უდიდესი ერთუნიანობით შეხვდა კომიტეტის მიერ მუშაობის ახლებურად გაშლას. ამ მომენტიდან მოძრაობამ უკვე მტკიცედ შედგა ფეხი პოლიტიკური ბრძოლის გზაზე.

სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის გვერდით „მისი ტიპის მიხედვით შეიქმნენ გლებთა რევოლუციურ-დემოკრატიული კომიტეტები“<sup>31</sup>. ამ კომიტე-

<sup>28</sup> გაზ. „ბრძოლა“, 1902, № 4.

<sup>29</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მონაბე“, 1959, № 10, გვ. 331—332.

<sup>30</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ნარკვევები, 1957, გვ. 102.

<sup>31</sup> ვ. ა. სტაროსელსკი, გლებთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში (ქუთაი. „ბილოვ“, № 9, 1906, გვ. 234).



ტებში სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლობა აუცილებლად იყო მიჩნეული, ხელმძღვანელობის გაწვევისა და მისი მუშაობის პარტიული კომიტეტის მუშაობასთან შეთანხმების მიზნით. „ამრიგად, გლეხთა ორგანიზაციები გურიამი, ხოლო უფრო გვიან მთელ საქართველოში განიყოფებოდა ორ ტიპად:

1) რევოლუციური-დემოკრატიული გლეხთა კომიტეტები და 2) სოფლის მუშების სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, რომლებიც მუშაობდნენ პარტიული ცენტრების უშუალო ხელმძღვანელობით და იმყოფებოდნენ მათთან ორგანიზაციულ კავშირში“<sup>32</sup>.

გლეხთა კომიტეტები თითქმის ისეთივე პრინციპზე იყო აგებული, როგორც სოფლის მუშათა პარტიული კომიტეტი. ძირითადი რგოლი იყო წრე, რომელიც „ათისთავს“ ირჩევდა, ათისთავები ირჩევდნენ „ასისთავს“, ასისთავების საბჭო ქმნიდა გლეხთა კომიტეტს, რომლის სათავეში იდგა კომიტეტის მიერ არჩეული „ათასისთავი“ ანუ „წარმომადგენელი“<sup>33</sup>.

ამის შემდეგ მთელი გურია, იმერეთი და სამეგრელო დაიფარა გლეხთა წრეების ფართო ქსელით. გაიშალა დიდი ორგანიზატორული მუშაობა. 1904 წლის ბოლოს მარტო რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მოქმედების რაიონში 600 წრე მუშაობდა.

1903 წლიდან გლეხთა მოძრაობა საქართველოში უფრო მასობრივი გახდა. ამ გამოსვლების დამწყები ისევ ოზურგეთის მაზრის გლეხობა იყო, რომელსაც გამოეხმაურნენ თბილისის, ქუთაისის, გორის, სენაკის და ზუგდიდის მაზრების გლეხები. მუშათა მოძრაობის გავლენით ზოგიერთ ადგილებში გლეხობა დემონსტრაციებსაც მართავდა.

მთავრობა ზომების მიღებას არ აყოვნებდა. ოზურგეთში დააპატიმრეს 200-ზე მეტი კაცი. ბათუმისა და ოზურგეთის ციხეები გაივსო პატიმრებით. ამგვარად მთავრობამ პირდაპირ ომი გამოუცხადა გლეხობას და ამით ნათლად დაანახვა გლეხებს, რომ სანამ არ დაინგრევა მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება, მათი საქმე წინ ვერ წავა.

რეპრესიები უფრო საწინააღმდეგო გავლენას ახდენდა გლეხობაზე. მემამულეები შეშინდნენ და ზოგიერთნი დათმობაზე წავიდნენ, ზოგიერთ ადგილებში დაუკლეს კიდევ ღალა და საიჯარო ვადასახადი, როცა გლეხები შინც არ შეუთანხმდნენ თავად მაკუტაძეს, მან უთხრა: წადით და მოიტანეთ ნება კომიტეტისაგან, რასაც ვადაწყვეტს ის, თანახმა ვართ“<sup>34</sup>.

ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი კავკასიის მთავარმართებელს სწერდა, რომ მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, რომელსაც გუბერნიის ადმინისტრაცია ხმარობს, ვერ შევძელით გლეხობის წინააღმდეგობის გატეხვა და გლეხობასა და მემამულეებს შორის წინანდელი ურთიერთობის აღდგენაო. ეს ხდება იმიტომ, რომ, — ხაზს უსვამდა სმაგინი, — მოძრაობას საფუძვლად უდევს არა იმდენად ეკონომიური პირობები, რამდენადაც მთავრობის საწინააღმდეგო პრობაგანდაო<sup>35</sup>.

<sup>32</sup> შ. შახნაზაროვი, გლეხთა მოძრაობა საქართველოში და სოციალ-დემოკრატია, 1906, გვ. 46, რუს.

<sup>33</sup> გ. ჯამბურია, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში 1905—1907 წ., გვ. 24.

<sup>34</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „სისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 472.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 337.

1903 წელს დიდ მოძრაობას ჰქონდა ადგილი თბილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის, სოფ. ახპატში. 1903 წ. 11 ნოემბერს თავადი ბარათაშვილი: სტრატეგიებით, სასამართლოს ბოქაული, მაზრის ბოქაული 50 კაზაკით თავს დაესხა ამბოხებულ სოფელს. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. ივრიალა თოფებმა, მოკლულ იქნა რამდენიმე კაცი, მათ შორის ერთი ფეხმძიმე ქალი. იყო მრავალი დაჭრილი. ეს ამბავი სასწრაფოდ ეცნობა თბილისს. თბილისმა ორასი კაზაკი მოაშველა და გუბერნატორმა ბრძანება გასცა ეგზეკუციის ჩაყენების შესახებ. დააპატიმრეს 200 კაცი. მათგან 24 გაგზავნეს თბილისის ციხეში და გადასცეს სასამართლოს.

ორასი კაზაკი ჩაყენეს სოფელში, რომლებიც ფეხქვეშ თელავდნენ მთელ სოფელს. აღწერდა რა ვაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ ახპატელი გლეხების აწიოების ამბავს, წერდა:

„ასეთი დარბევა მოგვაგონებს ძველ დროს, როცა რომელიმე ატილა ანუ მონგოლების ხანი თავს ესხმოდა მეზობელ ერებს“<sup>36</sup>.

გორის მაზრაში აგარაულ-რევოლუციურ მოძრაობაში 1903 წლიდან ისევ ჩაება ბერშუეთის, კასპის, დირბის, დოვისის, ხცისის, სურამის, გარდატენის, ტყვიავის, ფლავის და სხვა სოფლების გლეხები. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ გორის მაზრაში კარგად იყო დაყენებული საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

გლებთა მოძრაობამ ასევე ფართო ხასიათი მიიღო თბილისის მაზრის სოფლებში — შინდისში, ტაბახმელაში, კუმისში, ხატისთელეთში, დუშეთის მაზრის სოფლებში — საშაბურაოში, ბაღსა და სხვ.

საქართველოს გლეხებმა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იწყეს ბრძოლის პროლეტარული ფორმების გადაღება მუშათა კლასისაგან. 1903 წლის ბოლოს და 1904 წლებში მათ არა ერთი პოლიტიკური დემონსტრაცია და ხალხმრავალი მიტინგი ჩაატარეს. 1903 წლის ნოემბერში ახლწვეულ გლეხხალგაზრდობის დემონსტრაციები ჩატარდა ჩოხატაურში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სიღნაღში, ბათუმსა და სხვა ადგილებში.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოწოდებით საქართველოს გლეხკაცობამ 1904 წელს საპირველმაისო დემონსტრაციები გამართა. ოზურგეთის მაზრის ს. ხიდისთავის გლებთა დემონსტრაციას, რომელშიც 400-ზე მეტი გლეხი მონაწილეობდა, თავს დაესხნენ შეიარაღებული სტრატეგიები. დაიწყო სროლა, დემონსტრანტებმაც რევოლვერის სროლით უპასუხეს. ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაეცა ორი გლეხი: ფოცხიშვილი და კალანდაძე. დააპატიმრეს დემონსტრაციის 25 მონაწილე.

ამ შეიარაღებული შეჯახების შესახებ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა სპეციალური პროკლამაცია, სადაც მოუწოდებდა გლეხებს განეგრძოთ ბრძოლა<sup>37</sup>.

ქუთაისის გუბერნატორმა სმაგინმა კავკასიის მთავარმართებლის ნება-რთხით, გურჩის გლებთა მოძრაობის ჩაქრობის მიზნით, განკარგულება გასცა: ოზურგეთის მაზრის ამალგებისა და ფარცხმის საზოგადოებების ყველა მცხოვრებთა განიარაღების შესახებ და ფარცხმის საზოგადოებას წართმეოდა უფ-

<sup>36</sup> ვაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, 1904, № 5—6.

<sup>37</sup> იქვე, № 9.

ლება ყოლოდა არჩეული მამასახლისი, მის მაგივრად დაენიშნათ მთავრობის მამასახლისი წელიწადში 400 მანეთი ხელფასით აღნიშნული საზოგადოების ხარჯზე<sup>38</sup>.

ფარცხმის საზოგადოების განიარაღებისას მოსახლეობას წაერთვა ყველა სისტემის თოფი, მათ შორის 52 სანადირო თოფი, 5 რევოლვერი, 8 პისტოლეთი, 5 ხმალი, 58 ხანჯალი და სხვ.<sup>39</sup>.

ამ სისხლიან შეტაკებათა შესახებ ცნობა სწრაფად გავრცელდა მთელ დასავლეთ საქართველოში და ერთსულოვნად აღიმაღლეს ხმა ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. გლეხობა, — წერდა ვაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, — ყველგან გამოთქვამდა სურვილს ქალაქის პროლეტარებთან შეერთების შესახებ. მთელი გურია, სამეგრელო, იმერეთი გამოეხმაურა მუშების მოწოდებას ბრძოლისაკენ<sup>40</sup>.

ამრიგად, 1903—1904 წლებში გლეხთა მოძრაობა საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, დიდ გაქანებას ღებულობს და აშკარად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებს. ამიტომ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი სავესებით სამართლიანად მიუთითებდა, როცა აჯანმებდა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში და წერდა: „ამნაირად, სოფლის მოძრაობამ მოიპოვა მტკიცე ნიადაგი, პირველ ხანებში ის იყო სტიქიური და შეუგნებელი, ახლა კი სოფლის ღარიბი ხალხისათვის მიზანი გარკვეულია, ნამდვილი გზა აღმოჩენილი. ამ გზაზე მან შედგა ფეხი და კარგი მანძილიც გაიარა წინ. ის, გუშინ შეუგნებელი, მოკრძალები და მოშიშარი, დღეს, გადაიქცა შეგნებულ, ამაყ და უშიშარ მებრძოლად. გუშინ მარტო დღის შემცირებაში და დრამა-ფულეების მოსპობაში ხედავდა ხსნას, დღეს უფრო შორს მიდის: ითვისებს რა პროლეტარიატის მოძღვრებას, სოციალიზმს, შეგნებულად ებრძვის თვითმპყრობელ მთავრობას და უნდა შეიძინოს პოლიტიკური თავისუფლება“<sup>41</sup>.

რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებას საქართველოს პროლეტარიატმა მაშინვე საყოველთაო ვადიციის გამოცხადებით უპასუხა და რევოლუციის მთელს პერიოდში რუსეთის პროლეტარიატის გვერდით მედგარ ბრძოლას აწარმოებდა. რევოლუციის დაწყებისთანავე „უმაგალითო გაქანება მიიღო გლეხთა მოძრაობამ საქართველოში“<sup>42</sup>. ეკონომიურად გაჩანაგებული და პოლიტიკურად დაბეჩავებული საქართველოს გლეხობის უკმაყოფილებას და ბოროტებას საზღვარი არ ჰქონდა, და მუშათა რევოლუციური გამოსვლები ქართველ გლეხებში სიმპათიისა და რევოლუციური ბრძოლისათვის მზა ნიადაგს პოულობდა. გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრაში რევოლუციის დაწყებისთანავე შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა ამბოხებები მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში გადაიზარდა. იანვრის ბოლოს, მუშათა რევოლუციური მოძრაობის გავლენით, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სწრაფად ვითარდება გურიაში. ბოლშევიკების ზელმძღვანელობით გლეხები აწყობენ კრებებსა და მიტინგებს და ქმნიან თა-

<sup>38</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მონაბე“, 1959, № 10, გვ. 420.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 416.

<sup>40</sup> ვაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, 1904, № 9.

<sup>41</sup> საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს „საისტორიო მონაბე“, 1959, № 10, გვ. 471.

<sup>42</sup> რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეხისევი), 1955, გვ. 19.



უხანთ არჩევით ორგანოებს — გლახთა რევოლუციური კომიტეტებს. იანვრის ბოლოს მთელი ოზურგეთის მაზრა გლახთა რევოლუციური კომიტეტების სრულ ძალაუფლებაში გადავიდა<sup>43</sup>. მამასახლისებმა, სოფლის მწერლებმა და სხვა მოხელეებმა ხელი აიღეს თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე და გაიქცნენ სოფლებიდან. რევოლუციური კომიტეტები ახორციელებდნენ მემამულეთა მიწების ჩამორთმევას, გადასახადების გაუქმებას, მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს, ხალხის წარმომადგენლებისაგან ირჩევდნენ სასამართლოებს და აწესრიგებდნენ გლახთა წერილმან საკითხებსაც. მოძრაობაში ჩაბმული აღმოჩნდა მთელი სოფლის მოსახლეობა; მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი. რევოლუციური კომიტეტები სანიმუშო წესრიგს ამყარებდნენ სოფლებში. საქმეებს თვით ხალხი მართავდა, მოლაღატეებს თვით ხალხი ასამართლებდა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „ვერი-ოდი“, აღწერდა რა გურიაში გლახთა რევოლუციური მოძრაობას 1905 წლის იანვარ-თებერვალში, მიუთითებდა, რომ „რევოლუციისათვის მზადაა გურია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დღესვე შეუძლია გამოიყვანოს 15.000 რჩეული ადამიანები. ქალები, მოხუცები, და ბავშვებიც მოიცვა ამ მოძრაობამ... პოლიცია, სასულიერო წოდება, სასამართლო უწყება ფაქტიურად განადგურებულია. საქმეებს მართავს თვით ხალხი. ბოროტმოქმედებს, რომელთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ასამართლებს თვით ხალხი. ქურდობა, ლოთობა თითქმის არსად არ გვხვდება. კრებები და მიტინგები ეწყობა აშკარად, უმთავრესად ეკლესიების ეზოებში. სიტყვის, კრების და კავშირის თავისუფლება ფაქტია გურიაში... მაზრის უფროსმა დასტოვა ქალაქი. რევოლუციური იდეებით იკვებება ყოველი, რევოლუციისათვის ემზადება ყველა, ვისაც კი იარაღის ტარების უნარი აქვს“<sup>44</sup>.

გლახთა რევოლუციურმა კომიტეტებმა დაიწყეს თავიანთი შეიარაღებული წითელი რაზმების შექმნა, რომელთა მეშვეობით ახორციელებდნენ თავიანთ ხელისუფლებას.

თებერვლის ბოლოს მოძრაობა გურიაში სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. მთავრობის ხელისუფლების ცდა, აღედგინა თავისი უფლებები მაზრაში, ამო შეიქმნა. მაზრის 8 პრისტავიდან 1 მოკლულ იქნა, ერთი დაჭრილი, 2-მა მიატოვა თავისი პოსტი და გაიქცა. 4-მა შეიტანა თხოვნა განთავისუფლების შესახებ<sup>45</sup>. მაზრის უფროსი ჯაფარიძე გაიქცა ოზურგეთიდან და თავი შეაფარა ქუთაისს.

რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი არა მარტო ხელმძღვანელობდა გურიის გლახთა რევოლუციური მოძრაობას, არამედ უდიდეს მუშაობას ეწეოდა ქუთაისის გუბერნიის გლახებს შორის გურიის ამბების გავრცელებისა და რევოლუციური მოძრაობის გასაშლელად. მან მობილიზაცია უყო მთელ თავის ძალებს, შეარჩია გაფიცული მუშებიდან უფრო მომზადებული აშხანაგები და დაგზავნა სოფლად პროპაგანდისტებად. კომიტეტის მიერ გამოუშვებელი ვეგმის თანახმად პროპაგანდისტები უხსნიდნენ გლახებს სო-

<sup>43</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 89. რუს.

<sup>44</sup> ვახ. „ვერიოდი“, 1905, 23 მარტი, № 11.

<sup>45</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, გვ. 89—93.



ციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას, თვითმპყრობელობის დამხობის ისტორიულ აუცილებლობას, პროლეტარიატის ბრძოლის საბოლოო მიზანს, სოციალ-დემოკრატიის, როგორც პროლეტარული მოძრაობის ხელმძღვანელის როლს. სოფლად მოწყობილ იქნა სოციალ-დემოკრატიული წრეები და სხვ.

გურიიდან გლენტა მოძრაობა სწრაფად გავრცელდა იმერეთსა და სამეგრელოში. ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკის, შორაპნისა და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში. რსდმპ იმერთ-სამეგრელოს კომიტეტისა და ბათუმიდან გადმოსახლებულ მუშების მეთაურობით გლეხები ბოიკოტს უცხადებენ მემამულეებს, უარს აცხადებენ მათი მამულების დამუშავებაზე, არ ემორჩილებიან მთავრობის მოხელეებს, ცეცხლს უკიდებდნენ კანცელარიებს, სოფელზე ხელმძღვანელობისათვის ირჩევდნენ ხელასუფლების რევოლუციურ ორგანოებს. 1905 წლის დასაწყისში სენაკის მაზრის უფროსი მაზრაში არსებული მდგომარეობის შესახებ თავის მოხსენებაში წერდა: „მაზრის თითქმის ყველა საზოგადოებაში შეიქმნა საკუთარი თვითმართვლობა ათისთავების, ასისთავების, მოსამართლეების და ა. შ. არჩევით... მასების გაერთიანების შედეგად ხალხმრავალ კრებებზე დაიწყო აშკარა პროპაგანდა უმაღლესი ხელისუფლების დამხობისა და რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ“<sup>46</sup>.

ამზონებელი გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლებს, ბელლებს, წისქვილებს და სხვა სამეურნეო ნაგებობებს. თებერვალ-მარტში ზუგდიდის მაზრის სოფლების 35 კანცელარიიდან ამზონებულმა გლეხებმა დაწვეს 19<sup>47</sup>. როგორც მაზრის უფროსი ატყობინებდა გუბერნატორს, მემამულეები და მთავრობის მოხელეები გლეხების წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

ახსიათებდა რა გლენტა რევოლუციური მოძრაობის შედეგად ქუთაისის გუბერნიაში შექმნილ მდგომარეობას 1905 წ. თებერვალში, ქუთაისის გუბერნატორი იტყობინებოდა: „მთელი ადმინისტრაცია სავსებით იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვერსად ვერ პოულობდა გადაჭრით ვერც დახმარებას და ვერც მხარდაჭერას... სტრაჟიკების მთელი რიგი მკვლელობანი შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს ადმინისტრაციის პირებზე და ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა მიზეზებით სტოვეებს სამსახურს“<sup>48</sup>.

გლენტა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად მთავრობამ მრავალ საშუალებას მიმართა, მაგრამ ვერაფერს გახდა და იძულებული შეიქმნა მიეპართა საგანგებო ზომებისათვის. 21 თებერვალს მეფემ დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში და ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ<sup>49</sup>. ოზურგეთის მაზრა გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან, ხოლო კინტრიშის საბოქაულო ბათუმის ოლქიდან, ისინი დაუქვემდებარეს კავკასიის ჯარებს გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, რომელსაც მიეცა გუბერნატორის უფლებები. მის განკარგულებაში გაიგზავნა „რიონის განსაკუთრებული რაზმის“ ხანელწოდებით 4.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, შეიარაღებული ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებით და შაშხანებით. სანამ გენერალ ალიხანოვის ჯარი

<sup>46</sup> საქ. ცსია, ფ. 1, საქ. 46, ფურც. 57—63.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>48</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1954, გვ. 341.

<sup>49</sup> იქვე, გვ. 111.

უშუალო მოქმედებას დაიწყებდა, მთავრობამ სცადა აჯანყებული გლეხების მოტყუება დაპირებების საშუალებით და გურიაში მიაგლინა კომისია მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის სულთან კრიმ-გირეის მეთაურობით.

22 თებერვლიდან 8 მარტამდე მან მოიარა გურიის 12 საზოგადოება, სადაც სოფლის საზოგადოების 15—25 კაცისაგან შემდგარი დელეგატები აწარმოებდნენ კრიმ-გირეისთან მოლაპარაკებას.

გლებთა დეპუტატებმა წარმოუდგინეს გურიის გლეხობის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ყველა მხარე და მოძრაობის გამომწვევი მიზეზები. გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეები ღრმად იყო გამჭდარი სოფლის მოსახლეობის შეგნებაში, რომ გლებთა გამსჭვალული იყო რევოლუციური იდეებით, რაც დასტურდებოდა იმით, რომ გურული გლეხების მიერ წაყენებული მოთხოვნები ბოლშევიკური მოთხოვნები იყო, რომ გლებთაში დიდი იყო ბოლშევიკების გავლენა. აი რა იყო ეს მოთხოვნები: ყველა საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაცია და გლებთაზე გადაცემა უსასყიდლოდ, „ჩამონატრების“ დაბრუნება და თავდახსნისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ყოველგვარი საბატონო, საეკლესიო და სახელმწიფო ბეგარის მოსპობა, ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმება, პირდაპირი გადასახადის დაწესება შემოსავლის მიხედვით, წოდებათა გაუქმება და კანონის წინაშე ყველას გათანასწორება, სიტყვის, კრების, ბეჭდვის, კავშირის და გაფიცვის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია, გლეხებისაგან არჩეული სასოფლო სასამართლოების დაარსება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, საყოველთაო, სავალდებულო უფასო სწავლა 16 წლის ასაკამდე, მუდმივი ჯარის გაუქმება და ხალხის საყოველთაო შეიარაღების შემოღება, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე<sup>80</sup>.

ეს მოთხოვნები წამოაყენეს თითქმის ყველა საზოგადოების დელეგატებმა. ისინი მთელი გლებობის სახელით გლებთა უბედურების მიზეზად უმიწობას თვლიდნენ და მოითხოვდნენ ბატონყმობის ნაშთების ლიკვიდაციას და მთელი მიწების კონფისკაციას. „ჩვენს შორის ბევრია ე. წ. დროებით ვალდებული გლეხი, — ამბობდა ერთ-ერთი დეპუტატი, — ისინი იგივე ყმებია. ვისგან და რატომ უნდა გამოისყიდონ მათ ის მტკაველი მიწა, რომელსაც ისინი უხსოვარ დროიდან ამუშავებენ? ეს აშკარა უსამართლობაა და ჩვენ მოვითხოვთ, რათა ყველა არათავისუფალი გლეხები განთავისუფლებულ იქნენ თავიანთი მიწებით ყოველგვარი საფასურის გარეშე... ჩვენ ასევე მოვითხოვთ სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების გლებებზე გადაცემას საკუთრებად“<sup>81</sup>.

გლებთა მოთხოვნებში აშკარად ჩანდა შეგნებული მოძრაობის ნიშნები, რომ ისინი იბრძოდნენ არა მარტო მემამულეების წინააღმდეგ, არამედ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგაც. ამ მოთხოვნებში გამოხატულება პოვა რუსეთის მშრომელ მოსახლეობისა და რუსეთის იმპერიის ხალხთა ნა-

<sup>80</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 128—129.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 121.

ციონალურ-გამანათვისებელი მოძრაობის ერთიანობამ, რევოლუციის უაღრესად ინტერნაციონალურმა ხასიათმა. ჩვენი მოთხოვნილება, — აცხადებდა ერთ-ერთი დებუტატი, — არ არის კერძო გურული ან კავკასიური. ამას მოითხოვს მთელი რუსეთის მუშა ხალხი და გლეხობა, რომელიც ჩვენსავით გაპირებული და შევიწროებულია დღევანდელი მთავრობისაგან. გურიაში მოხელეები ავრცელებენ ყალბ ხმებს, რომ თითქოს ჩვენ ქართველებს ჩვენი მეფე, ჩვენი სახელმწიფო გვინდოდეს. „ეს ტყუილია, ეს საზიზღარი ცილისწამებაა: ჩვენი მოძრაობა განუყოფელია მუშათა მოძრაობისაგან, ვინც უნდა იყოს, რა ეროვნებაც უნდა იყოს გაპირებული კაცი, ჩვენ როგორც ყოველი მუშა რუსეთისა ვებრძვით დღევანდელ წესწყობილებას. ჩვენ უნდა დავანგრეოთ ის და მის ნანგრევებზე ავაშენოთ ახალი, სამართლიანი წესწყობილება. ჩვენთვის ყველა მუშა განურჩევლად ეროვნებისა, ძმებია, ჩვენი და იმათი ინტერესები ერთია“<sup>52</sup>. ამიტომ იყო პარტიის ცენტრალური ორგანო ვაზ. „ვეპერიოდი“ აფასებდა რა გლეხთა მოძრაობას საქართველოში, წერდა: „გლეხთა მოძრაობა გურიაში იშვიათი მოვლენაა მთელი მსოფლიოს ისტორიაში; ეს არაა ჩვეულებრივი გლეხური ბუნტი, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად უერთდება სრულიად რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“<sup>53</sup>.

რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტების ენერგიული მუშაობის შედეგად ქართლ-კახეთის — თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრების გლეხობაც მარტ-აპრილში ჩაბმული აღმოჩნდა რევოლუციურ მოძრაობაში. მათ კავშირი ჰქონდათ თბილისისა და ხაშურის მოწინავე მუშებთან. ამ მაზრებშიც გლეხებმა გადააყენეს სოფლის თანამდებობის პირები, გაანადგურეს სოფლის კანცელარიები და სოფლის საჭირობოროტო საკითხების მოსაგვარებლად შექმნეს თვით გლეხებიდან ხელისუფლების არჩევითი ორგანოები. ვაზ. „ვეპერიოდი“ წერდა, რომ „რევოლუციური მოძრაობის ქარიშხალი ქართლსაც მოედო... მათი მოთხოვნები თითქმის იგივეა, რაც გურულებისა... ყველა აჯანყებულ სოფელში გავზანდილია ჯარები, შეშინებული ახნაურები და თავადები თბილისში გარბიან“<sup>54</sup>.

ამრიგად, 1905 წლის მარტში საქართველოს 19 მაზრიდან 18 მაზრა, მეტწილად, მაგრამ მაინც მოცული იყო გლეხთა რევოლუციური მოძრაობით.

აჯამებდა რა რევოლუციის სამი თვის გამოცდილებას, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი 1905 წლის მარტში პროკლამაციაში „რა გამოირკვა?“ მიუთითებდა, რომ ამ სამი თვის ბრძოლებმა გვიჩვენეს, რომ რევოლუციის ნამდვილი ხელმძღვანელი პროლეტარიატია, რომლის გარშემო იკრიბება მთელი რევოლუციური ძალები, რომ პროლეტარიატს სჭირებია რევოლუციაში მგაარი, მტკიცე, ნამდვილი ხელმძღვანელი პარტია. შემდეგ პროკლამაციაში შეჯამებულია საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობა, სადაც ნათქვამია: „გადახედეთ ქვეყანას, დაუკვირდით, რა სასოებითა და პატივისცემით შეჰყურებს პროლეტარიატს დღევანდელი გლეხკაცობა, გურიიდან

<sup>52</sup> „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 127—128.

<sup>53</sup> ვაზ. „ვეპერიოდი“, 1905, 12 აპრილი, № 14.

<sup>54</sup> იქვე, № 16

დაწყებული ქიზიყამდე, ყური დაუგდეთ, რა გატაცებით იმეორებენ ისინი პროლეტარიატის ძახილს: ძირს მეფის მთავრობა, ვაჟმარჯოს ხალხის მთავრობას, — და დაგვერწმუნებთ, რომ რევოლუციის ხელმძღვანელი, მისი მედროშე, — სწორედ პროლეტარიატი ყოფილა, რომელმაც შიშის ზარი დასცა მეფის მთავრობას“<sup>55</sup>.

გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა მიზნად ისახავდა ძველი წყობილების ძირეულად შეცვლას, სოფლად ფეოდალიზმის ნაშთების აღმოფხვრას. ამ ცვლილებების მოსახდენად ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სოფლად იქმნებოდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები. 1905 წლის გაზაფხულზე გლეხთა რევოლუციური კომიტეტები მოქმედებდნენ საქართველოში — ოსურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის, გორის, დუშეთის, თბილისისა და თელავის მაზრებში.

გლეხთა რევოლუციური კომიტეტები წარმოშობის პირველ ხანებში თავიანთ ფუნქციებს განსაზღვრავდნენ მთავრობის დაწესებულებებისა და მემამულეების ბოიკოტით. ხოლო შემდეგში, როცა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, როცა სოფლად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ფაქტიურად ლიკვიდირებულ იქნენ, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ასრულებდნენ რა შეიარაღებული აჯანყების ორგანოების ფუნქციას, იღებდნენ ხელში მმართველობის ფუნქციას, იქცეოდნენ რევოლუციური ხელისუფლების ორგანოდ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი აძლიერებს თავის ხელმძღვანელობას სოფლებისადმი. ადგილებზე ხელმძღვანელობისათვის 1905 წ. მარტში ა. წულუკიძე გაიგზავნა ქუთაისის გუბერნიაში, მ. დავითაშვილი — ქართლის რაიონებში, ს. ორჯონიკიძე — ბათუმში, სოხუმში და შემდეგ — შორაპნის მაზრაში, ი. ბ. სტალინი არაერთხელ გამგზავრებულა დასავლეთ საქართველოს რაიონებში<sup>56</sup>.

რსდმპ III ყრილობამ 1905 წლის აპრილში, ვ. ი. ლენინის წინადადებით ერთ-ერთ საკითხად განიხილა გლეხთა მოძრაობა კავკასიაში. ამ საკითხზე თავის მოხსენებაში მიხა ცხაკაიამ საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მდიდარი მასალების საფუძველზე, ყრილობას გადაუშალა. გლეხთა მოძრაობაში სდმ პარტიის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სურათი. ამხ. მ. ცხაკაიას მოხსენებამ ყრილობაზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ყრილობა მიესალმა გლეხთა შეიარაღებული ბრძოლების დაწყებას ცარიზმის წინააღმდეგ. მიიღო სპეციალური რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო“, ყრილობამ აღნიშნა, რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე, რისთვისაც რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მსურველ საღამო უძღვნა კავკასიის გმირ პროლეტარიატს და გლეხობას და დაავალა პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს „უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში. საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწერო გასაუბრების და სხვ. გზით,

<sup>55</sup> რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 353.

<sup>56</sup> ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 224.



აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით<sup>57</sup>.

პარტიის III ყრილობამ პარტიის ერთ-ერთ უაღრესად მთავარ და გადაუდებელ ამოცანად დასახა — პროლეტარიატის დარაზმვა შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობასთან უშუალო ბრძოლის საწარმოებლად და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს, მიიღონ უაღრესად ენერგიული ზომები შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

რსდმპ კავკასიის კავშირმა და მასში შემავალმა კომიტეტებმა ვაშალეს უდიდესი მუშაობა ქალაქად და სოფლად. მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშათა მოძრაობის გავლენით საქართველოს სოფლებში არ ცხრებოდა გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, ენერგიულად ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

დიდ მზადებას ჰქონდა ადგილი ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის მაზრებსა და სოხუმის ოკრუგში. სენაკის მაზრის უფროსი 2 სექტემბერს იტყობინებოდა, რომ სენაკის მაზრაში „ამზადებენ საყოველთაო შეიარაღებულ რევოლუციურ აჯანყებას. ასეთის შემოწმების დღედ „საბრძოლო ორგანიზაცია“ დანიშნა 4 სექტემბერი ახალ-სენაკში. მაზრაში სრული ანარქიაა, არავის ხელისუფლებას არ ცნობენ, მრავალრიცხოვან შეიარაღებულ დემონსტრანტ ბრბოს მსვლელობა, წითელი დროშებით მარსელიოზის სიმღერებით და გააფთრებული შეძახილებით — „ძირს მეფე, სიკვდილი მას, გაუმარჯოს რესპუბლიკას“ ხდება თითქმის ყოველდღე. ხალხი აჯანყებისათვის საგსებით მომზადებულია და აქვს მნიშვნელოვანი რაოდენობით იარაღი“<sup>58</sup>.

სრულიად რუსეთის მუშათა ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ უდიდესი გამოხმაურება პოვა მთელს საქართველოში. ახალი სიძლიერით გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა სოფლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზურგეთის მაზრაში, სადაც ოქტომბერში მწვავე შეიარაღებულ აჯანყებას ჰქონდა ადგილი. 18—20 ოქტომბერს ნასაკირალის მთიან ადგილებში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ ბრძოლებს გლეხებსა და პოლიცია-ჯარის ნაწილებს შორის. მოკლულ იქნა 10 პოლიციელი და ჯარისკაცი, დაჭრილ იქნა — 14, ტყვედ ჩაივდეს — 6, შეიარაღებულმა რაზმელებმა დაკარგეს 2, ხოლო დაიჭრა 1. როგორც მაზრის უფროსი იტყობინებოდა ნასაკირალის ბრძოლებში მონაწილეობდა 4 000-მდე კაცი.

მთავრობამ გადაწყვიტა, ოქტომბრის ბოლოს დაეძრა ჯარის მსხვილი შენაერთები გურული გლეხების წინააღმდეგ. მაგრამ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მთელ საქართველოში მოაწყო მთავრობის ამ გაზნარავის საპროტესტო მიტინგები, სადაც გამოქონდათ რეზოლუციები მოთხოვნებით, რათა მთავრობას ხელი აეღო გურიის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აჯანყებით ემუქრებოდნენ. მთავრობა იძულებული გახდა მოეხსნა გურიაში სამხედრო წესები და ოზურგეთში მყოფი პლასტუნთა ბატალიონიც გამოეწვია იქიდან.

1905 წლის ნოემბერში რსდმპ კავკასიის კავშირის II კონფერენციამ მიიღო დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ და აირჩია

<sup>57</sup> სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ტ. I, გვ. 101.

<sup>58</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 282.

კავკასიის ბიურო სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტისა და საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობისათვის.

კონფერენციამ ხაზი გაუსვა გადამწყვეტი მომენტის მოახლოებისას გლეხობის დიდ როლს. გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისა და მათი პროლეტარიატის ირგვლივ დარაზმვის მიზნით, პარტიული ორგანიზაციებს დაავალა დაუყონებლივ შესდგომოდნენ ყველგან ფართო დემოკრატიზმის საწყისებზე გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნას, რომელთა მიზანი იქნებოდა ბატონყმობისაგან გლეხთა ფაქტიური განთავისუფლება<sup>59</sup>.

რსდმპ კავკასიის კავშირმა და მასში შემავალმა კომიტეტებმა გაშალეს უდიდესი მუშაობა მასების მოსამზადებლად აჯანყებისათვის. მთელს ამ მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ი. ბ. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, მ. დავითაშვილი, სტ. შაუმიანი, ს. სპანდარიანი, ფ. მახარაძე, კამო და სხვა. მასებზე პარტიული ხელმძღვანელობის შედეგი იყო ის, რომ პროლეტარიტი და დიდი ნაწილი წვრილი ბურჟუაზიისა სოციალ-დემოკრატიის დროშას მისდევდა, მის ხელმძღვანელობას ლებულობდა. ეს ერთი პირობათაგანი იყო რევოლუციის გასამარჯვებლად. მაგრამ ამასთან ერთად საჭირო იყო იარაღი, მეგრძოლი რაზმები, მასების შეიარაღება. რადგან ამ მძიმე ამოცანის განხორციელებით შეიძლებოდა სიტყვის— შეიარაღებული აჯანყება, საქმედ გადაქცევა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა საერთო პოლიტიკური გაფიცვა გადაქცეულიყო შეიარაღებულ აჯანყებად. და ამ ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგინა საქართველოს ბოლშევიკები. მასების აჯანყებისათვის მომზადება საქართველოს ბოლშევიკებს უხდებოდათ მენშევიკების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის პირობებში, რომლებიც უარყოფდნენ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საჭიროებას. ბოლშევიკები მუშათა და გლეხთა საუკეთესო ელემენტებისაგან ქმნიდნენ მეგრძოლ რაზმებს და წითელ ასეულებს. ასეთი რაზმები და წითელი ასეულები შექმნილი იყო თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ახალსენაკში, ჭიათურაში, ხარაგაულში, შორაპანში, გორში, თელავში, დღუშეთში, სოხუში, გაგრასა და სხვა ადგილებში. დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ რაზმების, ხალხის მასების იარაღით მომარაგების საქმეს. ამას ხელმძღვანელობდა კავკასიის კავშირის კომიტეტთან შექმნილი ცენტრალური სამხედრო-ტექნიკური კომისია. დიდი მუშაობა წარმოებდა იარაღის საშოვნელად და ამ მუშაობაში ჩაბმული იქნა პარტიის საუკეთესო ძალები. იარაღის შესაძენად დიდი თანხები გროვდებოდა მუშებისა და გლეხებისაგან. 1905 წლის დეკემბერში ყვირილის ხაზინიდან რევოლუციონერთა ორგანიზაციის მიერ მოტაცებულ იქნა 201 000 მანეთი<sup>60</sup>, რაც იარაღის შესყიდვას მოხმარდა. გარდა ადგილზე შოვნისა, იარაღი დიდი რაოდენობით შემოქონდათ საზღვარგარეთიდან — ლონდონიდან, ბელგიიდან, შვეიცარიიდან.

გენერალ ალიხანოვი მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს გურიის გლეხთა შეიარაღების შესახებ ატყობინებდა, რომ მცხოვრებლებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ 4 000 სწრაფმსროლელი თოფი, ორი სამთო ზარბაზანი, დიდი რაოდენობით რევოლვერები და საზღვარგარეთიდან კიდევ დე-

<sup>59</sup> გაზ. „კავკასიის რაზმი ლისტოკი“, 1905, № 9.

<sup>60</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, გვ. 538.

ბულობენ მაჭუერის სისტემის იარაღს და ითხოვდა ბათუმისა და ფოთის საბაჟოებში დაწესებულყო ყველა ამანათების გასინჯვა.

კავკასიის პოლიციის უფროსი შირინკინი აცნობებდა ბათუმის უნდარმთა განყოფილების უფროსს, რომ, რუსეთის ელჩის ცნობით ჰააგიდან, 1905 წ. ნოემბერში ამსტერდამიდან გავიდა გემი „სირიუსი“ დატვირთული იარაღით და გადაიტვირთა იარაღის ტრანსპორტი ბათუმში რევოლუციონერთა ორგანიზაციისათვის<sup>61</sup>

მეფისნაცვლის კანცლარიის დირექტორი ქუთაისის, ბათუმის და ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორებს აფრთხილებდა დეპეშით, რომ 1905 წლის 10 ივნისს ლონდონიდან გამოვიდა გემი „ეგიპტანი“ დატვირთული 80 უნიშნო ყუთით, თითო ყუთში 20 შაშხანა, 20 ტყვიამტრქვევი და ვაზნები მოაქვს ოდესასა და ბათუმში, იარაღი ჩააბარეს კავკასიელებზამო და მოითხოვდა მიერთ ზომები იარაღის ტრანსპორტის დასაკავებლად<sup>62</sup>.

1905 წლის 13 ნოემბერს ფოთის ნავსადგურში გემიდან იარაღის გადმოტვირთვის დროს რევოლუციონერებს თავს დაესხა საზღვაო დაცვა. მოხდა იარაღით შეტაკება პოლიციასა და რევოლუციონერებს შორის, პოლიციამ ადგილზე აღმოაჩინა 800 თოფი, 58 ყუთი ვაზნა და 600 ხიშტი. გემმა მოასწრო ნავსადგურიდან წასვლა, მაგრამ ანაკლიიდან სამ კილომეტრზე დაკავებულ იქნა იგი, რომელშიაც აღმოჩნდა 1200 შვეიცარული სისტემის თოფი და 20 ათასი ცალი ვაზნა<sup>63</sup>. ერთი ბარკასი იარაღი, რომელიც გადმოუტვირთავთ რედუდკალეს უბანში დაუტაციათ სოფ. ხორგის, დიდინეძის, დარჩელის, კახათის, კოკის და ნიკოსიის გლეხებს<sup>64</sup>.

გარდა ამისა, ადგილებზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი იარაღის საწყობები იმაზე ლაპარაკობდა, რომ საქართველოს ბოლშევიკები უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ ხალხის შესაიარაღებლად და შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

მეფის მთავრობა ცდილობდა მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი გაფიცვები პროვოკაციულად გადაექცია აჯანყებად, რათა უიარაღო მასა ცეცხლითა და მახვილით დაეთრგუნა. ასე მოიქცა იგი ნოემბრის ბოლოს ქუთაისში, როცა ხულოგნურად მოაწყო მუშათა სისხლისღვრა. ქუთაისის ქუჩებში საბარაკადო ბრძოლა გაჩაღდა. ეს ამბავი მთელს გუბერნიას მოედო და რევოლუციური მოძრაობის აზვირთება გამოიწვია. ქუთაისელთა დასახმარებლად წითელრაზმელები მოდიოდნენ გურიიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და თავს იყრიდნენ სამტრედიისში და ელოდებოდნენ სიგნალს<sup>65</sup>, მაგრამ მიუხედავად რაზმების დიდი წინააღმდეგობისა, ისინი უკან გააბრუნეს.

1905 წლის დეკემბრის დასაწყისისათვის, ახასიათებდა რა ქუთაისის გუბერნიაში შექმნილ მდგომარეობას ქუთაისის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი შიშკოვსკი, მიუთითებდა, რომ მხარეში რკინიგზა შეიარაღებული გლეხების ხელშია, შეიარაღებულ კავაყებს მატარებელში არ უშვებენ, ტელეგრაფი მათ ხელშია, მათ შეიარაღებულ დაცვას უკავია ქუთაისი, ფოთი და სხვა პუნქტები.

<sup>61</sup> საქ. ცსია, ფონდი I, საქ. 137, ფურც. 50.

<sup>62</sup> საქ. ცსია, ფ. 40, საქ. 1309, ფ. 12.

<sup>63</sup> „რევოლუციის მატრიანე“, 1925, № 2, გვ. 124—125.

<sup>64</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმ. კრებული, გვ. 446.

<sup>65</sup> ვაზ. „კავკასიის რაზმი ლისტოკი“, 1905, № 9, გვ. 2.

შეიარაღებული მილიცია 2000 კაცამდეა, შეიარაღებულნი არიან ბერდენელებით, სამხაზიანი შაშხანებით, შვეიცარიული თოფებით და ამერიკული კარაბინებით. ისინი ბრძოლისათვის სავსებით მზად არიან, პირველი გასროლა იქნება სიგნალი აჯანყებულთა საერთო თავდასხმისათვის<sup>66</sup>.

როგორც მრავალრიცხოვანი დოკუმენტები მეტყველებენ დეკემბრის პირველ რიცხვებში თელავის, გორის, დუშეთის, შორაპნის, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებში, სოხუმის ოკრუგის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იმართება ხალხთა მრავალრიცხოვანი მიტინგები, ბოიკოტს უტახდებენ სახელმწიფო სათათბიროს და მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს, ქმნიან ხალხისაგან შეიარაღებულ მილიციას, ეცემიან და აიარაღებენ ჩაფრებს, იარაღით იარაღს შოულობენ და ამზადებენ მოსახლეობას საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის.

რსდმპ სოხუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით ნოემბრის ბოლო რიცხვებში რევოლუციური მოძრაობის უდიდეს აღმავლობას აქვს ადგილი სოხუმის ოკრუგში — სოხუმში, გუდაუთში, გაგარასა და სამურზაყანოში, რასაც მოყვა მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტი, გაფიცვები, დემონსტრაციები, ხალხის შეიარაღება და რევოლუციური ხალხის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შექმნა. სოხუმის ოკრუგის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა რსდმპ სოხუმის კომიტეტი.

18 ნოემბერს გუდაუთში ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შედგა დიდი სახალხო მიტინგი, სადაც მკვნიებარე სიტყვით გამოვიდა რსდმპ სოხუმის კომიტეტის წევრი ს. ორჯონიკიძე, რომელმაც მოუწოდა ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ და თავისი სიტყვა დაასრულა შეძახილით: „ძირს ნიკოლოზ II“<sup>67</sup>.

როგორც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი იუწყებოდა, ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანზე, ქობულეთსა და ჩაქვში, 18—19 ნოემბერს მთელი მოსახლეობა აშკარად გადავიდა რევოლუციონერთა მხარეზე და ერთიანად აჯანყდა, შექმნეს თავისი შეიარაღებული რაზმები, რომელიც თავს დაესხა იქ მდგარ ჯარის ნაწილებს და აიძულა ისინი გაქცეულიყვნენ მიხაილოვის ციხე-სიმაგრეში და იქ შეეფარებინათ თავი<sup>68</sup>.

1905 წლის 4 დეკემბერს შორაპნის მაზრის წითელი რაზმი, სადაც მონაწილეობდნენ ჭიათურის, შორაპნის, ბელაგორის, ქუთაისის და სხვ. რაზმელები, 500 კაცისაგან შემდგარი, თავს დაესხა ჩაფრების საგუშაგოს ყვირილაში, განაიარაღა იგი, დაარბია პოლიციის სამმართველო და განაიარაღა მისი დამცველთა რაზმი, წაიღეს 64 ბერდენკა და 200 ვაზნა, ციხიდან გაათავისუფლა 4 პოლიტიკური პატიმარი<sup>69</sup>. შორაპნის მაზრის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლებში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრები: სამუელ (ნოე) ბუაჩიძე (ბელაგორის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი) და მიხეილ დავითაშვილი (ჭიათურის ბოლშევიკური

<sup>66</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, 1956, გვ. 484—485.

<sup>67</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 31, საქ. 158, ფურც. 19—23.

<sup>68</sup> „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, დოკუმენტების კრებული, გვ. 480

<sup>69</sup> იქვე, გვ. 487.



ორგანიზაციის ხელმძღვანელი). წითელი რაზმების მუშაობისა და ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ: ინწკირველი, ვ. ბაქრაძე („ყელეზნი“), თ. ვალდავა, გ. პარკაძე, ნ. კიკნაძე, თ. ჩუბინიძე, დ. სულიაშვილი, ა. მერკვილაძე და სხვ.

ასეთსავე ამბებს ადგილი ჰქონდა დეკემბრის დასაწყისში ზუგდიდსა და ახალსენაკში. ახალსენაკში შეიარაღებული ხალხი თავს დაესხა მთავრობის დაწესებულებებს, განაიარაღეს პოლიციის საგუშაგოები და ხელთ იგდეს მთელი ძალაუფლება. მოძრაობის ხელმძღვანელმა ძალამ ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ თავის ხელში მოუყარა თავი ადმინისტრაციულ, სახმელრო და სასამართლო ძალაუფლებას. მას თავის განკარგულებაში ჰქონდა სტამბა, სადაც ბეჭდვდნენ ფურცლებსა და მოწოდებებს, ყავდა შეიარაღებული რაზმი, ჰქონდა იარაღის ქარხნის მაგვარი სახელოსნო, სადაც არემონტდნენ იარაღს და ამზადდებდნენ ვაზნებს<sup>70</sup>. შეიარაღებულ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრები ი. ჩიხლაძე და ნ. შალამბერიძე.

მოსკოვის მუშების დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება სიგნალი შეიქნა საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის—პირდაპირ თავდასხმაზე გადასულიყვენ მეფის ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ.

16 დეკემბერს ცხინვალსა და ტყვიავში ქართველმა და ოსმა რევოლუციონერმა გლეხებმა ხელთ იგდეს მთავრობის დაწესებულებები<sup>71</sup>. მეჯვრისხევში, ბორჯომსა და გორის მაზრის სხვა სოფლებში ადგილი ჰქონდა გლეხთა შეიარაღებული რაზმების თავდასხმებს საპოლიციო უზენებზე და მემამულეთა სახლ-კარზე<sup>72</sup>. მთელს თბილისის გუბერნიაში გლეხები ქმნიდნენ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს, რომლებიც აწესრიგებდნენ სოფლის ცხოვრებას.

Отряд интернационалистов, состоявший из рабочих-китайцев, под командованием немецкого коммуниста Либкнехта (бывшего миссионера в Китае) присоединился к Красной Армии у ст. Мысовая и принял активное участие в боях с чехословаками.

Опасаясь появления чехословаков со стороны Троицкосавска, Главное командование Красной Армии направило туда из Мысовой через хребет Хашр-Дабир отряд с одним орудием<sup>36</sup>. На ст. Мысовая красными войсками командовал Метелица, а П. К. Голиков выехал в Селенгинск на поддержку фронтов. 31 июля 1918 года произошел бой у разъезда Мурино. Белогвардейцы вклинились в тыл советских войск. Части Красной Армии с боем отступали от ст. Мысовой в Забайкалье, преследуемые чехословацкими и белогвардейскими войсками. 19 августа 1918 года у ст. Посольская они высадили десант под командованием полковника Ушакова. Советские части попали в окружение.

Бой под Посольской был самым упорным и кровопролитным из всех боев за период с 20-го июля по 19 августа 1918 г. на Прибайкальском фронте. Белогвардейцы были отбиты. Но из 3 тысяч бойцов Красной Армии смогло пробиться с боями к своим частям к Верхнеудинску только около 600 бойцов. Остальные красноармейцы или погибли в боях, или были взяты в плен, или ушли небольшими группами в тайгу, где терпели страшные мучения от голода.

Сражениями под ст. Посольской, у Березовки и у Селенгинского моста окончилось героическое сопротивление светских войск, руководимых иркутскими большевиками. Рабочие и крестьянская беднота Иркутской губернии долго и упорно сопротивлялась силами контрреволюции. Последними 28 августа 1918 года прекратили сопротивление бодайбинские рабочие.

<sup>35</sup> ЦГАСА СССР, ф. 28, 361, оп. 2, д. 123, л. 8—9.

<sup>36</sup> ЦГА ОР СССР, ф. 253, оп. I, д. 66, л. 40.



\* \* \*

Так, под ударами превосходящих сил внутренней и внешней контр-революции, Советская власть в Восточной Сибири временно пала.

Народ, угнетаемый белогвардейцами и американо-японскими интервентами, в условиях необузданного белого террора, продолжал героическую борьбу за свое освобождение. И его усилия не прошли даром. Под руководством Коммунистической партии партизанские отряды, восставшие рабочие и крестьяне, совместными силами в декабре 1919 года нанесли сокрушительное поражение многочисленным иностранным войскам и бандам Колчака и весной 1920 года они были вынуждены убраться из Советской Сибири.

Народы края добились, наконец, свободы, за которую сложили свои головы многие тысячи людей, представители разных национальностей.

## უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფის ძირითადი თავისებურებანი

ნ. როგავა

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ.  
ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

აქტივობა ყოველი ცოცხალი არსების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს, მაგრამ ადამიანს, ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით, აქტივობის სპეციფიკური უნარი გააჩნია. ადამიანის აქტივობის ერთ ყველაზე სპეციფიკურ თვისებებურებას ქმნის ნებისყოფა. ნებისყოფა, როგორც ნებისმიერი ქცევის უნარი, ადამიანის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

ნებისყოფა ყოველთვის ობიექტური ღირებულების მქონე შედეგისაკენ არის მიმართული და მომავალი ცხოვრების ამოცანებს ემსახურება. მის მიზანს ყოველთვის ობიექტური ღირებულებების შექმნა, დაცვა და შენახვა შეადგენს. ობიექტურ ღირებულებებთან მიმართებაში აღმზრდელობითი ზემოქმედების გზით, ადამიანში ყალიბდება უნარი აკეთოს არა მხოლოდ ის, რისკენაც მას უშუალო მოთხოვნის იმპულსი უბიძგებს, არამედ ისიც, რასაც მისვან საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესები მოითხოვს, რაც საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭირო და აუცილებელია. სწორედ ამ უნარს წარმოადგენს ნებისყოფა. „იგი ინდივიდს ამორთავს ცხოვრების ახლანდელი მიმდინარეობიდან, აყენებს მას მომენტალური აწყყოს ინტერესებზე მალა და ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროსაკენ მიმართული აქტივობის სუბიექტად აქცევს“<sup>1</sup>.

ჩვენი გამოკვლევა სწორედ ამ უნარის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლების დადგენას ისახავს მიზნად. იგი მიმართულია უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფის ძირითად თავისებურებათა შესწავლისაკენ. მაგრამ სანამ ამ საკითხის ირგვლივ ჩვენი კვლევის შედეგებს მოვიტანდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასკოლო სიტუაციის მოკლე ანალიზი გავაკეთოთ და ვნახოთ, რას მოითხოვს სასკოლო ცხოვრება ბავშვისაგან, როგორც ნებისყოფის სუბიექტისაგან.

სკოლაში შესვლით იწყება ახალი ეტაპი ბავშვის ცხოვრებაში, ბავშვის საცხოვრებო გარემო არსებითად იცვლება. მის წინაშე სასწავლო-სააღმზრდელი გარემოდან გამომდინარე ახალი ამოცანები დგება. თუ სკოლამდელ ასაკში ბავშვის ქცევის ძირითად ფორმას თამაში წარმოადგენდა, ახლა მის აქტივობაში წამყვან ადგილს სწავლა იკავებს.

<sup>1</sup> შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, 1958, გვ. 268.





დ. უზნაძის აზრით, სწავლის პროცესში ბავშვის შინაგანი ძალების ფუნქციონალური ტენდენციის გამოვლენა გარედან მიწოდებული სასწავლო მასალის საფუძველზე ხდება. აქ შინაგანი ძალები თვითონ არ იჩივებს აქტივაციისათვის საჭირო გარეგანს, როგორც ეს თამაშის დროს ხდება. „განვითარება აქ არა თავისუფლად არჩეულ მასალაზე ხდება, როგორც ამას თამაშის შემთხვევაში აქვს ადგილი, არამედ იმ მასალაზე, რომელიც მოზრდილს მიაჩნია მიზანშეწონილად“<sup>2</sup>.

სკოლაში ბავშვს სასწავლო-სააღმზრდელო თვალსაზრისით მოწესრიგებული გარემო ხვდება, რომელსაც იგი უნდა დაემორჩილოს. სკოლა ბავშვისაგან მოითხოვს დაექვემდებაროს გარკვეულ ნორმებს, მიიღოს და განახორციელოს განსაზღვრული მიზნები, რომელსაც მას უფროსები უსახავენ. „თუ მანამდე აქტივობას, რომელშიც ბავშვის შინაგანი ძალები მწიფდებოდნენ და ვითარდებოდნენ, თამაში წარმოადგენდა, ამიერიდან მის ადგილს სწავლა იკავებს. თავისუფალი დროსა და სივრცის მკაცრი რეგლამენტებით შეუზღუდავი გარემოს ადგილს, სადაც ბავშვის ქცევის ხასიათი თვითონ მისი საკუთარი სურვილის შეესაბამისად განისაზღვრებოდა, იჭერს სკოლა მტკიცედ დადგენილი რეჟიმითა და წესებით, რომელთაც ბავშვი უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს“<sup>3</sup>.

ბავშვმა რომ სასკოლო ცხოვრებისადმი დამორჩილება შეძლოს, საჭიროა მან ზოგიერთი შინაგანი აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსი შეაკავოს და თავისი ფსიქო-ფიზიკური ძალების სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების შესატყვისი ორგანიზაცია მოახდინოს.

თუ სკოლამდელ ასაკში ბავშვი მიჩვეული იყო თავისი სურვილების უშუალო გამოხატვას, საკუთარი თავისათვის კონტროლის გაწევის გარეშე ლაპარაკს, მოძრაობას, გრძნობათა გამოვლენას და სხვ., სასკოლო გარემო ბავშვს ავალდებულებს: იჯდეს ვაკვეთილზე მოსწავლის პოზაში, თავი შეიკავოს უადგილო სიტყვიერი რეაქციისაგან, ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობისა და გრძნობათა გამოვლენის გარეშე ყურადღებით მოუსმინოს მასწავლებლის ახსნასა და ამხანაგის პასუხს, საშინაო დავალების გამოკითხვისას ასწიოს ხელი და უცადოს გამოძახება; რომელიმე საკითხის გაუგებრობის შემთხვევაში მაშინვე კი არ მიმართოს მასწავლებელს შეკითხვით, როცა ამისი მოთხოვნილება გაუჩნდება, არამედ უნდა უცადოს მანამ, სანამ მასწავლებელი მას შეკითხვის ნებას დაართავს; მასწავლებლის ნებართვის გარეშე არ გადაშალოს წიგნი, რვეული, ისწავლოს ბეჯითად, თავის დროზე და მძალახარისხვნად შეასრულოს უფროსების ყოველგვარი დავალება და ა. შ.

ბავშვი სასკოლო ცხოვრებას რომ გაყვეს და სასწავლო ამოცანები განახორციელოს, მას უნდა შეეძლოს ფსიქიკური პროცესების, — მენსიერების, აზროვნების, ყურადღების ნებისმიერად ამოქმედება, სასწავლო ამოცანების შესატყვისად მათი მართვა. ასე მაგ., სწავლების პირველი დღეებიდანვე ბავშვს უნდა შეეძლოს: მასალის აქტიური დახსოვება და საჭიროების შემთხვევაში მისი აქტიური რეპროდუქცია; აზროვნებითი პროცესების აღძვრა და სასწავლო მასალაზე მისი ხანგრძლივად შეჩერება; ასევე მას უნდა შეეძლოს მართოს თავისი

<sup>2</sup> დ. უზნაძე, აღმზანის ქცევის თორმეტი, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 17, 1941, გვ. 35.

<sup>3</sup> შ. ჩხარტიშვილი, სწავლა სასკოლო ასაკის ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა, პედაგოგიური ფსიქოლოგია, I ნაწილი, 1962, გვ. 31.

ყურადღება, აღქმა და ა. შ. ერთი სიტყვით, სასკოლო სწავლება ბავშვისაგან ფსიქიკურ პროცესთა ნებისმიერი რეგულაციის უნარს მოითხოვს.

ბავშვი ვერ შეძლებს ქცევის სასკოლო სწავლების მიხედვით აგებას, თუ შემთხვევით წამოჭრილ მოთხოვნილებებს გაყვება, რადგან ეს მოთხოვნილებები ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობებს თავისი მიზნისათვის მოიხმარს, თავის თავის დაკმაყოფილებისათვის გამოიყენებს, რითაც ბავშვის სასწავლო ქცევის განხორციელებას შეუძლებელყოფს.

მაგრამ ეს გარემოება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის სწავლება ბავშვის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს ანგარიშს არ უწევდეს და მათთან ყოველთვის დაპირისპირებაში მოდიოდეს. ასე რომ იყოს, სწავლა, მის დასაწყის ეტაპზე მაინც, შეუძლებელი იქნებოდა, იგი ბავშვისათვის მეტად რთულ და დაუძლეველ საქმედ გახდებოდა. საქმის ფაქტური ვითარება გვიჩვენებს, რომ სწავლება ერთგვარ ანგარიშს უწევს ბავშვის აქტუალურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებსაც. სწორედ იმიტომ, განსაკუთრებით, უმცროსი სასკოლო ასაკის სასწავლო მასალა ისეა შედგენილი, რომ მისი დასწავლა ბავშვში ვარკვეული ცოდნა-ჩვევების შექმნასთან ერთად, სასიამოვნო ემოციებს აღძრავს და მისე აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც აღწევს. მაგრამ ეს ემოცია სწავლის მიზანი არასოდეს არ ხდება. იგი მხოლოდ საშუალებაა, რომელიც სასწავლო აქტიობას მიმზიდველს და სასიამოვნოს ხდის.

სწავლება ყოველთვის ობიექტური ღირებულების მქონე შედეგისათვის წარმოებს, რომელშიც ბავშვის ფსიქიკური უნარის განვითარება და ცოდნა-ჩვევების შექმნა იგულისხმება. ამიტომ სწავლების პროცესი მხოლოდ ბავშვის აქტუალური მოთხოვნილებებისა და ინტერესების საფუძველზე არ აიგება. ეს პრაქტიკულადაც შეუძლებელია. შეუძლებელია გაკვეთილის შინაარსი მოსწავლის იმ მოთხოვნილებით განისაზღვროს, რომელიც რაიმე მიზეზის გამო გაკვეთილის მსვლელობის დროს შეიძლება მასში აქტუალიზირდეს. სასკოლო სწავლებას რომ გაყვეს, ბავშვი იძულებულია მაშინაც ისწავლოს, როცა სწავლის პროცესი სიამოვნებას კი არ იწვევს მასში, არამედ უსიამოვნებას.

აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების დაძლევისა და სასკოლო ცხოვრების მიხედვით თავისი ქცევის წარმართვას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებს ბავშვი, თუ მას აღმოაჩნდება ნებისყოფის სათანადო ძალა, რომლის საფუძველზედაც იგი ნებისმიერი ქცევის აქტებს გაშლის.

რა მდგომარეობაშია, განვითარების რა საფეხურზე იმყოფება უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლის ნებისყოფა? რამდენად აკმაყოფილებს სასკოლო ცხოვრების მოთხოვნებს ბავშვის პიროვნება, როგორც ნებისმიერი ქცევის სუბიექტი?

ამ საკითხის შესწავლის მიზნით, ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა ბავშვის ბუნებრივ ქცევაზე დაკვირვება და ექსპერიმენტი. ბავშვის ქცევაზე დაკვირვება მიმდინარეობდა სასწავლო და შრომითი საქმიანობის პროცესში, ხოლო ექსპერიმენტებში შევეცადეთ ერთმანეთისათვის დაგვეპირისპირებინა ბავშვის აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი და ნებისყოფა.

ექსპერიმენტული კვლევის პროცესში ძირითადად ვისარგებლეთ შ. ჩხარტიშვილის მიერ შემუშავებული მეთოდით<sup>4</sup>, რომელიც უმცროსი სასკოლო ასა-

<sup>4</sup> შ. ჩხარტიშვილი, შვიდი წლის ბავშვის ნებელობისათვის, ფსიქოლოგია, ტ. 5, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, გვ. 27—32.



კის ბავშვის ნებისყოფის ძირითად თავისებურებათა შესწავლის საქმეში გავოვიყენეთ ზოგიერთი ცვლილებებით. ეს მეთოდი სულ სამი რიგის ცდებს ვულისხმობს, ჩვენს მიერ ცვლილება იქნა შეტანილი მესამე რიგის ცდაში.

ყველა რიგის ცდები ისე იყო აგებული, რომ ისინი ამოცანის გადაწყვეტის პროცესში ცდის პირში ამოცანის გადაჭრის წინააღმდეგ მიმართულ შინაგან იმპულსებს აღძრავდნენ. ნებისყოფის ძალა და ხასიათი ამ იმპულსების დაძლევისაკენ მიმართულ შინაგან აქტივობაში უნდა გამოვლენილიყო.

ჩვენ მიერაც სულ სამი რიგის ცდა იქნა ჩატარებული. პირველი რიგის ცდებისათვის გამოყენებულ იქნა ფერადი ასოები, რომელიც ცდის პირს მნემომეტრის საშუალებით შემდეგი თანმიმდევრობით ეძლეოდა: ი—მწვანე; ა—წითელი; ი—მწვანე; ა—წითელი; ა—წითელი; ი—წითელი; ი—წითელი; ა—მწვანე; ი—მწვანე.

პირველი რიგის ცდები სამი სერიისაგან შედგებოდა. პირველ სერიაში ცდის პირს ფერი შეცვლილად უნდა ეთქვა, ხოლო მიწოდებული ასო წაეკითხა. მაგ., როცა გამოჩნდებოდა მწვანე—ი, მას უნდა ეთქვა „წითელი—ი“; მეორე სერია ცდის პირს ავალებდა ასოს შეცვლას, მაგ., მწვანე ი-ს დანახვაზე უნდა ეთქვა „მწვანე—ა“; მესამე სერიაში ცდის პირს, როგორც ფერი, ისე ასო შეცვლილად უნდა დაესახელებინა, მაგ., წითელი—ა უნდა წაეკითხა, როგორც „მწვანე—ი“;

ამ ცდებში აქტუალურად მოცემული სიტუაცია ცდის პირში მისი სახელდების ტენდენციას აღძრავს და თვითონ მისი დასახელებისათვის განაწყობს. მაგრამ ინსტრუქცია მას აქტუალურად მოცემული სიტუაციის საწინააღმდეგ განზრახვას უქმნის, ცდის პირს აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციისათვის შეუთავსებელი სიტყვის წარმოთქმას ავალებს. ასეთი ოპერაციის შესრულება კი ნებისყოფის სუბიექტის აქტიური ჩარევის გარეშე შეუძლებელი ჩანს.

II რიგის ცდებში მნემომეტრის საშუალებით მიწოდებული იყო ფერადი წრეები შემდეგი თანმიმდევრობით: მწვანე, წითელი, შავი, მწვანე, წითელი, შავი, მწვანე, წითელი. ეს ცდები ორი სერიისაგან შედგებოდა: ცდის პირველ სერიაში ცდის პირს ევალებოდა დაესახელებინა ყველა ფერის წრეები, რომელიც მნემომეტრზე გამოჩნდებოდა, გარდა წითლისა, ხოლო წითლის გამოჩენაზე უნდა ეთქვა „თეთრი“. მეორე სერიაში ამოცანა იმით იცვლებოდა, რომ წითლის გამოჩენისას უნდა დაესახელებინა ნებისმიერი სახელი (რაც გაახსენდებოდა), ოღონც იმ პირობით, რომ ერთხელ ნათქვამი არ გაემეორებინა. ე. ი. წითელი ფერის ერთხელ გამოჩენაზე ერთი საგნის სახელი უნდა ეთქვა, ხოლო წითლის მეორედ გამოჩენაზე სხვა სახელი უნდა წარმოეთქვა.

ამ ცდებში აქტუალური მოთხოვნილების სიტუაცია მისი შესაფერისი სახელდების ტენდენციას აღძრავს. ცდის პირს ნება ეძლევა გაყვეს ამ ტენდენციის მოთხოვნებს მანამ, სანამ წითელ წრეს შეხვდებოდეს, ხოლო წითლის დანახვაზე ეს ტენდენცია უნდა შეაჩეროს, ამოერთოს აქტუალური სიტუაციიდან და წითელ წრეზე განზრახვის შესატყვისი რეაქცია მისცეს. შემდეგ კი ისევ აქტუალურ სიტუაციას დაუბრუნდეს და მას გაჰყვეს. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ბავშვი სკოლაში, გაკვეთილის მსვლელობის დროს „ყოველ შემთხვევითსა და წარმავალ გამღიზიანებელს, რომელიც ბავშვის ყურადღებას იქცევს, შეუძლია გამოთიშოს იგი გაკვეთილიდან, თუ მას ცნობიერების მართვის ერთგვარი შესაძლებლობა არ გააჩნია. თუ იგი მთლიანად ჩართულია ცნობიერებაში და

პასიურად მიყვება მის დინებას; თუ მას არ შეესწევს ძალა, ასეთ ვითარებაში ცნობიერებას მიმართულება ნებისმიერად შეუცვალოს<sup>45</sup>.

მესამე რიგის ცდისთვის შევადგინეთ ცხოველის ფერადი სურათებისაგან შემდგარი ალბომი. სურათები ჩავაკარით ალბომის მარცხენა გვერდზე, ხოლო ალბომის მარჯვენა გვერდზე, შუა ადგილას გავავლეთ ჰორიზონტალური ხაზი, რომელზედაც აღვნიშნეთ მეტრული დანაყოფები—10-დან 20 სმ-მდე. ცდები თბი სერიისაგან შედგებოდა. პირველ სერიაში შედიოდა პირველი 10 სურათი, ხოლო მეორეში—დანარჩენი 10.

პირველ სერიაში ცდის პირს ვეალებოდა ცდის ხელმძღვანელის მითითებისთანავე გადაეშალა ალბომი (გადაშლის შემდეგ ცდის პირის წინ, პირდაპირ უნდა მოხვედრილიყო ალბომის მარჯვენა მხარე, რომლის ცენტრი მისი მხედველობიდან დაახლოებით 45—50 სმ-ით იყო დაშორებული) და ხუთი წუთის განმავლობაში თვალი არ მოეშორებინა დანაყოფის იმ წერტილისათვის, სადაც ეწერა—20; შემდეგ თვალი ვადმოეტანა დანაყოფის იმ წერტილზე, სადაც ეწერა—15 (დადლილობის ფაქტორის გამოსარიცხად ზოგჯერ ვაძლევდით პირიქით—ბავშვი ჯერ უყურებდა 15-ს, შემდეგ კი 20-ს). 15-ით აღნიშნულ წერტილის ფიქსაციის დროს სურათი თვალს უფრო იტაცებდა, რადგან ეს წერტილი 20-ით აღნიშნულ წერტილთან შედარებით 5 სმ-ით ახლო იყო სურათთან. როგორც ჩანს, რაც უფრო ახლოა სასურველი საგანი სუბიექტთან, მით უფრო ძლიერა მისადმი სწრაფვის ტენდენცია. ამოცანის გადაწყვეტის პროცესში ცდის პირს ვეალებოდა სურათებისაკენ არ გაეხედა. სურათებისაკენ გახედვა, თვალს უბრალო გადაკვრაც კი მას შეცდომად ეთვლებოდა.

მეორე სერიაში ცდის პირს 20 და 15-ით აღნიშნული წერტილების ფიქსაციის პროცესში უნდა ეწარმოებინა ზეპირი, მარტივი არითმეტიკული ოპერაციები ცდის ხელმძღვანელის მიერ შიწოდებულ რიცხვებზე ისე, რომ სურათებისაკენ არ გაეხედა.

ალბომით ცდებში ბავშვს განსაკუთრებით იზიდავდა სურათები, რომლებიც მხედველობის პერიფერიულ არეში შემოსვლის გამო გაუფორმებელი ფერების სახით განიცდებოდა. ბავშვს ერთგვარი აქტივობა ჭირდებოდა იმისათვის, რათა სურათებისაკენ სწრაფვა შეეკავებინა. საჭირო იყო მას სურათის დათვალიერების ინტერესისადმი ნებისყოფა დაეპირისპირებინა.

ეს ცდები თავისი ხასიათით მოსწავლის სასკოლო ცხოვრების ბუნებრივ პირობებს უახლოვდებოდა. იმ დროს, როცა მოსწავლე სკოლაში რომელიმე დავალებას ასრულებს, ხშირად გარემო სინამდვილიდან ისეთი გამღიზიანებელი იწყებს ზემოქმედებას, რომელიც ბავშვის რომელიმე აქტუალურ მოთხოვნილებას უკავშირდება და მის გააქტიურებას იწვევს. თუ ამ დროს ბავშვს სათანადო ძალის ნებისყოფა არ აღმოაჩნდება იმისათვის, რომ ამ მოთხოვნილებების იმპულსი შეაკავოს, ეს მოთხოვნილება დავალების შესრულებისაკენ მიმართულ ფსიქურ პროცესებს თავისკენ მომართავს. ასეთ ვითარებაში, ცხადია, დავალების შესრულება შეუძლებელი ხდება.

ცდები ჩატარებული იქნა ქ. თბილისის I საშუალო სკოლის I—V კლასის მოსწავლეებზე. ცდის პირები დაყოფილი იყო შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებად:

<sup>45</sup> შ. ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, შვიდი წლის ბავშვის ნებელობისათვის. ფსიქოლოგია, ტ. 5, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948, გვ. 30.

<sup>46</sup> ჩვენ ვაძლევდით ასაკის შესატყვისი პროგრამით გათვალისწინებულ, მარტივ არითმეტიკულ მაგალითებს, რაზედაც ცდის პირს ზეპირად უნდა ებასუხა, სახელობრივ რამდენი ათეულია 20-ში, რაზე უნდა გავამრჯლოთ 5, რომ მივიღოთ 20; რამდენი ათეულია და ერთეულია 15-ში და ა. შ.





7—8; 8—9; 9—10; 10—11; 11—12 წლიანებად. 11—12 წლის ასაკი აღებული იყო საკონტროლოდ, ამიტომ ამ ასაკის თვისობრივ მონაცემებს ჩვენს შრომაში საგანგებოდ არ განვიხილავთ. თვითეული ასაკობრივი ჯგუფისათვის აყვანილი გვეყავდა 25 ცდის პირი. სულ ცდები ჩატარებული იქნა 125 ბავშვზე (სამივე რიგის 875 ცდა).

ცხრილი 1

ცდის პირთა რაოდენობა	ცდების დასახელება	ამოცანის შესრულება	7—8 წ.	8—9 წ.	9—10 წ.	10—11 წ.	11—12 წ.
25	I რიგის I სერია	შეასრულა ვერ შეასრ.	79,5 % 20,5 %	85,5 % 14,5 %	91 % 9 %	97,5 % 2,5 %	100 % —
25	I რიგის II სერია	შეასრულა ვერ შეასრ.	77,5 % 22,5 %	83 % 17 %	89,5 % 10,5 %	97,5 % 2,5 %	100 % —
25	I რიგის III სერია	შეასრულა ვერ შეასრ.	78,5 % 21,5 %	81,5 % 18,5 %	88 % 12 %	93 % 7 %	100 % —
25	II რიგის I სერია	შეასრულა ვერ შეასრ.	95 % 5 %	98 % 2 %	100 % —	100 % —	100 % —
25	II რიგის II სერია	შეასრულა ვერ შეასრ.	52 % 48 %	58,7 % 41,3 %	68 % 32 %	80 % 20 %	95 % 5 %
25	II რიგის III სერია	შეასრულა ვერ შეასრ.	70,8 % 29,2 %	75,2 % 24,8 %	78,8 % 21,2 %	90,8 % 9,2 %	100 % —
25	III რიგის I სერია	შეასრულა ვერ შეასრ.	75,6 % 24,4 %	79,6 % 20,4 %	88 % 12 %	97,6 % 2,4 %	100 % —
საშ. არითმეტ. ყველა რიგის ცდებიდან		შეასრულა ვერ შეასრ.	75,5 % 24,5 %	80,22 % 19,78 %	86,1 % 13,99 %	93,77 % 6,23 %	99,3 % 0,7 %
ნამატი წინა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით			—	4,12 %	5,88 %	7,67 %	5,53 %

როგორც ცხრილ № 1-ის ცდის შედეგების რიცხობრივი მონაცემებიდან ჩანს, ნებისმიერი ქცევის უნარი ასაკის ზრდასთან ერთად ვითარდება. ყველა რიგის ცდების მონაცემების მიხედვით დავალგებათა შესრულების საშუალო არითმეტიკული შემდეგ სურათს გვაძლევს: 7—8 წლის ასაკისათვის იგი 75,6%-ს უდრის; 8—9 წლისათვის—80,22%-ს; 9—10 წლისათვის—86,1%-ს; 10—11 წლისათვის—93,77%-ს; 11—12 წლისათვის—99,3%-ს.

განვითარების ტემპი ყველა ასაკისათვის ერთი და იგივე არ არის, თუ ერთმანეთს შევადარებთ წინა წელთან შედარებით ამოცანათა შესრულების რიცხობრივი მაჩვენებლების ასაკობრივ ნამატს, შემდეგ სურათს დავინახავთ: 8—9 წელში ამოცანათა შესრულების რიცხობრივი მაჩვენებლების ნამატი 7—8 წელთან შედარებით 4,12%-ს უდრის; 9—10 წელში, 8—9 წელთან შედარებით 5,88%-ს; 10—11 წელში, 9—10 წელთან შედარებით 7,67%-ს; ხოლო 11—12 წელში, 10—11 წელთან შედარებით ნამატი 5,53%-ს აღწევს; როგორც ვხედავთ, ამოცანის განზრახვის მიხედვით შესრულების რიცხობრივი მაჩვენებლების ნამატი ყველაზე მეტია 10—11 წლის ასაკში.

ჩვენი ცდების რიცხობრივი და თვისობრივი ანალიზისას რომ ნათლად დავინახოთ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფის განვითარების თვალსებურებანი და ასაკობრივ ჯგუფებს შორის მკვეთრი განსხვავება, მიზანშეწო-

ნილად მიგვაჩნია დასაწყისი და ბოლო ასაკობრივი ჯგუფების, 7—8 და 10—11 წლის ბავშვის მონაცემების ერთმანეთთან მიმართებაში განხილვა. მოკლედ შევხვით ყველა რიგის ცდებს ამდაგვარ მიმართებაში.

ზოგჯერ ცდის პირი 1 რიგის ცდებში მომდევნო წვერის დასახელებას ვერ ახერხებს და მას დასახელების გარეშე უშვებს. „დაუსახელებლად გამოუშვას“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ აქ ბავშვში ერთიმეორის საპირისპიროდ მიმართული ტენდენცია, განზრახვისა და აქტუალური მოთხოვნილებიდან მომდინარე ტენდენცია თანაბარი ძალით ვლინდება. ამიტომ ვერც აქტუალური სიტუაციისა და ვერც განზრახვის შესატყვისი მოქმედების განხორციელება ვერ ხერხდება, რის გამოც ცდის პირი შთაბეჭდილებათა სახელების აქტს ვერ ასრულებს და მას დასახელების გარეშე უშვებს. ზოგჯერ კიდევ, ცდის პირში აქტუალური მოთხოვნილებიდან მომდინარე იმპულსი განზრახვიდან მომდინარე ტენდენციის ძალას სჭარბობს. ამიტომ ცდის პირი დასაწყისში აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციას მიყვება და შთაბეჭდილებას მის შესატყვისად ასახელებს. მაგრამ შემდეგში ცდის პირი ხშირად ამჩნევს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს და თავის ცნობიერებას ამ შეცდომების გასწორებისაკენ მიმართავს. ამ დროს კი მის წინ მომდევნო შთაბეჭდილება იწყებს გამოჩენას, რომლის მიმართაც ცდის პირმა განზრახვის მიხედვით სახელების აქტი უნდა აწარმოოს. მაგრამ ვინაიდან ამ მომენტში მისი ცნობიერება დაშვებული შეცდომების გასწორებაზე ფიქრით არის დაკავებული, მომდევნო შთაბეჭდილება მას დასახელების გარეშე ეპარება, რის გამოც ცდის პირი წუხს, ღელავს და მის შესახებ ვერაფრის თქმას ვერ ახერხებს და აქაც იგი შთაბეჭდილებას დასახელების გარეშე უშვებს.

გვხვდება სხვა სახის შეცდომებიც, სახელდობრ: I რიგის ცდებში, როცა ცდის პირმა ინსტრუქციის თანახმად ესა თუ ის შთაბეჭდილება (ფერი ან ასო) განზრახვის მიხედვით უნდა შეცვალოს და გარკვეული შთაბეჭდილება (ფერი ან ასო) უცვლელად დაასახელოს, მას მთელი თავისი ყურადღება გადააქვს შესაცვლელ გამლიზიანებელზე, რომლის ვალდებულების მიხედვით შეცვლას ახერხებს კიდევ, ხოლო შთაბეჭდილება, რომელიც მან აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის მიხედვით უნდა დაასახელოს, ცნობიერების უკანა პლანზე რჩება, რის გამოც იგი ისე ნათლად არ განიცდება, როგორც შესაცვლელი შთაბეჭდილება, ამიტომ მას ცდის პირი დასახელების გარეშე უშვებს, ანდა შეცვლილად ასახელებს და ვერ ამჩნევს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

I რიგის III სერიის ცდებში თავი იჩინა, „ვერც ერთი ვერ შეცვალა“ შემთხვევებმა. აქ აქტუალური მოთხოვნილებიდან მომდინარე იმპულსი იმდენად ძლიერია, რომ ცდის პირს განზრახვის მიხედვით მოქმედების უნარს ართმევს, რის გამოც ცდის პირი აქტუალური სიტუაციის მოთხოვნებს მიყვება და მიწოდებულ შთაბეჭდილებებს ვერ ცვლის, მას უცვლელად ასახელებს.

ცდების მიმდინარეობის პროცესში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ცდის პირი მოქმედებას თავიდანვე განზრახვის მიხედვით იწყებდა, დასაწყის 5—6 შთაბეჭდილების მიმართ სახელების აქტს სწორად აწარმოებდა, მაგრამ ბოლო 2—3 შთაბეჭდილების წინაშე ჩერდებოდა (სულ რვა გამლიზიანებლის მიწოდება ხდებოდა) და მას აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის მიხედვით ასახელებდა, ანდა დასახელების გარეშე უშვებდა. იბადება კითხვა:

თუ ცდის პირი დასაწყისში ამოცანას სწორად წყვეტდა, განზრახვის მიმართულებით მოქმედებდა, შემდეგში რას უნდა გამოეწვია განზრახვათა დარღვევის შემთხვევები? აქ, ჩვენი აზრით, საქმე უნდა გვექონდეს განზრახვის მიხედვით ხანგრძლივად მოქმედების სისუსტესთან. აშკარაა ცდის პირები (უფრო 7—8 წლის ასაკში), ჯერ კიდევ არ გააჩნიათ გახანგრძლივებულ დროში თავიანთი ქცევის სებისმიერად წარმართვის უნარი. ისინი დასაწყისში ვალდებულების მიხედვით იწყებენ მოქმედებას, მაგრამ, როცა მათ განზრახვის შესატყვისი ხანგრძლივი მოქმედება უხდებათ, ისინი მას ვერ ასრულებენ.

II რიგის I სერიის ცდებში განზრახვის მიხედვით დავალება 7—8 წლის ასაკშიც ცდის პირთა დიდმა რაოდენობამ წარმატებით შეასრულა. ამ ცდებში ცდის პირებს ნებისყოფის აქტისათვის მხოლოდ ერთი გამდინჯიანებლის მიმართ უნდა მიემართათ, უნდა წაეკითხათ წითელი წრე, როგორც „თეთრი“. ეს ამოცანა 7—8 წლის ასაკშიც ადვილი დასაძლევე აღმოჩნდა, ამიტომ მას ბავშვები ყოველგვარი დაბრკალების გარეშე წყვეტდნენ.

სამაგიეროდ, ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა II რიგის II სერიის ამოცანა. ამ ცდებში გამოყენებული ინსტრუქცია ბავშვისაგან ინტელექტუალური პროცესების ნებისმიერ მოქმედებას მოითხოვდა. სახელდობრ: ინსტრუქცია ბავშვს წითელი წრის გამოჩენისას რომელიმე საგნის სახელის მოგონებას ავალბებდა. ეს ამოცანა კი მეხსიერების საქმეს შეადგენდა. ვარდა ამისა, როგორც ეს ცდების მიმდინარეობის პროცესში გამოიჩვენა, ცდის პირები ამა თუ იმ საგნის სახელის მოგონების დროს ინდიფერენტული არ იყვნენ. ისინი ცდილობდნენ წითელი წრის გამოჩენისას უფრო მეტად ისეთი საგანი მოეგონებინათ და წარმოეთქვათ, რომელიც წითელ წრესთან რაიმე მხრივ აზრობრივ კავშირში იქნებოდა. ეს ოპერაცია კი აზროვნების მონაწილეობას მოითხოვდა.

ცდის II სერიის ამოცანა, 7—8 წლის ასაკში, ცდის პირების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ ვერ შეასრულა. როგორც ჩანს, ბავშვს ამ ასაკში ფსიქიკურ ფუნქციათა ნებისმიერი მართვის უნარი ჯერ კიდევ სათანადოდ არა აქვს მომწიფებული. სამაგიეროდ ეს ამოცანა 10—11 წლის ასაკში, ცდის პირთა დიდმა რაოდენობამ წარმატებით შეასრულა (იხ. ცხ. № 1). ეს წარმატება ფსიქიკურ ფუნქციათა ნებისმიერი რეგულაციის უნარის შემდგომ განვითარებაზე მიუთითებს.

III რიგის ცდებში ცდის პირები ინსტრუქციის გაგების შემდეგ მთელი მონდომებით ცდილობდნენ დავალება შეესრულებინათ, ალბომი ისე გადაეშალათ, რომ სურათისათვის არ შეეხებინათ. მაგრამ ცდის პირების ნაწილს, უფრო მეტად 7—8 წლის ასაკში, სათანადო ნებისყოფის ძალის უკმარობის გამო უძნელდებოდა განზრახვის მიხედვით მოქმედება და სურათისაკენ იხედებოდა. ამიტომ ბევრი მათგანი შემოვლილ გზას მიმართავდა, ცდილობდა იმ ფაქტორების შემოქმედება, რომელიც მის ყურადღებას ამოცანას ამორებდა, თავიდან აეცილნა: მარცხენა მხრიდან თვალზე ხელს იფარებდა, რათა სურათი მხედველობის არეში არ მოხვედრილიყო და თვალები მისკენ არ მიეტაცა, სურათს ხელს აფარებდა, თვალებს ხუჭავდა და ისე შლიდა ალბომს, ჩქარობდა ალბომის ახალი გვერდის გადაფურცვლას, რათა სწრაფად მოეშორებინა მხედველობის პერიფერიული ველიდან სურათის შემოქმედება და ჩქარა გამოერებულიყო იმ სიტუაციას, რომელიც მისი ნებისყოფის შესუსტებას იწვევდა და ამდენად განზრახვის შესრულებას საფრთხეს უქმნიდა და სხვა მსგავსი საშუალებებით აღწევდა დავალების შესრულებას.



10—11 წლის ასაკში კი, ცდის პირებს ინსტრუქციის მოთხოვნები დაბნელობა საშუალებების გარეშე შედარებით ადვილად მოყავდათ სისრულეში.

როგორც ცდის I და II სერიის რიცხობრივი მონაცემების ურთიერთშედარებიდან ჩანს, II სერიის ცდებში ცდის პირები განზრახვის მიხედვით ამოცანის შესრულების უკეთეს მაჩვენებელს იძლეოდნენ, ვიდრე ცდის პირველ სერიაში. ეს განსხვავებული შედეგები თვით ცდების თავისებურებებით იყო გამოწვეული. ცდის I სერიაში სურათის ზემოქმედების შედეგად აღძრულ აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსს ნებისყოფა მარტო, შედარებით სუფთა სახით უპირისპირდებოდა (ბავშვი წერტილების უბრალო ფიქსაციას აწარმოებდა). ეს ამოცანა კი ბავშვისათვის ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა. იგი სურათის ზემოქმედებით აღძრულ იმპულსებისაგან თავს ვერ იკავებდა და თვალი მისკენ გაუბრუნებოდა. II სერიის ცდებში აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის დაძლევაში ნებისყოფის სუბიექტს არითმეტიკული ოპერაციის შესრულებაც ეხმარებოდა. რომელიც მის (ე. ი. ნებისყოფის) სერიოზულ დასაქმებას იწვევდა. ეს გარემოება, ცხადია, ბავშვს განზრახვის მიმართულებით თავისი ქცევის წარმართვის უადვილებდა. ამიტომ იყო, რომ II სერიის ცდებში ცდის პირები ვალდებულების მიხედვით ამოცანის შესრულების უკეთეს მაჩვენებლებს გვაძლევდნენ, ვიდრე ცდის I სერიაში.

როგორც III რიგის ცდების მიმდინარეობამ დაადასტურა, რაც უფრო ახლო იყო საფიქსაციო წერტილი სურათთან, მით უფრო უძნელდებოდა ცდის პირს განზრახვის შესრულება, მით უფრო გაუბრუნდა მას თვალი სურათისაკენ. ამერიკელი მკვლევრის ნილ მილერის აზრით, რაც უფრო ახლოა სუბიექტი მისთვის სასურველ ობიექტთან (მიზანთან) მით უფრო ძლიერია მასში მისაღმა სწრაფვის ტენდენცია<sup>7</sup>. ჩვენი ცდის ექსპერიმენტული მონაცემები ამ თვალსაზრისის შემდგომ გამართლებას წარმოადგენს. III რიგის ცდებში ცდის პირს უფრო მეტად ეხედებოდა სურათისაკენ 15-ით აღნიშნული წერტილის ფიქსაციისას ან არითმეტიკული ოპერაციის წარმოების დროს, ვიდრე 20-ით აღნიშნული წერტილის ფიქსაციისას ან არითმეტიკული ოპერაციის დროს. 15-ით აღნიშნული წერტილის ფიქსაციის ან არითმეტიკული ოპერაციის წარმოების დროს სურათი თვალს უფრო იტაცებდა, რადგანაც ეს წერტილი 20-ით აღნიშნულ წერტილთან შედარებით 5 სმ-ით უფრო ახლო იყო სურათთან.

ცდების მიმდინარეობის პროცესში სურათთან რაიმე მხრივ დაკავშირებული შეკითხვების მიცემა ხშირად არღვევს ცდის პირთა განზრახვის მიხედვით მოქმედებას; თუ კი ეს უნარი მასში სათანადო სიმტკიცით არ არის მოცემული. შეკითხვის მიცემით ბავშვი სურათის დათვალეობის საბაზს ღებულობს და ამით თავისი ქცევის გამართლებას ცდილობს. მაგ.: 7—8 წლის ასაკის მზიას, როდესაც იგი განზრახვის მიხედვით მოქმედებდა, ვაძლევდი შეკითხვას: რა ფერისაა დათვი? ბავშვი მაშინვე ამორებდა თვალს რიცხვებს. რომელსაც იგი აფიქსირებდა და მხედველობა სურათისაკენ გადაჰქონდა, თან პასუხს მაძლევდა: „დათვი თეთრი ფერისაა“. 10—11 წლის ასაკში კი, სურათთან დაკავშირებულ შეკითხვების მიცემა განზრახვაზე ვერ ახდენდა ან ნაკლებად ახდენდა შემასუსტებელ გავლენას. მაგალითისათვის საკმარისია 10—11 წლის ნინოს ქცევაზე

<sup>7</sup> By Neal E. Miller *op. cit.*—Experimental studies of conflict, Personality and the Behavior disorders, Volume I, New York, 1944, pp. 433—435.







რამდენად შეეძლო ბავშვის ჩვენი მეთვალყურეობისა და კონტროლის გარეშე გაკეთილზე მოსწავლის პოზაში ყოფნა<sup>9</sup>. ამ მიზნით ვაწარმოეთ დაკვირვება ბავშვის ქცევაზე. ჩვეულებრივ, ჩვენი კლასში ყოფნის დროს ბავშვები მოსწავლის პოზაში თავისთავად იყვნენ. თითქოს რაღაც მიზეზის გამო ვტოვებდით კლასს მარტო და თან მოსწავლეებს ვაფრთხილებდით, არ ენმაურათ, არ ემოძრაოთ შეენარჩუნებინათ ისეთი მდგომარეობა, როგორშიც ისინი იმჟამად იყვნენ.

მიუხედავად ამ მოთხოვნის დაბეჭითებით განმეორებისა, ვამოიკვება, რომ მოსწავლეებს, 7—8 წლის ასაკში, არ შეეძლოთ მისი შესრულება. მათ ერთხანს, თითქოს ახსოვდათ ჩვენი დარიგება და ემორჩილებოდნენ მას. მაგრამ ეს იყო ძალიან ცოტა ხნით. მალე ისინი იწყებდნენ ლაპარაკს, ზედმეტ მოძრაობებს, სიცილს და ა. შ. სამაგიეროდ 10—11 წლის ასაკში, მოსწავლეები კლასიდან ჩვენი გასვლის შემდეგაც იმახსოვრებდნენ ჩვენს მოთხოვნას და ემორჩილებოდნენ მას. ისინი ჩვენი კონტროლის გარეშეც ახერხებდნენ მოსწავლის პოზაში დარჩენას.

2) ბავშვებს ხშირად სარეველა ბალახისაგან სხვა და სხვა ნარგავების გასუფთავებაზე ვამუშავებდით. როცა მათ (უფრო მეტად 7—8 წლის ასაკში) მეთვალყურეობის გარეშე ვტოვებდით, ისინი ძირითად სამუშაოს თავს არიდებდნენ და მის ძაგვირად სარეველა ბალახიდან ყვავილების ამორჩევასა და მოკრეფას აწარმოებდნენ. ყვავილების მოკრეფა კი მათ აქტუალურ მოთხოვნილებას უკმაყოფილებდა, სიამოვნებას ანიჭებდა. 10—11 წლის ბავშვები კი ჩვენი კონტროლის გარეშეც დავალებას წარმატებით ასრულებდნენ, ცდილობდნენ რაც შეიძლება ნარგავების მეტი ფართობი გაესუფთავებინათ სარეველა ბალახისაგან.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბავშვის ქცევის შემოწმებასა და შეფასებას დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს. დავალების შემოწმება და შეფასება წარმოადგენს ბავშვის სასწავლო და შრომით საქმიანობაზე კონტროლის ძირითად ფორმას. იგი ბავშვს შესაძლებლობას აძლევს მისი ქცევის ნაკლი და ღირებულება გაითვალისწინოს და ნაკლის გამოსწორებაზე გაამახვილოს ყურადღება.

როგორც ბავშვის ბუნებრივ ქცევაზე დაკვირვებამ, ისე ჩვენმა ექსპერიმენტულმა მონაცემებმა დაადასტურეს, რომ თუ ბავშვებში გამოუმუშავებულია ვალდებულების მიხედვით ქცევის წარმართვის უნარი და ამავე დროს მათ გააჩნიათ სათანადო ფიზიკური და ინტელექტუალური ძალები, მაშინ ისინი მაღალაკადემიურ მაჩვენებლებს გვაძლევენ სწავლაში<sup>10</sup>, ხოლო დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ვერ ახერხებენ, ან ძნელად ახერხებენ დავალებას შესრულებას, განზრახვის სისრულეში მოყვანას. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ მოსწავლეთა ჩამორჩენის მიზეზი არის არა ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების სისუსტე, არამედ ნებისყოფის განვითარების დაბალი დონე, მისი სისუსტე. როგორც ჩანს, სუსტი ნებისყოფის ბავშვი სასკოლო ცხოვრების მოთხოვნებს ვერ მიყვება და უშუალო მოთხოვნილების იმპულსის ტყვეობაში რჩება. მას უძნელდება თავისი ფსიქიკური პროცესების—მეხსიერების,

<sup>9</sup> მოსწავლის პოზაში ყოფნა გულისხმობს: ბავშვის სწორად გამართულ ქდომას, ხელების წინ ან ზურგს უკან დაწყობას, ზედმეტი მოძრაობისა, ლაპარაკისა და გრძნობათა გამოვლენის გარეშე ყოფნას.

<sup>10</sup> ექსპერიმენტების დაწყებამდე მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ სათანადო მასალები წინასწარ გვექონდა მოგროვებული.

აზროვნების, ყურადღების სწავლასთან დაკავშირებული ამოცანების შესატყვისად მართვა, სწავლის ინტერესებისათვის ამ ფუნქციების ამოქმედება და გამოყენება, მაშინ როცა ამ ფუნქციებს ბავშვი აქტუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში წარმატებით იყენებს. იგი თამაშისა და გართობის დროს საკმაო ნიჭსა და ყურადღებას ავლენს.

ჩვენი ცდის შედეგებისა და ბავშვის ბუნებრივ ქცევაზე დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ განვითარების რა დონეზე იმყოფება უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფა, რამდენად შეუძლია მას თავისი ქცევის ვალდებულებისა და საჭიროების საფუძველზე წარმართვა.

უმცროსი სასკოლო ასაკის დასაწყის ეტაპზე (7—8 წ.) ვალდებულების შეგნება საკმაოდ არის მომწიფებული იმისათვის, რათა მარტივი, ბავშვის ძალების შესატყვისი დავალებები იქნას შესრულებული. შემდეგ კი, ასაკის წინსვლასთან ერთად, ბავშვის ნებისყოფა განვითარების იმ დონეს აღწევს, რომ მასზე შესაძლებელი ხდება უფრო ორგანიზებული სასწავლო პროცესის დამყარება და სასწავლო მასალის თანდათანობით, სულ უფრო და უფრო გართულბულ ფორმებში მიწოდება.

7—8 წლის ასაკში ბავშვი მიწოდებულ ინსტრუქციას ვალდებულების სახით განიცდის, შინაგანად ღებულობს და ყოველგვარი ღონისძიებებით ცდილობს მის განხორციელებას. ამ მიზნით იგი აქტიურ წინააღმდეგობას უწევს ვალდებულების წინააღმდეგ მიმართულ შინაგან იმპულსებს და მიდრეკილებებს, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებს მათ დამორჩილებას. აქტუალურ მოთხოვნისათა იმპულსები ხშირად იმდენად ძლიერია, რომ იგი ბავშვს ამოუვლებს ცნობიერებიდან იმას, რაც დაივალა და აქტივობას სულ სხვა მიმართულებით წაამართვინებს.

7—8 წლის ბავშვი არ აყენებს კითხვას, თუ რატომ უნდა მოიქცეს ასე, რატომ უყენებენ მას ასეთ მოთხოვნებს, რომელსაც იგი უნდა დაემორჩილოს. ცდის მიმდინარეობის მთელ მანძილზე 7—8 წლის ასაკის არც ერთ ბავშვს ერთხელაც არ უკითხავს, თუ რისთვის ან ვისთვის არის საჭირო ამა თუ იმ დავალების შესრულება. რატომ უნდა თქვას წითელ ასოზე მწვანე, წითელ წრეზე თეთრი, ანდა რატომ არ უნდა გაიხედოს სურათისაკენ. იგი ავტორიტეტებზე დაყრდნობით უკრიტიკოდ ღებულობს ქცევის იმ ფორმას, რომელიც მან უნდა შეასრულოს და ცდილობს გარედან მიწოდებული წესები და ნორმები საკუთარ ქცევის წესებად და ნორმებად გადააქციოს. იგი ვერ ახდენს თავისი ქცევის მოტივირებას, მას ჯერჯერობით სავალდებულო მოქმედების მორალური საფუძველი არ აინტერესებს. ბავშვი ამ ასაკში ჯერ კიდევ არ ფიქრობს თავისი ცხოვრების მიზნებსა და ამოცანებზე. მას ჯერ კიდევ არ შეუძლია გაარჩიოს თუ რასა აქვს ობიექტური ღირებულება. ამიტომ იგი ამა თუ იმ მოვლენის ღირებულებას იმის მიხედვით ზომავს, თუ აღმზრდელები როგორ აფასებენ ამ მოვლენას და საჭიროდ იმ ქცევის განხორციელებას მიიჩნევს, რაზედაც უფროსები მიუთითებენ.

სასწავლო-სააღმზრდელო ზემოქმედების შედეგად ბავშვში ყალიბდება ვალდებულების ცნობიერება. პირველ სასკოლო ასაკის უკანასკნელ პერიოდში, 10—11 წელში, ბავშვი ვალდებულებას, საზოგადოებრივი მოთხოვნების შინაარსს საკმაოდ აცნობიერებს. ბავშვი ახლა ხედავს, რომ სავალდებულო ქცევის წესების შეუსრულებლობა ზიანს აყენებს ბავშვთა კოლექტივის ინტერესებსაც და მის პირად წარმატებასაც. ამიტომ არის ხოლმე, რომ მოვალეობის შეგ-



ნების სულისკვეთებით აღზრდილი ბავშვი, როცა ხედავს, რომ მისი ამხანაგი სასკოლო რეჟიმის მოთხოვნებს არღვევს, მას ვალდებულების მიხედვით მოქმედებისაკენ მოუწოდებს, წესრიგის დაცვისაკენ მიუთითებს და თუ თვითონ მართო ვერაფერს გახდება, მასწავლებლის ან უფროსი ამხანაგის დახმარებით ცდობს საჭიროების მიხედვით წარმართოს მისი ქცევა.

ყველაფერი ის, რასაც აღმზრდელები აკეთებენ (უფრო 7—8 წლის ასაკში) ბავშვისათვის ღირებულების მატარებელია. ბავშვი ხედავს აღმზრდელის ცხოვრებას, შრომით საქმიანობას, მის დამოკიდებულებას სინამდვილის მოვლენებსა და სხვა ადამიანებისადმი და ამ საქმიანობის მიხედვით აფასებს თავის ქცევასა და სინამდვილის მოვლენებს, ცდილობს მათი მაგალითის მიხედვით აავსოს თავისი ქცევა. ამ ასაკში ბავშვი უფრო აღმზრდელის გარეგან თვისებებს ამჩნევს, გადააქვს თავის ქცევაში აღმზრდელის მიმიკა, საუბარი, სიარული. იგი ამ გადატანისას უფრო სუბიექტური ნიშნებით ხელმძღვანელობს, იგი აღმზრდელის ისეთ ქცევებს მიჰყვება, რომელიც მისთვის მიმზიდველი და სასიამოვნოა.

10—11 წლის ასაკში ბავშვი აღმზრდელის ამა თუ იმ ქცევას იმიტომ კი არ მიჰყვება, რომ ეს ქცევა მისთვის მიმზიდველი და სასიამოვნოა, არამედ იმიტომ, რომ მას ახლა შედარებით შეცნობილი აქვს მისი ქცევის ობიექტური ღირებულება და სწორედ ამ ღირებულების ცნობიერებით ხელმძღვანელობს, როცა თავის ქცევას აღმზრდელის ქცევის მაგალითზე აგებს, ბავშვი ახლა ცდილობს აღმზრდელის გარეგან თვისებებთან ერთად მის შინაგან მდგომარეობას მიჰყვეს, მისი ხასიათისა და ნებისყოფის თვისებები გამოავლინოს.

მაგრამ 10—11 წლიდან ბავშვს უჩნდება საკუთარი შეხედულებაც ცხოვრების მოვლენებზე, სწავლისა და შრომით ღირებულებებზე და მათთან დაკავშირებულ მიზნებზე. ამიტომ არის ხოლმე, რომ ბავშვი 10—11 წლიდან შერჩევით ეპყრობა სასწავლო და შრომით ამოცანებს. ზოგ დავალებას, რომელსაც მისი აზრით, ძირითადი მიზნის განხორციელებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მთელი მონდომებით ასრულებს, აღრმავებს მას საკუთარი ინიციატივით, ზოგს კი გულგრილად ეკიდება, რადგანაც ჰგონია, რომ მას საერთო არაფერი აქვს მის ძირითად მიზანთან.

ბავშვი ახლა უფროსების დავალებებსაც კრიტიკის თვლით უწყებს ყურებას, სავალდებულო მოქმედების მიზეზის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით წვდომას ცდილობს. მისი მნიშვნელობა აინტერესებს. ეს რომ ასეა, ამას ჩვენი ცდის მონაცემებიც ადასტურებს. ილუსტრაციისათვის დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი: 1) ცდის პირი გოგი (10—11 წლის) აღნიშნავდა: „თუ ყველა ასოს შეცვლილად წაევიტხავ, მოთხრობას როგორ გავიგებ?“.

2) ინესა (10—11 წლის): „ფერს არა, მაგრამ ასოს შეცვლას ხომ აქვს მნიშვნელობა ტექსტის შინაარსის გაგებისათვის“.

3) თამარი (10—11 წლის): „როგორ?“ ასო შეცვალა? „რატომ ასე?“

4) მურთაზი (10—11 წლის): „ცხოველების სურათის ნახვა რატომ არ შეიძლება? სურათზე კი არა სამხეცეშიც მინახავს ნამდვილი ცხოველები“.

5) გიული (10—11 წლის): „თუ შეკითხვებზე სწორად ვიპასუხებ, მაშინ ხომ შემიძლია სურათებიც დავათვალიერო?“ „მე სურათის დათვალიერება მაგალითების გამოყენებაში ხელს არ შემიშლის“ და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ბავშვს დავალების არსისა და მნიშვნელობის გაგება სურს, მისი სასწავლო ამოცანებთან კავშირის გამოჩვენება და ადვილის მიკუთვნება აინტერესებს.



უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფას (უფრო 7—8 წლის ასაკში), არა აქვს დროში გამძლეობის უნარი. ბავშვი ჯერ კიდევ მოკლებულია თავისი ქცევის ნებისმიერად ხანგრძლივად წარმართვის უნარს. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს ცდის ყველა სერიის მონაცემებიდან. ბავშვები ცდების დასაწყისში განზრახვის მიხედვით იწყებენ მოქმედებას, მაგრამ როცა მათ განზრახვის შესატყვის ხანგრძლივ მოქმედებას ვვალებთ, ისინი მის შესრულებას ვერ ახერხებენ, ბავშვები ვერ უმკლავდებიან აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსებს, როცა ისინი ხანგრძლივად ზემოქმედებენ მათზე. 10—11 წლის ასაკში კი ჩვენა ცდების მიხედვით, ბავშვები საკმაოდ ხანგრძლივად ახერხებენ ვალდებულების მიხედვით მოქმედებას, მეტ შემთხვევაში ინსტრუქციის მოთხოვნებს ბოლომდე მიყვებიან, ასოსა და წრეს განზრახვის მიხედვით კითხულობენ, სურათის დათვალიერებისაგან ცდის დამთავრებამდე თავს იკავებენ, სურათთან დაკავშირებით „შეცდენის“ მიზნით ჩართული შეკითხვაც ვერ ახდენდა მათ განზრახვაზე შემასუსტებელ გავლენას. როგორც ჩანს, 10—11 წლის ასაკში ბავშვს საკმაოდ ხანგრძლივად შეუძლია განზრახვის მიხედვით თავისი ქცევის წარმართვა, ვალდებულების საფუძველზე მოქმედება.

ბავშვს 7—8 წლას ასაკში, აღმზრდელთა მეთვალყურეობისა და კონტროლის გარეშე უძნელდება ვალდებულების შესრულება, როცა ბავშვის ქვევა ამ ასაკში აღმზრდელთა ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით ხორციელდება, მაშინ იგი შედარებით ადვილად ახერხებს აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების შეზღუდვას და მისი ქცევის ნებისმიერად წარმართვას. 10—11 წლის ასაკში, ბავშვი ვალდებულების მიხედვით ქცევის აქტებს მაშინაც ადვილად ახორციელებს, როცა იგი მეთვალყურეობისა და კონტროლის გარეშე იმყოფება.

სკოლაში ბავშვი ობიექტური სინამდვილის შემეცნების აქტუალური მოთხოვნილებებით შემოდის. ამიტომ მას მოთხოვნილების შინაგანი იმპულსიც მიმართავს იმ ამოცანის განხორციელებისაკენ, რომელიც მისი ნებისყოფის შინაშე ღვას. შემეცნებითი ინტერესი ბავშვის ნებისყოფას კიდევ უფრო ამაგრებს და მეტ გამძლეობას აძლევს. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ბავშვს განზრახვის მიხედვით მოქმედების შესრულება უადვილდება.

ბავშვს ამოცანის ვალდებულების მიხედვით შესრულებაში სასწავლო შემეცნებით ინტერესთან ერთად წაქეზებისა და სასჯელის ღონისძიებებიც ეხმარება. ისინი ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ნებისყოფის დასაყრდენს წარმოადგენენ, ეხმარებიან ბავშვს მასში არსებული ფსიქო-ფიზიკური ძალების საქირების მიხედვით წარმართვას.

შრომაში მოცემულ შედეგებს პედაგოგიურ-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჩვენის აზრით, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფის განვითარების დადგენილი თავისებურებანი მასწავლებელ-აღმზრდელს და საერთოდ აღზრდის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს ერთგვარ დახმარებას გაუწევს საკითხის გარკვევაში: საითკენ უნდა წარიმართოს აღმზრდელობითი ზემოქმედება, რომ ნებისყოფის ფორმირებას მიზანშეწონილი მიმართულება მიეცეს და სწავლა-აღზრდის საქმეში სასურველი შედეგი იქნეს მოპოვებული.



## К ИСТОРИИ КЛАССОВОЙ БОРЬБЫ В КИЕВСКОЙ РУСИ КОНЦА XI ВЕКА

О. Г. ЖУЖУНАДЗЕ

(Представлено институтом истории АН Грузинской ССР им. И. А. Джавахишвили)

Советская историческая наука уделяет большое внимание изучению классовой борьбы. Интерес к этой проблематике обусловлен, с одной стороны, ее неизученностью буржуазной историографией, а, с другой, — значением ее для правильного понимания исторического прошлого России. Необходимость изучения истории классовой борьбы вытекает из указания классиков марксизма о том, что «история всех, до сих пор существовавших обществ была историей классовой борьбы»<sup>1</sup>.

Изучая историю классовой борьбы в древнерусском государстве, советские историки, руководствуясь марксистско-ленинской методологией, ввели в оборот ряд неиспользованных до сих пор источников и по-новому осветили существующий фактический материал.

Несмотря на интерес советских ученых к этой проблематике, некоторые вопросы, связанные с историей классовой борьбы в Киевском государстве, все еще остаются недостаточно освещенными. К их числу следует отнести вопрос об идеологии народных масс, выступавших с оружием в руках против своих угнетателей.

В предлагаемой статье мы рассмотрим некоторые вопросы идеологии восстания смердов, вспыхнувшего, согласно летописи, во время голода 1071 года в Ростовской области.

Летописное известие о восстании смердов на Волге и Шексне уже давно стало объектом исследования наших историков. Оно рассмотрено в работах Н. Н. Воронина, М. Н. Мартынова, Б. Д. Грекова, М. Н. Тихомирова, В. В. Мавродина<sup>2</sup> и др.

Исследования советских ученых вскрыли социально-экономический характер восстания, определили его классовый антифеодальный характер, а также социальный и этнический состав восставших. Наменее изученным остается вопрос об идеологии восставших смердов.

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, стр. 424.

<sup>2</sup> Н. Н. Воронин, Восстание смердов в XI в., «Исторический журнал», № 2, 1940, стр. 54—61; М. Н. Мартынов, Восстание смердов на Волге и Шексне во второй половине XI в., Учен. зап. Вологодского педагогического института, т. IV, 1948, стр. 3—36; Б. Д. Греков, Киевская Русь, М., 1953, стр. 265—266. М. Н. Тихомиров, Крестьянские и городские восстания на Руси XI—XIII вв., М., 1955, стр. 114—124; В. В. Мавродин, Народные восстания в древней Руси, М., 1964, стр. 36—52.

Большинство ученых считает, что восстание протекало под знаменем борьбы языческой идеологии с христианской религией. Некоторые, как, например, М. Н. Мартынов и М. Н. Тихомиров, обходят вопрос молчанием.

О том, что языческий элемент, видимо, действительно являлся одним из компонентов идеологии восставших, говорит, во-первых, руководящая роль волхвов в восстании, а, во-вторых, — использование восставшими языческого ритуального обряда для расправы над «лучшими людьми». Автор летописного рассказа так описывает действия волхвов: «И пойдоста по Волзе, где приидуча в погост, ту же нарекаста лучшие жены, глаголюща, яко си жито держить, а си медь, а си рыбы, а си скору. И привожаху к нима сестры своя, матере и жены своя. Она же в мечте прорезавша за плечемь, вынимаста любо жито, любо рыбу, и убивашета многы жены, а именье ихъ отъимашета себе»<sup>3</sup>. Упоминание о том, что волхвы прорезали у женщин за плечами и вынимали у них жито или рыбу, находит объяснение в обычае мордовской народности, сохранившемся вплоть до XIX века, и описанном П. И. Мельниковым (Печерским) в его «Очерках мордвы»<sup>4</sup>.

М. Н. Тихомиров считает, что «подобный обряд, вероятно, имел распространение не только среди мордвы, но и у славян», т. к. Суздальская земля XI в. была районом смешанного населения<sup>5</sup>. Аналогия описанного П. И. Мельниковым обряда, с действиями волхвов очевидна и является доказательством распространенности элементов языческих верований, среди восставших. Отголосками языческих представлений являются также сведения летописного рассказа о повешении волхвов на дубе и съедении их медведем<sup>6</sup>. То, что волхвы были повешены на дубе объясняется тем, что у язычников — русов дуб считался священным деревом, после же проникновения на Русь христианства за ним закрепилось значение «нечистого дерева». На лесном северо-востоке долгое время существовало также поклонение медведю, как сильнейшему представителю местной фауны. Медвежий культ был распространен здесь в X—XI вв., как среди славянских, так и неславянских племен<sup>7</sup>. Таким образом, волхвов, являвшихся противниками господствующей церкви, представитель класса феодалов казнит на «священном» для язычников и «нечистом» с точки зрения христианина, дереве, подчеркивая тем самым ложность языческих и истинность христианских верований. Факт повешения волхвов на «священном» для язычников дереве и съедания их «священным» животным, подчеркнутый в летописном рассказе, должен был, по мнению его составителя дискредитировать и подорвать язычество.

Несмотря на приведенные данные, свидетельствующие о влиянии язычества на идеологию восставших, говорить о языческих представлениях русского северо-востока конца XI столетия, как нам кажется, следует с большими оговорками. Подобное заключение может быть сделано на основании богословского диспута Яня Вышатича с волхва-

<sup>3</sup> Повесть временных лет, под ред. члена-корр. АН СССР В. П. Адриановой-Перетц, ч. I, М.-Л., изд. АН СССР, 1950 (в дальнейшем ПВА), стр. 117.

<sup>4</sup> П. И. Мельников (Печерский), Полн. собр. соч., т. VII, СПб, 1902, стр. 451 — 452.

<sup>5</sup> М. Н. Тихомиров, Указ. соч., стр. 121.

<sup>6</sup> ПВА, ч. I, стр. 119.

<sup>7</sup> История культуры древней Руси, т. II, стр. 62—63.

ми, читающегося в Повести временных лет под 1071 г. Ввиду важности этого летописного известия для нашей темы приведем его полностью.

Руководители восстания — «волхвы», пойманные белозерцами, были приведены на допрос в Яню Вышатичу. На вопрос Яня: «Что ради погубиста толико человекъ?» — они отвечали, что убитые располагали большими запасами продовольствия и что их истребление должно было создать изобилие для всех. Они предложили Яню проделать эксперимент у него на глазах и достать из убитого «жито, ли рыбу, ли инь что». Янь отказался быть свидетелем совершаемых ими «чудес» и обвинил «волхвов» во лжи, сказав: «сотворилъ богъ человека отъ земле, сставленъ костью и жылами отъ крове; несть в немъ ничто же и не вестъ никто же, но токмо единъ богъ вестъ». Однако «волхвы» заявили, что им известно как сотворен человек и изложили свои знания в следующих словах: «Богъ мывъся въ мовници и вспотивъся, отерся вехтемъ, и верже с небес на землю. И распреса сотона с богомъ, кому в немъ створити человека. И створи дьяволъ человека, а богъ душу во нь вложи. Тем же, аще умреть человекъ в землю итеть тело, а душа к богу». Получив это разъяснение, Янь спросил пленников какому богу они веруют, на что те отвечали, что верят в антихриста, сидящего в бездне. После чего, как бы подводя итог богословскому спору, Янь сказал: «Какой то богъ седа в бездне? То есть бесъ, а богъ есть на небеси, седей на престоле славим от ангель, иже предстоять ему со страхом, не могуше на нь зрети. Сих бо ангель свержень бысть, его же вы глаголете антихрист, за величанье его низвержен бысть с небесе, и есть в бездне яко же то вы глаголете, жда, егда придетъ богъ с небесе. Сего же антихреста свяжеть узами и посадить и емъ его со слугами его и иже к нему верують».

На этом богословский диспут закончился и смерды, подвергшиеся пыткам и издевательствам со стороны княжеского дружинника были повешены на дубе родственниками убитых ими людей<sup>8</sup>.

Приведенный летописный отрывок, в котором бог и сатана изображены в виде двух равных сил, одинаково участвовавших в создании человека и потому имеющих на него равные права, содержит ценные сведения об идеологии восставшего против феодального гнета народа.

Дуалистичность мировоззрения волхвов, вера народа в господство на земле «злого начала» — сатаны, дает возможность высказать предположение, что если даже идеологической основой восстания, как думает большинство ученых, являлось язычество, то это было язычество сильно трансформированное, впитавшее в себя элементы христианства, родственное по своим идеям еретическим учениям средневековья. Выказанное предположение основывается на методологическом указании Ф. Энгельса о том, что в условиях господства богословия во всех областях умственной деятельности «все выраженные в общей форме нападки на феодализм и прежде всего нападки на церковь, все революционные-социальные и политические — доктрины должны были по преимуществу представлять собой одновременно и богословские ереси»<sup>9</sup>.

Насколько нам известно, предположение о связи белозерского восстания с еретическими идеями высказывается в исторической науке впервые. Для обоснования этой точки зрения мы проанализируем летописное известие 1071 г., рассмотрим вопрос о степени развитости об-

<sup>8</sup> ПВЛ, ч. I, стр. 117—119.

<sup>9</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 7, стр. 361.





щественных представлений русского северо-востока и приведем ряд данных, свидетельствующих о раннем проникновении на Русь богословских ересей.

ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიის სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს გორდიონში კვიპროსული წარმოშობის ჭურჭლის, ლეკითებისა და დიდი ზომის სახელურებიანი თასების, აღმოჩენა<sup>30</sup>.

ფრიგიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიის რაიონებს შორის არსებულ ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიურ კონტაქტებზე „ბიბლიის“ ზოგიერთი მითითებაც უნდა ლაპარაკობდეს. იეზეკიელის ტვიროსის გოდებაში ვკითხულობთ: „ივანი, თობელი და მოსოხ (ფრიგია—ნ. ხ.) ვაჭრობდნენ შენ შორის სულგებსა კაცთასა და ჭურჭელნი რგალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“ (იეზეკიელი, XXXVII, 13). ფრიგიიდან ბრინჯაოს ნაწარმის ექსპორტს ამ ქვეყანაში ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე აპირობებდა.

ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულის ყორღანულ სამარხებში წარმოდგენილია ბრინჯაოს ადგილობრივი წარმოების (ფრიგიული) ნივთები: დიდი ზომის ქვაბ-კოთნები, დიდი და მცირე ზომის დოჭები (სამტუჩა, მრგვალი და გრძელ-ცხვირიანი), კოპებიანი თასები, ომფალოსიანი ფიალები, უბრალო ფიალები, ჯამები, ჩაშიები და თეფშები<sup>31</sup>. ჭურჭლის გარდა, ყორღანებში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ბრინჯაოს ფიბულები (მაგალითად, MM—ყორღანში 175 ფიბულა იქნა აღმოჩენილი, W—ყორღანის კამერის აღმოსავლეთ მხარეს კი—34)<sup>32</sup>, სარტყელები, ბალთები, ლურსმნები, კაუჭები, სათამაშო კოჭები და მცირე ზომის დეკორატიული დისკოები<sup>33</sup>. ფრიგიელები ბრინჯაოს იყენებდნენ ტყავის, ხისა და ქსოვილების გალამაზების მიზნითაც<sup>34</sup>.

<sup>26</sup> AJA, 62, N 2, 1958, გვ. 152, შენ. 27.

<sup>27</sup> AJA, 64, N 3, 1960, გვ. 231; იქვე, შენ. 11 და ტაბ. 56, ფოტო 9.

<sup>28</sup> AJA, 61, N 4, 1957, გვ. 328; იქვე, ტაბ. 94, ფოტო 32.

<sup>29</sup> იქვე; Axel von Saldern, Glass finds at Gordion, „Journal of Glass Studies“, 1, 1959, გვ. 25 შმდ.; 49 გვ.-ზე იხ. სპექტოგრაფიული ანალიზის შედეგები.

<sup>30</sup> „Archaeology“, 9, N 4, 1956, გვ. 266—267; AJA, 61, N 4, 1957, გვ. 329—330; იქვე, ტაბ. 96, ფოტო 37—38; 62, N 2, 1958, გვ. 150; იქვე, ტაბ. 30, ფოტო 14; ტაბ. 27, ფოტო 23—25; An St, VII, 1957, გვ. 18.

<sup>31</sup> AJA, 61, N 4, 1957, გვ. 328—329; 62, N 2, 1958, გვ. 150 შმდ.

<sup>32</sup> AJA, 62, N 2, 1958, გვ. 152.

<sup>33</sup> იქვე, 62, N 3, 1960, გვ. 266.

<sup>34</sup> AJA, 61, N 4, 1957, გვ. 326; ფრიგიის ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიასთან დაკავშირებით იხ. Ann Konrad Knudsen, Bronze Vessels from Gordion and Evidence for Phrygian Metal-Working Techniques, AJA, 64, N 2, 1960, გვ. 187; მისივე, Relations between the Pottery and Metal Vessel Industries at Gordion in Eighth century B. C., AJA, 65, N 2, 1961, გვ. 191.





ჩვენთვის საინტერესო ხანაშივე საეპარაუდებელია მონებით ვაჭრობაც<sup>35</sup>. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „ბიბლიის“ შემომოტანილი ცნობა, რომლის თანახმად, ივანე, თობელი და მოსოხი „სულგბსა კაცთასა“ ვაჭრობდნენ.

ძვ. წ. VIII ს-ის ფრიგიის საეპარო ურთიერთობის ისტორიის შესწავლისას ცალკე ისმის საკითხი ფრიგიაში ხე-ტყისა და ლითონების იმპორტის შესახებ.

ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ ყორღანული სამარხების ინვენტარში დიდი როლდენობითაა წარმოდგენილი ხის სარეცლები, მცირე და დიდი ზომის სკამები, სამეფო სავარძლები, სამეფა და ოთხფეხა მაგიდები, შირმები, სკივრები (მაგალითად, MM—ყორღანში, კამერის აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩენილია 9 სამეფა დეკორატიული მაგიდა, და 2 შირმა; ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში—3 დაბალი მაგიდის ფრაგმენტები; ჩრდილოეთ კედელთან, სარეცელის თავთან—ერთი უბრალო მაგიდა, კამერის ცენტრალურ ნაწილში—5, სამხრეთ კედელთან, სამხრეთაღმოსავლეთ კუთხეში—2)<sup>36</sup>.

ფრიგიულ ავეჯს სახეიმა ხასიათი აქვს. მისი შემქმნელნი ხის დამუშავებისა და გალამაზების ურთულეს ხერხებს იყენებდნენ (ინკრუსტაცია, გრავირება, ჩუქურთმა, მოზაიკა). ძვ. წ. VIII ს-ის ავეჯისათვის დამახასიათებელია გეომეტრიული ორნამენტი.

ყორღანის ყორღანულ სამარხებში ხის ჭურჭელსა (ლანგრები, ბრინჯაოს სახელურიანი ჯამები, კოვზები) და ცხოველების მცირე ზომის ფიგურებსაც ვხვდებით<sup>37</sup>. ფრიგიელები ხის მასალით აგებდნენ ყორღანული სამარხების კამერებს; ხეს იყენებდნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაშიც<sup>38</sup>. ქიმიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ავეჯისა და ხის სხვა ნაწარმისათვის ხმარობდნენ შავი ფიჭვის, ნეკერჩხლის, წიფლის, კედარის, ბზის, მსხლის, ურთხელისა და ალვის ხის მერქანს<sup>39</sup>. მაგრამ, როგორც ცნობილია ფრიგია ღარები იყო ტყით. მდინარეების (სანგარიოსისა და მენდროსის) ნაყოფიერი ველების გარდა, რომელნიც კლიმატური პირობების გამო ხელს უწყობდნენ ამ რაიონებში მევნახეობის განვითარებას<sup>40</sup>, ფრიგიის დანარჩენი ტერიტორია უფრო შესაქონლეობისათვის იყო გამოსადეგი<sup>41</sup>. შემთხვევითი როდია, რომ ძვ. წ. V ს-ის ავტორი ჰეროდოტე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფრიგიელები მდიდარნი არიან საქონლითა და „მიწის ნაყოფით“ (ფრიგიელები—*πασιπαρο-*

<sup>35</sup> შდრ. Древняя Греция, М., 1956, გვ. 243.

<sup>36</sup> AJA, 62, № 2, 1958, გვ. 150; იქვე. ტაბ. 24, სურ. 14, ტაბ. 27, ფოტო 23—35.

<sup>37</sup> P—ყორღანში ნაპოვნია რამდენიმე საინტერესო მინიატურა: ერთ-ერთი მათგანი ღომისა და ხარის შებრძოლების სცენას ჯდმისცემს, მეორე—ღომის ფიგურა (მისი სიმაღლე 7 სმ-ია), ხოლო მესამე—ულლიანი კამეჩი. AJA, 61, № 4, 1957, ტაბ. 91, ფოტო 18—21; Ellen L. Kohler, Phrygian Miniature Animal-Carving (მოთქენების ანოტიცია); იხ. AJA, 64; № 2, 1960, გვ. 187.

<sup>38</sup> AJA, 64, № 3, 1960, გვ. 327—40.

<sup>39</sup> AJA, 61, № 4, 1957, გვ. 326; An St, 7, 1957, გვ. 18.

<sup>40</sup> შემთხვევითი როდია, რომ „ილიადას“ ავტორი ფრიგიის მოხსენიებისას საგანგებოდ მუთითებს: *Φρυγίην... ἀμπελόεσσαν...* იხ. Homer, Iliad, III, 184.

<sup>41</sup> H. Kiepert, Lehrbuch der alten Geographie, Berlin, 1878, გვ. 86, 102 შმდ.

βαττατοι και παλακαρτατοι<sup>42</sup>). I ს-ის მწერალი ვიტრუვიუსი კი სავანგებოდ აღნიშნავს, რომ ფრიგიელები უტყუო ქვეყანაში ცხოვრობენო. სხვადასხვა ხის პერქანის გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ ფრიგიელებს ხის მასალა აღმოსავლეთ მცირე აზიის სხვადასხვა რაიონებიდან შემოჰქონდათ. ტყით მდიდარი იყო პონტოს მთების მიდამოები (ფიქვი, კედარი, მუხა, ბუა), ასევე აღმოსავლეთ მცირე აზიის სამხრეთით მდებარე რაიონებიც.

საფიქრებელია, რომ ფრიგიის ბუნებრივ სიმდიდრეთა ნაკლებობა ამ ქვეყნის მკვიდრთ აიძულებდა ლითონებიც შემოეტანათ მეზობელი რაიონებიდან.

სპეციალურ სამეცნიერო ლატერატურაში<sup>43</sup> მრავალგზის მიუთითებენ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეზე. ძველადმოსავლური (ასურული, ურარტული) და ანტიკური წყაროების მონაცემებით, აღმოსავლეთ მცირე აზიისა და ჩრდილოეთ სირიის რაიონები მდიდარი იყო ოქროთი, ვერცხლით, სპილენძით, ტყვიით, კალითა და რკინით<sup>44</sup>.

ჩრდილოეთ სირიისა და კილიკიის ცალკეული ცენტრები სატრანზიტო ვაჭრობის მონოპოლით სარგებლობდნენ<sup>45</sup>. შემთხვევითი როდია, რომ კილიკია, რომელსაც არ გააჩნდა ლითონის (*resp.*, რკინის) საკუთარი საბადოები, ბაბილონეთის ახალი სამეფოს ხანის დოკუმენტებში მოხსენებულია ასურეთში რკინის შეტანასთან დაკავშირებით<sup>46</sup>. საგულისხმოა, რომ ძვ. წ. XIII ს-ის ხეთურ წერილობით წყაროში (ხათუსილი III-ის წერილი სალმანასარ I-სადმი) საუბარია parzillu damqu-ს („ქარგი რკინის“) საწყობის შესახებ, რომელიც ხეთების მიერ საკუთრება და ქიციათნაში (კილიკიაში) მდებარეობს<sup>47</sup>.

კილიკიისა და ფრიგიის ახლო გეოგრაფიულ მდებარეობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ფრიგიის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის.

ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულის ფრიგიის სავაჭრო ურთიერთობათა ზოგადი სურათის ასახვისას ისმის საკითხი აღნიშნულ პერიოდში დასავლეთ მცირე აზიასთან და საბერძნეთთან ფრიგიის ურთიერთობის შესახებაც.

ძვ. წ. VIII-ის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ არქეოლოგიურ მასალებში (გორდიონის სამოსახლო ბორცვიდან და ყორღანული სამარხებიდან) სრულიად არ გვხვდება ბერძნული ან დასავლეთ მცირეაზიური წარმოშობის ნივთები. ფრიგიისა და ბერძნული სამყაროს ყველაზე ადრეული ურთიერთ-

<sup>42</sup> Herodotus, V, 49.

<sup>43</sup> W. F. Albright, Ninib—Ninurta, JACS, 38, № 3, 1918, გვ. 199. შმდ.; მისივე Cilicia..., გვ. 24; V. G. Childs, The Most Ancient East, L., 1934, გვ. 114 შმდ.; R. S. Forbes, Metallurgy, in Antiquity, Leiden, 1950, გვ. 382—83; A. Goetze, Kizzuwatna..., გვ. 27 შმდ.; С. М. Бацнева, დასახ. ნაშრ., გვ. 17—36.

<sup>44</sup> Н. Б. Янковская, Некоторые вопросы экономики ассирийской державы, ВДИ, 1956, № I, გვ. 28—49.

<sup>45</sup> С. М. Бацнева, დასახ. ნაშრ., გვ. 21 შმდ.

<sup>46</sup> W. F. Albright, Cilicia..., გვ. 24.

<sup>47</sup> KBo, I, 14, სტრ. 20 შმდ.; A. Goetze, Kizzuwatna..., გვ. 2; შდრ. W. F. Albright, Cilicia..., გვ. 22, შენ. 1. იხ. აგრეთვე J. Garstang, O. R. Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 50 შმდ.

ბის ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებით დათარიღებული ჩიტის ფორმის თასი წარმოადგენს<sup>48</sup>.

ამავე დროს, 1957 წელს გორდიონში, ძვ. წ. VIII-ის დასასრულის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ყორღანში (ყორღანი—MM), ბერძნული ანბანით<sup>49</sup> შესრულებული სამი ძველფრიგიული წარწერა იქნა აღმოჩენილი (ერთ-ერთი წარწერა—გრაფიტი)<sup>50</sup>, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფრიგიისა და ძველ ბერძნულ სამყაროს შორის კულტურული ურთიერთკავშირის არსებობა უკვე ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარშია სავარაუდებელი.

ფრიგიაში ბერძნული ანბანის შემოტანა-გავრცელების პროცესის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ახალაღმოჩენილი ძველფრიგიული წარწერები მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება, იმ დროს, როდესაც ძველფრიგიულ ენაზე შედგენილი ადრე ცნობილი რიგი წარწერებისა (მათ შორის ტიანისის წარწერაც) ბუსტროფედონებს<sup>51</sup> წარმოადგენდა და მანასა-დამე, ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ გორდიონში მოპოვებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს. ფრიგიაში ბერძნული ანბანის გავრცელების ადრეულ თარიღზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე, მიდასის ქალაქში (თანამედროვე იასილიკაია), კლდეში ნაკვეთ ერთ-ერთი სამარხის კარზე, ერთი მეორის გვერდით ძველფრიგიული და ხეთურ (ლუვიურ)-იეროგლიფური წარწერების აღმოჩენა<sup>52</sup>. საგულისხმოა, რომ ხეთურ-იეროგლიფურ წარწერაში ქალაქ ქარხემიშის სახელი იკითხება. ხეთურ (ლუვიურ)-იეროგლიფური წყაროების თანახმად კი, ქარხემიშის მეფემ არარასმა (780—730?) თავისი ვაგელენის სფეროში მოაქცია მუსქე-ბის (mesa, ფრიგიის), მიზიისა და ლიდიის ქვეყნები<sup>53</sup>.

<sup>48</sup> AJA, 60, N 3, 1956, გვ. 263; 1957, 61, N 4, გვ. 328, შენ. 18; იქვე, გვ. 331; შდრ. E. Akurgal, Phrygische Kunst, Ankara, 1955, გვ. 36 შმდ., გვ. 117 შმდ.; AJA, 61, N 4, 1957, გვ. 329—331; AnSt. VII, 1957, გვ. 18.

<sup>49</sup> ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძნული ანბანის ფინიკიიდან წარმომავლობა ერთმანდალ არის აღიარებული. სიოთულეს წარმოადგენს მხოლოდ ამ პროცესის დათარიღება. მეცნიერთა ერთ ჯგუფს საბერძნეთში ფინიკიური ანბანის შენობა ძვ. წ. XIV ს-ში გადააქვს; მეცნიერთა მეორე ჯგუფს—ძვ. წ. XII ს-ის შემდგომ პერიოდში (ძ. წ. Dark Age)-ხლოდ მესამეს—ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში. იხ. Rhys Carpenter, The Antiquity of the Greek Alphabet, AJA, 38, № 1, 1933, გვ. 8—29; R. L. Ullman, How Old is the Greek Alphabet?, AJA, 38, N 3, 1934, გვ. 359—381; Rhys Carpenter, The Greek Alphabet Again, AJA, 42, N 1, 1938, გვ. 58—69; W. F. Albright, New Light on the Early History of Phoenician Colonization, BASOR, N 83, 1941, გვ. 14—22; D. Diringer, The Alphabet, A Key to the History of Mankind, L., New-York, 1949, გვ. 449 შმდ.; I. J. Gelb, A Study of Writing, 1952, გვ. 176—183; A. G. Woodhead, The Study of Greek Inscriptions, Cambridge, 1959, გვ. 12 შმდ. ბერძნული უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები (ძვ. წ. VIII ს.) ნაპოვნია ათენში, გეომეტრიულ კურკულზე ჰიმეტოსიდან და კორინთოში (იხ. A. N. Stillwell, Eight century B. C. Inscriptions from Corinth, AJA, 38, N 4, 1933, გვ. 605—610; C. W. Blegen, Inscriptions on Geometric Pottery from Hymettos, AJA, 38, N 1, 1934, გვ. 10—28; შდრ. Rhys Carpenter, The Greek Alphabet Again, გვ. 58—69). უფრო ადრეულ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ ბერძნული არქაული წარწერები კუნძულ ფროსიდან (კიკლადების სამხრეთი რაიონი).

<sup>50</sup> AJA, 52, N 2, 1958, გვ. 153; იქვე, ტაბ. 25, ფოტო 21.

<sup>51</sup> W. M. Ramsay, On the Early Historical Relations between Phrygia and Cappadocia, JRAS, XV, 1883, გვ. 120—135; A. H. Sayce, The New Neo-Phrygian-Inscriptions, JHSt, 46, 1926, გვ. 31—35.

<sup>52</sup> A. H. Sayce, The New Neo-Phrygian Inscriptions, გვ. 35.

<sup>53</sup> R. D. Barnett, Karatepe, The Key to the Hittite Hieroglyphs, AnSt. III, 1953, გვ. 91.



ზემოაღნიშნული გეოგრაფიკული ფაქტორების, რომ ზეფურ-იეროგლიფურ ენაზე შედგენილ წყაროში არეკლილი ისტორიული ვითარება და ცენტრალური ფრიგიის ტერიტორიაზე (მიდასის ქალაქში), ქარხენის სახელის შემცველი წარწერის არსებობა ურთიერთკავშირში უნდა იყოს. თუ ჩვენი ვარაუდი მართებულია და მიდასის ქალაქში აღმოჩენილი წარწერა არზრასის მეფობის ხანას ეკუთვნის, მაშინ ზეფურ-იეროგლიფური წარწერის გვერდით ამოკვეთილი ძველფრიგიული წარწერა ასევე ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი.

ამგვარად, არქეოლოგიური მასალების მონაცემებით, დასავლეთ მცირე აზიას, საბერძნეთსა და ფრიგიას შორის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის დამყარება ძვ. წ. VII ს-ს შუა ხანებშია სავარაუდებელი. ამავე დროს, ახალი ეპიგრაფიკული აღმოჩენის შექმნე, ფრიგიელები უკვე ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში (ან უკანასკნელ მეოთხედში მაინც) დართოდ იყენებდნენ ბერძნულ დამწერლობას ფრიგიულ ენაზე წარწერების შესადგენად. ამ წინააღმდეგობის ასაცილებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს ფრიგიაში ბერძნული ანბანის შეტანის გზის დადგენას.

სპეციალისტების ერთი ჯგუფის აზრით, ფრიგიაში ბერძნული ანბანი ბერძენი კოლონისტებით დასახლებული დასავლეთ მცირე აზიის რაიონებიდან ძვ. წ. VII ს-ში გავრცელდა<sup>54</sup>.

მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ფრიგიული უძველესი წარწერები ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედით თარიღდება. ამავე დროს, დასავლეთ მცირე აზიიდან დღემდე ცნობილ უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებს ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებს აკუთვნებენ. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფრიგიელები უფრო ადრე გაეცნენ ბერძნულ დამწერლობას, ვიდრე დასავლეთ მცირე აზიაში დასახლებული ბერძენი კოლონისტები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საგულისხმოა ისიც, რომ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიაში მცხოვრები ინდოევროპული ტომებიდან (მიზიელები, ლიდელები) ფრიგიელებმა ყველაზე ადრე შეითვისეს ბერძნული ანბანი<sup>55</sup> (საკუთარ ენაზე წარწერების შესადგენად). გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღემდე ცნობილი ძველფრიგიული წარწერების გავრცელების არე ტერიტორიულად ემთხვევა აღმოსავლეთ მცირე აზიის იმ რაიონებს, რომელთანაც ფრიგია იყო დაკავშირებული ასე, ყველაზე ადრეული ფრიგიული წარწერები ნაპოვნია: გორდიონში, მიდასის ქალაქში (თანამედროვე იასილიკაია), დოხან-ლუში (მიდასის ქალაქის ჩრდილოეთით), ეუიუქში (მდ. პალისის რკალის აღმოსავლეთით), დასასრულ, ტიანისში (თანამედროვე კიზილი-პისარი — ანტიკური კილიკიის რაიონი)<sup>56</sup>.

<sup>54</sup> E. S. Roberts, An Introduction to Greek Epigraphy, Cambridge, 1887, I, გვ. 312—315; J. Friedrich, Kleinasiatische Sprachdenkmäler, გვ. 123; D. C. Swanson, A Select bibliography of the Anatolian Language, The New-York Public—Library, 1948, გვ. 17; D. Düringer, დასახ. ნაშრ., გვ. 464; Ч. Лоукотка, Развитие письма, М., 1950, გვ. 149; В. Георгиев, Тракийский язык, София, 1957, გვ. 74; შდრ., W. M. Ramsay, On the Early Historical Relations..., გვ. 124.

<sup>55</sup> D. C. Swanson, დასახ. ნაშრომი.

<sup>56</sup> J. Friedrich, Kleinasiatische Sprachdenkmäler, გვ. 125—126.



ფრიგიაში ბერძნული ანბანის შეტანის გზის დადგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულის ფრიგიის საგარეო ურთიერთობათა საერთო ტენდენციის გათვალისწინებას. როგორც ზემოთ დავინახეთ, ძველ-აღმოსავლური წყაროების მონაცემებით (ხოლო ისინი თავის თანადროულ ამბებს გადმოგვცემენ) და ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, აღნიშნული ხანის ფრიგიის ისტორია აღმოსავლეთ მცირე აზიის ქვეყნების (კილიკიის, ჩრდილოეთ სირიის, ასურეთის, ურარტუს) ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. საფიქრებელია, რომ ფრიგიაში ბერძნული ანბანის შედარებით ადრეულ ხანაში შემოტანა უშუალო შედეგი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიასა) *resp.*, კუე-კილიკია) და ფრიგიას შორის არსებული ურთიერთობისა როგორც ცნობილია, კილიკიასა და ეგეოსის კუნძულებს შორის (რომელთაც საბერძნეთის მატერიკზე უფრო ადრე გადაიღეს ფინიკიური ანბანი) ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულს მჭიდრო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობანი არსებობდა<sup>57</sup>. სარგონ II-ის (722—705) დროინდელ ასურულ წყაროებში. მრავალგზის მოიხსენიება კუნძული იათნანა (თანამედროვე კვიპროსი) და იამანიელები (იონიელები)<sup>58</sup>.

ასურეთსა და ეგეოსის კუნძულებს შორის ურთიერთობა კუეს შუამავლობით უნდა განხილვიყვებულყვ. ალბათ, ამით იახსნება ასურეთის გააფთრებული ბრძოლა კუეში აირველობისათვის; რის შესახებ ასურული წყაროები არაერთ საინტერესო მითითებას გვაძლევენ<sup>59</sup>. საფიქრებელია, რომ კუე ასეთივე შუამავლის როლს თამაშობდა ფრიგიასა და ეგეოსის სამყაროს შორისაც.

ფრიგიაში ბერძნული ანბანის კუედან (კილიკიიდან) შემოტანის სასარგებლოდ ლაპარაკობს ზოგიერთი ფრიგიული ანბანური ნიშნის გრაფიკული გამოსახვის გენეზისიც. როგორც 1957 წელს აღმოჩენილ ფრიგიულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ასევე, უფრო ადრე ცნობილ ფრიგიულ წარწერებში, იხმარება ორი ანბანური ნიშანი († და ხუთქიმიანი sigma), რომლებიც სრულიად არ გვხვდება საბერძნეთსა და დასავლეთ მცირე აზიაში გაერცვლებულ დამწერლობაში<sup>60</sup>.

საეციალისტების ვარაუდით, ზემოაღნიშნული ნიშნები და ზოგიერთი სხვა ანბანური ნიშნის პროტოტიპები ეგეოსის კუნძულების დამწერლობაშია საიციბელი. ასე, † -ნიშანს ზოგიერთი მკვლევარი აიგივებს კვიპროსული დამწერლობის ანალოგიურ ნიშანთან, რომელსაც „t“ მნიშვნელობა აქვს<sup>61</sup>. რაც შეეხება ფრიგიულ sigma-ს, მასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ოთხქიმიანი sigma საბერძნეთის მატერიკზე ჩნდება სამქიმიანზე უფრო გვიან, კუნძულ ნაქსოსზე კი ოთხქიმიანი sigma ანბანის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპს შეეფერება, ვიდრე სამქიმიანი<sup>62</sup>. შემთხვევი-

<sup>57</sup> J. Garstang, Notes on a journey..., გვ. 11; H. Oimstead, დასახ. ნაშრ. გვ. 221 ზმდ; F. Bilabel, Geschichte Vorderasiens und Agyptens, Bd. I. Heidelberg 1927, გვ. 402. ზმდ.

<sup>58</sup> H. Winckler, Pr., 98—100; Die Annalen, 84; Pp. 136—163; ARAB, II, NN 54, 80, 82, 95—103.

<sup>59</sup> ARAB, II, 8, 27, 42, 43 და სხვ.

<sup>60</sup> AJA, 62, N 2, 1958, გვ. 153.

<sup>61</sup> J. Garstang, Notes on a journey..., გვ. 10—11; J. Myres, Midas..., გვ. 13.

<sup>62</sup> W. M. Ramsay, On the Early..., გვ. 122.



თი არ უნდა იყოს, რომ გრაფიკულად ზოგიერთ ფრიგიულ ანბანურ ნიშანს პარალელი მოეპოვება დღემდე ცნობილ ყველაზე უფრო უძველესს, კლდეზე ამოკვეთილ წარწერებში, რომლებიც კუნძულ ფეროსზეა აღმოჩენილი<sup>63</sup>. აქვე მივუთითებთ იმ საინტერესო ფაქტზეც, რომ არქაული ასო — 'I', რომელიც ხშირად იხმარება ძველფრიგიულ წარწერებში, სრულიად არ ჩანს დასავლეთ მცირე აზიიდან ცნობილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში<sup>64</sup>.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფრიგიაში ბერძნული ანბანი შემოტანილ იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიიდან (კუე-კილიკიიდან) ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში. აღნიშნულ ხანაში ფრიგიას მჭიდრო სავაჭრო და კულტურული კავშირები უნდა ჰქონოდა ეგეოსის კუნძულებთან.

ჩვენს მიერ მიღებული დასკვნის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს გორდიონის არქეოლოგიური გათხრების მასალებიც, რომელთა თანახმად, საბერძნეთს, დასავლეთ მცირე აზიასა და ფრიგიას 'შორის კულტურული და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობათა დამყარება ივარაუდება ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებში.

დასავლეთ მცირე აზიასა და ფრიგიას შორის აღრეულ საგარეო ურთიერთობათა დათარიღებისათვის საგულისხმოა ისიც, რომ დასავლეთ მცირე აზიაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დღემდე ვერ გამოავლინა ძვ. წ. VIII ს-ს ბოლო მეოთხედის ფრიგიული მატერიალური კულტურის ძეგლები.

## ИЗ ИСТОРИИ ТОРГОВО-КУЛЬТУРНЫХ СВЯЗЕЙ ФРИГИИ

(Конец VIII в. до н. э.)

Н. В. ХАЗАРАДЗЕ

Резюме

Последняя четверть VIII в. до н. э. — период расцвета внешнеполитических экономических и культурных связей Древнефригийского царства (māt māt KUR KUR

— ассирийских урартских и хеттско-неоглифических надписей). mušku, musku, muška, muski

Появление фригийцев на политической арене совпадает со временем ожесточенной борьбы Ассирии и Урарту за гегемонию над районами Северной Сирии и Восточной Малой Азии (Первое упоминание страны мушков в связи с событиями, происходившими в Восточной Малой Азии, датируется 717 г. до н. э.).

Исходя из данных древневосточных письменных источников и материалов новых археологических раскопок древней столицы фригийцев — Гордиона, автор настоящей статьи приходит к выводу, что Фригия изучаемого периода имела оживленные торгово-экономические связи с Восточной Малой Азией, Междуречьем и Эгейским миром (с Киликией, Северной Сирией, Урарту, Ассирией, о. Кипр).

<sup>63</sup> I. Taylor, The History of Alphabet, L, 1899, II, გვ. 109.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 109.

Для характеристики внешних связей Фригии немаловажное значение имеет то обстоятельство, что в археологическом материале, датированном специалистами (Р. Ианг, М. Меллинк и др.) концом VIII в. до н. э., отсутствуют предметы греческого происхождения.

В статье рассмотрен вопрос о возможных путях проникновения во Фригию греческой письменности. На основе новых эпиграфических открытий выясняется, что уже в последней четверти VIII в. до н. э. фригийцы пользовались греческим письмом для составления надписей на фригийском языке, применяя при этом ряд алфавитных знаков (знак  $\uparrow$ , фригийскую пятиконечную сигму и др.), характерных только для фригийской письменной системы и совершенно отсутствующих в письменности материковой Греции, или Западной Малой Азии.

Учет общей тенденции развития внешнеполитических и культурно-экономических взаимоотношений Фригии конца VIII в. до н. э., а также ряда косвенных данных, дает основание предположить, что греческое письмо проникло во Фригию не из Западной Малой Азии, заселенной задолго до VIII в. до н. э. греческими колонистами (см. Е. Робертс, И. Фридрих, Д. Свансон, Д. Дирингер, В. Георгиев и др.), а с островов Эгейского моря через Киликию уже во второй половине VIII в. до н. э.

## ნ. ბარათაშვილის სკვლა\*

ქ. ქავთალია

ნ. ბარათაშვილის რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფენიგმა სევდა, ჭმუნვა, კაეშანი, მწუხარება. „როდესაც მის ლექსებს კითხულობთ“, ამბობდა ერთი კრიტიკოსი, „სევდა, მწუხარება, სულის თბობა, კენესი გულისა, მარტობა, განუშორებელი კაეშანი, დაკოდილი მოკლეული გულა, უდაბნო, წყვდიადი, ამოება,—აი რა გესმით, როდესაც თქვენ ჩაუკვირდებით ნ. ბარათაშვილის პოეზიას, თქვენი თვალის წინ იშლება საშინელი სულიერი ტანჯვა მიუსაფარის მწირისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ თბოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში. სადაც უნდა იყოს პოეტი, რასაც უნდა აკეთებდეს: ვარდს შეჰხარის ის, ცას, საღამოს, ბუნებას, ჩანგურს უსმენს თუ სიყვარულს ითვალისწინებს, ყოველგან ფიქრი ამოებისა თან სდევს მას, შავი ყორანივით, და მისი ვარდი გაფურჩქნისთანავე ჭკნება, მისი მზიარულება განსახვისთანავე სევდით იცვლება, მისი ღიმილი ტუჩებზევე ხმება“.

ეს დაკვირება უდავოდ მართებულია, მაგრამ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში საყურადღებოა ეს სევდა არა თავისთავად და დამოუკიდებლად, საქმე ისაა, რომ ამგვარი ხასიათის სევდა უცხო არაა საშუალსაუკუნეთა ჩვენი ლიტერატურისათვისაც, რომელსაც ჩვენი პოეტი კარგად იცნობდა. მართლაც, თუ ჩვენ ავიღებთ უძველესი ხანის საეკლესიო სტილის მწერლობას, დავინახავთ, რომ იობის წიგნისა და ეკლესიასტის კაეშანი ლეიბმოტივია მისი. თუ კლასიკური ხანის შედევრს, ვეფხისტყაოსანს, გავითვალისწინებთ, იმაშიც არაერთხელ გავიგონებთ მწვავე სევდით შეღებულ პანგებს. აღარას ვამბობთ ე. წ. აღორძინების ხანის პოეზიაზე: მთელი ეს პოეზია, შეიძლება ითქვას, არის გლოვა, ტირილი, მოთქმა, სევდა. ერთი სიტყვით, ნ. ბარათაშვილის პოეზიაში მთავარია არა კონსტატირება მისი სევდიანი ხასიათისა, არამედ საკითხი: რა იწვევს და რა ასაზრდოებს ამ სევდას, როგორია მისი წყარო? ამ საკითხის გარკვევა დაგვეზარება უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თავისებურება და ორიგინალობა ნ. ბარათაშვილისა, როგორც პოეტისა და მოაზროვნისა. ამისათვის კი საჭიროა თვალის მიმოვალთ ჩვენს კულტურულ-ლიტერატურულ წარსულს და ვაჩვენოთ—რით განსხვავდება ბარათაშვილი ამ ხაზით წინააღრის ქართველ მწერალთა და მოაზროვნეთაგან.

\* მოხსენებულია მწერალთა პლენუმზე 1945 წ. 20 ოქტომბერს.

1 ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები, გამოცემა „ცოდნა“-ს მაღაზიისა, თბილისი, 1910, გვ. 24.



როგორც ცნობილია, სევდა გრძნობათა სფეროს განეკუთვნება, გრძნობა კი უსაგნო არ შეიძლება იყოს, ის უთუოდ დაკავშირებულია ამა თუ იმ საგანთან თუ მოვლენასთან. ჩვენში ფიქრობდნენ, რომ ბარათაშვილს სევდა აიხსნება მისი პირადი ცხოვრების უკუღმართობით და დაუკმაყოფილებლობით. ეკვი არაა, პირადი ცხოვრების პერიპეტებს შეეძლო კვალი დაეტოვებია მის სულიერ განწყობილებაში, მაგრამ პირადი ცხოვრების მოვლენებით არ შეიძლება მისი პოეზიის მთავარი მოტივების ახსნა. განა მისი „ნაპოლეონი“ არ ამბობს— „მე გვამში სული ვერღა მომთავსებიაო“, მიუხედავად იმისა, რომ მას „სურვა აუხდა“ და მან დიდების მწვერვალს მიაღწია? არა, ბარათაშვილი პიროვნულზე მალდა დგას.

სხვები კიდევ ფიქრობდნენ, რომ ნ. ბარათაშვილის სევდა გამოწვეულია მამულისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულით და ამ მამულის, სამშობლო ქვეყნის საგალალო მდგომარეობით: საქართველომ დაკარგა თავისუფლება და ამის შედეგად ის სულიერად დაქვეითდა. უდავოა, ნ. ბარათაშვილი დიდი პატრიოტი იყო და მას მწვავედ აწუხებდა სამშობლოს ტრაგედია (მოვიგონოთ მისი პოემა „ბედი ქართლისა“), მაგრამ არც ამით აიხსნება მთლიანად მისი სევდა. სამშობლოს ბედი და მდგომარეობა მხოლოდ აძლიერებდა ამ სევდას. ნუ დაგვაფიქვდება, რომ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მან „შეიფერა მისმიერ ეგრედწოდებული ახალი ქართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თითქმის შეურიგდა კიდევაც,—მან პირველმა შეიგნო ისტორიული აუცილებლობა 1801 წლიდან შექმნილი მდგომარეობისა. თან შეიძლება განა ლაპარაკი სულიერ დაქვეითებაზე იქ, სადაც არიან სოლომონ მსაჯულისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მსგავსი ადამიანები? განა თვით ნ. ბარათაშვილი არ სწერს გრიგოლ ორბელიანს, რომ „ქართველთ არ სძინავთ გონებითო“?

მეორე მხრით უნდა გვახსოვდეს შემდეგი. იმ იდეალს, რომელთანაც დაკავშირებული იყო პოეტის აზრები და სევდიანი გრძნობები, ის იმდენად მალდა აყენებს, რომ პირდაპირ ამბობს:

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;  
ნუღარ ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილ-  
მოუბარსა...  
ხუ დავიმარხო ჩემსა მამულში. ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლინი მწუხარის.

ნ. ბარათაშვილის „სამშობლო“ უფრო ფართეა, ვიდრე საქართველო, მისი „მამულია“ მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო, ან მისი და წინადროის პოეტთა ტერმინი რომ ვიხმაროთ „წუთისოფელი“, ესე იგი—ჩვენი გარემომცველი ყოფა ან ყოფიერება (сущность). მისი აზრები, განცდები და გრძნობები ამ „წუთისოფლისა“ და მისი პრობლემის გარშემო ტრიალებს. ეს პრობლემა მის შემოქმედებაში არაა განყენებული. მეტაფიზიკური პრობლემა, ის ცხოველი, ცხოვრების ყველა მხარესთან დაკავშირებული საკითხია.

„წუთისოფლის“ პრობლემა არაა უცხო ჩვენთვის, ჩვენი კულტურული წარსულისათვის, პირიქით—ის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ჩვენი ძველი მწერლობისა, როგორც სასულიეროსი, ისე საეროსი. ამ პრობლემის ხაზით ნ. ბარათაშვილი პირდაპირი მემკვიდრეა თავისი წინაპრებისა. მხოლოდ საძიებელია და საინტერესო, რა მხრით და როგორ აინტერესებდა ეს პრობლემა ნ. ბა-

რათაშვილსა და მის წინაბრძვს. პასუხი ამ საკითხზე მოგვეცემს ჩვენ გასაღებს ბარათაშვილის სევდის გასაგებად.

უძველეს ჩვენს საეკლესიო-სასულიერო მწერლობაში, როგორც სხვა ერებისაშიც, წითელი ზოლივით გატარებულია იდეა „წუთისოფლის“ მიუღებლობისა; სოლომონ ბრძენის სიტყვები: „ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოება“—მთავარი მოტივია ამ მწერლობისა. რად არის მიუღებელი საწუთრო? იმიტომ რომ თავისი დღევანდელი სახით ის არ არის ნორმალური მოვლენა, ის შედეგია შეცოდებისა და დამამორებელი ადამიანისა ღვთისაგან. „სოფელი ბორცისა ზედა დგას“ (I იოან. V, 20); იგი „დაწყვეულ არს საქმეთა შინა კაცისა“, რომელიც „მწუხარებითა, სულთქუმიითა და ოფლითა პირისა მისისაჲთა“ ჰამს პურს, „ვიღრე მიქცევამდღე მისა მიწად“, ვინაიდან იგი „ეკალსა და კუროს—თავსა აღმოუცენებს მას“ (შესაქ. III, 17—18). ის არის „ღელე ტირილისა და ცრემლისა“, ნამდვილი „საპყრობილე“, რომლიდან განთავისუფლება უნდა იყოს იდეალი ადამიანის მისწრაფებისა. ამიტომაც, რომ რწმენით აღსავსე ადამიანი მიმართავს ხოლმე ღმერთს: „გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი“ (ფს. 141, 7) და თუ ამ „საპყრობილეში“ მას ბედმა დიდხანს არგუნა ყოფნა, ის მწუხარებით წამოიძახებს: „ვამე, რამეთუ განმიგრძელდა მე მწირობა“ ქვეყანასა ამასო (ფს. 119, 5). ასეთია შეხედულება „წუთისოფელზე“, რომელიც საფუძვლად უდევს საეკლესიო—საქრისტიანო მწერლობას. ასეთმა შეხედულებამ, შიიყვანა შუშანიც დედოფალი ამ ქვეყნად ტანჯვის აუცილებლობის აღიარებამდღე. მან მერვე საუკუნეში იოანე საბანისძე, მეცამეტეში აბუსერიძე ტბელი და საბა წყაროსთაველი, ხოლო მეოთხმეტეში „ქამთაღმწერელი“, იმდროინდელ უბედურებათა გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას არაბთა და მონღოლთა ექსპანსიის გამო, მიიყვანა მწვევე ესქატოლოგიურ განცდამდღე და ამქვეყნიურ ამბებში ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნების დანახვამდღე. გასაგებია, რომ ასეთი შეხედულება „წუთისოფელზე“, ამგვარი სულიერი განწყობილება მელანქოლიურ-პესიმისტურ კოლორიტს აძლევდა სასულიერო სტილის მწერლობას და სევდის ჰანგებს იწვევდა იმაში. ამ სევდას, როგორც ვხედავთ, საფუძვლად უდევს „წუთისოფლის“ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შეფასება: ის მიუღებელია ადამიანისთვის, რადგანაც, როგორც ბოროტის სამფლობელო, სამოთხის ფუფუნებას, რომლისთვისაც შექმნილი იყო კაცი, ამორებს მას, ერთი სიტყვით—ნასაზრდოებია ადამიანის პირადი ბედნიერებისა თუ უბედობის ინტერესებით.

პირადი ბედნიერებისა თუ უბედურების თვალსაზრისით შეფასებას „წუთისოფლისას“ და ამასთან დაკავშირებით სევდისა და ჰუმუნის მოტივების გამოვლინებას ადგილი აქვს არა მარტო სასულიერო მწერლობაში, არამედ ძველს საერო-მხატვრულ ლიტერატურაშიც. ის არაა უცხო, წარმოდგინეთ, ყველაზე უფრო მზიერი, ხალისიანი და სიცოცხლის მოტრფიალ რუსთველისათვისაც კი. მისი სიტყვით, „წუთისოფელი“ არის სისხლისმსმელი, უხანო, ცრემლთამდენი, ცვალებადი, დაუნდობელი, მუხთალი, ცრუ, მტერი და გაუტანელი. მოვუსმინოთ ტარიელს:

თქვა: ცოცხალვარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი ხვრიტნა (499).  
ვა, სოფელო, უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად? (529).  
საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გავვიცინია,  
ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია (918).

მიმდინონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,  
 იშვებენ მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან;  
 ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან (347).

ავთანდილი:

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლთა დენად (700)  
 იტყვის: „ვერ გაძღა სოფელი, ვა, ჩემთა-სისხლთა ხვრეტითა“ (712).

რუსთველი:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?  
 ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა (951).  
 ვა, საწუთროო, სიცრუევით თავი სატანას აღარე!  
 შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე;  
 პირი მზისაებრ საჩინო, სად უჩინო ჰყავ, სად არე?  
 შიტ ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი სად არე (1213)  
 იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია (1348).

როგორც მოყვანილი ადგილებიდან ვრწმუნდებით, რუსთველის სევდა-  
 მელანქოლია გამოწვეულია „წუთისოფლისა“ და კაცს შორის არსებული კონტ-  
 რასტით, იმ შეგნებით, რომ, როგორც თვითონ ამბობს, „ვარდი უეკლოდ არავის  
 მოუკრებია“.

უფრო მკვეთრად და ხელშესახებად ეს მოტივი წარმოდგენილია ე. წ. აღ-  
 ღორძინების ხანის პოეზიაში, ისეთი პოეტების შემოქმედებაში, როგორც არიან  
 თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგი და დავით გურამიშვილი, რომ არაფერი  
 ვთქვათ სხვა, შედარებით მეორეხარისხოვანი მწერლის შესახებ. აღორძინების  
 ხანის პოეზიაში „წუთისოფლის“ პრობლემა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.  
 აქ ჩვენ გვხვდება შეფასება „წუთისოფლისა“, პირველ ყოვლისა, სასულიერო  
 მწერლობის თვალსაზრისით, ამგვარი შეფასებისათვის გვერდი ვერ აუვლა  
 ვერცერთ იმდროინდელ პოეტს; მაგალითების ამოწერა ზედმეტია, მოვიყვანო  
 მხოლოდ არჩილის ლაკონიკურ სიტყვებს: „შენ სოფელო, „სხვის სოფლისა-  
 თვისი“ გვაბრკოლებ, ასე გაქვს მონდომილია“. ამასთან-ერთად გვაქვს შეფასება  
 მისი, უფრო ღრმა და გაშლილი, ამკვეყნიური ცხოვრების თვალსაზრისითაც.  
 ასეთი შეფასება ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი. პირველი შეფასება—ზოგა-  
 დი, განყენებული ხასიათისა.

იგ სოფლიონნი ბრძენნი და ან ვინც უბნობდა სულთა,  
 ყველა სწუნობდა სოფელსა არ გასაზრახთო,—გულითა.

აცხადებს თეიმურაზ პირველი. რატომ? იმიტომ რომ, ამბობს ის:

ნეტაი ყველამ იცოდეთ, სოფელი როგორ მქნელია:  
 კაცსა მიინდობს ღალატად, მცბიერი, ვითა მელია.

<sup>2</sup> იგულისხმება სამოთხე, არჩილიანი, I, გამოც. ა. ბარამიძისა, გვ. 36, სტრ. 142.

<sup>3</sup> თხზულებათა კრებული, გამოცემა ა. ბარამიძისა, გვ. 110, სტრ. 91.

ანასდად, გარუბრუნდების, მით გული გარდამელია:  
..მას არეინ უნდა მიენდოს“, ესე ნათქვამი ძველია“.

მუხთლობა არის თავიდან სულ მისი დასაწყისი და,  
ზეცად გასულსა ქვე დასცემს, რომ ძმაცა იყოს მისი, და  
ანაზდად, მოულოდნელად ბნელად ქმნას შენი ღლისი, და.

ან ადრე დავგზოცს, უდროოდ, ახალსა, მოუწყევარსა,  
ვარდა დავგიქნობს უფრჭყენელსა, შეგვიქმს ბედისა მწყევარსა,  
ვერ მოუტრჩებით მართ, ვითა კურდღელი მალსა მწყევარსა.

თუ გრძლად გვაყოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა:  
რაც გვიყვარს, თვალ-წინ დავგიტოცს, სულთაგან უკეთესებსა,  
ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრავს კენესებს.  
ჩვენ დავგიმკვიდრებს ჭირთა და სულთქმა-ვაება კენესებსა.

ამას გვიზამს და სხვათა ვთქვა მისგან ჩვენზედა ქმნულება:  
ესრეთ მოგვეშლის და წაგვახდენს—არ გინდეს სულთა დგმულება,  
იგი უებრო, უსწორო, უშვერ ყოს ქმნულ-კეთილება,  
იგ მისგან ერთიც არ მორჩეს გული უწყლულო, ულება.

ან სიკვდილს მიგვეცემს ანაზდად, ან სიბერესა ძნელებსა,  
პირსა თვალურებრ ვავსილსა, არმურსა დავგდებს ბნელებსა.  
ეგრე უებრო მნათობსა, ვერ ეჭოს ბრძენთა ენებსა,  
ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქმს მოსაწყენებსა.

თვალთა დააკლებს ნათელსა სოფლისა მამუნებელსა,  
წარბთა, მშვილდულებრ მოხრილსა. მიჯნურთა მახელებელსა.  
შავთა წამწამთა, ნარგისთა მჭვრეტელთა გულსა მხებელსა,  
გაყარევინებს, წაახდენს მნახელთა ცეცხლთა მდებელსა.

პირსა დაუტკნობს მნათობსა, უთეთრეს ზამბახისასა,  
ღაწვისა ფეროვნებასა, ვარდულებრ გაშლილისასა,  
წახრის და მოსდრეკს ლერწამსა, ტან-საბო ალვის ხისასა,  
დააღუტჭირებს ჯავარსა სანდომად უსულისასა.

ბაგეთა მოჰშლის ეგეთსა—უკვდავებას ღიმობდეს,  
კბილთა წაახდენს, მასთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს,  
თმას ამბრის ფერთა, კოჭამდი რომ გიშრის ტევრად სწირობდეს,  
გაუსპეტაკებს თოვლურებრ, იგ ველარ ამბრად ძვირობდეს!

გადაგვიშლის რა ყველაფერ ამას თვალწინ, გვირგვინოსანი პოეტი ასკვნის:

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან შოსალოდები,  
აწ ამაშიგან ვითმც იქნას გული არ დასაკოდები?\*

\* თხზ. კრებული, გამოც. ა. ბარამიძისა, ვე. 140, სტრ. 18

5 იქვე, ვე. 110, 112, სტრ. 92, 96—103.



„წუთისოფლის“ ასეთი ზოგადი შეფასებისას არჩილ მეფე სოციალურ ანომალიებსაც იღებს მხედველობაში:

ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებინებ,  
 ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნცლს მოაძებნინებ;  
 მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ,  
 ძველს თავადს ლაღანიძესა ქვეშე კილოზს დააგებინებ<sup>6</sup>.

უსადილოდ გამაბრუნებ, შიმშილითა მაკარკარებ,  
 მათ ღვინოსა ყინულიანს ასმევ, კაცით აკარკარებ<sup>7</sup>.

განსაკუთრებით, დამაფიქრებელი და საინტერესოა ამ მხრივ დავით გურამიშვილის „სოფლის სამღერავი“, „საწუთოს სოფლის გამო ტირილი“, „კაცის და საწუთოს ცილობა და ბჭობა“. აი მისი სიტყვები:

იუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო!  
 დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოუტრჩე უჭირო.

ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი მობრუნავია!  
 წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია;  
 ყოველი ლხინი მუხთლისა კულავ ისევ საქმუნავია,  
 ერთი დრო გრძლად არ შერჩების, კარგი სთქვა ვინა ავია<sup>8</sup>.

ხარ სატირალი, არ საცინარი,  
 ხარ საჭირალი, არ სალხინარი;  
 ვაქვს საწყინარი ჩანადინარი,  
 მოსულხარ ქურდად, პატყუებ ცულად.  
 თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?  
 თუ ხარ სიმამღრე, რა არს შიმშილი?  
 თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?  
 იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი<sup>9</sup>.

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,  
 მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო.  
 ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს;  
 დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს.  
 ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისერის, მშვილდს კი მალავს<sup>10</sup>.

მეორე მხრით აღორძინების ხანის პოეტები, „წუთისოფელს“ აფასებენ კონკრეტულად, იმისდა მიხედვით, თუ რა მიუზლო მან თვითეულ მათგანს კერ-

<sup>6</sup> არჩილიანი, I, გვ. 36, სტრ. 141.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 38, სტრ. 155.

<sup>8</sup> დავითიანი, ა. ბარამიძის გამოცემა, გვ. 134, სტრ. 548—549.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 183—185, სტრ. 4, 18.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 135—137, სტრ. 551, 559.

ძოდ. ამ მიმართულებით პირდაპირ შემზარავ სურათს იძლევიან ისინი, ეს სურათი ერთიმეორეზე უარესი და გულისამჩუყებელია. თეიმურაზ პირველი შესჩივის:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?  
გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!  
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?  
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

სრულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თუ მოიწივე,  
ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,  
მოვკვდე, მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,  
მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მო, აწი, ვე!

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა,  
რად გინდოდი სასიკვდინედ? შენ მაღირსე არ დარჩენა.  
არ გმართებდა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,  
თავიდაღმე სრულ ბოლომდი ჩემთვის ესრეთ შეგეჩენა!<sup>11</sup>

სოფელმან თვისი სიმუხთლე ჩემზედა არა დალია,  
მაკვდინებელი წამალი მე მასეა, მან არ დალია.

კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარით მანანა,  
ძილი არ მომცა მართალთა, არც სადა მითხრა მან ნანა!<sup>12</sup>

არჩილს, რუსეთის მეფის კარზე მყოფს, სიმშვიდეს აკარგვიანებს მოგონება წარსული დღეებისა, რომელნიც, ის დარწმუნებულია, მას აღარ დაუბრუნდება:

მახსოვს ლხინი და თამაშა, დღე და ღამე წართმით მღერა,  
მხეცთა სრვა და ნადირობა, თავი ლალად მომეღერა;  
ბურთობა და მინდორობა, კვლავ ნადიმი, ჭადრაკ-მღერა  
უნობა და გასაცემი, სრულ ვითა გთქვა, მომელე რა?!<sup>13</sup>

არჩილს ბანს აძლევს ვახტანგ მეექვსე:

გამსაჯა მიწყივ სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,  
არ შემიწყალა არათი, არ გამომართვა აჯამა,  
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა, ა ჯამა;  
მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა.

დაუტოვე სახლ-სამყოფი, თვისნი, ტომნი, მონა, ძები;  
დაკვარგულვარ უცხო თემსა, ვარ არვისგან მონაძები

<sup>11</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ი, თხზულებათა კრებული, გვ. 110, სტრ. 85—87.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 140, სტრ. 16, 20.

<sup>13</sup> არჩილიანი, I, გვ. 67, სტრ. 21.

იგონებს რა საქართველოში გატარებულ ბედნიერ დღეებს, ის გულსიტყვილით წამოიძახებს:

გქონებოდეს ესე ყოფა, გაგებადოს დაკარგული,  
 გაუძლია უქონელად განასალი კლდეებრ გული<sup>14</sup>.

„ამად ვტირი“, ამბობს გურამიშვილი. „ვარ ცრემლით სველი... ცრუ არს წუთისოფელი, ანაზღისა მყოფელი“<sup>15</sup>. „ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია; სად კაცს არ უნდა წარიყვანს, ყელზე საბელი უბია“. „სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მამაღერა, სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა“<sup>16</sup>. „გულს მიკოდს სვედის ლახვარი, აღმასის დანის სადარო, დედ-მამა, ძმანი დავკარგე, არ ვიცი დანი სად არი“<sup>17</sup>. „მშვილდს მომიწივა მუნ-თალმა, ისარი გულში მამასო, არ მომცა ძე, არც ასული, არცინ მიძახის „მამასო““<sup>18</sup>.

დუ, შენ ცრუო საწუთროვ,  
 რად არ მძულდი, რად მიყვარდი?  
 შენ ყოფილხარ მწარე, შხნაკვი,  
 მე მეგონე ტკბილი ყანი<sup>19</sup>.—

ასკენის საბოლოოდ გამწარებული დავითი.

მოყვანილი ადგილებიდან ირკვევა, რომ სევდიანი, მელანქოლიური ტონისა მსულ-საუკუნეთა ჩვენი მწერლებისა გამოწვეულია „წუთისოფლისადმი“ უტილიტარული მიდგომით: ადამიანის ბუნება თხოულობს ამ ქვეყნად ბედნიერებას, ამოა და ვერაგი „წუთისოფელი“ კი არამც თუ არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, ყველა კარს უნშავს მას.

ახლა დავუბრუნდეთ ნ. ბარათაშვილს და მის პოეზიას.

ბარათაშვილმა, მსგავსად თავისი წინაპრებისა, იცის, რომ ეს წუთისოფელი „შეურჩენელი და მომღერალია“ (ჩემთ მეგობართ), რომ ის „ფუჭი და მხოლოდ ამაოება“ (ფიჭრი მტკვრის პირას), ამიტომ უნდა, რომ „დაშთოს ეს ამაოება“ (შემოლ. მთაწმიდაზე); იცის მან, რომ „სოფელი ცრუ და მუხთალია“ (ვაოვე ტაძარი, ჩემთ მეგობართ), რომ ის „უკუღმართია“ (ჩონგური); იცის, რომ ეს «ყუჩაჟი» ქვეყანა (წერილი გრ. ორბელიანთან) „საძაგელია“ (წერილი მაიკო ორბელიანთან). „საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს“, კითხულობს ის (ვაოვე ტაძარი), „მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა“, სწერს ის მაიკო ორბელიანს. მაგრამ ამის ცოდნა და შეგნება იმას არ ატირებს იმდენად. მისი ცრემლი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ სტიროდა ამ სოფელსა“ (სატრფოვ, მახსოვს), პირიქით — „შეეთვისა სული მისსა მრღრუბლვას, შეეჩ-

<sup>14</sup> ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 11<sup>2</sup>, გვ. 543—544.

<sup>15</sup> დავითიანი, გვ. 171.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 136, სტრ. 556, 557.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 88, სტრ. 341.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 136, სტრ. 555.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 7, სტრ. 17.

ვია გული სევდითა კრთოლვას“ (ჩემს ვარსკვლავს). მაიკო ორბელიანს ის ურჩევს: „ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ ივინი შეურჩენელნი არიან“, ხოლო თავის მეგობრებს ეუბნება: „არ დაიზნით შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა მწარნი“, „აპყევით სოფელს“ და აიღეთ მისგან ყველაფერი, რის აღებაც შეგიძლიათო. იქნება ეს მოწოდება გამოგვადგეს იმ საიდუმლოების ასახსნელად, რომ თავის ლექსებში სევდითა და კაემანით შემპყრობილი ბარათაშვილი კერძო ცხოვრებაში გვევლინება როგორც მხიარული, ხალისიანი, ხუმარა, ცოცხალი, ოხუნჯი და მოარშიყე — მოცეკვავე ახალგაზრდა.

ამრიგად, წუთისოფელი უტილიტარული თვალსაზრისით იმდენად არ აინტერესებს და არ აფიქრებს ბარათაშვილს; ის სხვაგვარად სწამლავს და მოსვენებას უსპობს მას, როგორ გგონიათ: პოეტისათვის რომ დამაკმაყოფილებელი და მისაღები ყოფილიყო მისი პირადი ცხოვრება ან სამშობლოს ბედი და მდგომარეობა, ის თავისუფალი იქნებოდა სევდისა და მწუხარებისაგან? ჩვენ გვგონია, რომ არა! მოვიგონოთ მისი სიტყვები:

ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

პოეტი თითქოს სცილდება ამ ქვეყნის ავ-კარგიანობას და ყოველდღიურობას, მისი გონება შორს, ვარსკვლავებს ესაუბრება. მას აწუხებს უფრო მაღალი კატეგორიის საკითხი: რა არის ეს წუთისოფელი მისი ავ-კარგიანობით, სად იწყება და თავდება ის, რატომაა ის ამაო, რაშია მისი, კერძოდ ადამიანის, დანიშნულება? „მინც რა ჭრის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი“, — კითხულობს ის; „არ ვიცი, ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოება“ (ფიქრნი მტკვრის პირას). ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ის ამბობს: *непостижимость цели нашего назначения, безграничность желаний человеческих и суета всего подлунного наполнили мне душу ужасною пустотой*“. აი, მაშასადამე, რა იწვევდა უმთავრესად ბარათაშვილის სევდას და კაემანს: მას აქეთ, რაც ბავშვობის ასაკიდან გამოვედიო, ამბობს ის „ხმა იდუმალში“, ეს საკითხი თანსდევს ყოველთა.

ჩემთა ზრახვათა და საწადელთა,  
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად  
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად.

მაშასადამე, პოეტის კაემანის მიზეზია იმდენად არა წუთისოფლის წვრილმანები, მისი სარგებლობა თუ უსარგებლობა ადამიანისათვის, რამდენად აღნიშნული საკითხი შემეცნებით, ფილოსოფიური ხსიათისაა. ეს საკითხი გახდა მთავარი წყარო მისი სევდისა, რადგანაც იმაზე ვერსად ის პასუხს ვერ პოულობდა.

ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის  
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა.



მართლაც, მიმართა მან პასუხისათვის ცოდნას, მეცნიერებას, მაგრამ იმდროინდელი დონე ჩვენი ცოდნისა პასუხს ვერ მისცემდა მას ამ საკითხზე. შემოგხედავ თუ არა შენ, მიმართავს პოეტი ცას (შემოლამება მთაწმინდაზე).

მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,  
 მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და პაერშივე განიბნევიან...

მიმართა მან რელიგიას, იქნება ღმერთმა მისცეს მას „ვნებათაჯან განსვენება“ და „შეუღარო სადგომი“ (ჩემი ლოცვა), მაგრამ „ქკუთ ურწმუნოს, გული ი უნდოს და სულით მახერალოს“ (სულ ბოროტო) „სიტყვა აღარ დაუშთა მისდა სათქმელად“, ამიტომ მისი ლოცვა „დუმილობამ“ შეცვალა. მიმართა ბუნებას, მაგრამ მთაწმინდის „დამაფიქრველ ადგილებში“ პასუხის მაგიერ მხოლოდ „იღუმიღება“ პოვა „დასადგურებული“, ხოლო „მრავალ დროთა მოწამე მოდუღუნე მტკვარი“ აღმოჩნდა „უტყვი“.

ასეთ მდგომარეობაში სევდა და კაეშანი სრულიად ბუნებრივია მოაზროვნე ადამიანისათვის. საკვირველია მხოლოდ, რომ პოეტი სასოწარკვეთილებამ, აბსოლუტურმა პესიმიზმმა, არ შეიპყრო. მაგრამ სასოწარკვეთილება არ იცის საერთოდ ქართულმა ლიტერატურამ. მისი წინაპრები, საშუალ-საუკუნეთა ჩვენი მწერლები, წუთისოფლის უვარგისობის და ამაოების წარმოდგენისას სასოწარკვეთილებას თავს აღწევდნენ სარწმუნოებით, ისინი ღმერთსა და საიქიო ცხოვრებაში ხედავდნენ გამოსავალს. ჩვენი პოეტი, მათგან განსხვავებით, სასოწარკვეთილებას თავს აღწევს რწმენით ადამიანის გონებისადმი, რომელიც მას „მერანის“ სახით წარმოუდგენია. მას სწამს, რომ ადამიანის გონების „შენებას არ აქვს საზღვარი“, მას ვერ შეაყენებს ვერც ქარიშხალი, ვერც კლდე-ღრე, ვერც ზღვა, ვერც ცა. მართალია, მისი მერანი—გონება იმ მომენტში უძლურა იყო დაეძლია ყველა დაბრკოლება, მაგრამ ამის შეგნება არ აყენებდა პოეტის აღმაფრენას, ის იმედს პოულობს იმაში, რომ

ცუდად ხომ მაინც არ ჩავლის ეს განწირულის სულის კვეთება!  
 და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,  
 და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
 და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

პოეტს სწამს, რომ მისი მერანის დაუღალავი, შეუწინაღებელი მიმოფრენის შედეგად, ადრე იქნება თუ გვიან, „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“. აქ მან საბოლოოდ გადალახა პესიმიზმის სამყარო და თავის შემოქმედებას ოპტიმიზმის ბრწყინვალე გვირგვინი დაადგა.

დაინტერესება ამგვარი პრობლემით და მისი გადაწყვეტის საქმეში გონების პრიმატობის აღიარება მაჩვენებელია იმისა, რომ ბარათაშვილის ეპოქაში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარებაში დაიწყო მნიშვნელოვანი ძვრები, რომელნიც ადასტურებდნენ პოეტის სიტყვებს, რომ „ქართველთ არ სძინავთ გონებით“ (წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი).

ჩვენი პოეტი ორი ეპოქის მიჯნაზე დგას: ძველისა და ახლის. მე-19 საუკუნის პირველს მესამედში საქართველო თანდათან გამოდის აღმოსავლეთთა ტრადიციათა გავლენის სფეროდან და დასავლეთის კულტურის რკალში შედის. მას ეტყობა სურვილი დაგლიჯოს ფეოდალურ-ნატურალური ცხოვრების არტა-

ხები და ახალი, ბურჟუაზიული ყოფის ელემენტები აითვისოს. ის თანდათანობით ასუფთავებს ნიადაგს გასაჯრცლებლად მეცნიერული ცოდნისა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა რელიგიურ-ეკლესიური ფეტიშებისაგან. აქ ჯერ კიდევ არ მინელებულა ფრანგ „განმანათლებელთა“ მოძრაობის აკორდები, რომელიც მკვეთრად ისმის საუკუნის დასაწყისში, არ მინელებულა არც რუს-დეკაბრისტების გაბედული ხმა, რომელიც, სხვებთან ერთად, ქართველებსაც მოუწოდებდა ბრძოლისაკენ. აქ ლალად იკაფავს გზას ევროპულ-რუსული მოწინავე, ახალი აზრები და იდეები. იოანე, დავით და თეიმურაზ ბაგრატიონები, დოდაშვილი, რაზმაძე, ფილადელფოს კიკნაძე, ჩვენი, იმ დროის ახალგაზრდა „პლატონ ფალოსოფოსი“—იოსელიანი, მისი ღია ბარათები და სხვანი მრავალნი, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში მოღვაწე ქართველები, უხვი ხელით ეზიდებიან და სთესავენ ახალ ცოდნას, ახალ ცხოველმყოფელ აზრებს. აკი თვითონ პოეტრი მიმართავს ირაკლი მეორის აჩრდილს და კმაყოფილებით ეუბნება მას:

პა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,  
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი:  
ქამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო  
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო!

უცხო ქვეყნიდან ისინი

პზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,  
მზურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად.

ახალმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ თავისებური გამოძახილი პოვა ახალგაზრდა, ნიჭიერი, განათლებული მეცნიერული ინტერესებით, როგორც ახლა ირკვევა, გატაცებული და მგრძნობიარე ნ. ბარათაშვილის შეგნებასა და რომანტიულ სულში. ამ რომანტიულმა სულმა ხელი არ შეუშალა მას აღეარებია ძალა კრიტიკული გონებისა, ისე, როგორც ეს, ცოტა ადრე, აღიარა კიანის სახით ბაირონული რომანტიზმის მამათმთავარმა ევროპაში.

ამით ჩვენ ვათავებთ ჩვენს პატარა ექსკურსს, რომელიც შემდგენაიოც შეგვიძლია შევაჯამოთ:

1. ნ. ბარათაშვილის სევდა არაა მხოლოდ და მხოლოდ რომანტიკოსის სევდა, მის ფესვებს ჩვენს ძველს, საშუალ-საუკუნეთა მწერლობაშიც ვპოულობთ.

2. ეს სევდა დაკავშირებულია „წუთისოფლის“ პრობლემასთან, რომელიც მთავარი პრობლემაა ჩვენს ძველს მწერლობაშიც.

3. საშუალო საუკუნეთა ჩვენი მწერლები ამ პრობლემას უდგებოდნენ უტილიტარული თვალსაზრისით, მათი სევდა გამოწვეულია იმის შეგნებით. რომ ამ წუთისოფელში ადამიანი ბედნიერებას ან სულ ვერ პოულობს, ან და დიდის ტანჯვით და ვეებით.

4. ნიკოლოზ ბარათაშვილს „წუთისოფლის“ პრობლემა აინტერესებს იმდენად არა უტილიტარული მიდგომით, რამდენადაც მეცნიერულ-ფილოსოფიურით; მისი სევდა გამოწვეულია უფრო იმით, რომ ის ვერ პოულობს პასუხს საკითხზე—რა არის ეს „წუთისოფელი“?



5. საშუალ-საუკუნეთა ჩვენი მწერლობის სევდა გამოსავალს პოულობდა უმთავრესად რელიგიურ შეგნებაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა კი—ადამიანის გონებისადმი რწმენაში. ამ რწმენით ის უკავშირდება ჩვენს ბრწყინვალე ეპოქას, რომელიც გონების, მეცნიერული ცოდნის ფართე გაქანებით ფარდას ხდის „წუთისოფლის“, ყოფნა-არყოფნის საიდუმლოებას.

---

## ვეფხისტყაოსნის კირიონისაული ხელნაწილის გაკვეთილი

### საკრის შივივილი

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ)

ჟურნალ „მოამბის“ 1904 წლის მე-5 ნომერში ე. კ.-ს ხელმოწერით გამოქვეყნებული იყო წერილი ასეთი სათაურით: „ვეფხისტყაოსნის შესამოწმებელი მასალა“. წერილი შეეხებოდა ერთ ხელნაწერს, რომელიც ავტორს ხელთ ჰქონია რამდენიმე დღე. ე. კ. არის ინიციალები მე-19 საუკუნის ცნობილი მოღვაწის კირიონისა (იგივე გ. საძაგელოვ-ივერიელი). ავტორი შესავალშივე აღნიშნავდა: „ამ ათი წლის წინად ჩვენ ჩავგვივარდა ხელში ერთი შესანიშნავი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, მაგრამ შემთხვევა არა გვქონდა გავვეცნო ქართველი საზოგადოებისათვის ეს ძვირფასი ხელნაწერი. ვარიანტი რამდენისამე დღით მომიტანა სასულიერო სასწავლებლის მოწაფემ ბ. მიროტაძემ და, როგორც მან გადმომაცა, ეს ეკუთვნოდა თბილისში მცხოვრებს სომხის ქვრივ მანდილოსანს“.

ხელნაწერის გარშემო კირიონი გვაწვდის შემდეგ ცნობებს. ჭერ ხელნაწერის გარეგნული სახე: „ეს ვარიანტი გადაწერილი იყო გასანთლულ ქაღალდზე, infolio და შეიცავდა 227 ფურცელს“. რაც შეეხება პოემის მოცულობას, წერილის ავტორი შენიშნავს, რომ „ამ ვარიანტში, რომელიც ჩვენ გადავსინჯეთ, არის გაგრძელებაში მხოლოდ 222 ტაეპი (სტროფი), მაშინ როდესაც ბ. პ. კარბელაშვილისაგან დაბეჭდილი დამატება უფრო ვრცელია და შეიცავს 315 ტაეპს (სტროფს)“<sup>1</sup>. ამის შემდეგ ზოგადად აღწერილია პოემის სტროფული შედგენილობა ხელნაწერის მიხედვით. აღნუსხულია ამ ხელნაწერის ზოგი თავისებური წაკითხვა ვეფხისტყაოსნის 1860 წლის გამოცემასთან შეპირისპირებით (ჩუბინაშვილის გამოცემა). უკვე ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ ეს ხელნაწერი, რომელსაც პირობით კირიონისეულს უწოდებენ, ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი საინტერესო ნუსხაა, თუმცა დღემდე არ იყო გამოკვეთული რედაქციულად როგორც, ან საერთოდ რომელი ნუსხა იყო კირიონის მიერ აღწერილი ხელნაწერი. ფიქრობდნენ, რომ, როგორც ჩანს, ეს ნუსხა შემდეგში დაიკარგა უკვალოდ და აღარ მოიპოვება ჩვენს ხელნაწერთა საცავებში.

ამ ინტერესის გამო ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ კირიონის ცნობები. აღნიშნული კვლევა-ძიების შედეგები მოკლედ გადმოცემულია წინამდებარე წერილში.

პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ კირიონის შენიშვნა, რომ ეს ხელნაწერი ინახებოდა ვიღაც სომეხი მანდილოსნის ოჯახში. როგორც ცნობილია, რუსთ-

<sup>1</sup> იხ. ჟურნ. „ივერია“ III, 1880 წ., სადაც მოთავსებულია პ. კარბელაშვილის წერილი.



ველოლოგიურ ლიტერატურაში საგანგებოდ არის აღნუსხული ის ხელნაწერები, რომლებიც დაკავშირებული არიან სომეხ გადაწერებთან, ან სომეხ პატრონებთან. მაგალითად, პროფ. ლეონ მელიქსეთბეგს მოხსენიებული აქვს ასეთი უთი ხელნაწერი: ხელნაწერი H—757, გადაწერილია ცნობილი კალიგრაფის აღმურანთ ბაღდასარას შვილის გასპარას მიერ 1671 წელს. ხელნაწერი H—54, გადაწერილია 1680 წელს ბეგთაბეგ ავთანდილის ძე მარტიროზიშვილის მიერ. პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ნუსხა, რომელიც გადაწერილია შემახიაში 1702 წელს. გორგიჯანიძისეული ნუსხა, რომელიც გადაწერილია ყოფილა 1839 წელს (ეს ხელნაწერი ამჟამად არ ჩანს). და ე. წ. ყარაბაღული ხელნაწერი, იგი გადაწერილია 1826 წელს და ვახტანგისეული გამოცემის გველენას ატარებს.

ამ ხელნაწერთა უშუალო შეჯერებამ კირიონის ცნობებთან, ნათელი გახადა, რომ მათ შორის რაიმე სიახლოვეზეც კი ლაპარაკი არ შეიძლება. რაც შეეხება გორგიჯანიძისეულ ნუსხას, მისი მხოლოდ აღწერილობაა ცნობილი (ლ. მელიქსეთბეგი, სომეხი გამამწერნი ვეფხისტყაოსნისა, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი პირველი, 1935, გვ. 665—670). აღნიშნული აღწერილობიდანაც კარგად ჩანს, რომ ეს ნუსხაც შორს დგას კირიონის ხელნაწერიდან.

ერთი შეხედვით კირიონის ცნობებს ყველაზე უფრო ეხმაურებოდა რამდენიმე საგანგებო შენიშვნა გამოქვეყნებული გასული საუკუნის 90-იან წლებში. მაგალითად, 1888 წლის „ივერიის“ 189-ე ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ერევნის გუბერნიაში, კერძოდ იგდირში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა), ერთი სომხის ოჯახში აღმოჩენილა თითქოს ყველაზე უძველესი ვეფხისტყაოსანი. იგი თურმე უპოვიათ ქურთების სოფელში და ხელნაწერი ტყავზე ყოფილა შესრულებული. ამავე ცნობას იმეორებს თითქმის ათი წლის შემდეგ გამოქვეყნებული მღვდელ დ. ვარდიაშვილის წერილი „ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი ერევანში“ (გაზ. „ივერია“, 1899, №27). წერილის ავტორი დამატებით აღნიშნავს, რომ ხელნაწერი თავნაკლული ყოფილა და იწყებოდა 93-ე სტროფით: „მეფე ლალი და წყლიანი“... და რომ ხელნაწერი იმხანად ხელთ ჰქონია ერევნის ვიცე-გუბერნატორს თავად ნაკაშიძეს (იხ. აგრეთვე იმავე წლის „ნოვოე ობოზრენიე“, № 5179).

როგორც შემდეგში ექვთ. თაყაიშვილის გამოკვლევებითა და „მოგონებებით“ ცხადი გახდა, ეს არის ჩვენთვის ამჟამად საკმაოდ ცნობილი ხელნაწერი S—4499. რაც შეეხება ამ ხელნაწერისა და კირიონის ხელნაწერთა მონაცემების შეჯერებას, აქაც ნათელი სურათია. როგორც შედგენილობით, ისე საეტიკური წაკითხვებით ეს ხელნაწერები განსხვავებულ რედაქციებს გვაძლევენ. საკმარისია თუნდაც ერთი მაგალითი. კირიონის ხელნაწერში, როგორც აღწერილობიდან ჩანს, პოემას ჰქონია შედარებით მოკლე დასასრული, ხოლო S—4499 ხელნაწერს კი მოეპოვება ტარიელის მესამე ყველაზე გვიანდელი ანდერძი.

საკირო გახდა კირიონის ხელნაწერის ყველა თავისებურების შესწავლა ყველა იმ ხელნაწერთან მიმართებით, რომლებიც კი ჩვენთვის ამჟამად ცნობილია. აღნიშნული საკითხის კვლევისას პირველ რიგში ყურადღება მიექცა კირიონის ხელნაწერის რედაქციულ თავისებურებებს, დავიწყით პროლოგით: როგორც ახლა გარკვეულია, ვეფხისტყაოსნის პროლოგმა ჩვენამდე მოაღწია სამი განსხვავებული რედაქციით (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 19—48). ირკვევა, რომ კირიონის ხელნაწერში დაცუ-

ლი ყოფილა ისეთივე ტიპის პროლოგი (ჩვენი დახასიათებით მეორე ტიპის), როგორც არის შემდეგ ხელნაწერებში: H—757, H—54, H—2074, Q—261, H—461, S—4499, K—205, H—1839, Q—489, Q—796.

კრიონი აღწერილობაში არ გვაძლევს საჭირო მონაცემებს პოემის შუა მონაკვეთზე, მაგრამ უფრო დწვერილებით საუბრობს ბოლო ჩანართ თავებზე. მისი ცნობით, ბოლო თავები, კერძოდ „ინდო-ხატელთა ამბიდან“ შეიცავდა 222 სტროფს, რაც უახლოვდება პოემის გაგრძელებათა პირველ რედაქციას (პოემის გაგრძელებათა რედაქციებზე იხ. დასახ. წიგნი, გვ. 93—135). გამოირკვა, რომ აქ დასახელებულ ხელნაწერთაგან დასასრულით პირველ რედაქციას შეიცავდა მხოლოდ ერთი ხელნაწერი. კერძოდ, Q—261. მაშასადამე, ამ ხელნაწერს კრიონისეულის მსგავსად ჰქონია მეორე ტიპის პროლოგი და პოემის გაგრძელებათა პირველი რედაქცია. ჩვენი ეს ვარაუდი კიდევ უფრო განამტკიცა ერთმა დეტალმა. Q—261 ხელნაწერს, როგორც აღვნიშნეთ მოეპოვება მეორე ტიპის პროლოგი, მაგრამ აქ არის დამატებით ასეთი თავისებურება: პროლოგი თავდება არა საიუბილეო გამოცემის 31-ე სტროფით („თუ მოყვარე მოყვრისათვის“) როგორც ეს არის სხვა ხელნაწერებში, არამედ მეორე სტროფით: „ჰე, ღმერთო ერთო...“ (არსებითად, ეს არის მეორე სტროფის ვარიანტი). კრიონის აღწერილობიდან ჩანს, რომ აქაც ბოლოშია გადმოტანილი პროლოგის მეორე სტროფი.

ბუნებრივია, ამის შემდეგ საჭირო იყო ამ ორი ხელნაწერის წანაკითხების შეჯერება (კრიონი გვაწვდის მის მიერ ნახული ხელნაწერის რამდენიმე წაკითხვას). მაგრამ ჩვენი ვარაუდი მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა. კრიონის ხელნაწერი ზოგჯერ ძალზე ახლოსაა, ან მთლიანად იმეორებს Q—261 ხელნაწერის წაკითხვას, მაგრამ ზოგჯერ კი აშკარად სცილდება მას. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტან. პირველი შემთხვევიდან ე. ი. როცა ორივე ხელნაწერი ერთნაირ წაკითხვებს გვაძლევს: საიუბილეო გამოცემის 113-ე სტროფი „ქალმან ჰკადრა: მოგახსენებ მე სიტყვასა და ნაყნდესა...“ არსებულ ხელნაწერთა შორის მხოლოდ Q—261-ე კითხულობს ასე: „მე სიტყვასა და ყბედსა“. ირკვევა, რომ ასეთივე წაკითხვა დაუცავს კრიონის ხელნაწერსაც. საიუბილეო გამოცემის 127-ე სტროფში არის სტრიქონი: „გიკვირს, მოგვხდა წამის ყოფით საქმე შენგან საეჭვი რად...“ რამდენიმე ხელნაწერი და მათ შორის Q—261-ეც სტრიქონის ბოლო სიტყვას კითხულობს ასე, „სახე კრად“. ასეთივე წაკითხვას იზიარებს კრიონის ხელნაწერიც. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს განსხვავებული წაკითხვებიც. ავიღოთ საიუბილეო გამოცემის 63-ე სტროფი; მეოთხე სტრიქონში ვკითხულობთ: „ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა...“ ასეთივე წაკითხვას იზიარებს Q—261-ე ხელნაწერი, ხოლო კრიონისეულში კი ვკითხულობთ: „ცოტასა შემავს ავთანდილ ჩემისა გაზრდილობითა...“ შემდეგ, იმავე გამოცემის 71-ე სტროფში ვკითხულობთ: „ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: მოდით და მოიჯარენით“. ასეთივე წაკითხვაა Q—261-ე ხელნაწერში, ხოლო კრიონის ნუსხა კითხულობს: „მოდით და მოეჯარენით“.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ კრიონის ნაქონი ხელნაწერი თუმცა ახლოს დგას რედაქციულად Q—261-თან, მაგრამ ისინი არიან სხვადასხვა ნუსხები, ხოლო კრიონის ხელნაწერი ჯერ კიდევ საძიებელია.

აქ შეიძლებადა წერტილის დასმა, რომ არა შემდეგი მოსაზრება: ხელნაწერი Q—261 ახლოს დგას რედაქციულად რამდენიმე ხელნაწერთან. მათ შორის

აღსანიშნავია ხელნაწერები: S—2829 (გადაწერილია 1688 წ.), თარხან-მოურავისეული ხელნაწერი (უორდროპის კოლექციიდან, ვადაწ. მე-17 საუკ.) და ე. წ. „გურგენასეული“ ნუსხა (ვადაწ. მე-17 საუკ.). პირველი ხელნაწერისა და კირიონის ნაქონი ნუსხის იდენტურობა თავიდანვე მოხსნილია, რადგან, როგორც ვნახეთ კირიონის ნუსხაში პოემას ჰქონია მეორე ტიპის პროლოგი, ხოლო S—2829 ხელნაწერს კი მოეპოვება პირველი ტიპის თავნაკული პროლოგი<sup>2</sup>. თარხან-მოურავისეული ხელნაწერი თავში დაზიანებულია და არ ჩანს, თუ როგორი პროლოგი ჰქონდა აქ პოემას, თუმცა ბოლო თავებში კირიონის ხელნაწერის მსგავსად აქაც პირველი (მოკლე) რედაქციაა დაცული. მაგრამ არც ეს ვარაუდი დაადასტურა დეტალურმა შეჭერებამ. Q—261 ხელნაწერის მსგავსად, თარხან-მოურავისეული ხელნაწერი რიგ შემთხვევაში ახლოს დგას კირიონის ნაქონ ხელნაწერთან, ხოლო ზოგჯერ კი აშკარად შორდება მას (ამის მაგალითების მოტანა აქ ზედმეტად მიმაჩნია). დასასრულ, განსახილველი დარჩა ე. წ. „გურგენასეული“ ხელნაწერი. საინტერესოა ამ ხელნაწერის თავგადასავალიც. ეს ხელნაწერი ერთ დროს გაუტანიათ სომხეთში და 1946 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისათვის, სომხეთის მთავრობამ იგი საჩუქრად გადმოსცა ქართველ ხალხს. ეს ხელნაწერი დეტალურად აღწერა პროფ. ა. ბარამიძემ და ხელნაწერს უწოდა „გურგენასეული“, რადგან რამდენიმე მინაწერში, მართლაც, იკითხება ეს სახელი. აღსანიშნავია, რომ აღწერის დროს ხელნაწერი ძალზე დაზიანებული ყოფილა, კერძოდ ფურცლები დასტეხილად იყო შეწებებული და გაქვავებული. ახლახან ეს ხელნაწერი რესტავირებულ იქნა და ხელნაწერმა თითქმის პირვანდელი სახე მიიღო (ამის გამო, რესტავრაციის შედეგი არ არის ასახული ვეფხისტყაოსნის ვარიანტების გამოცემაში).

ამ ხელნაწერის რედაქციულმა სიახლოვემ Q—261-ე ხელნაწერთან, მაშასადამე კირიონის ნუსხასთანაც და აგრეთვე „გურგენასეული“ ხელნაწერის თავგადასავალმა (კირიონის ხელნაწერიც სომხის ოჯახში ინახებოდა) გააძლიერა ჩვენი ეჭვი ამ ორი ხელნაწერის იდენტურობის შესახებ. მართლაც, კირიონის წერილში მოტანილმა მონაცემებმა და „გურგენასეული“ ხელნაწერის შედარებითმა შესწავლამ სრულიად დაადასტურა ეს მოსაზრება.

როგორც ვარეგნული ნიშნებით (იხ. კირიონის აღწერილობა), ისე შედგენილობით ორივე ხელნაწერი ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, „გურგენასეულ“ ხელნაწერს ამჟამად დაზიანებული აქვს პროლოგის შემცველი პირველი ფურცლები, მაგრამ ბოლო თავები აქაც ისეთივე შედგენილობას იცავს, როგორც კირიონის ნუსხა. ამასთან აღმოჩნდა კიდევ უფრო საინტერესო ვითარება. როგორც აღვნიშნე, კირიონს მოაქვს მის მიერ ნახული ხელნაწერიდან რამდენიმე ათეული სტროფის თავისებური წაკითხვები. დეტალური შეჭერებით გამოირკვა, რომ ყველა ის წაკითხვა (თითო ოროლა ორთოგრაფიული ლაფსუსის გარდა, რაც თვით კირიონის უნებლიე შეცდომაა) დასტურდება „გურგენასეულ“ ხელნაწერში. ქვემოთ მომაქვს ისეთი მაგალითები, რომლებიც ძალზე სპეციფიკურნი არიან და თავისთავად მეტყველებენ ამ ორი ხელნაწერის იდენტურობაზე:

#### 1. საიუბილეო გამოცემის 37-ე სტროფიდან:

„ვარდი თუ გაზმეს, ვგრეცა გემართებს მისივე ჯვრობა:  
 მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერთა“.

<sup>2</sup> იხ. ჩვენი ხეშოთ დასახელებული წიგნი, გვ. 37—38.

კრიონის ხელნაწერში ყოფილა წაკითხვები: „ვარდი თუ დასკენეს“ და „მისივე მეტობს ყვავილი“. მე აქ არ შევეხები კრიონის წაკითხვათა მართებულობას, მაგრამ აღვნიშნავ ჩვენთვის საინტერესო მომენტს: არსებულ ხელნაწერებში ასეთი წაკითხვა არის მხოლოდ და მხოლოდ „გურგენასეულ“ ხელნაწერში.

2. იმავე გამოცემის 63-ე სტროფიდან: „ცოტასა შემწევს აეთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“. ეს სტროფი ჩვენ ზემოთაც მოვიტანეთ, როცა ვნახეთ კრიონისა და Q—261-ე ხელნაწერის განსხვავებანი. ირკვევა, რომ კრიონის მიერ აღნიშნული წაკითხვა: „ცოტასა შემგავს აეთანდილ ჩემისა გავრდილობითა“, არის შესაბამისად მხოლოდ „გურგენასეულ“ ხელნაწერში.

3. იმავე გამოცემის 74-ე სტროფში, მეორე სტრიქონის წაკითხვას: „მშვილდსა ფიცხელსა მოგვემდით...“ ორივე ხელნაწერი კითხულობს ერთნაირად: „მშვილდსა — ხელ-ფიცხლსა...“, რაც არ დასტურდება არცერთ სხვა ხელნაწერში.

4. იმავე გამოცემის 97-ე სტროფი ორივე ხელნაწერში ასეა წარმოდგენილი: „ჰვეანდა ქვესკნელს ჩანადვრენსა“. ხაზგასმული სიტყვის ამგვარი წაკითხვა არ ჩანს სხვა არც ერთ ხელნაწერში.

5. ამქამად ჩანართად მიჩნეულ სტროფში: „თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელ ხმელთა მგლეღად...“ (169, ვრცელი გამოცემით), სარიტმო კლაუზულაა „ლეღად“, ხოლო კრიონთან და „გურგენასეულში“ კი გვაქვს „ლეღი“, რაც აგრეთვე არ დასტურდება არც ერთ სხვა ხელნაწერში.

6. საიუბილეო გამოცემის 196-ე სტროფში ყველა ხელნაწერით ვკითხულობთ: „ექვსნი რამე ცხენოსანნი...“, ხოლო კრიონისა და შესაბამისად „გურგენასეულში“ გვაქვს ამგვარი წაკითხვა: „სამნი რამე ცხენოსანნი...“

7. დასასრულ მოვიტან კიდევ ერთ დამახასიათებელ მაგალითს: უცხო მოყმის საძებრად მიმავალ აეთანდილისათვის თინათინს უთქვამს: „ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხედეს ხისაცა რგულისა...“ ეს ადგილი საკმაოდ ბუნდოვანია და, როგორც ჩანს ამის გამო, გადამწერლებს იგი თავისებურად უსწორებიათ. ძალზე სპეციფიკურია „გურგენასეულისა“ და შესაბამისად კრიონის ხელნაწერის წაკითხვა. გადამწერს თითქოს გაუაზრიანებია ფრაზა: „მე ქმრად არ მინდა უშენოდ, რომ ხასი მამხედეს გულისა...“. ირკვევა, რომ ასეთი წაკითხვა არ არის რომელიმე სხვა ხელნაწერში (შედარებით ახლოსაა ზემოთნახსენები ხელნაწერი Q—261, რომელშიც ვკითხულობთ: „მე ქმრად არ მინდა უშენოდ, რომ მამხედეს სახე გულისა...“).

დასკვნა: ყველა მონაცემით (შედგენილობით, წაკითხვებით, ხელნაწერის ისტორიით) დასტურდება, რომ კრიონის მიერ ნახული და აღწერილი ხელნაწერი, რომელიც აქამდე დაკარგულად ითვლებოდა, არის იგივე, ამქამად „გურგენასეულის“ სახელით ცნობილი, ნუსხა. ამასთან აღსანიშნავია შემდეგიც: კრიონის მიერ მოცემული აღწერილობა კვლავ ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას. პირველი—„გურგენასეულ“ ხელნაწერს დაკარგული აქვს პროლოგის შემცველი ფურცლები, ხოლო კრიონის აღწერილობიდან ჩანს, რომ თავის დროზე ამ ხელნაწერს ჰქონდა ისეთივე ტიპის პროლოგი, როგორც ეს ჩვენ ვნახეთ Q—261 ხელნაწერზე მსჯელობის დროს. მეორე—კრიონის აღწერილობით შემონახულია ზოგი ისეთი სტროფის წაკითხვა პოემის სხვადასხვა ადგილებში, რომლებიც დღეს დაზიანებულია „გურგენასეულ“ ხელნაწერში.



## ნარჩევები და სხვა სიძველეები იკორთაში<sup>1</sup>

იოსებ მამრალიძე

(წარმოადგინა აკად. აღ. ბარამიძემ)

სოფელი იკორთა და იკორთის ტაძარი ახლა (1957 წ.) შედის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის არცევის სასოფლო საბჭოში. მისასვლელად მოკლე გზაა ტყვიავიდან ფლავისმანზე გავლით, გინდ მეჭვრისხევიდან ზემო არცევეზე ავლით.

„საქართველოს სსრ სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ არქიტექტურის ძეგლთა სიაში“ (თბ., 1952, გვ. 62, № 400) იკორთის ტაძარი 1172 წ. დასახელებულია ს. ზემო იკორთაში. არა, ტაძარი ქვემო იკორთაში მდებარეობს. ზემოში მხოლოდ ნიშია და შორსაა პირველიდან; ტყეშია. მაღალია ქვემო იკორთაც.

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ორბოძლის მთის სამკრით არს, მთის კალთასა შინა, იკორთას, მონასტერი დიდი, გუნბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი“<sup>2</sup>.

მთის სამხრეთ ფენს ვანათამდე გვერდის ძირი ეწოდება და იგი უფრო მოსავლიანია.

იკორთიდან ისროლის ხევისა და ჟამურის დასავლეთიდან ვანათისაკენ მიემართება პატარა ლიხვის ხეობა; თვით იკორთა გეოგრაფიულად პატარა ლიხვს არც კი ეკუთვნის.

იკორთასთან მიახლოებისას ს. ფლავში იოანე ნათლისმცემლის სახელობის თავისებურად ნაგები ეკლესიაა (ირგვლივ 1 მ განის გვირაბისებრი მინაგები აქვს აგურისა).

თქმულებით, ფლავისმანის თავზე რომ წყაროა, იქედან მოდიოდა აქ წყალი, ლეკებმა მოუწყვიტეს ის ქვემოთ მცხოვრებთ და აიძულეს, ეკლესიიდან გამოსულიყვნენო.

სამხრეთიდან გარე გვირაბით (კარიბჭისებრი მინადგამით) გვირაბი დასავლეთით გადის (აგური 19×19 სმ).

<sup>1</sup> დამატება ავტორისავე ნაშრომისა „წარწერები და სხვა სიძველეები დიდი ლიხვის ხეობაში“, რომლის ექვსი თავი უკვე გამოქვეყნებულია (1952—1962 წ.). შეეძქეს ის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სომეხები“, ტ. 99, თბილისი, 1962 წ. (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, მიძღვნილი პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგისადმი). იქვეა აღნიშნული, თუ ნაშრომის პირველ ხუთ თავთანავე რომელი სად და როდის დაიბეჭდა, გვ. 243—244. სამწუხაროდ, ფოტომასალას ვერ ვაქვეყნებთ, მაგრამ ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის წარწერათა ტექსტები მათ გარეშეც გამოიყენება.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 70.

ასეთი გვირაბია მთელ სამხრეთ და დასავლეთ გვერდებზე.

1873 წლის ცნობით, იკორთაში 22 ქართველი ოჯახი სახლებულა; ახლა 15 ოჯახი ოსი ცხოვრობს, ისინიც ბარისაკენ ილტვიან.

იკორთის ტაძარი აღწერილი აქვს დ. ბაქრაძეს. იგი შენიშნავს, რომ, მ. ბროსეს აზრით, ეს ტაძარი 1172 წ. აუგიათო, მაგრამ ეს სწორი არ ჩანსო; აღდგენილია კი XVII საუკუნეში ქართლის მეფის შაჰნავაზის დროს, ქსნის მმართველი ესე ერისთავის მიერო.

იკორთის ტაძარი 1811 წლამდე საარქიმანდრიტო ყოფილა<sup>3</sup>.

სხვა ცნობით, „ეს ტაძარი წმ. მთავარანგელოსის მიხეილის სახელობაზეა აშენებული მეექვსე საუკუნეში და 1817 წლამდის მონასტრად ითვლებოდა: აქვე იყო სასულიერო სასწავლებელი, — მონასტერს დიდძალი ადგილ-მამული ჰქონდა“... მასში „განისვენებენ წმ. გვამნი ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ერისთავთა, რომელთაც მიიღეს გვირგვინი წმ. მოწამეობისა სპარსთაგან 1660 წელსა“<sup>4</sup>.

მართლაც, ეს ტაძარი ქსნის ერისთავთა განსასვენებელია (იხ. ქვემოთ).

იკორთის ეკლესიის ეზოში მარმარილოს ეკვტერის (საფლავის ძეგლის) ნაწილი ძვეს. სურათი აღარაა შიგ, მაგრამ სათანადო ამოჭრილი აქვს.

ქვის პირველ მხარეს ახატია სამეფო გაშლილი სამოსელი გვირგვინით და აქვს წარწერა:

„აჰა, ესა ღმერთი შემწე ჩემდა და  
უფალი შემწყნარებელი (ი) სულისა ჩემისა (.)  
აქა განისუფნებს გ<sup>5</sup>ვამი

კნიაუნა (სო)ფიასი.

თავადის ბიძინა ერისთავის ასულისა (.)  
დაბადებულისა ჩყლეს წელსა აპრილის დსა (.)  
(გარ)დაცუალებულისა ჩყვეს წელსა  
ნოემბრის ვსა დღესა“.

ასოებით აღნიშნული რიცხვები ციფრით იხ. ქვემოთ რუსულ ტექსტში.

«Княжна

Софія Бидзиновна

Эристова

родилась 4-го апрѣля 1835 г. (.)

Скончалась 16-го апрѣля 1886 г.»

გარეთვე, მარმარილოს მაღალი ძეგლის შუაში ჩრდილოეთ მხარეზე იკითხება:

„იდუმალ ქველის<sup>6</sup> მომქმედი (.)  
მამაცი (.) ზრდილი ქართველი (.)  
ქირ-გადახდილი ამ ქვეყნად (.)

<sup>3</sup> Д. З. Бакрадзе, Кавказ в археологическом отношении. — Записки Общества любителей Кавказской археологии, Тбилиси, 1875, гл. 73, აქვეა დასახელებული მანინდელი სათანადო ლიტერატურა; შდრ. Графиня Уварова, Христианские памятники. — Материалы по археологии Кавказа, ნაწ. IV, მოსკოვი, 1894, გვ. 154—158.

<sup>4</sup> გახ. „ივერია“, 1895, 168.

<sup>5</sup> ამოტეხილია.

<sup>6</sup> იკითხება ქვედის.

ყველასთვის კარგის მძრახველი  
**ბიძინა ერისთავის შვილი (.)**

**მიხაილ** სახელდებული (.)

აწ მოიხსენიე(,) უფალო(,)

შენდამი მოწოდებული (.)

დაიბადა 12 თებერვალს 1828 წელსა (.)

მიიცვალა 7 მაის 1894 წელსა“.

ამავე ქვის სამხრეთ მხარეზე: —

«Генераль Леитенантъ

Князь

**Михаил Бидзинович**

**Эристовъ**

Родился 12 февраля 1828 года,

Скончался 7 мая 1894 года».

ისევ ტაძრის ეზოში უბრალო ქვაზე წერია:

„ესე საფლავი გოცაძე გოგი(-)

სია (.) ვინცა წაიკითხო(-)

თ(,) შენდობა მიბძანეთ (ქკს ჩყ)ე“.

(1890 წ.)

იკორთის ეკლესიის აღმოსავლეთით, კედელთან თუჯის დაფა ძვეს<sup>7</sup>, 1,42 მ-ია, ვანი — 70 სმ. იწყება გვირგვინის გამოსახულებით და შემდეგ ამ თუჯის დაფაზე მხედრული ამობურტული ასოებით წერია:

„სოფლისა გამხრწნელი

სიკვდილი (.) მოპოებული

პირველისა მამისა ჩვე(-)

ნისა ადამის მიერ შური(-)

თაეშმაკისათა (.) მეწია

მეცა და დამდვა ქვეშე

ამაეპიტაფიისა, რტო ჩი-

ნებულთა, გვაში კნენინა

ერისთავისა<sup>8</sup> თამარ პა(-)

ატა აბაშიძის ასული(,) შო(-)

ბიდგან ოცის წლისა (.) აღმ(-)

ოშკითხველთაგან ვითხ(-)

ოვ შენდობასა (.) ჩყპგ-სა წე-

ლსა ივნისის ბ დღესა“.

სამხრეთი კარის ქვემოთ, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თუჯის დაფაზე მხედრული ასოებით:

„აქა განისვენებს გვა[მი]...“

დავითის ძის ქსნის ერისთავისა (,) გარდაცვალე-

<sup>7</sup> ადგილზე არაა, კედელზეა მიყუდებული. დარაჯი ბაგრატი ამბობს: ეგ ქვა ჭარბთ იღვა და შიგ შემოიტანესო. იგი წინათ შიგვე იწებოდა ასეთივე თუჯის დაფის გვერდით.

<sup>8</sup> წერია ერსი თავისა.

ბულისათსა სექდემბერს ჩყადსა წელსა (.)  
ხოლო შობიღგან ნა-ის წლისა.  
ქემან მისმან ვ. დავით მწუხარებრთ უქმნა  
სახსოვარი ესე“.

«Здесь покоится тѣло  
князя **Георгия Давидова**  
сына **Эристова**, скончавшегося 9 сентября 1864 года  
на 51 году отъ рожденія.  
Скорбящий сынъ его князь  
Давидъ посвящаетъ сей памятникъ».

გიორგი ერისთავის საფლავის გვერდით შავ ქვაში ჩასმულ თეთრ მარმარილოზე წერია:

- (1) „ქ. მოსახსენებელსა ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე არს გვაში გარდაცვა-
- (2) ლებულის პოდპორუჩიკის და კავალერიის თავადის **იესე შანშეს**
- (3) **ძის ქსნის ერისთავისა** (.) რომელი საზოგადოაჲ ვალისა მიმცემი
- (4) მიეფარა მღელვარესა სოფელსა ამას შობიღგან თვისით ლთ-სა წელსა  
(39 წ.).
- (5) და დაუტევა მოწყლული მტკივნეულეებითა საყვარელი მეუღლე
- (6) თვისი ნინა მელიქოვის ასული და ჩჩვილი ძე თვისი ვლადიმირ.
- (7) აღმომკითხველთა ამისათა გთხოვთ შენდობასა ჰყოფდეთ სულისა
- (8) ამა ლოდსა ქვეშე მდებარესათვის (.) ოკდომბრის კდ-სა დღესა ჩყმე-  
სა წელსა“.

(1845 წ. 24 ოქტ.).

სამხრეთი კარის წინ შიგნიდან შავ ქვაში ჩასმულ მარმარილოს ქვაზე (სიგრძე — 1,28 მ, განი — 0,60 მ) ლაშაზი მხედრული ასოებით წერია:

„ამა სახსოვარსა ქვეშე  
განსვენებს (პო)ლკოვნიკის  
თავადის გრიგოლ ერისთავის  
მეუღლა: კნენინა **მარია**მი,  
გენერალ ოტინფანტერიის  
**გიორგი ერისთავის ასული** (.)  
შობილი 1-სა ივლისსა 1818 წელსა  
და გარდაცვალებული 6-სა იანვარსა  
1882 წელსა“.

მარიამ ერისთავის საფლავის გვერდით, შავ ქვაში ჩასმულ პატარა მარმარილოს დაფაზე ჯერ ყვავილებია გამოსახული და აქეთ-იქიდან მათზე ნისკარტ-მიდებული პირისპირ მდგარი ორი მტრედია გამოსახული. შემდეგ წერია:

„სახელ სოლომონ ლუბერსკის სეკრეტარი  
**ივანე დავითის ძე** (.) **გვარად ქსნის ერ(ის)თავი** (.)  
დედით თინათინ მაჩაბელთ ქალეებით,  
აპრილის შვიდსა სიკუდილსა შევწირეთ თავი (.)  
ვითხოვ შენდობას, ვით ერთი მონართავი  
(ფოთლოვანი ჩუქურთმა და შემდეგ—)  
დავეფალ აქა მონასტერ იკორთასა.



მშობელ მოყვასთა ვესტუმრე (,) ძმათა და დასა (.)  
 მშვიდობით მოველ ანგელოზთ ძალთა დასსა (.)  
 ნუ სტირთ(,) მოყვასნი(,) ცრემლს ნუ შეეუერთავთ ზღუასა(.)  
 ჩემს მეუღლესა გაბარებ (,) ძმად (,) და დასა (.)  
 ჩუკბ-სა“.  
 (1822)

მონასტრის დასავლეთი ნაწილის სვეტთან დიდ მთლიან მარმარილოს ქვაზე გვირგვინიანი სამოსელი ხატია და მის ქვეშ წერია:

„აქა მდებარებს გუამი ლენერალ-ოტინი(-)  
 ნტერის ქსნის ერისთავის გიორგი(-)  
 ისა, როსსიის ორდენთა მქონე(-)  
 ბელის, ანდრია პირველწოდებული(-)  
 სა და სხუათა; გარდაცვალებული(-)  
 სა 4 ნოემბერსა 1863 წ. 103 წლისა; რო(-)  
 მელსა უქმნეს სახსოვარი ძეგლი  
 ესე ასულთა მისთა კნენია ქეთ(-)  
 ევან ორბელიასაგან და კნენია მამ(-)  
 რიამ ერისთავისამან მხილველთაგან  
 წარსათქმელად: წმიდათა თანა გა(-)  
 ნუსვენე (,) უფალო (,) სულსა მონისა ამის შენისასა“.

ეს გიორგი ერისთავი ქსნის ერისთავთა შთამომავალი და თავისი დროის სახელოვანი და პოპულარული პიროვნება იყო. წარწერაში აღნიშნულია, რომ ის 1863 წელს 103 წლის გარდაიცვალა. ერთგან წერია, რომ მან 106 წელი (1759—1864) იცხოვრა<sup>2</sup>. უფრო სანდო პირველი რიცხვია. ცნობილია, რომ გ. ერისთავი 1802 წელს იყო რუსეთის არმიის ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის პოდპოლკოვნიკი; 1803 წელს ლეკებთან ბრძოლაში მან წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი დაიმსახურა, 1827 წლის 19 ოქტომბერს სპარსეთთან ომში საოცრად მცირე რაზმით აიღო თავრიზი, პასკევიჩის წარდგინებით ახალი დიდი ჯილდო მიიღო, მოიპოვა ანდრია პირველწოდებულის ორდენიც და ისე გაითქვა სახელი, რომ შემდეგ მას ანდობდა ხოლმე რუსეთის მთავარსარდლობა ურთულეს სამხედრო ოპერაციებში.

გ. ერისთავი გახდა რუსეთის ფეხოსანთა არმიის მაღალი ჩინოსანი (генерал от инфантерии), სენატორი და ანდრეევის კავალერი.

აწ უკვე გარდაცვალებულმა მსცოვანმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა გვიამბო: გ. ერისთავი იყო მრავალ ომში გამარჯვებული გენერალი. მისი დროის რუსეთში არ დარჩენილა არც ერთი სამხედრო ორდენი, რომელიც მას არ დაემსახურებინოს (საფლავის ქვაზეც სწერია: „როსსიის ორდენთა მქონე ბელი“, ი. მ.). იგი რომ პენსიაში უნდა გასულიყო, ყირგიზეთი იყო აჯანყებუ-

<sup>2</sup> Б. С. Есадзе, Летопись Грузии, თბილისი, 1913, გვ. 286—287. გ. ერისთავი არის ავტორი თეოლოგიური ნაშრომისა: „მამისაგან შვილის დარიგება“. — ჟურნ. „ცისკარი“, 1862, № 10, გვ. 67—77; შდრ. ანბ. გაჩეჩილაძე, ბრძოლა რელიგიის დამკვიდრებისათვის XIX ს. ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 1957, 104—105. ამ ჩვენი გენერლის შესახებ აღნიშნულია: ასის წლისამ ჭლთან (23 სექტემბერს 1861 წლისა) ზილვა ისურვა მეფისათვის. დიმი. ბერიძევის ლექსი „ლენერალ-ოტინფანტერის, თავადს გიორგი ერისთავზე“. — ჟურნ. „ცისკარი“, 1865, № 4, გვ. 47—50.

ლი. ვერ ჩააქრეს. გავზავნეს გ. ერისთავი, მან აქაც მალე გაიმარჯვა და დააჯილდოს რუსეთში მანამდე არარსებული ორდენით — Атаман казаческих войск.

გავიდა პენსიაში, იმპერატორმა ჰკითხა: რით დავაჯილდოო, რას ისურვებო.

გიორგიმ უპასუხა: რასაც თქვენი აღმატებულება ინებებს, თანახმა ვარო.

იმპერატორმა უთხრა: გავმგზავრეთ კავკასიაში, იქ მიიღებთ ჯილდოსო.

პეტერბურგიდან გ. ერისთავის თბილისში ჩამოსვლამდე მოვიდა ხმა, იგი მეფისნაცვლად დანიშნეს კავკასიაშიო. დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამს ქართული საზოგადოებრიობა, ჩამოვიდა გიორგი და ზემით მიიღეს, მაგრამ ოფიციალური ცნობა კი არ ჩანდა!... გ. ერისთავი ცხოვრობდა საკუთარ სახლში მუშუტაიდის ბაღის მახლობლად. გავიდა ხანი; ერთ დღეს რკინიგზის სადგურიდან ეტლით გიორგის ეწვია მისი ყოფილი ადიუტანტი ა. ი. ბარიატინსკი და უთხრა მას: Отец, его императорское величество соизволило меня назначить наместником, но без Вас я ничего не буду решать, т. ч. править будете Вы, примите меня!..

გ. ერისთავმა უპასუხაო: ამაზე ქართველებს შესანიშნავი ანდაზა გვაქვს:— ხან ისაა გრძელი და ხან ისაო, — დავნიშნეს, შენვე მართე, მე ნურაფერს შეკითხებო...

გიორგის კი მისცესო ატენის ხეობა. მან მასში ოსები ჩაასახლა და ამ ხეობის ტყითვე ვაკეთდა წიფის გვირაბიო, — დასძენდა ხოლმე ნეტარხსენებული ექვთიმე.

გ. ერისთავი უტეხი პიროვნება ყოფილა, მაგრამ, როგორც ქვემოწარმოდგენილი შვილის საფლავის ქვის წარწერიდან ჩანს, იგი ერთადერთი ვაჟის ლეკების მიერ მოკვლას მოუტეხია.

გ. ერისთავის გვერდით ქართული სამეფო გვირგვინის ნიშნის გამოსახულების შემდეგ იკითხება:

«Здѣсь покоится прахъ ея светлости  
царевны **Гайяны** дщери царя Всея Грузи  
Георгія 13-го стѣся временныя жизни къ не(-)  
утешному прискорбнью трехъ малолетѣтныхъ  
своихъ дѣтей и супруга преселившейся въ вѣ(-).  
чность 22-го іюля 1820-го года на 35-мъ году отъ рожденія.  
Благочестивой сей царевнѣ памятникъ сей соорудилъ супругъ ея  
командиръ Кавказской резервной гр(-)  
енадѣрской бригады генералъ майоръ и разныхъ  
орденовъ кавалеръ князь Егоръ Евсеевичъ К(-)  
санскій Еристовъ, оплакивая чувствительнѣй(-)  
шую и горестнѣйшую потерю незабвенной супруги  
своей (-)

(1) უ(ფალო,) საზღუარსა დაუსაბამოსა არსთა მიზეზისა მიერ განდევნილი ზეცაით სატანა ბნელსა უფ(-)

(2) სკრულსა, რომელი იქმნა ადამ მამისა ჩუენისა შ"რ მოიებდა და ღამთავრდა ამის სოფლისა, მან შური მიძია მაცდურებ(-)

(3) ითა თვისითა და მიმცა საშინელსა სიკვდილსა,



ზემოსა ივერისა მეფობისაგან ირაკლი მეორისა ქსნის ერისთავად  
წოდებულისა გიორგის ძისა პოდპოლკოვნიკისა და კავალე(-)  
რიის ელიზბარისი, საღმობიერად დამტევებელი  
საყვარელის ტან-ფეხ ახალისა თვისი ქვემოასა ივე(-)  
რიისა მეფის სოლომონ... ასულის მარიამ(-)  
ისა და სამთა ძეთა და ერთისა ასულისა შობიდან თვი(-)  
სით წლისა ო. ე. ისესა დაცა ნიშნად დაუფიწყარებისა  
დასდვა ეპიტაფია ესე მეუღლემან მისმან იტ...  
წარუბლალველად ხსენებად მისდა ჩუ. მ. იგ. კვ“.  
(1826, 13.VIII).

პირდაპირ ამის გვერდით, ქვაში ჩასმულ დიდ მარმარილოზე გამოსახულია  
მეფის სამოსი გვირგვინითურთ; ტანსაცმელზეა გამოსახული ხელში დროშიანი  
კაცი (მარცხენა ხელი დოინჯზე აქვს შემოდგმული). ქვაზე წერია:

«Здѣсь покійся тело  
полковника гвардіи кня (-)  
зя Григорія Ивановича Эристова (.)  
имевшего от роду  
57 леть и скончавшего-  
ся 23 іюля 1876 года».

ამის გასწვრივ კედელში ჩასმულ მარმარილოს ქვაზეც წერია:

«Здѣсь покійся полковника гвардіи князя  
Григорія Ивановича Эристова (.) имѣвшего от роду  
(5)7 леть и скончавшегося 23 іюля 1876 года».

„მწუხარებასა შინა მყოფმა გენერალ(-)  
ოტინფანტერის გიორგი ერისთავის  
(ა)სულმა მარიამმა დაესდევ რა მცირე(-)  
დი ძეგლი ესე საყვარელსა მეუღ(-)  
ლესა ჩემსა, ღვარდიის პოლკოვნიკსა  
გრიგორი ივანეს ძე ერისთავსა, შობილ(-)  
გან 57-ის წლისა მექონსა და აღსრულებ(-)  
ულსა 23-სა ივლისსა 1876 წელსა. გთხოვთ(.)  
ეპიტაფიისა ამის აღმომკითხველ(-)  
თა(.) ჰყოფდეთ წმიდისა ეკკლესიისა  
ლოცვასა ამას. განუსვენე(.) მხსნელო(.)  
მონასა შენსა თავადს გრიგორის და(-)  
უსრულებელსა ამას ნეტარებასა შინა შენსა“.

აღსავლის კარების წინ, მარჯვნივ ძალიან დიდ მარმარილოს დაფაზე ქარ-  
თული სამეფო გვირგვინია (ორი ლომი უკანა ფეხებზე მდგომარე, მათ გვერ-  
დით ცალკე ოთხკუთხედში კაცს მარჯვენა ხელში დროშა და მარცხენაში კვერ-  
თხი უჭერია. დროშის ტარის გვერდით ხმალია დარჭობილი). შემდეგ წერია:

„სოფლის მოვალეობა გარდვიხადე და საფლავად  
მივეცი სარდალ საღთსუცის მუხრანის ბატონის იოა-  
ნეს, და მეუღლესა მისისა მეფის ირაკლის ასულის ქეთა-  
ვანის, ასული ბარბარე თავადის თორნიკე ერისთავის მემ-



ცხედრე, დაუტევე მეუღლე და ორნი ასულნი(,) ელენე და ნინო(,) წელსა 1843-სა ივლისის 24-სა(,) შობთვან 53-ს წლისა. წარმოვგზავნე ქუა ესე რუსეთით ნიშნად სამარადისოდ ხსოვისა უძვირფასესისა მშობლისა ჩემისა, საყუარელმან ასულმან მისმან, ქურივად მყოფმან ელენე პოპოვისამ, უმდაბლესად მთხოველმან წამკითხუჭლოთვან ამი(-) სთა, რათა იტყოდეთ მისთვის შენდობასა და ცოდ(-) უათა მიტევებასა, რომელი მოელოდეს აღდგომასა მკურდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. ამინ.

Княгиня Варвара Ивановна Эристова (,) урoжденная княжна Багратион(-)Мухранская, родилась 1790-го года октября 4-го дня, скончалась 1843-го года июля 24-го дня . Память останется до гроба в сердце вашей дочери Елены Поповой».

ამის გვერდით შავ ქვაში ჩასმულ მარმარილოს მხატვრულ დაფაზე თავის კუთხეებში 2 ანგელოზი ახატია. შემდეგ თაღისებრ არეში კიდევ ორ დაჩოქილ ანგელოზს მეფის გვირგვინი უჭირავს ხელში; წარწერა იკითხება:

„აქა დაფლული მართა, მეუღლე თავადის ალექსანდრე შანშეს ძის ერისთავისა და ასული თავადის სოლოვისა, მყოფი ჯერეთცა ყუაფი(-) ლოვანსა ოცდაათსა წელსა შ ა(,)ველოდი რა დატკობასა სატრფოსა მეუღლესა და მცირეწლოვანთა შევილთ თანა(,) მაშინ შესაძრწუნებ(-) ელი იგი კმა საღმრთოჲსა მსჯავრისა: ძველთა მშობელთა ჩვენთა ცდომისა გამო განსაზღვრებული მოიწია ჩემზედა და მიმაქ(-)

ცია მიწაჲ მიწადვე 7-ს მარტს 1856-სა წელსა და დაუტევენ დედაჲ მოუწყვედელ ცრემლ მდინარე, შევილი ო(-) ბლადა(,) მეუღლე ღრმად მგლოვიარე, რომელმანცა სახსოვრად სიყვარულისათვისა დასდვა ლოდი ესე მტვერსა ჩემსა ზედა(,) აწ თქვენ(,) წამკითხველნი(,) მხედავთ რა თქვენთანა ყოფისაგან მოკლებულსა შენდობა ჰყავთ ჩემთვის“.

მის გვერდით, შავს ქვაში ჩასმულ მარმარილოს დიდ დაფაზე ჯვარი ხატია და შემდეგ აწერია:

„მოიხსენე უფალო სასუფეველსა შენსა ამა ლოდსა ქვეშე მდებარე მო(-) ნა შენი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ერისთავი, აღსრულებული ქალაქს პარიჲსა შინა 12 სექტენბერსა 1878 წელსა, ხოლო აქა დასაფლავებული 26 ოკტო(-) ნერსა<sup>ა</sup> ამავე წელსა, რომელმანცა 28 წლისა ახალგაზრდამ დაუტევა მწარეთ მგლო(-)

ვარენი და მტირალნი: მამა და მოხ(უ)ცე(-)

ბული დიდი-დედა თვისი“.

ამის გვერდით ისევ ქვაში ჩასმულ კარგ მარმარილოზე, რომელზეც თავში შეფის გვირგვინს ქვეშ მეომარი დგას დროშითა და ხმლით, მარმარილოს ქვის კიდეებს ვაზის ღერო მტეენებითა და ფოთლებით აქვს გამოკვეთილი.

ქვაზე წერია:

„თა რევაზ გიორგის ძე

ქსნის ერისთავ მეულ(-)

ლე(,) მეფეს ირაკლის

ასულის ანასტასიასი.

გარდაიცვალა 1814-ს

წელსა მარტში 61-ის

წლისა“.

მარმარილოს დიდი დაფა, ამოკვეთილი ვითომც ჩარჩოში მდებარე, იწყება სამეფო გვირგვინისა და ტანსაცმლის გულზე გამოსახულ დროშოსან-ხმლოსან მეომრით.

შემდეგ წერია ერთ დასადგამ მარმარილოს ქვაზე:

„აქა მდებარებს თრდ

დავით თარხნიშვილის ასული

კნენა

მართა (,) თავად გიორგი

ერისთავის მეულლე(,)

დაიბადა 1824 წელსა,

გარდ. 16 აპრილს 1908 წელს“.

ტაძრის ცენტრში ისევ მარმარილოს ქვაზე, მეფის გვირგვინის ქვეშ გაშლილ მოსასხამზე, ამოკვეთილია დროშა, ფარი, ხმალი და სხვა იარაღები.

იკითხება წარწერა:

«Здѣсь покоится прахъ

Александра Павловича князя Эристова

Флигель-адъютанта и полковника

бывшего предводителемъ дворянства

Горийского уезда тридцать три года.

Род. 1811-го года. Скон. 1883-го года 20-го Апрѣля (.)

აქა განისვენებს გვაში

ფლიგელ-ადიუტანტისა პოლკოვნიკისა თავადი

ალექსანდრე შანშეს ძისა ერისთავისა,

რომელიც ოცდაცამეტი წელიწადი განაგებდა გორის

მაზრისა თავად-აზნაურობის წინამძღრობასა.

დაიბადა 1811-სა წელსა

და აღსრულდა 1883-სა წელსა აპრილის 20 დღესა.

შენსას სასუფლის შევებასა“.

მარმარილოს დაფაზე იკითხება:

- (1) «Здѣсь покойтся тело полковника князя Захарія Георгі (-)
- (2) ева сына Эристова (,) убитого лезгинами в Закаталах 4-го Авг(-)
- (3) густа 1851-го на 35-м г. от рожденья:  
 Безутешный отецъ Генераль
- (4) Отинфантеріи князь Георгій
- (5) Јесеевичъ со слезами полагает
- (6) камень сей надъ могилою един-
- (7) ственного своего сына».

„აპა(,) ჩემდაცა მოიწია ბრძანებამან შე(-)  
 მოქმედისამან და დამდევს მე მიწა  
 მიწასა შინა თავადის ბიძინა ერისთ(-)  
 თვის კნენინა თამარ, თავადის იოსებ  
 მელიქოვის ასული, დაუტევე რა  
 კარგი ქმარი და შვილნი და განვეშორე  
 მათ საუკუნოდ (,) ხოლო ნიშნად  
 დაუვიწყარს სიყვარულსა შვი-  
 ლთა ჩემთა დამდეს ლოდი ესე  
 გულსა ჩემსა: სულმან მისმან  
 კეთილთა შა განისვენოს და ნათე-  
 სავმან მისმან დაიმკვიდროს ქვეყა(-)  
 ნა: აღვესრულე 1867-ს წელსა  
 აპრილის 7-ს დღესა“.

გვერდით მარმარილოს ქვეს თავში ჯვარი ახატია და განდაგან აწერია:

„ყოველთა კაცთა თანა წარუხდომელმან ვალმან  
 სიკვდილისამან მეცა მისტუმრა და მიმაქცია მიწადე.  
 თავადი ბიძინა რევაზისა და მეფის ირაკლის ასულის  
 ანასტასის ძე ერისთვიშვილი, შობილგან ოგ წლისა, რომელსა(-)  
 ცა 6-თა ძეთა ჩემთა აღმიჭურვეს სახსოვარი ესე(,  
 აღვსრულდი სეკდემბრის 17-სა დღესა 1876-სა წელსა“.

ამის გვერდით მარმარილოზე ვაზის ფოთლებისა და ყურძნის მტევნების  
 გამოსახულებით იწყება ძირჭობულა დიდი ჯვარი და შემდეგ წერია:

„საფლავსა ამას მდებარე არს  
 მონა ღეთისა თავადის ქსნის  
 ერისთავის რევაზის და ბატონის(-)  
 შვილის ანასტასიას ძე შალვა,  
 რომელიცა გარდაიცვალა 1894  
 წელსა აგვისტოს 13-სა დღესა.  
 მხილველთ გვედრით შენ(-)  
 ღობასა“.

ამის გვერდით მხატვრულ მარმარილოს დაფაზე განდაგან წერია:

- (1) „ამა საფლავსა შინა მდებარე ვარ კნენინა თავადის იოანე ერისთავისა-  
 თინათინ(,) თავადის გიორგი
- (2) ამილახერის ასული, ხოლო ღრდი ესე დაუვიწყარის  
 სიყვარულისათვის დამდვა გულსა ჩემსა ასუ(-)

- (3) ლმან ჩემმან კნიაენა ანნამ (.)  
 აღმომკითხველთაგან ვითხოვ შენდობასა (.)  
 ჩ ყ ო გ-სა წელსა მაისის ი ე-სა“.

(4) «Подъ симъ камнемъ покойтся княгиня  
 Ивана Эристова Тинатина (.) скончавшаяся

(5) 1873 года мая 15 дня».

ამავე ხაზზე (ჩრდილოეთი კედლისაკენ) მარმარილოს ქვაზე ჯერ ორ პირს  
 დიდი ჯვარი უჭერია და შემდეგ იკითხება:

- (1) „საფლავსა ამას მდებარე არს ტომობით დიდ გვარის პოლკოვნიკის და  
 კავალერის თავადის ელიზ(-)
- (2) ბარ ქსნის ერისთავისა და იმერთა მეფის დიდის სოლომონის ასულის  
 მარიამის ძეი
- (3) იოანე(.) შობილდგან 70 წლისა აღესრულა დეკენბერის 15 1841 წელსა(.)  
 იყო
- (4) მანათობელი კერძოისა ამის ქართველთა მემამულეთა შორის უპირ(-)
- (5) ველესი ბრძენი და განმარტებელ საღმრთოისა წერილისა და ფილო-  
 სოფურთა
- (6) საგანთა, მტკიცეთ მცველსა საღმრთოთა მცნებათა და მოყვარულ  
 მოყვასთა თვისთა უკ(-)
- (7) ანასენელ ეამამდე მყუდროდ განმატარებელ დროისა სახლსა შინა  
 თვისსა
- (8) ნუგეში და სასუება საყვარელის მეუღლისა(.) სამთა ძეთა და შვიდთა  
 ასულთ(.)
- (9) რომელთაცა ქრისტიანებრივის სწავლით აღზრდიდა(.) დაუტევა ესენა  
 დაუღევენლსა
- (10) ვაებასა შა(.) ჰეპიტაფია ესე შეადგინა მეგობარმან მისმან თავადმან
- (11) სვიმონ მაჩაბელმა“.

შემდეგ ეგვე წერია რუსულად.

საკუთრებელის გვერდით ჩარჩოში ჩასმულისებრ მარმარილოს დიდ დაფა-  
 ზე („ჩარჩო“ ვაზის ლერწით შემოვლებული ყურძნითა და ფოთლებით) იწყე-  
 ბა ჯვრით. შემდეგ — წარწერა:

- (1) „მოიხსენე(.) უფალო(.) ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა, აჟა მდებარე
- (2) თავადის იოანე ერისთავის ასული მარიამ, რომელი სიყრმიდ(-)
- (3) გან ჰეშმარტისა სიბრძნის მოყვარებითა თვისითა შეგეტკბო შენ
- (4) ნაგევად შემრაცხჳმლი<sup>11</sup> საწუთოისა ამის ცხოვრებისა და შენთა მო(-)
- (5) ისწრაფა მტიციითა (sic) სასოებითა მინიჭებასა  
 ზედა მისდა შენ ტკბი(-)
- (6) ლსა იესოსგან უოხჳნოჲსა ცხოვრებისა(.) თუმცა მოკლებამან  
 მისმან
- (7) მოსწყლა მწუხარებითა მშობელი ამისი(.) გარდაიცვალა შობით(-)
- (8) გან კე-ს წლისა ჩ ყ ნ თ-სა წელსა სექტემბრის  
 ი ბ-სა დღესა“.

ეგვე, რუსულად — 1859 წ. 12 სექტემბერისავე თარიღით.

იქვე ჩადგმულ მარმარილოს ქვაზეა:

„საფლავსა ამას მდებარე ვარ





- (5) მსურის ჩავსწვდე ბნელს საფლავსა გვერდით შენსა(,) მსწრაფლ  
მელოდე მე შენა.
  - (6) თვალთა ნათელო, დათა დიდებავ, მამის გვირგვინო(,)   
ესე ყოველი
  - (7) სრულად მიგველო(,)
  - (8) მზე მიგვეფარა, ბნელმან დაგვეფარა(,)   
შეება განქარვდა,   
უბე(-)
  - (9) დობისა კარი განგველო(,)
  - (10) მე მამა შენი ვფუცავ, მზესთ ძალსა უძლოსა,   
დაქცნა შეების
  - (11) ყვავილი, ვით წალკოტსა უწყლოსა,
  - (12) მე მაშინ მივიწიო სიხარულსა უცხოსა(,)   
როს ვიხილავ მე
  - (13) შენსა სასუფლის შეებასა“.
- დასავლეთი კარის თავზე იკითხება:

„...ა: შე...“

....როდამ დიდ....

...ცოლყ(ო)ფილმან...

...თის თავ-მან იესე ვიგულის-მო[დგინე]

[ღვთაებისაგან]?: ეს მთავარ-ანგელოზს

კელ-აქლად კელ-(ვ)ყ(ა)ვით: ჩვენ ვითაც და<sup>12</sup>...

ოთხი: სამკრო გავაკეთეთ(,) შიგნით სახლები...

ერებოდა: სამრეკლო ძირკვლით გავასრულეთ....

თა აღვაშენეთ სულისა ჩვენისა საოხად(,) ძეთა ჩვენთა...<sup>14</sup>

[სადღე]გრძელოდ(,) შეიწირე<sup>15</sup> წმინდანო(,) მთავარანგელოზო(,)   
მცირე<sup>16</sup> ეს სამსახური:.<sup>17</sup>

მეოხ გვეყენით დღესა მას დიდსა განკითხვისასა:

ამასვე: ქკსა ტა (1613 წ.)

შანაოზ მეფ“...

საკურთხევის სამხრეთით:

„აპა(,) უფალო(,) დამბადებელო(,) დაუსაბამო(,) დაუსრულებელო და   
მიუწვდომელო ღ'თო, რომელმან(ნ)

შექმენ კაცი თიხისაგან და განაცხოველე საღთოსა სული(-)

ით შენით მცნებისა გარდამავალმან პ'ლმან მამამან

დამკვიდრა (?) დასითა სიკვდილითა და მიიქცა იგი მიწადე

სულისაგანი ნებისა (?) შორისა ქვემდებარებმან მხვეალმან შენმან

ასულმან

<sup>12</sup> აღდგენილია მ. ბროსეს წაკითხვის მიხედვით. კედელზე ახლა ეს სიტყვა აღარ იკითხება (იხ. M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique... VI, გვ. 68).

<sup>13</sup> მ. ბროსე—ვითაც დიმი...

<sup>14</sup> იქვე—სასულით...

<sup>15</sup> იქვე—შეიწირეთ.

<sup>16</sup> იქვე—მეორე.

<sup>17</sup> იქვე—ესე მსახურე...

...თავადის თამაზ ჯანბაკურ ორბელიანისა და მეუღლემან თავადისა...  
 ...ნინ ამ აღვასრულე ვალი იგი საღთოსა ბძანებისა შენისა დადებულ  
 და უწ...

...მსხლ იქმნა... ჩემსა

უქამოდ დაჰყო ლოდსა ამასა

...დროებისა ამასა საწუთოსა ოცი წლისა ჩყვებ-სა წელსა:

დ...და დამდევს მე აქ მტვერი მტვერადვე საფლავად(,) რომელნცა

დავუტევე ერთგული მეუღლე, დამწუხრებულნი მშობელი(,)

ძმანი და დანი(,) საუკუნოდ სიხარული(,)

წარწერილი ეპიტაფია ესე ჩემი(,) ამომკითხველნო და მხილველნო(,)

მომიხსენოთ ჩემებრ მოგზავნი (?) გთხოვთ ყოველთა (,) რათა ჰყავდეთ-

ჩემსა“...

ქვემოთ ოთხი სტრიქონი აღარ იკითხება.

იკორტის კედლის წარწერებში ფრესკასთან საკურთხეველში მთავარული-  
 ასოებით:

„მ(ე უ)ფ ე ო დ(ა ვ ი)თ(,)

ს ი ბ რ ძ ნ ე (-)

ს ა წ ი ნ ა

მ(ო)ძ ღ(ვ)არ ო

მ ე ც ნ ი ე რ“.

იქვე მდებარე წოწოლას ციხის დაფა ციხეზე აღარ ეკიდა. ძირს ეგდო და  
 ტაძარში შევიტანე. მას აწერია:

„წოწოლა ციხე

არქიტექტურული ძეგლი

დაცულია სახელმწიფოს მიერ“ და სხვ.

იკორტაში 28—29/VIII—1957 წელს შევამჩნიე ქართული მ გ ლ ო ვ ა ნ ი  
 ასოებით შესრულებული წ ა რ წ ე რ ა; აღმოსავლეთი კედლის სარკმლის ქვეშ  
 იკითხება:

„ქ(რისტე) (!) შეიწყალე იგნ(ა)ტი სლთნ<sup>18</sup> .

აღმოსავლეთ კედელზე მზის საათის ნახევარი წრეა ქართული ანბანით.

## НАДПИСИ И ДРУГИЕ ДРЕВНОСТИ В ИКОРТА

И. В. МЕГРЕЛИДЗЕ

(Резюме)

Находящийся в Арцевском сельском совете Цхинвальского района (1957 г.) Юго-Осетинской автономной области Грузинской ССР ансамбль построек знаменитого Икортского монастыря (1172 г.), кроме своих художественных достоинств, обращает на себя внимание и тем, что в нем находится акрополь (XVIII—XIX вв.) известных ксанских эриставов феодальной Грузии.

<sup>18</sup> სულთანი?! შინაარსით უნდა ეწეროს „...იგნატის სული, ამინ“.

Помимо надписей исторического значения самого монастыря, в акрополе сохранились надмогильные каменные и металлические плиты с прозаическими и стихотворными надписями относительно таких известных лиц, как, например, классик грузинской литературы, драматург — Георгий Давидович Эристави (1813—1864 гг.), генерал от инфантерии, автор нескольких стихов и теологическо-дидактического сочинения — Георгий Евсеевич Эристави (1760—1863), его родные и члены семьи, Бидзина Эристави со всеми чадами и домочадцами, в том числе дочь Ираклия II — Анастасия (+ 1814), ее сын Шалва, Элизбар Эристави и дочь Соломона имеретинского — Мария, ее сын ученый Иоани (+ 1845 г.), дочь царя Грузии Георгия XIII — Гаянэ (+ 1820 г.) и многие другие (см. выше. некоторые надписи — по русски).

---



## ოსალეთთან სოლომონ გეორგის უათიქათობის უათი უათიზოლი

ნ. უათუელია, ს. უათიქია

(წარმოდგინა აკადემიკოსმა გ. წერეთელმა)

ქვემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტი საქართველოს ისტორიის ერთი ეპიზოდის შესახებ დაბეჭდილია XIX ს. თურქი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის აჰმედ ჯევედეთ ფაშას „ისტორიის“ (تاریخ جواد) მეცხრე ტომში (გამოც. წ. 1292=1875; გვ. 380—382).

აჰმედ ჯევედეთ ფაშა დაიბადა 1822 წელს ბულგარეთის ერთ-ერთ სოფელ ლოფჩაში. მამამისი ჰაჯი ისმაილ აღა წარმოშობით ქირქ-ქილისადაც იყო. ახალგაზრდა ჯევედეთ ფაშამ აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. შემდეგ ის სტამბოლში გადავიდა სასწავლებლად. 1848 წ. ჯევედეთმა თავის მეგობარ ფუად ეფენდისთან ერთად იმოგზაურა ბუქარესტში. იქიდან დაბრუნების შემდეგ ის აქვეყნებს მთელ რიგ ოსმალურ დოკუმენტებს და სამეფო კარის დიდ ყურადღებას იქცევს. 1855 წ. მას ნიშნავენ სახელმწიფო კარის ისტორიკოსად. შემდეგ იგი ასრულებდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დავალებებს; იყო ალაბის, ბრუსის, მარაშისა და სირიის განმგებლად; სამჯერ იყო განათლების მინისტრი. ორჯერ ეკავა იუსტიციის მინისტრის თანამდებობა; იყო აგრეთვე სავარეო საქმისა და სამრეწველო საქმის მინისტრი.

აჰმედ ჯევედეთ ფაშა გარდაიცვალა 1895 წელს. მან დაგვიტოვა ნაშრომები ლოგიკაში, პოეტიკაში, ისლამისმოცოდნობაში და სხვა დარგში; ის იყო ფართო განათლების ისტორიკოსი, რომელსაც ამჟამადაც დიდი ანგარიში ეწევა. მის კალამს ეკუთვნის თორმეტტომიანი ისტორია, სადაც აღწერილია 1774—1825 წლების ამბები. მას ხელი მიუწვდებოდა როგორც სახელმწიფო არქივებში დაცულ დოკუმენტებზე, ისე მის წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებზე. ის თავისი „ისტორიის“ წერისას იყენებდა წინამორბედი ისტორიკოსების — ვასიფის, ენვერის, ედიბის, ასიმის და სხვათა თხზულებებს. მას ხელი მიუწვდებოდა აგრეთვე არაბულ წყაროებზედაც<sup>1</sup>

<sup>1</sup> Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, ლეიფციგი, 1927; გვ. 376—380; აჰმედ ჯევედეთ ფაშას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ: Islam Ansiklopedisi, cilt 3, cüz 22, სტამბოლი, 1944. M. Şakir Ülkütasir, Cevdet Paşa, hayati-sahsiyeti — eserleri (1822—1895), ანკარა, 1945; Ebülulâ Mardin, Medeni hukuk cephesinden Ahmed Cevdet Paşa, სტამბოლი, 1946; და სხვ.



აღსანიშნავია, რომ ა. ჯევდეთ ფაშას „ისტორიის“ სხვადასხვა ტომებში უხვად არის გაბნეული ცნობები XVIII—XIX სს-თა საქართველოს შესახებ. მას დაწვრილებით აქვს აღწერილი ამ პერიოდის რუსეთ-თურქეთის ომები, ამ ომებში კავკასიის ხალხთა მონაწილეობა, საქართველოს საკითხები და სხვ. ა. ჯევდეთის „ისტორია“ საინტერესო წყაროა ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად. მას როგორც წყაროს არანაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის. ა. ჯევდეთის „ისტორიის“ სხვადასხვა ტომებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების გამომზეურება უთუოდ სასარგებლო საქმეა.

საინტერესოა ჩვენთვის აგრეთვე თურქეთის საისტორიო საზოგადოების მიერ გამოცემული ა. ჯევდეთ ფაშას „თეზქერების“ პირველი ტომი<sup>2</sup>, სადაც თავმოყრილია 12 „თეზქერე“. აქედან მეთერთმეტე „თეზქერეში“ ჯევდეთ ფაშას დაწვრილებით აქვს მოთხრობილი საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის ხალხთა მდგომარეობის შესახებ XVIII—XIX სს-თა მიჯნაზე.

ა. ჯევდეთის „ისტორიის“ IX ტომში დაბეჭდილი ოსმალეთის სულთნის მაჰმუდ II-ის (1808—1839) სოლომონ II-ისადმი გაცემული სიგელის დედანი თუ სად არის დაცული ან საერთოდ მოაღწია თუ არა ჩვენ დრომდე, ჯერჯერობით არ ვიცით. ჩვენ მას ვაჭყეყნებთ აქ ა. ჯევდეთის მიერ გამოცემული პირის მიხედვით. ოღონდ ზოგიერთი ადგილი აშკარად დამახინჯებული ჩანს და ჩვენ იგი ვავასწორებთ (იხ. ქვემოთ ტექსტი).

ფირმანი გაცემულია 1811 წელს იმერეთის მეფის სოლომონ II-ისადმი. ამ დროს უკვე სოლომონ II ტყვეობიდან გაქცეული ახალციხის ფაშას აფარებდა თავს.

სოლომონ II დაიბადა 1773 წელს. 1789 წელს შინაფეოდალური ბრძოლების შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა. სოლომონ II დაუცხრომლად იბრძოდა საკუთარი სამეფო ტახტის შენარჩუნებისათვის. რუსეთის ცარიზმში ამზადებდა ნიადაგს სოლომონ II ხელისუფლების გასაუქმებლად. 1808 წ. მთავარმართებელმა გენერალმა გუდოვიჩმა მიიღო რუსეთის ხელშეწყობის ბრძანება იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებისა და იქ დროებითი მმართველობის შემოღების შესახებ. ასეთ ვითარებაში სოლომონ II ცდილობდა კავშირი დაემყარებინა ირან-ოსმალეთთან და მათი დახმარებით სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა. რუსეთის ცარიზმსა და სოლომონ II შორის ურთიერთობა უფრო და უფრო მწვავედებოდა. სოლომონ მეორისთვის ნათელი იყო რუსეთის ცარიზმის განზრახვა და ამიტომ იგი რუსის ჯარის იმერეთიდან გაყვანას მოითხოვდა. რუსი მოხელეები კი ცდილობდნენ სოლომონ II-ის მოტყუებით ხელში ჩაგდებას და რუსეთს გადასახლებას. 1810 წ. მათ სოლომონ II დაატყვევეს და თბილისში ჩაიყვანეს, მაგრამ ძალიან მალე, იმერეთის ერთგული თავადების დახმარებით იქიდან გამოიქცა და ახალციხეში გადავიდა<sup>3</sup>.

სოლომონ II-ის იმერეთიდან წასვლა იმერეთის სამეფოს დასასრული იყო. ახალციხეში გადასული სოლომონ II ყოველნაირად ცდილობდა თურქე-

<sup>2</sup> Cevdet Paşa, Tezakir, 1—12, Yayınlayan prof. Cavid Baysun, ანკარა, 1953. ა. ჯევდეთ ფაშას „თეზქერეს“ მეორე ტომი, რომელიც შეიცავს 13—24 „თეზქერებს“, ამჟამად ინახება თურქეთის საისტორიო საზოგადოების გამომცემლობაში.

<sup>3</sup> იმერეთის სამეფოს გაუქმებასთან დაკავშირებით მ. გონიკიშვილმა ამაჰ. წინათ გამოაქვეყნა წერილი. იხ. მ. გონიკიშვილი, შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 129—135.

ბის დახმარებით იმერეთში თავისი უფლებების აღდგენას. მან იმერეთში პროკლამაციები დაგზავნა და მოსახლეობას მოუწოდა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. მთელი იმერეთის აჯანყებას თავისი ერთგული თავადების დახმარებით სოლომონ II ხელმძღვანელობდა. თავის მოწოდებაში იმერეთის მოსახლეობისადმი სოლომონ II ახსიათებდა ცარიზმის რეჟიმის უარყოფით მხარეებს, რუსი სამხედრო მოხელეების თვითნებობას და მოუწოდებდა იმერეთის მოსახლეობას მათ წინააღმდეგ აჯანყებისაკენ<sup>4</sup>. სოლომონ II-ის მოწოდებამ თავისი შედეგი გამოიღო და 1810 წ. ივნისში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. სოლომონ II ახალციხიდან გადმოვიდა და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. მთელი იმერეთი მას მიემხრო.

იმერეთის აჯანყება დიდ საფრთხეს უქადდა ცარიზმის ბატონობას საქართველოში. რუსეთის ცარიზმმა სამეგრელოსა და გურუის მთავრების დახმარებით შეძლო იმერეთში აჯანყების ჩაქრობა და ამით საქართველოში მიძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა. იმერეთის აჯანყება დამარცხდა. იმერეთში დამყარდა დროებითი მმართველობა. სოლომონ II ოსმალეთში გაიქცა.

იმერეთის აჯანყების დამარცხება სავსებით კანონზომიერი იყო. სოლომონ II-ის მეთაურობით მომხდარი იმერეთის აჯანყება არ იყო პროგრესული, რამდენადაც მას ხალხისათვის აწიოკების მეტი არაფერი მოუტანია. სოლომონ II კი ამ აჯანყებაში ცდილობდა ირან-ოსმალეთის ძალების დახმარებით თავისი უფლებების აღდგენას; ეს კი ობიექტურად იწვევდა იმერეთში ირან-ოსმალეთის აგრესიული ძალების გაბატონებას, და ეს მაშინ, როდესაც იმერეთის სამეფოს არსებობა ისტორიულად განწირული იყო; აღმოსავლეთ საქართველო უკვე რუსეთთან იყო შეერთებული და დღის წესრიგში იდგა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმების საკითხი.

ახალციხეში გაქცეული სოლომონ II სულთნის მთავრობას დახმარებას სთხოვდა; შემდეგ სოლომონ II ერევანს გადავიდა და იქიდან ირანის შაჰთან ეძიებდა დახმარებას. როცა შაჰისგან ვერ მიიღო დახმარება, იგი ისევ ახალციხეში დაბრუნდა. ამ დროს რუსის ჯარის სარდალმა ტორმასოვმა სოლომონს მისკა წინადადება დაეტოვებინა ახალციხე, თბილისში გადასულიყო, სადაც იგი რუსეთის იმპერატორისაგან მიიღებდა წყალობას და სათანადო პატივს. მაგრამ სოლომონმა უარპყო ეს წინადადება, რამდენადაც მას ეს დაპირება თვალთმაქცური ეჩვენა<sup>5</sup>.

ახალციხეში მყოფი სოლომონ II არ ისვენებდა; იგი სულთნის დახმარებას ელოდა და მისი შემწეობით იმერეთის სამეფოს აღდგენას ლამობდა. სწორედ სოლომონ II-ის ახალციხეში ყოფნის დროს არის მისადმი სულთნის მიერ გაცემული ფირმანი, რომლითაც ოსმალეთის მთავრობა სოლომონ II პირდებოდა დახმარებას და იმერეთის სამეფო ტახტზე აღდგენას. ფირმანიდან ჩანს, რომ სულთნის მიერ მიღებული წყალობა და დაპირებანი ძალიან ზოგადია; იგი კონკრეტულად იმერეთის მეფისადმი ვერავითარ დახმარებას ვერ ითვალისწი-

<sup>4</sup> Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, т. IV, თბილისი, 1870, № 343, 344; აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 70; მაშია დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 193.

<sup>5</sup> Акты...т. IV, № 327; აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 79.



ნებდა, გარდა იმისა, რომ მოსაზღვრე რაიონების ფაშები გაფრთხილებულ იქნენ ღონისძიებათა მისაღებად.

ქვემოთ მოტანილი ფირმანის შინაარსი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ აქ ნათლად ჩანს სულთნის მთავრობის ლოიალური დამოკიდებულება სოლომონ II-ისადმი და სოლომონ II-ის მიზანი — იმერეთის სამეფო ტახტის დაბრუნება ოსმალეთის დახმარებით. ამ ფირმანის შინაარსს აქ ვებეჭადეთ იმიტომაც, რომ ნათელი გახდეს სოლომონ II-ის პოლიტიკური ნაბიჯის ობიექტური ხასიათი. სოლომონ II ნებით თუ უნებლიეთ ქვეყნის საზიანოდ მოქმედებდა. იგი თურქთა ძალების მოშველიებით, თავისი სუბიექტური საქმიანობის ობიექტური შედეგებით საქართველოში თურქთა გაბატონების მომხრის როლში გამოდიოდა. ამით იგი საქართველოს დიდ საფრთხეში აგდებდა.

სოლომონ II-ის პოლიტიკური ნაბიჯი ისტორიულად განწირული იყო. მართალია, სოლომონ II-ის მთავარი მიზანი იმერეთის სამეფო ტახტის აღდგენა იყო და ამისათვის ის არ ერიდებოდა უცხო მაჰმადიანური ძალების ზომკეობას, მაგრამ ეს ღონისძიება თავისთავად არაპროგრესულ ხასიათს ატარებდა.

ახალციხეში ყოფნისას სოლომონ II-მ სულთნის მთავრობისაგან დახმარება ვერ მიიღო. ახალციხიდან იგი არზრუმის საფაშოში გადავიდა, სადაც მას სულთანმა მიუჩინა მუდმივი ბინა; მაგრამ არზრუმის ფაშასთან უკმაყოფილების გამო სოლომონ II ტრაპიზონში გადასახლდა. ტრაპიზონის ფაშა ოსმან-ხაზინედარ ოღლიმ, ვითარცა ქართველ თავადთა შთამომავალმა, სოლომონ II დიდი პატივით მიიღო. სოლომონ II აქვე, ტრაპიზონში გარდაიცვალა 1815 წლის 7 თებერვალს. ტრაპიზონში მყოფმა ქართველებმა სოლომონ II ბერძენების წმიდა გრიგოლის ეკლესიის გალავანში დაასაფლავეს. მისი საფლავის ძეგლზე ქართულად აწერია: „საფლავსა ამას შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩყიე (=1815 წ.) ჰსაჯენ, უფალო, მეწებელნი ჩემნი და ჰბრძოდენ მბრძოლთა მათ ჩემთა. მომიხსენეთ მე, მმანო, საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ“.

მეორე გვერდზე აწერია: „განმეძარცვა მე პირველი ქმნილი სიკეთე და მშეენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდებულ საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაცა ვითხოვ შენდობასა. 7 თებერვალს 1815 წელსა (ქორონიკონი ჩყიე)“<sup>6</sup>.

სოლომონ II იმერეთიდან ახალციხეში გადასვლის შემდეგ მისი ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესწავლაში ქვემოთ მოტანილი ფირმანის შინაარსი გარკვეულ შუქს შეიტანს; მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში სოლომონ II-ის საქმიანობის შესახებ ჩვენ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. სოლომონ II-ის მეფობის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლადაც ამ დოკუმენტს უსათუოდ მნიშვნელობა აქვს.

<sup>6</sup> ალ. ხახანაშვილი, მეფე იმერეთისა სოლომონ მე-II (1810—1919), თბ., 1910, 83. 76.



### آچق باش خانہ یازیلان فرمان صورتی

آچق باش ملكى سليمانہ حكم كه ايمرہ بالا سردارى كى خسرو و ايمرہ زيرہ سردارى داويد زيدت صداقتها يدلريله بو دفعه عتبه عليه كردون وقار و سده سنه عنایت مداريمه سنك و سنكه معا دائره اطاعت و اتقيادده اولان تواد<sup>۱</sup> و ازناورلرينك ورود ايدن عريضه لرى مفومنده اوتهدنبرو دولتليه اختصاص و مصادقترى دركار و مركز رضاجويى و استقامتده اصرارلرى بيدار اولان كورجى طائفه لرينى براز زماندر اضلال و حيل و خدعه ايله كورجستانه قصد و تصدى و استيلا ايدن مسقولو عسكرى بوندن اقدام تقليس طرفه پاى انداز مكر و حيل اولدقلرنده رعايى دولتليه مه و املاك و اراضيلرينه ضرر و زيانلرى اولميه جفته يمين .الله ايدرك اول امرده استمالت و امنيت صورتى كوستروب سو قصد و اعتدا و بالنفس سنى اغفال و تقليس طرفه ارسال ايله حيس و توقيف مثللو تهديدات اشعار و ايمان ايتمشلر ايسه ده سنكه ملك مومى اليهسك ذاتنده مركز اولان غيرت و شجاعت لازمه سنجه روسيه لونك دست ستم پيوست خديه كارانلرندن قورتيلوب برو طرفه كلدكدنصكره مسقو عسكرينى

1. ايمرہ بالا — სპარსულ ყაიდაზე დალაგებული სახლგერულ-მსახლგერე-ლები: ايمره (თ-ი) და بالا (სპ.). 'ხემო', 'ჰემო' (სპ.) 'ქეემო' (ხემო იმერეთი და ქეემო იმერეთი). ფირმანის ორიგინალში უნდა ყოფილიყო **ალა** იმერ და იმერ (მართალია, თურქები იმერეთს აჩიკ-ბაშს (აჩყ باش) უწოდებენ, მაგრამ თვით იმერეთის დანაწილებისას ქართული სახელებია გამოყენებული). 'ა' ხე დაბოლოებული არაბ. სიტყვები თურქულში უმთავრესად -ა ან -ე ბოვნებითაა გადმოსული. ამდენად ამ დოკუმენტის გამომცემელმა (ისტორიკოსმა ჯეედეთ<sup>2</sup> მა ან, შეიძლება, დოკუმენტის შემდგენელმაც) **ალა** — იმერეთ-ი, ალბათ, სხვა არაბული სიტყვების ანალოგიით **ალა** — იმერ<sup>3</sup> და გამოიღო (შდრ. არაბული: **وَقَعَة** — ვაქათ — თ. **وَقَعَة** — ვაქა, **وَعْدَة** — ვადათ — **وَعْدَة** — ვადე და სხვ.

<sup>2</sup> ძველი საქართველოს პრივილეგიურ წოდებათა აღმნიშვნელი ქართული სხეციფიკური ტერმინები თაგად-ი და ახნაურ-ი, ბუნებრივია, თურქულ გნაშიც ამავე ქართული სიტყვებით გადმოიცემოდა (იხ. ს. ჯიქია. XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი, «თბილისის უნივერსიტეტის შრომები», 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბილისი. 1962, გვ. 161—185 აგრეთვე: **تاریخ پشوی II**, გვ. 41, 43 და სხვ. ბევრგან). აქ გამომცემებული დოკუმენტის ამ ადგილას და ქვემოთაც ერთხელ გვხვდება გამოთქმა **ازناورلر** (ნუგვებ ვე ახნაურლარ), რომელშიც, ვფიქრობთ, გაუგებლობის ნიადაგზე პირველი სიტყვა დამაბინჯებელია. საცქაოდ რთული დივანის დამწერლობით შესრულებული ფირმანის გამომცემელს ჯეედეთ ფაშას, როგორც ირკვევა, პირველი **تواد** (თავად) სიტყვა შეცდომით **نواب** (ნუგვებ)-ად ამოუყობავს და გაუახიანებია. **نواب** მრავლობითის ფორმაა. არაბ.

**نائب** სიტყვისა, რომელიც რომელიმე თანამდებობის პირის 'შემცველს', 'რწმუნებულს',

'მოადგილს', 'ნა'იბს, ნიშნავს. ამ კონტექსტში კი ნა'იბ-ი || ნუგვებ-ი მოსალოდნელი არ არის, თუ გნებავთ, იმიტომაც, რომ იმერეთში ოსმალური წარმოშობის აეთი სამთხელეო თანამდებობა არ ყოფილა. ამდენად ჩვენ ამ დოკუმენტში ორთავე ადგილას **نواب** სიტყვა **تواد**-ად გავასწორეთ.

მდაწვევით ყიამ აილდისკიკ და აზნაორლინიკ სოზლრი სნიკე ბრაბრ აოლერყ  
 ბმნე ალოლი ბონდნ ბოილე დხი აცდა დოლთ აბდ მდთმ ცლიმნე ღრკთ აიტმკ აოზრე  
 თკმილ ლოაზმათ სფრიბე მტრბა შმდი ახსედე ამათ აიტდისკიკ თჩრი და ბიან ღლნშ  
 აოლმღე ღკრ აოლნან ცრიწე აილე მცა მომი აბჰმა ადმლიკიკ და კლადი სლუთ სნიმე ღალა  
 და ღლმა ცრუ აიტდკრი ღჩრი რკაბ მსტუბ საჰანე მე თდრიმ აოლნდწდე ღმლენკ მფომ  
 და მალ სდაღთ აშთალი მლომ ცლმ ააღმ ბრაი ღდიოანემ აოლმშდრ კორღსთან კლასი  
 აჯდად ცღამკ ჰმ ღლილელილე ღმიმე მმალკ მჯროსემ აოლდიწი თარიღდნ ბო  
 ანე კლნჯე სკან და ღუან და მრა და ღაბუანი დათა ღლფ და ნოაზ და ან და ასაბშდნ  
 ბერი ბრ ში მშაჰდე აბმდკრდნ მაცდა დათრე ბეიბ დოლთ აბდი დოამდე აოლან  
 სნოფ რეაია და ცჯრე და წეფა და ბალჯმლე ბაი და კდანკ მალოფ აოლდღლრი აბინ და  
 აცდარბნე ბიოჯე მდაღლე აოლნმაღ აზოლ სლუთ სნიმენ აიდოკი ჰრკსკ მჯრბ და  
 მჯრომი აოლდიწე ნაე ბოილე რეაია ბრორ და ცდალ კსტრ დოლთ ღოი შოკთმ ღოლღნი  
 ბრაღობ ანჯამი ღჰიმ და აცბტი ღიფ ცღიმ ალეჯღ ღრღრლე მილ და მთაბე აბთმე  
 ღკკრი ჰაჰრ და ბო ბაბდე ღეე და ღრღლრბნი აკლარ და აიშკ სოკნი მლაცჰე აბდრ  
 ბნდკან ღმილ ნშანმლე მცა და სნიკე ბრაბრ ააღორ ჰმაბონმდე სადკანე სცი და ბღრთ  
 აბდნლრ საბე მკარმ დაბე დაოარნე მდე მსტუღ და მჯმი ალარაფ აოლბ აოზრიკდნ მნკლ  
 აოჯოე ანჰარ მრახმ ათარ ღდიოანემ. ბიდრიღ და ალაფ ბეაიათ ღდაონდკარანემ დათმი  
 ათსოიღ ღლნეჯწი ბდბი და ბაჰრ აოლმდწნაში მყწაი ღოთ და ჰალე კორე აოლ ჰოალიბე  
 ტრბბ და სრბბ აოლნან მჰმათ დაფიენკ ღოთ და ღმანილე აბრშდ ბრლმსი და სნიკე ღეეაბ  
 მჯაბრე აბდრკ კორღსთანდნ როსე ლონკ კაბა დეწი ასაბი ასთწვალ აოლნსი ღსოვლრი  
 ჰალა არზრომ დაბსი და შრღ ღანიბი სრეცკრი დსტორ ღზრბ ამინ პაშა ადამ ალლე  
 თეალი აჯალლე ღრღნე მდმა და ბო დეწე მჯსოვა თჩრი და თნიბე და თაკიდ აოლნმშდრ  
 ღოეეე კლან ღრკათ სადკანეკი თწსინა ეჰდე კდე აოლან აეღ ბაშ მლკსი აბა აოლნობ  
 აყწა აბდნ მნშოზ ღდბდე ბლე მცა ღლე ჰაწე მლოკანემდნ მსოღ მოჯბ სრორე დოღე  
 ბრ თობ ღლთ მორთ ბეჰეე და შმდილკ ღრღაკ აოლერყ ბშიბკ ღროშ ცღბე აოლმღ  
 აოზრე სრეცკრ მშარალიბე ღრღნე არსალ და ასრა და კიწბ ღდღრ დაბსი დსტორ ღზრ  
 მკრმ შრბფ პაშა ადამ ალლე აჯალლე ღანიბნე დხი აფადე დაწა აოლნმღე მჯსოვა აშბო ამ  
 შრბფ ცალიშანმ აصدარ და ადმლრკ მომი აბჰმა მცაოდღლრ ბლე ბეწ და თსიარ აოლნმშდრ  
 აბმდი ღლთ სნიბე პადაშანემი და ცღბე ბებე შეწაშანემლე აბაე მნშორ ჰმაბონსი  
 სრეცკრ მშარალიბე ღანიბდნ ღრღნე დაწლ აოლნდწდე ღსოვათ თეღიმ და აბჯალ აილე ასტეაბ  
 და არაბშ ღიბ და დოშ მფაღრთ და ასთეალ აბდობ დოლთელებე აბრაზ და აჰარ აბდისკიკ  
 ღლავს და მსადღთ ლოაზმნი ბონდნ ბოილე დხი აბაბე და მრკზ რებთდე თაბდმ აოლბ  
 მრასმ სდღ და მჰლოეწი აჯრა აბდნლრ დაბ ბბრბ სლუთ სნიმე აოზრე ღრღ მჰაბონ  
 ღდიოანემდნ მჰრ ცნაბ და ანთაღ აოლეჯღლრბნი ჰოათბ კორღსთანდნ აყწა აბდნლრკ

كوش هوشيارينه القايه سعى و غيرت و صرف مكنت ايدرك چلدري واليسى وزير  
 مشارالیهك رأى و تدبيرى ايله على الدوام مدافعة اعدايه و تأليف قلوب رعايا و ضبط  
 و ربط مملكت و انكابه قيام و دوام ايلديكك حالده حقهكده دركار اولان حسن  
 توجهات پادشاهانه روزبروز متزايد و افزون و جوهله لطف و نوازش خديوانه  
 ظاهر و رونمون اوله جفى معلومك اولدقده مجبول اولديكك اخلاص و مصادقت و لوازم  
 متابعت و مطاوعتى اجرا و هر حالده توجه شاهانه تزايدينه اعتنا ايلمك باندنه فرمان  
 عايشانم صادر اولمشدر تحريراً فى اواسط ربيع الاول لسنة ست و عشرين و مائتين  
 و الف<sup>9</sup>

### აჩიკბაშის<sup>10</sup> ხანისადმი<sup>11</sup> მიწერილი ფირმანის<sup>12</sup> პირი

აჩიკბაშის მეფეს სოლომონს<sup>13</sup> ვუბრძანებთ: ზემო იმერეთის სარდლის ქა-  
 იხოსროსა<sup>14</sup> და ქვემო იმერეთის სარდლის დავითის<sup>15</sup> (იმატოს მათმა ერთგულე-  
 ბამ) ზელით ამჯერად ჩემს მაღალ ღირსებამოსილ ზღურბლსა და ჩემს უზენაეს

<sup>9</sup> «تاريخ جودت», ტ. IX, 1292 წ. ჰიჯრისა [=1875 წ.], გვ. 380—382.

<sup>10</sup> ძველ თურქულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში იმერეთი საერთოდ აჩიკბაშად  
 (თურქულია; ნიშნავს: თავლია, უჭედო) არის ცნობილი. ამაზე დაწერილებით იხ. ს. ჭიჭია,  
 «გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი», III, თბილისი, 1958, გვ. 80—83.

<sup>11</sup> ხანი — მბრძანებელი, მეფე, მონარქი, სულთანთა ტიტული; შემდეგ კი ამ დოკუმენტში  
 სოლომონ II მელიქ (ملك)-ად (ე. ი. მეფედ) იხსენიება.

<sup>12</sup> ფირმანი-ი (სპ.) — უზენაესი ხელისუფლების მიერ გაცემული წერილობითი ბრძანებუ-  
 ლება.

<sup>13</sup> თურქულ დედანში سليمان — სულიმანი წერია.

<sup>14</sup> ზემო იმერეთის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი იყო სოლომონ II-ის ერთგული თავად-  
 თავანი. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმერეთის სამეფოში სოლომონ II-ის პოლიტი-  
 კური ზრახვების განხორციელებაში. ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით ქაიხოს-  
 რო წერეთელი ბოლომდე ერთგული დარჩა სოლომონ II-ისა და ახალიცხუში გაქცეულ მეფეს  
 სხვა ერთგულ თავადებთან ერთად თან ახლდა. ფირმანის შინაარსიდანაც ჩანს, რომ ქაიხოსრო  
 წერეთელს ქვემო იმერეთის საჭრალ დავითთან ერთად სოლომონ II-ის მორჩილების წერილი  
 მიუერთმევია სულთნისათვის.

<sup>15</sup> ქვემო იმერეთის სარდალი დავითი გვარად აგიაშვილია, რომელიც ქაიხოსრო წერეთელ-  
 თან და გიორგი წულუკიძესთან ერთად 1810 წელს რუსეთის ცარიზმის ჯარების წინააღმდეგ  
 საომარ მოქმედებას ეწეოდა (Акты..., ტ. IV, გვ. 230; 241; 242). იმერეთის სამეფოში შემო-  
 დებული დროებითი მმართველობის წესდებაში სავანგებოდაა ხაზგასმული იმერეთის სამეფო-  
 ში სამი სარდლის არსებობის შესახებ: ესენი იყენენ: 1) ქაიხოსრო წერეთელი, 2) სიმონ  
 წულუკიძე და 3) დავით აგიაშვილი (იქვე, გვ. 262). ამავე აქტებში  
 1811 წლის 10 ივნისის თარიღით მოტანილია გენერალ ტორმასოვის გენერალ რუმიანცევის-  
 დმი მიწერილი წერილის შინაარსი, სადაც ნათქვამია: „Имею честь почтеннейше Вам донести  
 о полученном мною чрез лазутчика известии, что недавно пред сим прибыли из Цар-  
 града (ე. ი. სტამბოლიდან—ბ. შ., ს. ჯ.) в Эрзерум князья Канхосро Церетели  
 и Давид Агиашвили, бежавшие с царем Соломоном с пове-  
 лением от султана, чтобы Эрзерумский сераскир снабдил царя 300 кесеами  
 денег и чтобы действовал он со всеми силами против нас...“ (იქვე, გვ. 775).



და კეთილგანწყობილების საყრდენ კარიბჭეში შენგან და შენთან ერთად მორჩილებისა და ერთგულების ფარგლებში მყოფ თავადთა და აზნაურთაგან მიღებული თხოვნის წერილების შინაარსი შემდეგს გვატყობინებსა და გვანიშნებს: ქართველი ტომების ოსმალთა სახელმწიფოსადმი კეთილდამოკიდებულება და ერთგულება ოღითგანვე უდავოა და მათი სიმტკიცე (ჩვენს) მომხრეობასა და გულწრფელობაში ნათელია. ერთი ხანია, რაც მოსკოველთა ჯარებმა თაღლითობით, ოინებზითა და თვალთმაქცობით, ხელი აღმართეს საქართველოზე და იგი დაიპყრეს. ამას წინათ მათ თბილისის მხარეში ცბიერებითა და ოინბაზობით რომ ფეხი მოიკიდეს, ღვთით ფიცი დადევს, რომ ჩემც მაღალი სახელმწიფოს ქვეშევრდომებს და მათ ქონებასა და ადგილ-მამულს ზარალსა და ზიანს არ მიაყენებდნენ და ამ თვალსაზრისით მათი გულისმონადირება მოინდომეს და თავიანთი თავი მისანდოდ მოაჩვენეს. ბოროტი განზრახვითა და მტრობით (მათ უნდოდათ) თვით შენი მოტყუება და თბილისისაკენ შენი გამგზავრება, დაქერა და დაპატიმრება და [სხვა] ამგვარი მუქარები, ჩვენ მოგვეწერეს და სიტყვიერადაც გვიამბეს, რომ მიუხედავად ამისა, შენ რომ ზემოხსენებული მეფე ხარ, შენში თანდაყოლილი თავგამოდებისა და მამაცობის შესაბამისად. მას შემდეგ რაც რუსის დასაგმობ და თაღლით კლანჭებს თავი დააღწიე და აქეთკენ გადმოხვედი, შენ მოსკოვის ჯარის დაცვას წინააღმდეგობა გაუწიე და ყველა თავადთან და აზნაურთან შეთანხმებით და ერთსულოვნებით, ღმერთის შემწევობით, ახლაც, ჩემი სამარადისო სახელმწიფოს მტერთა წინააღმდეგ სამოქმედოდ მთელი სამხედრო საჭურვლის მოლოდინში ამქამად ახალციხეში იმყოფები. აღნიშნული თხოვნის წერილთან ერთად ზემოხსენებული შენი კაცების მიერ ჩემი უზუნაესი სამეფოს ვეზირებისათვის სიტყვიერად და წერილობით მოხსენებული (ცნობები) ჩემს მაღალ მეუფებას რომ წარედგინა, ყველა ამ ერთგულების შემცველი ამბების შინაარსი და აზრი ჩემი ქვეყნის დამამშვენებელი მეუფებისათვის ცნობილი გახდა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მხარე ჩემი დიდებული წინაპრების უზუნაესი მზრუნველობით ჩემი კეთილად დაცულ სახელმწიფოს შემოუერთდა, აქამდე მის მკვიდრებსა და მოსახლეობას, მმართველებსა და ჯარის მეთაურებს მუდმივი სიამოვნებისა და გულთბილობის, მშვიდობიანობისა და სიწყნარის გარდა არაფერი უნახავთ. ამას გარდა, ყველას მიერ აღიარებული და მტკიცედ ცნობილია, რომ ჩემი მარადიული სახელმწიფოს ქვეშევრდომობის ფარგლებში მცხოვრებ რაიჯეთების<sup>16</sup>, უძღურთა და უმწეოთა ფენებისთვის და ყველა მდიდართა და ღარიბთათვის ჩვეულებით განმტკიცებულ წესებსა და ადათებში სრული ჩაურევლობა ჩემი უზუნაესი სამეუფეო კანონია. ამიტომ ცხადია, რომ ასეთი რაიჯეთის მოყვარული და სამართლიანი ჩემი ძლიერი და ბრწყინვალე სახელმწიფოს ხელქვეითობას არ დატოვებენ და არ გადაიხრებიან და არ დაექვემდებარებიან იმ მხარეს, სადაც მათი მომავალი და ბედი საშიშროებასა და უსამართლობაში აღმოჩნდება. ამ თვალსაზრისით ნათელი და აშკარაა აგრეთვე, რომ ის ჩემი საფარველ ქვეშ მყოფი ქვეშევრდომები, რომელთაც შეუძლიათ გაერკვნენ სიკეთესა და სიავეში და რომელთაც შესწევთ უნარი ვაითვალისწინონ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას, და (აგრეთვე) ისინი,

<sup>16</sup> არაბ. რაიჯეთ (راجهت) — მრავლ. რეჯაჲ (سراج), ამ დროისათვის ეს სიტყვა უკვე ოსმალთა სახელმწიფოს არამუსლიმ ქვეშევრდომს ნიშნავს.



ვინც შენთან ერთად ჩემი მეუფებისათვის ერთგულ სამსახურს გასწევს და გულისხმიერებას გამოიჩენს, ჩემთვის ჩვეული სამეფო გულუხვობის მეოხებით უზრუნველყოფასა და ყოველმხრივ უშიშროებაში იქნებიან. თქვენთვის დაუზოგველად იქნება ყოველგვარი ჩემი სამეუფეო წყალობა და გამუდმებით გაიცემა დაუსრულებელი უზენაესი წყალობანი. ამიტომ დროისა და ვითარებათა შესაბამისად, მაგ ადგილებისათვის დამზადებული და გამოგზავნილი საკმაო რაოდენობის საომარი საჭურვლის დროულად მიწოდების, შენთან წერილობითი ურთიერთობის დამყარებისა და საქართველოდან რუსობის მთლიანად გასადევნად ღონისძიებათა მიღების საქმეების შესახებ აღრეც და ამქამადაც მიეწერა და უკვე გაფრთხილებულია არზრუმის ვალი და აღმოსავლეთის მხარეთა<sup>17</sup> მთავარსარდალი ჩემი დესთური<sup>18</sup> და ვეზირი ემინ ფაშა<sup>19</sup> (მაღალმაღმერთმა ხანგრძლივ ჰყოს დიდებულება მისი). შენს მიერ შესრულებული ერთგული მოქმედებანი იმსახურებს ჩვენს მოწონებას. (ამდენად) შენზე დაკისრებული აჩიებაშის მეფის თანამდებობა შენ დაგეტოვება. ზემოხსენებულ მთავარსარდალს გამოეგზავნა (საამისოდ) საჭირო ახალი უავგუსტოესი ფირმანი და ჩემი სამეუფეო საგანგებო ხალათებიდან სიასამურისა და სიხარულის გამომწვევი შეკერილობისა და სიამის მომგვრელი საპატიო ხალათი და ჭერჭერობით საბოძვარად და სახარჯოდ ხუთი ათასი ყურუში.

ეს ვითარება განემარტა და ეცნობა აგრეთვე ჩილდირის ვაღლინ პატივმოხილ დესთურსა და ვეზირს შერიფ ფაშას<sup>20</sup> (ალლაჰმა ხანგრძლივი ჰყოს დიდებულება მისი). საგანგებოდ გამოიცა ეს ჩემი პატიოსანი და მაღალღირსეული ბრძანება და ზემოხსენებული შენი კაცების უკან დაბრუნებისას გაიგზავნა. ახლა, როდესაც ჩემი სამეუფეო უზენაესი ხალათი, ჩემი საშაჰინშაჰო ეს კეთილი საბოძვარი და [თანამდებობის] შენარჩუნების [დამადასტურებელი] უავგუსტოესი ჩემი ფირმანი მისგან [ვალისაგან] შენამდე მოაღწევს, დიდებითა და საზეიმო სვლით შეეგებე მას და გულმკერდ დამწვენებული გულუხვად და იყავი. შენ მიერ ოსმალთა სახელმწიფოს წინაშე გამოჩინებული და გამომჯღავნებული ერთგულება და გულკეთილობა შემდეგშიაც გქონდეს და ქვეშევრდომთა შორის მტკიცედ იყავი. ვინც ჩემდამი ერთგულებასა და მორჩილების წესებს შეასრულებს, ჩემი უზენაესი მეუფების ძველი ჩვეულების მიხედვით, ჩემი უავგუსტოესი სამეფო წყალობისა და კეთილგანწყობილების ღირსი

<sup>17</sup> ივარაუდება აღმოსავლეთ ანატოლია.

<sup>18</sup> დესთურ-ი (სპ.) — დიდგვარულიანი ვეზირი, მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწე.

<sup>19</sup> ემინ ფაშა — ემინ ზადე ემინ ფაშა არზრუმის ალთაიანი იყო. აქვე საბაჟოს განაგებდა. 1810 წლის ბოლოს ვეზირის რანგით დაინიშნა აღმოსავლეთ ანატოლიის მთავარსარდალსა და არზრუმის ვალის თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე ოთხ წელიწადს იყო. შემდეგ დიარბექირის ვალის თანამდებობა ეკავა ერთ წელიწადს, რის შემდეგაც გარდაიცვალა (იხ. Sicil-i 'Osmani, I, გვ. 423).

<sup>20</sup> შერიფ ფაშა — ისპაჰ ფაშის (ყოფილი თბილისის ვაღლინ?) შვილიშვილის სულეიმან ფაშის შვილია. სხვადასხვა თანამდებობათა შესრულების შემდეგ პიჯრის 1206 (= 1791—1792) წ. ჩილდირის ვაღლინ ადგილზე დანიშნეს. „სიჯილი-ი ოსმანის“ ავტორის მიხედვით, შერიფ ფაშა ამის შემდეგ სხვადასხვა დროს იყო მარაშის, ალაბისა და აღანის ვაღლინ, შემდეგ, ყარსის, დიარბექირისა და (მეორეჯერ) აღანისა. 1808—1809 წლებში კარა-პისარისა და ბოლოს 1809—1810 წწ. ტრაპიზონის ვალი და შავი ზღვის სანაპიროების მთავარსარდალი გახდა. [Sicil-i 'Osmani, III, გვ. 1311 (?)].

ვახდება. ძალიან ეცადეთ, რომ ქართველთა ტომის საჭირო პირებისადმი დიდი გულმოდგინება და გულისხმიერება გამოიჩინოთ და ყურადღებით მოექცეთ. ჩილდირის ვაზის, ზემოხსენებული ვეზირის რჩევათა და წინდახედულობათა გათვალისწინებით თუ შენ განუწყვეტლივ ხელს მიჰყოფ მტერთაგან თავდაცვას, ქვეშევრდომთა გულის მოგებას და სახელმწიფოსა და მხარეში წესრიგის დამყარებას, შენს მიმართ გამოჩენილი ჩემი სამეუფეო კეთილი განწყობილება დღითი-დღე გაიზრდება და გაძლიერდება და ჩემი ყოველგვარი სამეუფეო გულითადობა და სიამტკბილობა გამოვლინდება და გამომჟღავნდება და რღ-დესაც (ყველაფერი ეს) შენთვის ცნობილი გახდება. შენში თანდაყოლილ ალალ-მართლობასა და ერთგულებაში და უეჭველ ქვეშევრდომობასა და მორჩილებაში იყავი და უსათუოდ დიდი გულისყურით მოეკიდე შენდამი ჩემი სამეუფეო კეთილი განწყობილების გაძლიერებას, რაშიაც გაცემულ იქნა ჩემი მაღალღირსეული ფირმანი. დაიწერა რებზ - 'ულ-ევეელის მეორე ათეულში, ათას ორას ოცდაექვს წელს (=1811 წლის 5—14.IV).

## ძველი ქართლის ლექსიკონი

ილია აბულაძე

### 7. ვაჰმან-ი—ვაჰმან-ი

ამ სიტყვას რამდენიმე ძველ ქართულ წერილობით ძეგლში ვხვდებით ესენია: «მამათა ცხოვრება» ანუ «პატერიკი», თარგმნილი ბერძნულიდან თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, და «ვისრამიანი», სპარსულიდან გადმოღებული XIII ს-ის პირველ ათეულში.

«მამათა ცხოვრებაში» ეს სიტყვა «ვაჰმან» ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო «ვისრამიანში» — «ვაჰმან-ით». აღრიდელია «ვაჰმან-ი», რომელიც სუსტი «ჰ»-ს დაკარგვის შემდეგ გადაქცევს «ვაჰმან-ს», რაც დასახელებულ წყაროში «ვაჰმან-ის» სახითაა დაცული.

ამ სიტყვის შინაარსის დადგენა ხერხდება, ჯერ ერთი, «მამათა ცხოვრების» იმ კონტექსტების მიხედვით, რომელთაც ეს სიტყვა («ვაჰმან») მოეპოვება და, მეორე, შესაბამისი ადგილებით სომხური «პატერიკისა» (*Վարդհարանյ*), რომელიც აღნაგობით ქართულის თანმხვედრობია. აი ეს ადგილები:

ა) «შენ, ვინმე, ვაჰმანო დედაქაცო, მოგუალე ჩუენ თანა» (A—1105, 192 r.), შდრ. სომხ.: *Այս անուն կին, դու არի գნասցოք*<sup>1</sup>;

ბ) «შენ, ვინმე, ვაჰმანო ქალო» (A—1105, 421 r.);

გ) «შენ, ვაჰმანო კაცო, სადა დასდევ უტხოჲ იგი ნამარხევი» (A—1105, 426 r.), შდრ. სომხ.: *«Այս անուն ար, դու, ուր სიჭիր գասაღն այս»*<sup>2</sup>.

ქართული კონტექსტებითა და სომხური წყაროს შესაბამისი, ადგილების თანახმად «ვაჰმან-ი» აღნიშნავს: «ესადაესს» ან, დღეს რომ იტყვიან, — «მავან-ს».

ესევე შინაარსი აქვს ამ სიტყვას «ვისრამიან-შიც»: «ვაჰმანის საქონელი ვაჰმანისა არისო». «ვისრამიან-ის» მეორე გამოცემაზე დართული ლექსიკონის მიხედვით (შემდგენელი პროფ. იუსტ. აბულაძე, რომელსაც სიტყვათა განსამარტავად სპარსული «ვისრამიან-იც» გამოუყენებია) «ვაჰმან-ი» აღნიშნავს: «არაბულ ჭულან—ესადაეს-ს»<sup>3</sup>, ე. ი. ქართ. «ფლან-ს», რაც იგივე «მავან-ია», რომელიც დღეს ქართულშია (მეტად აღმოსავლურ კილოებშია) გავრცელებული<sup>4</sup>.

<sup>1</sup> *Վարանյ վարդ* ისპაჰანის ახალი ჯუღას გამოცემა 1641 წლ., გვ. 204<sup>2</sup>.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 491<sup>3</sup>.

<sup>3</sup> ვისრამიანი, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი ი. აბულაძისა, თბილისი, 1938, გვ. 360.

<sup>4</sup> «ვაჰმანისა» და «ვაჰმანის» ფორმით იცნობს ამ სიტყვას «ვისრამიანის» მიხედვით დოქ. ივ. ქავთარაძე (ლექსიკონი, დართული წიგნზე «ძველი ქართული ლიტ-რის ქრესტომათია», II, შედგენილი ს. ყუბანეი შვილიძის მიერ, თბ., 1949), რასაც განმარტავს სიტყვით: «მავანი».



„ვაჰმან-ი“ და „ვაამან-ი“, ჩვენი დაკვირვებით, სხვა არაფერია, თუ არა სპარსული **ناه**; ბაჰმან, რომელიც, პაკობ ტიუზიანის ლექსიკონის<sup>5</sup> მიხედვით, იხმარება თურმე აღსანიშნავად უცნობი პირისა, რომელსაც მუდამ თან ახლავს ხოლმე „ჰქლან“ სიტყვაო. ი. იაველოს განმარტებითაც სპარს. **ناه**-ბაჰმან, აღნიშნავს „ვინმე-ს“, „ვილატ-ას“<sup>6</sup> („кто-то, известное лицо, ч. н. известное“), ე. ი. იმავე „მავან-ს“, რომელიც ამჟამად ლიტერატურულ ქართულშიც იხმარება.

ამრიგად, გამოთქმები— „შენ, ვაჰმანო კაცო“, «მამათა ცხოვრებისა» და «ვისრამიანის» „ვაამანის საქონელი ვაამანისა არისო“ — სხვას არას აღნიშნავს, თუ არა: „შენ, მავანო კაცო“ და „მავანის საქონელი მავანისა არის“.

„მავან-ი“ სპარსული „ბაჰმან-ის“ შესატყვისი გვეგონია არა მარტო შინა-არსით, არამედ ფორმითაც. „მავან“ უნდა მომდინარეობდეს „ბაჰმან-იდან“: „ბაჰმან“ → „ვაჰმან“ → „ვამან“ და, ბოლოს, მარცვლების გადასმით, ანუ მეტათეზისით— „მავან“ („ბ“-ს და „ვ“-ს მონაცვლეობისათვის შდრ.: ავგარდანი ← **انگردان** — abgardān; ავშარაჯი ← **ابشار** abšār; არდაველი ← **اردآبيل** — ardābil)<sup>7</sup>.

P. S.: ახლახან (1962 წ.) გამოქვეყნებული „ვისრამიანის“ გამომცემლებს ალ. გვახარიასა და მ. თოდუას ხელნაწერებით დადასტურებული „ვაამანი“ შეუცვლიათ „მავანით“, რომელიც „ვაამან-ზე“ უფრო მართებულ და ადრინდელ ფორმად მიაჩნიათ (იხ. ამ გამოცემის კომენტარები, გვ. 327—328), რაც, ზემორე წარმოდგენილი ჩვენი მასალისა და ახსნის მიხედვით, სწორი არაა. როგორც ირკვევა, ზედმეტი ყოფილა გამომცემელთა ცდა ტექსტის გასამართავად, ისე როგორც იმის მტკიცება, რომ „მავანი-ს“ დამახინჯებული სახე იყოს „ვაამანი“.

### ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

И. В. АБУЛАДЦЕ

#### 7. ვაჰმან-ი—ვაამან-ი

Автор, на основе показаний памятников древнегрузинского языка и данных других языков выявляет как содержание (значение) этого слова („такой-то, определенное лицо“), так и его происхождение (персидское **ناه**).

<sup>5</sup> **ჩაოთარან თარსიქსტენ რთო ღარფი ნაქსაკან თარსიქსტე ქ მაცირყა** **ს ქ ა ღ ა ს ა ნ.** **Чоотарани тарсиқс**, 1826.

<sup>6</sup> **Полный персидско-арабско-русский словарь, составил И. Д. Ягелло, Ташкент, 1910.**

„ვაამან“ სიტვის განმარტება სულხან-საბა ორბელიანსაც მოეპოვება. მისი ლექსიკონის ავტორაფული წუსებების მიხედვით იგია: „არარა“ „არარასათვის“ ან „არარად“, რაც, როგორც ვხედავთ, „ვისრამიანის“ ზემორე მოყვანილი ადგილის მიხედვით, არის განსაზღვრებული, თუმცა არა ზედმიწევნით.

<sup>7</sup> აღნიშნული მაგალითები მომაწოდა ც. აბულაძემ, რომელსაც მადლობას მოვახსენებ. ქართული „ავშარაჯი“ კარაბადინებში იხმარება, ხოლო „არდაველი“ ქართლის ცხ-ში (ლაშა ჭიორგის მემბტიანესთან, გვ. 243,30).



## პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსთა შესახებ ქართულურ ენაში<sup>1</sup>

ა. მინანი

(წარმოადგინა აკად. გ. ახვლედიანმა)

ცნობილია, რომ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში (ე. ი. ზანურში ანუ კოლხურში) პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობა -თ სუფიქსით გამოიხატება, სვანურში კი იგივე მორფოლოგიური ფუნქცია დაკისრებული აქვს -დ სუფიქსს. ეს ფორმანტები (ქართ.-მეგრ.-ჭან. -თ და სვან. -დ) მართოდენ ფუნქციით კი არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ მასალობრივადაც. ისინი ერთი რომელიღაც ბგერის ლიფერენციაციის შედეგს წარმოადგენენ და ამდენად მათი საფუძველი ჯერ კიდევ წინარექართველურ ენაში უნდა ყოფილიყო მოცემული. მაგრამ რომელია კერძოდ ამოსავალი, თ, დ, თუ რომელიმე სხვა ბგერა? ეს საკითხი ბუნებრივად ისმის ჩვენს მეცნიერებაში.

პროფ. ვ. თოფურიას შესაძლებლად მიაჩნია, ამოსავალი მდგომარეობა დაცული იყოს სვანურში, ე. ი. -დ იყოს პირველადი, ხოლო ქართულსა და მეგრულ-ჭანურში მომხდარიყო ამ -დ-ს დაყრუება აუსლაუტში<sup>2</sup>.

იგივე აზრი უფრო გვიან გამოთქვა პროფ. ა. ჩიქობავამ<sup>3</sup>. ავტორი ითვალისწინებს ჩაჩნური და დაღესტნური ჯგუფის ენათა მონაცემებს და მათ საფუძველზე გამოყოფს ნივთის კატეგორიის ნიშნებს ქართველურ ენებში ერთ-ერთი ასეთი ნიშანია პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსი -თ ქართულში. მაგრამ ეს -თ ქართულისათვის პირველადი რომ იყოს, მაშინ ის ნივთის კატეგორიის ნიშნად ვერ ჩაითვლებოდა. ის მომდინარეობს -დ ბგერისაგან. ასეთი დასკვნის საფუძველია სვანურის ვითარება, სადაც ქართულ -თ სუფიქსს -დ შეეფარდება:

ქართ. ვარ-თ	სვან. ხჷწრი-დ
ხარ-თ	ხწრი-დ
არი-ან	პრი-ბ

მაშასადამე, ქართულში „ზმნის სუფიქსი -თ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებული და გაფშვინვიერებული -დ სუფიქსია“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ქართველურ ენათა განყოფილების სხდომაზე 1961, 29 დეკემბერს.  
<sup>2</sup> ვ. თოფურია, სვანური ენა, 1, ზნა, 1931, გვ. 9.  
<sup>3</sup> ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 67—76.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 75.

ამგვარადვე წყდება, პროფ. ა. ჩიქობავას აზრით, სახელის მრავლობის -თ- სუფიქსის საკითხიც ქართულში: კაც-თ- ← კაც-დ-<sup>5</sup>.

ამრიგად, დ(→ თ) სახელსა და ზმნაში ერთი და იგივე ფორმანტია და ეს -დ, როგორც მრავლობითის სუფიქსი, იგივე ოდენობაა, რაც სახელებში მ-ტკუა-რი (← დ-კუარი), დათვი, \*დინჭული, \*დინჭარი, ზან. დიშქა „შეშა“, ჰან. დიციბირი („სისხლი“), ჰან. დუცხუ „ცაცხვი“...: -დ- ნივთის კატეგორიის ფორმანტია<sup>6</sup>. ეგევე ფორმანტი ფართოდაა გავრცელებული ჩაჩნური ჯგუფის ენებშიც და დაღესტნის ენათა უმეტესობაშიც<sup>7</sup>.

ამავე აზრს იზიარებს პროფ. გ. როგავაც<sup>8</sup>. ჩვენ ამჟამად ნივთის კატეგორიის საკითხი არ გვანტერესებს. ვერც სახელთა მრავლობითის -თ- სუფიქსზე შეგჩერდებით. ხოლო ზმნის მრავლობითობის ფორმანტის ზემონაჩვენები ინტერპრეტაცია ბუნებრივი ჩანს, ქართველურ ენათა შედარება თითქოს იძლევა ამის საშუალებას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულში (მეგრულ-ჭანურშიც) სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დ-ს (და საერთოდ მდგერი ბგერების) დაყრუება ამჟამად მოქმედი ფონეტიკური პროცესია, ხოლო სვანურისათვის ეს პროცესი თითქმის არ არის დამახასიათებელი.

და მაინც ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს ზოგიერთი სერიოზული დაბრკოლება ელოდება, რომელთა დაძლევის გარეშე ის ვერ იქნება დამარწმუნებელი:

1) თუ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში -თ ფორმანტი -დ-საგან მომდინარეობს, მაშინ მოსალოდნელი იყო ამისათვის სხვა ანალოგიურ ფაქტებსაც შეემარებინა ზურგი, ე. ი. უნდა გვქონდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ქართულში<sup>9</sup> დ მდგერი თანხმოვანი ასეთსავე პოზიციაში დაყრუებულა და თ-ში გადასულა, ხოლო სვანურში მდგერადვე დარჩენილა, ასეთი ფაქტები ჯერჯერობით თითქოს არ არის ცნობილი. ამდენად -თ ფორმანტი, რომელიც დ-საგან მიღებულია და მიჩნეული, გაწმარტოებით დგას.

2) საწინააღმდეგო ფაქტები კი მოგვეაოვება:

ა) როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშნად დადასტურებულია -ედ სუფიქსიც, რომლის -დ, მიუხედავად იმისა, რომ ის აბსოლუტურ ბოლოში იყო, არ დაყრუებულა, თ-დ არ ქცეულა. პროფ. ა. ჩიქობავას შესაძლებლად მიაჩნია ეს გარემოება იმით აიხსნას, რომ „1 და 2 პ. აღრითგანვე მტეი ხნის განმავლობაში იყო აბსოლუტურს ბოლოში, ვიდრე უფრო გვიან წარმოქმნილი 3 პირის ფორმაში -ედ, რომელიც მასთან არც შერჩა სალიტერატურო ენას“<sup>10</sup>. თუ ედ სუფიქსის გვიანდლობას დასაბუთებულად მივიჩნევთ, მაშინ ეს საყურადღებო ვარაუდია, მაგრამ იმ ეჭვს, რომელსაც ზმნის მრავლობითობის -თ სუფიქსის -დ-საგან

<sup>5</sup> ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1952, გვ. 37—38.

<sup>9</sup> ზანურის ჩვენებას ამ შემთხვევაში ვერ დავეყრდნობით, ამაზე ქვემოთ.

<sup>10</sup> ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

წარმომავლობა იწვევს, საბოლოოდ ვერ აბათილებს. ისე გამოდის, რომ ერთნაირ პოზიციაში ერთი და იგივე ბგერა ერთ შემთხვევაში დაყრუვდა, მეორეში—არა.

ბ) ამ მხრივ უფრო საყურადღებოა ვითარებითი ბრუნვის ფორმანტის ჩვენება ქართველურ ენებში. ცნობილია, რომ ქართული ვითარებითი ბრუნვის ფორმანტი -დ (-ად), მიუხედავად იმისა, რომ ის აბსოლუტურ ბოლოშია, არ დაყრუვებულა. მის შესატყვისად სვანურშიც დ სუფიქსია წარმოდგენილი. აქ, ე. ი. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ქართ. დ: სვან. დ-ს ისეთივე შეფარდება გვაქვს, როგორც სხვა პოზიციაშია დადასტურებული (შდრ. ქართ. დათვი, ზრდა—სვან. დჷშღჷ, ლირდი...). მაშასადამე, აქაც, ისევე როგორც საზოგადოდ, დ ბგერა ქართულსა და სვანურში ერთნაირად არის წარმოდგენილი.

კითხვა ისმის: როგორ მოხდა, რომ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქცევამ დ ბგერა ერთ შემთხვევაში (I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსი) დააყრუა, ხოლო მეორე შემთხვევაში (ვითარებითი ბრუნვის ნიშანი)—ეერა? ამ კითხვაზე პასუხი არა ჩანს, მაგრამ იქნებ შესაძლებელია ვითარებითი ბრუნვის ფორმანტიც, ისევე როგორც მესამე პირის მრავლობითის ნიშანი -ედ, გვიანდელ წარმონაქმად მივიჩნიოთ? ქართველურ ენათა მონაცემების შედარება ამის საშუალებას არ იძლევა.

გვაქვს თუ არა რაიმე საფუძველი, რომ ეს ფორმანტი რომელიმე ერთი ქართველური ენიდან შეხიზნულად მივიჩნიოთ დანარჩენ ქართველურ ენებში? არა, ამგვარი საფუძველი არ გავგაჩნია! აქ ფორმანტში გვაქვს ქართ.-სვან. დ-სა და მეგრ. -ჭან. თ (← დ)-ს ისეთივე შეფარდება, როგორც სიტყვებში:

ქართ. შეიღ-ი      სვან. იშჷღიღ      მეგრ. შქვით-ი  
დათვი-ი      დჷშღჷ      თუნთ-ი და სხვ.

სადაო არ უნდა იყოს, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ქართველურ ენებში საერთო ქართველური წარმოშობისაა, თითოეულ მათგანში ის წინარექართველურიდინ მომდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, საწინააღმდეგო აზრისათვის რაიმე ხელშესახები საბუთი არ არსებობს. მაშასადამე, წინარექართველური -დ ქართულში დ-დვე დარჩა, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხმარების გამო ის არ დაყრუვებულა, თ-დ არ ქცეულა. აქედან დასკვნა: სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხმარება არ გამოდგება წინარექართველურიდან მომდინარე დ-ს დაყრუვებას ახსნიხათვის.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი და I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსი ქართველურ ენებში ერთი და იმავე ხნოვანებისაა—ორივე წინარექართველურიდან მომდინარეობს. რაკი სიტყვის აბსოლუტურმა ბოლომ ვერ გამოიწვია ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუვება ქართულში, მოსალოდნელი არ იყო ამავე პოზიციას გამოეწვია ზმნის მრავლობითობის სუფიქსის დაყრუვება, თუ ის დ ბგერისაგან მომდინარეობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნის მრავლობითობის -თ სუფიქსის დ-საგან წარმომავლობა პოზიციით ვერ აიხსნება. ეს გარემოება ძალაუნებურად ბადებს ეჭვს, რომ ეს ფორმანტი დ-საგან მოდიოდეს ქართულში. ეს ეჭვი კიდევ უფრო საფუძველიანი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად, ჩვეულებრივ, -დ იხმარება, ხოლო I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად -თ არის დადასტურებული უგამონაკლისოდ, მის ნაცვლად -დ კი არსად ჩანს.

მაგრამ ამ ექვს თითქოს მეგრულის ვითარება ეწინააღმდეგება, აქ ხომ ვითარებითი ბრუნვის ფორმანტი **თ-ს** სახით არის წარმოდგენილი, რომელიც, უმკველია, **დ-საგან** არის მიღებული თვით მეგრულისავე ნიადაგზე. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ არ შეიძლება ჩვენთვის საინტერესო სუფიქსიც (I და II სუბიექტური პირის მრავლობითის **-თ**) ასევე **დ-საგან** მიღებულად ჩავთვალოთ? ასეთი დაშვება შესაძლებელი იქნებოდა, ქართულის ჩვენება რომ არ გვიწოდებდა ხელს. მეგრულში წინარე-ქართველურისაგან მომდინარე **დ-ს** დაყრუების სხვა შემთხვევებიც არის ცნობილი (თუნთი ← \*დუნთი, შქვითი ← \*შქვიდი...), ქართულში კი ის, ჩვეულებრივ, **დ-ს** სახით არის წარმოდგენილი<sup>11</sup>. მეგრულში **დ-ს** (და საერთოდ მკლერი ბგერების) დაყრუებისაკენ ტენდენცია უფრო ინტენსიურია ისტორიულად, ვიდრე ქართულში, ამით უნდა აიხსნას, რომ მეგრულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის (**-დ-ს**) დაყრუებისათვის საკმარისი აღმოჩნდა მისი აბსოლუტურ ბოლოში მოხვედრა, ხოლო ქართულისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგივე პოზიცია საკმარისი არ აღმოჩნდა. სხვა ფონეტიკური საფუძველი ქართულში I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის **-დ-ს** (თუ ის მართლა დ იყო) **თ-ში** გადასვლის ასახსნელად არ გაგვაჩნია. ეს კი სერიოზული საფუძველია იმისათვის, რომ გვეჩვენებოდეს მრავლობითობის **-თ** სუფიქსის **დ-საგან** წარმომავლობა<sup>12</sup>.

3) როგორც ზემოთ აღინიშნა, I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის **-თ** და სახელთა მრავლობითის **-თ** (კაც-**თ-ა**, მხეც-**თ-ა**...) ერთი და იმავე ოდენობად არის მიჩნეული. ჩვენ ამჟამად მათი ურთიერთობის საკითხი არ გვაინტერესებს. მაგრამ თუ მაინც მათ ერთსა და იმავე მონაცემად ჩავთვლით, მაშინ კიდევ უფრო საეჭვო გახდება მათი **დ** ბგერისაგან წარმომავლობა. საქმე ისაა, რომ სახელთა მრავლობითობის **-თ-ა** რც ახალ, არც ძველ ქართულში აბსოლუტურ ბოლოში არ გვხვდება. **კაცთ-** ასეთი ფორმა ისტორიულად არ არის დადასტურებული, მას **-ა** მოსდევს აუტოლებლად (კაცთა, მხეცთა...). ამდენად, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ სახელთა მრავლობითის **-თ-ი** მიღებული იყოს **დ** ბგერისაგან მისი აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებით.

4) კითხვა ისმის: იყო თუ არა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში **დ** ს (და, საერთოდ, მკლერი ბგერების) დაყრუება? ამის შესახებ პროფ. გ. ახვლედიანი წერს: „საშუალო ქართულში დაიწყო მოქმედება ფონეტიკურმა კანონმა, რომლის ძალითაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მკლერი ჩქამიერები ყრუვდებიან; ეს კანონი არ მოქმედებდა ძველ ქართულში“<sup>13</sup>. პროფ. ა. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად **-დ-სა** და **თ-ს** საკითხი არც დგას, „იქ მხოლოდ და მხოლოდ **-დ** გვაქვს“<sup>14</sup>. მერი ძიძიშვილმა ძველ ქართულ ტექსტებში და-

<sup>11</sup> აქ არ იგულისხმება ის შემთხვევები, სადაც **დ-ს** დაყრუება ქართულში სხვა ფონეტიკური პროცესების ჩარევის შედეგია, მაგ., თვე — თთვე — დთვე — \*დთვე; თხელი — — თთხელი — დთხელი — \*დწთხელი... ამის შესახებ იხ. ე. თ. ფურიძე. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმოძიებელი, I, 1926, გვ. 215—219.

<sup>12</sup> იგივე შეიძლება ითქვას მოქმედებითი ბრუნვის **-თ** ნიშნის შესახებაც.

<sup>13</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, 1949, გვ. 251.

<sup>14</sup> ა. ჩიქობავა, ისტორიულ-შედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან. I, მიმართულებითი ბრუნვის ნიშნეულობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიშკის მოამბე. ტ. I, 1937, გვ. 15—16; იხ. აგრეთვე ა. შანიძე, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, კრებ. სახელის ბრუნებას ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, 1956, გვ. 34.



ძებნა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერების (მათ შორის ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ-ს) დაყრუების ცალკეული შემთხვევები; სათნოთ ← სათნოდ, ზეცათ ← ზეცად...<sup>15</sup>, ამის საფუძველზე მერი ძიძიშვილი დაასკვნის: „ჩანს, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ბგერის დაყრუების ტენდენცია ქართული წარმოთქმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ძველთაგანვე“<sup>16</sup>, ამიტომ, ავტორის აზრით, პროფ. გ. ახვლედიანის შემოაღნიშნული დებულება არ უნდა იყოს მისაღები<sup>17</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული დამწერლობა ფონეტიკურ პრინციპს ემყარებოდა — იწერებოდა ის, რაც წარმოითქმოდა. ამ მხრივ ძველი ქართული ტექსტების ჩვენება სანდო ჩანს. ძველ ქართულში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული მგლერი ბგერა, ჩვეულებრივ, არ ყრუვდება. ეგავე ითქმის ვითარებითი ბრუნვის ნიშანზეც. მაგრამ, როგორც მერი ძიძიშვილიმა აჩვენა, ამგვარი დაყრუების ცალკეული შემთხვევები მაინც მოგვეპოვება. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ძველ ქართულში გვაქვს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერის დაყრუების ტენდენციის ჩანასახი, მაგრამ ის ჩანასახია მხოლოდ და არა ფონეტიკური კანონი, რადგანაც შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მგლერი ბგერა არის ამ პოზიციაში წარმოდგენილი და არა მისი დაყრუებული ვარიანტი. შემდგომ ეს ტენდენცია ძლიერდებოდა და საშუალსა და მითუმეტეს ახალ ქართულ წარმოთქმაში თითქმის აბსოლუტური ხასიათი მიიღო<sup>18</sup> და ამდენად ფონეტიკურ კანონად იქცა. ასე რომ პროფ. გ. ახვლედიანის დებულება პრინციპულად სწორია, არსებითად სწორია აგრეთვე პროფ. ა. ჩიქობავას დებულებაც, თუმცა მათი ერთგვარი დაზუსტება (ე. ი. იმის აღნიშვნა, რომ ამ ფონეტიკური ტენდენციის ჩანასახები ძველ ქართულში გვაქვს და ამდენად ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუების შემთხვევებიც იშვიათად მოგვეპოვება) იქნებ მართლაც საჭირო ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერის დაყრუების ტენდენცია ძველ ქართულში იჩენს თავს, შემდგომ მან თანდათანობით გზა გაიკაფა და ახალ ქართულ წარმოთქმაში თითქმის ნორმად იქცა. ამ ფონეტიკური ტენდენციის რეტროსპექტული ანალიზი, ცხადია, მის თანდათანობით დასუსტებას გვიჩვენებს. ამგვარმა ანალიზმა ბუნებრივად იმ წერტილამდე უნდა მიგვიყვანოს, როცა მგლერი ბგერის დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში სრულებით არ ხდებოდა<sup>19</sup>.

რაკი ძველ ქართულში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერის დაყრუების მხოლოდ ჩანასახები გვაქვს, რაგორღა უნდა აეხსნათ ზმნის მრავლობითობის სუფიქსის დაყრუება, თუ ის -დ საგან მომდინარეობს? ის ხომ

<sup>15</sup> მერი ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში. 1960, გვ. 68—70.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს.

<sup>19</sup> ამ მხრივ შემოწმებას მოითხოვს უძველეს ქართულ წერილობით ძეგლთა მონაცემების ჩვენება. შესაძლოა (და მოსალოდნელიც) ამ ფონეტიკური ტენდენციის მოქმედების კვალი იქ ჯერ კიდევ არ ჩანდეს, ე. ი. იმ ეპოქაში, როცა უძველესი ქართული ტექსტები იწერებოდა, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მგლერი ბგერის დაყრუების ტენდენცია ჯერ კიდევ არ ყოფილიყო გაჩენილი.



ჯერ კიდევ მანამდე იყო -თ-ს სახით წარმოდგენილი, სანამ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქლერი ბგერის დაყრუების ტენდენცია გაჩნდებოდა და ფონეტიკურ კანონად იქცეოდა.

მაშასადამე, ამ ფაქტს ვერ ავხსნივით, თუ არ დაფუძვებით, რომ უძველეს ქართულს ახასიათებდა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქლერი ბგერის დაყრუება (ე. ი. მაშინ მოხდა ზმნის მრავლობითობის -დ-ს გადასვლა -თ-ში), შემდგომ ეს ტენდენცია გაქრა და იგივე ტენდენცია კვლავ გაჩნდა ძველ ქართულში. მაგრამ არც ამგვარი დაშვების უფლება გავაჩნია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ვითარებითი ბრუნვის ნიშანიც მაშინვე უნდა დაყრუებულყო, ოოცა ზმნის მრავლობითობის სუფიქსის დაყრუება მოხდა.

ამრიგად, I და II სუბიექტურ პირთა მრავლობითობის სუფიქსის -დ-სა-გან წარმომავლობის მტკიცებას სერიოზული დაბრკოლებები ელოდება ქართველურ ენებში. კითხვა ისმის: როგორღა უნდა აიხსნას ამ ფორმანტის წარმომავლობა? თუ ქართულსა და ზანურში -თ-ს მივიჩნევთ ამოსავლად, მაშინ სვანურში მის შესატყვისად -დ-ს არ უნდა მოველოდეთ, უნდა გვკონდეს ან -თ, ან -შდ, როგორც ეს ბევრ სხვა შემთხვევაში არის დადასტურებული<sup>20</sup>.

ამ მხრივ საყურადღებოა მეშველი (ხტი, ხი, ლი) ზმნის ჩვენება სვანურში. ეს ზმნა ბალსქვემოურში, ლენტეხურსა და ნაწილობრივ ლაშხურში I და II სუბიექტურ პირთა მრავლობითის ნიშნად -დ-ს წარმოგვიდგენს ისევე, როგორც ყველა სხვა ზმნა სვანურის ოთხსავე დიალექტში; მაგ.,

- |                       |                                   |
|-----------------------|-----------------------------------|
| მხ. რ. 1. ხტი-ი „ვარ“ | მრ. რ. 1. ხტი-დ „ვართ (მე და ის)“ |
| 2. ხ-ი „ხარ“          | ლ-ი-დ „ვართ (მე და შენ)“          |
| 3. ლ-ი „არის“         | 2. ხ-ი-დ „ხართ“                   |
|                       | 3. ლ-ი-ხ „არიან“                  |

აქ არაფერია თავისებური, სხვა ზმნებისაგან განსხვავებული; შდრ.:

- |                                |  |
|--------------------------------|--|
| მხ. რ. 1. ხტი-ამარე „ვამზადებ“ | მრ. რ. 1. ხტი-ამარე-დ „ვამზადებთ (მე და ის)“ |
| 2. ხ-ამარე „ამზადებს“          | ლ-ამარე-დ „ვამზადებთ (მე და შენ)“            |
| 3. ამარე „ამზადებს“            | 2. ხ-ამარე-დ „ამზადებთ“                      |
|                                | 3. ამარე-ხ „ამზადებენ“                       |

მაგრამ ამის პარალელურად ბალსქვემოურსა და სპორადულად ლაშხურში ზემოაღნიშნული მეშველი ზმნა მრავლობითის -დ სუფიქსის ნაცვლად -შდ კომპლექსს წარმოგვიდგენს:

- |                       |                                      |
|-----------------------|--------------------------------------|
| მხ. რ. 1. ხტი-ი „ვარ“ | მრ. რ. 1. ხტი-ი-შდ „ვართ (მე და ის)“ |
| 2. ხ-ი „ხარ“          | ლ-ი-შდ „ვართ (მე და შენ)“            |
| 3. ლ-ი „არის“         | 2. ხ-ი-შდ „ხართ“                     |
|                       | 3. ლ-ი-ხ „არიან“                     |

ამ ფაქტს პროფ. ვ. თოდურობამ შიამქცია ყურადღება ჯერ კიდევ თავის ცნობილ ნაშრომში სვანური ზმნის შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ „შ-ფორმანტისეულია თუ ფუძისეული, ეს უცნობია ისევე, როგორც III პირის ბზ. ლ-ი-ზ ფორმაში -ზ-ს დანიშნულება და მისი დამოკიდებულება -შ-სთან“<sup>21</sup>, ავტორს აქედან რაიმე დასკვნის გაკეთება არ უცლიდა.

<sup>20</sup> ვ. თოდურობა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმოხილველი, 1926, გვ. 201-202.

<sup>21</sup> ვ. თოდურობა, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 7.

და მართლაც, რა არის ეს -შდ? თუ -შ- ელემენტი ფუძისეული აღმოჩნდება, მაშინ აღნიშნული ფორმები ჩვენი საკითხისათვის არაფერს ახალს არ გვეტყვის, ხოლო თუ ეს -შდ ცალკე ფორმანტი გამოვა, მაშინ მან შეიძლება ახალი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცეს.

ზემოთ ნაჩვენები ორი პარადიგმის, ე. ი. ერთი მხრივ, ბალსქვემოურ-ლენტეხურისა და, მეორე მხრივ, ბალსზემოური ფორმების შედარებიდან ჩანს, რომ -შდ ბალსზემოურში ბალსქვემოურ-ლენტეხური -დ-ს ადგილს იკავებს, მაშასადამე, -შდ-ც -დ-ს ბაღალი ფორმანტია. მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმების შედარებასაც ამ დასკვნამდე მივყავართ თვით ბალსზემოურში. ეს აზრი კიდევ უფრო სარწმუნო გახდება, თუ მრავლობითი რიცხვის I და II პირის ფორმებს შევუბირისპირებთ მესამე პირის ფორმას ბალსზემოურში. ცნობილია, რომ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანი სვანურში არის -ხ სუფიქსი, რომელიც უშუალოდ ფუძეს დაერთვის. I და II პირის ფორმებში (ლიშდ, ხუიშდ, ხიშდ) -შ- ელემენტი რომ ფუძისეული იყოს, მაშინ მესამე პირში უნდა ყოფილიყო ლიშხ, ასეთი ფორმა კი სვანურში არ არის დადასტურებული. აქედან ცხადია, რომ რა მორფოლოგიურ ფუნქციასაც ხ სუფიქსი ასრულებს III სუბიექტური პირისათვის ბალსზემოურში, იმავე ფუნქციას I და II პირთათვის -შდ ფორმანტი ასრულებს. ამრიგად, -შდ ისე შეეფარდება -ხ-ს ბალსზემოურსა და ლაშხურში, როგორც -დ შეეფარდება იმავე -ხ ფორმანტს ბალსქვემოურსა და ლენტეხურში.

შემთხვევითობით ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ ეს -შ- ელემენტი მხოლოდ მრავლობითი რიცხვის I და II პირის ფორმებთან არის შემონახული, სწორედ იქ, სადაც სუბიექტურ პირთა მრავლობითობის ნიშანს მოველით. ეს ელემენტი ფუძის კუთვნილება რომ იყოს, მაშინ მოსალოდნელი იყო მხოლოდობითი რიცხვის ფუძესთან თუ არა, მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმასთან მაინც შემოგვრჩენოდა,

ეს გარემოება -შდ კომპლექსს ერთ განუყოფელ ფორმანტად გვაეარაულებინებს. მაგრამ მაინც საჭიროა შევეცადოთ იმის გარკვევას, თუ რა ფუძეს დაერთვის ეს ფორმანტი და შეიძლება თუ არა -შ- ელემენტი ფუძისეულად იქნეს მიჩნეული.

როგორც ცნობილია, ქართულ მეშველ ზმნაში (ვ-ა-რ, ხ-ა-რ, ა-რ-ი-ს) -რ- ძირს გამოყოფენ. სვანურში მისი შესატყვისია ხუ-შ-რ-ი, ხ-შ-რ-ი, შ-რ-ი. ძირი აქაც იგივე -რ- თანხმოვანია<sup>22</sup>. სვანურში იგი აბსოლუტური აგებულების (ერთპირიანი) ზმნაა, მაგრამ იმავე სვანურში არსებობს ამავე ძირისაგან ნაწარმოები რელატიური აგებულების (ორპირიანი) ფორმები ობიექტური წყობით:

3. 1. შ-ი-რ-ი	„მყავს, მაქვს“ და	3. 1. შ-ა-რ	„მაქვს“
3. 2. ჯ-ი-რ-ი	„გყავს, გაქვს“	3. 2. ჯ-ა-რ	„გაქვს“
3. 3. ხ-ო-რ-ი	„ჰყავს, აქვს“	3. 3. ხ-ა-რ	„აქვს“

როგორც ვხედავთ, ამ ფორმების საწარმოებლად სვანურმა ერთი ფუძე გამოიყენა მაშინ, როდესაც ქართულს სხვადასხვა ფუძე დასჭირდა. ეს არის ის ფუძე, რომელიც ქართულ მეშველ ზმნაშია მოცემული (ვ-ა-რ, ხ-ა-რ, ა-რ-ი-ს).

<sup>22</sup> ვ. თ. ფ. რ. ი. ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 250.



რალა არის სვანური მეშველი ზმნა, რა ფუძეს ემყარება ის? თუ სემანტიკიდან ამოვიღოდი, მაშინ მოსალოდნელი იყო ეს უკანასკნელიც ზემოაღნიშნულ -რ ძირს დაკავშირებოდა. საქმე ისაა, რომ ქართული მეშველი (ვარ, ხარ, არის) ზმნის მნიშვნელობა ფარავს სვანური „ხჭარი, ხარი, არი“ და „ხტი, ხი, ლი“ ზმნათა მნიშვნელობას ერთად აღებულს; არც მეტი, არც ნაკლები. სვანურში ორი ზმნის არსებობა ერთი ქართული ზმნის მნიშვნელობის გადმოსაცემად მნიშვნელობის დაკონკრეტების შედეგად წარმოქმნილს ჰგავს, ე. ი. სვანურში თითქოს ერთი მნიშვნელობის ორად გახლეჩა მომხდარა, ხოლო ქართულში პირვანდელი მდგომარეობა დარჩენილა.

ამ ვარაუდის გაზიარების შემთხვევაშიც დგება საკითხი: სვანურმა ორი განსხვავებული მნიშვნელობის გამოსახატავად ერთი ფუძის ორი სხვადასხვა ფორმა გამოიყენა თუ სხვადასხვა ფუძე? პრინციპულად ერთიც შესაძლებელია და მეორეც.

კითხვა ისმის: რა ფუძეს ემყარება სვანური მეშველი ზმნა ხტი-ი, ხ-ი, ლ-ი? აქ, როგორც ვხედავთ, ფუძედ მხოლოდ ი ხმოვანი გამოიყოფა. მაგრამ ეს ი თითქოს იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც მ-ი-რ-ი, ჯ-ი-რ-ი ფორმებში გვაქვს<sup>23</sup>. ამდენად ის წარმოშობით ფორმანტი ჩანს და არა ძირი, რადგან ძირი? შეუძლებელი არ უნდა იყოს ვივარაუდოთ, რომ ზმნის ძირი აწმყოში დაკარგულია, გაცვეთილია და იგი აღდგება მყოფადსა და პირობითში.

მყოფადი

მხ, რ. 1. ხტი-რ-ი	„ვიქნები“	მრ. რ. ლ-რ-ი-დ	„ვიქნებით“
2. ხ-რ-ი	„იქნები“	ხტი-რ-ი-დ	„ვიქნებით“
3. რ-ი	„იქნება“	ხ-რ-ი-დ	„იქნებით“
		რ-ი-ხ	„იქნებიან“

პირობითი

მხ. რ. 1. ხტი-რ-ი-ლ	„ვიქნებოდი“	მრ. რ. ლ-რ-ი-ლ-დ	„ვიქნებოდით“
2. ხ-რ-ი-ლ	„იქნებოდი“	ხტი-რ-ი-ლ-დ	„ვიქნებოდით“
3. რ-ი-ლ	„იქნებოდა“	ხ-რ-ი-ლ-დ	„იქნებოდით“
		რ-ი-ლ-ხ	„იქნებოდნენ“

მაშასადამე, ამ ვარაუდის მიხედვით, აქ იგივე -რ ძირი აღდგება, რაც ქართულ მეშველ ზმნასა (ა-რ-ი-ს) და ზემოაღნიშნულ სვანურ ზმნურ ფორმებშია წარმოდგენილი. ამდენად სვანური მეშველი ზმნის აწმყოსა და მყოფადში ფუძემონაცველობასთან კი არ უნდა გვექონდეს საქმე, არამედ წარმომავლობით ერთსა და იმავე ფუძესთან, რომელთაგანაც ერთში (აწმყო) ძირეული თანხმოვანი (რ) გაცვეთილია<sup>24</sup>, ხოლო მეორეში (მყოფადი, პირობითი) დღემდეა შემონახული. ამრიგად, რ ძირი ისტორიულად თითქოს აწმყოშიც უნდა

<sup>23</sup> იგივე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ის ფორმანტი უნდა იყოს ისევე, როგორც მ-ი-რ-ი, ჯ-ი-რ-ი ფორმებში ი.

<sup>24</sup> ქართულ მეშველ ზმნაშიც ხომ გვაქვს ძირის დაკარგვის შემთხვევა—აწმყოს მესამე პირში: კაცი არის — კაცია. უღრ. აგრეთვე ხევსურული ას — არს. ხევსურულში, აღ. კინკარაულის მთწებობით, გარკვეულ კონტექსტში I და II პირის ფორმაც იხმარება ძირეული რ-ს გარეშე—ვა (← ვარ), ხა (← ხარ).



გვეკონოდა, -ი- ფორმანტი კი სამსავე ნწკრივში (აწწყოში, მყოფადში, პირობითში) ერთი და იგივე ოდენობა ჩანს<sup>25</sup>.

ამგვარად ვიღებთ ერთი ძირისაგან ნაწარმოებ ორ წყვილ ფორმას, რომელთაგან ერთი წყვილი სუბიექტური წყობითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე წყვილი სუბიექტურ-ობიექტური წყობით:

I		II	
1. ხტ-პ-რ-ი	ხტ-ი	3. 1. მ-პ-რ	მ-ი-რ-ი
2. ხ-პ-რ-ი	ხ-ი	3. 2. ჯ-პ-რ	ჯ-ი-რ-ი
3. პ-რ-ი	ლ-ი	3. 3. ხ-პ-რ	ხ-ო-რ-ი

საგულისხმო ფაქტია, მათი ურთიერთობა საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

თუ ზემოაღნიშნულ ვარაუდს გავიზიარებთ, მაშინ სათანადო ქართველურ ფუნქტა შედარება სვანურის ფუძეში -შ- თანხმონის დაშვების საშუალებას არ იძლევა. მაგრამ ამ ვარაუდის გარეშეც თითქოს უდავოა, რომ ეს -შ- ელემენტი ფორმანტისეულია და არა ფუძისეული. მაშასადამე, მეშველი ზმნის ფორმებში (ხტ-ი-შდ. ლ-ი-შდ, ხ-ი-შდ) -შდ ფორმანტია და ის, ჩვენი აზრით, I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია. ეს სუფიქსი სათანადო ქართულ-ზანური -თ ფორმანტის კანონზომიერი ფუნქციურ-მორფოლოგიური შესატყვისია.

მაგრამ ამგვარი ვარაუდის ხელისშემშლელად არის მიჩნეული მეშველი ზმნის მესამე პირის მხ. რიცხვის ფორმაში დადასტურებული ზ (ლ-ი-ზ „არის“) (ასეთი ფორმა სპორადულად იხმარება ბალსზემოურში და ბალსქვემოურის ლახამულურ კილოკავში), რადგანაც არ არის გარკვეული მისი მიმართება -შდ ფორმანტის -შ- ელემენტთან. მაშასადამე, საკითხი ასე დგება: ეს ორი ბგერა (-ზ და -შ-) გენეტურად ხომ არ უკავშირდება ერთმანეთს, ე. ი. ხომ არ შეიძლება ერთი მათგანი მეორის ამოსავლად მივიჩნიოთ, ან ორივე საერთო მასალისაგან მიღებულად გამოვაცხადოთ და ის მეშველი ზმნის ფუძის კუთვნილებად დავსახოთ?

თუ -ზ ბგერას ფუძის კუთვნილებად მივიჩნევთ (და, მაშასადამე, ფუძეში რ-ს აღდგენის შესაძლებლობას გამოვირიცხავთ), მაშინ აუხსენელი დარჩება, თუ რატომ არ შემოგვენახა ის პირველსა და მეორე პირში (გვაქვს ლიზ, მაგრამ რატომ არა გვაქვს ხტიზ, ხიზ). პოზიცია სამსავე პირში აბსოლუტურად ერთნაირია. პირველსა და მეორე პირში -ზ-ს დაკარგვის არავითარი ისეთი მიზეზი არ მოგვეპოვება (არც ფონეტიკური, არც მორფოლოგიური), რითაც ის განსხვავებული იყოს მესამე პირის ფორმისაგან. ეს გარემოება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ -ზ ელემენტი არ არის ფუძის კუთვნილება, არამედ ის მარტოოდენ III პირში ივარაუდება ისტორიულადაც.

დავუშვათ, ამ დაბრკოლების მიუხედავად, -ზ-ს ფუძისეულობა და გავარკვიოთ, მოგვეცემს თუ არა ეს საშუალებას -ზ და -შ ერთ საერთო მნიშვნელობად დავიყვანოთ — ერთი მათგანი მეორის ამოსავლად დავსახოთ?

<sup>25</sup> გასარკვევია მხოლოდ, რით არის გამოწვეული ი-ს სიგრძე მყოფადსა და პირობითში. შეუძლებელი არ უნდა იყოს, სიგრძე ამ შემთხვევაში რომელიღაც ხმოვნის ჩავარდნის საკომპენსაციოდ იყოს წარმოქმნილი. ასეთ შემთხვევაში აწწყოში წარმოდგენილი მთელი ი-ც (ხუ-ი, ხ-ი, ლ-ი) ისტორიულად, ე. ი. -რ თანხმონის დაკარგვამდე, გრძელი უნდა ყოფილიყო.



თუ სავარაუდო ფუძეს (ბუ-ი-ზ, ბ-ი-ზ, ლ-ი-ზ) მრავლობით რიცხვში ფორმანტი ერთვოდა, მაშინ I და II პირში -ზ-ს დაკარგვა შესაძლებელია, ე. ი. გვეწებოდა ასეთი ვითარება:

- 1 { \*ბუ-ი-ზ → ბუ-ი-ზ „ვართ (მე და ის)“  
 \*ლ-ი-ზ → ლ-ი-ზ „ვართ (მე და შენ)“
- 2 \*ბ-ი-ზ → ბ-ი-ზ „ხართ“

ასეთი დაშვების შემთხვევაში -ზ-სა და -შ-ს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, ერთი ფუძის კუთვნილებაა, მეორე ფორმანტისა.

მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ მეშველი ზმნის სავარაუდო ფუძეს მრავლობით რიცხვში ერთვოდა -დ (და არა -შდ) ფორმანტი, მაშინ მივიღებდით ამგვარ ფორმებს:

- 1 { \*ბუ-ი-ზ  
 \*ლ-ი-ზ
- 2 \*ბ-ი-ზ

კითხვა ისმის: რა გზით შეიძლება მომხდარიყო ამ ფორმებში -ზ მეღერი სპირანტის გადასვლა -შ-ში? უშუალოდ ამგვარი გადასვლისათვის ფონეტიკური საფუძველი არ არსებობს. ამიტომ მას სვანურში (და საერთოდ, ქართველურ ენებში) პრეცედენტი არ მოეპოვება, მაგრამ იქნებ შესაძლებელია მათ შორის დაეუშვათ შუა საფეხური, ვთქვათ, ს-ს სახით. -ზ-ს დაყრუების დაშვება ამ პოზიციაში შესაძლებელია, მაგრამ მიღებული -ს-ს შიშვი გადასვლის ახსნა, ვფიქრობთ, გაჭირდება. საქმე ისაა, რომ საამისო ფონეტიკური პირობები აქ არ არსებობს, დ-ს მეზობლობა ვერაფერს გვეუბნება ს-ს შიშვი გადასვლის სასარგებლოდ. სვანურში არაერთ სიტყვაშია დადასტურებული სდ კომპლექსი, რომელიც -შდ-ში არ გადასულა; მაგ., სდუგუ „წნული“, ანსდუგუ „დაწნა“ (შდრ. შდუგუ „თავი“, ანშდუგუ „მოთოვა“) და სხვა. ამ მაგალითების გარეშე, თეორიულადაც, დ ვერ იქნება ს-ს გაშიშინების მიზეზი. ამდენად ეს პროცესი პოზიციით ვერ აიხსნება.

მაგრამ იქნებ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ს-ს შ-ში გადასვლა სპონტანური ცვლილების შედეგია. მესამე პირში დადასტურებული -ზ უარყოფს ამ ვარაუდს. სპონტანური ცვლილების საფუძველზე ერთი ბგერა ერთ ფუძეში ორ სხვადასხვა ვარიანტს — სისინას და შიშინას — ვერ მოგვეცემა, ამიტომ მესამე პირში -ზ-ს ნაცვლად -ჟ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

შესაძლოა გაჩნდეს სხვა ვარაუდიც: ფუძისეულმა -ზ-მ მოგვცა -ჟ (ნდრ. ქართ. ზჟე; სვან. მიჟ). ხოლო შემდგომ ჟ-ს დაყრუებით მივიღეთ -შ, ე. ი. პროცესი ასე იქნებოდა წარმოდგენილი: \*ბუ-ი-ზ → \*ბუ-ი-ჟ → ბუ-ი-შ-დ. მაგრამ ამ ვარაუდასაც მესამე პირში დადასტურებული -ზ უარყოფს, რადგან აქაც უცილობლად -ჟ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამდენად, არც ამ ვარაუდის გაზიარება შეიძლება.

თუ სვანური მეშველი ზმნის ფუძეში ამოსავლად -შ-ს მივიჩნევთ, ხოლო -ზ-ს მისგან მიღებულად, ამით მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება, ანალოგიურ დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დავალწვევთ.

ხოლო სხვა ამოსავალი ბგერის დაშვება, რომელსაც შეეძლო ერთ ფუძეში მოეცა როგორც -შ, ისე -ზ, ვფიქრობთ, გაჭირდება. არა ჩანს ფონეტიკური საფუძველი, რაც ამგვარ დაშვებას გაამართლებდა.

ამგვარად, სვანურ მეშველ ზმნაში დადასტურებულ -შ და -ჯ ბგერების ერთმანეთთან დაკავშირება არ ხერხდება. -ჯ ბგერა აქ -შ-საგან დამოუკიდებელი მონაცემია და ამიტომ ის ჩვენი ძირითადი დებულებისათვის დაბრკოლებადაც ვერ ჩაითვლება.

მაინც რა არის ეს -ჯ? ამ საკითხზე მსჯელობა აქ უადგილო იქნებოდა, აღენიშნავთ მხოლოდ შემდეგს: საინტერესო ვარაუდი წამოაყენა პროფ. ვ. თოფურია: „ეგების ლ-ი სხვა იყოს და ლ-ი-ს სხვა (ლ-ი-ს ← ლ-ჯ-ს, შდრ. ზ. „ძვეს“)“<sup>26</sup>. ამ ვარაუდს, ვფიქრობთ, მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ეს -ჯ მხოლოდ III პირის ფორმასთან არის დადასტურებული. ზგ || ზი ზმნა სვანურში მხოლოდ ნივთათვის (არაკაცხალთათვის) იხმარება, ისევე, როგორც ქართ. ძეგხ, რომელიც, თავის მხრივ, სვან. ზგ || ზი-ს უნდა უკავშირდებოდეს არა მარტო სემანტიკურად, არამედ გენეტურადაც. როგორც ცნობილია, I და II პირის ფორმებში მხოლოდ ადამიანი იგულისხმება, ნივთი (არაკაცხალი საგანი) შეიძლება ივარაუდებოდეს მხოლოდ III პირის ფორმაში. ამდენად -ჯ ელემენტი, თუ ის მართლა ზემოაღნიშნული ზმნიდან მომდინარეობს, მხოლოდ III პირის ფორმასთან იყო მოსალოდნელი. ეს საფუძვლიანი ვარაუდიც ადასტურებს იმ დებულებას, რომ სვანურ მეშველ ზმნაში -ჯ-ს კავშირი არა აქვს -შ-ს ბგერასთან.

ამრიგად, დებულება იმის შესახებ, რომ სვანურ მეშველ ზმნაში -შდ სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ფორმანტია, ვფიქრობთ, არ ირყევა. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რალა არის სხვა ზმნებთან ამავე ფუნქციით ხმარებული -დ სუფიქსი სვანურში, როგორია მისი მიმართება -შდ ფორმანტთან? ვფიქრობთ, ეს -დ მიღებულია -შდ სუფიქსში -შ- ელემენტის დაკარგვის საფუძველზე, ალბათ, ფორმანტის გამარტივების შედეგად.

მაგრამ ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ შესაძლოა დაასახელონ ორი დაბრკოლება:

1) -შდ კომპლექსი სვანურში არ მარტივდება; მაგ.; ტობტიშდ || ტობუშდ „ხუთი“, აეშდ „ათი“ (სვანურში გამარტივებული ვარიანტი—ტობტიად, აედ— არ არის დადასტურებული), ამიტომ ამგვარსავე პოზიციაში -შდ ფორმანტის გამარტივება ასახსნელია.

2) -შდ სუფიქსის გამარტივების შემთხვევაში აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული -დ ელემენტის დაკარგვა იყო მოსალოდნელი და არა -შ-სი, რომელიც ინლაუტშია.

მართლაც, როგორ უნდა აიხსნას, რომ -შდ კომპლექსი, როგორც ზმნის სუფიქსი, გამარტივდა, ხოლო სახელში (ტობტიშდ) აბსოლუტურად იმავე პოზიციაში უცვლელი დარჩა?

ცნობილია, რომ ფორმანტები, ენკლიტიკა-პროკლიტიკები, ჩვეულებრივ, მიისწრაფვიან გამარტივებისაკენ, ხშირი ხმარების გამო ისინი ადვილად კარგავენ სემანტიკურად (ფუნქციურად) ნაკლებად დატვირთულ ელემენტებს. ამის მაგალითები უხვად მოიძებნება სხვადასხვა ენაში. ქართულში ამის საილუსტრაციოდ არაერთი ცნობილი მაგალითის დასახელება შეიძლება: სახელობითი ბრუნვის ნიშანი იგი → ი, მოთხრ. ბრუნვის ნიშანი მან → მ(ა), თანდებუ-

<sup>26</sup> ეს ვარაუდი პროფ. ვ. თოფურია მ გამოთქვა კერძო წერილში. ვგვიყვარს, პროფ. ვ. თოფურიასაგან დამოუკიდებლად, წამოაყენა კერძო საუბარში გ. მაჭავარიანმა.

ლები: ზედა → -ზე, შინა → -ში, ზმნისწინები: აღ → ა-, გან → გა-, წარ → წა- და სხვა. ცალკეულ სიტყვათათვის ამგვარი გაცვეთა გაცილებით ნაკლებად არის (ან თითქმის არ არის) დამახასიათებელი. ამას ისიც მოწმობს, რომ ზოგჯერ უცვლელი სახით არის შემონახული ის სიტყვები, რომელთაგანაც გაცვეთის გზით მივიღეთ ესა თუ ის ფორმანტი ან თანდებულნი.

სევანური სიტყვების ნწხგა და ისგ „შუა“ ფუძე გამოყენებულია პრევერბადაც და თანდებულადაც. ამ ფუძის სგ (ლნტ. სკ) კომპლექსი ქართ. შ, ზან. შქ-ს ფონეტიკური შესატყვისია (ქართ. შუა—ზან. შქა „შუა“).<sup>27</sup> ზემოაღნიშნულ სიტყვებსა და პრევერბებში ფუძისეული სგ კომპლექსის ორივე კომპონენტი უგამონაკლისოდ არის დაცული მთელს სევანურში. ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში დაცულია ისინი აგრეთვე თანდებულშიც. ლაშხურ თანდებულში კი ეს კომპლექსი გამარტივებულია — გ დაკარგულია: -ისგა → -ისა. შდრ. ბზ. ქორ-ისგა → ლშზ. ქორ-ისა „სახლში“ და ა. შ. -ისგა თანდებულის ლაშხურ ვარიანტში გ-ს კვალიც კი არსად ჩანს.

როგორც ვხედავთ, ლაშხურ სიტყვებში (ნწხგა, ისგ) -სგ კომპლექსი არ გამარტივდა, ხოლო თანდებულში იმავე პოზიციაში იგივე კომპლექსი გამარტივებულია. ამ ფაქტს ფონეტიკური პოზიციით ვერ ახსნით, რადგანაც ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის, ეს სხვა დიალექტებიდანაც ჩანს, სადაც -სგ- კომპლექსი თანდებულშიც ხელუხლებლადაა შემონახული. მაშასადამე, ლაშხურ თანდებულში უბრალო გამარტივებასთან გვაქვს საქმე.

აქ კარგად ჩანს თანდებულის (ფორმანტის) სახელისაგან განსხვავება გამარტივებისაკენ მიდრეკილების საკითხში. აქედანვე ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: სიტყვებში (ჭობჭიშდ, ჟეშდ) გაუმარტივებელი -შდ-ს არსებობა ვერ უარყოფს ზმნის მრავლობითობის ფორმანტის (-შდ-ს) გამარტივების შესაძლებლობას.

ზოგ ზმნასთან -შდ ფორმანტი თანხმოვანთა ისეთ თავმოყრას მოგვცემდა, რომლის გამარტივება თითქმის აუცილებელი იქნებოდა; მაგ., ოფიშტშდ („გაფუშვით“), ოშიდშდ („დაყვარეთ“), ოქტიშშდ „გავტეხეთ“ და მისთ. ამ გარემოებისაც შეეძლო ხელი შეეწყო -შდ ფორმანტის გამარტივებისათვის.<sup>28</sup>

მაშასადამე, ზმნის მრავლობითობის ფორმანტის (-შდ-ს) გამარტივების ვარაუდი პრინციპულად შესაძლებელია, მაგრამ რატომ დიკარგა სწორედ -შ-, რომელიც ინლაუტშია, და არა -დ, რომელიც აბსოლუტურ ბოლოშია მოქცეული?

სხვადასხვა ენაში ინლაუტში ბგერის დაკარგვის არაერთი შემთხვევაა ცნობილი, ქართველური ენებიდან საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე ცნობილი ნიმუში<sup>29</sup>; ქართ. მთელი ← მრთელი, იმერ.

<sup>27</sup> ამ ფუძის შესახებ დაწერილებით იხ. ვ. თოფურია, სევანური ენა, I, ზნნა, გვ. 52—71. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959, გვ. 51—58.

<sup>28</sup> ამაზე ყურადღება მიგვაქცევინა გ. მაჭავარიანი.

<sup>29</sup> დაწვრილებით იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 24—26; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 211—212 და 334—339; ა. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 21—25; ს. ქლენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 241—246; ს. ქლენტი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 162—165.



აღდგა ← აღდგომა, გამოსვლითი ბრუნვის ნიშანი -იდან (და არა იდგა) ←  
 ← იდგან ← ითგან, სვან. -ისა ← ისგა და სხვ.

ცნობილია, რომ აქცესიურ კომპლექსთა დაძლევის ექვსი საშუალებიდან ერთ-ერთი პირველი (და არა მეორე) კომპონენტის დაკარგვა<sup>30</sup>. ქართული სწორედ ამ საშუალებასაც მიმართავს. „...მკაფიო წარმოთქმა, დაკავშირებული მარცვალთვასაყრის შექმნასთან, და აქცესიური კომპლექსის პირველი კომპონენტის დაკარგვა — ეს ორი გზაა, რომელსაც ქართული მიმართავს აქცესიური კომპლექსის სუბერაციისათვის“<sup>31</sup>.

სვანურში შდ ბუნებრივი აქცესიური კომპლექსია, მისი დაძლევის აუცილებლობა თითქოს არ იგრძნობა, მაგრამ რამდენადაც -შდ ფორმანტის გამარტივების დაშვება შესაძლებელია, მასში, ამ წესის მიხედვით, პირველი კომპონენტი (-შ-) უნდა დაკარგულიყო და არა მეორე (-დ). ამდენად -შდ სუფიქსში სწორედ პირველი კომპონენტის დაკარგვას თითქოს ფუნქციური საფუძველიც ეძებნება.

ამრიგად, -შდ სუფიქსიდან გამარტივების გზით -დ-ს მიღება პრინციპულად შესაძლებელია.

მაგრამ შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ -დ სუფიქსი არის არა -შდ-ს გამარტივების შედეგი, არამედ ისტორიულად მის პარალელურად არსებული დამოუკიდებელი ფორმანტი, ე. ი. სვანურში ორი სუფიქსი იყო წამოდგენილი ერთი ფუნქციით, შემდგომ -დ გაბატონდა, ხოლო -შდ ნაშთის სახით შემოგვენახა მხოლოდ ბალსზემოურ და ლაშხურ მეშველ ზმნაში.

ასეთი ვარაუდის დაშვების შემთხვევაშიც ქართ.-ზან. მრავლობითობის სუფიქსი -თ გენეტურად სვან. -შდ-ს დაუკავშირდებოდა, ხოლო -დ-სთან მისი კავშირი გამოირიცხებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ვარაუდი მიუღებელი ჩანს, რადგანაც:

1) სვანურში -დ ს დამოუკიდებელ ზმნურ ფორმანტად მიჩნევის შესაძლებლობას ქართველურ ენათა შედარება არ იძლევა, მას მონათესავე ენებში შესატყვისი არ მოეპოვება, ამდენად ასეთი დაშვება საფუძველს მოკლებული იქნებოდა.

2) ქართულსა და სვანურში I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად ერთადერთი სუფიქსია დადასტურებული, საფიქრებელია, ასეთივე ვითარება გვექონდა სვანურშიც, ამდენად აქ ორი პარალელური სუფიქსის დაშვება გამოირიცხული ჩანს.

ამრიგად, მთელს სვანურში ყველა ზმნასთან I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად ისტორიულად -შდ სუფიქსი უნდა ვივარაუდოთ, ხოლო ამჟამად დადასტურებული -დ ფორმანტი მისგან მიღებულად უნდა მივიჩნიოთ; სხვაგვარად მეშველ ზმნაში დადასტურებულ -შდ სუფიქსს ვერ ავხსნივით.

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ, ცხადია, აღნიშნული ფორმანტის ამოსავლად ქართველურ ენებში -დ თანხმოვანს ვერ მივიჩნევთ. ამოსავლად უნდა დავსაბოთოთ ის ბგერა, რომელიც საფუძველად დაედო ქართულ-

<sup>30</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 334—339.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 335.



ზანურ თ-სა და მის შესატყვის სვანურ შდ-ს<sup>32</sup>. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იყო ეს ამოსავალი ბგერა, ჯერჯერობით რჩება რთულ, მაგრამ აქტუალურ საკვლევ პრობლემად.

შესაძლოა დაისვას კითხვა: როგორ მოხდა, რომ -შდ სუფიქსი არქაული სახით მხოლოდ მეშველ ზმნაში შემოგვენახა?

ცნობილია, რომ მეშველი ზმნა ქართველურ ენებში (და არა მარტო ქართველურ ენებში) შეიცავს არქაულ ელემენტებს. ქართულ მეშველ ზმნაში ხომ დღემდე შემოგვრჩა II სუბიექტური პირის არქაული ნიშანი ხ-, ხოლო სვანურში III სუბიექტური პირის არქაული პრეფიქსი ღ-. მაშასადამე, არქაიზმების შემონახვა სავსებით ეგუება მეშველი ზმნის ბუნებას ქართველურ ენებში. ეს, როგორც ჩანს, მისი ხმარების თავისებურებით, მისი სპეციფიკით არის გამოწვეული. ასეთ ვითარებაში არც ეს არის მოულოდნელი, რომ ზმნის მრავლობითობის სუფიქსიც არქაული სახით სწორედ მეშველ ზმნას შემოგენახა.<sup>33</sup>

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მეშველი ზმნის I და II სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშნად ლაზურში -შდ-ს ნაცვლად -ღ-ს გაბატონება სწორედ ამჟამად ხდება. ამ კილოში -შდ ფორმანტი სპორადულად გვხვდება და ისიც მხოლოდ მოხუცთა მეტყველებაში, ე. ი. ეს ფორმანტი მეშველ ზმნაში თანდათან ქრება და მის ადგილს -ღ სუფიქსი იკავებს, უნიფიკაცია ჩვენს თვალწინ ხდება. ჩანს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს ეს პროცესი უკვე გავლილი აქვთ—იქ ზმნის მრავლობითობის სუფიქსის უნიფიკაცია უკვე მოხდა საბოლოოდ, ხოლო ბალსზემოურმა მეშველმა ზმნამ ეს არქაული სუფიქსი უფრო მკვიდრად შემოგვენახა.

ამრიგად, I და II სუბიექტურ პირთა მრავლობითობის ფორმანტები ქართველურ ენებში ისტორიულად ასე წარმოგვიდგება: ქართ. -თ: ზან. -თ: სვან. -შდ.<sup>34</sup>

<sup>32</sup> ამდენად ამ სუფიქსებს რეინტერპრეტირებულ კლას-კატეგორიის ნიშნად ვერ მივიჩნევთ.

<sup>33</sup> შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ფორმანტისეული -შ- მეშველ ზმნაში გაქრობისაგან გადარჩინა ფუძისეული რ-ს ამოვარდნამ (თუ, რა თქმა უნდა, იმ ვარაუდს გავიზიარებთ, რომ აწმყოს ფორმაში -რ დაკარგულია ისტორიულად). ამდენად -შდ ფორმანტის გამარტივება (ღ-დ ქცევა) და მეშველი ზმნის აწმყოს ფორმაში -რ- ბგერის დაკარგვა ერთდროული პროცესი უნდა იყოს, ამის შედეგი ჩანს ის ფაქტი, რომ იმ ფორმებში, სადაც ფუძისეული რ- აღდგება (მცოლუადი, პირთბითი), მრავლობითობის ნიშნად უცილობლად -ღ ინზარება და არა -შდ.

<sup>34</sup> ფონეტიკური შესატყვისობისათვის ქართ. თ, -ზან. თ, -სვან. შდ შდრ. (შესაბამისად) ქართ. დათვი, თაგვი, ათი, ხუთი—ზან. თუთი, მთუგი, ვითი, ხუთი—სვან. დშდუ, შდუბუ, დუშდ, ჭოხტიშდ და სხვა; ამის შესახებ იხ. ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 201—202.



# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII ს. რევოლუციურ საქართველოში

დ. მამრალაძე

(წარმოადგინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა)

გლეხთა კატეგორიების შესწავლას ჩვენში არც თუ ისე დიდხნის ისტორია აქვს. გლეხობის ისტორიის შესწავლა მყარ ნიადაგზე დადგა მას შემდეგ, რაც საქართველოში აღიარებული იქნა ფეოდალიზმის არსებობა (აღ. ხახანაშვილი, დიმი. ბაქრაძე). 1910 წელს გამოვიდა აღ. ხახანაშვილის ნაშრომები: „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ და „წოდებათა ისტორია საქართველოში“. აღ. ხახანაშვილი გლეხებში არჩევდა: მსახურს, ნასყიდს, ნაბოძებს, თავის ნებით შესულს, და „რთული ტიპის ყმას“. გლეხთა კატეგორიების საკითხს შეეხო აგრეთვე ი. ანთაძე ნაშრომში: „ყმების მფლობელობის ხასიათი საქართველოში მე-XVIII საუკ.“, რომელიც 1915 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომის ავტორი გლეხობას ორ ძირითად ჯგუფად: ვენახიან და უვენახო გლეხებად ჰყოფდა (გვ. 95). გლეხთა კატეგორიების საკითხებს ეხებოდა რევოლუციამდელი სხვა ავტორებიც: ქალანთაროვი, ავალიანი და სხვ. გლეხთა საკითხებს ეხებოდა თავის რევოლუციამდელ ნაშრომებში აკად. ივ. ჯავახიშვილი.

რევოლუციის შემდგომი ხანის ისტორიოგრაფია პრინციპულად განსხვავდება რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიისაგან. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ქართული ფეოდალიზმის გენეზისის და მისი განვითარების საკითხების სწორად დასმას (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი), ბუნებრივად მოჰყვა გლეხთა ისტორიის შესწავლა. ჯერ კიდევ 1930 წ. გამოქვეყნდა ს. კაკაბაძის ნაშრომი: «Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII, веке \* ამ წერილში ავტორი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს ისეთ გლეხებს როგორცაა: აზატი, მკვიდრი ყმა, ნების ყმა, წყალობის ყმა და ა. შ. (გვ. 158). ამავე წელს გამოვიდა გ. ნათაძის ნაშრომი «К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия», უფრო გვიან კი «Крестьяне «Сахасо». ამ ნაშრომებში ავტორი ძირითადად გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობას ეხება.

1938 წ. გამოქვეყნდა ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი: „Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.)“, სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ გლეხი სოციალურად არაერთგვაროვანი ფენია, რომ „ნასყიდი“, „შეწირული“, „ნაწყალობევი“, „ნებისყმა“, „გარეთმოსული“ და სხვ. კატეგორიები ერთიანდებიან გლეხის ფართო ფენაში (გვ. 3).

1955 წ. გამოვიდა გ. ჯამბურაძის წიგნი: „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“ და დ. გვრიტიშვილის წიგნი: „ფეოდალური საქართველოს



სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“. ამ წიგნებში ავტორები ცალკეულ თავებს უთმობენ გლახობის საკითხს. მოცემული აქვს გლახთა სოციალური კატეგორიები და მათი ვალდებულება-გამოსაღებები. 1960 წელს გამოქვეყნდა ედ. ხოშტარიას წერილი: „გლახობის სოციალური მდგომარეობის საკითხისათვის XVII—XVIII სს. ქართლში“. ამ წერილში მოცემულია გლახობის კატეგორიების კლასიფიკაცია. ცალკე თავში განიხილავს გლახობის საკითხს მ. ქიქოძე თავის სადისერტაციო ნაშრომში: „ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სამილახობრო)“. ხიზან გლახთა საკითხს ეხება ვ. გუჩუას სადისერტაციო ნაშრომი: „ხიზნობა და ხიზანთა საკითხი საქართველოში“ და გამოქვეყნებული წერილი: „ხიზან გლახთა ბუნებისა და წარმოშობისათვის“. კახეთის გლახობის შესწავლის ცდა მოგვცა თავის საკანდიდატო დისერტაციაში ნ. ასათიანმა „გლახობა XVI—XVII სს. კახეთის სამეფოში“, სადაც დასმულია გლახობის კატეგორიებად დაყოფის საკითხი<sup>1</sup>.

1962 წ. კი გამოქვეყნდა გ. აკოფაშვილის ნაშრომი: „გლახთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში“<sup>2</sup>. ამ ნაშრომში ავტორი განიხილავს XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს გლახთა ცალკეულ კატეგორიებს. ამ შემთხვევაში იგი ძირითადად იმეორებს უკვე არაერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას გლახთა ამა თუ იმ ჯგუფის შესახებ. ზოგჯერ საკუთარ, ახალ დაკვირვებასაც გვთავაზობს. ახალი, ორიგინალური ამ ნაშრომში ისაა, რომ ავტორი იძლევა გლახთა ჯგუფების—კატეგორიების ახალ კლასიფიკაციას<sup>3</sup>. მისი კლასიფიკაციით ასეთი სურათი წარმოგვიდგება: გლახობა დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად: I. მკვიდრი, II. ნებიერი, III. ნასყიდი. თითოეულ ამ ძირითად ჯგუფში შედის ქვეჯგუფები. მკვიდრი განყოფილება ქვეჯგუფად: 1. თარხანი, 2. მსახური, 3. მებეგრე, 4. ბოგანო. ნებიერი იყოფა: 1. ნებიტმოსულ და 2. ხიზან გლახებად. ნასყიდის კატეგორიაში კი ავტორს შეუტანია ორი ქვეჯგუფი: 1. ბოგანო ანუ უმამულოდ ნასყიდი და 2. მიწაზე მკდომი ნასყიდი გლახები.

თარხანი ავტორს ძირითადად საბატონო გადასახადებისაგან განთავისუფლებულ გლახად მიაჩნია (გვ. 69). ავტორს მოტანილი აქვს გათარხნების მაგალითი, როდესაც თარხნებს ლაშქარ-ნადირობა და გარკვეული სამსახური აძევთ. თარხანთა მოვალეობათაგან წერილის ავტორს მოტანილი აქვს სამასპინძლოც, რაც მას „პირადი დამოკიდებულების გადასახადად“ მიაჩნია (გვ. 70). ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თარხნებს შორის „ეკონომიური სიჭრელე“

<sup>1</sup> სადისერტაციო ნაშრომიდან ზოგიერთი საკითხი ნ. ასათიანს გამოქვეყნებული აქვს.

<sup>2</sup> ჩვენ არ ვსახელებთ იმ ავტორთა ნაშრომებს: ს. კაკაბაძე, ლ. მუსხელიშვილი, ო. სოსელია, ი. ანთელავა, მ. დუმბაძე, მ. ბერძინიშვილი და სხვ., რომლებიც დას. საქართველოს გლახობის სოც.-ეკ. საკითხებს ეხებიან, ან ქრონოლოგიურად არ თავსდებიან XVII—XVIII სს.

<sup>3</sup> მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34.

<sup>4</sup> გლახთა ჯგუფებისა თუ კატეგორიების კლასიფიკაცია გ. აკოფაშვილამდე სხვა ავტორებსაც ჰქონდათ. მაგ., ედ. ხოშტარია XVII—XVIII სს. ქართლის გლახობას ორ ძირითად სოც.-ეკ. კატეგორიად ჰყოფს: მებეგრე გლახობად და მსახურებად. ცალკე გამოყოფს რაიმე ხელობის მცოდნე გლახთა ჯგუფს და ბოლოს გლახთა ყელიაზე დაბალ კატეგორიად მიაჩნია შინამოსამსახურე გლახები (ისტ. ინსტ. შრ. V. I. გვ. 107).

XVI—XVII სს. კახეთის გლახობას ნ. ასათიანი სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფს, I. მსახურები, II. მოყალენი, III. გარეთმოსულები. თითოეულ ჯგუფში არის ქვეჯგუფები (იხ. ნ. ასათიანის საკანდიდატო დისერტაცია „გლახობა XVI—XVII სს. კახეთის სამეფოში“).



არსებობდა. მართლაც, თუ ჩვენ თარხნობისა და აზატობის წიგნებს გადავავლებთ თვალს, ამაში ადვილად დავრწმუნდებით. თუ გააზატებულთა ერთ ნაწილს „ლაშქარ-ნადირობისა და კარზედ სამსახურის მეტი“ არაფერი ეთხოვებოდა, მეორე ნაწილის „სათხოვარი“ უფრო მეტიც იყო ხოლმე. წერილის ავტორს აღნიშნული აქვს, რომ საყავლანიშვილოში თარხან ყმებს სამასპინძლო ედოთ. სამასპინძლოს ოდენობა მეტ-ნაკლები იყო ხოლმე. გ. ჯამბურისა სიტყვებით, „საყავლანიშვილოში თარხნის ორი კატეგორია იყო: 1. თარხანი „მთელი საკომლო“, ანუ „კაი კვამლი“ და 2. თარხანი „ნახევარი საკომლო“, ანუ „ამისგან დაბალი“. თარხნის ორივე კატეგორიას სპეციალური გადასახადი „სამასპინძლო“ ედვა ყავლანიშვილების სასარგებლოდ“<sup>5</sup>.

თავისთავად ის ფაქტი, რომ „სამასპინძლო“ მთელ საკომლოსა და ნახევარ საკომლოს—ე. ი. მიწის გარკვეულ რაოდენობას ეწერებოდა, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ იგი ბეგარაა. საყავლანიშვილოში მთელ საკომლოს ეწერა: „ცხვარი ორი, პური კოდი სამი, ქერი კოდი სამი, ქათამი ორი, ერბო სტილი ათი, მარილი ლიტრა ერთი“. ნახევარ საკომლოს ეწერებოდა: „ცხვარი ერთი, პური კოდი ერთნახევარი, ქერი კოდი ერთნახევარი, ქათამი ერთი, ერბო სტილი ხუთი, მარილი სტილი ათი“<sup>6</sup>.

ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთი დოკუმენტის მიხედვით კი „სამასპინძლო“ ასე წარმოგვიდგება: „ოთხი კოკა ღვინო, ერთის წლის ძროხა, ორი კოდი პური, ორი ქათამი“<sup>7</sup>. რამდენადაც სამასპინძლო განსაზღვრული იყო ქერით, პურით, ღვინით (მეღვინეობის რაიონებში), ცხვარით, ქათმით, ერბოთი და სხვ. იგი წარმოადგენდა რენტას ნატურის სახით. შესაძლებელია მას რამოდენადმე შეეცვლილი ფორმა ჰქონდეს, იგი ითვლებოდეს საპატიო „გამოსალებად“ „არა დამამცირებელ „გამოსალებად“ ბატონის წინაშე, მაგრამ ჩვენი აზრით, ფეოდალიზმის პირობებში იგი ნატურალური რენტის სახეობაა. მასასადამე „სამასპინძლო“, „პირადი დამოკიდებულების გადასახადი“ კი არ იყო, როგორც ამას ფაქტობს ამხ. აკოფაშვილი, არამედ ბეგარის გარკვეულ სახეს წარმოადგენდა.

თუ ერთ შემთხვევაში თარხანი „სამასპინძლოს“ სახით ნატურალურ რენტას იხდის, სხვა შემთხვევებში იგი შრომითი ვალდებულებაცაა ბატონის წინაშე. 1700 წ. იოსებ ურბნელს გაუთარხნებია რევან უოულოაძე... „არა გეთხოვბოდეს რა... ერთი დღე მკა, ერთი დღე ბარვაში წამოხვიდოდე“<sup>8</sup>.

ასევე შრომითი ვალდებულება თავისი ბატონის წინაშე გვიჩვენებს თუმანიშვილის ყმა რამინა, რომელიც 1703 წ. გაუთარხნებიათ. „არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსალები არა გეთხოვბოდეს რა... ერთ დღეს მამაცობით ვენახში უნდა გვიმუშაოთ“<sup>9</sup>—გვითხულობთ საბუთში. ზემომოტანილი დოკუმენტების მიხედვით გათარხნებულ გლეხებს ადევთ მკა, ბარვა და ვენახში მუშაობა. გარდა ამ სამუშაოებისა, ვხვდებით დოკუმენტებს, როდესაც გათარხნებული გლეხი ვალდებულია ბატონს ერთი დღე მოუხსნას<sup>10</sup> და შეასრულოს ეკლესიის მუშაობა<sup>11</sup>.

<sup>5</sup> გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, თბ. 88-124.

<sup>6</sup> გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

<sup>7</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, 1940, № 196.

<sup>8</sup> იქვე, № 152.

<sup>9</sup> იქვე, № 169.

<sup>10</sup> იქვე, № 196.

<sup>11</sup> იქვე, № 241.



როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, გათარხნება ყოველთვის ერთი პირობით არ ხდებოდა. თარხანთა შორის იყვნენ მეტ-ნაკლებად ვალდებულები. თუ ერთ შემთხვევაში თარხნის მოვალეობა მხოლოდ ლაშქარ-ნადირობა და სახელმწიფო გადასახადის გადახდა იყო, მეორე შემთხვევაში იგი დაბევრილი იყო, როგორც შრომითი, ისე ნატურალური ბეგარით.

ამდენად ჩვენ მიგვაჩნია, რომ თარხნები რომელთაც მკა, ბარვა, ზენა, ვენახის მუშაობა თუ სასახლის მუშაობა აკისრიათ, „მებეგრე“ გლეხები არიან, რომლებიც მეტ-ნაკლებად მსუბუქ ბეგარას უხდიან ბატონს. ეს გარემოება წერილის ავტორსაც ასე უნდა ესმოდეს. იგი წერს, რომ ყაფლანიანთ ნუსხაში „თარხანი გლეხები დანაწილებული არიან ისეთებად, რომელნიც მთელ საკომლოს ფლობენ და ისეთებად რომელთაც ამაზე ნაკლები უჭირავთ. ამისდა მიხედვით არიან ისინი და ბე გ რ ი ლ ე ბ ი ც“. (გვ. 70). როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს ისინი „დაბეგრილები“ არიან.

ამრიგად, თარხან გლებთა კატეგორია ორ ჯგუფად იყოფა. I. თარხანი, რომელსაც არაფერი ევალება გარდა ლაშქარ-ნადირობისა და სახელმწიფო გადასახადის—საურისა და II. თარხანი, რომელიც მეტ-ნაკლებადაა დაბეგრილი, „სამასპინძლოთი“ (ნატურალური რენტით), ან შრომითი ბეგარის ამა თუ იმ სახეობით.

შეიძლება გვეფიქრა, რომ თავისი მდგომარეობით თარხანი არ განსხვავდება ჩვეულებრივად დაბეგრილი გლეხისაგან. მაგრამ მას სხვა უპირატესობა „თარხნობა“ აქვს განსხვავებით სხვა ტიპის გლეხისაგან. ამდენად, თუ ეკონომიურად თარხანთა გარკვეული ნაწილი მებეგრეთა ჯგუფში შეიძლება მოხვდეს, უფლებრივად იგი პრივილეგირებული გლეხია, რომელიც ტრადიციულად ინარჩუნებს ამ უპირატესობას (ცხადია არა ყოველთვის). კარგი იქნებოდა თუ ამ გარემოებას სტატიის ავტორი გაითვალისწინებდა გლებთა ჯგუფების კლასიფიკაციის დროს.

ასევე შეიძლება ითქვას მსახურის შესახებ. მართალია მსახური პრივილეგირებული გლეხია და მას ბატონის წინაშე საპატიო სამსახური აძევს, მაგრამ იგი (ყოველ შემთხვევაში მსახურთა გარკვეული ნაწილი) თავისუფალი არაა ბეგარისაგან. დ. გვრიტიშვილის აზრით, მსახური „ბეგარას“ „მსახურობით“ უხდის თავის პატრონს და ამით განსხვავდება „მებეგრე გლეხებისაგან“<sup>12</sup>. ასეთივე აზრისაა მსახურის შესახებ გ. ჯამბურია. მებეგრე გლეხებისაგან ცალკე გამოჰყოფს მსახურს ედ. ზოშტარია. ასევე ცალკე გამოჰყოფს მსახურს მებეგრე გლეხებისაგან გ. აკოფაშვილი. მართალია, ზოგჯერ გათარხნებულ მსახურს „მსახურობის“ მეტი არაფერი ევალება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მას ლაშქარ-ნადირობისა და მსახურობის გარდა „ძღვენი“ მართებს. „ძღვენი“, ისევე როგორც „სამასპინძლო“, ნატურალური ბეგარის სახესხვაობა უნდა იყოს, რამდენადაც „ძღვენიც“, ისევე, როგორც „სამასპინძლო“ მიწისჭერასთან დაკავშირებული ვალდებულება იყო და მიწას—მიწის გარკვეულ ერთეულს—საკომლოს ეწერებოდა<sup>13</sup>.

<sup>12</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 187.

<sup>13</sup> გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 126—127.



გარდა „ძღვენისა“ მსახურს ზოგჯერ შრომითი მოვალეობაც აკისრია ბატონის წინაშე. 1689 წ. სითარხნის წყალობის წიგნში, რომელიც გვიც ამილხორის მიუცია ოთია კუბატაძისათვის, ვკითხულობთ: „ასე გათარხნეთ და გათავისუფლეთ, რომე ერთი მსახური უნდა გვახლდეს, ზურის ბარჯასა და ხოდანუნის მკას უნდა მოგვეკმარებოდეთ... ამის მეტი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა... თვინიერ ერთის მსახურისა და მკისა და ბარჯის მეტი“<sup>14</sup>. მკა და ბარჯა მიწისჭერასთან დაკავშირებული საბევრო ვალდებულებებია. ამდენად, როგორც ვხედავთ მსახურიც, თუ ერთ შემთხვევაში ყველაფრისაგან თავისუფლდება გარდა „მსახურობისა“, მეორე შემთხვევაში მას ბეგარა აქვს ან „ძღვენის“—ნატურალური რენტის სახით, ან შრომითი რენტის—მკისა და ბარჯის სახით. ამდენად მსახურთა კატეგორიაში აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე როგორც ეს დადგენილი აქვს დასავლეთ საქართველოს სინამდვილესათვის განსვენებულ ლ. მუსხელიშვილს<sup>15</sup>, ორი ჯგუფი გამოიყოფა 1. მსახური დაუბეგრავე და 2. მსახური დაბეგრილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს სწორი მსახურის გამოყოფა ცალკე ჯგუფად მებეგრე გლეხებისაგან. რადგანაც თუ მსახურთა ერთი ჯგუფი მართლაც დაუბეგრავეა, მეორე ნაწილი დაბეგრილია და ამდენად მებეგრეც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერმინს ქვეშ „მებეგრე“ გაერთიანება გლეხთა ერთი ჯგუფისა, მთლად ზუსტად ვერ ასახავს არსებულ ვითარებას. როგორც დავინახეთ მეტ-ნაკლებად „მებეგრე“ შეიძლება იყოს თარხანიცა და მსახურიც, ასევე ნებიერი, ნასყიდი და სხვ. ამიტომ მკვიდრ გლეხთა ჯგუფიდან მებეგრეთა ცალკე გამოყოფა სათუოდ მიგვაჩნია.

ბოგანო, ავტორის კლასიფიკაციით მკვიდრ გლეხთა ჯგუფშია მოთავსებული.

ხალხთა აღწერილობის XVII—XVIII სს. ნუსხებში მოსახლეობა ორ ძირითად ჯგუფად არის ხოლმე გაყოფილი: „მემკვიდრე“ ანუ „მკვიდრ“ გლეხებად და „ბოგანობად“. უმეტეს შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის დაჯამება ხდება, მოსახლეობის დაჯგუფება უმეტესად სწორედ ამ ორი ნიშნის მიხედვით არის ხოლმე. მაგ. „იქმნა ჯამი მემკვიდრისა (ამდენი და ამდენი)“, „იქმნა ჯამი ბოგანოსი (ამდენი და ამდენი)“. ზოგჯერ ნუსხებში ბოგანოც კომლად იხსენიება და დაპირისპირებულია ხოლმე მემკვიდრე (ე. ი. მკვიდრ) კომლთან მაგ. XVIII საუკუნის ერთ ნუსხაში დაჯამებულია არაგვის კომლები. „ქ. მემკვიდრე კომლი შნთ. ქ. აქავ ბოგანო კომლი კე. ქ. აქავ ობოლი ლგ“<sup>16</sup>. ზოგჯერ კი ბოგანო, როგორც ეს აღნიშნული აქვს გ. ჯამბურის „მსახლობართან“ არის დაპირისპირებული<sup>17</sup>.

ზოგჯერ ბოგანო საკომლოსთან არის დაპირისპირებული. XVIII საუკ. II ნახ. ერთ საბუთში ჩამოთვლილია სოფ. ფცას კონსტანტინე დავითიშვილის ყმები. ბოლოში კი დაჯამებულია: „ამ სოფლის ჯამი იქნა საკეამლო მ, ბოგანო ზ. ახნაური ე“<sup>18</sup>. ჩვეულებრივად კი ბოგანო კომლის საპირისპიროდ იხმარება

<sup>14</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, № 116.

<sup>15</sup> ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს., ენიშის მოამბე, V—VI. 1940, გვ. 283, 293, 312.

<sup>16</sup> საქ. სსრ. მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტი, Qd.—7166.

<sup>17</sup> გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

<sup>18</sup> საქ. მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტი, Qd—8639. ასევეა სხვა დოკუმენტებში Hd—1366 და სხვ.



მაგ. „იფნობს... კომლი ია, ბოგანო დ“. ან კიდევ „თოფრაყალას კომლი ბ. ბოგანო ბ“<sup>19</sup>. ამ დოკუმენტის ავტორი ბოგანოს „გლეხის“ საპირისპიროდაც კი ხმა-რობს. „ქრეს ყაითმზაშვილების აზნაურშვილი ე, გლეხი იბ, ბოგანო ით“. ამ შემთხვევაში „გლეხი“ ვფიქრობთ „მემკვიდრის“, „მკვიდრის“ სინონიმად უნდა იყოს ნახმარი, რომელსაც ტრადიციით უჭირავს საკომლო ან საკომლოს ნაწილი.

ბოგანო კომლთან—მკვიდრ გლეხთანაა დაპირისპირებული ისეთ ოფიციალურ ძეგლში, როგორცაა დასტურლამალი. ბარაგრაფში „საურისათუს“ დასტურლამალში ვკითხულობთ: „ბოგანოზედ სძეს შაური, კომლზედ ორი შაური“<sup>20</sup>. ასევე ძეგლის იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია სოფლების აღწერაზე ვკითხულობთ, რომ იმ სოფლებში, სადაც სარდრები და მდივნები ჩადგებიან „საკომლო ორი შაური და ბოგანო ერთი შაური აღსამწერლო უნდა გამოიღონო“<sup>21</sup>.

აქედან აშკარაა, რომ ბოგანო სახელმწიფო ნორმების მიხედვით „კომლად“ ე. ი. „მკვიდრ“ ანუ „მემკვიდრე“ გლეხად არაა აღიარებული.

ასევე ფიქრობდა მკვიდრისა და ბოგანოს შესახებ განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი. იგი აღნიშნავდა, რომ (სამროვლოს 1715 წ. დავთრის მიხედვით) „მცხოვრებნი ორად ყოფილან დაყოფილნი მემკვიდრე მემკომურად და ბოგანოდ“<sup>22</sup>.

ავტორი მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ ბოგანო უფრო გვიან მკვიდრ გლეხსაც შეერჩევა, მაგრამ ჯერ კიდევ XVIII საუკ. მთელ მანძილზე გვაქვს მავალითები, როდესაც ბოგანო ახალმოსული და ახალდასახლებული კაცის სახელია. „ბოგანო ერევნიდამ მოყვანილი“<sup>23</sup>, „ბოგანო იმერეთიდან გადმოსული“<sup>24</sup> და სხვ. ზოგჯერ დოკუმენტებში ბოგანო „მოსულობით“ მოიხსენიება. მაგ., ძაგნაკორას პაპუას ყმათა შორის დასახლებულია „გიორგი მოსული ბოგანო“<sup>25</sup>. ბოგანოების მოსულობაზე მიუთითებს ხოლმე ნუსხებში მათი სადაურობის აღნიშვნაც. მაგ. დუშეთს სასახლის სახასო ყმათა შორის მოიხსენიებიან „ბოგანო ხანდოელი, ბოგანო ვანათელი... ბოგანო ჯავახი...“<sup>26</sup> ასევე მათ „მოსულობაზე“ ლაპარაკობს ნუსხებში ბოგანოების მოხსენიება ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. მაგ. „თათარი ბოგანო“, „ქვესური ბოგანო“, „დეალი ბოგანო“<sup>27</sup>. და ა. შ. და ა. შ.

ამდენად, თუ ბოგანო ერთის მხრივ ადგილობრივი მკვიდრია ხოლმე, მეორეს მხრივ ბოგანოები „მოსული“ ან „მოყვანილი“ ან „არამსახლობარი“ (საპირისპიროდ „მსახლობარისა“ ე. ი. „მკვიდრისა“) გლეხები არიან.

ვერ გავიზიარებთ ავტორის მეორე დებულებასაც, რომ ბოგანო „თავისი ეკონომიური შესაძლებლობის მხრივ ყველაზე დაბლა დგას მკვიდრ გლეხებს შორის და მოკლებულია ინტენსიური მეურნეობის წარმოების საშუალებას“ (გვ. 71). საქმე ისაა, რომ XVII საუკ. ბოლოსათვის და XVIII საუკ. მთელ

<sup>19</sup> Hd—1366.  
<sup>20</sup> დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, ტფ. 1886, გვ. 73.  
<sup>21</sup> იქვე, გვ. 13.  
<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 13.  
<sup>23</sup> Qd—7179, 7176.  
<sup>24</sup> Qd—7179.  
<sup>25</sup> იქვე.  
<sup>26</sup> Hd—1603.  
<sup>27</sup> იქვე.



სივრცეზე შეიმჩნევა, რომ ბოგანო არაერთფეროვანი მასაა. ბოგანოებს შორის აშკარად შეიმჩნევა ეკონომიური უთანასწორობა.

XVIII საუკ. საგადასახადო ნუსხებში სოფლის მოსახლეობა (იგულისხმება უშუალო მწარმოებელი) ორად არის გაყოფილი: გადამხდელ-გამომღები და ასეთისაგან განთავისუფლებული. გადასახადისა და გამოსაღებისაგან თავისუფალნი არიან ხოლმე ან გარკვეული პრივილეგიების გამო (თარხანთა და აზატთა ნაწილი) ან დაბალი ეკონომიური დონის გამო (შეუძლებლები, ღარიბები, გლახები, ობლები, საბრალოები და ბოლოს აყრილები და ამოწყვეტილები). ჩვეულებრივად გადასახადებისაგან თავისუფლები არიან ხოლმე ბოგანოებიც. მაგრამ ასეთი ბოგანოების გვერდით ვხვდებით ისეთ ბოგანოებს, რომელთაც ესა თუ ის გამოსაღები თუ გადასახადი აძევთ. ასეთი ბოგანოები ნუსხებში შეტანილი არიან კომლისა და თავის დასახელებით.

როგორც წერილის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, ბოგანოებს ზოგჯერ ლაშქრობაც ევალებოდათ. 1721 წ. შედგენილ მეწინავე დროშის აღწერილობაში ვხვდებით მოლაშქრე ბოგანოებს, რომლებსაც აღწერილობის ავტორი ასხვავებს ჩვეულებრივი ბოგანოებისაგან. მაგ. სოფ. მარიამს დასახელებული 11 კომლიდან ბოგანო მოლაშქრეა—1, ბოგანო 2<sup>20</sup>. ლიყურეთს დასახელებული 12 კომლიდან ბოგანო მოლაშქრეა—1, ბოგანო 1<sup>20</sup>. ბოლნისს ჩამოთვლილია სახასო 56 კომლი, აქედან ბოგანო მოლაშქრეა—8, ბოგანო 2<sup>20</sup> და ა. შ.

ასევე ვხვდებით მოლაშქრე ბოგანოები XVIII საუკ. I ნახევარში შედგენილ ამილდაბარ გოშტაშაბიშვილის ყმების ნუსხაში. ამ ნუსხაში 100 კომლია შეტანილი, აქედან 19 ბოგანოა, 2 კი ბოგანო მოლაშქრე<sup>21</sup>.

1720 წ. ვახტანგ VI-ის მიერ ვაცემულ ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ლაშქრობის დროს ბოგანოების დაჯგუფება ხდებოდა გარკვეული ნიშნების მიხედვით. მოგვაქვს ეს საბუთი: „არის ბატონის კათალიკოზის ყმა ყოველგან აზნაურშიღს გარდა საკომლო ექვსას თექვსმეტი, ბოგანო მოლაშქრე. ასამოცდა ორი, ისე ბოგანო ოთხმოცდარვა. ამისგან ცხენოსანი მეთოფე ოთხასთერთმეტი, შუბოსანი ცხენით ორასხუთი. ბოგანო ქვეითი ფარხლმით ასოცდახუთი, საფთე მშვილდით ასოცდახუთი“<sup>22</sup>. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ არიან „მოლაშქრე ბოგანოები“, „ისე ბოგანოები“ და „ქვეითი ბოგანოები“.

ჩვეულებრივად ბოგანო ფარ-ხმალითა და საფრთე მშვილდით იყო ხოლმე შეიარაღებული. „რაც ამაში კომლი სწერია, სულ ყველამ თოფი უნდა იშოვნოს, ბოგანომ ფარხმალი და საფთე მშვილდი წამოიღოს“—ვკითხულობთ ერთ-ერთ საბუთში<sup>23</sup>. როგორც ჩანს ქვეითი ბოგანო შეიარაღებულია ფარ-ხმალითა და საფთე მშვილდით, როდესაც მეთოფეები და შუბოსნები უმეტესად ცხენოსნები არიან<sup>24</sup>. მართალია ზემოთ მოტანილ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი მოლაშქრე ბოგანოს შეიარაღებისა თუ სხვა დამახასიათებელი ნიშნების შესახებ (გარდა იმისა, რომ ის „მოლაშქრეა“), მაგრამ ვფიქრობთ, მისი გამოყოფა „ისე

<sup>20</sup> მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა, ტფ. 1907, გვ. 55—56.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 233—34.

<sup>23</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., I, № 44.

<sup>24</sup> იქვე, I, № 257.

<sup>25</sup> იქვე, № 256.

<sup>26</sup> მეთოფეები ზოგჯერ ფეხოსნებიც არიან (Hd—6267).



ბოგანოსა“ და „ქვეითი ბოგანოსაგან“, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მას შეუძლია ლაშქრობა სხვა ბოგანოებისაგან განსხვავებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მას „ლაშქრობის“ წელი უნდა ჰქონდეს: ცხენი, კარგი იარაღი, ზოგჯერ თოფიც. მართლაც ჩვენ არა ერთი და ორი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული, როდესაც მოლაშქრე ბოგანოები თოფებით არიან შეიარაღებული და არა ფარ-ხმალითა და საფრთე მშვიდლით, როგორც ჩვეულებრივი ბოგანოები. მაგ. საამილახოროში XVIII საუკ. ერთ-ერთ ნუსხაში ზემოყურას დასახელებულია „მოლაშქრე ბოგანო ხიბალიკა თოფით“.

ბოგანოების ვარკვეული ნაწილის „მოლაშქრობა“, მისი პრივილეგიები სხვა ბოგანოებისგან განსხვავებით, ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა და მოლაშქრე ბოგანო შეიძლებოდა ზოგჯერ ეკონომიურად უფრო ღონიერი ყოფილიყო, ვიდრე რომელიმე მკვიდრი „შეუძლებელი“, „ღარიბი“, „გლახა“, „ბეზმისქინი“ და ა. შ. ამიტომ არ ვიზიარებთ ავტორის დებულებას, რომ ბოგანო თავისი ეკონომიური შესაძლებლობით ყველაზე დაბლა დგას.

ბოგანო არაერთგვაროვანი ფენია. ბოგანოები ეკონომიური შესაძლებლობით სხვადასხვა ღონეზე დგანან. თუ ერთის მხრივ „მოლაშქრე ბოგანო“ ეკონომიურად ღონიერი ჩანს, მეორეს მხრივ დოკუმენტებში ვხვდებით ბოგანოებს, რომლებიც „შეუძლებელი ბოგანოებად“ მოიხსენიებიან<sup>36</sup>. მაგ. წავკისს მოხსენებულია „ბოგანო ქვემო წერაქველი გრიქორა შეუძლებელი“<sup>37</sup>, ან ცხრაზმას უკანუბნიდამ დასახელებულია „ბოგანო ჩიტასაშვილი შეუძლებელი ხიხანა“<sup>38</sup>. ასევე უნდა განსხვავებოდეს ეკონომიურად (და უფლებრივადაც) სხვა ბოგანოებისაგან ნასყიდი ბოგანოც. წავკისს მაგ. დასახელებულია „ბოგანო ნასყიდი ხუტაშვილი პატარაკაცი“<sup>39</sup>, ძალინას ერეკლე ფალავანდიშვილის ყმათა შორის იხსენიება „ნასყიდი ბოგანო რიკაძე პეტრე და შიო“<sup>40</sup>. ცხადია „ნასყიდი ბოგანო“ არ შეიძლებოდა თავისი ეკონომიური თუ უფლებრივი მდგომარეობით სხვა, „მკვიდრ“ ბოგანოთა დონეზე მდგარიყო. ასევე შეიძლება ითქვას „ნამზითვ ბოგანოზეც“. მით უმეტეს არ შეიძლებოდა „ნასყიდი“ და „ნამზითვი“ ბოგანო მკვიდრი გლეხა ყოფილიყო. ამიტომაც მოხდა რომ წერილის ავტორი თუ ერთის მხრივ ბოგანოს მკვიდრ გლეხთა კატეგორიაში ათვისებს, მეორეს მხრივ ბოგანო, ანუ უმძულოდ ნასყიდი „ნასყიდის“ კატეგორიაშია მოქცეული (გვ. 82).

თუ ერთის მხრივ არიან ეკონომიურად ღონიერი და სუსტი ბოგანოები, მეორეს მხრივ არიან — მკვიდრი და არამკვიდრი ბოგანოები (მოსულები, მოყვანილები, ნასყიდები, ნამზითვები და ა. შ.). ამიტომ

<sup>36</sup> Qd—2159.

<sup>37</sup> წერილის ავტორი თვლის, რომ მკვიდრ გლეხებს შორის ეკონომიურად სუსტი გლეხები ყმათა ნუსხებში ზოგჯერ „შეუძლებელი“ გლებთა სახელს ატარებენ, ხოლო ბოგანოების სახელით არიან მოხსენიებული (გვ. 68). უნდა აღინიშნოს რომ შეუძლებელი და ბოგანო ორი ერთანეთისაგან განსხვავებული ცნებაა. ჩვენი აზრით ბოგანო გლეხის კატეგორიაა. ხოლო შეუძლებლობა აღნიშნავს ეკონ. მდგომარეობას. ამიტომ „შეუძლებელი“ შეიძლება იყოს მკვიდრიც, ბოგანოც და აზნაურიც კი.

<sup>38</sup> Hd—1604.

<sup>39</sup> ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, თბილისი, სახ. უნტ. შრ., 45, გვ. 16.

<sup>40</sup> Hd—1604.

<sup>41</sup> Hd—1611, ასევეა სხვა დოკუმენტებში Hd—1606 და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ბოგანოების გაერთიანება ქვეჯგუფად მკვიდრი გლეხების ჯგუფში მოკლებულია დამაჯერებლობას. ვფიქრობთ, რომ ბოგანოების განაწილება ერთი მხრივ მკვიდრის კატეგორიაში, მეორე მხრივ კი ნასყიდისა, არაა სწორი, რადგანაც ეს ჯგუფი გლეხებისა ცალკე გამოყოფილი უნდა იყოს „ბოგანოების“ ნიშნის მიხედვით. ე. ი. ბოგანობა არის ჯგუფის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანთვისება, რაც შეეხება „მკვიდრობას“, „ნასყიდობას“, „ნამზითობას“ და სხვ. ეს უკვე ამ ჯგუფის გლეხების მეორად, არაპირველად მდგომარეობას გამოხატავს და ამდენად არ შეიძლება ეს მეორადი მოვლენა განმსაზღვრელ მომენტად მივიჩნიოთ.

ავტორი ცალკე გამოჰყოფს და ზოგადად ახასიათებს მებეგრე გლეხებს. იგი თვლის, რომ „ყმა-გლეხების ძირითად მასას მებეგრე გლეხები შეადგენენ“. ავტორი ზოგადად ჩამოთვლის ამ გლეხთა გადასახადებსა და ვალდებულებებს. კარგი იქნებოდა ზუსტად ყოფილიყო განსაზღვრული თუ ვის გულისხმობს ავტორი მებეგრე გლეხებს შორის. კარგი იქნებოდა დასმულიყო საკითხი: არის თუ არა ყველა „მკვიდრი“ ანუ „მემკვიდრე“ მებეგრე და პირიქით?

76 გვ. ავტორი ლაპარაკობს „ნებით მოსული“ ყმის შესახებ. იგი მიმოიხილავს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებს „წყალობის ყმის“ შესახებ. წერილში ჩამოთვლილია იმ ავტორთა გვარები (ა. ხახანაშვილი, დ. ფურცელაძე, ივ. ჯავახიშვილი, ა. ფანცხავა), რომელთაც არასწორად ესმოდათ ამ ტერმინის მნიშვნელობა. ავტორი გვთავაზობს დასახელებულ ავტორთაგან განსხვავებით ტერმინის „წყალობის ყმა“ ახლებურ ინტერპრეტაციას, მაგრამ აქვე დავსძენთ, რომ მას გაუთვალისწინებელი დარჩენია ედ. ხოშტარის დაკვირვება „წყალობის ყმის“ შესახებ, რაც არსებითად ემთხვევა ავტორის ინტერპრეტაციას. „ისეთი გლეხი, რომელიც ნებით მოუვიდოდა მეზატონეს და უკანასკნელის მიერ შეწყალებული იქნებოდა ყმად, განიხილებოდა, როგორც წყალობის ყმად მისული“, — ვკითხულობთ 1960 წ. გამოქვეყნებულ ედ. ხოშტარის წერილში<sup>41</sup>.

ამავე დებულებას, როგორც სრულიად ახალს, გვთავაზობს ამხ. გ. აკოფაშვილი. „ნებით მოსულ ყმას საბუთებშიც და სამართლის წიგნშიც ზოგჯერ წყალობის ყმაც ეწოდებოდა“ (გვ. 76)<sup>42</sup>.

ლიტერატურაში უკვე გამოთქმული მოსაზრებისა თუ დებულების გაუთვალისწინებლობა წერილში სხვა ადგილზეც შეიმჩნევა. მაგ., ბოგანოს შესახებ ავტორს მხოლოდ აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება გაუთვალისწინებია, რომელიც ამაგრებს მის დებულებას, რომ ბოგანო მკვიდრი გლეხია. ხოლო მისი დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებები მას არ გაუთვალისწინებია. მაგ., გ. ჯამბურის აზრით „ბოგანო“ „მსახლობარი“ და „მკვიდრი“ გლეხი არ არის... იგი დამჯდარ და ინტენსიურ მეურნეობას ვერ ეწევა“<sup>43</sup>. ასევე ედ.

<sup>41</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ. შრომები, V, ნაკვ. I, გვ. 90.

<sup>42</sup> აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ნების ყმისა და წყალობის ყმის იგივეობა სხვათაშორის აღნიშნა ბროუე. ს. კაპაბაძემ 1930 წ. მისი სიტყვებით „... Законы Вахтанга ... различают друг от друга помимо мсахური, крестьянина азата, наследственного крепостного крестьянина (მკვიდრი ყმა, и добровольного или жалованного крестьянина (ნების ყმა)“. იხ. Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII веке, გვ. 158.

<sup>43</sup> გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 122.



ხოშტარიას აზრით, ბოგანო „შორიდან მოსული გლეხები არიან... რომლებიც ინტენსიურ მეურნეობას არ ეწევიან“<sup>44</sup>.

წერილში სრულად არაა წარმოდგენილი გლეხთა კატეგორიები. მაგ., არაფერია ნათქვამი მოყალნეების შესახებ, რომლებიც მრავლად გვხვდებიან, როგორც ქართლურ, ასევე კახურ საბუთებში (განსაკუთრებით XVIII საუკუნეში). კარგი იქნებოდა თუ ავტორი მის მიერ შემოთავაზებულ სქემაში ადგილს მოუძებნიდა მოყალნეებს და თავის სიტყვასაც იტყოდა მათ შესახებ, წარმოადგენენ თუ არა ისინი რაიმე განსხვავებულ ჯგუფს, თუ ჩვეულებრივი მებეგრე გლეხები არიან?

არაფერია ასევე ნათქვამი ნამზითე, ნასისნლ, ნაწყალობეც (რომელიც ავტორს მკვიდრ გლეხად მიიჩნია (გვ. 67)<sup>45</sup> და გლეხთა სხვა ტიპების შესახებ. თავსდებიან თუ არა ისინი ავტორის მიერ შემოთავაზებული სქემის რომელიმე ჯგუფში (ან ქვეჯგუფში) თუ ამ სქემის გარეშე რჩებიან?

არაფერია ნათქვამი ნაშრომში არც იმის შესახებ თუ რატომ იღებს ავტორი ქრონოლოგიურ ჩარჩოდ XVII—XVIII სს. არაფერია ნათქვამი აგრეთვე არც იმის შესახებ ორი საუკუნის მანძილზე XVII—XVIII სს. სურათი უცვლელი, სტატიკური იყო თუ ჰქონდა ადგილი რაიმე კონკრეტულ ცვლილებებს. ამა თუ იმ გლეხის ტიპის განვითარებაში.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას რომ გლეხთა კატეგორიების მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში დაიგვიანა. დღეისათვის ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი გვიანი საუკუნეების სოციალური ტერმინოლოგია. ურთიერთობა ტერმინებსა და შინაარს შორის. შესწავლილი არაა ამა თუ იმ კატეგორიის გლეხის ეკონომიური სახე, მეურნეობა, ეკონომიური შესაძლებლობანი; თითოეული გლეხის საქმიანობა, მისი უფლებრივი მდგომარეობა.

შესწავლილი არაა გლეხთა სპეციფიკა მხარეების მიხედვით: ქიზიყი და დანარჩენი კახეთი; შიდა და ქვემო ქართლი; ქართლისა და ჭახეთის მთიანეთი და ა. შ.

სათანადოდ არაა შესწავლილი გვიანი საუკუნეების გლეხები ეკონომიური პრინციპის მიხედვით: „კაი ყმა“, „კარგი გლეხი“, „დიდნი გლეხნი—დიდისა მქონებელნი“, „შუათანა გლეხი“, „მცირე გლეხი“, „დაბალი გლეხი“ და ა. შ. არ ვიცით რის შემძლებელია „წინა კაცი“, „შუა კაცი“ და „ბოლოს კაცი“, რომელთა გამოსაღებები ლიტრობითაა განსაზღვრული“.

<sup>44</sup> ისტ. ინსტ. შრომები, V, ნაკვ. I, გვ. 89. რადგან სიტყვამ მოიტანა და შემთხვევა მოგვეცა, გვინდა შევასწოროთ ედ. ხოშტარიას მიერ დაშვებული უზუსტობა (იქვე სქოლიოში). ედ. ხოშტარიას სიტყვით, თითქოს „საბას განმარტებით „ბოგანო“ უფნაზო გლეხს ნიშნავს (იხ. ლექსიკონი). ასევე განიხილავს ბოგანოს ვაზტანგის სამართალი“. სამწუხაროდ, ავტორს საბას ლექსიკონში ბოგანოს განმარტება არ შეუმოწმებია. საბას განმარტებით ბოგანო უფნაზო გლეხი კი არ არის, არამედ „უჯარაკო გლეხია“. ხოლო აჯარაკი საბასვე განმარტებით იქვე არს ადგილი საყანური, გინა სავენაჟე, გინა დაბა (სადგური სახაფხულო)“.

<sup>45</sup> ავტორი ფიქრობს, რომ ნაწყალობევის გაყიდვისა და განსხვავების უფლება ისევე აქვს პატრონს, როგორც მკვიდრა გლეხისა (გვ. 67). ფეოდალისმის პირობებში ბოძება-წყალობა საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. ამავე დროს ამ საკუთრებაზე უფლება რეგლამენტირებულია. ამიტომ ნაწყალობევი გლეხი უფლებრივად არ შეიძლება მკვიდრი გლეხის თანაბარი იყოს.



ასევე არაა მთელი სისრულით შესწავლილი გლენები კუთვნილების მიხედვით: სამეფო, საბატონო (თავადის და აზნაურის) და საეკლესიო გლენები, მათი განმასხვავებელი თუ საერთო ნიშნები.

გარდა გლენტა ფორმირებული და ნორმირებული ტიპებისა: მკვიდრი, ნასყიდი, ნებიროსული, შეწირული და სხვ. XVII—XVIII სს. გლენტა შორის გვხვდებიან ჭერ კიდეე ჩამოუყალიბებელი ტიპის გლენებიც, რომელთა სახეების გამოკვეთა-დადგენა ჭერ-ჭერობით არავის უცდია. ამ უხერხულობას წერილის ავტორიც კარგად გრძნობს. იგი აცხადებს, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს „თითოეული ამ კატეგორიის ამომწურავი და დეტალური დახასიათება. ამის საშუალებას არც წერილის მოცულობა იძლევა და რაც მთავარია კვლევის გაღრმავებაც არის საჭირო“. (გვ. 69). ასეთ შემთხვევაში კი, როდესაც ჭერ კიდეე სა თ ა ნ ა დ ო დ არ არის შესწავლილი თითოეული გლენის ტიპი თუ ქვეტიპი, საკითხის დასმა გლენტა კატეგორიების კლასიფიკაციისა და განზოგადობის შესახებ ნაადრევად გვეჩვენება.

კრებულის „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ რედაქცია სწორად მოიქცა, როდესაც ამხ. გ. აკოფაშვილის წერილი განხილვის წესით გამოაქვეყნა.

# საქართველოს არქეოლოგიის უნივერსიტეტის პროფესორი

ა. ავაქიძე

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის  
სახ. ისტორიის ინსტიტუტმა)

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად დაწინაურდა საქართველოს არქეოლოგიის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლა და, შესაბამისად, გაფართოვდა ჩვენი ცოდნა ამ მიმართულებით. ეს პირველ რიგში ძველი მელითონეობის, კერძოდ, რკინის წარმოების—რკინის უძველესი მეტალურგიის საკითხებს შეეხება. ამ უკანასკნელთან კი დაკავშირებულია ძველი, ადრე დაწინაურებული ქვეყნების კულტურისა და სოციალ-ეკონომიური განვითარების ახალი საფეხური — რკინის მახვილის, რკინის ცულისა და რკინის სახნისის ეპოქა.

ბრინჯაოს მეტალურგიის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორც საქართველო, ძვ. წ. II ათასეულის შუა ხანებისათვის სოციალური ცხოვრება ისე განვითარებული ჩანს, რომ უკვე მკაფიოდ შეიმჩნევა სოციალ-ეკონომიური დიფერენციაციის ღრმა პროცესი, მაგრამ ბრინჯაოს იარაღმა ვერ უზრუნველყო ამ პროცესის დასრულების დაჩქარება. ძლიერ განვითარებული ბრინჯაოს მეტალურგიის შესაბამისმა სოციალ-ეკონომიურმა ცხოვრებამ მიიყვანა საზოგადოება რკინის აღმოჩენამდე; რკინის აღმოჩენა კი, სახელდობრ რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღის გაკეთება—მისი უპირატესობის მიგნება, ვაზდა საფუძველი ძველი სოციალ-ეკონომიური წყობის ინტენსიური რღვევისა, რამაც რკინის ფართო ათვისების ხანისათვის დაასრულა სოციალური რევოლუცია—მიიყვანა საზოგადოება კლასებად დიფერენცირებულ წყობამდე. ამ ხანას უკავშირდება საქართველოში საქალაქო ცხოვრების ჩასახვის პროცესიც, ვითარდება საქალაქო ნეკროსობა და ეპრობა, თავს იჩენს გვიანბრინჯაოსა და რკინის ათვისების ხანის მსხვილ სამოსახლოთა გაერთიანების პროცესი.

სხვა რომ არათფერი ითქვას, უკვე ზემოთ აღნიშნულიც, ჩვენი აზრით, საქმოდ ცხადსა ხდის რკინის აღმოჩენის დიდ მნიშვნელობას. საკითხის ასეთი მნიშვნელობის გამო, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს რკინის ძველი მეტალურგიის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ყოველი გამოკვლევა, მით უფრო თუ ის ახლად აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს ეყრდნობა. სწორედ ამ მხრივ გამოიჩინევა რ. აბრამიშვილის ნაშრომი, მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოში რკინის ათვისების საკითხებისადმი<sup>1</sup>.

ნაშრომში განსახილველი საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სირთულის გამო ამ პრობლემის კვლევა არ შეიძლება იყოს შემოფარგლული ერთი ქვეყნის და, მით უმეტეს, ერთი ავტორის ინტერესებით. წარმოდგენილი

<sup>1</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV-VI სს.) აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მეზღუდის მოამბე, ტ. XXII-B, თბ., 1961, გვ. 293-382 + ოცი ტაბულა.

ნაშრომის საერთო გაცნობაც ცხადსა ხდის, რომ ავტორის მიერ დაყენებული საკითხების მეტ-ნაკლებად წარმატებით გაშუქებისათვის საჭირო გამხდარა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, ამიერკავკასიის და, საერთოდ, კავკასიის; არამედ მანკობელი აღმოსავლეთის, წინა აზიისა და, სერთოდ, ძველი აღმოსავლეთის მიწა-წყალზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა მოშველება. შესაბამისად, რ. აბრამიშვილის მიერ მიღებულ დასკვნებს ძალა და მნიშვნელობა ეძლევა, თუ შეიძლება ასე გამოითქვას; საერთაშორისო მასშტაბით. ასე იდგა რკინის მეტალურგიის საწყისების კვლევის საკითხი ძველადაც და, ჩვენი აზრით, ავტორი პრინციპულად მართალია საკვლევი საკითხის ასე ფართოდ განხილვისას. სხვაგვარ მიდგომას, ე. ი. უფრო ვიწრო ფარგლებს თითქოს ვერც ითმენს ეს პრობლემა. შესაძლოა ამაშიც იჩენდეს თავს უძველესი ქართული მელითონეობის განვითარების თავისებური გზები.

ავტორს კარგად აქვს წარმოდგენილი პრობლემის სირთულეცა და მნიშვნელობაც. ეს რომ უფრო მკაფიოდ წარმოვიდგინოთ, შეიძლება შევიხსენოთ ავტორის სიტყვები: „საქართველოში რკინის ათვისების საკითხი არც ერთ არქეოლოგს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია“; ე. ი. მთელი სიმძიმე განსახილველ ნაშრომზე მოდის და ავტორი ცდილობს შეავსოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების ეს თვალსაჩინო ხარვეზი. შესაძლოა მკითხველმა არ გაიზიაროს ავტორის ყველა დასკვნა და მოსაზრება; შესაძლოა ყველა დებულება ერთნაირად დამაჯერებელი ჯერჯერობით მაინც არ იყოს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს ნაშრომის საერთო მნიშვნელობას.

ავტორის წარმატება სავესებით კანონზომიერია. ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა და, მათ შორის განსახილველი ნაშრომის ავტორი, დიდად უნდა უმადლოდეს მცხეთასა და მის მიდამოებში უკვე მეოთხედი საუკუნის მანძილზე მომუშავე არქეოლოგებს, რომელთაც თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და გიორგი ნიორაძე ხელმძღვანელობდნენ; თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების მონაწილეებს, რომლებიც პროფესორ ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ მდ. ქციის ხრამზე, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. თუ არა უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, აღმოჩენილი ქართული კულტურის ორ უდიდეს კერაში—მცხეთასა და თრიალეთში, რკინის მეტალურგიის საწყისების ძიება, ისევე, როგორც ბევრი არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემის გაშუქება, შეუძლებელი იქნებოდა. აღვნიშნავთ ამას წინამდებარე რეცენზიაში მხოლოდ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, საკითხის ისტორიოგრაფიის გადმოცემისას ავტორი მკაფიოდ არაფერს ამბობს კვლევისას საყრდენი მასალის აღმოჩენის ისტორიის შესახებ.

ამრიგად, რკინის წარმოების სათავეების ძიებისას ავტორის მიერ მოპოვებულ წარმატებაში თვალსაჩინო წვლილია ქართველ არქეოლოგთა დიდი კოლექტივისა. იმიტომ სარეცენზიო ნაშრომის წარმატება ქართული არქეოლოგიის მიღწევების მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.

მიუხედავად საყურადღებო დასკვნებისა, პრობლემის მნიშვნელობა და ავტორის დამოკიდებულება ამ რთული პრობლემის მიმართ საფუძველს ქმნიან, განსახილველი ნაშრომის შესახებ რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ:

შენიშვნას იწვევს საკითხის კვლევის გზა. ავტორი ეყრდნობა სამარხეულ-კომპლექსებიდან მომდინარე რკინის ნაწარმს. ჩვენი აზრით, რკინის ათვისების საკითხის კვლევისას საყრდენს, თითქმის ერთადერთ მასალას, არ შეიძლება სამარხეულ კომპლექსებში შემავალი რკინის ნაწარმი წარმოადგენდეს. საკითხის

შესწავლის ძირითადი მიმართულება საკუთრივ რკინის წარმოების კვლევის ხაზით უნდა მიდიოდეს. კვლევის გარკვეულ საფეხურამდე მაინც, ე. ი. პრინციპული მნიშვნელობის საკითხების საკუთრივ რკინის წარმოების მანიშნებელ ძეგლთა მოშველებით გაშუქებამდე, სამარხეული ძეგლები დამხმარე მასალას წარმოადგენენ. ვიდრე არ შესწავლილა ჩვენთვის ახლა საინტერესო ხანის (თუნდაც ძვ. წ. XIV ს.) რკინის წარმოების მაჩვენებელი ძეგლები, რკინისქვის გამოყენებები და რკინის გამოსაწერი სახელოსნოების ნაშთები; არ განხორციელებულა ძვ. წ. მეორე ათასეულის II ნახევრის ნამოსახლართა ძიება და გათხრა, უძველესი რკინის საწარმოდან მომდინარე რკინის ნივთების ქიმიური, მეტალოგრაფიული და ტექნოლოგიური შესწავლა და არ გამოყენებულა მაქსიმალურად ასეთი შესწავლის შედეგები, არ შეიძლება მარჯვე და დამაჯერებელი იყოს სამარხეულ ძეგლთა საფუძველზე მიღებული დასკვნები.

ცხადია, რომ აქ ჩამოთვლილ საკითხთა კვლევა არ არის ერთი ნაშრომის ან ერთი სპეციალისტის საქმე და ყველაფერ ამას ჩვენ სარეცენზიო ნაშრომს ვერ მოვთხოვთ. საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ კვლევის წარმართვა, ჩვენი აზრით, პირველ რიგში ამ გზით იყო საჭირო. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, თუნდაც მცირე წვლილი შეეტანა ავტორს საკუთრივ რკინის წარმოების საწყისების ძიებაში ჩვენ მიერ შემოთავაზებული გზით.

ასეთი გზით კვლევის საჭიროება იგრძნობა იმიტომაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილიდან (მესხეთ-ჯავახეთი, კახეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი) ცოტა რამ არის მეცნიერული ძიების შედეგად მოპოვებული. კახეთში აღმოჩენილ, თავისთავად მცირე მასალას, ავტორი რკინის ათვისების საკითხის კვლევისას ვერ იყენებს, რადგან მასალა შემთხვევით არის აღმოჩენილი. ავტორის განკარგულებაში რჩება სამთავროს და ქვემო ქართლის მასალები. ამ მასალების საფუძველზე არ შეიძლება საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში რკინის ათვისების საკითხები გადაიჭრას იმის გამო, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში რკინის წარმოება ერთი ტემპით არ ვითარდებოდა, რის გამოც სამთავროს და ქვემოქართლის მასალებზე დაყრდნობით გამოყოფილი რკინის წარმოების საფეხურები და მათთვის დადგენილი აბსოლუტური თარიღები მთელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის პირობითია. უფრო მეტიც, სამთავროს მასალების მიხედვით მიღებული რკინის წარმოების საფეხურები და მათი აბსოლუტური თარიღები ზოგიერთ შემთხვევაში პირობითია საქართველოს სამხრეთ რაიონებისათვის“ (გვ. 292—293).

ამრიგად, საკითხის წარმატებულ კვლევას ნაშრომში განხილული მასალები აძნელებენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სამარხეულ კოპლექსთაგან მომდინარეობენ, არამედ იმიტომაც, რომ ცალკეულ კულტურულ კერათა თავისებურებებსაც გამოხატავენ. ეს გარემოებაც, ჩვენი აზრით, საკუთრივ რკინის წარმოების ძიების საკითხს აყენებს. ვიდრე ეს არ გაკეთებულა, პირობითობის ფარგლებში ვრჩებით, ე. ი. საკითხი მეცნიერული საბუთიანობით დამაჯერებლად გადაჭრილი ვერ იქნება.

ახლა იმის შესახებ, რაც წარმოდგენილ ნაშრომშია გამოყენებული რკინის ათვისების საკითხის გადასაჭრელად ძვ. წ. XIV საუკუნისათვის. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ საყრდენს წარმოადგენს სამთავროს და ქვემო ქართლის მასალები. სამთავროს მასალა გამოირჩევა მეცნიერული დოკუმენტაციით, კარგად არის განსაზღვრული და შესწავლილი, პირველ რიგში, გამთხრელის ალექსანდრე კალანდაძის მიერ და, ბუნებრივია, სანდოა, საიმედო საყრდენია





კვლევისათვის. ქვემო ქართლის მასალებში, ავტორის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია მდ. ბაიბურთის მარჯვენა ნაპირზე შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, რომლის ნაწილი ინჟ. ვ. ჩავულოვმა გადასცა საქართველოს მუზეუმის წარმომადგენელს. ესაა ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევრის პირი, შუბისპირი, თავხვია საკინძი და ბრინჯაოსტარაიანი რკინის მახვილის ნაწილი—საკუთრივ ბრინჯაოს ტარი, რომელსაც შერჩენილი აქვს მცირე ფრაგმენტი რკინის პირისა. სხვა ნივთები, სახელდობრ: შავად გამომწვარი ორნამენტირებული თიხის ჯამი, ქვის მძივები, სპილენძის წვრილი ნივთები, დიდი ზომის შავად გამომწვარი ორი უყურო და სადა ქილა; ბრინჯაოს ორკილოვრამიანი საწონის მსგავსი ორნამენტირებული ნივთი და 8 სმ სიგანის ორნამენტირებული ბრინჯაოს საბრტყელი, როგორც ავტორი აღნიშნავს, ვ. ჩავულოვს დაუკარგავს (შდრ. გვ. 307).

არა გვაქვს საფუძველი ასე დაუქვევებლად ვენდოთ ვ. ჩავულოვის მონათხრობს და ყველაფერი ეს ერთ კომპლექსად მივიჩნიოთ. განა სანდოა მონათხრობი ისეთი პიროსა, რომელმაც უდიდესი და, ჩვენი აზრით, დამათარიღებელ ნივთთა უმნიშვნელოვანესი ნაწილი (კერამიკა, ბრინჯაოს საბრტყელი, ლაბტის-თავი და სხვ.) უყურადღებოდ გაფანტა და დაკარგა. როგორც ვხედავთ, საექვო ჩანს ქვემო ქართლის მასალა, რომელსაც ეყრდნობა ავტორი და მისი უმთავრესი, დასკვნა, რომლის თანახმად „ყველაზე ადრე რკინის წარმოება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ჩაისახა. ბეშთაშენის სამაროვნის მასალების მიხედვით ამ ტერიტორიაზე უძველესი რკინის ნივთი ძვ. წ. XIV ს. თარიღდება“ (გვ. 348). შესაბამისად, არ ჩანს საფუძვლიანი ავტორის დასკვნა: „ჩავულოვისეული სატევარი მთელ მსფლიოში უძველესი იარაღია, რომელიც ცემენტაციის საშუალებით არის დაფოლადებული“ (გვ. 375).

ერთი სიტყვით, საკმარისია დავეჭვდეთ ინფორმაციის სიზუსტეში და ავტორის უმნიშვნელოვანეს დასკვნას საფუძველი გამოეცლება. აღმოჩენის შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას საცდელი გათხრა უნდა მოყოლოდა, მით უმეტეს, რომ ავტორი ამ მასალას უმნიშვნელოვანეს დებულებათა დასამტკიცებლად იყენებს.

შემთხვევით აღმოჩენილ მასალასთან ფრთხილი დამოკიდებულების აუცილებლობა ავტორმა კარგად ციცი საკუთარი გამოცდილებითაც. ადრე, როგორც თვითონვე წერს, სოფ. შილდის მასალას ავტორი უძველესი რკინის ნივთების შემცველ ძეგლებში აქცევდა, მაგრამ „შილდის კოლექციის აღმოჩენი ი. ჩახტაურთან პირადი საუბრის შემდეგ გამოირკვა, რომ შილდის კოლექციაში შემავალი რკინის მინიატურული წალდი ბრინჯაოს ე. წ. შედგენილტარიან კახურ სატევართან ერთად არ ყოფილა აღმოჩენილი და ამდენად რკინის ათვისების ადრეულ საფეხურს არ მიეკუთვნება“ (გვ. 319).

თი, რა შეიძლება მოყვეს ინფორმატორთა მასალის შეუმოწმებელ მიღებას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კულტურის ისტორიის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა წყდება და, თანაც, არა მხოლოდ საქართველოს ან კავკასიის მასშტაბით.

შენიშვნას იწვევს ბეშთაშენთან, მდ. ბაიბურთის მარჯვენა ნაპირზე შემთხვევით აღმოჩენილი „კომპლექსის“ დათარიღებაც. ბეშთაშენის ბრინჯაოსტარაიანი რკინის მახვილი თუ სტევარი „დამათარიღებლად არ გამოდგება, რადგან იგი თავისი ფორმით სრულიად ორიგინალურია და მსგავსებას არ პოულობს ამიერკავკასიაში ან მის გარეთ აღმოჩენილ სხვა სატევრებთან“ (გვ. 308). უმნიშვნელოვანესი ამოცანა განსახილველი გამოკვლევისა სწორედ ამ იარაღის დათარიღებაა.

სამისოდ ავტორი იყენებს ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევრის პირს, მასრაგახსნილ შუბისპირსა და თავხვია საკინძს. ამ „კომპლექსის“ ფოთლისებრი სატევრის პირი სამთავრული ვარიანტისაა. სამთავრული ფოთლისებრი სატევრის პირთა დასათარიღებლად საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ალ. კალანდაძეს, გ. ლომთათიძეს, ტ. ჩუბინიშვილსა და სხვებს, მაგრამ იმისათვის, რომ ეს იარაღი (და მასთან ერთად მასრაგახსნილი შუბისპირი და თავხვია საკინძი) ბეშთაშენის რკინისპირიანი იარაღის ძვ. წ. XIV საუკუნით დასათარიღებლად გამოვიყენოთ, საჭიროა დავამტკიცოთ, რომ ფოთლისებრი სატევრის პირის სამთავრული ვარიანტი ძვ. წ. XIV საუკუნისაა და, ამასთანავე, მივაღოთ, რომ სწორედ ძვ. წ. XIV საუკუნეა ამ იარაღის გავრცელების *terminus post quem non*.

ის გარემოება, რომ ეს დამათარიღებელი ნივთები სამთავროში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ კომპლექსებშია ნაპოვნი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მითითებული ტიპის იარაღები ძვ. წ. XIV ს. შემდეგ აღარ გვხვდება.

ბეშთაშენის ბრინჯაოსტარიანი მახვილის ფრაგმენტი, მართალია, უნიკალურად გამოიყენება, მაგრამ მინც გვაკონებს მგ. კუშჩის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ მახვილს<sup>2</sup>, რომელსაც მხრებს ქვემოთ ირგვლივ ღარები გადაუყვება, თითქმის ისევე, როგორც ბეშთაშენისას; ტარიც ოთხწახანავოვანი აქვს, ოღონდ განსხვავებულად დაგებული. სხვა ნაწილები (ტარისთავი, რკინისპირი) ბეშთაშენისას არ შერჩენია და შედარების საფუძველი არა გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ იარაღთა სრულ ერთიანობას არ ვაღიარებთ, მაგრამ არსებითად ერთი ტიპის ჩანან ისინი და ამის გამო, მოველოდით, რომ ავტორი მეტ ანგარიშს გაუწევდა თრიალეთიდან (მათ შორის საკუთრივ ბეშთაშენიდან) მომდინარე მასალებს და იმ გარემოებასაც, რომ მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ჩნდება სამთავროში ბრინჯაოს ტარიანი რკინის მახვილები. ოთხსაუკუნოვან ჩამორჩენას სარეცენზიო ნაშრომის ავტორიც კი არ სცნობს შესაძლებლად.

ამ იარაღის დათარიღებისას მეტი ანგარიში უნდა გავწიოს მეტალოგრაფიული შესწავლის შედეგებს. ავტორს მოაქვს მასალა, რომლის თანახმად ბეშთაშენის ამ მახვილის პირი ცემენტაციის წესით არის დაფოლადებული. თუ ეს იარაღი ძვ. წ. XIV საუკუნისაა და, თანაც, დაფოლადებულია, მაშინ ადრეული რკინის ხანის საწყისები, ქვემო ქართლში მინც, უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ. ცემენტაციის წესით დაფოლადება მაჩვენებელია უკვე შესამჩნევად განვითარებული წარმოებისა და არ უნდა იყოს დამახასიათებელი რკინის აღმოჩენის პირველი დღეებისათვის, საწყისი საფეხურისათვის. ეს გარემოებაც უშლის ხელს, ჩვენი აზრით, ბეშთაშენის მახვილის აქ შემოთავაზებული დათარიღების გაზიარებას.

სარეცენზიო ნაშრომში შემოთავაზებული თარიღის გადასინჯვის საჭიროებას გვიჩვენებს ბეშთაშენის შემთხვევითი „კომპლექსის“ აღმოჩენის ვითარების გათვალისწინებაც. განსახილველი მასალა ქვისსამარხში და, თანაც, „იმავე სამაროვანზეა აღმოჩენილი, სადაც 1938—1939 წლებში გათხრებს აწარმოებდა პროფ. ბ. კუფტინი“ (გვ. 307). პროფ. ბ. კუფტინს კი აღნიშნული აქვს, რომ გვიანბრინჯაოს და რკინის პირველი გამოჩენის ხანას მიეკუთვნება ბეშთაშენის სამაროვანზე გათხრილ სამარხთა ორი ტიპი: ქვისსამარხები და ორმოსამარხები. კუფტინის დაკვირვებით: «Их хронологическое взаимоотношение довольно ясно. Ящичные погребения возникли видимо на существовавшем более

<sup>2</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, гв. 62, სურ. 59,1.

древнем могильнике с грунтовыми погребениями. Однако ящичные погребения... не повторяют полностью инвентаря уже рассмотренных выше могильников, не содержат столь характерных для последних белых тальковых бус «домино» и в некоторых отношениях являются как бы переходными от древних грунтовых погребений к другим триалетским могильникам ванской эпохи<sup>3</sup>.

ამრიგად, გამთხრელის—პროფ. ბ. კუფტინის შეხედულებით 1938—1939 წლებში ბეშთაშენში გათხრილი ქვისსამარხები უფრო გვიანდელია, ვიდრე იქვე გათხრილი ორმოსამარხები. თითქოს უფრო ბუნებრივი უნდა იყოს შემთხვევით აღმოჩენილი ქვისსამარხიცა და ჩვენამდე მოღწეული ნივთებიც ქრონოლოგიურად ბ. კუფტინის მიერ გათხრილ ქვისსამარხებს დაუკავშიროთ. ყოველ შემთხვევაში, ბეშთაშენში შემთხვევით აღმოჩენილი ქვისსამარხის ინვენტარის ძვ. წ. XIV ს-ით დათარიღებამდე სარეცენზიო ნაშრომის ავტორს უნდა დამკვირვებლად ეჩვენებინა პროფ. ვ. კუფტინის დაკვირვების გადასინჯვის აუცილებლობა. ვიდრე ეს არ გაუკეთებია სარეცენზიო ნაშრომის ავტორს, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს უარყოფით პროფ. ბ. კუფტინის დასკვნა. ამ შემთხვევაშიაც იგრძნობა საჭიროება საკონტროლო გათხრებისა ბეშთაშენის სამაროვანზე.

არ არის დასაბუთებული და, ამასთანავე, დამკვირვებელი შიდა ქართლის ჩამორჩენა ქვემო ქართლთან შედარებით 2—3 საუკუნით. ავტორს არ უჩვენებია და არ გამოუქვეყნებია არქეოლოგიური მასალები ქვემო ქართლის უძველეს მეტალურგიულ ტრადიციათა შესახებ; არ უჩვენებია საკუთრივ, რკინის წარმოების მაჩვენებელი ძეგლები და არ აუხსნია ისიც, თუ რატომ უნდა ჩამორჩენილიყო სამთავრო და, საერთოდ, შიდა ქართლი, ქვემო ქართლს 2—3 საუკუნით მაინც. რა თქმა უნდა, ქვემო ქართლის დაწინაურებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მადნეულთა მდიდარ საბადოებს, მაგრამ ჯერ უნდა გამოირკვეს, რომ რკინის საბადო ქვემო ქართლში ძვ. წ. XIV ს. უფრო ადრეც მუშავდებოდა.

სარეცენზიო ნაშრომი ეხება ისეთ ხანას, როდესაც ძველი მელითონობა უალრესად განვითარებულია—ბრინჯაოს წარმოება კლასიკურ ნიმუშებს იძლევა; დიდი ხანია სამთო სამუშაოებს—მადნის მოპოვებას დაშორდა საკუთრივ მელითონობა, სპილენძის ზოდები მოედო ბარს და მეტალურგიით სახელგანთქმულნი ხდებოდა მადნეულის ბაზის დაშორებული მოსახლობანი. ასეთი ტრადიცია დახვედა რკინის აღმოჩენას საქართველოშიაც. ასეთს ვითარებაში მადნეულ ბაზას სრულიადაც არ ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა და არ არის სავალდებულო ამ ბაზასთან სრულდებოდეს მთელი ციკლი მელითონობისა მადნის მოპოვებიდან იარაღ-სამკაულის დამზადებამდე. თუნდაც ამის გამო არ შეიძლება ძვ. წ. II ათასეულის II ნახევარში შიდა ქართლი, მისი მტკვრისპირა ზოლი მაინც და, განსაკუთრებით მტკვარ-არაგვის წყალშესაყარი, 2—3 საუკუნით ჩამორჩენოდა ქვემო ქართლს. ქვემო და შიდა ქართლი ზომ ჯერ კიდევ სპილენძის და ადრებრინჯაოს ხანაში იყვნენ ძლიერ ახლო კულტურულ ურთიერთობაში. ტერიტორიული სიახლოვე და მოხერხებული გადასასვლელები („ცხვრის გზები“) ამ ურთიერთობის ხელისშემწყობი ფაქტორებია. მსგავსი არტერიები დიდი აკაკასიონის ჩრდილოეთი და სამხრეთი კალთების მოსახლეობას მჭიდროდ აკავშირებდა ერთმეორესთან ბრინჯაოს ხანაში მაინც და რა განსაკუთრებული გი-

<sup>3</sup> В. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 65.



თარება უნდა შექმნილიყო მცხეთასა და ბოლნისის შორის ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის?

დასაბუთებას საჭიროებს მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის ფართო ათვისების I საფეხურზე (ე. ი. ავტორის მიხედვით XII—VIII საუკუნეებში) ბრინჯაოს იარაღი იშვიათი გამოჩენის სახითაა წარმოდგენილი, რადგან თურმე ამ საუკუნეებში რკინამ განდევნა ბრინჯაოს იარაღი (გვ. 375). ეს დასკვნა არ გამომდინარეობს აღმოჩენილ ძეგლთა შესწავლიდან. სწორედ ამ ხანის ბრინჯაოს იარაღი გამოირჩევა სიმრავლითა და ნაირსახეობით, უფრო ადრე ხომ სამთავროში სულაც არა ჩანს ბრინჯაოს სამეურნეო იარაღი.

უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო საუბარი ძეგლთა ხნოვნების შესახებ. ასეთი სურვილი იბადება, კერძოდ, ხოვლეგორის VII ფენის ვერძისთავიან ოთახის მიმართ. ერთგან ამ ოთახის დანგრევის თარიღად (ეს ზედა საზღვარი გამოდის) XII ს. მიჩნეული (გვ. 327), მეორეგან ეს ფენა რკინის ფართო ათვისების I საფეხურს მიეკუთვნება (მტკვრის ხეობისათვის, შიდაქართლის ფარგლებში მაინც, ავტორის მიხედვით ეს X—IX საუკუნეებია) და მესამე ადგილას—კვლავ XII საუკუნით თარიღდება (გვ. 364).

მეტე ვარკვეულობა იყო საჭირო ავტორის მოსაზრებათა გასამაგარებლად წყაროთა და ლიტერატურის მითითებისას, ასე მაგ., იმის დასაბუთებლად, რომ ქვემო ქართლში გვიანბრინჯაოს ხანამ მოკლე ხანი იარსება და რკინის ხანაში ქვემო ქართლში მკიდრო დასახლება წარმოიშვა, დასახლებულია ეპიდემოგრაფიის *Mission scientifique au Caucase*, ტ. I, გვ. 44-75. ამ ნაწილში მორგანს განხილული აქვს შაითან-დაღის, ახტალას, უთ-ქილისას და მუსიერის სამაროვანები. ეს არ არის ის ქვემო ქართლი, რომლის შესახებ სარეცენზიო ნაშრომშია საუბარი. ასევე, 308-ე გვერდზე მითითებულია გ. ლომთათიძის საკანდიდატო ნაშრომი თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ გ. ლომთათიძე მასრაგახსნილ შუბისპირს და თავხვია საკინძს, მაინცდამაინც, ძვ. წ. XV—XIV საუკუნეებით თარიღებდეს. ნამდვილად კი გ. ლომთათიძის ნაშრომის მითითებულ გვერდებზე (გვ. 75—76) მოცემულია სატევარ-მახვილთა ტოპოლოგიური კლასიფიკაციის სქემა და განხილულია ნაშრომებში გამოყენებული ტერმინები (გვ. 76—82 და სხვ.).

ავტორის მოსაზრებანი ყოველთვის მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, რის გამოც შეიძლება არა სწორი შთაბეჭდილება დარჩეს მკითხველს. ასე მაგ., 294-ე გვერდზე ავტორის მსჯელობა შეიძლება ისე გავიგოთ, რომ მან პირველმა გამოყო ე. წ. ადრეული რკინის ხანა და რკინის ფართო ათვისების ხანა. ჩვენი აზრით, უმჯობესი იყო მას მკაფიოდ ეთქვა, რომ ამ, საერთოდ ცნობილ პერიოდისათვის ის იყენებს და განვითარებულ რკინის ხანაში ან რკინის ფართო ათვისების ხანაში გამოყოფს სამ საფეხურს. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, უფრო მკაფიოდ უნდა თქმულიყო, რომ მოცემულ პერიოდისათვის გარკვეული ნაწილი წინაპრებს ეკუთვნით და გარკვეული ნაწილი კი სარეცენზიო ნაშრომის ავტორს.

ასევე, უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო მოთხრობილი ისტორია იმისა, თუ როგორ, როდის და ვინ დაადგინა, რომ ადრეული რკინის ხანის რკინის ნივთები ნაკეთებია ადგილობრივი ბრინჯაოს ნივთების მიხედვით. ამის შესახებ უფრო ვრცელი და მკაფიო საუბარი იყო საჭირო.



ნაშრომის სულ ორ გვერდზე განხილულია რ. ვირხოვის, ე. შანტრის და ე. დე-მორგანის მოსაზრებანი ამ საკითხზე. რ. აბრამიშვილი მიუთითებს, რომ „ზემონსენებულ ავტორთა მოსაზრებები სადღეისოდ სრულიად მიუღებელია. ამგვარ საკითხთა კვლევისათვის იმ დროს საკმარისი ფაქტიური მასალაც კი არ არსებობდა. მათი შეხედულებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება არა ერთ-საბჭოთა მკვლევარის ნაშრომშია მოცემული“ (გვ. 297). ავტორს გამოკვლევის ამ ნაწილში არაფერი აქვს ნათქვამი პროფ. გ. ნიორაძის, ვ. ლომთათიძის, ალ. კალანდაძის და სხვ. ნაშრომების შესახებ. საკითხის ისტორიის უფრო სრული და ვრცელი გადმოცემა იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ ავტორის აზრით, „საქართველოში რკინის ათვისების საკითხი არც ერთ არქეოლოგს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუზნდია“ (გვ. 307). თუ ეს ასეა, ვინც სპეციალურად და, თანაც, პირველად იხილავს საკითხს იმან უნდა საკითხის ისტორიაც უფრო ვრცლად წარმოადგინოს.

სასურველი იყო ავტორს შეერბილებინა ზოგიერთი ადგილი, სადაც სხვა ავტორებს აფასებს. ასეთებად მე მეჩვენება მაგალითად შემდეგი: „კომპლექსს ს. მაკალათია სრულიად უსაფუძვლოდ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით ათარიღებს“ (გვ. 327); „პროფ. ბ. კუფტინი ბეშთაშენის სამაროვნის ორმოსამარხებში აღმოჩენილი რკინის ნივთების არსებობის ფაქტს კიდევ უფრო მეტად უყურადღებოდ ეკიდება თავის ქართულ და ინგლისურ რეზუმეებში“ (გვ. 316) და ა. შ. ავტორის ტონი მკაცრი ჩანს უფრო იმიტომ, რომ ის ზუსტიც არ არის.

ჩვენი აზრით, პროფ. ბ. კუფტინის ნაშრომში სხვა შეხედულება გამოთქმული. ქართულ რეზუმეში ბ. კუფტინს უწერია, რომ „უფრო ძველია ბეშთაშენის სასაფლაო, რომლის ღრმად ჩათხრილი ნიადაგისეული სამარხები სრულიად არ შეიცავენ რკინის ნივთებს“. იგივეა ნათქვამი ინგლისურ რეზუმეშიაც. იქ საუბარია „ღრმად ჩათხრილ ორმოსამარხთა“ შესებებ („deep grounded tombs“)<sup>4</sup>; ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ „ღრმად ჩათხრილი ორმოსამარხები“ გულისხმობს ორმოსამარხთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს—სახელდობრ, სხვებთან შედარებით უფრო ღრმად ჩათხრილ სამარხებს. სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო „კიდევ უფრო მეტად უყურადღებოდ მოკიდებოდა“ რკინის ნივთების აღმოჩენას ბ. კუფტინი, რომელიც თავისი ნაშრომის 67-ე გვერდზე საგანგებოდ ჩერდება რკინის ნივთების შემცველ ორმოსამარხთა საკითხზე და დაწვრილებით აქვეყნებს მათ ინვენტარს (ცდრ. ტაბ. XLVII, XLIX). ერთ ისიცყვი, ბ. კუფტინი ყველაფერს ისე დაწვრილებით არ განიხილავს და არ აქვეყნებს, როგორც ეს სარეცენზიო ნაშრომის ავტორს სურს, მაგრამ საველე ჩანაწერებსა და თავის ცნობილ ნაშრომში გამოთხრელს ორმოსამარხებში რკინის ნივთების აღმოჩენის ფაქტი აღნუსხული აქვს და საკმაოდ მკაფიოდაც.

ანალოგიურ შენიშვნას იმსახურებს სარეცენზიო ნაშრომის ადგილები, სადაც ავტორი აცხადებს, რომ პროფ. ბ. პიოტროვსკი ძველთა ერთ ჯგუფს „სრულიად უსაფუძვლოდ“ ათარიღებს; „პროფ. ბ. კუფტინის მოსაზრება... საფუძველს მოკლებულია“; ე. შანტრისა და ე. დე-მორგანის მოსაზრებები „სრულიად მიუღებელია“ და ა. შ. ასეთი კვალიფიკაციები თავისი ფორმითაც მიუღებელია და, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებელიცაა.

<sup>4</sup> Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 141 და 159.



სამუშაოდ, ასე დიდად მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომში გვხვდება ბევრი უზებრხული გამოთქმა, უცნაური შემოკლება. შეცდომა, ბუნდოვანი—ძნელი გასაგები ადგილი, უზუსტობა და გაუმართლებელი ტერმინი. უხვი კორექტურული შეცდომები სურათს კიდევ უფრო ამძიმებს.

დასასრულს გვინდა შევეხოთ ნაშრომის შესავალ ნაწილს, სადაც სხვათა შორის მოტანილია ცნობილი უცხოელი სპეციალისტების: კლ. შეფერის, რ. ფორბსის, გ. ჩაილდის, ჰ. ქვირინგის და სხვათა მოსაზრებანი რკინის აღმოჩენის, მისი ათვისების პირვანდელ კერათა შესახებ. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, ბუნებრივია, იმოწმებს ჩამოთვლილ მეცნიერებს, რომელთაც სხვადასხვა დროს გამოუთქვამთ მოსაზრებანი ამიერკავკასიის და ზოგს თითქოს საკუთრივ ქვემო ქართლის სასარგებლოდ. მართალია, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი აქ მთლად ზუსტი არ არის, მაგრამ მთავარი მაინც იმის შეფასება იყო, თუ რა საფუძველზე ამტკიცებენ თავიანთ მოსაზრებას ზემოდჩამოთვლილი ავტორები. თავისთავად საყურადღებოა, რომ ისინი ასეთი შეხედულებისა არიან, მაგრამ მათ ვარაუდს საფუძველად არქეოლოგიური მასალა არ უდევს. ისინი მადნეულ რესურსებს ეყრდნობიან ან სხვა ცენტრთა გამორიცხვის გზით მიდიან და ა. შ. ამგვარი საბუთებით არ დამტკიცდება წამოყენებული დებულება. იმისათვის, რომ ამა თუ იმ მხარეში რკინის აღმოჩენა, მისი ათვისების დაწყება დამტკიცდეს, ჩვენის აზრით, სათანადო წარმოების კვალი უნდა დადასტურდეს და სათანადო დასკვნისთვის ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი უნდა იყოს გამოყენებული. ზემოჩამოთვლილ ავტორებს სწორედ ეს საფუძველი არ გააჩნიათ ჯერჯერობით. ამიტომაც იმათი სიტყვა ჯერჯერობით მაინც, ვადამწყვეტი არ შეიძლება იყოს.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ მას ხელთა აქვს მდიდარი, უმთავრესად სამაროვნებიდან მომდინარე ახალი არქეოლოგიური მასალა. თუ ამ თავისთავად მნიშვნელოვან მასალას საკუთრივ რკინის წარმოების დამახასიათებელი ძეგლებით გავამდიდრებთ, მაშინ რკინის უძველესი მეტალურგიის ჩასახვის პრობლემა საიმედოდ გადაწყდება. ქართულმა არქეოლოგიამ ახლო ხანაში უნდა თქვას ამ საკითხზე საკუთარი, დამაჯერებელი სიტყვა რკინის წარმოების ნაშთთა გათხრისა და შესწავლის შედეგად. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამას, პირველ რიგში, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი გააკეთებს.

## ახალი ეთნოგრაფიული ნაშრომი საქართველოს მეხილეობის შესახებ<sup>1</sup>

### ჯ. სონღლაშვილი

(წარმოადგინა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში)

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეხილეობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რასაც უშუალოდ კავშირი აქვს საზოგადოებრივი კვების საქმესთან. მეხილეობა საქართველოს ბევრი რაიონისათვის მეურნეობის წამყვან დარგად ითვლება. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შორის, რომელსაც პარტია და მთავრობა სახავენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეხილეობას. ამ დარგის განვითარების პერსპექტივებს საგანგებო ყურადღება დაუთმო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა 1961 წლის თათბირმა. საკითხთა ფართო წრეში, რომლებიც დასახული ამოცანების გადაჭრას ემსახურება, სათანადო ადგილი და მნიშვნელობა ეკუთვნის მეხილეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებსაც.

მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ მეზოსტენობა და მეხილეობა საერთოდ ბინადარი ცხოვრებისა და ბინადარივე მეურნეობისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უძველესი დარგია, ანუ მკვიდრი მიწათმოქმედების ერთ-ერთი კველაზე ადრინდელი სახეობაა, და რადგან საქართველო ითვლება მიწათმოქმედების უძველეს ქვეყნად, მეხილეობაც გარკვეულ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ისტორიაში. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენმა სახელოვანმა მკვლევარმა ივ. ჯავახიშვილმა, ძირითადად ქართული წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით, საგანგებოდ შეისწავლა მეურნეობის ეს დარგი და კვლევის შედეგები გამოაქვეყნა თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ტ. II, 1933).

საქართველოს მეხილეობის ისტორიას არა ერთი და ორი მკვლევარი შეხებია, რომლებსაც არა ერთხელ მიუთითებიათ საქართველოს სამეურნეო თუ სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის ეთნოგრაფიული მასალების გამოვლინება-დამუშავების მნიშვნელობაზე. სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს ყოფის მონაცემებს ქართული მეხილეობის თავისებურებისა და ისტორიის შესასწავლიდ. ეთნოგრაფიული მასალებით დადგენილ საწარმოო ტრადიციებს, რომელიც ჩამოყალიბებულია კონკრეტულ-ბუნებრივ სამეურნეო გარე-

<sup>1</sup> დ. პავლიაშვილი, მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) რედაქტორი პრფ. გ. ჩიტაია, თბილისი, 1962.



მომი, ისტორიის ერთ-ერთი პირველწყაროს მნიშვნელობა ეძლევა. მეხილეობის ისტორიის შესასწავლად ეთნოგრაფიული მონაცემების განსაკუთრებულ მნიშვნელობას შემდეგი ვარემოვბაც განსაზღვრავს: როგორც ცნობილია, ბუნებრივ-სამეურნეო პირობების უაღრესი მრავალფეროვნებით საქართველო ძალზე განსხვავდება სამხრეთის უმეტესი ქვეყნებისაგან, და სწორედ ჩვენს ქვეყანაში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიკრორელიეფისა და ნიადაგის, მიკროკლიმატის პირობებს, ჰიდროგრაფიულ რეჟიმს, მზის რადიაციას, მცენარეთა ექსპოზიციას და რიგ სხვა ფაქტორს, რასაც ძველთაგანვე უნდა განესაზღვრა და თავისი დალი დაესვა საქართველოს პირობებში მეურნეობის დარგების განვითარების საერთო ხასიათისათვის. ამის საფუძველზე უნდა აიხსნას ქართული მეხილეობისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება და თავისებურებანიც. ამ მრავალფეროვნებისა და თავისებურების გამოვლინება-შესწავლა, ცხადია, პირველ რიგში სწორედ ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეიძლება. მეხილეობის საწარმოო ტრადიციებისა და შრომითი ჩვევების კუთხური, ზოგჯერ კი უფრო ვიწრო თავისებურებანი ამ დარგის ისტორიის შესწავლის არსებითი და უმთავრესი წყაროა.

ზემოთ აღნიშნული მხარეების გათვალისწინებით თუ განვიხილავთ და შევაფასებთ დ. პავლიაშვილის სარეცენზიო ნაშრომს — „მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში“ — აშკარაა შესწავლილი საკითხის აქტუალობა და მეცნიერული მნიშვნელობაც. აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობის ეთნოგრაფიული შესწავლა ნაწილია იმ დიდი სამუშაოსი, რომელიც საქართველოს მეხილეობის მთლიან შესწავლას გულისხმობს. ამ მხრივ მომავალში ბევრია გასაკეთებელი, ხოლო სარეცენზიო ნაშრომის პირველი შედეგები, რომელიც ასახულია დ. პავლიაშვილის მონოგრაფიაში, ყოველ მხრივ მისასაღმებელია. ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის გავრძელება, ცხადია, ახალ საყურდღებო შედეგებს მოგვცემს.

ეთნოგრაფიული მასალის, როგორც ძირითადი პირველწყაროს გვერდით ავტორი უხვად სარგებლობს საკითხზე არსებული სპეციალური ლიტერატურით, იგი არ კმაყოფილდება მარტოოდენ საველე ეთნოგრაფიული მასალით და ფართოდ იყენებს აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ კოლექციებსაც. აგრეთვე, გზადაგზა იშველიებს შესაძარებლ მასალასაც, რომელიც ძირითადად ავტორის მიერაა მოპოვებული.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან. შესავალში ვეცნობით საკითხის კვლევის მეთოდს და მონოგრაფიის აგებულებას. აქვე ნაჩვენებია მეხილეობის, როგორც საზოგადოებრივი კვების საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული სამეურნეო დარგის მნიშვნელობა, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე ავტორი მკაფიოდ მიუთითებს, რომ მეხილეობის გავრცელება დაკავშირებულია ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან. შემგროვებლობითი მეურნეობის სტადიაზე მამაკაცი ძირითადად თუ მონადირეობით იყო დასაქმებული, ხილისა და სხვა სახის მცენარეული ნაყოფის შეგროვება ქალს ევალებოდა. ხეხილის გაშენება იწყება ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის დროიდან (იხ. სარეცენზიო წიგნი გვ. 3). ამ დებულების დამტკიცების მიზნით ავტორი მიმოიხილავს სათანადო არქეოლოგიურ მასალებს, ისტორიულ წყაროებს და ეთნოგრაფიული მონაცემის საფუძველზე საქართველოში მეხილეობის ისტორიას იკვლევს.





ნაშრომის პირველ თავში ავტორს აღწერილი და განხილული აქვს ნიდაგების შერჩევა-გამოყენების ხალხური მეთოდები მეხილეობაში, გამოვლინებულია ქართველ მეურნეთა მდიდარი ცოდნა-გამოცდრლება. ავტორი ამავე თავში ცალკე საკითხებად იხილავს მიწის სტრუქტურას და ცალ-ცალკე ახასიათებს მის თვისებებს, კერძოდ, „მავი მიწა“, რომელიც ხასიათდება საუკეთესო მიწად და ხალხურ გამოთქმაში მას „დილღავი“ მიწაც ეწოდება, რაც უხვ მოსავლიან „მდიდარ“ ადგილად ხასიათდება. შემდეგ ავტორი რიგის მიხედვით ჩამოთვლის „წითელ მიწას“, „ტრედისფერ მიწას“, „კირიან მიწას“, „ხირხატ მიწას“, „ლამიან ანუ ლამის მიწას“, „ქანქრობ მიწას“, „ქვიშა მიწას“, „თიხიან მიწას“, „აყალო მიწას“, ყველა მათ თვისებებს მეხილეობის დარგში.

ავტორს აღმოსავლეთ საქართველოში, ყოფის მონაცემების მიხედვით, აღწერილი და ახსნილი აქვს „ტახტეების“, ანუ ტერასების იგივე „ბაქანების“ მოწყობის წესები და მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი ეხება ხილის გაშენების ხალხურ წესებს ფერდა ალაგებში „ტახტეების“ ანუ „ტერასების“ მოუწყობლად, რომელსაც იგი პირობითად „შემობარვის“ წესით ზეხილის მოშენებას უწოდებს. მას ეს ზერხი დაუფიქსირებია მთიულეთში.

სარეცენზიო ნაშრომის საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს მეორე თავი, რომელიც ზეხილის გამრავლებას, ბაღის გაშენებას, ზეხილის მოვლასა და მის დაავადებას ეხება. აქ ავტორი კონკრეტული მასალის საფუძველზე განიხილავს გარეული ზეხილის მოშინაურების ხალხურ ტრადიციებს და მის მნიშვნელობას, ზეხილის გამრავლებას, ახალი ჭიშების გამოყვანის საქმეს და სხვ. ზეხილის გამრავლების საშუალებებიდან ავტორი ცალკე საკითხებად გამოყოფს „მყნობის“, „გადაწყენის“, „ლერწის“, „ფესვდაყოფისა“ და სხვა ისეთ წესებს, რომელთაც ქართველი მეურნეები ოდითგანვე ფლობდნენ და თავიანთი ბუნების გასაძლიერებლად იყენებდნენ. ამავე თავში ავტორი იხილავს ზეხილის გასამრავლებლად გამოყენებულ სხვადასხვა ხალხურ მეთოდებს: „ზეხილის საძირის ტყიდან ჩამოტანას“, „თესლთესვას“ და თვით „თესლის დამზადება-გამოზამთრებას“ და ა. შ. აქვე ნაჩვენებია ზეხილის ბაღების მოვლა-დამუშავებისა და ზეხილის სხვადასხვა ავადყოფობის ხაწინააღმდეგო ხალხური წესები. ნაშრომის მესამე თავში — „ზეხილის მოსავლიანობის გადიდების და ხილის გამოზამთრების ხალხურ მეთოდებში“ — ავტორი დამაჯერებლად გვაცნობს ქართველ მეურნეთა ცოდნას ზეხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში, ამ მიზნით ყოფაში იყენებდნენ „დაკოდვის“, „რწყვის“, „გაპოხიერების“, „გასხვლის“, „დაშინებისა“ და სხვა ხალხურ წესებს, აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ძველ რწმენა-წარმოდგენებს.

მონოგრაფიის უკანასკნელ მეოთხე თავში ავტორი ეხება ხილის სახეობებს და მათ გამოყენებას აღმოსავლეთ საქართველოში. ამოსავალი, ისე, როგორც დანარჩენ სამ თავში, აქაც ეთნოგრაფიული მასალაა, ხოლო დამხმარე წყაროებიდან გამოყენებულია ისტორიული დოკუმენტები, წყაროები და მოგზაურთა ნაწერებში ასახული ცნობები და შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევები, აქვე ნაჩვენებია აღმოსავლეთ საქართველოს ფლორისათვის დამახასიათებელი ხილის კულტურები და თითოეული მათგანის წარმოშობის ადგილები, მათი გამრავლებისა და შემოტანის გზები.

ხილის გამოზამთრების მიზნით, დადგენილია ზამთრის ხილისათვის „ოფლის მოღენის“, ორმოში, ქვევრში, საწნახელსა და წყალში შენახვის ხალხური წე-

სები, რაც ქართველი ხალხის ტრადიციულ ცოდნა-გამოცდილებაზეა აღმოცენებული. ავტორი გვაცნობს მასალებს ხმელი ხილის, ტყლაპების, „ტკბილის“, მურაბებისა და ხილის სხვადასხვა ნაწარმის შენახვის ხალხურ წესებზე.

ამავე თავში დ. ჰავლიაშვილს მოყავს ხილის კულტურების მნიშვნელობა, როგორც სამეურნეო, ეკონომიურ და სამკურნალო დანიშნულების თვალსაზრისით, ისე სხვადასხვა ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესრულებისას, როგორც აუცილებელი ელემენტი.

ხილეულის ცალკეული აღწერილობისას და მათი თავისებურებების ჩვენებისას დ. ჰავლიაშვილი არ კმაყოფილდება მარტოდენ ეთნოგრაფიული, ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემებით და ქართულ პოეზიისა და თქმულებებშიც ეძებს პარალელებს, რაც წიგნს საინტერესოს და მიმზიდველს ხდის.

გარდა აღნიშნულისა, მონოგრაფიას ახლავს ცალკეულ თავებში განხილული საკითხების შემაჯამებელი დასკვნები და რეზიუმე რუსულ ენაზე. ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, არაფერი გვექნება სადავო ავტორთან იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობის შესწავლა ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ახალ ასპექტში გვისახავს სოფლის მეურნეობის ამ დარგის მნიშვნელობას ძველ სამეურნეო ყოფაში და წარმოაჩინს ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემოწმებულ შრომით ჩვევებს, საწარმოო გამოცდილებასა და ემპირიულ ცოდნას მეხილეობაში.

ამგვარად სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს საინტერესო ეთნოგრაფიულ გამოკვლევას, როგორც მასალის ფიქსაციის მხრივ, ისე ამ ახალი მასალის განზოგადოების თვალსაზრისით, მაგრამ ეს ნაშრომი შენიშვნებსაც იწვევს:

მორწყვის საკითხის გაშუქებისას უკეთესი იქნებოდა ავტორს თავისი მასალების საფუძველზე უფრო ვრცლად დაეხასიათებინა შესწავლილ მხარეში მორწყვის სისტემა მეხილეობასთან დაკავშირებით. მაგალითად, კარგი იქნებოდა ტახტების, ყათრებისა და სხვ. მორწყვის ხალხური ტექნიკის კონკრეტული ჩვენება. ამ საკითხისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ ტერასებსა მორწყვა სამთო ირიგაციისა და საერთოდ სამთო მიწათმოქმედების ერთ-ერთი არსებითი მხარეა. აჯობებდა ავტორს ყურადღება გაემახვილებინა ხალხურ დაკვირვებებზე, რომლებიც შეეხება წყლის ქიმიურ-ფიზიკურ შედგენილობას, სხვადასხვა მცენარის წყლის სარწყავად განსხვავებული გამოყენების საჭიროებას და ნიაღვრის წყლით ხეხილის მორწყვის დადებით თვისებებს.

რამდენადაც ავტორი საქართველოს სხვა კუთხეების შესადარებელ მასალასაც იყენებს, მას შეეძლო უფრო მკვეთრად ეჩვენებინა შესწავლილი მხარის მეხილეობის დამახასიათებელი ადგილობრივი თავისებურებანი, აგრეთვე მისი ზოგადი ხასიათიც. ჩვენი აზრით, საჭირო იყო ავრეთვე საკუთრივ ხალხური მონაცემების უფრო მეტად გამოყენება კუთხური სახელწოდებით ცნობილი ხილეულის დანახაითებისათვის. მაგალითად, რა თავისებურებების მიხედვით განარჩევენ ეთნოგრაფიულ ყოფაში ვთქვათ „ჭოპორტულ ბალს“ იგივე („ძუძუ ბალი“). რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ან კიდევ „გორულს“ და დიღმის ჭალის „ატამს“, „მუნრანულ ჭანჭურს“, „დიღმურ გარგალს“, „განჯურ ბროწეულს“, „გორის ვაშლს“ და ა. შ.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორი ეხება ხეხილის ტოტებით ანუ ლერწით გამრავლების საშუალებას და აღნიშნავს რომ „ლერწით“ ძირითადად ამრავლებენ ვაზს. გარეულ ხილს (ფშატს, კუნელს, ხურტკმელს და სხვა), რომელსაც



განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ცოცხალი ღობეებისა და საჩხები ქალების გაშენების საქმეში“ (გვ. 52). არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ლერწით მრავლდება ყველანაირი ჭიშის კომში, ბროწეული, ლეღვი, თუთა, ფშატი, ტყეშალი და სხვა.

ავტორი წინააღმდეგობაში ვარდება, როცა აღწერს „ფშატს“ და აღნიშნავს, რომ „ფშატი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ველური ფორმითაა წარმოდგენილი, რომელიც აღმ. საქართველოს ბალ-ვენახებისა და ქალის ტყეებში ფართოდაა გამრავლებული“... (გვ. 161) და იქვე აღნიშნავს, რომ: „ყოფაში ორი სახის ფშატს იცნობენ: ბალურს—მსხვილს და ქალისას“ (გვ. 161). შემდეგ ავტორი ეხება ფშატის გამრავლების ხალხურ მეთოდს და აღნიშნავს, რომ თურმე „გაზაფხულობით ნამყენსაც აკეთებენ“. თუ ამ შემთხვევაში ავტორის შეცდომასთან გვაქვს საქმე, ყოფაში ვხვდებით არა მარტო ველურ ფშატს (ქალა-ფშატა, კატა-ფშატა და სხვ.) არამედ კულტურულ ფშატის ჯიშებსაც, რომელიც ყოფაში მრავალი ჯიშით არის წარმოდგენილი მაგ.: „უნაბი-ფშატი“, „განჯური ფშატი“, „მახრჩობელა ფშატი“ და სხვ.

უკეთესი იქნებოდა რუსულ ენაზე დართული რეზიუმე უფრო ვრცელი ყოფილიყო და ნაშრომს საძიებლებიც ახლდეს.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ დ. პავლიაშვილის საინტერესო ნაშრომის გამოსვლა მისასალმებელია. საჭიროდ მიგვაჩნია, მომავალში უფრო ფართოდ გაიშალოს საქართველოს მიწათმოქმედების ამ ერთ-ერთი უძველესი დარგის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა



პროფ. ვახტანგ ბერიძე



პროფ. ვუკოლ ბერიძე

გარდაიცვალა 80 წლის ასაკში ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ვუკოლ მისეილის ძე ბერიძე.

ვუკ. ბერიძეს გავლილი ჰქონდა უოფ. ჰეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით. მან ამ უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა 1912 წელს და საფუძვლიანი მომზადება მიიღო ქართულ ენასა, ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში, აგრეთვე სპარსულსა და სომხურ ენებში; აქვე აღეძრა მას ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევისადმი ცხოველი ინტერესი.

1912—1918 წლებში ვუკ. ბერიძე ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო. მისი მოწაფეების გადმოცემით, მისი გაკვეთილები გიმნაზიის უფროს კლასებში საუნივერსიტეტო ლექციებს მიაგავდა როგორც მეცნიერული სიღრმით, ისე მოცულობის მხრივ.

1918 წლიდან ვუკ. ბერიძე სამუშაოდ თბილისში გადმოდის და განათლების დარგში განაგრძობს მუშაობას. 1922—1932 წლებში კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1932 წელს დამტკიცებულ იქნა პროფესორად და იმავე დროიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ჯერ ქართული ენის, სოლო შემდეგ რუსთველოლოგიის კურსს. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ბათუმის ჰედაგოგიურ ინსტიტუტშიც.

მრავალი წლის მანძილზე ვუკ. ბერიძე იყო წევრი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოებისა. და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიისა.

1946 წელს ვუკ. ბერიძე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

სამეცნიერო მუშაობა ვუკ. ბერიძემ ადრევე დაიწყო. მან გამოაქვეყნა 80-მდე სამეცნიერო შრომა. მისი სამეცნიერო შრომები ეხება ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს, მას ეკუთვნის



შეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები რუსთველოლოგიაში.

გუკ. ბერიძე ზიონერი იყო ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონის მეცნიერული დამუშავების დარგში. 1912 წელს ჰეტერბურგში გამოსული მისი შრომა „სიტყვის-კონა იბერულ და რაჭულ თქმათა“ განმარტების წესისა და ხასიათის თვალსაზრისით დღესაც საინტერესოა. ასევე მრავალმხრივ საუურადღებოა გუკ. ბერიძის სხვა ლექსიკოლოგიური შრომები.

საკანგებოდ უნდა აღინიშნოს გუკ. ბერიძის დავაწლი რუსთველოლოგიაში. მისი მრავალრიცხოვანი რუსთველოლოგიური ნაშრომები ამჟამად თავმოყრილია კრებულში „რუსთველოლოგიური ეტიუდები“, რომელიც 1961 წელს გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. ამ ნაშრომთა დიდი მეცნიერული ღირებულება ერთსელოვნად აღიარებულია რუსთაველის პრობლემაზე მომუშავე ყველა სპეციალისტის მიერ.

გუკ. ბერიძე დიდ უურადღებოს აქცევდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ საკითხებს, რუსთაველის მსოფლმხედველობის, რუსთაველის მსატერული ენისა და ზოეტიკის, ზომების ხალხურობის საკითხებს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მისი ინტერპრეტაციები ეოველოგიის გონებამახვილური, საუურადღებო და ანგარიშგასწავლი იყო. როგორც დასელოვნებულმა ტექსტოლოგმა, გუკ. ბერიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის მომზადებაში. უკანასკნელად იგი იყო წევრი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენა.

სრულიად განსაკუთრებულია გუკ. ბერიძის დამსახურება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში.

ქართული ენის ლექსიკურ შესაძლებლობათა გამოყენების საკითხი განსაღებული მეცნიერული აზროვნების საჭიროებათა დასაკმაოფილებლად მთელი სიმწვაოთ დაღა მას შემდეგ, რაც ქართულად სწავლება იქნა შემღებული ჩვენი ქვეენის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. დიდი მუშაობა იყო საჭირო, რომ თქტომბრის რეგოლუციით მონაკებული და უსრუნველოფილი უფლებები ქართული ენისა განსორციელებულიყო. დღის წესრიგში დაღა ტერმინოლოგიის შექმნის საკითხი. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება დიდი სასელმწიფოებრივი და კულტურული მნიშვნელობის საკითხი იყო.

1926 წელს დაარსდა სასელმწიფო ტერმინოლოგიური კომიტეტი და მისი საშუაო აპარატი—ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომისია. ამ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა გუკ. ბერიძე. 1936 წლიდან ეს კომისია შევიდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში სამეცნიერო ტერმინოლოგიის განუოფილების სასით (ამჟამად იგი საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის



სამეცნიერო ტერმინოლოგიის განუოფილებად). სპეციალისტთა მიერ დაშუ  
შავებული მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგი-  
ათა განსილვა-დასუსტება და დადგენა-უნიფიკაცია, რაც ამ განუოფილებამ  
შეასრულა, ისეთი საქმეა, რომლის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სოციალი-  
სტური მშენებლობისათვის და ქართული კულტურის ისტორიისათვის მნი-  
ვლია გადაჭარბებით შეფასდეს.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ამ საქმეს სათავეში ედგა და სელ-  
მძღვანელობდა ვუკ. ბერიძე, სელმძღვანელობდა დიდი გამოცდილებითა და  
საქმისადმი უანგარო სიეპარულით. ამ საქმეს იგი არ აკლებდა თავის უუ-  
რადლებას მაშინაც კი, როცა უკანასკნელ წლებში ავადმყოფობის გამო  
უშუალოდ ვეღარ განაგებდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის განუოფილებას.  
ვუკ. ბერიძის სელმძღვანელობით და რედაქტორობით გამოვიდა მეცნიერე-  
ბისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის რამდენიმე ათეული ტერმინოლოგია.  
ამ შიშიე სამუშაოს ვუკ. ბერიძე წარმატებით გაუძღვა და ჰირნათლად. შე-  
სრულა თავისი ვალი ქვეყნის წინაშიე.

წლების განმავლობაში ვუკ. ბერიძე სელმძღვანელობას უწევდა მაშინ-  
დელი განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულების  
სამმართველოს; მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა 1923 წელს ქართუ-  
ლი საენათმეცნიერო საზოგადოება; იგი იყო წევრი და უშუალო მონაწილე  
აკრეთვე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობისა. ვეველა, ვი-  
საც კი ამ სამეცნიერო საზოგადოებებში უსდებოდა მუშაობა, მოწამეა განსა-  
კუთრებული გულისსმეიერებისა და მსრუნველობისა, რასაც ვუკ. ბერიძე  
იყენდა ვეველასა და ვეველაფრის მიმართ.

ვუკ. ბერიძემ ჰირნათლად მოიხადა მეცნიერისა და მოქალაქის ვალი  
თავისი ქვეყნის, ქართული მეცნიერების, ქართველი საზოგადოების წინაშიე.  
მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ საუკუნო განსასვენებელი მას თავის  
რჩეულ შვილთა გვერდით დაუმკვიდრა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოე-  
ბრიე მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიე-  
რების ინსტიტუტი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუს-  
თაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტი

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

დ. მაისურაძე, საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდი . . . . .	3
ვ. გოგობერიშვილი, რწმენის პრობლემა პრაგმატიზმში . . . . .	14
გ. თევზაძე, ჰერმან კოჰენის შემეცნების თეორიის კრიტიკა . . . . .	31
გ. ბუაჩიძე, ავტომობილის და რკინიგზის ტრანსპორტის კოორდინაციის საკითხისათვის	52
ი. შირცხულავა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში . . . . .	72
ა. შიშკინა-ახალაძე, ქართველი რევოლუციონერებისა და ინტერნაციონალისტთა რაზმების მონაწილეობის ისტორიიდან აღმოსავლეთ ციმბირის მშრომელთა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1918 წელს. . . . .	97
ნ. როგავა, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფის ძირითადი თავისებურებანი	113
ო. ვუფუნაძე, კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან XI საუკუნის მიწურულის კიევის რუსეთში . . . . .	127
ნ. ხაჩარაძე, ფრიგიის სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან . . . . .	141
კ. კეკელიძე, ნ. ბარათაშვილის სევდა . . . . .	153
ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის კირიონისეული ხელნაწერის გარშემო . . . . .	165
ი. მეგრელიძე, წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში . . . . .	170
ნ. შენგელია, ს. ჭიჭია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი	186
ი. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან . . . . .	196
ა. ონიანი, პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში . . . . .	198

**კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა**

დ. მეგრელაძე, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში . . . . .	212
ა. აფაქიძე, საქართველოს არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემა . . . . .	223
ჯ. სონდულაშვილი, ახალი ეთნოგრაფიული ნაშრომი საქართველოს მეხილეობის შესახებ პროფ. ვუკოლ ბერიძე (ნეკროლოგი) . . . . .	232





ფასი 1 მან.

2 15/79.

